

114 /
1957/4

საქართველოს
საბჭოთავო
ენობრივი
ცენტრი

მეტეოროლოგია

114 /
4

საქართველოს
საბჭოთავო
ენობრივი
ცენტრი

34

7

037060



1957



საბავშვო ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლმედიკური უწყისი

წელიწადი 34-ე

№ 7

ივლისი, 1957 წ.

საბავშვო საზოგადოებრივი კავშირის ორბანო

უიწარსი

ირაკლი აბაშიძე — აღზანთან, ლექსი	80-3
კარლო კალაძე — შორი შეხვედრა, ლექსი	4
კონსტანტინე გამახურდია — დავით აღმაშენებელი, ტეტრალოგია, გაგრძელება	6
მედია კახიძე — ლექსები	30
იკინთე ლისაშვილი — რთველება, რომანი, გაგრძელება	32
ალექსანდრე ბეგაშვილი — ლექსები	55
შაქრო სამადაშვილი — ლექსები	57
როსტომ ბეგანიშვილი — სამამულე რქა, რომანი, პირველი ნაწილის დასასრული	59
მაია ასათიანი — აფხაზური თქმულება	86
გიორგი ჩიქობავა — მცხეთა, ლექსი	110
მაინრიმ მაინე — „ჩრდილოეთის ზღვა“, ლექსი, თარგმანი ხარტიკონ ვარდოშვილი-სა. უსათაურო ლექსი, თარგმანი გერმანელიდან შოთა ამირანაშვილისა	111

კრიტიკა და კვლევითი

დავით მისურაძე — ილია ჭავჭავაძე და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები	116
ელენე ჩხეიძე — ისევ „ახალი პორიზონტის“ გამო	125
რევაზ იმნაიშვილი — გამო	132

ლიტერატურული მიმოხილვა

მიხეილ კეკელიძე — სულხან-საბა ორბელიანის უცნაურესი მგზავრობა	137
მიხეილ ზანდუკელი — ხალხისათვის და თერგდალეულთა მსოფლმხედველობისათვის	142
სოლომონ ცაიშვილი — ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ	152

მეცნიერება

ოლ. თვამე, გრ. კალანდარიშვილი — დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობისათვის	159
ალ. ბუნიაშვილი — საერთაშორისო გეოფიზიკური წელი	165

თბ. მე-2 გვ.



მიხეილ ჩიქოვანი — „ბალავარიანი“ და ქართული ფოლკლორული ტრადიცია



წიგნების მიმოხილვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ძიმიგური — ი. გრიშაშვილის „ლიტერატურული ნარკვევები“	181
ვ. გოგოლაძე — წიგნი სამხრეთ საქართველოს ახლო წარსულზე	183
ზურაბ ჭუმბურიძე — მონოგრაფია კახური დიალექტის შესახებ	186
ნ. კუპრაძე — ჩვენი დღეების ნარკვევები	187
ნ. გურაბანიძე — ფრანგი რეჟისორის წიგნი თეატრალურ ხელოვნებაზე	190
ახალი წიგნები — გარჯანიის შესაშვ გვერდზე	

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 347.
უფ 01490. ანაწილის ზომა 7¼ × 12½. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат Печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ირაკლი აბაშიძე



ალაზანთას

არა, მე ვიცი ბუნების ენა,
ენა ამ სიბრძნის, ამ სილამაზის,
ვიცი, რას ტირის ფოთლების ცვენა,
ვიცი, რას მღერის ტალღა ალაზნის.

ვიცი, რას ამბობს ზორბალოს სერი,
ყადორის ქედი, საქორის ქედი;
ვიცი, რას ფიქრობს მყინვარის წვერი,
ჩურჩული მესმის პირიმზის სევდის.

ვიცი, რას წივის ყინული კლდეში,
ჩქერს ბარად რისთვის მიუწევს გული;
ვიცი, რად ანჩხლობს აპრილის თქეში,
ვიცი, რად ყუჩობს ნოემბრის რული.

ვიცი, მე ვიცი ბუნების ენა,
ენა ამ სიბრძნის, ამ სილამაზის:
სათიბის ენა, თავთუხის ენა,
მტევნის, მზის ეშხით გავსილ აღმასის.

საუბრად მესმის ნიავის სტვენა,
ჩიტს სევდას ვატყობ ცაში ფრენაზე...
და ისე ვკვდები, —

ეს უცხო ენა
ვერ მითარგმნია კაცის ენაზე.

კარლო კალაძე



შორი შეხვედრა

ქართველ ინჟინერს, ჩემი სიყრმის მეგობარს,
თენგიზ გორგასლიძეს.

არ ვიცი, განგებ თუ კვლავ განგებით,
სადღაც, შორეულ კასპიის გულში
არაგვისა და თერგის ტალღები
შეხვდნენ ერთმანეთს უეცრად გუშინ!

ერთი მთის ორი მოფარიკავე
ახლა ზღვისპირზე წამოდგა მარდად,
ათასი ტალღა გაპრეს იქავე,
შეხვდნენ ერთმანეთს... და გაეხარდათ!

ჩვენ ორნიც, მათი ღელვის მოწმენი,
შევხვდით ერთმანეთს გემბანზე, თენგიზ,
შევხვდით ერთმანეთს თანამოძმენი,
როგორც არაგვის და როგორც თერგის.

თვალწინ კასპიის ვრცელი ზღვა არი
და ჰორიზონტზე დგას მთების ალყა,
ზღვა არი თვალწინ, მაგრამ სხვა არი
მაინც მშობლიურ მდინარის ტალღა!..

გიცნობენ დონი, ვოლგა, ურალი,
სად არ იყავი, სად არ იარე, —
მიწა ნაბრძოლი და ნაპურალი
ახალ ქარხნებით აახშიანე.

საასპარეზოდ ზღვაც ხომ შენია,
მაშ, გაიტანე გული კეთილი, —
ადგილის დედას ვინ შერჩენია,
წარსულზე ლოცვით მუხლმოკვეთილი!

ღუმელთა შუქით, ვგრძნობ, გაბრწყინდები,
კასპიის გაღმაც გასული ალბათ...
მე კი ღამითაც ველარ ვცილდები
მღელვარე ზელით მოხატულ ანბანთ.

გაქრილხარ, სივრცე გაგიკვეთია
ტანკით, კატარლით, ფოლადის ფრთითა...



და მაინც ჩვენი ბედი ერთია,
გახსოვს? ჩვენ ერთი ოცნება გვზრდიდა!

ჩვენი დღე მუდამ დღე არის ღელვის,
განა ზღვის ფსკერზე მდგარი ქვიშაა, —
აი, ის ალბათ ზვირთია თერგის,
ის კი აშკარად არაგვისაა!

ერთი ქალარა მთის ძუძუ-მკერდი
დაშორებულთაც ახსოვთ ყოველთვის, —
აბა, კასპიის ზღვას დააქტერდი,
რას ამბობს ტალა, ტალას რომ ერთვის!

ზღვამ შეიყვარა სიმამაცისთვის,
კასპიის მკერდი დაუთმო მკერდად,
ზღვა როცა მღერის, მათი ხმაც ისმის
ყველა მდინარის ტალღებთან ერთად!

ჩვენც იმ ტალღების ვართ ნათესავი,
ერთი რომ დაჰყვა არაგვის ფერდოს,
მეორემ სწორედ, ბიჭო, შენსავით
იფიქრა გაშლილ ჩრდილოეთს ენდოს! —

მშვიდობა იყო იქაც და აქაც,
ისმოდა მათი ლალი ჩქრიალი,
ქვეყანას ყველგან ადგამდა ჯილას
ცა მრავალ ათას ნაპერწყლიანი.

მაშ რაა, ტალღებს რა ემართებათ?
ეს რა ოცნება ახარებთ ახლა, —
იწვევენ ცისკენ და ენატრებათ,
რომ თეთრ ღრუბლებად აფრინდნენ მაღლა! —

სურთ კავკასიის მშობლიურ კალთებს
მიმოფინონ ისევ გუნდ-გუნდად!
და ყველა კაშხალს სიმტკიცე მართებს —
ტალღებს ხელახლა დახედნენ, თუ უნდათ!

არ მივესალმით — არ გვაქვს უფლება,
დე, ნახონ მთები არაგვის, თერგის! —
გესმის? არაგვი გესაუბრება,
ჩვენგან თერგივით წასულო თენგიზ...



ღაზით ალგაშენებელი*

ტატაროვა

წიგნი მეოთხე

ოთხივენი მოუთმენლად უცდიდნენ განთიადს.

ყოველ ადამიანს მიდრეკილება აქვს საეგებოში სასურველი არჩიოს. განსაკუთრებით ბრმადმორწმუნეებსა და მალემრწმუნებს ემართებათ ეგ, რადგან მათ აგრე ეოცნებებათ: ღეთაება და განგება ადამიანებისათვის საკეთილდღეოდ მუშაობდნენ თითქოს შამინაც, როცა მათ ნებებერად სძინავთ.

არც გიორგი მეფე და ორივე დედოფალი უკვე აღარ მალავდნენ აქამდის გაუმქდავებელ სიხარულს იმის გამო, რომ არა მარტო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ მთელი სამეფო გადარჩა საფრთხეს, სახელდობრ ყიფჩალების ქართლში ჩამოსახლებას.

სამივეს მიამიტურად სჯეროდათ, რომ სხვა სჯულის ადამიანს უშვერი სუნი უდისო. ქრისტიანული ბრმარწმენით შეპყრობილი წინასწარ წარმოადგენდნენ უკვე თუ რა ჯოჯოხეთური სუნი დადგებოდა შიდა ქართლის სანახებში, როცა ეს „ვირთხებივით მომრავლებული“ ყიფჩალები თავიანთი აქოთებული დედაწულებითა და დაუბანელი ცხერის ფარებით მოედებოდნენ ნაქარმაგვესა და მუხრანს შორის განფენილ სამოთხისდარ ველებს.

ისინი დარწმუნებულნი იყვნენ: დავით მეფე როგორც კი შესძლებდა დედისიმედის გამოსყიდვას, დამოყვრებაზე უარს შეუთვლიდა ათრახა შარალანისძეს.

თვით მარიამ დედოფალმა, რომელსაც არ უყვარდა არა მარტო პაეტრობა და ქაქანი, ეგზომ გავრცელებული იმეამინდელ საქრისტიანოში, ენა ამოიღდა, კიდევ ერთხელ ახსენა თავისი ქმარყოფილები: მიხეილ დეუკა და ნიკიფორე ბოტენიატეს. განა მარტო მათ გაუმწარეს სიციცხლე თურქობულებმა და ყიფჩალებისაგან მოგროვილმა როქის სპამ?

ვინლა ჩამოსთელის გეთაყვანე რამდენი ქირი შეპყარეს ყიფჩალებმა იმ უბედურ ალექსი კომნენს როცა იმპერატორის საქურქლენი დაცალიერდნენ, კონსტანტინეპოლის ეკლესიებისა და მონასტრების სალაროებიდან გამოტანილი აურაცხელი ოქრო ვერცხლი ყიფჩალთა თავგაცებს შეაქამა ალექსი კომნენმა.

ის აურაცხელი სიმდიდრე რაც კეისრებს კონსტანტინე დიდს, ბასილი ბულგართამმუსერელს, ისააკ კომნენს, რომანოზ დიოგენს და ალექსი კომნენს აზიისა და ევროპის ბრძოლის ველებზე სისხლით მოეპოვებინათ, ეს ყოველივე უსისხლოდ და უომრად მიიტაცეს იმ ყაჩაღმა ყიფჩალებმა.

ცნობილ მონადირეთაგან მაქეს განავონი: თითქმის ყოველი ნადირი ძღება თურმე. ლომი რომ ლომია, იგიცა. გაძღება თუ არა ლომი, თავისი მსხვერპლის კბილებით დაბღვენის უნარს ჰყარგავს ხოლმე, მაგრამ ტურები, ტურები არასოდეს ძღებიან.

ისინი წაესევიან მეხის მიერ მოკლული ლომის ლეშს, კიტრივით გაფცქენიან ძვლებს, მაგრამ ამის შემდეგ ბელ-

* გავრცელება. იხ. „მნათობი“ № 6.

ლებს თუ სადმე წააწყდნენ, ვირობებზე ნადირობასაც არ ითავილებენ.

ჩემს ახალგაზრდობაშიაც განაგონი მაქვს: ტომრებით გაზიდავდნენ ყიფჩაღთა თავკაცები კონსტანტინეპოლიდან ოქრო-ვერცხლს, გაივლიდა რამდენიმე თვე, ისევ წარმოგზავნიდნენ მოციქულებს სამეფოთა ქალაქში.

ისევ გაატანდა კეისარი კომნენი საკურჭლეთა ლოგოთეტს ოქრო-ვერცხლთა გაწყობულ ვაშკარანებს და მცირე ხნით შეისყიდოდა შვეიდობას.

კაცობრიობის უბედურება ეგაა გათავყანე, რომ ბარბაროსები მუდამ სჭარბობდნენ ამ მიწაზე, ისინი ყოველთვის უფრო ძლიერნი იქნებიან, ვიდრე განათლებული და ქრისტიანი ერები.

სინათლე ბნელს მოერევაო რომ დაწერილა, ეგ ჯერხნობით კეთილი სურვილების გამჟღავნებაა მხოლოდ. მე აგრე მგონია, ჩემი ქალური ჰეულითა და სხვა ჩემზე უკეთ უფალს ეცოდინება, ალბათ“.



არ თენდებოდა, თუმცა ოთხივეს ეგზომენატრებოდათ გათენება და გრაგნილის გახსნა.

გიორგი მეფემ იდაყვი დააყრდნო ბალიშზე.

ისევ აჩქამდა მძინარე სასახლე. მგელძაღვრებმა ასტეხეს ყეფა, გუშაგების ნელი სტვენა გაისმა. დარკინული კარების უხეში რაჯგუნის, ფლოქვების წყვილწყვილი ტკაპუნი, მერმე ერთობლივი თქარუნი და ფრუტუნი, ბოლოს ულაცების განარისხებულმა ხეხვიანმა და ჰაკების ისტერიულმა ჰიხვიანმა გახვირტა ციხე-სასახლის თავანებზე დამხობილი ღამე, უსაშველოდ გრძელი, როგორც ბედითი ამბის მოლოდინი

„რა მოუსვენარი ღამეა!“ ამბობდა გიორგი.

ვინ იცის ეგებ დავითი და ნინია მოსულანს, სთქვა მახარამ და დაგმანულ კარისაკენ გაემართა.

მარიამ დედოფალი ააღელვა ამის გაგონებამ, ნინიას სახელის მსვენებას სანსკვალივით ეცა გულზე. უწინარეს ყოვლისა ის გაახსენდა: უკანავე რომ იყო, შილიფად არ მომისწროსო ნინიამ.

ერთი გაიფიქრა: საწოლის დარბაზში წავალ და სასწრაფოდ გადავიცვამო, მაგრამ მახარამ უკვე შემოასწრო კარში და უხალისოდ წაიდუღუნა:

„შამან ერისთავი, გვანცა და ათი თავკერული აზნაური გვეახლნენ დიდძალის ძღვნითა“.

გვანცას ხსენებაზე უნებლიედ შეერთა მარიამი, ტუჩპირი ყვრიმალთან მიუტანა ელენეს და წასჩურჩულა:

„როგორ? ავი გათხოვდაო გვანცა?“

ელენემ ლაწვზე მიღებული ხელი ძირს ჩამოიღო, მუზლის თავზე დასდო, ამოიოხრა და ნაღვლიანად სთქვა:

„ეკ მე უკვე დავიბენი ავგუსტა, ამ აღრეულმა დრომ დიაცებიც გადაგვრია. ხომ ნათქვამი აქვს ქართველ გლეხს: დედაკაცმა თუ ერთი გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ველარ დაამარტებსო.“

ვარდია მიამბობდა, შიმუნვართა წინამდგომი: რა გაიგო შარალანსის ასულს ირთავსო დავითი, მონებდა მამამისს, არგვეთის ერისთავის ერთადერთ ვაჟს უნდა გაჰყოლოდა გვანცა.

ნიშნობის დღეს დიდი ნადიმი გადაუხდია არგვეთის ერისთავს. შესალამოვდა თუ არა, შეუძლოდ ვარო უთქვამს, საძილო დარბაზში გაუყვანიათ თავის მდადეებს, შერმე ის იყო თვალსა და ხელს შორის გააპარვია მათ, თოკით გადასულა ქარაფზე მდგარ ციხიდან...“

ლოყაზე ხელი იტყეცა მარიამმა და ხმის ამოღებაც ვერ შესძლო.

გიორგის უკვე ერეოდა თვლემა, უძილობისაგან დაოსებულს. ძილი ნელ-ნელა აბამდა მის ქუთუთოებზე თავის პოტიკს. საჭურისის ფეხის ხმაზე თვლემას წაართვა თავი.

„რა გაიგე მახო?“

„რა გავიგე და ბისტი. ჰყონდიდელის საწოლის დარბაზამდის მისულიც არ“

ვიყავით, მეკრე ალექსა წინ გადამდობა, ათუხთუხდა:

სძინავსო მწიგნობართუხუცესს...

საწოლის მწიგნობარი გვერდით მოესვა, თავათაც სწერდა, ჟამიდან ჟამზე რაღაცას ედუდუნებოდა საწოლის მწიგნობარს.

დიდხანს ვიდექი და ბოლოს ფრთხილად ჩავხველე. თავი აიღო, თავისი დაფანჯვული წარბები ზეასწკიპა.

რა გაგკირვებიაო მახო?

გულის გარედ მკითხა, თორემ უთქმელადაც მიმიხვდა წვევის მიზეზს. ჭყონდიდელმა თავისი გრძელი თითები ზედ დაადო გრაგნილს.

დავით მეფის მოსვლამდის ჩემს თავსაც არ ვენდობიო ამ წიგნის შინაარს.

მერე ესა სთქვა:

„განა მარტო საიდუმლოს არ გათქმის ამბავია აქ, თუ ცუდი რამ სწერია ამ წიგნში, მე არ მინდა უსიამოვნო ამბის მათუწყებელი ვიყვე, უკეთუ სასიხარულო რამეა, დეე დავით მეფემ გაიხაროს პირველად მისმა წამკითხველმა, არა? შენ რას იტყვი მახო, ჰა?“

„რა მეუბნობა, მართალია გიორგი მონაზონი“ დასძინა ქოსამ.

გიორგი მეფე ერთი მოიღუშა ვაგლახად, მის გულსაც მისწვდა ეს სიმართლე, მერმე კედლისკენ მიბრუნდა და წაიდუღუნა:

„ეჰ, ყველაფერი ჭირსაც წაუღია, როგორც ენებთ ისე წარმართონ ეს ქვეყანა, ზეგისათვის მესათხველენი მზად იყოლიე, მახო“.

• •

მეორე დღეს, ორშაბათს, ჭყონდიდელი დაბრძანდა სააჯო კარში. საწოლის მწიგნობარი გვერდით მოესვა. ზარდახნის მწიგნობარი მიმოდიოდა სააჯო კარსა და სასახლის ეზოში მოგროვილ ხალხს შორის.

ეზოში თავი მოეყარათ, აფხაზეთიდან, კლარჯეთიდან, ქართლიდან, კახეთ-

ბერეთიდან, კავკასიონის მთიანეთიდან ჩამოსულ ხეივარებს ომებზე, წყნაურთა, სამღვდელთა მებრძობაზე, რებულთა, ომებში დაღუბულთა ქვრივ ობლებს, უპოვარებსა და გლახაკებს...

ჭყონდიდელს გულზე შემოეყრებოდა, როცა თვალსშეავლებდა ჟამთა სიავისაგან გასრესილ, დამახინჯებულ ადამიანებს, დამშეულებსა და დაოსებულებს, წამებისაგან სიგიჟის ზღურბლამდის მიღწეულებს.

ერთი ხმამალა ყაყანებდნენ, იწყველიდნენ გაჩენის დღეს, სხვანი ასწლოვან ხეების ჩეროს შეხიზნოდნენ, უსიტყვოდ, უდრტვიველად ისხდნენ, ან ხმადაბლა მასლაათობდნენ.

ყვიროდა ქადაგად დავარდნილი ზოგი, იმუჭრებოდა, ილანძლებოდა, გმობდა თავის გაჩენის დღეს...

ასეთი ვინმე ხელში ჩაიგდებდა ხოლმე თავმოდრეკილსა და უთქმელ ჭყონდიდელს, თითქოს მას შესძლებოდა ერთ მშვენიერ ორშაბათ დღეს განეკურნა ხალხისათვის ყველა წყალუება, რაც მას მიადგა დიდი თურქობის, მიწისძვრების, გვალვების მეოხებით.

გახლებულთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელნიც განგებისად იგიეთიანებდნენ თავს, რათა ხელისუფლების გულმოწყალება გამოეწვიათ.

ჭყონდიდელს არ უმძიმდა მათი მოსმენა, რომელნიც უსიტყვოდ იტანდნენ ამ წუთისოფლის მუხანათობას. ისინი უმწეონი იყვნენ თავიანთი ტანჯვის გამოხატვაში, ძლივს ბლუკუნებდნენ, მარწუხით ამოჰქონდათ ზორზიდან სათქმელი...

წამებისაგან წელში გადრეკილი ადამიანები, რომელნიც გაცილებით ნაკლებს სჩივოდნენ, ვიდრე მათი გამოომეტყველება და ჩაცმულობა ამას ამეღავნებდა.

„მე“-ს ნაცვლად „ჩვენს“ ამბობდნენ თავის თავზე, რადგან თავის თავს მარტოდენ საკუთარი გვარის, ან ოჯახის განშტობად სთვლიდნენ.

ჭყონდიდელი სიამოვნებით უსმენდა



მათ, რომელნიც არასოდეს აყვედრიდნენ სახელმწიფოს თავის თავდადებას და მის შედეგად მიღებულ წყლულებათ. ამას ყოველთვის ხიფათს აბრალებდნენ, ან ბედისწერის მუხანათობას.

ასეთნი აგრე ამბობდნენ: გაჭირვებამ მოგიყვანაო სააჯო კარამდის. მარჯვენა რომ შემარჩენოდა, საგლახაოდ თავს არ გავიხიდიდითო.

მეგრე ბასილამ შემოიყვანა წელში მოდრეკილი, ორჯოხზე დაბჯენილი დევკაცი, როცა ვაზირთა უპირველესს ახედა მან, კუონდიდელი შეკრთა.

იგი უცხვირო იყო.

კუონდიდელი წამოდგა, რა მოგსვლიათ, შეილო?

ზურგის მალეები მაქვეს დამსხვრეული ჩუგლუგის ცემისაგან.

ცხვირზე რა მოგივიდაო?

ეს ზორნაბუჯის ციხესთან შემემთხვაო, როცა ამირა გააქცია დავით მეფემ.

თურქი მხედარი მოეკლა, ცხენს მოუნდომა დაპატრონება, როგორც კი მისწვდა აღიერს, ცხვირი წააქამა თურმე ცხენმა.

(კუონდიდელს ჯონდი ერისთავისაგან ჰქონდა ეს ამბავი ყურმოკვრით განაგონი).

სახელი ჰკითხა უცხვიროს.

გრძელ მიხოს მემახიანო, სთქვა წელში მოკაქულმა ვაქაკამა. მოლარეთუხუცესთან გაგზავნეს გრძელი მიხო.

ახლა მეგრე ალექსამ შემოიყვანა გორგოლაქზე შემჯდარი მშვენიერი ვაქაკა.

რა გვარისა ხარო? შეეკითხა კუონდიდელი უფეხოს.

ჩვენა? გაგნისძე, შენი კირიმე.

„სად დაგქრეს?“

საფურცლესთანო. ნაღვლიანად სთქვა.

ეს კაცი ენაბლუ აღმოჩნდა. კუონდიდელს გული გაუწვრილდა მისი უმწეო ლულულის მომსმენელს. მეგრე ალექსაც თან ახლდა თურმე დავით მეფეს, ზედაზენის ბრძოლაში.

და სთქვა მისი გმირობის გამო ასე-

თი რამ ალექსამ: გაგნისძემ თორიან ცხენოსან სელჯუქს მხარზე გადმოქცნის ხმალი და უნაგირამდის გაჭყუთა იგი.

დაიშარტოხელეს აქ შეიღთა, ხუთი კრილობა მიაყენეს, სამს კიდევ მისწვდა ხმლითა.

რა დაინახა ეხლა სხვა ცხენოსნები გამოჰქროლდნენ მისკენ, მოეშვა ბრძოლას და ტყეში შეაგდო ცხენი, პერანგი შემოიხია, კრილობები შეიხვია. ის-ის იყო ცხენზე აღიოდა, ტყეში ჩასაფრებული თურქები გამოსცივდნენ და ჰაერში გაწვდილი ცალი ფეხი მუხლთან წააქრეს ხმლით.

თავზე დაადგნენ ძირს დანარცხებულს. და სთქვა თურმე ერთმა მათგანმა:

ნუ მოვკლავთ, მეორე ფეხი წაეცალოთ, თორემ მოიწყენსო ცალი ფეხი მარტო.

სამ დღეს დაწოლილა ეს ბედშავი ტყის პირად, თავის ორივე ფეხს შორის დაგდებული, ვიდრე მამკოდელმა გლეხებმა არ იპოვნეს.

კუონდიდელმა შენიშნა: როცა ალექსა ჰყეებოდა ამ ამბავს, გაგნისძე ფითრდებოდა, თითქოს ხელახლა განიცდიდა განვლილ წამებას.

შეიღი ხეიბარი შემოიყვანეს მეგრეებმა. ზოგს ცალი თვალი ჰქონდა ამომწვარი, ზოგსაც ორივენი. ზედაზენის ციხეში გაგზავნილი მსტოვრებისათვის თვალეები ამოეთხარათ თურქებს, როცა დავითმა ეს ციხე აიღო, ერთი კვირის შემდეგ ციხის ზერელში ყოფილან ისინი გალურსული, რადგან არ იცოდნენ თუ ვინ აიღო ციხე.

დალაშქრამდის უსმენდა კუონდიდელი ომის სხვა ხეიბართა, მიმძლავრებულთა, უპოვართა და გლახაკთა ჩივილს, ზარდახნის მწიგნობარს მოლარეთუხუცესთან მიჰყავდა ისინი.

ამდენი უბედურის პირიდან მოსმენილი ვიბა კუონდიდელის გულში გადმოინთხა, ამ წუთში აგრე ეგონა მას: საკარცლულზე დარჩებოდა სულამობდილი....

უკვე ღამდებოდა, როცა საბიამ და ალექსამ საწოლის დარბაზში წაიყვანეს ვაზირთა უბირველესი. დიდხანს იწვა იგი გაოგნებული პირადმა და ფიქრობდა:

რა უშველისო ამდენ სვედავისილთ?..

არც ძილი შეეძლო, არც ლოცვა და არც წიგნის კითხვა, თავი სტკიოდა, თვალები ეწვოდა.

მესტუმრეთუხუცესი ორგზის მოადგა კარს. სადილობა შეახსენა, მაგრამ ხმა არ გაიღო ქყონდიდელმა, როცა მესამეჯერ მოსულმა უთხრა: შენი ძუძუმტე ბესა და შავი ღეთისმშობლის ხუცესი ექვთიმე სასადილო დარბაზში სხედანო, უსიტყვოდ წამოდგა და თან გაჰყვა მესტუმრეთუხუცესს.

ბესას მცირეოდენი ძღვენი ჩამოეტანა თავის ძუძუმტესათვის. ლობიანები, კეცხე შემწვარი კალმახები. ეს ყოველივე მუხის ნოწოში იყო შეფუთვნილი.

ახლა კოლხურად დაშაშხული კვერცხები ამოალაგა ბესამ თავის აბგიდან, მზვარეში გამხმარი ყველი და ცოტაოდენი წანდილი. ეს იყო ყველაფერი, რასაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სჭამდა მონაზონი გიორგი.

ბესას დანახვამ გუნება შეუცვალა ქყონდიდელს. გამოკითხავდა, შვილების, შვილის შვილების ამბავს, თვით ის ფოთრიც მოიკითხა ჯიხვისა, რომელსაც ბესას თავათ დაუჭერია და გამოუზრდია.

თვალი გაუბრწყინდა ბესას, ვაზირთა უბირველესმა რომ მოიკითხა მისი საყვარელი ფოთრი.

„ახლაც რომ ნახო ბეერს იციანებ, როგორ დაკეინტრიშებს იგი თავის თანაკბილა ციკნებს შორის, მივა დედათხასთან, თავათ ციკნებზე უფრო მალაღია, დაუჩოქებს და ეჯაჯგურება თხადედლობილის ჯიქანს“.

ქყონდიდელი იღიმებოდა თავისი შეუღარებელი ღიმილით.

ბესა განაგრძობდა ჯიხვის ფოთრის ქებას. რალაც უცნაურად საბჭორო ხუნე აქესო ჯიხვის ფოთრს, სპეტაკი, უზაკველი თვალები, თხის თვალებს არა ჰგვანანო ისინი, ციმციმა, ეშმაკურ თვალებს.

ბავშვებთან ერთად წვება და დგებოა ფოთრი. თვით ჩვენ ძალლებს არ ერიდება, არც ძალლები ერჩიანო მას.

ქეშმარიტად ჩვენი ოჯახის წევრი გახდაო ეგ ფოთრი, განაგრძო ბესამ, როცა იგი სადმე გაუჩინარდება, მეც ბავშვებთან ერთად ვღელავო, თავისი თხადედლობილი ხომ სულს ურჩევნია... სულ გადავიწყდაო თავისი დედიკო-ჯიხვი, სვანეთის მთებში ლალობა და მეთვე წყლების გემო.

ეს კალმახები სად დაიჭირეო? ეკითხება ქყონდიდელი ბესას.

წაჩხურაშო, მიუტებს.

ეხლა საქყონდიდის დიდი ქყონი მოიკითხა ვაზირთა უბირველესმა, რომლის ჩეროში ბაგრატ მესამეს, ბაგრატ მეთოხეს და ორივე უკანასკნელ გიორგის პური უჭამიათ.

დიდებულად არისო დიდი ქყონი, საუკუნეთა გრიგალებსა და მეხთატეხას გადაარჩენილი.

შინაური ხოსხები თუ გყავსო წრეულს?

ამ განაფხულზე თოთხმეტი კვერცხი მოიტანესო ბავშვებმა ტყიდან, ქათამს გამოაჩეკინეს, წიწილებთან ერთად თან დასდევნო კრუხს.

ხომ არ ჰკლავთო წამოჩიტულებს?

ბესას გაეცინა:

ჩვენ ხომ მეფეებსავით მდიდრები არ ვართ, უსაუზმოთ ვარჩინოთ ხოსხები და გემოც არ გავუსინჯოთ მათ ხორცს? თხები თუ გყავსო წრეულს?

ბარე ორმოცი ჰყოლია ბესას.

თხის რძე მარგებელიაო, გულის გარედ სთქვა ქყონდიდელმა, თანაც მოიგონა ის პატარა, ფერადი ჯამი, საიდანაც თხის რძეს ასმევდა დედა... რალაც უცნაური ტკივილი იგრძნო დედის გახსენებისას მოხუცმა.

ბესამ სთქვა: თხის რძე ძლიერ რგებ-

სო ბავშვებს, თხის რძით გაზრდილ კაც-სა და ცხენს ოფლი არ გამოსდითო.

მცირე ხანს სდუმდა და ქერეჭს აცლიდა კალმახს და ისე სკამდა ჭყონდიდელი.

„რასა შერები გიორგი?“

„იცი ბესა, მე ერთხელ სიყმაწვილეში ვნახე, გველს ხახაში გაერჭო კალმახი. ამის შემდეგ ყოველთვის ვაცლი ქერეჭს.“

„განა გეშინია გველისა?“

ძლიერო მიუგო კითხულმა ღიმილით.

„თურქების არ გეშინია და გველის გეშინია, შე კაციო?“

„მე არავის მეშინია, ღეთის გარდა“, სთქვა აღმღვრეველად გიორგიმ.

ჭყონდიდელმა ისევ გაიღიმა და დადუმდა. ხელახლა ვააყალა ერთ კალმახს ქერეჭი და მერმე ეს ჰკითხა თავის ძეძუმტეს:

„მამი ჩემის ნამოსახლარზე ერთი ვაშლის ხე იდგა ბებერი, ჩემსავით ბებერი. კამეჩის ქედის სიმსხო ვაზი ჰქონდა, იმ ხეზე გარს შემოგრაგნილი. ნეტავ თუ კიდევ სდგას თავის ალაგას ის ხე?“

ბესამ გულდაწყვეტილად მიუგო. ვაშლის ხე დიდი ხანია გახმა, წრეულს მუხმა დაარტყა, ჩვენმა ღარიბმა მეზობლებმა მოსჭრეს, მათმა ბავშვებმა ხელფები მოიტყესო.

„ვაზი რა იქნა?“

„ვაზი მოსჭრეს, რადგან სიბერისგან გაბერწდა იგიცა“.

ნაღვლიანად მიუგო ბესამ.

„ჰო, ის რაც გაბერწდება, მას ცეცხლი უნდა შეუგზნო“.

სთქვა ვაზირთაუპირველესმა.

ჭყონდიდელს იამა ეს უბრალო საუბარი უმნიშვნელო ამბების გამო. იგი მცირე ხანს სდუმდა, ყოველივე ამას მისი დაქანცული გონება მიჰყავდა ყრმობის სანეტარო ელზიუმიში, სადაც ადამიანის თვალს ჯერაც ბისტი აქვს გადაკრული და ამიტომაც მან არა იცის რა იმ საშინელებსა, რომლის სახელია: არსებობისთვის ომი.

მესტუმრეთუხუცესი გაშეშდა კარებ-

თან, ჭყონდიდელს კიდევ უნდოდა თავის ძეძუმტესთან საუბრისას დასაყვარლებინა დილანდელი მძიმე განცხადებით, მაგრამ მესტუმრეთუხუცესის დანახვაზე მოაგონდა მისივე ნაბრძანო: თუ საერისთავოებიდან ჩამოსული მშენებელი გვეახლენ, სადაც არ უნდა იყვე შემატყობინეთო.

კარისალაგთან შეეკითხა იგი მესტუმრეთუხუცესს:

„ხომ არავინ მოსულა ანგია?“

ქროლათვალემა ახმახი წელში მოიდრიკა და უპატყა: განა თუ ერთი, ბარე ათორმეტი კაცი გეახლათო, შენო მეუფებავ.

მიდიოდა საგამგეოსკენ, დერეფნებში მის გამოჩენაზე ქუდს იხდიდნენ, მოსიყვარულე თვალებით აცილებდნენ, უკან მიჰყვებოდნენ ხმაგაკმედილინი. კარებთან მერემეთუხუცესი შინიშნა, აღელვებული სჩანდა იგი.

„რა გაგპირებია შიო?“

ისედაც ენაბრგვნილი იყო შიო, ქუდი თავიდან მოიგლოჯა, წრფელი და თავდადებული სიყვარულით ეამბორა მოხუცს ხელზე, საწყალობელად აბლუკუნდა მერემეთუხუცესი.

საცხენისში ჯორების რემა გაუწყვეტიაო იელს, შიოს ხელში ეჭირა მთელი ბლუჯა იელისა.

„აი ამ ტიალს შენო მეუფებავ!“

ჭყონდიდელმა გამოართვა იელის ბლუჯა, თვალებთან ახლოს მიიტანა იგი, უყნოსა და უკან დაუბრუნა შიოს.

„სად წააწყდაო ჯორების რემა იელს?“

„საცხენისს ქვემოდ ველია ერთი ნაქაობარი, ლაქაში იცის, მაგ დასაქცევში, ლაქაში მოუცელავთ გლეხებს გასულ წელს და ეს იელი ამოსულა. ვეუბნებოდი მერემეს გიგოლას: ნუ გარეკავ მეთქი ლაქაშებისაკენ ჯორებს...“

უკვე საგამგეოში იჯდა ჭყონდიდელი, უცნაურად დაღლილი სახე ჰქონდა, ოდნავ წელში მოდრეკილსა... მერემეთუხუცესი არა სცხრებოდა, ახალ უსიამო ამბავთა საუწყებლად მოსულა.

ქოთაოს დაუბოციაო ორასი თამატი არსიანს მთებში. რკინის პალოს 4 სანახებში, თურქი მეკობრეები შემოჭრილან, სამი მერემე მოუკლავთ, ერგასი სატალაზო ცხენი წაუსხამთ და სამოცი წმინდა სისხლიანი ულაცი.

დევაბონის მთებიდან მოდენილ ცხენის რემა დავათვლევინე, ჩივოდა გულდაწყვეტილი მერემე, მგლის ხროვას გადაყრიან, ასზე მეტი ჭაკი შეუქამაით. ბიჭები მაგრად დადგომიან, თორემ მთელ რემას გააფუჭებდნენ ის ვერანანი“.

ახლა ხუროთმოძღვართაუხუცესი და მისი ნაცვალი მიუახლოვდნენ ვაზირთა უპირველესს. თაყვანისცეს, ხელზე ეამბორნენ, საპატიო მანძილზე უკუდგნენ და მოახსენეს:

აპრილის დამლევს მომხდარმა მიწისძვრამ მძიმედ დააზიანაო წაღვლისთავის სასახლე, ერთი გოდოლი საცხებით დანგრეულა, კარის ეკლესიის სამრეკლო ჩამოქცეულა, მნათე უმსხვერპლიაო ამ ხიტათს.

არც ბოკორამისა და ნოახარას სასახლეებიაო უკეთეს დღეში, ბოკორამის სასახლის სამხრეთის კედელი სამ აღგილას გაუბზარავს, ცალკიდებზე ბალავარი ძირს დაწეულაო.

ნოახარაში შრამელები სრულიად დაქცეულან, ხვარაზმის ხიდისთვის ორი ბურჯი გამოუცლიათ კოროხს.

ციხისთავები შემოიყვანა საწოლის მწიგნობარმა... ისინიც ითხოვდნენ დაუყოვნებლივ შევლას, საამშენებლო მასალებს, ფულად სახსრებსა და მუშახელს.

ახლავე უნდა შევაკეთოთ ყველის ციხე, კალმახის ციხე, ოქროს ციხე, ციხე საქართლისა, დედაციხე გულდასმით შეკეთება სჭირდებაო, ლაკვათის, ჯვარის, უჯარამის, ფანასკერტის, ფანაკარის და თორღვას ციხეებს.

ახლა გზათა შეკეთებას ითხოვდნენ სხვანი: ნიაღვრებს გადაერიცხა დიდი

გზა საქართველოს ყელისა! ახალციხიდან არზრუმს მიმავალძარჩეველებს დაწვიმებს დაუხიანებია ჩრდოლის ხეებს, ქიმერეთის ხევის და ქერეთხევის თემშარები.

საწოლის მწიგნობარი იჯდა და იწვრდა ჭყონდიდელის მიერ გაცემულ განჩინებებსა და განკარგულებებს, რომელნიც დავით მეფის სახელით იგზავნებოდნენ.

თითქმის ყველას უმეორებდა ვაზირთაუპირველესი: ამ წელს მთელი ჩვენი გულისყური და სახსრები კახეთ-ჰერეთის დაქვეულ ციხეთა შეკეთებას მოუწინა. დავით მეფე თავათ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს.

გაუძლის პირობებში მგზავრობდა იმ მხარეში სამგზის გაცივდა პატრონი, უფლის შემწეობით ეს ყოველივე კეთილად დაგავიგვრინეთ.

ამ საქმეთა დაყოვნება მე უნდა დამეღოს ბრალად, ხევში წასვლის წინ მე და ჯონდი ერისთავს გვიბრძანა პატრონმა: ამ საქმეთათვის მიგვეხედნა, მაგრამ მე მანგლისში ავად გავხდი, ამიტომაც დაგვაგვიანდაო სათანადო ღონისძიებათა მიღება.



ჭყონდიდელის საწოლის დარბაზში უკვე სასანთლენი ანთებული ჰქონდა საბიას, საწოლის მწიგნობარმა მოაცილა მოხუცი...

სალამურ ლოცვის დაწყებას აპირებდა ჭყონდიდელი, უკვე მიუხაროდა საწოლისკენ დაქანცულს, სწორედ ამ დროს ისევ შემოჰყო თავი მესტუმრეთუხუცესმა ანგიამ.

იოანე ქართლის კათალიკოსი და დირბელი ეპისკოპოზი მაქსიმე გეახლნენო შენო მეუფებავ.

ჭყონდიდელს არ ეამა მათი მოსვლა ამ ჯერად.

1 რკინის პალო — იმყოფებოდა საქართველოს და ბიზანტიის საზღვრებზე მე-11 — 12 საუკ.

1 საქართველოს ყელი, აწინდელი „გურჯი ბოლაზი“, ახალციხიდან არზრუმს მიმავალი გზა.

დარიალის ხეობაში გამგზავრების წინა დღით, დავით მეფემ ასეთი განკარგულება დასტოვა: არამც და არამც არ მიეცა ჭყონდიდელს თანხმობა, იერუსალიმის ქართულ მონასტრებისთვის გამოსაღებ თანხების გადაგზავნისა.

მისი ნაბრძანებიდან ასე გამოდიოდა: არც გადაჭრილი ჰო ეთქვა და არც უქცეველი უარი.

ჭყონდიდელი უხერხულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ამ შემთხვევაში... ამ საკითხებში მისი აზრი უფრო კათალიკოსის მხარეზე იხრებოდა, მაგრამ მეფეს არ უმხელდა მას.

დავით მეფე ამ ჯერად არც ჭყონდიდელს ანდობდა თავის შეხედულებას. ბოლოს და ბოლოს აქ მარტო უგზოობის ამბავი როდი იყო, ის თანხები რომელნიც იერუსალიმის ქართულ მონასტრებისთვის იყო განკუთვნილი, იმ უამად ხმარდებოდა ციხეთა შეკეთებას და მუდმივი ლაშქრის შექმნის საქმეს უპირატესად.

ერთი შესამედიც სააჯო კარის საღაროში შედიოდა, დავით მეფის ბრძანებისამებრ. რადგანაც იგი კარგად ჰხედავდა: ხალხს ჯერაც არა ჰქონდა მოსუშებული სელჯუქიანებთან ომების მიერ მიყენებული ჭრილობები და მატერიალური ზიანი.

ამ შემთხვევაში კიდევ ერთი ვითარება ხელს უშლიდა ამ გამოსაღები თანხების იერუსალიმს გადაგზავნის საქმეს...



ქრისტიანული ერის პირველი ათასეულის მომდევნო საუკუნეში არა მარტო საქრისტიანოს, ისლამურ სამყაროსაც შეუჩინდა რელიგიური დაუკეების მღილი.

არაბული და ძველბერძნული ფილოსოფოსების ზეგავლენით რელიგიურმა სექტაციზმმა მოიკიდა ორივე სამყაროში ფეხი.

ეს საგრძნობი გახდა არა მარტო იტალიასა და ბიზანტიაში, კონსტანტი-

ნეპოლისა და პალერმოს სასახლეებში, თვით მუსულმანურ სულტანატებშიაც, ასასიანების — დისმეფლიტების მოძრაობის სახით...

ასასიანები ხოცავდნენ არა მარტო სულტნებსა და ამირებს, ხოცებდა და მოღებდა უვარდებოდნენ მიზგიტებში...

პლატონს, არისტოტელს, ავეროისს და იბნ-სინას კითხულობდნენ ქრისტიანი იმპერატორებისა და მეფეების კარზედ.

იღებენ, ისე როგორც ეპიდემია, ატმოსფეროს გადააქვს ხოლმე და ეს ხდებოდა თვით ისეთ ეპოქაში, როცა არც ელმავალები იყვნენ, არც ავიაცია, ჯანჯალა ქარავნები და ოთხცხენიანი ეტლები და პალანკინები დადიოდნენ მსოფლიო გზებზე.

დავითი გულმოდგინედ მალავდა თავის ბოლოვამინდელ გულგრილობას რელიგიისადმი, რადგან იგი ხედავდა თუმცა შინაური შტრები მან დათურგნა, მაგრამ გარეშენი ჯერაც მომდოვრილნი არ იყვნენ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ განპატიებული ეპისკოპოზები და მშანი თავადთაგანნი გულმოდგინედ გესლავდნენ მას, ჩუქჩუმაღ, მაგრამ ერთობლივად და დაქინებით ჭირდავდნენ არა მარტო მეფეს, მის უახლოეს მეგობრებს: მახარასა და ნიანია ბაკურიანს, მეფის სპასალარებს და თავათ გიორგი ჭყონდიდელსაც.

ახლა ახალი საბაბი ჩაუვარდათ ხელში შავი სამღვდლოების თავკაცებს იერუსალიმის ქართულ მონასტრებისათვის განკუთვნილ თანხებს, რომელნიც იერუსალიმელი მონასტრის წინამდგომებს, ბერებსა და მოწესიებს უნდა მოხმარებოდათ, ცხენებსა და ჯორებს აქმევსო დავით მეფე.

ეპისკოპოზი დირბელი მაქსიმე, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ დავითის მიერ იყო აღზევებული, სიჭაბუკეში თავათაც კრიჭაში უდგა ქვაბავაზაკებს, მაგრამ საეპისკოპოზო კათედრა რა მიიღო, გაზულუქდა, ბრმადმორწმუნე გახდა.

ეგ კიდევ ცოტაა: მაქსიმემ ზედმი-

წევნით გადმოიღო ქვაბავაზაკთა ზნენი და ჩვევანი. იგი თავის სამწყსოს უცქეროდა როგორც „წყალობითი ლეთისაითა“ მინიჭებულ სამკვიდროს.

ღიაცებს ზიბლავდა ომახიანი გარეგნობით, მრგვინავი ხმით, კვირინხივით შავი და ხუჭუჭა თმა-წვერით, რაც უმთავრესია თავისი ენაშუბობით.

ბერძნული ენის შესანიშნავ მცოდნეს ზუსტად შეთვისებულნი ჰქონდა ის ყალბი პათოსი ბიზანტიელი რიტორებისა, რომელთაც არ ესმოდათ, პათეთური მანკვა მხოლოდ უფიცთა გულისყურს თუ მიიტაცებს, რამდენადაც, პათოსი როგორც კი გადალახავს ბუნებრივობის სამანს, ზეგავლენის, მონუსხვის უნარს დაჰკარგავს უცილოდ.

თავის ეპარქიაში მოგზაურობის დროს ეპისკოპოზი მაქსიმე ურცხვად ელალიცებოდა მოხუცებული ერისთავების ახალგაზრდა ცოლებს, მათ ოჯახებში სტუმრად მისულა.

ავი ენები იმასაც ამბობდნენ: მცხეთის დედათამონასტრის ილუმენიას, დიდაზნაურის ქებალისძის ცოლყოფილს, ანასტასიას გულისმიჯნურიით, დირბელი მაქსიმე.

ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ ცნობილი იყო: მცხეთაში ჩასვლისას, რატომღაც ხურვებას მოიმიზეზებდა, რამდენიმე ღამეს გაათევდა დედათა მონასტერში.

პირმშვენიერი ანასტასია პირადად ემსახურებოდა „ლოგინად ჩავარდნილს“, ტლებს ადებდა, ღამეებს უთევდა, საკუთარი ხელით მოხრაკულ ორაგულს მიართმევდა დღიაცებისა და თევზეულის უზომოდ მოყვარულს.

ამიტომაც „ახურვებული ეპისკოპოზი“ შეარქვა ერისხმამ მაქსიმეს.

სწორედ ეს „ახურვებული მაქსიმე“ დღიაცივით კორაობდა თავის მინდობილთა წრეში: დავით მეფემ კლდეკარის ერისთავი საბერძნეთს გადაასახლა, მისი ქალი ქარიმან სეტიელს გააქრობინა, როგორც კი ხორციელი ეინი მოიოხაო.

ახლა შამან ერისთავის ასულს, გვანცას უმიჯნურდებოა მეფეს. **ქარიმან სეტიელს ზუსტად მაქსიმე** მინიშნებული მაქსიმეს ოინები, ყოველ წუთს აპირებდა მის მომლოგრვას, მაგრამ დავით მეფემ არ დაანება, მხოლოდ ესა სთქვა:

„ქვია ნატყორცი გულმართალისა და მღუმარის მიმართ, მის გამტყორცნელს მიუბრუნდება უკან“.

მაქსიმე თავათ ვერა ბედავდა მკლავ-მაგარ დავით მეფესთან შებმას, ამიტომაც შეუჩნდა იოანე კათალიკოსის და მოსვენებას არ აძლევდა მას: როგორმე გამოვძალოთო იერუსალიმელთათვის გამოსაღები თანხა დავით მეფეს.

როცა ქყონდიდელი და კათალიკოსი დინჯად და აღმღვრეველად საუბრობდნენ, მაქსიმე მოუხსენრად ცქმუტავდა საყარცხლულზე.

მას ჩვევა ჰქონდა ასეთი: როცა არ ლაპარაკობდა სათითაოდ ხელს ავლებდა საკუთარ უღვაშს და ღერღერად კნეტდა, ლეკავდა, მერმე ფრთხილად ამოაცოცებდა ცხვირსახოცს ჯიბიდან და უჩუმრად იხოცავდა ბეწვიან ნერწყვს.

დიდხანს გაგრძელდა პაექრობა ქყონდიდელსა და კათალიკოსს შორის. ქყონდიდელი დაბეჯითებით არწმუნებდა კათალიკოსს: სახიფათოაო არა მარტო ვაპარშაპატსა და ისპაპანს შორის გზა, ჯერაც შესწავლილი არა გვაქვსო სხვა დანარჩენებიცა.

ამიტომ ეპისკოპოზი გაიგებდა მოთმენილი დუმილისაგან ამ პაექრობის დროს.

ხუფთიდან კონსტანტინოპოლზე გავლით გადავგზავნოთ თანხები, მე წარვგზავნიო სამ ბერს, რომელთაც სამგზის მოვლილი აქეთო სირია და პალესტინა, მოკრძალებულად ჩაურთო სიტყვა მაქსიმემ.

ქყონდიდელმა შეხედა მის მარლითვალებს, ბრახისაგან არეულს და მშვიდად მიუგო:

„ამ დღებში გიორგი მეფეს ეახლა



ბერი იოანე უხამური და ჰკითხეთ რა დღე აყარეს თურქმა მეკობრეებმა მას იერუსალიმიდან ნიკომედიაში ჩამოსვლამდის, საქარაენო გზაზე. უკანასკნელი ბერული ჩოხა ლამის იყო არ გახადეს ბედმავეს“.

მაქსიმესაც სწევვოდა ბერი იოანე წინა დღეს, შინ ეს არ გაამხილა, ხმა ჩაიკმინდა და კიდევ ერთი ბეწვი მოკვნიტა თავის მაცვლისფერ უღვაშს...



დაწოლის წინ ხანგრძლივად ილოცა ჰყონდიდელმა იმ ღამეს. თავათა ბრმად მორწმუნე იყო ჰყონდიდელი ოდნავ, იოანე ქართლის კათალიკოსისა და მაქსიმე დირბელის გაწბილება ძვირად დაუჯდა მას.

დიდხანს იჯდა თავის მაგიდასთან, ორივე ხელით ძლივს იმაგრებდა მთელი დღის ჯაფისაგან დაოსებულ თავს.

სადაც, სულის მისის ქვესკნელში ღომღომობდა ასეთი იქვი: ვაჲ, თუ პატივდაკლებული ეპისკოპოსები და მაქსიმე დირბელი მართალნი იყვნენ, დავით მეფეს მართლაც შეეპარაო გულგრილობა უფლის ეკლესიის მიმართ, ამიტომაც არა სურსო იერუსალიმის ქართულ მონასტერთათვის განკუთვნილი გამოსაღების გაგზავნა?!

ახლა ნიანია ბაქურიანისა და მახარას მისწვდა მისი ფიქრი... ისინი აწვდიდნენო მეფეს არაბულ საკითხავებს, მარამ დედოფალსაც მიუძღოდა აქ მცირედი ბრალი, ეს მან ჩამოიტანაო ნაჭარმაგვეში იმ წარმართი პლატონისა და არისტოტელეს წიგნები.

როგორც იქნა წაართვა ჰყონდიდელმა ეგვომ ბნელ ფიქრებს თავი, ახლა გაიხსენა ჩვეულებისამებრ მოექითხა საწოლის მწიგნობრისთვის შეადგინა თუ არა მან ნაფარადევი განკარგულეზანი და განჩინებანი მეორე დღეს საერისთაოებში გასაგზავნი?

ამოდ უძახა მეკრეს:

„ალექს, ჰალექს“.

ჩქამი არ ისმოდა...

ახლა ეს გაიფიქრა: კარს განმოვალეშა და დერეფანში გავძახებო მეკრეს. ძლივს მიხვდა კართან და ძაბუნი ხმით დაიძახა:

„ალექს“.

ნამძინარევი ალექსა შეშფოთებული მოვარდა, მყისვე შენიშნა შეუძლოდ რომ იყო მოხუცი. ბესას დამიძახეო უბრძანა ჰყონდიდელმა და ორივე ხელით მოეჭიდა რაზას კარისას.

ბესა შილიფად შემოვარდა ზარდაცემული, ბალღივით აიტატა თავისი ძუძუმტე, მარხვისა და შრომისაგან დაოსებული, საწოლთან მიიტანა გაოცებულმა: ეს ხორცვალებული ჩონჩხი როგორ ზიდავსო რკინის პერანგს, ან ნიდაგ ჯორზე ჯდომას როგორ უძლებსო?

სხვა რამეც აოცებდა ბესას: რა თავგამეტებით იბრძვისო ეს კაცი, რომლის სახელზე ერთი ხეც არ სდგასო მთელს საქართველოში!

მეკრე ექიმთან გაქცეულიყო, სულ მალე მოვარდნენ ექიმი ქაჩბაძისძე და საბია... ცხელი წყლით საესე ტაშტი მოატანინა ექიმმა, ჰყონდიდელი წამოაყენეს, ბესა და საბია მისწვდნენ მის ფეხებს, მაგრამ იუარა ჰყონდიდელმა, არ დაანება მათ ფეხის ბანა, აგრე სთქვა:

ქრისტე თავის მოწაფეებს დიხაც ჰბანდა ფეხს, მაგრამ ფეხის ბანას მათ არ ანებებდაო.

ანაზღად გამომჯობინდა სულთმობრძავი, კედლისკენ მიბრუნდა და როგორც ღვაწლით დამაშვრალთ სჩვევიათ ეგ, ბალღურმა ძილმა შეიპყრო იგი.

და ეზმანა:

დიდი ჰყონის ქვეშ, მამისეულ სახლში, წაჩხურას პირად დარბოდა ფეხშიშველი ბავშვი. დედა, მამა და ძმები... ყველანი შინ იყვნენ...

მოლაღურები კაკლის ხეებზე გალობდნენ, თეთრ ციკნებსა და კოლხურ ხოხბების ლაპებს დასდევდა გახარებული ბაღლი...

ფარშევანგის უხეირო ჩხავილმა გა-
ზოაღვიძა.

ქყონდიდელი იწვა პირალმა და ასე
ოცნებობდა თითქოს თვალნათლად ხე-
დავდა შრომითა და ბრძოლით გავლილ
გზას, რომლის ერთ კიდეზე ფენშიშ-
ველა ბაღლი იდგა, ხოლო მეორეზე
ხორცდაშრეტილი, მაგრამ სულით ძლი-
ერი აბჯროსანი მოხუცი.

ძილი წაეპოტინა ქყონდიდელის ქუ-
თუთოებს, ანაზღად შენიშნა ალელუე-
ბულ საბიას სასანთლეების ჩაქრობა
დაიიწყნოდა. ალექსას ხმომა დააპირა,
მაგრამ შეეცოდა მოხუცებული მეგრე,
ეს გაიფიქრა: წამოვდგები როგორმე და
თავათ ჩაეაქრობო სასანთლეებს.

სწორედ ამ დროს ფრთხილი დახვე-
ლება შემოესმა კარებს გადაღმა და
საბიამ თავი შემოჰყო კიდევაც, რაღაც
გრაგნილი ეკირა ხელში.

„მე ისე შემადრწუნა შენმა ავადგახ-
დომამ უნეტარესო, სასანთლეთა დაქ-
რობაც კი დამავიწყდა მე სვედავისილს“.

მერმე გრაგნილი წინ დაუღო ოო-
გინში მწოლეს საბიამ და წაიდუღუნა:

„ესეცაა ციხისთავმა გადმომცა, ის-
პაპანიდან მოუტანია ნაშუალამევს მა-
ლემსრბოლს“.

ამ ამბავმა ავადმყოფობა გადაავიწყ-
ქყონდიდელს, საბიას უბრძანა: ორი
ზოზრდილი შანდალი მის თავთით დაე-
დგა, ბალიშები ზურგს უკან შემოიწყო
ლოგინში წამომჯდარმა.

თავათ ახსნა ბეჭდები გრაგნილს, ზედ
თვალებთან მიჰქონდა იგი და კითხუ-
ლობდა.

ხელახლა გადაიკითხა, მერმე ისევე
დაგრავნა ჯოჯოკის მიერ გამოგზავნი-
ლი წიგნი, სასათულს ქვეშ ამოიღო.
საბიას უბრძანა: სასანთლენი ჩააქრო.

პალატაში ბნელოდა, ხოლო საწო-
ლის ღვთისმშობლის წინ ბეუტავად
უჭრობელი კანდელი...

თვალი აარიდა მოლიცლიცე შეუქს,
რომელიც ამოდ ებრძოდა პალატაში
შეხიზნულ ღამეს, კედლისკენ მობრუნ-
და მწოლარე და ფიქრების ქარავანს
მიჰყვა მისი დაუცხრომელი გონება...

პირალმა იწვა ბნელში გატყინული
ვაზირთა უპირველესი, კელსაწვითი რჩე-
ოდნენ მის გონებაში ფიქრები...

...სელჯუქიანთა სასულტანოში ისევ
ბობოქრობდა აღრევა... თუმცა ბარქია-
როკმა დახოცა თავისი ორი ძმა და ბიძა
ამირა ტუტუში, მაგრამ ჯვაროსნების მი-
ერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღება
შეასუსტა მათი სწრაფვა აფრიკისაკენ.
ამ აღრევაში დიდი წილი დაიდეს ასა-
სინებმა — ისმაელიტებმა, რომელნიც
ხშირად შველოდნენ თურქების წინააღ-
მდეგ აჯანყებულ სომხებსა, ბერძნებსა
და ჯვაროსნებს.

სხვა მტერიც ჰყავდათ ისპაპანურ
შტოს სელჯუქიდებისას, სახელდობრ
რუმის, ე. წ. ბიზანტიის მიტაცებულ
პროვინციებში გაბატონებული სელჯუ-
ქიდები, რომელთაც თავის სატახტოდ
გაიხადეს ქალაქი იკონია.

ჯერ კიდევ სულტან ალფ არსლანის
სიცოცხლეში კუტულშიშმა, დიდი სელ-
ჯუქის ნაშიერმა აქცია იგი თავის სა-
ტახტოდ. კუტულშიშს მანამდის ებრ-
ძოდა მალიქ-შა სულტანი, სანამ კუ-
ტულშიში ერთ შეტაკებისას ცხენიდან
არ ჩამოვარდა და დაიღუპა.

კუტულშიშის სისხლის აღება იკონია
მისმა ძმამ მანსურმა. მალიქ-შამ, თავი-
სი სარანგი წარგზავნა იკონიას და მოა-
ქვლევინა იგი.

ბოლოს მალიქ-შა სავსებით ამოწყვე-
ტას უპირებდა ამ დინასტიას, მაგრამ
დიდმა ვაზირმა ნიზამ ალ-მულქმა არ
დაანება, იკონიის სულტანს შიანიქა
მალიქ-შას სარანგის წოდება.

მერმე ის იყო ისპაპანში ითაყვანა
მალიქ-შამ სულეიმანის: ვაეები ქილირჯ
არსლანი და დაეთით.

სულტან სულეიმანმა ბიზანტიის წარ-
სტაცა მართლმადიდებელი ქრისტიანო-
ბის მაშინდელი ცენტრი ნიკეა, ალექსი
კომნენი იძულებული გახდა ნებით დაე-
თმო მისთვის ბიზანტიური პროვინციე-
ბი მდინარე დრაკონამდე¹.

1 მდ. დრაკონი-აშინდელი ვილიეტი კოჯელი
იზმიდ.

ნიკეას აღებით რუმის სელჯუკიდებს ეწადათ კონსტანტინეპოლიდან მცირე აზიაში მიმავალი დიდი სავაჭრო გზა გადაეკეტათ.

ჯვაროსნების თავკაცებმა გოტფრიდ დე ბუაონმა, ბოჰენუნდმა და ტანკრედმა არ გაამართლეს ალექსი კეისრის იმედები, მათ არამც თუ არ დაუბრუნეს კეისარს სელჯუკიდებისთვის წართმეული ბიზანტიური ქალაქები და პროვინციები, განმანთავისუფლებლები დამპყრობელებად იქცნენ, ბერძნებსა და სომხებს შევიწროება დაუწყეს.

ჯვაროსნული მოძრაობის თავკაცებს სულ მალე გაუქრათ ქრისტეს საფლავის განთავისუფლების იდეა, ახლა ისინი ქრისტიანების მიწების მიტაცებისა და დაპყრობილი ხალხების მონაგარის ძარცვას შეუდგნენ.

რავითი ჯვაროსნები უმეკონო ბარონები („ლუ ბარონ სანსაუარ“) იყვნენ, მათ ევროპაში დაჰყარეს მამული და საშობლო, ახლა ძარცვით გამდიდრებას შეუდგნენ.

ჯერ კიდევ 1098 წელს ჯვაროსნებმა შექმნეს ედესის სამთავრო. მათ ეწადათ აღმოსავლეთიდან მომავალი თურქმანული ბრბოებისთვის გადაეკეტათ გზა.

ედესის მთავრმა, ბალდვინმა საშველად ხელი გაუწოდა თავის ძმას, გოტფრიდ დე-ბუაონს, რომელიც „ქრისტეს საფლავის ქომაგად და იერუსალიმის მეფედ“ ითვლებოდა.

თანდათან გაღრმავდა განხეთქილება ალექსი კომნენსა და ჯვაროსნებს შორის. გოტფრიდ დე ბუაონ და ბალდვინი ახლა მიზნად ისახავდნენ ახალახალი ქალაქები და მიწები მიეტაცებინათ მცირე აზიაში.

სელჯუკიდები ისე დაიჯაბნეს ჯვაროსნებმა, უკვე გულგრილად შესცქეროდნენ სელჯუკიანთა სულტნებისა და ამირების ურთიერთთან და შეამბოხე ასასინებთან ბრძოლას.

ახლა ახალი საფრთხე აღიმართა ჯვაროსნების წინაშე: სირიის დაპყრობას

წაებოტინენ მცირე აზიაში დაარსებული წვრილი სასულტანატები და სავაჭრო რიები.

გიორგი მთაწმიანი

ჯვაროსნებს უკვე შევიწროება დაუწყეს ფატიმიდური დინასტიის ეგვიპტელებმა ხალიფებმა.

მცირე აზიაშივე აღორძინდა თურქული დინასტია დანიშმედთა, რომელიც მეთაურობდა ხორასნიდან მოსულ „ლაზის“ ტომებს. ბოლოს დანიშმედები დაეძგერნენ რუმის სელჯუკებს და არა ერთგვის დაამარცხეს ისინი.

1106 წელს ბერძნულ-თურქულ სახელმწიფოს აარსებს ლაზის ტომების ბელადი მელიქ-ლაზი...

ანტიოქიის მბრძანებელი ბოჰემუნდი თავს ესხმის მელიქ-ლაზის, მაგრამ ამ უკანასკნელს მიეშველნენ სელჯუკი სულტანი ქილიჯ არსლანი, ამირ რიდუანი, ცხენის ძუაზე შეჭფიცეს მათ ერთგულება ერთმანეთს და გაუსიეს თურქმანების ბრბოები ბოჰემუნდსა და მის ჯვაროსნებს, უსასტიკესად შემუსრეს ისინი.....

მელიქ-ლაზი თავდაპირველად ალექსი კომნენის ყმადნაფიცი იყო, მაგრამ ამ გამარჯვებამ იგი ისე გაათამამა, საგანგებოდ მოაჭრევინა მონეტა: რომელზედაც ასეთი ლეგენდა ეწერა: „სრულიადის რომანიისა და ანატოლის მბრძანებელი — მელიქ-ლაზი“.

ბოჰემუნდი დანიშმედებსა და სელჯუკებს მოეშვა, ახლა ახალმა ავანტირამ გაიტაცა იგი. მისი ოცნება იყო „შუბი ჩაერკო კონსტანტინეპოლის გაღვენებისთვის“.

ამაოდ ეცადა ბოჰემუნდი მელიქ-ლაზი და ალექსი კომნენი გადაჰკიდებოდნენ ურთიერთს.

ამასობაში მელიქ-ლაზი მუხანათურად გადაუდგა ძველ მოკავშირეს რუმის სელჯუკიდებს, მან მოულოდნელად ალყა შემოარტყა იკონიასა და საკმაოდ ხანგრძლივი სისხლის წვიმების შემდეგ აიღო იგი.

იმავე წელს, როგორც ხალიფამ, იგი სელჯუკიანთა სულტანმა მოჰამედ ბად-

7192



დადიდან და ისპაჰანიდან მელიქ-ლაზის გაუგზავნეს შავი ღროშა, ოქროს კვერთხი და დაფდაფი, თურქული სახელმწიფური ინსიგნიები¹.



როცა საქრისტიანოს გამგებელნი ასეთი უსაშნო ხეანჯებით იყვნენ გართულნი, უმეთაუროდ დარჩენილი ქრისტიანი ხალხები: ქართველები, სომხები, ბერძნები და სირიელები აჯანყებებს უწყობდნენ სელჯუქიანთა სულტნებსა და ამირებს.

ავარდებოდა თუ არა აჯანყების ალი რომელიმე ქალაქში, მყისვე აღიმართებოდა სახრჩობელების მთელი ტყე...

ტფილისიდან ანისამდე, ანისიდან —

II. პატივდაკლებულთა სერობა

„ღმერთო ჩემო, ჰყვენ მტერნი ჩვენნი ვითარცა ურმის თვალი და ვითარცა ლერწამი წინაშე პირისა ქარისასა და ვითარცა ცეცხლმან რა მოწუნეს მალნარნი, და ვითარცა აღმან, რომელმან შეწვნის მთანი, ეგრე სდევენ იგინი, ალაესე პირი მათი გინებითა, ჰრცხვენოდეთ და შეძრწუნდეთ უკუნითი უკუნისამდედ“.

ფსალმუნის ამ ლექსებმა გული მოუფონეს გიორგი ჭყონდიდელს. ლოცვა რა მოათავა, საწოლის მწიგნობრის მიერ გადაწერილი განკარგულებანი ხელში აიღო. ფურცლავდა, ასწორებდა, ყოველ წერილმანს უკირკიტებდა.

ჯონდი ერისთავი მოუხსენებლად ეახლა, ხელზე ეამბორა, მოიკითხა და მოახსენა:

„ცხენები მზადა ჰყავს შენო მეუფე-ბავ მეჯინიბეთუხუცესს“.

ისპაჰანადის, ისპაჰანიდან შაიზარამდის და იქიდან იკონიამდე გამწვანეებულ სახრჩობელების გადასვლა დაღამა ჰკიდებდნენ შეამბოხებებს. აგრე ეკიდნენ ეს ცხედრები მანამდის, სანამ ჩონჩხებად არ იქცეოდნენ ისინი.

ბაღდადურ „თავების ხაზინაში“ ქრისტიანების და ასასინების თავები იყვნენ გამოდებულნი, ხოლო ისპაჰანსა და დამასკში სპილოებს მიუგდებდნენ გადასათქერად მათ, ან არა და მძიმე ჯაჭვებით დაბმულ ლომებს კვებავდნენ ქრისტიანებისა და ასასინების ხორციით.

ამ ამბების შემცნობი მოუსვენრად ბორგავდა გიორგი ჭყონდიდელი თავის სარეცელზე და თვალდაბნუებული ყურს უგდებდა გულისტანური ლომის ბოკვერის ღვრინვას.

„ეჰ, ეს კარგია ჯონდი ბატონო ცხენები რომ მზად ჰყოლია გიგოლას, მაგრამ მთავარია ცხენოსნებიც მზად იყვნენ. რა ხანია საწოლის მწიგნობარი დავიბარე, ავად ხომ არ გახდა ბედშავი! დამიბერდა ჩემი ფილოი, რა ვქნა, შევეჩვიე და ვერ შევეღვივარ...“

ჯავრი ნუ გაქვს ჯონდი ბატონო, მიმწუხრამდის პეტრეს ციხემდის¹ მაინც მივალწვეთ ღვთით, ღამე იქ გავითიოთ“.

ჭყონდიდელი პინაქსთან² მივიდა, ფერადი შუშები და ფიალები გადმოიღო. ჯონდი გულდასმით უთვალთვალებდა მის საქმიანობას.

ეგ რა წამლებიაო უნეტარესო?

„გულის ტკივილისა ჯონდი ბატონო“. მერმე სათითაოდ აჩვენებდა ერისთავს: ეს იის თავთავიაო, ეს ბიის თესლის შარაბი, ეს პიტნისა, მუშკისა და ამბრი-საგან გაკეთებული შარაბი.

„ეჰ, ჯონდი ბატონო თავს ვიქცევ,

¹ ინსიგნიები — სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი ნიშნები.

¹ პეტრეს ციხე, ივლისხმება ამავე სახელის ციხე აწინდელ ბორჯომში.

² პინაქსი — კარადა.

ამოდ თორემ როგორც კი არსთაგანმ-
რიგეს მოეწადინება ჩემი ხმობა, ეს წამ-
ლები ვერას მიშველიან. ყოველ შემთხ-
ვევისთვის მქონდეს სამგზავრო აბგაში“.

საბია შემოვიდა, ჯერ თავყვანი სცა
ქყონდიდელს, მერმე სასანთლებს ჩა-
მოუარა, გრძელი, გარუჯული მამით
აქრობდა. საძილო პალატაში სანთლის
სუნი დადგა საამური.

მესტუმრეთუხუცესი კარის ალაგთან
აიტუზა.

ახალს რას გვეტყვი ანგიავე?

„ბიზანტიელი სტუმრები გეახლენ
უნეტარესო. გიორგი მეფე მობრძანებასა
გთხოვთ შენ და ერისთავს, ჯონდის“.

ქყონდიდელი უსიამოდ შეიშშუშნა.

„მინც ვინ არიან თუ იცი ანგიავე?“

„სტრატიგი¹ ნოტარ, ვეხაიტის ეპის-
კოპოზი თეოფილაქტე, ნიკომედიელი
ილარიონი, ეპიტანე არამსმელი, ერთი
ტურმარზი² და ერთიც პროტოსიკრიტი.
ათორმეტი მეკარვე, მეჯორე და მესა-
წლო თან ახლავთ მათ“.

ეპიტანეს ხსენებაზე ღიმი მოერია
ჯონდის, წამოიძახა:

„ეპიტანე არამსმელი კიდევ ცოცხა-
ლი ყოფილა?...“

„ეჰ, ჯონდი ბატონო, მოგეხსენება,
ასკილი ვარდზე უფრო დიდხანსა
სძლებს.“ დუდუნებდა საბია. ჯონდიმ
სთქვა:

„საოცარია, ეს სამივე ეპისკოპოზი
უეპარჭიოდ არიან დარჩენილნი...“

ქყონდიდელმა თავისი წამლების ჩა-
ლაგება რა მოათავა, შერა გაუმართა
ერისთავს.

„ნეტავ რად გარჯილან ეს პატივცე-
მულნი?“

„გიორგი მეფის პურმარილი მონატ-
რებით, უნეტარესო, ან შესაძლოა, მა-
რიამ დედოფალს ეწვიენ. როგორც კუ-

როპალატისსა მელიტა ამბობს: ესენი
თითქმის ყველანი პატივდაცულნი³
არიან. მოგეხსენება დიდკაცებს მველი
მეგობრები მოაგონდებათ ხოლმე ასეთ
დროს“.

„ეს მიბრძანე ჯონდი ბატონო, ზოგი
რამ მეც გამოიგონია მაგ ნოტარის გამო,
კონსტანტინეპოლში თუ იცნობდი მას?“

„როგორ არა, მთელი ბიზანტიონი იც-
ნობს ნოტარს, იგი სამი იმპერატორის
მსახური იყო. ნიციფორე ბოტინიატესის,
მიხაილ დუქას და ალექსი კომნენის
დროსაც მუდამ დიდი თანამდებობანი
ეჭირა, ხან დომესტიკისა, ხან დრომის
ლოგოთეტისა, ჯ ხანაც დესპანისა.“

უნიკიერესი და უმამაცესი სტრატიგი
იყო, ულამაზესი აზნაური, ენამოშაქრუ-
ლი კარისკაცი. მარიამ დედოფლის სა-
სახლის მუღმივი სტუმარი.

მის დანახვაზე გინიკეას შემუნვარებსა
და კუროპალატის თანამემცხედრეებს
ელეთ-მელეთი მოსდიოდათ.

როცა ბოქმუნდი პირველად ეწვია
ბუკოლეონის სასახლეს, ლოგოთეტები
პრეპოზიტები და მათი ცოლები დღენი-
ადაგ იმის გამო ჳორაობდნენ: თუ რო-
მელი იყო უფრო ომაზიანი და ლამაზი
ვაქკაცი: ბოქმუნდი თუ ნოტარი?

არა მარტო იგი, მისი პაპის პაპანი დო-
მესტიკები, ლოგოთეტები ყოფილან ბი-
ზანტიის იმპერატორების კარზე და ამი-
ტომაც მას მემკვიდრეობით მოსდგამდა
კარისკაცური მლიქვნელობისა და სარდ-
ლური სიმამაცის ზელოვნებანი. კონს-
ტანტინეპოლის ლამაზმანები „აბჯროსან
აპოლონს“ უწოდებდნენ ნოტარს.

რაკი საწოლის მწიგნობარი იგვიანებს,
თავს თუ არ შეგაწყენ, უცნაურ ამბავს
მოგახსენებდი ერთს.

აღდგომა დღეს, იპოდრომისკენ მი-
გელვებდა თავის არაბულ ულაცს, მოოქ-
როვილ თორით მორთულნი ნოტარი, ერ-
თი აცინგანი დიაცი დაუვარდა ფერხითთ
მის ცხენს.

შეევედრა:

უნდა გიმარჩიელოვო.

¹ სტრატიგი იგივე პატრიკი — ათი ათასის თა-
ვა. — ბერძნ. ოლქის უფროსი გუბერნატორი.

² ტურმარზი — ხუთიათასის თავი, სტრატიგის
ნაცვალი.

³ პატივისა დაკლებამ — ძველი ქართული
იურისდიქციით მოასწავებდა თანამდებობის პი-
რის გადაყენებას.

¹ დრომის ლოგოთეტი — ბიზანტ. იმპერიის
მინისტრი საგარეო საქმეთა.

როგორც ყოველი ბიზანტიელი, ნოტარიც უზომოდ ცრუმორწმუნე იყო, დაქვეითდა, ცხენი მეაბჯრეს მიუტღლო და მარცხენა ხელი — მკითხავს.

და უთხრა იმ აცინგანმა დიაცმა ნოტარს: უბედნიერესი რაინდი ხარ, ომებში მარადის გამარჯვებული, მაგრამ სამი მტერი გაყავსო ამ ქვეყნად:

დიაცი, ლეინო და საკუთარი ენა.

ნოტარს გაეცინა, ოქროს ბოტინატი მიანჩნა და გაეცალა მარჩიელს.

ამასობაში სერგიაში იფეთქა ამბოხებამ.

კეისარმა ალექსიმ დასავლეთის ჯარების დომესტიკად¹ დანიშნა იგი და აჯანყების ჩასაქრობად წარგზავნა დიდძალი სპითა.

დომესტიკის, ნოტარს ერთი ნაცვალი ჰყავდა სალონიკელი დიდაზნაური, ვინმე კურკუასი, რომელსაც თავათ ეწადა დომესტიკობა.

ეს კურკუასი შეუჩნდა ნოტარს, სერგიაში ჩასვლის ღამეს დაათრო, მეორე დღით შეამბოხენი თავს დაესწნენ დომესტიკისა და მისი ამალის კარგებს, საცვლებსამარა ძლივს გამოასწრეს ბერძნებმა.

კეისარი დიდად აფასებდა ნოტარს, როგორც შესანიშნავ სტრატეგს. ამ მარცხის მიუხედავად, იგი თავისი პირადი დაცვის უფროსად — ვიგლის დრუნგარად² დანიშნა...

ნოტარი დაერია კუროპალატებისა და ლოგოთეტების ცოლებსა და დებს, ბოლოს ამ დიაციებმა იმდენი იჰორავეს, ალექსი კომნენს მისწვდა ჩურჩული:

კეისარის მეუღლეს, ირინას უმიჯნურდებოთ თავაწყვეტილი აბჯროსანი აპოლონი.

კეისარმა ალექსიმ ავი ენების დასაოკებლად ბაღდადს წარგზავნა იგი დესპანად, ხალიფას კარზე.

ნოტარმა მოისყიდა ხალიფას ჰარემის საკურისთუხუცესი. ხალიფას ცოლებს

მრეცხავი დიაციების სამოსელს გადააცვამდა თურმე საკურისთუხუცესი და ასე უგზავნიდა ნოტარს.

ეს ამბავი ბოლოს გამომზურდა, საკურისთუხუცესს თავი წააქრეს და ნოტარმა ძლივს გამოასწრო ბაღდადიდან...

ახლა ხალკიდონის ოლქის სტრატეგად წარგზავნა თურმე იმპერატორმა ნოტარი, იგი მთლად აღტაცებული არ დარჩა ამ თანამდებობით, ენა არ მოასვენა, კეისარის ძაგება დაიწყო.

ალექსი კომნენმა გადააყენა ნოტარი და მხოლოდ ეს უთხრა: რაინდს ზმალრ შვენისო გრძელი და არა ენა... აგრე აუსრულდა თურმე ნოტარს აცინგანი დიაციის მკითხაობა.

ქყონდიდელს ღიმი მოჰგვარა ამ ამბავმა.

„დაილოცოს უფალო სახსენებელი შენი. ამ ბოლო ხანს ჩვენი ბიზანტიელები მუდამ სტუმრად დადიან, ან სტუმრების მიღებით არიან გართულნი მარიამ დედოფალი გვიამბობდა ამას წინად: ბუკელოენის სასახლე სასტუმროდ გადაქცეა თურმე იმ ბედშვავ ალექსი კომნენს, პირის დაბანას არ აცლიან. იმპერია ღამისაა თავზე დაემხო, ასეთ დროს დღენიდაღა სტუმრები ახვევია თავზე.“

სტუმრები მოდიან სიცილიიდან, რომიდან, ანტიოქიიდან, იერუსალიმიდან. მოგვხსენება უნეტარესო როცა სახელმწიფო სასტუმროდ და დუქნად იქცევა, იგი უთუოდ აირევა.

კონსტანტინეპოლში ხუმრობენ კიდევაც: როცა რომელიმე ქვეყანაში სტუმრები მასპინძლებზე მეტი აღმოჩნდებიან, სტუმრები მასპინძლებად იქცევიანო.

ცხადია: განა მარტო ომით ხდება დაპყრობა, მოზშირებული სტუმრიანობითაც, სთქვა ჯონდომ.

ქყონდიდელი მესტუმრეთუხუცესს მიუბრუნდა:

„მოახსენე ანგიავ პატრონს: დავით მეფის ბრძანებისამებრ მე და ჯონდი ერისთავი კლარჯეთს მივდივართ, ამიტომაც ვერ გეახლებითქო“.

„აგრე მოახსენე ანგიავ საჯინიბოსა-

¹ დომესტიკი — მთავარსარდალი ბიზანტ-ლამპრისა.

² ვიგლის დრუნგარი — ბიზანტი კეისარის პირადი დაცვის უფროსი.

ენ მიმავალი შეეხედითქო“ მიაძახა ჯონდი ერისთავმა.

ჰყონდიდელმა ხელი გადაუწვდინა ლანგარს ვერცხლისას, სარქველი ახადა და ეუბნება ერისთავს:

„მე ჯერაც არ მისაუხშმნია ჯონდი ბატონო, როგორ შემოგთავაზო და... წანდილზე დამეწვიე, კარგია თათლით განზავებული წანდილი“.

ერისთავს გაეღიმა, კლარჯეთს მიმავალი ჰყონდიდელი წანდილით რომ აპირებდა გულის შეჯერებას.

„უკვე ჯეირნის მწვადები გვახელი, მამო გიორგი, ინებე უნეტარესო და მე საუბრით გაგართობ“.

ჯერაც საუბრე არა ჰქონდა მოთავებული ჰყონდიდელს, ფილო შემოვიდა, საწოლის მწიგნობარი მისი. ჰყონდიდელმა სათითაოდ ჩააბარა განკარგულეზანი ფილოს, მერმე უბრძანა მესაწოლე ბერი ეზმო. მესაწოლე ბერმა უთქმელად გადმოიღო ჰყონდიდელის სანიადაგო პერანგი ჯაჰვისა, რომელსაც კვერნის ტყავის სარჩული ჰქონდა.

გადაცვა მოხუცს, ღეზების გაკეთებაში უშველა, მერმე მახვილი ჩამოხსნა კახიდან, წელზე შეაბა, ახლა წარდაბანში წავიდა მსუბუქი მუწარადის მოსატანად, რადგან ასეთი ისურვა მონაზონმა გიორგიმ.

ჰყონდიდელი მაგიდას მიუჯდა, მზერა ესროლა იქვე მოჩალიჩე მემამულეთუხუცესს.

„შენ როგორა გგონია საბიავ, რისთვის გარჯილან ჩვენი სტუმრები, ჰა?“

„ეჰ, რაი ვიცი ვაზირთაუბირველესო ბატონო, თუ რისთვის დალოდავენ ეგ მწერელთუყვენი? თუ არ დამბრახავთ ერთ ჩასმეს მოგახსენებდით ჩემის მოკლე ჰკუთთა: ყოველი კაცი თავის სახლში და ყოველი ნათესავი თავის ქვეყანაში რომ დაეტოდეს, ერქვანსა და გუთანს მოეკიდებოდეს, ზოგი მეჯორედ, ზოგი მეხამლედ დადგებოდეს, ზოგიც სამქედლურში მუშაობას იკმარებდეს, ყოველი კაცი რომ ვარდსა ჰრგავდეს და ვახსა სხლავდეს, ჩემებრ ნოშოთი შე-

ბურვილი თუნდაც ოფოფებზე ნადირობას ხელს მიჰყოფდეს, მაშენჯერც ამდენი ალიაქოთი იქნებოდა ვეცხრცე ამდენი სტუმრიანობა და მოციქულობა დასჭირდებოდათ დედისცხოვნებამან“.

ჰყონდიდელს გულიანად გაეცინა, რადგან კარგად იცოდა თუ როგორ არ უყვარდა საბიას სტუმრიანობა.

„ჰო მაგრამ საბიავ, ვისასაც არც ვარდის დარგვა სურს და არცა ვაზის გასხვლა, ვისაც ნიადაგ ხმალი, მშვილდი და ტაჯგანალი¹ უჭირავს ხელში, მას რაღა ეუყოთ საბიავ, ჰა?“

„თუ ჩემის ლაყობით თავს არ შეგაწყენდი უნეტარესო, ერთ ამბავსაც მოგახსენებდი. ჯერაც უწვერული ყრმა თან ვახლდი იერუსალიმს გამგზავრებისას ბაგრატ მეფის დედას, სულკურთხეულ მარიამს მესანთლედ.

როცა იქიდან უკან ებრუნდებოდი, აჩემმა დედოფლის დედისძმამ სომეხმა დიდებულმა სუმბატმა: მეკვას ჩავიდეთო სეირისათვის.

ჯერ იუარა დედოფალმა, მერმე ნებას დაჰყვა. მე სად შემიძლია ის აგიწერო რაც ჩვენ მანდ ვნახეთ. ერთი რამ ჩამრჩა წარუბოცლად ხსოვნაში:

მეკვამი ერთი სვეტია შავი ქვისა. ყოველ წელს, ახლა აღარ მახსოვს რა დღეა იგი დღე, მთელი არაბეთი იქ მიდის და ქვას ესვრიან იმ შავ სვეტს. აგრე აქვთ დათქმული: სატანას ვესვრითო.

მე აგრე მეოცნებება დედისცხოვნებამან, ჩემის მოკლე ჰკუთთა: ვინც თავის სახლში და თავის ქვეყანაში ვერ დატეულა, ვისაც არც ვარდის დარგვა სურს და არც ვაზის გასხვლა, ვინც მუდამ სხვათა მონაგარის მიტაცებითა გართულო, მას ქვა უნდა ესროლოს ყოველმა კაცმა... მაგრამ ეგაა უნეტარესო: ვინ ესვრის ქვას ამდენ ეშმაკს, ან ამდენი ქვა სადღა მოვნიკოთ?“

„ეჰ, ნუ დარდობ საბიავ უკვე გამოჩნდა ჩვენი მემურდულე და მეფსალმუნე, ხოლო ქვები... ქვები არასდროს გამოელევა ჩვენს მამაც ხალხს მათთვის, ვინც

¹ ტაჯგანალი — დიდი შატრახი.

ვარდის დარგვასა და ვაზის გასხლას სხვათა მონაგარის მიტაცებას არჩევს.

„ნუ დაშიღონდი ბერიკაცო, ჩვენთანაა სიმართლის ღმერთი“.

სთქვა ჭყონდიდელმა, კარისზღურბლთან პირჯვარი გადაიწერა და თან გაჰყვა საჯინბოსაკენ მიმავალ ჯონდი ერისთავს.

•
•

სიღამე იმზირებოდა დიდ დარბაზში. საბია და სამი მემამხალე უკვე ანთებდნენ ოქროს სასანთლებებს. პურობის დაწყებას არ აპირებდნენ, რადგან დედოფლები აღარსად სჩანდნენ.

მოწყენისაგან გაოგნებული გიორგი მეფე გაახარა ბიზანტიელი სტუმრების ეგზომ მოულოდნელად წვევამ, თუმცა მათი ჩამოსვლის მიზეზი ჯერაც არ იცოდა. ამ ბოლო ხანს გიორგი ზშირად იმეორებდა ხოლმე თავის მორიგ შეგონებას:

თუ გსურს ჭირი შეამოკლო, ღზინი უნდა გააგრძელო და ჰა, გაგრძელებული ღზინის საბაბიე კარზე მოადგა ნაქარმაგვეის სასახლეს...

გიორგი იმასაც გრძნობდა წინასწარ: ამ წელს ეს იქნებაო ალბათ უკანასკნელი ნადიმი, რადგან მუდამ მოლუშული დავით მეფე მობრუნდებოდა თუ არა ხევიდან, ჩაიკეტებოდა თავის კოშკში ჭყონდიდელთან და სპასალარებთან ერთად, ან არა და ისევ დაიწყებოდა მონასპათა გაუთავებელი წრთენა.

ხელახლა გადახნავდნენ გუთნეულები ნაირმალის სერს, ნაქარმაგვეის სასახლის გასწვრივ. ატყდებოდა ამ ხნულებში ცხენების ჯირითი, უწვერული ქაბუკების ტყაბა-ტყუპით გადავარდნა უნაგირებიდან, გაუხედნელი ულაყებისა და ქაყების ხეიხინი და ჭიხინი, ხმლების წკრიალი და აბჯრების ჟღრიალი...

ლოდსატყორცნების ვერძებისა და საალყო კოშკების თრევა, გამუდმებული რაჯგუნი, რაკუნი და კაკუნი. და ეს ყო-

ველივე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მობეზრებული ჭყონდი გიორგის..

ცნობილია: მოჩუბარასნი და მომლენნი უმცირეს საბაბს მოეკიდებოან ხოლმე, გიორგი მეფემაც არ დააყოვნა ამჯერად...

მანდილოსნების მოლოდინში მახარამ გული იჯერა მსოფლიომოვლილ ნოტართან საუბრით. ნოტარი გაოცდა როცა მახარასაგან გაიგო, იგი მანციკრტთან ბრძოლის მონაწილე რომ ყოფილა. სტრატეგი დაინტერესდა მახარას მიერ გამოჩხრეცილი არაბული რუკით, გააშლევინა იგი და ამ ნაომარი დომესტიკეყოფილის თითი ეძებდა იმ ქალაქებს, მთებსა და მდინარეებს, სადაც მას შეტაკებები ჭქონია სელჯუკიანთა ლაშქართან, ან დესპანად იყო წარგზავნილი იმპერატორების მიერ.

მისი გრძელი თითი დაეოცავდა სელჯუკიანთა სასულტანოს უზარმაზარ სიერტეებზე ხორასნიდან ისპაჰანამდის — ისპაჰანიდან ქაირომდის.

აქედან მან გადაიარა დარდანელი, ჰუნგრეთს, კროაციას, სერვიას, ბულგარაის და კუმანების ქვეყნებს გადასწვდა.

ბოლოს ისევ კონსტანტინეპოლს დაებჯინა.

ნოტარმა სთქვა:

„მე შემოვლილი მაქვს როგორც დომესტიკსა და დესპანს მთელი სამყარო ჩინეთის კედლებიდან ჰერკულესის ბუქებამდის! და ჩვენი იმპერიის სატაბტოს, კონსტანტინეპოლის დარი, ჯერ არსად არაფერი მინახავს.

განა მართო ულამაზესი, იგი უძლიერესი ციხე-ქალაქია მთელს მსოფლიოში. ოთხივე კიდიდან შეუვალი გალაენები არტყია, ხოლო ამ გალაენებს სამი მზრიდან ზღვა. ეს რომ არა, ჩვენი იმპერია ვერ გაუძლებდა სელჯუკიანების, ყიფჩალებისა პაჰანიკებისა და სხვა ბარბაროსთა უწყვეტელ შემოსევას.

ბოლოს და ბოლოს ზღვაა ჩვენი შეუვალი ბასტიონი. ამიტომაც გააროზგვინა

¹ იგულისხმება თანამედროვე ვიზრალტარი.

დარდანიელი სპარსთა მეფემ, ქსერქსესმა. რომი ველზე მდებარე ჭალაჭია, ის შეიღი ბორცვი, ბალღებს თუ გამოადგებათ საციგაოდ. ამიტომაც ველარ გაუძლო მან სამნიტების, ვალღების, ვესტ-გოტებისა, გერმანებისა და სხვა ბარბაროსთა შემოტევას.

როცა გიორგი მეფე მივიდა არაბულ რუქასთან, ნოტარმა მწერა შეავლო მასპინძელს და უთხრა:

„ქეშმარიტად ბედნიერი ქვეყნის შვილები ხართ თქვენ, ეს თქვენი კავკასიონი, მე მგონია უბრწყინვალესია ყველა უღელტეხილებს შორის, რაც ოდესმე მინახავს ჩინეთის კედლებიდან ბრიტანეთამდის.“

ცხადია, ძველებერძულმა მითმა პრომეთეოსის გამო შეთხზულმა იგი მსოფლიოს ყურადღების საგნად აქცია.

როცა კოლხიდის სანახებს მოვუახლოვდით, თვალი ვერა სძღვებოდა კოლხეთის კავკასიონის სილამაზის ჰერეტიოთა... ხომ დიდებულია და თვალისმოშორელი ზღვათა სილამაზე, მაგრამ მათა მშვენიება მე მუდამ უფრო მეტად მზიბლავდა.

თოვლის რილო-ჰრელია ჯერაც ზედ შერჩენილი ჰქონდათ კავკასიონისა და მესხეთის მთებს, და ისეთი შთაბეჭდილება დამჩნია, თითქოს სალამასურის ჯაჭვის პერანგები აცვიათო ამ გოლიათებს.

ისიც უნდა მოგახსენო სევასტიის ბატონო: ხომ დიდი ბედნიერებაა ასეთი ქვეყნის შეილობა, მაგრამ ამას ყოველივეს ერთგვარი წყევლაც თანა სდევს უცილოდ.

თქვენი წინაპრებისათვის ამ მიწა-წყლის მოპოვება არც ისე ადვილი იყო ალბათ, მაგრამ ამაზე უფრო ძნელია მისი შენარჩუნება. საამისოდ საჭიროა არა მარტო დიდი სიმამაცე, უფრო მეტი ჰქუაყუა.

სილამაზე, ხშირად თავმოთენობას ჰმატებს ადამიანებს, მაგრამ ლამაზებსა და თავმოთენებს ერთ რამეს აკლებს არსთაგანმრიგე: სახელდობრ ჰქუას.

ამის გამო ხდება იგიცა, რომ ლამაზი

ხალხები მახინჯების მონები ხდებიან ხოლმე. რადგან თავმოთენენ მნივლემორჩილებიან თავიანთ ერისმთავრებს, ხოლო თავშიჩაკრული მახინჯები ჩინებული მასალაა მონასპათა წყობის შესავსებად.

ჰო და ქვეყანა როცა ლამაზია, ეს თავისთავად ჰზადებს უდიდეს საცთურს მეზობელ ხალხთა გულში და მისატაცებლად წაეტანებიან ხოლმე ასეთ ქვეყანას. ამიტომაც გამართებთ არა მარტო დიდი სიმამაცისა, ასეთივე სიფრთხილის გამოჩენაცა.“

გიორგი მეფეს გაეცინა, ხოლო ნოტარმა დასძინა:

„მრავალგვარი უბედურება არსებობს ამ ქვეყნად, მათ შორის ერთიც ამგვარი: „ლამაზებსა და მამაცებს ერთ რამეს აკლებს ღმერთი: სიფრთხილეს.“

ცნობილია: ლომები და ვეფხვები უფრო მეტად გაუფრთხილებელნი არიან, ვიდრე ვირთხები და თრითინები.

მე აფრიკაში მინადირნია ლომებსა და ვეფხვებზე და ხშირად მიფიქრნია: ალბათ სულ მალე ამოწყდებიან მეთქი ლომები და ვეფხვები, რადგან თავათ ბუნება როგორც წარმომშვეები კეთილშობილჯიშთა, ისე მათივე დაუძინებელი მტერიცაა.

ასე რომ—საბოლოოდ ვირთხებსა და თრითინებს დარჩება ალბათ ჩვენი პლანეტა“

გიორგიმ სთქვა:

„როცა მალიქ შა სულტანთან ვსტუმრობდი ბაღდადში, სანადიროდ მიმიწვია, ჩვენც გულის ტივილით ვზოცავდით ამ მშვენიერ მხეცებს.“

ნოტარმა რუქას დახედა.

სად ვიმყოფებითო ახლა?

მახარამ ჯერ ტფილისს დაადო თითი, მერმე დასავლეთისაკენ წამოიღო იგი და მიახლოებით ანიშნა ნაჭარმაგევი, რადგან იგი იმ რუქაზე აღნიშნული არ იყო.

აქედან ტფილისამდის რამდენი ფარსანგიაო?

როცა უპასუხეს, ნოტარი შეერთა.

რა ახლოს ყოფილანო ეგ უსჯულონი!

ნოტარი მცირე ხანს ფიქრობდა და ბოლოს ესა სთქვა:

თუ არ გამიწყრები სევასტოს ბატონო, ერთ რამეს მოგახსენებდი:

რომის არ იყოს, არც თქვენი ტფილისია მთლად გონივრულად შერჩეული სატახტო. თუმცა მე მანდ არა ვყოფილვარ, მაგრამ არაბი გეოგრაფების ნაწერებიდან ვიცი, ტფილისს დიდი გავაყვანი ახლავს აღმოსავლეთიდან, თუ არა ვცდები, ჩრდილოეთიდანაცა, არა?"

ღიახო, მიუგეს.

„ხო და ეს ველი გაგრძელებაა ტრანსოქსიიდან გადმოხვეწილი ტრამალები-სა. ამიტომაც ტფილისის ალება ადვილია, მაგრამ მისი შენარჩუნებაა ძნელი.

იმპერატრისსა მარიამი მიაძობობდა: სულკურთხეულ მამა თქვენს პანკრატს¹, ორგზის აუღია იგი, მაგრამ ორგზისვე დაუთმია არა?"

ღიახო მიუგეს.

ახლა გიორგის მიუბრუნდა ნოტარი:

„როგორც მსმენია პანიბერსევასტოსს, დავითს განზრახული აქვს მისი ალება, არა? ინებოს უფალმან, და შესაძლოა აიღოს, მაგრამ საეკვია შეინარჩუნოს იგი...“

ახლა მიჩვენეთ ის ახალი მიწები დავით მეფის მიერ შარშანწინ აღებული?"

კახეთ-ჰერეთი უჩვენეს.

„ჰაი, ჰაი, ასეთი რამ სტრატეგიული თვალსაზრისით დაუშვებელია, სევასტოს ბატონო. თვით ეს ნაპარმაგვის ციხეც საფრთხეშია იცოდეთ. ხომ ზედავთ მუსულმანები სოლივით შემოჭრილან მეტროპოლიაში.

ზუსტად წვერწამახელი სამკუთხედი სიმრგვლეზე მიბჯენილი. არა? ეს დაუშვებელია!

მათ ყოველ წამს შეუძლიათ ეს სიმრგვალე გაკვეთონ და კავკასიონს უწიონ, მაშინ ის ახლადღებული კახეთის პროვინცია გაღმა დაგრჩებათ, ხომა?"

„ეგ არც ისე უცილოა, სტრატეგო, მიუგო მახარამ. განა სიმრგვლეში შემოჭრილ სამკუთხედს არ მოელის საფ-

რობე? თუ ჩვენ დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მაგრად დავცქნა შევცქელით, იმ წამახულ წვეტს უცხოლოვ წავაცლით მაგ სამკუთხედს.“

ნოტარი მიხვდა სიტყვა რომ მოუგეს. გიორგი მეფეს შეხედა და წაიღუდუნა:

„არა, ყოველ შემთხვევისათვის ეგ იცოდეთ, თუ ამ მოკლე ხანში მართლაც განზრახული გაქვთ, ტფილისის ალება, მე ვუსარდლებდი თქვენს კოპორტებს.

როგორც მსმენია, დავით მეფე ჯერაც ახლგაზრდაა, მოგეხსენებათ, სიბრძნე ქაღარას მოკვება უკან და არაფერს ისე არ ესაქიროება სიბრძნე, როგორც ომს.

ბერძნული ტენე—ხელოვნებაა, განა მარტო ხატვა და ტრაგედების წერა იგულისხმება მასში, ომის ხელოვნებაცაა, ხერხიანი დახელოვნება ომში. ბოლოს და ბოლოს ომი ხერხია და მოტყუება, სხვა არაფერი“.

გიორგის არ იამა დავით მეფის ამგვარად ხსენება, მაგრამ ეს არ გაამხილა, ოღნავ განაწყენებულმა მწარედ გაიღიმა და სთქვა:

„არა შენ სცდები სტრატეგო, მარტოდენ მოტყუებით შორს ველარ წავა მეომარი. ომში შეტევისა და დაკვრის ძალაა მაინც და მაინც მთავარი.

დიდი თურქობის დროს, ფარცხისთან ბევრს ეცადა მალიქ-შას ლაშქრის ამირა ნუსრედდინ აბას, მახლობელი ტყის აზოში შევეტყუებინეთ. გლეხის სადილობამდის ვიბრძოდით ცხენდაცხენ ველზე...“

მერმე თურქები უუოქცნენ ტყისაკენ.

ლაშქრის გულს მე ესარდლობდი, მარცხენა, ფრთას, თრიალეთის ერისთავი, ავადსახსენებელი ამირა ლიპარიტ, მარჯვენას — ბაკურ ერისთავი.

და შემომითვალა ბაკურმა: თურქები აზოში გვიპირებნენ შეტყუებას“

შეეყვეთ მეტყი, შევეთვალე. ეს ვრცელი აზო ისევ თურქების მიერ იყო ახლადგაჩეხილი. უზარმაზარი ძელები ჯერაც ეყარნენ ირგვლივ.

ეს რა შევნიშნე, დაქვეითება ვუბრ-

¹ ბიზანტიელები ხშირად აგრე უწოდებდნენ ბაგრატ მეფეს.

ძანე ჩემს ცხენოსნებს. შუბოსნები მივეუწვი მათ პირველ მწკრივებზე. მერმე ის იყო მაგრად დავკარით, თურქებმა ცხენიდან ჩამოსვლა ვერ გაბედეს. მათი ცხენები ძელებსა და ნაძირალებზე იკრავდნენ ფეხს, მხედრები აყიროსავით ეხეთქებოდნენ მიწაზე. ბოლოს მზის გადახრამდის ჩვენ დაგვილოცა გამარჯვება უფალმან.“

ნოტარმა შენიშნა: მასპინძელს არ იამა დაეთისა და ტფილისის გამო მის მიერ თქმული, ისევ დააცქერდა რუკას და სთქვა:

„არა, უთუოდ დიდი სტრატეგი ყოფილა ის მეფე, ვინც თქვენი მცხეთა თავის სატახტოდ აქცია. ამ ქალაქს მთები არტყია გარს. მთა ხომ ომის დროს იგივე ციხეა. მტერს არც კატაპულტები გამოადგება აქ, არც აქლემი და სპილო...“

მოგესხენებათ ჯერ კიდევ სარკინო-ზებმა შემოუშვეს ომში ეს ორი საშინელი ცხოველი, მათ დაიჯაბნეს ბერძნული ცხენი. ველებზე ძლიერ საშიშია აქლემი და სპილო“...

მახარამ სთქვა:

„ვიდრე ისინი ველებს უწევდნენ, ჩვენ მათ კლისურებში დავუხვდებით ისრით, ხმლითა და ქვით.“

ნოტარი დაინტერესდა:

თურქები რომ ნაჭარმაგვეს დაემუქრონ მოულოდნელად ახლო-მახლო ციხე-სიმაგრე თუ გაქვთო?

უპასუხეს:

ციხეების მთელი წყება იცავს ნაჭარმაგვეს ყოველმხრიდან.

გიორგიმ სთქვა:

„არა მგონია ჩვენთვის სცხელოდეთ ამქამად მათ. სულტან ბარქიაროკი ალლას მიბარდა, სირიაში ჯვაროსნები უტყვენ სელჯუქიანებს ჯერაც“.

ნოტარი არც კი აპირებდა აქლემისა და სპილოს გამო საუბრის მოთავებას, დედოფლები რომ არ გამოჩენილიყვნენ სასტუმრო დარბაზში: სტრატეგი დანდობილად მოეშვა არაბულ რუკას და მხედრული ნაბიჯით გაეშურა მათკენ.

ამოწვდილ ხმალსავით გამართული

შეეგება იგი ელენეს, ქედი მოიხარა და ხელზე ეამბორა, ახლა უკვე წელში წოდრეკილი ეახლა უკვე სავარცხულზე მჯდომარე მარიამს, ორგზის ეამბორა ხელზე, მერმე შეკავებულ ღიმილი მიუგდო კუროპალატისა მელიტასა და გვანცას, ეუბნება იმპერატრისას:

„ოპ, ულამაზესო და უსათონესო ბასილისსავ, როგორ მომიხაროდა შენ სანახავად! ჩემს გუნებაში ვაჩქარებდი პონტოს ზღვაზე მომქროლავ დრომედარს! შენი მზიური სილამაზის სახილველად. შენ არც კი იცი ბედნიერო ბასილისსავ, თუ როგორ აკლიხარ ჩვენს კონსტანტინებოლს, ყველა ჩვენთაგანს თვალში.“

განა მარტო სასახლეები და მოედნები ამშვენებენ ქალაქს, ლამაზი ადამიანები უპირატესად. მთელი ჩვენი სატახტო მონატრებულაა სპილოსძვლის შენი ფაეტონის ნახვას, ო, ბასილისსავ.“

მარიამი მიჩვეული იყო ბიზანტიელების მიდრეკილებას ლიქნისა და რიტორობისადმი.

ნოტარის მომართვის ეგზომ პათეთური ტონის მიუხედავად იგი გრძნობდა სიწრფელის დვრიტას ამ ტირადაში და ეს თაყვანისცემის ხარისხზე ატანილი მისი გულთათლობა საქმითაც არა ერთგზის დაუმოწმებია მისთვის სტრატეგს.

ნოტარმა ფრთხილი მხერა მოავლო დარბაზში მყოფთ და ახლა ოდნავ ხმადაწეულად უთხრა მარიამს:

„შენ მუდამ გულთმისანი იყავი, ო, ბასილისსავ და მოგესხენება ჩემისთანა გულარძნილ რაინდებს ყოველთვის იღუმალად უყვართ ხოლმე ერთი და იგივე მანდილოსანი და იცი ვინა?“

მარიამი შეცუუნდა. გაელიმა კიდევაც გუნებაში:

სიყვარულს ხომ არ მიხსნისო ეს მსკითომოსილი სტრატეგი ჩემი ძმის სასახლეში? ოდნავ აიძვრა და გაწითლდა.

„ვინ მანდილოსანი? რასა ბრძანებ სტრატეგო, ბატონო?“.

1 დრომედარი — ბერძნ. სწრაფმავალი გემი.

„სწორედ ის მანდილოსანი, რომლისაგანაც სამაგიერო ტრფილს ვერ ეღიროსება რაინდი. მე ჯერაც ათასის თავი ვიყავი ბიზანტიური ლაშქრისა, როცა დედოფლებიანად მოგიყვანეს ბუკოლონის სასახლეში სამმა ქართველმა ეპისკოპოსმა და ბაგრატ კუროპალატის გამგებთუბუცესმა.

როგორც გუშინდელი დღე ისე მახსოვს ის დღე, როცა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ოქროს გვირგვინი დაგადგა თავზე იმპერატორის ბოტინაიტესის გვერდით მდგომარეს აია სოფიაში.

იმ ღამეს ვტიროდი ბალღივით, სულკურთხეულმა დედაჩემმა მომისწრო, შემრცხვა და კბილის ტყვილი მოვიმიწეზე.

მე არ მინდა ლიქნად ჩამომართვა ეს ყოველივე ო, ბასილისსავე.

მართალია, ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, ხმლის მოქნევის მიუმცდარობა და სხვა ტალანტები ოხრად დარჩება კაცს თუ მლიქნელობა არ მოიშველია, მაგრამ ამ შემთხვევაში მე უანგაროდ მოგახსენებ...

აღბათ ჩვენი ადამიანური სიბეცის ბრალი იგია, რომ ჩვენ იგი როდი გვიყვარს, ვინც სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხებს, არამედ სწორედ იგი, ვისგანაც სამაგიეროს ვერასდროს ველირსებთ.

მას შემდეგ ვინ იცის, რამდენჯერ მომიქნევია ხმალი შენდამი უანგარო სიყვარულით შეძრულს, ანატოლიისა და ბალკანეთის ბრძოლის ველზე. ახლაც მახსოვს. სწორედ იმ დღეს, როცა დომესტიკმა ნიციფორე მავროკატაკლონმა შემუსრა ყიფჩალები, მე მარჯვენა ფეხში დაჭრილი ვეგდე კაობში.

მგლის ყმული და ცხენების შორიელი ჭიხვინი მოჰქონდა ქარს, დაბალი ღრუბლიანი ცა მუხარადივით ზედ ეხურა ველს. მე შენი შეუღარებელი ცისფერი თვალების ელევა მელანდებოდა და მზად ვიყავი ისევ ამელო ჩემი ხმალი და ცალფეხზე შემდგარი შეგბრძოლებოდი ყიფჩალებსა და მგლებს...

უკვე ორი წელია, რაც დამაკლდა ბედ-

ნიერება შენი პირისპირ ბილვისა, როგორ მიხარის რომ ყოველს შემმუსვრელმა დრომ ვერაფერი დააკლდა შენს ღვთაებრივ მშვენებას ო, ბასილისსავე.“

ისევ წამოწითლდა მარიაში, ღიმილით უთხრა ნოტარს:

„ეს მთლად ურიგო არაა სტრატეგო ბატონო, როგორც სჩანს მე მცირეოდენი წილი დამიდევს გმირობით აღსავსე შენს ცხოვრებაში.“

„ქეშმარიტად, ქეშმარიტად ო, ბასილისსავე, შესაძლოა მე დაღუპულად ვთვლიდე ჩემს თავს, მაგრამ მე დამღუპეს იმ დღაცებმა, ვინც ხორციელი სიყვარული მადირსეს, ხოლო შენ, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე უნუგემოდ გეტრფოდი, შენ იყავი ის ვარსკვლავი, რომელიც უსიერ ტევრებში გზას უნათებს ხოლმე მეომრებსა და მონადირეებს.“

„დაღუპულიო! რასა ბრძანებს სტრატეგი! რა ვუყოთ რომ დღეს შენ აღარ განაგებ რომელიმე ოლქს, იმპერატორი ალექსი გულმოწყალე მბრძანებელია, ხვალ ზეგ შესაძლოა ისევე მოგიხმოს სამშობლოს დასაცავად, არა?“

„მართლსა ბრძანებს ბასილისსა. დაღუპული მეტქი... ეს სიტყვა უნებლიედ წამომცდა, თორემ დაღუპული იგია, ვინც არავე ისე არ ჰყვარებია, ვისთვისაც სიცოცხლის დათმობას შესძლებდა.“

მართალია, დღეს მე პატივდაკლებული ვარ და სიბერეც კარზე მომდგომია, მაგრამ ჩემი გული ყოველ წუთს განმზადილია სიყვარულისა და ომებისათვის. და თუ საჭირო გახდა, კიდევ მოვიქნევ ჩემს ხმალს, შენის სახელით, ქრისტიანობის სახელით...

და იცი ყველაზე დიდი გვირგვინი დიდებისა ვის მოელის ამ ქვეყნად? მას ვისაც სიყვარულისა და ვაჟკაცობის მანძილზე გულში ნატარები სიყვარულისათვის ძალა ეყოფა სიბერეშიაც მოიქნეოს ხმალი.“

მარიაშს ოდნავ ეჩოთიებოდა ეგზომ ხანგრძლივი განმარტობა უცხო სტუმართან, სტრატეგი ნოტარი დაღუპებას

არ აპირებდა, მაგრამ მესტუმრეთუხუცესი ეახლა და ამცნო:

პურობა იწყებია უკვე.

სამი ტაბაკი დაედგათ სასადილო დარბაზში:

ოქროს ტაბაკს გიორგი მეფე, ორივე დედოფალი და გვანცა უხსდნენ, მათ გასწვრივ სტრატეგი ნოტარი და სამი ეპისკოპოზი ბერძენთაგანნი.

ვერცხლის ტაბაკს — გოლგოთელი, ნეკრესელი და მაქსიმე დირბელი, ძელისას — ბიზანტიელი ტურმარხი, პროტოსპირიტი და ნაჰარმაგვეის ციხისთავი, ჩირდილეელი.

პურობის დაწყებამდის ექვსმა ეპისკოპოზმა იგალობეს ქართულად და ბერძნულად.

მხარა ამრეზილი შეხვდა მაქსიმე დირბელის სასახლეში მოსვლას, შეგვიანებით მოსულმან მან ვერცხლის ტაბაკს მიაშურა და გვერდით მიუჯდა ეპისკოპოზს მაქსიმეს. მესტუმრეთუხუცესი, შარეულთუხუცესი და მეჯამეთუხუცესი თავს დასტრიალებდნენ მასპინძლებსა და სტუმრებს.

ციხის გალავნებზე მოჯარულ ვენახებში უკვე მართავდნენ თავიანთ კონცერტებს ჭრიჭინები.

ქაშნაგირი სუფრას უგზავნიდა წითელ მუხრანულს, ბატისპუცისფერ ატენურსა და ჩინურს, ოჯალეშა და ალადასტურს.

როგორც კი პურობა მოთავდა და ნადიმი დაიწყო, ქაშნაგირმა ქართულად მოახსენა დირბელ ეპისკოპოზს მაქსიმეს, იგიც წამოდგა და ბერძნულად ამცნო სტუმრებს:

წითელი და თეთრი ღვინოები ურთიერთში არ გაურიათ, თორემ გაწყენთო.

ევხაიტის ეპისკოპოზს გადაწყვეტილი ჰქონდა: არც ერთი არ ესევა, რადგან მას ბუნდოვანი იმედი კიდევ ჰქონდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი ეპარქიას მიანიჭებდა იმ შემოდგომაზე.

ეპიფანე არამსმელმა არა ერთხელ იგემა პატივისა დაკლება ლოთობისა და სიძვის მეოხებით, საკმარისად ჰქონდა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოხვე-

ტილი ოქროს ბოტინატები ამიტომაც არც ოცნებობდა აღზევებისა და...

იგი პლატონის დიალოგებს ჩუმად კითხულობდა, მაგრამ ყოფის საქმეებში მომეტებულ პატივსა სცემდა ეპიკურს. ეპიფანე წარამარა უწვედიდა დაცლილ ფიალას მის ზურგს უკან მღვარ მწდეს და ევხაიტის ეპისკოპოზსაც აგრე ურჩევდა: წითელიცა და თეთრიც ღვთის გაჩენილიაო.

გიორგი მეფემ ამცნო სტუმრებს: მუხრანული წითელი ასწლოვანიო, ბაგრატიურობალატის მარნიდან შემორჩენილი.

ახლა ისინიც ვინც ნებანება მიირთმევდნენ ატენურ თეთრს, მუხრანულს მიეძალენ, რადგან იმ დროსაც კარგად იცოდნენ, რომ ხანდაზმულობა ღვინისა და სიტყვის გამომცდელი რომ არის.

არც ჯეირნის მწვადებს, არც შამფურზე შემწვარ ხბოს, ისეთი მოწონება არა რგებია ბიზანტიელი სტუმრების თვალში, როგორც ხარის ბექს, რომელსაც უწყვეტელ წილამურებად სთლიდა მზარეულთუხუცესი და ჩქიფმორგებული, გრძელნი დანით მიართმევდა შეინახეებს.

ეპიფანე არამსმელს არაერთგზის ჰქონდა ნაგვემები ბაგრატივანთა პურმარილი გვეგუთისა და ქუთაისის სასახლეებში, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ ენახა.

ამიტომაც ღიმილით უთხრა ევხაიტის ეპისკოპოზს:

„იცი თ იმპერტიმ, ეს წილამურები აქედან პონტოსხლავამი მისწვდება“.

ნოტარი თავს იკავებდა სმისაგან, იგი წარამარა შესცივინებდა ბასილისსას და უფრო დაეინებით უკვრეტდა მის გვერდით მჯდარ გვანცას. შეხედავდა, ისევე შეხედავდა შეფარვით და ფიქრობდა: ჩემს მწითურ ფაშტს ჰგავსო ეს მკერდგათქვირული და თეძოსრული კოლხი ქალი.

მუხრანულმა წითელმა ლამაზმანების კვრეტამ რიტრობის ეინი გაუორკეცა მას და ამიტომაც მოურიღებლად არღვევდა ოდითანგავე არსებულ ქართულ ტრადიციას ჩუმად ქამისას.

1 იმპერტიმ — ბერძ. საპატოო მიმართვა მღვდელ მოვარებისადმი, შენო შეუფუხთ და სხვ.

როცა ხარისბეჭის ქამით გული მოი-
ოხა, პოლიტიკის ამბები წამოიწყო, წა-
რამარა ახსენებდა ალექსი კომნენს, ბოპ-
ემუნდს, ბალდვინსა და ტანკრედს. ქირ-
დავდა ჯვაროსნებს.

„ამდენი ხანია რაც ბიზანტიისაგან მი-
ტაცებულ მიწაზე ცხოვრობენ ეს ბეცი
თხუნელები და აქამდის ვერ მიმხედა-
რან რომ კონსტანტინე დიდის დღეები-
დან მოაქვამამდე ბიზანტიის იმპერია
იყო, არის და იქნება საქრისტიანოს
ერთადერთი მედროშე.

ვერც უხეშობა მოიშალეს აქამდის.
როცა ბოქემუნდი ბუკოლეონის სასახ-
ლეში სტუმრობდა, ბარბაროსივით დათ-
ვრა, კეისრის ტახტზე დასჯებდა ხუმრო-
ბით...

სად გაგონილა კეთილად ზრდილი რა-
ინდი, ისიც წმინდა სისხლის დიდბუნაუ-
რი მეფე-დედოფალთა და მანდილოსან-
თა წინაშე დათვრეს“.

სთქვა და მანდილოსნებს გადახედა.
როცა ამის გამო, არაფერ არაფერი სთქვა
განაგრძო:

„მოგესხენებათ, კულტურა სულისა
ენებათა დაოკებაა უწინარეს ყოვლისა,
თუ ეს არ გაგვანია, მაშინ ჩვენ, აზნა-
ურები რითი განვსხვავდებით გლეხები-
სა და მონებისაგან, რომელნიც ძლომასა
და თრობას ისე მინებდებიან ხოლმე რო-
გორც ქურდობისა და მიტაცების ბნელ
ენებებს.“

„ახლა ხომ იგემეს ჯვაროსნება თუ
რა ძნელი ყოფილა ისლამურ ვეშაპის წი-
ნაალმდეგ ბრძოლა...“ სთქვა ნიკომედი-
ელმა ილარიონმა, რომელიც ბოსტანში
შეპარვულ ზღარბივით მისდგომოდა ხა-
რისბეჭის წილამურებს.“

„ქსერიგორდონთან მე და ჩემს კოპო-
რტებს რომ არ მიგვესწრო, თხის არვესა-
ვით გაიგდებდნენ მათ სულტან სოლიმა-
ნის მონასპანი.“ დასძინა ნოტარმა.

„ქეშმარიტად, ქეშმარიტად“ კვერი
დაპყრა ევხაიტის ეპისკოპოსმა. ჩვენ რომ
წინ არ გადავლობოდით, მალიქმა და
ალფ-არსლანი რომსა და პარიზს უწევ-
დნენ და კათოლიკური ქვეყნები მაშინ
ნახავდნენ თავიანთ სეირს. რომის პაპი

კრუხივით ჩამგდარა თავის ჭატიკანში
და ანგელოზის ხილზე ¹ არაგაქმლავდას
შემდეგ რაც ჯვაროსნულ ღმრთობა დაიწყო.

ჩვენი მღვდელმთავრები ჯაქვის პე-
რანგს ეიცვამდით და ისე ვებრძოდით
უსჯულო სულჯუებს.

ნაცვლად იმისა, რომ სულტან მოჰა-
მედს, ამირ ილაზისა და მელოქ-ლაზის
ებრძოლონ, ბოქემუნდი და ბალდვინი,
იმპერატორს, ალექსი კომნენს უწყობენ
ხვანჯებს.“

შზარეულთხუცესმა ყვითელი კალ-
მახი მოატანინა სუფრაზე. ეპისკოპოსზე-
ბი პოლიტიკას მიეშვენ და ყვითელი
კალმახის ქება დაიწყეს. სტრატეგი ნო-
ტარი განსაკუთრებით აღიდებდა ამ კალ-
მახს.

„ასეთი კალმახი ჯერ არსად მინახავს.
იშვიათობა ამშვენებს არა მარტო დია-
ცის სილამაზეს, ყოველ საგანს, ყოველ
არსებას. ოქრო არსებითად ვერცხლზე
უფრო ლამაზი როდია, მაგრამ მისი იშ-
ვიათობაა ამ მეტალის უპირველესი სა-
კული.“

როცა მახარამ ამცნო სტუმრებს: და-
ვით მეფემ ყვითელი კალმახი კოლხეთის
წყლებშიაც მოაშენებინაო, ეპიფანე
არამსმელი აღტაცებაში მოვიდა, სთქვა:

სევასტოს გიორგი თუ ზელს შეგვიწყ-
ობს, ბიზანტიონში წავიყვანოთო მოსა-
შენებლად ყვითელი კალმახი.

ნიკომედიელ ეპისკოპოსს მაინც და
მაინც არ უყვარდა თევზი, რადგან ერ-
თხელ მოიწამლა კიდევაც კალმახისა-
გან, ამიტომაც შეეცადა ფილოსოფიური
განხრა მიეცა საუბრისათვის.

ახლა მან ახსენა ის საშიშროება, რო-
მელიც მოელოდა მართლმადიდებელ ეკ-
ლესიას „იმ წარმართი“ პლატონის მოძ-
ღვრებისაგან. თანაც მოიგონა კონსტან-
ტინეპოლის პატრიარქსა და ფილოსო-
ფოს მიხეილ პსელოს შორის ამ საქმის
გამო ჩამოვარდნილი განხეთქილება.

„როცა ქსიფილინი საპატრიარხო
ტახტზე დაბრძანდა, მისდამი მიმართულ
მეგობრულ წერილში შეაქო პლატონი

¹ ანგელოზის ხილი — იგულისხმება ცნობილი
ხილი რომში, მდ. ტაბრიოსზე.

პსელოსმა, ამის საპასუხოდ მისმა უწმინდესობამ შეუთვალა პსელოსს: ისინი ვინც პლატონისეული მოძღვრებისადმი ცთუნებით არიან აღვსილი, ეკლესიიდან უნდა განიკვეთონ ვითარცა მწვალებელნი.“

ღირბელმა მაქსიმემ ყვრიმალთან ტუჩპირი მიუტანა მახარას და წასჩურჩულა:

„არ იქნებოდა ურიგო მახარა ბატონო, ამ ამბავს აუწყებდე დავით მეფესა და ნინია ბაქურიანსაც.“

მახარა აიღეწა ამის გამგონე და მკვახედ მიახალა ეპისკოპოსს:

„არც ის იქნებოდა ურიგო ბერო, შენს ხარკებს მიხედავდე როგორმე.“

ღირბელი ეპისკოპოზი ჩუმჩუმად ეძალბოდა წითელ მუხრანულს, მაგრამ მინც მიხედა თავხედობა რომ გამოუვიდა, ახლა უკუქცევას დაადგა და მოკრძალებულად მიუგო საქურისს:

„რომელი ხარკები? რასა ბრძანებ უფლისწულო, ბატონო?“

მახარას დაედილი ჰქონდა: სასახლეში მხოლოდ მლიქვნელები უწოდებდნენ მას „უფლისწულს“ და აგრე მიუგო:

„თუნდაც მცხეთელ იღუმენიას, შენს თემოსქელ ანასტასიას, ჰი, ჰი... ალბათ სჯულის კანონში წაკითხული გექნება: ბერმან, რომელმან ისიძეოს, შვიდ წელს უზიარებელ იყოს.“

მაქსიმე ღირბელი ჯერ გაწითლდა, მერმე გადაფითრდა.

მარიამ დედოფალმა შეატყო თუ რა ძალა გამოიჩინა მუხრანულმა წითელმა. მამაკაცებმა უმატეს ხმამაღლა ლაპარაკსა და სიცილს.

ბასილისსამ კარგად იცოდა როგორც კი ღვინოში შევიდოდნენ ბერძნები, მყისვე დაიწყებდნენ უშვერ ოხუნჯობას, ამიტომაც უგუნებობა მოიზოდინა, დიოფალი და გვანცა აიყოლია და დასტოვა დარბაზი.

ამ ამბავმა გაახარა კუროპალატისსა მელიტა, მასაც უკვე საკმაოდ შეფაკლული ჰქონდა დაწვები, მის აღტყინებულ

კისკისს ხალისი შეჰქონდა ყველ უბიკურელთა ღრეობად ქცეულ ზეგონებში. გიორგი მეფემ სმენა წამტანა მახარასა და ღირბელ ეპისკოპოსს შორის ჩამოვარდნილ კენწლათბას. ჯერ უსიამოდ აწკიბა წარბები, მერმე მესტუმრეთუხუცესს წამუყო და უჩურჩულა:

„შეახსენე მახარას: სტუმარი ღვთისათჳო.“

ამ შეგონებას თითქმის ხმამაღლა უპასუხა მახარამ:

„ზოგი ღვთისააო და ზოგიც სატანისა. ეპიტანე არამსმელი გამოესარჩლა პლატონს.“

„რასა ბრძანებ იმპერტიმ, კლემენტი აღექსანდრიელი „ატიკელ მოსეს“ უწოდებდა პლატონს. ცნობილია, მან ერთი ციტატი მოიტანა პლატონის კრიტიკიდან და მის ავტორს შეარქვა ზეშთაგონებული მიჯნური ქეშმარიტებისა.“

ახლა ეგვიპტის ეპისკოპოზი ჩაება პაექრობაში:

„მაქსიმე აღმსარებელი რად დაგავიწყდა იმპერტიმ? მაქსიმე თავის „ეფელაია თეოლოგია“-ში სამღვთო წერილის ციტატებთან ერთად იშველიებს არისტოტელისა და პლატონის აზრებს.“

გიორგი მეფეს მოსწყინდა ფილოსოფიური პაექრობა, ამიტომაც უთხრა ნოტარს:

„მთელი ქვეყანა მოვლილი მაქვს სტრატეგო, ბარე ეს გვითხარი ყველა ხალხი ეტანება ღვინოს, არა? ნოტარს შექება იამი და სთქვა: „სვამენო? და მერმე როგორ? სევასტოს ბატონო!“ გიორგიმ მხოლოდ ახლა შენიშნა თუ როგორ უხტოდა საუბრის დროს ადამისეული ვაშლი აღმა და დაღმა ყელზე, გრძელკისერა, თავაწეულ ნოტარს.

„მთელი სამყარო სვამს, როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური, მაგრამ ეგაა: ღვინო, ხელოვნება და მიჯნურობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ბაზარზე გატანილი არც ერთი მათგანი არ ვარგა. მეჯადაგეებსა და მეხამლეებს სტრიადა არც ესაქიროება, არა?“

მედეა კახიძე



გზა ღიქით და ფათალოთი გაბადრულა,
ორღობეში გამართულა ტაშფანდურა.
ჩიტბატონა შიშით ბარდში გათანგულა,
ზეცა არის ბროწეული ათასგულა.

გულს მინგრევენ დოლისა და ტაშის
ხმები,
გავალ წრეში ალვის ტანად დავირხვევი.
ვიდრე ძირი არ გასცვდება
ფეხსაცმელებს,
გაფრენილ გულს ვერაფერი შეაჩერებს.

მერე როცა მე და ზეცა მორიდებით,
ვარსკვლავების გულქანდებით
მოვირთვებით.
ორღობეში ნასაყდრალის მოსახვევში
გამოჩნდება დედაჩემი ჯოხით ხელში.

ნუთუ დედა დაივიწყებს სიყმაწვილს
და სახლამდე შეინდის წკებლით
მიმაცილებს.
ჩიტის გული კოკასავით გამებზარა,
ვამ თუ დედამ დამიძახოს აბეზარა.

თვალს ჩავუკრავ, მედოლე დოლს
გაახურებს,
მე ვეცევა და ვემსგავსები
ნაბახურეს.
ლამის არის გადავრიო ტოლსწორები,
კაბუკები თვალს მიკრავენ მოწონებით,
დედაჩემი მთვარესავით გაბადრულა,
ზეცა არის ბროწეული ათასგულა.
შეინდის წკებლა დედის ხელში
გათანგულა,
ზეცას სწვდება ჩემის გულის
ტაშფანდურა.

ტყის ზღაპარი

ტოლებს არ მოვუცადე,
გულმა ტყისკენ გამწვია,
უკან დამრჩა ციცაბო,
ლეღეს შევხვდი პაწიას.

მომყვებოდნენ წნორები,
მივდიოდი ხევდახევ,
ტყეში ჩემი ტოლები
მეძახდნენ და მეძახდნენ.

ისევ დავყე ლელიანს,
შინ ჩვენები მელიან,
უპ, სირბილში რამდენი
მარწყვი გამითელია.

სადღაც თოფმა იჭექა,
მერე ნაცნობ ღიქებთან

ტანლატანა ფიქვებში
ორბი გადაიჩეხა.

ვიდექ ელდანაკრავი,
წასვლას ვერა ვებედავი,
იღვა ბორცვზე შემდგარი
თოფიანი მხედარი.

არც დარჩენა მეწადა,
არც გაქცევა მინდოდა,
არც გაქცევა მინდოდა,
შუქი მიცემდა მინდოროთა.

და ჩემს ფერხთით ეყარა
ძნელად დასაკარგები,
მკერდდაპრილი კაკები,
დასისხლული კაბებით.



იციოდნენ ველები,
შრიალბდნენ თელები,
თქვენს ყურებას რა სჯობსო,
აგრემც შემოგველებით.

მუხამ მინდორს გასაძახა:
ყვავილებო, სადა ხართ?
საქორწინოდ დასწანით

გვირგვინები ერთფერი,
იპოვაო ჭაბუკმა
დაკარგული ეთერი.

მოგვევებოდნენ წნორები,
მივდიოდით ხევდახევე,
ტყეში ჩემი ტოლები
მეძახდნენ და მეძახდნენ...

ჩემზე ფიქრები ჰქანცავენ
უცვლიან ფერს და იერს,
მე ის ჭაბუკი ვაწამე,
მე ის ჭაბუკი ვძლიე.

და ჩემს მარაო წამწამებს
მე მას არ ვუბრი კდემით,
ვარხეე ლამისფერ ნაწნავებს
და თვითონ მიცვირს ჩემი.

მინდოდეს, ზღვები გაკაფოს,
ციდან მომიწყვეტს ვარსკვლავს,
დარდობს ლომივით ვაყკაცი,
არავინ იცის, რა კლავს.

დავდივარ ვარხეე წამწამებს,
არ ვიცვლი ფერს და იერს,
მე ის ჭაბუკი ვაწამე
მე ის ვაყკაცი ვძლიე.



ქეთვლეცა*

რომანი

თავი მესამე

1

თბილისში შემოდგომის მშვიდი დღე გათენდა.

გინეკოლოგიური კლინიკის მომცრო პალატაში სარკმელთან დადგმულ საწოლზე პირადმა გაწოლილი თამარი ბაღს გაჰყურებდა. დინჯად ირხეოდნენ ხეები. შეყვითლებული ფოთლები ფრიადით ეშვებოდნენ ძირს და თითქოს ამას ნანობენო, კენწეროებს აქეთ-იქით აქნევდნენ ხეები, ზოგჯერ ერთბაშად აშრილდებოდნენ, რტოებს ხელებივით მიაწვდიდნენ ერთმანეთს და ჩურჩულდებდნენ: „ნუთუ აღარაა საშველი, ნუთუ ასე დამშვიდებით უნდა ველოდოთ, სანამ სამოსი შემოგვაცვდება, გავიძარცვებით და გავტიტვლდებით?“ და თრთოდნენ, ცახცახებდნენ ფოთლები.

თვითონაც ასევე უძლურად გრძნობდა ახლა თავს ფერმიხდილი თამარი, როცა გინეკოლოგიურ კლინიკის ეზოში ბაღს მისჩერებოდა. როგორ აგონებდა ეს გაძრკენილი ბაღი თავისთავს, თავის ცხოვრებას, უკუღმართად შემოტრიალებულ ყისმათს!.. რამდენი რამ იფიქრა, რამდენი რა მოიგონა მან აქ, ამ ხმელ, უსულგულო სარეცელზე. რამდენი რამ ინატრა, გარდა სიკვდილისა, მაგრამ ასრულება კი უწერია რომელიმე მათგანს? თამარს თვითონვე უკვირდა: დარჩა კი ქვეყანაზე ისეთი რამ, რაც შეიძლება გულისით უნდოდეს თამარს? არა, არაფერი

აღარ არის ქვეყანაზე, ამ ხმელი სარეცელის გარდა. მოიგონა ის დღე, როცა თამაზი მივიდა მასთან. მაგრამ ქვასავით უტყვი იყო. საკუთარი ღირსების შეგნებას გამოხატავდა მისი სახე. მერე წავიდა. სიტყვაც არ უთქვამს. ლევანიც გაჰყვა, მისი უფროსი ძმა. ოთხაში დარჩა სიჩუმე, თამარის გულში — სევდა, მწუხარება და სინანული. მაინც ბედნიერია, თამაზმა რომ ინახულა, ერთხელ კიდევ, ალბათ უკანასკნელად, შემოდგა ფეხი მის ოთახში... არც ნინოს და ანიკოს ამოუღიათ ხმა. ის დამე უფრო მშვიდად გაატარა. მეორე დღესაც, დილიდანვე თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ საღამოს? საღამოს მუცლის ტკივილი იგრძნო. ექიმი შემოვიდა. ავადმყოფის გასინჯვა რომ მოათავა, ხელი ჩაიქნია და წამოიძახა: „ბავშვი მოუწყდა!“ „ეს რა სიტყვით ექიმო?“ — მიამახა ელდანაცემმა ნინომ და ვაგიცებულებით მიეჭრა ექიმს. ო, როგორი თვალებით მისჩერებოდა ნინო იმ ექიმს.. ახლაც არ ეშვებინ თამარს უფროსი დის გამგმირავი თვალები. თითქოს მაშინაც კი შემოჰყურებდნენ ისინი, როცა საოპერაციო მაგიდაზე იწვა და აუტანელ ტკივილებს გრძნობდა... ჰო, მერე ალბათ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საქირო იყო. თამარს არ ახსოვს... ალბათ მოდიოდნენ, მაინც აკითხავდნენ.. მან მეზობლად მდგომ დაცარიელებულ საწოლს გადახედა. იქ იწვა ქალი, მან

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6.

შვილი შობა. მშობიარობის სასტიკი ტკივილების შემდეგ ახლად შობილს ისე დასჩერებოდა, თითქოს არასოდეს არავითარი სატიკი არა ჰქონოდა. რაღაც გამოუთქმელი შეებით უღიმოდა დედა ამქვეყნად პირველად თვალახელილ ჩვილს. მერე ქალმა შვილი ბარტყივით ჩაისვა ჯულში და ისე წავიდა... თამარს კი იმ პირველი ტკივილების შემდეგ, გულში უფრო სასტიკი სატიკივარი ჩარჩა.

ახლა სიწყნარეა. ყველგან სიწყნარეა. აქ, ამ პალატაში, ბაღში და მის მისუსტებულ სხეულშიაც. ასეთი სიწყნარე თითქოს არასოდეს უნახავს. ის თითქოს ყველაფერს შერიგებია, მოუთავებია სინდისის ქენჯნა, დამცირების აუტანელი გრძნობა, შეურაცხყოფა და სინანული. „მოუთავებია“ და ისე, როგორც ბუნება გრიგალის შემდეგ, დამშვიდებულა, თუმცა არაფერი იცის, სანამ გაგრძელდება ეს უსულგულო, ყოველგვარ სასიცოცხლო ინტერესს მოკლებული „სიმშვიდე“. ზოგჯერ წამით გადაიხედვდა ამ მოჩვენებითი სიმშვიდის იქით, მაგრამ იმდენად აუტანელად ეჩვენებოდა ყველაფერი, რომ აღარ სურდა რაიმეს დანახვა, ცდილობდა, არც არასოდეს დაენახა. ამიტომ ისევ მშვიდად მოშრიალე ბაღს მიაპყრო თვალი და შეეცადა, თავის ბედს ამ ბაღივით შერიგებოდა. ამით მას თავის მოტყუება უნდოდა, მაგრამ სინამდვილეს მკაცრი თვალეზი აქვს და მისი ცდა უშედეგოდ რჩებოდა. აბა სად უნდა გაპყროდა საკუთარ თავს! საღადაც, გონების კუნჭულში, უნებლიეთ მისი დღევანდელი მდგომარეობის სურათი გაიფიქრებდა. მაშინ უეცრად შეკრთებოდა გული მტკივნეულად შეკუმშვებოდა, თვალს მილულავდა, რომ ისევ რაიმე ახალი ელუზიით დაეცხრო ტკივილი. ასეთი ბრძოლა გრძელდებოდა თამარის სულში და ბოლო დროს ისეთი აზრიც ებადებოდა, რომ მისი სიცოცხლე უკვე აღარავისთვის იყო საჭირო, ანიკომ და ნინოზაც კი დაივიწყეს, შეიძულეს და, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ მოეღის, უკვე, შესაძლოა, აღარ ინახუ-

ლონ აქ, მისი სახელის საქვეყნოდ გამოტეხ გინეკოლოგიურ კლინიკაში, ეცოდეს მაინც, რა ხდება გატყუებული მშობრ აფასებს მის საქციელს. ალბათ ყველამ იცის, მთელმა ქვეყანამ იცის, რაც მოხდა. ნაცნობი თუ უცნობი მის მარცხზე ლაპარაკობს, ლაზლიანდარობს, ჭილიკობს. ქალაქიდან ქალაქში მიჰქრიან დეპეშები, წყრიალებს ტელეფონი და სულ ისმის: თამარი! თამარი! თავშესაქცევი საქმე გაუჩნდა ყველას. თამარი კი აქ არის, ამ პატარა ოთახის ოთხ კედელს შორის ჩაკეტილი და მხოლოდ ბაღის შრიალი ესმის. საღადა მისი ახალგაზრდული ოცნება შეუბღალავ ნამუსზე, სასახელო საქმეებზე, ოჯახზე, რომლის შექმნაზე იმ გვარი სასოებით ფიქრობდა. ყოველივე ეს უკან მოტოვებულია ახლა. განსაცდელიც კი უკან დარჩა, თუმცა მაინც უძნელდებოდა სულის სიმშვიდის შენარჩუნება. „ისიღორე?“ „თამარი?“ — ზოგჯერ ეს სახელები გაიფიქრებდნენ მის გონებაში, თუმცა არავითარი აზრი ამ სახელებს მისთვის აღარ ჰქონდა, რადგან დასრულებულად მიიჩნდა ყველაფერი.

„ხელში რა შემარჩა?“ — გაიფიქრა და ხელზე დაიხედა. ხელში არაფერი ექიჩა და თავი ინუგეშა: „არაფერი მაქვს, არცაა საჭირო, რადგან გული ცარიელია“ დიხს, ის, ერთი მხრივ, ასეთი „სიცარიელით“ კმაყოფილიც იყო, მეორე მხრივ, ეს სიცარიელე ლოდზე მძიმედაც ეჩვენებოდა. მხოლოდ რამდენიმე საათი გასულიყო, რაც ამ პალატიდან დედამ საკუთარი სულისა და ხორცის ნაწილი ცხოვრებაში საფრენად წაიყვანა. თვითონაც წავა აქედან, მაგრამ ხელცარიელი, გულითაც დაცარიელებული, თუმცა მთავარი ისაა, რაც თვით ცხოვრებაში დახვდება, — იქ, საღადა ხალხია, ნაცნობებია, ნათესავებია და მეგობრები. მეგობრები? განა შერჩა მას მეგობარი? განა ოდესმე შესაძლოა ნამდვილი მეგობარი გაუჩნდეს? „რატომაც არა? მეგობარი მყავდა და მეყოლება. განა გენრიეტა ჩემი მეგობარი არ იყო? ახლა უფრო მიმიღებს და უკეთესი მეგობარიც

იქნება, — დასცინა თავის თავს და ხელს, თვალთან ეკრანივით რომ აღეშარათა, ისე მიაჩერდა, თითქოს იქ შეეძლებოდა დაენახა მომავალი ცხოვრების აუკარგი. ამ გამხდარ, უფერულ ხელს მისთვის არაფერის თქმა არ შეეძლო. ამიტომ ისევ ბაღს მიაპყრო თვალი და მის შრიალს ყური დაუგდო: შემოდგომის მოსვლაზე ჩურჩულებდა ბაღი, სევდის მომგვრელ შემოდგომაზე! თამარის გული კი რაღაც უფრო მწვავე სევდას გაეჭვავებინა და გაეყინა.

ლამდებოდა.

ბინდი თანდათან იპყრობდა ბაღს.

თითქოს სუნთქვა შეაჩერაო, აღარც შრიალებდა ბაღი, აღარც იძვროდა. ნამდვილი სიმარტოვე მხოლოდ ახლა იგრძნო თამარმა. თითქოს თვითონაც სუნთქვა შეუწყდაო, წრიალებდა, წყლის სმას მოუხშირა, წამოიწია, ლოგინში წამოჯდა. ვერც აგრე მოისვენა და მერე ისევ წამოწია.

ამ დროს კარი უხმოდ გაიღო. ოთახში ნინო შემოვიდა. მას ხელში რაღაც ნაკრული ეჭირა. ეს ნაკრულიც უხმოდ დადო თამარის საწოლზე და ხმადაბლა თქვა:

— ჩაიცე.

თამარს ჩვეულებრივზე უფრო ცივად შემოესმა ნინოს ხმა, თუმცა მისმა მოსვლამ მაინც გამოაცოცხლა. ჩაემას შეუდგა. ბევრი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ იცოდა, როგორ იყო ნინო გამწარებული და ღუმელშიაც როგორ გულისწყრომას გამოთქვამდნენ მისი თვალები. ამიტომ თვითონაც ღუმელი ამჯობინა. იატაკზე რომ ფეხი დაადგა, წაბარბაცდა, კინალამ დაეცა. გრძნობდა, რაიმეს თქმა მაინც აუცილებელი იყო, ამიტომ, უხერხული ღუმელი რომ დაერღვია, ისეთ სიტყვას ეძებდა მის სატყვიარს რომ არ შეეხებოდა. გაღებულ სარკმელში გადაიხედა და სათქმელიც პოვა:

— დაღამებულა.

— შენთვის ღამეში სიარული სჯობს, ცოტათი დაგუარავს. ასე გვიან ამიტომ მოვედი, — თამარისათვის არც შეუხე-

დაეს, ისე, თითქოს თავისთვის წარმოთქვა ნინომ.

„ღამეც კი ჩემი მფარველი სყოფილა და რაღა მიჭირს“, — გაიფიქრა თამარმა.

ჩაცმა მოთავებულიც არ ჰქონდა, რომ ჩვილის ტირილი შემოესმა. თეთრ ხალათთან მომვლელ ქალს ვიღაც ახალგაზრდა, შავგვრემანი ქალი მიჰყვებოდა. ამ ქალს სუფთა საბანში საგულდაგულოდ გახვეული ჩვილი გულში ჩაეკრა და თვალდაცეცებით დასჩერებოდა, არწევდა ხელში, უაღერსებდა, ამშვიდებდა.

— ნანა, ნანა! დაიძინე, ჩემო პატარავ! — ამ ქალს ეტყობოდა, რომ ახლა, ამ წუთში, არათუ ნინოსა და თამარს არ ხედავდა, ქვეყნად ამ ჩვილის გარდა, აღარავინ ახსოვდა.

თამარი გააბრაზა, გააანჩხლა ღედაშვილის ხმამ: იმ დღით ღედამ თავისი ახლადშობილით ხელში დატოვა ეს პალატა და ახლა უკვე მეორე განხდა. ერთი წინ წავიდა, მეორე კი უკან მიჰყვებოდა. ამ გაბრაზებამ ძალა შეჰმატა, პალატიდან გამოვიდა და ფეხს აუჩქარა.

ნინო უკან გამოჰყვა.

ქვევით რომ ჩავიდნენ, თამარი შედგა, უნდოდა ნინოსათვის რამე ეკითხა, მაგრამ ნინომ დაასწრო:

— წადი პირდაპირ და გარეთ ტაქსში ჩაჯექი.

თამარი გრძნობდა, რომ აქ კლინიკის თანამშრომლები და ვიღაც სხვა, უცნობი ადამიანებიც მისჩერებოდნენ, მაგრამ თვითონ აღარავის უცქეროდა, თითქოს იმიტომ, რომ, თუ თვითონ არავის დაინახავდა, ვერც სხვები დაინახავდნენ და ვერც იცნობდნენ. ამიტომ გვერდზე გაუხედავად გასასვლელი კარისაკენ ფარფატით გაემართა. აგერ, სამშობიარო სახლის შიშვე კარი უკან მოიტოვა, გავიდა გარეთ და კიბის ქვემოთ პატარა მოედანზე შეჩერებული ტაქსი შენიშნა. იქით გაემართა. შოფრისათვის ხმაც არ გაუცია, მანქანაში ისე შევიდა „მოვშორდი, ველირსე;“ — შევებით გაიფიქრა და მანქანის კუთხეში მიწვა.

თავი უკან გადაეწია, თვალი მოეხუჭა,

მძიმედ სუნთქავდა. წინა კარი რომ გაიღო, მიხვდა, ნინოც დაჯდაო. მანქანა დაიძრა. ახლა ნახევრად მოხუჭული თვალით გასცქეროდა ქალაქს. ქუჩები, სახლები თუ ადამიანები ერთმანეთში გათქვეფილიყვნენ. აღარც სურდა ერთიმეორისაგან გაერჩია ისინი, რადგან არც ერთს, არც მეორესა და არც მესამეს მისთვის არავითარი მნიშვნელობა ახლა არ ჰქონდა.

მანქანა შედგა. თამარი მიხვდა, მივედითო, თვალი გაახილა, კარი გააღო და ჩამოვიდა.

ნინომ შოფერი გაისტუმრა და წინ გაემართა.

თამარი მიჰყვა. კიბეზე ჩქარი ნაბიჯით ამაველი ნინოს ფეხისხმა მუქარად ესმოდა თამარს და ეს ხმა ტვინში ურტყამდა. ნაბიჯი უმძიმდა. ისიდორესთან უკანასკნელი შეხვედრის სურათი დაუდგა თვალწინ და თითქოს მისი ხმაც გაიგონა. აქამდე გაყინული მისი გული შეირბა. სახელურს დაეყრდნო. კარს მიაპყრო თვალი. ნინოს ლიად დაეტოვებინა. ახლა ის შევა ამ კარში, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, შეაღწევს. იძალა. სუნთქვაშეკრულმა გადააბიჯა კარის ღირეს; აქ რაიმეს შეთვალეირების ძალა აღარ ჰქონდა.

ტახტზე დაეშვა. თავზე ხელები შემოიწყყო, საკუთარ ფეხებს დააჩერდა; ახლალა მიხვდა, კარგა ხნის ჩაუტყეული ფეხსაცმელები რომ უქერდა. გაიხადა. იქვე მიჰყარა. მერე ხელები მიიფარა სახეზე. საიდანღაც კანტიკუნტად ესმოდა ნინოს ფეხისხმა, მაგრამ ნინოსათვის სახეში შეხედვა ახლა უფრო უმძიმდა, ვიდრე ოდესმე. ამიტომ თვითონაც მალავდა სახეს და ნინოს სიტყვას ტყვიანავით ელოდა.

ფეხისხმა მოახლოვდა. თამარმა იგრძნო, ნინო ჩემთან მოდისო, და გაიტრუნა. რა სასტიკიც არ უნდა ყოფილიყო ნინოს სიტყვები, მზად იყო მიეღო, აეტანა და უფროს დისათვის საყვედურიც არ გაეზებდა. „ყოველგვარი სასჯელის ღირსი ვარ და რაც შეკეთვნის

იმზე ცუდს ნინო მაინც ვერაფერს მეტყვისო“, — ფიქრობდა თამარი.

— გეყოფა. თავი რომ დამალო, მშენი საქმეები ისედაც ჩანს. რაც მოკვდა არ გაცოცხლდება. რაც იყავ, ვერასოდეს იქნები, მაგრამ თავს მაინც უნდა მიხედო. როგორც ქალიშვილმა, თუ ფასი დაკარგე, საჭიროა საქმე გაიჩინო და ამქვეყნად რაიმე აკეთო. წადი სოფელში, იქ საქმე ბევრია და თუ ივარგებ, დაგათასებენ. მე დღესვე კახეთში უნდა გავემგზავრო, შენ კი ზუთი დღე შეგძლია დარჩე ქალაქში, სანამ ცოტათი მომკობინდები და მერე წადი სოფელში. შენი საგმირო საქმეებისა დედამ არაფერი იცის, ძველებურად მიგიღებს და შენც წარმოიდგენ, რომ ისევ ის ხარ, რაც ქალიშვილობაში იყავი.

— მაკმარე, ნინო. ყოველგვარი დასჯის ღირსი ვარ, მაგრამ მაინც მაკმარე, — წარმოთქვა თამარმა და ცრემლი მოერია.

განსაცდელში ჩავარდნილი უმცროსი დის ტირილი რომ შემოესმა, ნინოს გული მოუტყვდა, მაგრამ თავი შეიკავა და ხმა არ გასცა; იტიროს, დაე, გულის სიღრმემდე განიცადოს და იგრძნოს თავისი დანაშაულის მთელი სიმწვავე, კიდევ უფრო ძლიერი ტყვიელი იგრძნოს, ვიდრე მან სხვას მიაყენა და ამით უფრო მიხვდება, რა დიდი დანაშაული ჩაიდინა“, — ფიქრობდა ნინო.

თამარი კი ნინოსაგან ასეთ გულცივობას არ მოელოდა. ის მიჩვეული იყო და ახლაც ეგონა, რომ უფროსი და რაიმე სანუგეშო სიტყვას ეტყოდა, მაგრამ, რაკი ასეთს ვეღარ ეღიბსა, უფრო დიდ სასოწარკვეთილებას მიეცა, — ტახტზე პირქვე დაემხო და გვითინი მოართო.

— კმარა! — სასტიკად დაუყვირა თვითონაც გულაჩუყებულმა ნინომ, დაუყვირა არა მარტო ემიტომ, რომ ამით თამარი სასოწარკვეთილებიდან გამოეყვანა, არამედ იმიტომაც რომ თვითონაც სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყო.

მართლაც, ნინოს მკაცრ შემახილზე თამარმა უეცრად შეწყვიტა ქეთინი, თავი ასწია, ცრემლიანი თვალები თითქოს გაუშეშდა. ნინოს სიტყვების გაგრძელებას ელოდა, რომ შეემოწმებინა, ის მართლა ნინო იყო, მისდამი მუდამ გულკეთილი უფროსი და თუ ვინმე სხვა უცხო... თანაც მის ამგვარ გამოხედვაში ტირილზე მეტი ტანჯვა მოჩანდა.

ახლა ველარც ნინომ გაუძლო თამარის გამოხედვას, გული მტკივნეულად შეუქანდა, შეეშინდა, თამარმა უარესი არაფერი ჩაიდინოსო, თავი მთლად არ დაიღუპოსო და გვერდით მოუჯდა.

— მარცხმა ქეუა უნდა გასწავლოს. ვგრძნობ, ჩემი დარიცხვა შენ არასოდეს გესმოდა, მაგრამ ამ წამხდარ საქმეზე მაინც დამოჯერე, ცხოვრებაში რომ გზა გაიკვლიო. ყველაფერი დარვიწყე, რაც იყო, ისე იფიქრე, თითქოს ახლა შეუდექი სულ სხვა ცხოვრებას. რაიმე საქმეს მოჰკიდე ხელი. ყურადღებას იმას ნუ მიჰქცევ, საქმე დიდი იქნება თუ პატარა. სადაც დიდი საქმე კეთდება, იქ პატარაც უნდა გაკეთდეს და მოვალეობა მოხდელი გექნება, თუ ერთი ადამიანის ადგილს სადმე დაიქერ. მთავარია, იშრომო მხოლოდ სიყვარულით. მაშინ არსებობის ინტერესი და მიზანიც გაჩნდება.

თამარი მოეშვა. მისი რალაც ცუდი განზრახვის მაუწყებელი გამომეტყველებაც უეცრად გაქრა. უხმოდ წამოდგა. ცრემლები მოიწმინდა. ახლა სარკეშიც კი ჩაიხედა და გაისწორა დამალილი თმა.

— კარგი, ვეცდები დავიწყო სხვანაირი ცხოვრება, — უთხრა ნინოს და მას მხოლოდ ახლა შეხედა სახეში.

II

სკოლის ეზოში მოსწავლეების ძრიაბული აღარ წყდებოდა. ადრე, დილიდანვე დაიწყეს აქ მოსვლა მოსწავლეებმა. მშობლების თანხლებით მოდიოდნენ ისინიც, ვისაც დღეს პირველად

უნდა შეეღო სკოლის კარი. მშობლები სიყვარულით ადევნებდნენ თავის თავიანთ პატარებს, რომლებიც ჯერ კიდევ მორცხვობდნენ და ერთმანეთთან გამოლაპარაკებაც კი ვერ გაებედათ.

სკოლის ქიშკართან ყურის წამლები ძრიაბული ატყდა. ბავშვები ვილიცას მიესივნენ. ბოლოს გზა მისცეს ახლადმოსულს. ეს ლევანი იყო. თან ერთი პატარა, წითელკბიანი გოგონა მოჰყავდა, მარჯვნივ და მარცხნივ ესალმებოდა მისი დანახვით უზომოდ გახარებულ მოსწავლეებს. ამასობაში სამსწავლებლოშიაც შეიჭრა ლევანის მოსვლის ამბავი. „რა საოცარია, როგორ უყვართ ბავშვებს!“ — ამბობდა ერთი მოსწავლებელი. „თითონაც ბავშვით გული აქვს და იმიტომ, — უბასუხებდა მეორე, — დიდთან დიდი, პატარასთან — პატარა“.

„თან უყვართ და თან ეშინიათ. მოსწავლეებს მაგისი...“ — განაგრძობდა ხმამაღლა ფიქრს, ის ვინც სიტყვა ჩამოაგდო ლევანზე.

ღერგფანში ბავშვებით გარშემორტყმული ლევანი გამოჩნდა. იდგა ერთი ყოყინა და სიცილ-ხარხარი. თვითონ ლევანიც იცინოდა.

სამსწავლებლოს წინ ახალგაზრდა ქალი შემოხვდა ლევანს, თვალი მის პატარა თანამგზავრზე შეაჩერა, მერე ლევანს შეხედა:

— გამარჯობათ, პატივცემულო ლევან... ეს არის? — გოგონაზე ანიშნა მან.

— ოჰ, ქეთინო! გამარჯობა. ის არის, ის, ჩემი პატარა მეზობელი, ცისანა... აი, გაიცანიოთ და წაიყვანეთ. დღეიდან თქვენი მოსწავლე იქნება...

მუდამ თამამი ცისანა მორცხვობდა, მალულად უმზერდა ქეთინოს, თავჩაღუნული ლევანს ეფარებოდა.

— ჩამბარეთ და ჩვენ მოვეწყობით, — გაიღიმა ქეთინომ, ბავშვს ხელი ჩაავლო და თან გაიტაცა.

ლევანი რომ თავის კაბინეტში შევიდა, ფანჯრები გააღო.

სუფთა ჰაერით აივსო ოთახი.

„იწყება ცხოვრება. სკოლაში მოსულ ახალ სტუმრებს ახალი ჰაერი უნდა დაუხედეს“, — გაიფიქრა მან.

დღის ბოლოს ისევ თავის კაბინეტში დაბრუნებულ ლევანს მასწავლებლებთან გაება ბაასი. პირველი დღის შთაბეჭდილებებზე ეკითხებოდა ყველა. ამ დროს მან ღია სარკმელის წინ შეჩერებული ცისანა შენიშნა.

გოგონა რალაც გაუბედავად მიჩერებოდა.

„გულდაწყვეტილია, რომ ხმა არ გავეცი“, — გაიფიქრა ლევანმა, ველარ მოითმინა, სარკმელთან მივიდა, დაუძახა:

— მოდი, ცისანა, შინ ერთად წავიდეთ, — ხელი დაუქნია მან გოგონას. რამდენიმე წუთის შემდეგ ლევანი და ცისანა შინ ერთად წავიდნენ.

კბე რომ აიარეს, ცისანამ ელემტროზარის ღილს დააკრა თითი.

— დედი, მოვედით! კარი გაგვიღეთ! — დაიძახა თანაც.

კარი გაიღო, გახარებულმა დედამ ცისანა ხელში აიყვანა.

— ძია ლევანი მამის მაგიერობას ვიწვევს, შვილო, და აბა შენ იცი, ამაგს თუ არ დაუქარგავ.

— მამის მაგიერობას ცისანას ვერავინ გაუწევს, მაგრამ... — სიტყვა არ დაასრულა ლევანმა და გაბრუნდა, თავის ოთახში ქოშინით შევიდა, საქალაღე მაგიდაზე დადო, სარკმელი გააღო, „მამის მაგიერი“ — თავის გულში კვლავ გაიმეორა და ცისანას მამა, სიცოცხლით სავსე, წარმოსადგე ვაჟკაცი წარმოიდგინა, თითქოს მისი ლაილი სიცილიც მოესმა. როცა ომი დაიწყო, ის წაიყვანეს. მალე ერთმა პატარა ღებეშამ მოიტანა მისი ამბავი: „გმირულად დაიღუპა“, და ასე სამუდამოდ შეწყდა სიცოცხლით სავსე მეზობლის ხმა. მერე მის ბინაში კედლებმაც მოიწყინეს და მწუხარების შავი ფრთები ლევანის გულსაც შეეხო, მაგრამ მალე ჩიტის გალობა მოისმა. ეს ჩიტი ცისანა

იყო. გაუქმებულ საბუღალარში სიცოცხლის ახალი შზე ამობრწყინდა. მაგიდას მიუჯდა. სკოლაში საქმეებს ეცნობოდა. სწავლა დაიწყო და ლევანმაც თითქოს ახლა დაიწყო ნამდვილი სიცოცხლე.

... რამდენიმე დღის შემდეგ საღამოს, როცა ლევანი შინ მარტო იყო, ტელეფონის ზარი გაისმა. მაგიდასთან მიმჯდარი ლევანი შეკრთა. მილი აიღო:

— მე თქვენი ყოფილი მოსწავლე, გენრიეტა ვარ, — შემოესმა ლევანს.

— ჩემთან რა გნებაეთ?

— ვიცი, თქვენი ძმისა და მისი ყოფილი შეყვარებულის მდგომარეობა გაინტერესებთ. ამიტომ გირეკავთ. თამარს მუცელი მოეშალა, სამშობიარო სახლიდან გამოიყვანეს და შეგიძლიათ, შინ ინახულოთ.

ლევანს ბრაზი ყელში მოაწვა, გულზე ცეცხლი მოედო, რაიმეს თქმაც ვეღარ შეძლო და მილი დადო. „საზიზღრები!“ — გაიფიქრა, მერე გენრიეტას საქციელის გამო წამოიძახა:

— დაგვეცინოს!

ლევანმა იცოდა: თამარსა და თამაზს შორის უკვე ყველაფერი გათავებულ იყო. მაინც შეაწუხა თამარის ამბავმა. თამაზის მაგიერი, თვითონ იგრძნო შეურაცხყოფა.

დღემდე ლევანი არ იყო დარწმუნებული, თუ თამარი აგრე „შორს“ წავიდოდა. მაგრამ ახლა როგორ მოიქცეს, განა შესაძლებელია ეს სამარცხვინო ამბავი თამაზს აცნობოს? „არაა საქირო ისევ იმ ცეცხლის გაღვივება, შესაძლოა, კიდევ უფრო ძლიერის, თამაზის გულში ძლივს, ძლივს რომ მიხელდა. კმარა, მორჩა. თამაზმა რაც განიცადა ეყოფა“, — დაასკენა ლევანმა.

მაინც ვერ მოიხვეწა. დგებოდა, დადიოდა, დიდხანს წრიალებდა ოთახში, მაგრამ ნატყენი გული ვერ მოიშუშა.

ხუთი დღე გასულიყო, რაც ნინო კახეთში გაემგზავრა. ამიტომ ნინოსთვის მიცემული სიტყვა რომ არ გაეტეხა, თამარი ახლა იმაზე ფიქრობდა, წასულიყო სოფელში თუ აქვე, ქალაქში გაეჩინა რამე საქმე. სოფლისკენ გული აღარ უწევდა, ვერაფერს სასიკეთლოს ვერ წაიღებდა სოფლად და ისევ იქ დარჩენას ამჯობინებდა, სადაც ეს მარცხი მოუვიდა.

„სადაც დავეცი, თუ იქვე ვერ წამოვდექი, ვერასოდეს აედგები“ — ფიქრობდა თამარი. ნინოსთვის მიცემული სიტყვის გატეხა მაინც ვერ გადაეწყვიტა. ორი დღე გასულიყო, რაც სოფელში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ახლა კი მატარებლის ბილეთი უნდა აედო და ის უკვე მერყეობდა. საბანში იყო გახვეული. საკმელზე მონათებული მზე დაქინებით ჩასჩერებოდა თვლებში, თითქოს ეუბნებოდა, დროა, ადგე, სიცოცხლე დაიწყეთ.

მართლაც წამოდგა. პერანგისამარა მიუახლოვდა გამოღებულ ფანჯარას და გამოცოცხლებულ ქუჩაში გადაიხედა. ხალხი მიდი-მოდიოდა, ყველა სადღაც მიიჩქაროდა, მათი ფეხის ხმა კი შეწყობილად ისმოდა. ყველას ერთი საფიქრალი გასჩენოდა და თითქოს, ერთი მიზანი. შეთქმულებივით მიისწრაფვოდნენ სადღაც. ნუთუ მართო ის ჩამოიტოვებს უკან?

ხალხის ფეხის ხმა ისე ესმოდა, როგორც კლდიდან გადმომსკდარი ჩანჩქერის თქრიალი.

„იქნებ მაგათ მწყრივში მეც უხმოდ შევიპარო და შევეუწყო ფეხი... მერე იძიონ, საიდან ან როგორ მოვედი“, — გაიფიქრა თამარმა, გადახსნილ მკერდზე დაიხედა და ფანჯარას მოშორდა. ჩაცმას შეუღდა. ნინოს გამგზავრების შემდეგ მასთან აღარავინ მოსულა; აქ სრული სიწყინარე იყო და თამარს ეგონა, ქვეყანა ცალკეა, მე კი ცალკე ვარ და ჩვენ შორის ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილია. ამიტომ ეშინოდა, მიიღებდა თუ

არა ქვეყანა ან თვითონ შეძლებდა თუ არა მას გაპოლოდა. ტანზე რომ ჩამოცვალა წასვლა დააპირა, ისევე თამარისა და ისიდორეს სახეები დაუდგა თვალწინ. დაჯდა. „ორის მადღევარს, ერთიც არ შერჩება“, — გაიფიქრა. მუხლებზე დაწყობილ ხელებს დააჩერდა. „ეს ვაებატონები ხომ აქვე არიან სადღაც, მე კი სოფელში რა გამაჩერებს?“ — უნებლიეთ გაივლო გულში. მერე დაასკვნა: „მაგრამ რას ვამბობ, თუ ნინოს ახლაც არ დავუჯერე, მერე არასოდეს მომხედავს. სულ მთლად გამციცხავს, ღირსიც ვიქნები. აქ ველარ დავრჩები... მივდივარ, ნინო...“ წამოდგა. კარი ჩვეულებრივზე ფრთხილად გააღო, ფრთხილადვე მიკეტა. კიბეზე რაღაც გაუბედავი ნაბიჯით დაეშვა.

გავიდა ქუჩაში, ხალხს შეერიო. უანგარიშოდ მიაბიჯებდა ქუჩაში. უკვირდა, რომ მის შესახებ არავინ ლაპარაკობდა. ვერც კი ამჩნევდნენ.

„იქნებ ისე ჩავიმალო ამ ხალხში, რომ აღარც კი გამოვჩნდე. რაც შემემთხვა, ისიც იქნებ ნისლივით გაქრეს და ჩემი გულიდანაც ამოიშალოს“, — გაუელვა მას. გაიფიქრა. ფეხს აუჩქარა. ახლა მართლაც „რამეს აკეთებს“, ისე, როგორც ნინომ ურჩია და რაღა უქირს? შეუძლია ასე დიდხანს იაროს, დიდი გზაც განვლოს და იქ მიიღწიოს, სადაც, შესაძლოა, ამ ქვეყანაზე ხელახლა იშვას, ახალი გულითა და ოცნებით შეუდგეს სულ სხვა ცხოვრებას, ისეთს, რომელზედაც ნინო ეუბნებოდა, მართო იმ განსხვავებით, რომ გამოცდილება დაწყება თან, მხოლოდ გამოცდილება, რომ ისევ მარცხი აღარ შეემთხვას.

„რა დიდებული დაიკო მყავს, ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, ბევრის მნახველი და გამგებელი“.

ასეთი იმედით გამსჭვალული თამარი უკვე რკინიგზის საქალაქო სადგურის შენობაში შევიდა. აქ ხალხის ისეთი ჩოჩქოლი შემოესმა, რომ მოეჩვენა, თითქოს ეს ხალხიც, ისე როგორც თვითონ, იჩქაროდა სამუდამოდ დაეტოვებინა, არა მართო ქალაქი, თვით თავისი ძველი

ცხოვრებაც და გადასულიყო სადმე შორს, სხვა ცხოვრებისა და იმედების ახალ ნაპირზე. თითქოს ამიტომ აჩქარდა თამარი, — იმ საღაროსკენ გაემართა, სადაც ბილეთი უნდა ეყიდა, მაგრამ ნაცნობი სახე შეეფეთა და უეცრად შედგა:

— სალამი... როგორ დამეკარგე, არა გრცხენია? — უთხრა გენრიეტამ და დიდი ვინმე მოკეთესავეთ მკლავში ხელი ჩაავლო.

თამარი მთელი ტანით ისე შეირხა, რომ გენრიეტამ უეცრად გაუშვა ხელი. ასეთი ზიზლით მაცქერალი თამარის თვალები მას არასოდეს ენახა, მაგრამ მაინც ტუტებზე შერჩენილი ღიმილით მისჩერებოდა.

— თუ დამიმადლებ, შენთან მოვალ და ყველაფერს გეტყვი, — უთხრა გენრიეტამ.

თამარი დუმდა.

— არა გჯერა? იცი, რა ამბებია? თამაშმა და ისიდორემ იცი, რა ჩაიდინეს? რომ იცოდე, აფეთქდებოდი.

თამარის სახე უეცრად შეიცვალა. ზიზლი შეშფოთებამ დასძლია. შეირხა, შეტორტმანდა, გაფითრდა. არ უნდოდა გენრიეტასათვის ხმა გაეცა, მაგრამ ახლა გაჩუმებაც უძნელდებოდა. სათქმელ სიტყვას მაინც კბილი დააჭირა და ხმა არ გასცა.

— რად გაჩუმებულხარ? ხომ არ მემდურია? თუ აგრეა, შენი საქმე დალუბულია; მტრები ფეხქვეშ გაგათლავენ და ხმასაც ვერ გასცემ.

— რა გინდა ჩემგან, არ მომეშვები? — აღმოხდა თამარს, რადგან სუნთქვა შეეკრა. ყელში ხელი იტაცა და თოფნაკრავით უკან გაბრუნდა. გავიდა ქუჩაში, ხალხს სახე მოარიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კუთხეში შეჩერდა. ყურს უგდებდა, გული როგორ უცემდა; ახლა ხედებოდა, ადამიანის სულში რამდენი რამ ყოფილა დაფარული, მიჩქმალული, ხმაჩაკმედილი; „დღეს ვეღარ წავალ, ისევ შინ დავბრუნდები“, — გაიფიქრა. ის იყო, ადგი-

ლიდან დაიძრა, ისევ გენრიეტას ხმა შემოესმა.

— თამარ, შენ ცუდად ხარ, მოველ გვირდება. მე მოვალ, სალამოს მოვალ! თამარს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ერთხელ შეხედა გენრიეტას, მერე გაბრუნდა და გზა განაგრძო.

გენრიეტამ კმაყოფილებით გაიღიმა, საფოსტო ჩანთა გვერდზე არხეინად მოიგდო, ძლოკვივით შეირხა და სწრაფი ნაბიჯით თავის გზას გაუდგა. თანაც ხმადაბლა მილიღინებდა.

შინისკენ მიმავალ თამარს თითქოს ახლაც ჩაესმოდა გენრიეტას ხმა.

თვალი მოეწკურა, ყურებში ჩამდგარი წივილი მიაცილებდა. ისევ თავის ბინაში რომ აღმოჩნდა, გაუცვირდა. ტახტზე მიეგდო. გრძნობდა, უკვე დაკარგა უნარი რაიმე წინასწარ გააზრებული, გონიერული მოქმედებისა და ახლაც იმ ტალღას უნდა გაჰყოლოდა, მის სულში მოულოდნელად რომ ახმაურებულიყო. საღ წაიყვანდა, ან საღ მიაცურებდა ბოლოს ეს ტალღა, არაფერი იცოდა, მაგრამ მაინც უნდა გაჰყოლოდა მას, რადგან არაფერით სხვა ინტერესი აღარ ჰქონდა. წყურვილი კლავდა, სანამ გაიგებდა, თამაშმა და ისიდორემ რა ბოროტება ჩაიდინეს მის მიმართ.

„მე მაგათ ვუჩვენებ, მაგათ ვუჩვენებ!“ — უკვე იმუქრებოდა, თუმცა არ იცოდა, რისთვის, როგორ ან რანაირად უნდა გადაეხადა საშაგიერო. უკვე ნანობდა რომ არ ვთხოვე, გენრიეტას ყველაფერი მაშინვე ეამბაო, და ახლა მისი ნახვა ეჩქარებოდა. მარტო გენრიეტაზე და ვაყებზე კი არა, თავის თავზედაც გაბრაზებული თამარი მზად იყო თუნდაც ჯოჯოხეთში წასულიყო, მხოლოდ შური ემია, ყველასთვის მიეზლო სამაგიერო და თვითონაც უფრო მკაცრად დაესაჯა თავისი თავი.

„რადღაც მოვეფრთხილდე? ჩემს უმანკობას? სახელს?... არაფერი აღარ მამბრკოლებს, თავისუფალი ვარ და უკან ვეღარავინ დამახევენებს“ და მართლაც, რაღაც თავისუფლების მსგავსი რამ იგრძნო, ისეთი თავისუფლების, მარტო თავ-

ზეხელაღებულ ადამიანებს განსაცდელის წუთებში რომ ესტუმრებათ ხოლმე...

ასეთმა გადაწყვეტილებამ ძალა შექმამატა. ოთახის მორთულობა შეათვალიერა. რაც თვალში ცუდად მოხვდა, წესრიგში მოიყვანა, ყველაფერი მიალაგ-მიალაგა, დაასუფთავა. ოთახი ისევ შეათვალიერა. მოეწონა.

„ახლა მარტო ყვაილები მაკლია, მაგრამ ეს არაფერი, ყვაილებსაც შევიძენე“, — გაიფიქრა. ოთახში თითქოს ხალისიანად გაისვირინა, მერე აივანზე გასასვლელი კარი გააღო, ისევ მიჰყვება, მერე, როცა სარკეს მიუბრუნდა, გაუკვირდა, ისე აჩქარებით უცემდა ყელის დაძაბული ძარღვები: ზედ ხელი მოისვა. „ეს რაღას ნიშნავს? მე ხომ უკვე დაემშვიდდი?“ — ჰკითხა თავის თავს, თუმცა დარწმუნდა, რომ მისი დამშვიდება ძლიერ შორს იყო...

სალამოს, როცა ქუჩაში შუქი აინთო, თამარი გაღებულ სარკმელთან შეჩერდა. ქუჩას გაჰყურებდა, მაგრამ დაყრუბულ იყო, არაფერი ესმოდა. მთელი ყურადღება იქით მიეპყრო, დაირეკებოდა თუ არა ზარი შემოსასვლელ კარში, ესტუმრებოდა თუ არა გენრიეტა, რომელსაც უკვე მოუთმენლად ელოდა.

ელირსა! როგორც იქნა, ზარმა გაუბედავად გაიწკრიალა და თამარი იმწამსვე დერეფანში გაიჭრა. კარი გაიღო და შემცბარ სტუმარს თამარი ისე ხალისიანად მიეგება, რომ ასეთ შეხვედრას თვითონ სტუმარიც არ მოელოდა.

— მობრძანდი, გელოდი, დიდი ხანია აქ აღარ ყოფილხარ! — კარი სწრაფად გააღო თამარმა.

გულმოცემულმა გენრიეტამ თითქოს ფრთები გაშალა, დერეფანში შემოფრინდა:

— შენ მართალი ხარ, რამდენი დრო გავიდა, აქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ბრალი არაა, ახლა მაინც ერთად ვართ, ჩვენ ხომ ძველისძველი მეგობრები ვართ, — იძახდა გენრიეტა და უკვე ოთახში შემოსული აქეთ-იქით დახტოდა, ყველაფერს თვალდაცვივებით აც-

ქერდებოდა, — ეს რა მშვენიერი სენი დაგიყენებია, რა საუცხოოდ მოგაწყვეა ოთახი! ასე სჯობს, მტრებისა ჯინაზე უფრო შორსაც უნდა წახვიდე. ფრთები უნდა აისხა და ამით ყველას გული მოუკლა!

დასხდნენ.

გენრიეტა მიხვდა: რაც თამარს შევიპირდი, დროა შეუსრულოო, მაგრამ იცოდა, თუ ვაყებზე რამეს არ მოიგონებდა, თუ მომხდარ ამბავს არ გადასხვადფერებდა, ისე თავის სტუმრობას ვერ გაამართლებდა და, რაც მთავარია, ვერც თამარს წააქეზებდა ვაყების წინააღმდეგ.

— იცი, რა, თამარ, — დაიწყო გენრიეტამ და თავის ღიაფერის მანიკურს ისე დააჩერდა, თითქოს იქ იმ სურათს ხედავს, რომელზედაც თამარს მოუთხრობსო, — ვიცი, რა გაინტერესებს. მეც ყველაფერი ვიცი, ჩემო მშვენიერო, რაც ქვეყნად ხდება. ვიცი და მზად ვარ ვემსახურო საყვარელ მეგობარს, თუმცა ჩემი გულწრფელი სამსახური შენ არასოდეს გჯეროდა.

— დაიწყე, გენრიეტა, — სთხოვა თამარმა, დივანზე მხარით რომ მიწოლილიყო, და თვალი მოეწკურა.

— ქვეყნად ყველაფერი ხდება, ჩემო თამარ, და გასაკვირი არაფერია, მაგრამ, რაც ჩვენ შეგვეხება, ამას გულგრილად მაინც ვერ ვხედები. რაღა ბევრი გვაგრძელო, თამაზზე ბევრს ვერაფერს ვეტყვი, ამ ვაჟბატონზე მარტო იმას ამბობენ, ვილაც სხვა შეიყვარა და თავყანს სცემსო, ხოლო მთავარი ისიდორეა, უპირო და თავჰარიანი...

თამარი არც კი იძვროდა.

გენრიეტა თვალს არ აშორებდა მას. ცდილობდა, ზუსტად გამოეცნო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა თამარზე თვითუფილი სიტყვა და განაგრძობდა:

— ამ ჩვენმა ისიდორემ, იმის გარდა, რომ ვილაც ქალი დიდი ხანია არჩეული ჰყოლია საციოლედ, ახლა ისიც ზედ დამატა რომ ხალხში დადის და გაიძახის: „თამარი ლამაზია, მაგრამ სუსტი ნების-

ყოფის აღმოჩნდა, ადვილად შევაცდინე და მივატოვეო“.

— კარგი! — დაიძახა თამარმა. თითქოს რაღაც ყირაზე გადაბრუნდა მის გულში. შეირხა, წამოიწია, სახეზე ხელები აიფარა.

— მაგრამ შენ ნუ გენადვლება, — საწამლავის მიწოდების შემდეგ წამლის მიწოდება დაანჭარა გენრიეტამ, რადგან იგრძნო: თუ დავიგვიანე მერე წამალიც ვერ უშველისო — ჩვენ მაგათ მოვეუვლით. თუ მაგისთანა ვაებატონებს ველარ ვაჯობეთ, სამაგიერო ველარ გადავუხადეთ, რის მაქნისი ვართ... შენ თუ არ გეხერხება, მე მომანდე და შენ გასახარელ საქმეს დავატრიალებ. მაგათ კუდილით ქვას ვასროლინებ! — განაგრძობდა გენრიეტა.

თამარმა შევებით ამოისუნთქა — სახეზე ხელები მოიშორა, თვალი გაახილა და გენრიეტას მიაჩერდა.

— მერე როგორ?! — დაიყვირა, გენრიეტას მკლავში ხელი ჩავსვა და, რაც ძალა შესწევდა, შეანჯღრია.

— ეს მე ვიცი, შენ კი ნუ მკითხავ; მე ისიც ვიცი, გერმანია რატომ დამარცხდა, რაღაც სიამაყით წარმოსთქვა გენრიეტამ, პაპიროსი გაიწყობა, მოუყიდა და გააბოლა. მერე პაპიროსი თამარს გაუწოდა: — მოსწიე, — უთხრა, მაგრამ თამარს ამის თავი ახლა არ ჰქონდა და გამოწვდილი პაპიროსი გენრიეტას ხელიდან გააგდებინა.

— ჰოდა, ახლა მე ვიცი, — განაგრძობდა გენრიეტამ, — რაც ისიდორემ ჩვენგან წაიღოს, მერე ისიც დაიტრიალებს... მაგრამ საჭიროა ჯერ მოვემზადოთ... მაგაზე უკეთესები უნდა ვიპოვნოთ და ამით გული მოვუკლოთ...

თამარი მიხვდა, გენრიეტა რა „უკეთესებს“ გულისხმობდა, მაგრამ ახლა წინააღმდეგობა ველარ გაუწია.

— თამარ ჩემო, ისეთი „პაკლონიკები“ გავიჩინო, რომ მაგ უღირს ვაებატონებს ცეცხლი მოედოთ! — დაიძახა გენრიეტამ და ხელი გაშალა, ოთახში ქორივით ჩამოიქროლა.

— იცეკვე, გენრიეტა... ახლა მეც უნდა ვისწავლო ცეკვა... *გენრიეტა*

— ისწავლე, თამარ, *გენრიეტა* ცეკვა ახლა იწყება! — შესძახა გენრიეტამ და დივანზე დავარდა. წუთიერი დღემილის შემდეგ თითქოს საყვედურით დაუმატა:

— იცი, თამარ, ეგონისტი ხარ, სულ მუდამ შენს თავზე ფიქრობ, მე კი, შენს უახლოეს მეგობარს, არც მეკითხები, რა დღეში ვარ, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი, აყვავებული ვარ თუ გამწარებული.

— მიამბე, გენრიეტა, — უთხრა თამარმა და გვერდით მიუჯდა.

— შენ, ალბათ, არც გავიგია, რომ გავთხოვდი.

— როგორ? — გაიკვირვა თამარმა.

— ერთ ჩემისთანა ფოსტალიონს ქუეა-გონება დავაკარგინე; გავაგიყე და ცოლად შემირთო. ისე შემიყვარა, რომ მზე ამოდის ჩემზე. დადიოდა ხალხში და თავს იწონებდა, ეს რა მზეთუნახავი ჩავიგდე ხელშიო, გენრიეტასთანა ქვეყნად არავინ მინახავს და არც მოიპოვებო... დედის გარდა შინ არავინ ჰყავდა, მაგრამ ჩემი გულისთვის ისიც მიატოვა; პირველად თუ მე გავყევი, მერე თვითონ გამომყევა, ჩემთან დადიოდა, მაგრამ ვაი შენს გენრიეტას, ჩემთან გადაქარბებულიად ბედნიერი ცხოვრების გამო გული გაუფუჭდა, ლოგინად ჩავარდა. შევიტყვე, მისი გაჩერება ხელს აღარ მომცემდა და საავადმყოფოში გადავიყვანე, იქ უფრო მოგობდება-მეთქი — გავამხნევე და მივატოვე. მერე ჩემს კლიენტებს გამოვეუცხადე: დავილუპე, ქმარი მომიკვდა და მომეშველეთ, დამეხმარეთ-მეთქი. მართლაც, კეთილმა ხალხმა თავი გამოიღო, ყველამ დახმარება აღმომიჩინა. სამი ათას მანეთამდე ასე შევაგროვე. სამაგიეროდ, ჩემი ქმარი ერთხელ კიდევ მოვინახულე საავადმყოფოში.

— როგორ, ქმრის სიკვდილი მოიგონე და ფული შეკრიბე? — გაოცდა თამარი.

— მერე რა, დახმარება ცოცხალს სჭირდება, თორემ ვინც მოკვდა, იმას რაღად უნდა? მართალია, გაიგეს, ქმარი

ჯერაც რომ ცოცხალია და მისაყვედურებენ, რად მოგვატყუეო, მაგრამ შევირდები: თქვენ მშვიდად იყავით, დღეს თუ არა, ხვალ ჩემი ქმარი წერილს წაიღებს და ამით თქვენი პრეტენზიები ამოიწურება-თქვა. თუმცა, იცი რა, თამარ, რაღა მეშველება, თუ ის უბედური ჩემი ქმარი მალე არ გათავდება?

— როგორ, ქმრის სიკვდილი გეჩქარება?

გენრიეტა აღელდა, ზეზე წამოიჭრა, თანხში ნერვიულად სიარული დაიწყო:

— როგორ არ მეჩქარება. თუ მალე ფეხი არ გაფშოკა, ჩემს კლიენტებში ვერ გამოვჩნდები. სულ ერთია, ჩემი ქმარი კაცად არ გამოდგება, ფეხზეც რომ წამოდგეს, ზურგზე სარჩენად ამეკიდება და გაიხარე, ათრიე ლეში! განათვითონაც მალე სიკვდილი არ ურჩევნია?

— კარგი, გენრიეტა. შენს წამხდარ საქმეს მე ვერ ვუშველი. თუ შეგიძლია, ახლა მე მომხედე, შენზე ცუდ დღეში ვარ და ნუ მიმტოვებ, — უთხრა თამარმა.

— შენ როგორ მიგატოვებ, ჩემო თამარ! ახლა წავალ, ხვალ საღამოსათვის მზად უნდა იყო; მოვალ, იქნებ თეატრშიც წავიდეთ.

— თეატრში? — გაიკვირვა თამარმა, — თეატრში რა გვინდა?

— ეს მე ვიცი და ნუ შეკითხვები. შენც კარგად იცი, მაგრამ თავს იკატუნებ, — ისიც იქ... მაგრამ ჩვენ ხომ შევეთანხმდით, რომ ზედმეტ შეკითხვებს მოერიდები?

— მართალია, შევეთანხმდით! — დაეთანხმა თამარი და მორჩილი თვალი ერთი წამით მიაპყრო ქალს.

მარტო რომ დარჩა, თამარი საბოლოოდ მიხვდა, რომ გენრიეტა ნამდვილად საშიში ადამიანი იყო, ნამდვილად საშიში და ამ აღმოჩენამ ახალ საგონებელში ჩააგდო ის. გენრიეტა რომ შემოუშვა და მიენდო, ამას აღარ ნანობდა, მაგრამ მაინც გრძნობდა, ცუდი გზით წასული გენრიეტა კეთილისაყენ ვერ წაიყვანდა და მას თავისივე გადაწყვეტილების სი-

თამამე და უკიდურესობა თვით არცეზდა. გრძნობდა, ახლა გენრიეტას ვერ მოიშორებდა, თვითონაც ვერ მოიშორებოდა, — ეს აღარ შეეძლო, მაგრამ სხეულისად მოქცევის ძალა არ ჰქონდა. თავს მხოლოდ იმით ინუგეშებდა, თავზეხელაღებულ ადამიანს ყოველგვარი უმსგავსობის გაკეთების უფლება აქვსო. ამიტომ, რასაც ახლა აკეთებდა, აღარ ნანობდა. იმის ეინი კლავდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, შური ეძია, რომ ამით იქნებ შეემსუბუქებინა შეურაცხყოფით გამოწვეული სასტიკი ტკივილი. თუმცა თვითონაც, კარგად ვერ გარკვეულიყო, რა იყო ეს, შეურაცხყოფის გრძნობა, სამაგიეროს გადახდის ეინი თუ სიყვარული? ან, შესაძლოა, ყველა ერთად? მაგრამ თუ უყვარს, ეინ, თამარი? ისიდორე? — აი, კიდევ საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ახლა არ შეეძლო და ეს კიდევ უფრო ართულებდა მის მდგომარეობას. მან მხოლოდ ერთი იცოდა: თამარს მის მიმართ არავითარი ბოროტება არ ჩაუდენია, ამიტომ ის უფრო ღირსია სიყვარულისა, ვიდრე ისიდორე, მაგრამ, რამდენადაც ისიდორემ მერტიფიზიური და სულიერი ტკივილი მიაცუნა, ამდენადვე უფრო გაუცოცხლდა მოღუწებულნი, მიჩქმალული გრძნობები ისიდორესადმი. თამარის სულის სასწორმა ქანაობა დაიწყო, გააორა მისი სული და მას შერჩა მხოლოდ სამაგიეროს გადახდის ეინი, არა იმდენად თამარის, რამდენადაც ისიდორეს მიმართ. დადიოდა, ჯდებოდა, აღებდა, ისევ ეტრავდა სარკმელს, კარს, კარადებს, მაგრამ სულიერი სიმშვიდის კარს ვეღარ აღებდა და ვერც ეტრავდა. ბოლოს მოიქანცა, დეშვა ტახტზე, მაგრამ ახლაც ვერ ისვენებდა, ეჩქარებოდა; უკვე იმ გზით სიარული ეჩქარებოდა, რომელიც გენრიეტამ დაუსახა.

მეორე დღეს, საღამოს, კედლის სარკის წინ ჩამომჯდარი თამარი დიდი გულმოდგინებით ირთებოდა: ისწორებდა ხელოვნურად გაწვრილებულ წარბებს, შეღებულ წამწამებს, ტუჩებს

სქლად დიდი სიზუსტით წაცხებულ „პომადას“. ცდილობდა, უკეთ დაეყენებინა თმა, კოსმეტიკის დიდი ხელოვნებით შეეკაზმა სახე სურნელოვანი კრემით თუ სხვა წამლებით, რომ სახის კანისათვის სინორჩის გამჭვირვალე ელფერი მიეცა, დაემშვენებინა მკერდი ყალბი ბრილიანტის ბრქუვიალა ყელსაბამით, თხელი, მოვარდისფრო აბრეშუმი დაეკეცა ამაღლებულ გულ-მკერდზე, რომ მეთი მიშზიდველობა და ჰაეროვნების იერი ჰქონოდა. და ყოველივე ეს ხდებოდა გენრიეტას მეთვალყურეობით, მისი კონტროლით და კონსულტაციით, ის ეჩეროდა საქმეში და თამარის გასაკეთებლს თვით აკეთებდა.

— ჰო, აგრე კი არა, აი აგრე! რა იცი შენ, გამოცდილება გაკლია, თამარიკო! ყოველთვის მე სად გეყოლები! ჰო, აგრე, აგრე! ბრაო, ახლა მშვენიერია! ასე კაცს კი არა, დათესაც მოხიბლავ და სააღერსო სიტყვებსაც ალაპარაკებ! — ამბობდა გენრიეტა და ფაცაფტუცით თავს დასტრიალებდა ახლად შექმნილ ძველ მეგობარს, თითქოს თვითონაც თამარის მორთულ-მოკაზმულობის ერთ ზთავარ, განუყრელ ნაწილად იქცაო, თუმცა ჩხირივით გამხმარი გენრიეტა თამარის ქედში გასარკობ ჭინძისთავად თუ გამოდგებოდა.

თამარმა მოათავა თავისი სახისა და გულ-მკერდის გამშვენიერების გრძელი პროცედურა და, როგორც იყო, წამოდგა. სარკის წინ შემოტრიალდა, რომ ერთხელ კიდევ გაესინჯა, კაბა როგორ მადგასო, მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, გენრიეტამ დაასწრო:

— მშვენიერია, შესანიშნავია, მაგრამ თქოებზე უფრო მოჭერაილი რომ იყოს, აჯობებს! ხომ იცი, მაშაკაცებს ტანის სიმსუქნე ან სისქე კი არა, მაგრამ სისავსე ავიყებთ, ქალის ნეკერივით სინორჩესა და ტანგავსილობას ვეღარ უძლეებენ, — გული ეხურებათ და შაჭარივით დნებიან.

თქვა ეს გენრიეტამ, იქვე, კარის რაფაზე ჭინძისთავი იპოვა, კაბა თქოებზე

მთლად შემოატკიცა თამარს და ჭინძისთავით შიგნიდან შეუტარა.

— აი, ახლა შესანიშნავია და შარტულაც ნეკერივით ჩასაკენეტი ხარ! — წამოიძახა და სარკის წინ თვითონ შეატრიალ-შემოატრიალა თამარი.

— კარგია, მაგრამ ნამეტანია! — უთხრა თამარმა, თუმცა მას ხმაში დაეტყო, რომ გენრიეტას შესწორებაზე თანახმა იყო.

— ნამეტანიაო? რას ამბობ, მშვენიერო, შენც ახლა სწორედ ნამეტანი გიხდება, ჰოდა, ჭინძისთავი კი არა, კაბაში ყუმბარა უნდა ჩამედო, რომ ააფეთქოს კაცების გული... თუმცა ამას რომ თავი დავანებოთ, შენს ბუმბულივით გაპნტილ მკერდში მოთავსებული ორი ვაშლი ორ ყუმბარაზე ძლიერ შეიძლება აფეთქდეს! — თქვა და ისტერიული სიცილი მორთო, — ის რა იციან მაგ სულელებმა, რამდენ მახეს ვაგებთ, როგორ ასაფეთქებელ ნივთიერებას ვნიღბავთ მკერდზე, თქოებზე, თავზე და სახეზე!

შზადებაში კარგა ხანი გავიდა. თამარის მოზადების საქმიანობით გართულმა გენრიეტამ მხოლოდ ახლა დახედა საათს:

— დავილუბეთ, მგონი კიდევ დავოგვიანეთ! — წამოიძახა მან და თამარის ქედს ხელი დასტაცა, თავზე დაახურა და თვით მოარგო, — ესეც შენ, ფრთები გაკლია და ისიც შეგაბი... თუმცა არა, მოიცა, რაც მთავარია, გვაფიწყდება! თამარ, ისიდორეს მოტანილი სუნამო შეიპკურე და ისე გამოვა, თავისივე ტყვიით რომ მოკლა! — და რადგან გენრიეტამ თამარზე უკეთ იცოდა, ისიდორეს მიერ მოტანილი სუნამოს ყუთი სად ინახებოდა, მაშინვე იპოვნა და თამარს პეშვით აპკურა. მერე თავისთავიც არ დაივიწყა; თავიდან ფეხებამდე იპკურა და მერე თამარის გვერდით გაჩერდა, — ახლა კი გავფრინდი! — წამოიძახა, თამარის მკლავში ჩასკიდა გამხდარი, ქორის კლანჭებივით თითები და გაიტაცა...

თბილისის ოპერის თეატრში იმ დღეს ხალხის ტევა არ იყო. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ სეზონში პირველად მიდიოდა და თეატრში ადგილების უმეტესი ნაწილი სოფლებიდან ჩამოსულთ და ახალბედა სტუდენტებს ეკავათ.

თამარი და გენრიეტა ამფითეატრის მეოთხე რიგში გვერდი-გვერდ ისხდნენ.

თამარი სცენისკენ რაღაც დამაბული ინტერესით იცქირებოდა, ხოლო გენრიეტა თამარს უცქეროდა და მასვე უსმენდა.

თამარი აჩქარებით სუნთქავდა, ზოგჯერაც სუნთქვა მთლად შეუწყდებოდა, ხოლო და მაშინ გენრიეტას მკლავში ხელს ჩასუკიდებდა, შეანჯღრევდა იმის ნიშნად, თუ არ მომეშველე, დავიდრჩევბიო.

— რა მოგდის, თამარ? ისიდორე მშვენიერად მღერის მაღნაზის როლში, მაგრამ მალე სხვანაირად ავამღერებთ! — უთხრა გენრიეტამ და ხელი მოჰხვია, — დაწყნარდი, ასეა, ახლადგამოჩეკილი ბუბულები ცოტა ხნით გალობენ, კიკიკებენ—და მერე ამ ქვეყნიდან შეუშინველად მიდიან. გადის დრო და აღარავის ახსოვს, არსებობდნენ თუ არა ისინი ოდესმე.

— რატომ ჩამომიყვანე! — უსაყვედურა უკვე სულმობრუნებულმა თამარმა.

გენრიეტამ თამარს თავი აუწია და, როგორც ხელქვეითს, ისე უბრძანა:

— ასწიე თავი, თეატრში საკუთარი ფეხების სანახავად მოხვედი?

თამარი უსიტყვოდ დაემორჩილა, მაგრამ სცენისკენ უაზრო თვალებით იცქირებოდა. ამითაც ეტყობოდა, რომ ის საკუთარი ფეხების შეჩერებას ლამობდა, რათა სცენაზე დანახულსა თუ იქიდან მოსმენილს მასზე არავითარი გავლენა არ ჰქონოდა. ამის მიღწევას ნაწილობრივ ახერხებდა, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პირველი მოქ-

მედების დასრულებამდე თავი შეეკავებინა და მღელვარება არ გაემხილა:

ფარდა არც კი იყრბ დაშვებულთ, რომ გენრიეტა წამოდგა.

— მომყევი, თამარ! — მიამახა და თვითონ წინ წარუძღვა.

გენრიეტა შეგატუფულ ხალხში მიძვრებოდა, რაც ძალა შესწევდა, თამარს ეწეოდა, მიამჩქარებდა.

ფოიეში რომ გავიდნენ, გენრიეტამ მეძებარივით მიყნოს-მოყნოსა იქაურობა, თვალში დააცეცა და თითქოს ერთბაშად მიხვდა, ვინ სად იქნებო, შვებით ამოისუნთქა. მერე თითი აიშვირა და ისევ წამოიძახა:

— მომყევი თამარ!

ოთხიოდე ნაბიჯი გაიარეს. გენრიეტა უეცრად შედგა. აქეთ მომავალ ორ ახალგაზრდა ვაჟთან ხელგაშლილი მიიქრა.

— აა, თქვეც აქა ბრძანდებით? როგორ მიხარია, სალამი, სალამი! აი, ბედნიერი შემთხვევა! თამარ, გაიცანი, ჩემი სასახლო კლიენტებია! სწორედ შესანიშნავი ახალგაზრდა ვაჟებია, განუყრელი მეგობრები და მაღალი საზოგადოების ხალხი. ესეც ჩემი სკოლის მეგობარი თამარი! აქვე, თეატრში აღმოვაჩინე! კარგი ადამიანები, ალბათ მარტო თეატრში შეიძლება ვიპოვნოთ! — თქვა გენრიეტამ.

თითქმის ერთი ხნის ორი ახალგაზრდა ვაჟი ერთად შეჩერდა. თამარს მოწიწებით ჩამოართვეს ხელი.

— სევერიანი! — უთხრა შავგვრემანმა, მაღალქოჩრიანიმა შავთვალემა ვაჟმა.

— გივი! — მოახსენა მეორემ, გვერდზე თმაგადავარცხნილმა ვაჟმა.

— თამარ, — ძლივს გასაგონად მოახსენა თამარმაც და თითქოს სახსარში ამოვარდნილი ხელი გაუწოდა ჯერ ერთ, მერე მეორე ვაჟს.

თამარმა ვაჟების ყურადღება მაშინვე მიიპყრო. უპირველეს ყოვლისა თამარის მოღვენთალი მკლავი და მისი გრძელი, რბილი თითები თითქოს ვაჟების გულსაც შეეხო.

როცა თამარის ტანადობა, მისი სათნო სახე და ჩაცმულობაც შეათვალაიერეს, გამოცოცხლდნენ, თვალები გაუბრწყინდათ და ახლად გაცნობილ ახალგაზრდა ქალთან სიტყვების შერჩევით გააბეს საუბარი. თამარს თითქოს თვალელებითაც ეუბნებოდნენ:

„ჩვენი გაცნობა აგრე უბრალოდ არ დასრულდება“.

— თქვენც, ალბათ, ძლიერ მოგწონთ „დაისი“ — ჰკითხა გივიმ და წაბლისფერ ქოჩორზე ხელი გადაისვა.

— დიახ, — მოკლედ, რბილი ხმით, თითქოს სხვათაშორის უპასუხა თამარმა, რომელიც გენრიეტას რაღაც მედიდურად, ბევრის მთქმელი თვალეებით მისჩერებოდა.

— ეს ოპერა ალბათ იმდენჯერ ნახეთ, რომ მოგბეზრდათ კიდევ, — რიხიანად, თავისი საკუთარი ღირსების შეგნებით შეეკითხა თამარს სევერიანი.

— შესაძლოა, — ისევ მოკლედ, თბილი ხმითა და თვალეების მინახვით უპასუხა თამარმა, თუმცა სევერიანისათვის არც შეუხედავს, ისევ გენრიეტას უყურებდა. მერე ვაეებს მარტო თვალეების მიბრუნებით გადახედა. ამით ამცნო: „თქვენ არა ხუმრობთ, მაგრამ ამაოდ“.

— ალბათ თქვენი ნამდვილი აზრი არა გსურთ გვითხრათ და ამიტომ ყველაფერზე ჩვენ გვეთანხმებით, — სთქვა გივიმ.

— ჩვენ კი ვამჯობინებდით, თქვენი აზრი გაგვეგო, — დაუმატა სევერიანმა.

თამარმა თვალის ერთი გადაკვრით გადაჰხედა ვაეებს და ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა გაიქროლა მის ოდნაჲ ფერმიხდილ, ბუმბულივით გააქნტილ სახეზე.

— ჩემი აზრებით არ შეგაწუხებთ.

— სჯობს შეგაწუხოთ, თუ თქვენ ამას შეწუხებას ეძახით, — ახლაც უთხრა სევერიანმა და მიუახლოვდა. სუნამოს გამაბრუებელი სურნელი იგრძნო. ამან უფრო გამოაცოცხლა, აანთო ვაეი, ისევ თამარს აცქერდებოდა, მაგრამ ასეთმა მიახლოვებამ თითქოს თვითონ თამარიც იმავე სურნელებით გაჟღენ-

თილ ჰერად აქცია და სევერიანმა სიტყვის გაგრძელებაც ვერ მოახერხა.

— ვერაფერს გეტყვით, თქვენმა თვალებმა მართალიც იყოთ, მაგრამ მე ასეთი ვარ და რა გაეწყობა, — დაგვიანებით, რაღაც ყოყმანით უპასუხა თამარმა და შემობრუნდა, ვაეებს პირდაპირ მხოლოდ ახლა შეხედა სახეში. ისე შეათვალაიერა, თითქოს პირველად ხედავსო.

ვაეების სახეზე კი თითქმის ერთი და იგივე ეწერა:

„ეს რა უცხო ფრინველს გადავეყარეთ“.

— ასე გულდაზურული, ალბათ, მარტო ჩვენთან ხართ, — ისევ ღიმილით წამოიწყო გივიმ.

— სამწუხაროდ, — დაუმატა სევერიანმა, ისევ იმავე, გამაბრუებელი სურნელით გულ-მკერდს რომ იესებდა და თამარის ოდნაჲ მოწყურულ თვალეებს მონუსხულივით მისჩერებოდა.

— თუ თქვენ ამას გულდაზურულობას ეძახით, მაშინ ცხადია, ყველას ეხება, — უპასუხა თამარმა. წუთიერი დუმილის შემდეგ დაასკვნა: — თქვენ გამოწკლისებები რად უნდა იყოთ? საესებით ღირსეული ვაეები ხართ, — ბოლოს ისე ტკბილად, დიდი სათნოებით დაასრულა თამარმა, რომ ვაეებს რაღაც სიამით შეერხათ გულს.

— გმადლობთ, მაგრამ თქვენ... — სიტყვა, ველარ დაასრულა სევერიანმა.

სამაგიეროდ, მის ნაცვლად გივიმ განაგრძო:

— თქვენ უფრო ღირსეული და საოცრად სათნო ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით...

ამ დროს ზარის წკრიალი გაისმა; მეორე მოქმედების დაწყება ამცნო მაცურებლებს.

— ბოდიში! — თითქოს თავისთვის ძლივს გასაგონად თქვა თამარმა და უეცრად გაბრუნდა, დარბაზში შესასვლელი კარებისაკენ წაივდა.

გენრიეტაც თამარს აედევნა, მაგრამ თავი უკან მოაბრუნა და ერთ ადგილას

გაშეშებულ ვაეებს ეშმაკურად თვალ ჩაუკრა, თანაც გასძახა:

— შევხედებით, მოქმედების შემდეგ ისევ შევხედებით! — ვითომ ამით დაამშფრდა ისინი და თამარს ფართიფურთით წამოეწია.

როცა ქალები მიეფარნენ, გვიმ და სევერიანმა ერთმანეთს გადახედეს. ორივე ერთი აზრისა იყო, ორივე ერთნაირად მოეხიბლა თამარის სიმშვენიერეს. როცა დარბაზში შევიდნენ, სევერიანმა, თითქოს ფიქრს აგრძელებსო, თქვა:

— მაგრამ ის მოოცებს, ყვავსა და იაღონს რა აქვთ საერთო?

ფარდის ახდის წინ მუსიკის ხმები ხალხის ხმებივით არეულიყო, მაგრამ თამარს ახლა თავისი ცხოვრება უფრო არეული ეჩვენებოდა. ნაცნობებს თვალს არიდებდა, ეშინოდა, არავინ არაფერი მკითხოსო, და დაშვებულ ფარდას აცქერდებოდა.

აი, დარბაზში მიმქრალი შუქი უკვე მთლად ჩაქრა და თამარმაც შევებით ამოისუნთქა: ახლა ველარაინი დაინახავდა, ვერც რამეს ჰკითხავდა. ისევ ახლადგაცნობილი ქაბუტები გაახსენდა. „ნეტავ სად სხედან? — გაიფიქრა და უკან მოხედვა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, — წარმატება გეტყობა თამარ, — უთხრა მერე თავისთვის, — უკვე გულწრფელობაც დაჰკარგე“, — მაგრამ. რაც გულში ჰქონდა, გენრიეტასათვისაც არ გაუმხეწია.

ფარდა აიხადა. ხალხი დაწყნარდა. მუსიკის ხმებიც აეწყრ, დალაგდა. მაგრამ თამარი მაინც ვერ ისვენებდა. თეატრში დამყარებული წესრიგი და სიმშვიდე უფრო აღელვებდა, რადგან ის მის ახლანდელ სულთერ მდგომარეობას არ ეხამებოდა.

მაგრამ აი, სცენაზედაც დაიწყო შფოთვა, ვნებათა მძაფრი შეხლა-შემოხლა და თამარი გამოცოცხლდა. ზოგჯერ მოქარბებული მღელვარებით ადგილიდან წამოიწყოდა, რაღაცას თავისთვის ჩაილაპარაკებდა. მაშინ გენრიეტას ისე მაგრად მოუჭერდა ხელს, რომ ეს უკანასკნელიც კი გაოცებული მია-

ჩერდებოდა და თითქოს ვერ სცნობდა.

— რა მოგივიდა, მოეკვდრი, მტუკინა! — ჩურჩულებდა გენრიეტა, მაგრამ თამარის მის გაფრთხილებას ყურს არ უგდებდა. უფრო ისიდორეს გამოჩენა და მისი ხმა ასობდა ისარს გულზე.

როცა გენრიეტა აღარ მოეშვა და ერთხელ კიდევ მოაგონა, აქ თავდაპირველად გამართებსო, თამარმა მკლავში უფრო მაგრად ჩააკიდა ხელი მას, შეანჯღრია და მიახლა:

— რად წამომიყვანე, შენი ბრალია! — თამარ, რას შერები, ხალხი რას იტყვის? — ჩასჩურჩულა გენრიეტამ.

თამარი გამოერკვა; მიხვდა, შევეცდიო და ზღარბივით შეიკუმშა, დაპატარავდა, გენრიეტას ამოეთარა, რათა სცენისაკენ აღარ გაეხედა. ახლა თითქოს სიზმარში ესმოდა მომღერლების თუ მუსიკის ხმები. ამან ოღნავ დაწყნარა.

მეორე მოქმედებაც დასრულდა. ის იყო, ფარდა ეშვებოდა, რომ თამარი და გენრიეტა უეცრად წამოდგნენ, — გასასვლელი კარისაკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართნენ, რათა ცნობისმოყვარეთა თვლებისათვის თავი მოერიდებინათ.

— მგონი გადავრჩით! — წამოიძახა გენრიეტამ, როცა დარბაზიდან გამოვიდნენ, თამარს მკლავში ხელი ჩაავლო და ააჩქარა.

თამარი ჯერაც ბურანში იყო. ხმას ველარ იღებდა. გენრიეტას დაყრდნობოდა მკლავზე და უაზროდ მიდიოდა წინ. სანამ უნდა ევლოთ ასე? ახლა ეს სულ ერთი იყო თამარისათვის. თუნდაც ქვეყნის კიდემდე ევლოთ! გენრიეტა კი, პირიქით, გულდაგულ მისწრაფვოდა იმ მხარეს, სადაც მეორე მოქმედების დაწყების წინ ვაეებს დაშორდნენ.

— სადმე ისეთ ადგილას წამიყვანე, სადაც ადამიანის შვილი არ იყოს, — სთხოვა თამარმა.

— ასეთი ადგილი, ჩემო ლამაზო, თეატრი კი არა, სსსაფლაოა. ისე, პო, მომეყ და დღეს, იმ ვაეების გარდა,

ალარავის გაგაცნობ, — ეშმაკურად ჩაუკრა გენრიეტამ და, უკვე თამარზე თავისი ზეგავლენის განმტკიცებით გახარებულმა, უფრო აღჩქარა ნაბიჯს.

თამარს პასუხი არ გაუცია. ახლა მისთვის სულ ერთი იყო ყველაფერი.

— აი, ხომ ხედავ, აქეთ მოდიან, ჩვენ დაგვეძებენ! — წასჩურჩულა გენრიეტამ.

თამარი შეკრთა. თავისდაუნებურად ნაბიჯი შეანელა, გენრიეტას ჩამოეციოდა.

— ვიცოდი, დაგვეძებდით და ჩვენც აქა ვართ, გენრიეტა თავის სიტყვას არ უღალატებს... თამარი მოწყენილია, მაგრამ იმედია გაართობთ, — მიაგება გენრიეტამ უკვე მოახლოებულ ვაჟებს და უცბად შეჩერდა.

— დიახ, რაც შეგვეძლება, თავს არ დავზოგავთ! — თქვა სევერიანმა.

— ცხადია, თუ ნიჭი და უნარი გვეყო, — დაუმატა გივიმ.

ახლა მესამე მოქმედების დაწყებამდე გაგრძელდა მათი საუბარი. რაზე ლაპარაკობდნენ? ვინ იცის, რაზე არა. მესამე ზარი დაირქვა. ისევ გენრიეტამ დაასწრო ვაჟებს:

— თეატრის წინ დაგველოდეთ, გამოვალთ!

— კეთილი, კეთილი! — თითქმის ერთხმად მიუგეს ვაჟებმა.

— შენ ისა სთქვი, ამ მჩხვანა გენრიეტას რა ვუყოთ? — მეგობარს გადაულაპარაკა სევერიანმა, როცა ქალები თვალს მიეფარნენ.

— მართლაც საკითხავია... — არ დაასრულა გივიმ და სევერიანეს რაღაც ყოყმანით ახედ-დახედა. მას, ალბათ, უნდოდა ეთქვა: „ისიც საკითხავია, ჩვენ რომ ორნი ვართ, თამარი კი ერთი, როგორ ნოერიგდებითო“, მაგრამ ასე შორს შეტოპვა ვეღარ გაბედა.

იქნებ ეს გარემოება, თავის მხრივ, არც სევერიანს ავიწყლებოდა, მაგრამ ამაზე ისიც დუმილს ამჯობინებდა.

ასე დადუმებულნი მიადგნენ ისინი სანახევროდ მიხურულ კარს, როცა ნა-

ხევრად ჩამობნელებულ დერეფანში თამარი და გენრიეტა შენიშნეს.

— ვის ელოდებიან? — გაჩვივრგავივიმ.

— ალბათ შეთქმულებას გვიწყობენ.

ქალები კი შექმნ ჩაქრობას ელოდებოდნენ, რომ დარბაზში მათი გამოჩენა შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

და, მართლაც, ჩააქრეს თუ არა შექი, ქალები უკვე დარბაზში იყვნენ.

სექტაკლის დასასრულს, როცა კიაზომ მალხაზი მოკლა, იმის მაგიერ, რომ თამარი ამ სცენას შეეშფოთებინა, პირიქით, დაწყნარდა, წარმოიდგინა, მალხაზის როლის შემსრულებელ ისიდორეს თითქოს თვითონაც გადაუხადა სამაგიერო და რაც მოხდა, აღარ ნანობდა.

ტიროდა მუსიკა. ტიროდა ხალხი, სცენაზე თუ დარბაზში, დასტიროდა მარო თავის მიჯნურს, გენრიეტა კი ილიშებოდა, ხოლო თამარი სცენისაკენ ისეთი ადამიანის გამომეტყველებით იხედებოდა, რომელმაც ესაა, მიაღწია თავის საწადელს, მტერზე შური იძია და ამ შურისგებით ამყოფს. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი გრძნობა იყო, ის ჩქარა გაქრა და თავის ძველ სატკივართან ერთად დახურული ფარდის წინაშე აღმოჩნდა თამარი.

— ესეც შენი! — მალხაზის როლის შემსრულებელ ისიდორეს მისამართით წამოიძახა გენრიეტამ და უეცრად წამოდგა, — თუ სცენაზე კიაზო დაგიხვდა, ახლა ქუჩაში ჩვენ დაგიხვდებით!

ხალხი შემსრულებლებს იმახებდა, ტაშს უკრავდა.

თამარმა და გენრიეტამ სწრაფად დეტოვეს დარბაზი.

კარგა ხანი გასულიყო, რაც თეატრის შენობიდან გამოსასვლელ კართან სევერიანი და გივი თამარსა და გენრიეტას ელოდებოდნენ, მაგრამ ქალები ჯერაც არ ჩანდნენ.

თეატრი თითქმის დაცარიელდა. ახლა მსახიობებმაც იწყეს გამოსვლა. ამ დროს გენრიეტას ხმა შემოესმათ:

— მოვდივართ, ცოტა მოგვიტოვი-

ნეთ! თამარი კოხტავდება! ამ წუთში ნოვალთ! — თვალის ჩაყვრილთა ცააფრთხილა გენრიეტამ ვაჟები და მყისვე გაქრა.

— კეთილი! — უკვე იმით კმაყოფილი, რომ თამარი ისევ თეატრში იყო, უბასუხეს ვაჟებმა, თანაც პალსტუხები გაისწორეს, შლიაპები იმჟამად შემოღებულ წესისამებრ დააყენეს და იმის ნიშნად, რომ საქმე კარგად მიდიოდა, ჩაახველეს.

შიგნით, თეატრის ჩამოხველებულ დერეფანში თამარი და გენრიეტა კედელთან უხვოდ ატუხულობდნენ და კულისებიდან გამოსასვლელ კარს თვალდაცეცებით აცქერდებოდნენ.

აგერ, იმ კარიდან გამოსული ისილორე შეიციანეს მათ და უცხად კედლისკენ მიბრუნდნენ, გაიტრუნენ.

დერეფნიდან გასული ისილორე რომ გასასვლელი კარისაკენ გაემართა, თამარმა მყისვე დატოვა გენრიეტა, ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა ისილორეს, გაუსწრო და როცა გარეთ გავიდა, სევერიანთან ხმაურით მიიქრა:

— ბოდიში, დიდხანს გაცდევინეთ, წავიდეთ! — ხმამალა უთხრა, თანაც იმავე კარში გამოსულ ისილორეს თითქოს შემთხვევით გადახედა (ისიც შენიშნა, როგორ გაფითრდა ისილორე), სევერიანს მკლავში ხელი გამოსდო და თან გაიტაცა.

სახტად დარჩენილმა გვიმ მიმოიხედა, ვერაფერი გაეგო. რალაც უხერხულად მიბრუნდა, მობრუნდა და უცებ გენრიეტას მარწყხვივით თითების შეხება იგრძნო მკლავზე.

— არაფერია, გულს ნუ გაიტეხს მე ხომ მართო ვერ დამტოვებდა თამარი. წავიდეთ, ყველა ერთად ვიქნებით... არა გჯერა? დამიჯერე, თამარს შენ მოსწონხარ! — უთხრა გენრიეტამ და თვალი ჩაუკრა.

გაოგნებული გვიმ ისე უნდობლად მისჩერებოდა გენრიეტას, მაგრამ თქმით მაინც ვერაფერი ეთქვა.

— ვიცი, გული დაგწყდებოდა, მაგრამ მალე ყველაფერი გამოსწორდება,

წავიდეთ, გვიცი! — ისევ გაჰყვებოდა გენრიეტამ ვაჟი და აღვილიდან დასმრა.

— კი, მაგრამ... ეს რანაირად... იძახდა გვიმ და მაინც მოჰყვებოდა ქალს, თუმცა ჯერაც ვერ გაეგო, რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი.

შინისკენ მიმავალი თამარი ხმას არ იღებდა, არც სევერიანისაკენ იხედებოდა.

სევერიანს ვერაფრით აეხსნა თამარის ამგვარი საეჭვო ქცევა. ამიტომ, უხერხული ღუმელი რომ დაერღვია, შეეცადა თვითონ მაინც ეთქვა რაიმე.

— საოცარი საღამოა, — როგორც იყო სთქვა მან.

თამარმა ხმა არ გასცა.

— ამ დროს თბილისი შეუდარებელია, — ნაძალადევი თავაზიანობით განაგრძო სევერიანმა. — ჰაერი დამტკბარია. სიმწიფისა და სიმსუყვის სურნელება ერთმანეთშია შეზავებული. თქვენ რალას იტყვი?

პასუხი ახლაც რომ ვერ მიიღო. გაცეხული თვლები შეავლო თამარს. ქალის უძრავმა, თითქოს გაყინულმა თვლებმა და ქალღღიღით გაფითრებულმა სახემ უფრო გააოცა სევერიანი.

— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა, თამარ? — ევლარ დამალა მან თავისი გულწრფელი შეშფოთება.

თამარი, თითქოსდა, ახლა გამოერკვაო, შეირხა, წამოიძახა:

— ბოდიში, ფიქრებს გავყვი, მამატიემ!

— დიახ...

— მაგრამ თქვენ რალაც კარგს მიამბობდით...

— კარგს არა, მაგრამ სიმართლეს ვამბობდი.

— მაინც? — ახლა ღიმილით გადახედა და ჰკითხა თამარმა.

— რომ ჩვენი ქვეყანა მშვენიერია და ბევრი მზეთუნახავიც გაუჩენია.

ალბათ თქვენ ბევრს იცნობთ მზეთუნახავს.

— ცნობით არა, მაგრამ შორიდან

ვხედავ... დღეს კი... — ველარ დაასრულა სევერიანმა.

— დღეს კი პირველად გაიცანით, არა? — დაასწრო თამარმა. მის სიცილში რაღაც ისტერიკული ტონიც გაისმა, — ასეა, მამაკაცები გაიცნობენ თუ არა ქალიშვილს, შეამკობენ, გადარევენ, გააფიქრებენ, ცაზე აიყვანენ, მერე კი ხელს ჰკრავენ და უმოწყალოდ ძირს დაანარცხებენ.

— რად ამბობთ აგრე? — გაიკვირვა სევერიანმა — ხომ არავინ გაწყენიათ?

— არა! — ისე სწრაფად უპასუხა თამარმა, რომ დაკვირვებული, თანაც, ამგვარ საქმეებში გამოცდილი კაცი აღვილად მიხვდებოდა ასეთი „არა“ „კის“ რომ ნიშნავდა.

სევერიანმა კი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო თამარის ნათქვამი.

— ჩემთვის ვის უნდა ეწყენინებინა, მაგრამ აგრეა საერთოდ...

— ყველაფერი ხდება, თუმცა ყველა ერთი როდია, — უპასუხა სევერიანმა.

თამარს პასუხი აღარ გაუცია. ისევ ისიდორესთან შეხვედრის სურათი წარმოიდგინა და აღმართი, რომელსაც ახლა აღიოდნენ, ისე აათავა, არც გაუგია.

— მივედით, — ცოტა ხნის შემდეგ თქვა თამარმა და უცბად შეჩერდა.

— მაშ თქვენ აქ ცხოვრობთ... — კი არ ჰკითხა, ისე რაღაც თავისთვის თქვა სევერიანმა.

ამ დროს გენრიეტას მახილი მოისმა:

— აა, ხომ დაგწიეთ, ცოტა გუადროვით და კიდევ გაგისწრებთ.

გენრიეტა წინ გამოეშურა. გივი ნაწყენი იყო და მოშორებით შეჩერდა.

— თქვენ რაღა შორს დგახართ, ხომ არ გვემღერით? — გასძახა თამარმა.

— არა, — რაღაც უხერხულად თქვა გივიმ და ცას ახედა, თითქოს ზვალინდელი ამინდი უფრო აინტერესებს, ვიდრე ამ ახალგაზრდა ქალებთან ყოფნაო.

— გივის ეგონა, რომ თქვენ მიიტოვებთ და გუნება გაუფუჭდა, — სიცილით თქვა გენრიეტამ.

— რას ამბობთ, სულაც არ მიფიქრია, ბოდიშს ვიზიდი, თუ გაწყენინეთ!

უთხრა ვაჟს თამარმა, მივიდა, გაუღიანა, მკლავში ხელი გამოსდრეკინა, თამარის მხრივ ასეთი მკურნალობით ემყარებოდა გივის სახეზე გამოიღარა.

სამაგიეროდ, ამდენადღე მოიღრუბლა სევერიანმა.

„განა შეუძლია ყველა ერთნაირად მოეპყროს?“ — გაიფიქრა მან, მაგრამ სხვების გასაგონად სულ სხვა რამ თქვა:

— გივის დატოვება ჩვენი ბრალი არაა, შემთხვევით მოხდა.

გივი გააბრაზა სევერიანის არაგულწირფელმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „შენც კი ჩიტი ყოფილხარ... დაგიმახსოვრებ!“ — მერე მოულოდნელად ახალი ექვი დაებადა: „მავათ, შესაძლოა, გეგმები დააწყვეს და ახლა მხიარულნი არიან, მე კი ფარისევლურად მეფერებინა“, — და ისევ ბრაზი მოაწვა ყელში.

— ასეთ შესანიშნავ ვაჟკაცებს ვინ აწყენინებს. თამარი იმდენად გულკეთილი და გულისხმიერია, რომ უზრდველობაში ბრალს ვერავინ დასდებს, — თქვა გენრიეტამ.

— დიახ, — დამოწმა სევერიანი.

— გასაგებია, — რაღაც ორქოფულად დაუმატა გივიმ.

— აქ რაღას ვუღვაერთ? თუ თამარი ნებას მოგვეცემს, იქნებ შინ შევსულიყავით... როგორც მე ვიცი, თამარი მარტოა, ცოტათი გავართობდით და მერე წავიდოდით, — თქვა გენრიეტამ და ეშმაკურად თვალი მოწყურა, თამარს გაჰხედა.

ამდენს აღარ მოელოდა თამარი. გენრიეტას ნათქვამმა თითქოს ერთბაშად გამოათხიზლა. მართლაც, რა მოხდება, რომ ამოვიდნენ?“ — გაიფიქრა წამით და ძლივს გასაგონად თქვა:

— მობრძანდით!

პასუხისათვის აღარ დაუცდია. თვითონ პირველმა შეალო სადარბაზო შესასვლელის მძიმე კარი.

ვაჟები ყოყმანით გაჰყენენ.

— იქნებ შეგაწუხოთ... — გაუბედავად დაუმატა გივიმ.

— არა, როგორ გეკადრებათ, ძილს

მოვესწრებით, ღამე დიდია და, თუ შევამცირებთ, მოვიგებთ, — თამარის მაგიერ თქვა გენრიეტამ. ვაჟებს წამოეწია და მეგობრულად ხელი მოჰკიდა.

ოთახის კარი გაიღო თუ არა, ვაჟებს, უპირველეს ყოვლისა, სუნამოს გაშაბრებელი სურნელი შემოეგება. როცა თამარმა შუქი აანთო და ოთახში შევიღნენ, გენრიეტამ თითქოს დიდი აღტაცებით წამოიძახა:

— რა მშვენიერებაა! რამდენი წელია, რაც აქ არ ყოფილვარ. სამოთხეს დამსგავსებია აქაურობა!

— მართლაც შესანიშნავი ბინაა, — თქვა სევერიანმა.

— ნამდვილად... — დაუმატა გივიმ.

— დაბრძანდით, — მაგიდასთან მიიწვია თამარმა სტუმრები.

სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ მცირე დროც საკმარისი იყო, რომ ყველას თავისებურად შეეფასებინა ეს ვითარება და თავის გულში გამოეთქვა ის, რასაც გრძნობდა:

გივი, რომელიც სხვებისაგან მოშორებით გაბუტული ბავშვივით იჯდა სავარძელში და ხან თამარს, ხან სევერიანს აცქერდებოდა, რალაც იქნეულად ფიქრობდა:

„შეყვარებულთათვის აქ ნამდვილი სალონი ყოფილა, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ პირველად მე და სევერიანს გველირსა აქ მოსვლა? დაუჯერებელია! მაინც რა კარგი იქნებოდა, რომ ამის დაჯერება შეიძლებოდა? ახლა კი შემიძლია თამარისა და სევერიანის თვალეში ამოვიკითხო, რამდენად უტყუარია ჩემი ექვები“.

სევერიანი, რომელიც ხან ერთს, ხან მეორეს მისჩერებოდა და ზოგჯერ თვალშეპარვით ოთახის შეთვლიერებასაც ასწრებდა, ფიქრობდა:

„სრული გაუგებრობაა ჩვენ ირგვლივ სად მოვედით? ვინაა ეს ნაზი თამარი, რა მოხელეა, აქ მარტო რად უნდა ცხოვრობდეს? გზაში რომ ფითრდებოდა და რალაც ფიქრებში იგარგებოდა, რა მიზეზია?... ისე ჰო, მშვენიერია, კაცი

ადვილად ვერ შეეღწევა. სათუთი თვალები აქვს და თითქოს ნივთიერებას გაჰყარებია, მაგრამ... მე შინაა, ცხარე მგობრები არ დაგვაშოროს“.

თამარი კი ფიქრობდა:

„თქვენ რა იცით, რა ბოლბაა ჩემს გულში. თუ მოვახერხებ, არ დაგზოვავთ. მამაკაცები ყოველგვარი სასჯელის ღირსი არიან და ტკბილი სიტყვებით ჯოჯოხეთშიც რომ შეგიყვანდეთ, გული არ დამწყდება. ახლა მზადა ვარ, აღარაფერს მოვერიდო; არც სახელის, არც ნამუსის, არც სიტყვის“ გატეხას, არც ვერაგობას“...

გენრიეტა სავარძლის სახელურზე ჩამოშვდარიყო. მასაც გასჩენოდა თავისი საფიქრალი:

„იზრუნეთ, ყმაწვილებო, ობობას ქსელში რამდენსაც გაიწვით, უფრო მეტად ჩაგიჭერთ თამარის მოღვენთილი მკლავები და მისი მომწუსხველი თვალები... მერე მე დამაბრალებთ, მაგრამ შორს ვიქნები... თამარი კი უფრო დამეშვავებს, ჩვენ შორის არავითარი განსხვავება აღარ იქნება, და მაშინ მეც ძალა მომემატება“.

გენრიეტა წამოდგა, ტანი მიმოარხია, მაგიდის გარშემო წრე გააქეთა. თითქოს ოთახის მორთულობას პირველად ხედავსო, ერთხელ კიდევ შეათვალერა, ხელითაც გასინჯა ყოველი ნივთი, მერე მიუჯდა ფორტეპიანოს და ააქლრიალა.

— თამარს შესანიშნავი ფორტეპიანო შეუძენია. აქ ბრწყინვალე ბალებიც შეიძლება მოეწყოს, — თქვა, ზეზე წამოიჭრა, ხელები მალა აიშვირა, ჯარასავით შემოტრიალდა, — თამარ, თუ შენს სამოთხეში ცეკვა-თამაში აკრძალული არაა, მოგვეცით ნება ფრთები გავშალოთ, შავი ფიქრებიც უკუყვართ და წუთისოფელი არ გავიწამოთ!

— შეგიძლია, — მოკლედ, ძლივს შესამჩნევი ღიმილით უპასუხა თამარმა.

სავარძელში ისევ ყურებჩამოყრილად ჩამჯდარი გივი თვალგამტერებით მისჩერებოდა გენრიეტას, რომელსაც ხელები გაეშალა და წეროსებურ, წვრილ

ფეხებს იატაკზე უთავბოლოდ ატყაპუ-
ნებდა.

„თუ ეს კრაზანა არ ჩამოვიშორეთ,
სიცოცხლეს გაგვიწარებს, არ გაგვახა-
რებს“, — გაიფიქრა მის დანახვაზე გი-
ვიმ.

სევერიანი კი სულ სხვანაირად აფა-
სებდა ახლა გენრიეტას საქციელს:
ჩვენ გვეხმარებაო, — ფიქრობდა, ცდი-
ლობს, თამარი გამოაცოცხლოს, გაათა-
მავოს, ხასიათი გაუხსნას და შეგვაჩვიო-
სო.

ამ დროს თამარი წამოღდა. კვლავ
გაურკვეველი ღიმილი დასთამაშებდა
მას სახეზე, ჯერ სევერიანს დააკვირ-
და, მერე გივისს. გივისს ფრთხილად და-
აღო მხარზე ხელი და გაუცინია:

— თქვენ ისევ მოწყენილი ხართ?
გაიხარეთ, აი, მეც თქვენთან ვარ.
თქვენ ძალზე სათუთი გული გქონიათ.
როგორ იბუტები, არა გრცხვენიათ?
არ მიყვარს მე ასე, — განგებ მოიღუშა
თამარი, მაგრამ წამსვე გაეხსნა სახე, —
აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა? თუ არა
აქვს? მითხარით!

გივისს უზომო სითბო ჩაელვარა, გა-
ეროლა მოულოდნელ ნეტარებისაგან,
მაგრამ სავარძლის ზურგზე გადმოხ-
რილ თამარს მაინც უნდობლად აპხედა.
არ ასვენებდა ეკვი, რომელმაც წელიან,
სწორედ აქ შემოსვლის წინ, გაუელვა:
„იქნებ უკვე მოილაპარაკეს, იქნებ მე
ზედმეტი ვარ და ახლა თავს ირთობენ?“
მაგრამ თამარის მომწესხველ ღიმილს
მაინც ვერ გაუძლო, თვითონაც გაიღი-
მა, შუქი ჩაუღდა თვალებში.

სამაგიეროდ, ახლა სევერიანს შეეკ-
რა წარბები, მოიწყინა, გამარჯვების
სხივი, მის სახეზე რომ ელვარებდა,
უეცრად ჩაქრა. გუნების უეცარი შეც-
ვლა რომ მიეჩქმალა, თამარს თვალი
შოარიდა. „ნუთუ ახლა ჩემგან იბრუნა
პირი, ზურგი შემაქცია, ისე, როგორც
გივისს ოპერის წინ?.. ალბათ, გივი მოე-
წონა...“ — გაიფიქრა და ქერს აპხედა,
მერე გენრიეტას უთხრა ნაძალადევი
ღიმილით:

— კარგი ცეკვა გცოდნიათ, გენრიეტა.

— ცეკვაც ვიცი და დროს გატარე-
ბაც, — სიხარულისაგან მეცხრეუცაზე
შეინავარდა გენრიეტამ, — კრაცუნდერტს
მოუცია, მისი მოხმარების უნარი ვისაც
არა აქვს, სჯობს მალე მოკვდეს; უფ-
რო მოსვენებულად და მშვიდად იქნე-
ბა. ცხოვრება დროს ტარებაში უნდა
გავლოთ, სანამ თვით დაგვდეს, პირს
ჩაიტკბარუნებს და შეგვახარაუნებს.
მეუბნებიან, მალლა რომ იცქირები,
მიწას დაპხედე, სწორად იარე, შეეცადე
წესიერი ქალი დადგეო, მაგრამ წესიე-
რება თუ უწესობა მიწაში ერთად
დაიშარება და მაშინ ველარავინ გაი-
გებს, რომელი სჯობდა.

— რას ამბობ! — გაიკვირა თამარ-
მა, — უწესო აღამიანი თავს წააგებს,
შერცხვენილი, დამცირებული, ფასდა-
კარგული ივლის ამქვეყნად და სახეშიც
აღარავინ შეხედავს.

— მართალია, — დაემოწმა გივი.
— სწორია, — დაეთანხმა სევერიან-
იც.

გენრიეტა ურჩობდა, ის მაინც თავი-
სას ამტკიცებდა: „ვინც რა უნდა, თქვას,
წისქვილმა კი ფქვასო“, — იძახდა, მაგ-
რამ ზედვე ეტყობოდა, რომ მას უკვე
ჩამოეფქვა თავისი საფქვევი და ახლა
ამოღდა-და რახრახებდნენ საფქვევამო-
ლეული წისქვილის ქვები. ის ბრაზობ-
და კიდევ, თამარის სტუმრები რომ
თვითონ მას, გენრიეტას, ყურადღების
ღირსადაც არ თვლიდნენ, მაგრამ მისი
ერთადერთი მიზანი, ნუგეში და მოთ-
ხოვნილებაც მხოლოდ ის იყო, თამა-
რიც, როგორც მეგობარი, თავის დო-
ნეზე ჩამოეყვანა, რომ საკუთარი ბედი-
თა თუ უბედობით, ცხოვრებაში მარ-
ტო არ ევლო. ამისდამიხედვით ცხოვ-
რებაზე, მის დანიშნულებაზე, მიზანზე,
თავისებური აზრი გამოემუშავებინა
გენრიეტას და ცდილობდა ყველგან და
ყველაფერში გაემართლებინა ეს აზრი.
ო, იმდენი ძალა რომ ჰქონოდა, თავის
პეტაზე ეტარებინა მთელი ქვეყანა!
მაშინ ვერავინ გადმოჰხედავდა ზემო-
დან გენრიეტას, საქციელსაც ველარავინ
დაუწუნებდა, რადგან ყველა მას ემს-

გავსებოდა და ამით სამუდამოდ მოსვენებდა.

ვაკები თამარს ემხრობოდნენ, მაგრამ ბოლოს რაღაც მოსაზრებებით, ზოგ რამეში გენრიეტსაც უჭერდნენ მხარს. სიფრთხილეს თავი არ სტყიოდა: იქნებ თამარი ერთს ფიქრობდა და მეორეს ლაპარაკობდა?!

— აშკარაა, კარგია, ვისაც როგორც სურს, დრო ისე ატაროს, მაგრამ საზღვარი მაინც არსებობს, რაღაც ნორმები უნდა დავიცვათ. ასეთი ნორმები კი როდი ნიშნავს შეზღუდვას. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს საქციელს სილამაზე შევეუნარხუნოთ და იქ შევჩერდეთ, სადაც მისი საზღვარი თავდება, — ამბობდა სევერიანი.

— დროს გატარება დასაშვებია, მაგრამ ადამიანმა სულიერი სისუფთავე გულის სიტაქიზე არ უნდა დაკარგოს. მაშინ ყველაფერს ინტერესი და ხალისი ექნება. — ამბობდა გივი, რომელიც „გულის სიტაქიზე“ განსაკუთრებით იმტომ დააწვა, რომ თამარის აზრი მის შესახებ არ გაემტყუნებინა, შეეფერებინა და გაემართლებინა.

ამას ახლა თამარიც გრძნობდა და ნახევრად კმაყოფილებით, ნახევრად ირონიით იღიმებოდა.

ვაკებს მაინც ის აოცებდა, რომ თამარი ხანდახან საოცრად ცივი იყო, მტრულად გამოიყურებოდა. ვერ გეგოთ, სიიდან მოდიოდა ან რისთვის იყო გამიზნული ეს მტრობა თუ სიცივე. თუმცა დღეს პირველად ხედავდნენ თამარს, ორივე კარგად გრძნობდა, რომ იგი გულუბრყვილო, ცხოვრებაში გამოუსვლელ ქალს არა ჰგავდა; მაგრამ სჯობდა, რომ ასეთი ყოფილიყო. ამას წინასწარ მოულაპარაკებლად გრძნობდა ორივე მეგობარი.

ამასობაში კარგი დრო გავიდა. ეტყობოდა, ქალაქმა ჩაიძინა. კანტიკუნტადლა თუ მოისმოდა თითოთროლა გამვლელის აჩქარებული ფეხისხმა. თამარმა სტუმრებს გადაჰხედა და როცა შეიტყო, რომ ისინი წასვლას არ აჩქარიდნენ, ღიმილით მიმართა:

— ბოდიშს ვისდი, მაგრამ დღეს ცუდი მასპინძელი ვარ. სხვა დროს უკეთ დაგიხვდებით.

ვაკები წამოდგნენ.

— როგორ გეკადრებთ! პატივისცემა ჩვენგან გეკუთვნით. იმედია, ამასაც შევძლებთ, — თავაზიანად უპასუხა სევერიანმა და თავის შლიაპას მისწვდა.

— ქალს მეტი პატივისცემა ეკუთვნის, — ყრუდ დაუმატა გივიმ.

— ყურადღება მეგობრის მიმართ საჭიროა, მაგრამ თქვენი შეწუხება გულშიც არ გამივილია, — უთხრა მათ თამარმა და რომ უფრო მომხიბვლელი სახე მიეღო, კედელზე დაკიდებულ სურათს მიაპყრო თვალები.

— თამარი პატარაობიდანვე მოკრძალებული გოგონა იყო და მეგობრებისაგან სიყვარულის მეტს არაფერს ითხოვდა, მაგრამ... ჰო, თამარ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ქალი სხვაა; მამაკაცებს კი თავიანთი კაპრიზები აქვთ და ჩვეულებას ვერ გაემტყვიან, — ჩაურთო გენრიეტამ.

— მართალია, სწორია! — მოუწონეს ვაკებმა.

— თქვენთვის სწორია, ჩემთვის კი არა, — ისე რბილად თქვა თამარმა, რომ ვაკებმა იგრძნეს, „თავის შეწუხება“ დიდ დანაშაულად არ ჩაეთვლებოდათ.

გასასვლელში შეჩერდნენ. ერთსაც და მეორესაც ახლა გამოშვებობებისას ის უჩქროლებდა გულს, რომელ მათგანს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა თამარი.

— ყმაწვილებო, რადგან თამარი ახლა მარტო ყოფილა, ნულარ მოვაწყენთ. ვინახულოთ, მაგალითად, ზეგ სალამოს, მეც აქ ვიქნები და იმედი მაქვს, თამარიც შინ დაგვიხვდება, — დაარღვია სიჩუმე გენრიეტამ.

ხმა არავის ამოუღია. ყველაფერი თამარზე იყო დამოკიდებული.

ვაკები პასუხს ელოდნენ. თამარი დუმდა.

— თუ თამარი... — რაღაცის თქმა დააპირა შეყოყმანებულმა სევერიანმა.

— დიხ, მთავარია თამარის აზრი, — დაუმატა გივიმ.

— მობრძანდით, — ოდნავი თავის დაქნევით და ხმის გატკბილებით თქვა თამარმა, მერე სევერიანს ხელი გაუწოდა, ჩამოართვა, ახლა გივისაც მარტო ხელი კი არა, ღიმილიც მიაგება: — თქვენ ისევ მიჯავრდებით, არა? არაფერი! ხომ შევრიგდებით? კარგად იყავით!

ვაკები ხმის ამოუღებლად გავიდნენ ქუჩაში.

აქ ოდნავ შეჩერდნენ.

— შენ საით, გივი?

— აქეთ, — უჩვენა გივიმ.

— ზეგ მოხვალ, არა?

— არ ვიცი. ვფიქრობ, რომ არა ღირს...

— მეც ასე მგონია.

და მეგობრები სხვადასხვა მხარეს გაჰყვნენ იმ ქუჩას.

ორთავე გრძნობდა, მათ შორის რაღაც გაიბზარა, მეგობრული გულწრფელობა გაჭრა. ამაზე მათ ერთნაირად სწყდებოდათ გული, მაგრამ მაინც იმედოვნობდნენ, რომ ამ ლამაზ ქალთან თამაში დიდხანს არ გაგრძელდებოდა და მათ მეგობრობაც გამართლდებოდა.

ამ იმედითა და გულში მშვენიერ ახალგაზრდა ქალისადმი გაღვივებული ინტერესით მიდიოდნენ შინ და დაცარიელებულ ქუჩაში საკუთარი ფეხისხმა ესმოდათ.

შემობრუნდნენ თუ არა ოთახში, გენრიეტამ ისტერიული სიცილი აიტეხა. წელში იხრებოდა, იკეცებოდა, მუხლებზე ხელებს იტლამუნებდა, წინ და უკან დარბოდა ოთახში. პირი გაეღო, ხარხარებდა და თვლებზე ცრემლი სდიოდა. მაგრამ, ვინ იცის, რატომ ხარხარებდა გენრიეტა? განა მარტო იმიტომ, რომ ყმაწვილკაცები გაათამაშეს? იქნებ მისტიროდა ამ ხარხარში უსულგულოდ გატარებულ წლებს, რომელთა უკან დაბრუნება აღარ შეეძლო, რომ იმ წლებისათვის უკეთესი შინაარსი მიეცა, უფრო წარმატები გაეხადა ისინი და ამით აღედგინა უაზროდ გაფლან-

გული სახელი და სიცოცხლე. მაშინ განა თამარზე ნაკლებად ღირსეულია და მიმზიდველი იქნებოდა მათთვის ამ ყმაწვილების თვალში, რომლებიც ესაა თამართან იყვნენ. და მართლაც, გენრიეტამ დღეს ყველაზე მეტად იგრძნო თუ რა დაკარგა, ამის შეგნება კი უფრო აცინებდა და ატირებდა.

— რა მოგივიდა, დაწყნარდი, გენრიეტა, — უთხრა ბოლოს თამარმა, რადგან იგრძნო, გენრიეტას გაუთავებელმა სიცილმა არაბუნებრივი ხასიათი მიიღო და ის უფრო ქვითინს ემსგავსებოდა.

გენრიეტამ უცერად შეწყვიტა სიცილი, კუთხეში. პირშექცევით შეჩერდა, ცრემლები მოიწმინდა, მოწყვეტილად გამოტრიალდა და სავარძელში ჩავარდა.

— ახლა კი დამშვიდდი, მეტი არც სასაცილო და არც სატირელი არ დამრჩა, — თქვა და თამარს გაჰხედა.

თამარმა არაფერი უბასუხა, მოუსვენრად მივიდა ფანჯარასთან და თითქოს რაღაც გადაიფიქრაო, უკანვე გამობრუნდა.

გენრიეტაც აღარაფერს ამბობდა, მხოლოდ თამარის ფეხისხმას უსმენდა.

ამ ხმაში, თითქოს, თამარის უღმობელო სიტყვები ესმოდა: „მე კიდევ მაქვს რაიმე ფასი, შენ კი დაკარგულს ვეღარ მოიმიკი, რაც შეგრჩა, მოიხმარე, იარე, იცოდვილე, სანამ არსებობის ჭია გაწვალვებს“.

ბოლოს თამარი მიუახლოვდა, თვალი გაუსწორა თავის ძველ მეგობარს და მის გვერდით შეჩერდა.

— გენრიეტა.

— რა იყო?

— თბილისში ჩემს დარჩენას რაიმე მიზეზი უნდა გამოუჩინო. ყველაფერს თავი რომ დავენებოთ, წინოს რაღაც ვუთხრა? თავი რით ვიმართლო? მომეხმარე. რაიმე საქმე უნდა გავიჩინო ქალაქში. ვახსოვს, ერთხელ მითხარი, მანქანაზე ბეჭდვა შეისწავლეო? ეს ახლა მჭირდება.

— შენ, ჩემო თამარ, დღეს ისეთი მოხერხება და კეთა გამოიჩინე, რას არ ისწავლი... — ხმადაბლა, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული დაბეჯითებით უთხრა გენრიეტამ.

•
•

თეატრიდან გამოსულმა ისიდორემ თამარი რომ ვიღაც უცნობ ვაჟთან დაინახა, გული შეერხა, გაფითრდა, მაინც ძალა იძალა და შინისაკენ გაქუსლა. „აქი ვამბობდი, აქი ვამბობდი“, — მხოლოდ ამას იძახდა. მას ამით იმის თქმა უნდოდა, რომ თამარი სანდო ქალი არ იყო, სწორედ მოიქცა, რომ ჩამოშორდა. — „მე კი ისევ ვმერყეობდი, შერიგებას ვფიქრობდი“, — თითქოს ათასი ნემსი ჩხელეტდა ისიდორეს. თანაც გონებაში მანძილს ზომავდა: უნდოდა გამოერკვია, იმ უცნობ ვაჟთან ერთად წასული თამარი ახლა, ამ წუთში, სად იქნებოდა, ჩქარა მიაღწევდა თუ არა თავის სახლს... და რომ მიაღწევდა, განა იმ ვაჟს შინ შეიყვანდა? „ნუთუ შინ? შეუძლებელია!“ — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა, თვალი მოხუტა, იქვე შეჩერდა. თვალი რომ გაახილა, მიხვდა, ჩემი სახლის წინ ედგავარო. მაგრამ ახლა საით წავიდეს? თამარს გამოუდგეს, მიუსწროს, სანამ შინ შევა და თან იქ... არა! ეს ხომ სრული მარცხი იქნება, უფრო დამამცირებელი, სამუდამოდ სანანებელი? არა, არა! სჯობს ისევ თავს ძალა დაატანოს, ჩაკეტოს გულის

ყველა კარი და შინ შევიდეს. ასეც მოიქცა. კიბე აირბინა, კარზე მავრად დააბრაუნა. ახლა მიხვდა, — განდაგაჰარბეო, მაგრამ უკვე გვიან-ლა იყო. იცნო კარის გასაღებად წამოსული დედის ფეხისხმა და შეეცადა, უფრო მშვიდი სახე მიეღო.

— შეილო! შენა ხარ? ასე მაგრად რატომ აბრაუნებდი... ვაიმე, ავად ხომ არა ხარ! — კარის გაღებისთანავე მოაგება მისი უცნაური გამომეტყველებათ შეშფოთებულმა დედამ.

— არა, — უპასუხა ისიდორემ და პირდაპირ საწოლი ოთახისკენ წავიდა. ნაბიჯზე ეტყობოდა, რომ ძლივს მიდიოდა.

შეშფოთებულმა დედამ თვალი გაადევნა, მერე თან გაჰყვა.

როცა ოთახში შევიდა, ისიდორემ ქუდი მოიხადა და ისე ფრთხილად დადო კარადის თავზე, თითქოს შუშისაა და ეშინია არ გამოიტყდესო. მერე მის უკან უხმოდ შეჩერებულ დედას გადახედა, სკამზე დაეშვა.

— შეილო, ამ ბოლო დროს რა გემართება? — ხმისა და ხელის კანკალით ჰკითხა კვლავ დედამ.

ისიდორემ ჩამოვარდნილი თავი ასწია, ხმადაბლა, თუმცა დიდი შინაგანი სიმტკიცით უთხრა:

დედი, ვწუხვარ, რომ ერთი წლით მაინც უნდა დაგტოვო. რუსეთში მივდივარ, აქ ველარ დავრჩები.

— რუსეთში, შეილო? — გაიმეორა მოსალოდნელი განშორებით თავზარდაცემულმა დედამ.

(გაგრძელება იქნება)

აღმსარება გეგაგუჩილი

★

ფიცს გაძლევ

იქნება აქ მზესაც
სხვა ძალა ჰქონია,
ბალახიც სხვაგვარი,
ეშბით რომ მიტაცებდეს...
ღივილებს ჯეჯილი —
ზღვის ღელვა მგონია
ამ ფირუზ ზეცის ქვეშ,
ამ ზურმუხტ მიწაზე.
ვიგონებ ქარიშხალს —
კრწანისის დროინდელს,
გულს მინთებს ერეკლე —
ხმალდახმალ გაქრილი,
ბილწთა ბრბო მუბებით
ათასჯერ მოვიდეს,
ერთხელაც ვერ მნახოს
მე ზურგში დაქრილი!
ასპინძას მგრგვინავი
ლომის ვარ ზოკვერი,
ალანის ტალღა ვარ
გულდინჯი მდინარის.

სამშობლოვ,
თუ კიდევ ბრძოლები მოგველის,
ფიცს გაძლევ,
სიკვდილსაც დავხედები მლიმარი!
ვადიდებ ყველა ლარს
აკაკის ჩონგურის,
ჰერთა და კოლხელთა
გმირულ მკერდს ნატყვიარს...
ღვიძლ ძმათა მხარდამხარ,
ყოველთვის ღომგული,
ქართველიც სიბრძნის გზით
მიჰყვება პარტიას.
გულს მილხენს ქვეყანა
მე უმხურვალესი,
დიდი მზის სხივთა ქვეშ
ნაზად რომ ყვავილობს,
შხამადაც შეერგოს
უტკბესი ალერსი,
სამშობლოს დალატე
ვინც გულში გაივლოს!

სულ შენთან

სად შეუძლია პოეტის სტრიქონს,
რომ დაიტოს ფიქრი პოეტის...
მსურს შენთან ვიყო, მსურს შენთან
ვიყო,
შენთან სულ მუდამ, შენთან
ყოველთვის!
სულში მზე არის — შენ რომ ანათებ,
ვერ გხედავ — ბნელა და უკუნია.
შენთან ერთ წუთში გადის საათი,
უშენოდ — ერთი საუკუნეა.

და, რაც მწყურია შენი დანახვა,
ძლიერ, ო, ძლიერ დიდი ხანია,
გეძებ ქუჩებში, გეძებ — არა ხარ
და არაფერი არ მიხარია.
სად შეუძლია პოეტის სტრიქონს,
რომ დაიტოს ფიქრი პოეტის...
მსურს შენთან ვიყო, მსურს შენთან
ვიყო,
შენთან — სულ მუდამ,
შენთან — ყოველთვის!

გავიდა ზაფხული

გავიდა ზაფხული —
ალმური ივლისის,
მკერდს უღებს ქალაქი
თავის მკვიდრ ბინადრებს.

კვლავ ღამაზ ქალებით
აივსო თბილისი
და კვლავ შენს სარკმელშიც
აინთო სინათლე.

გნახავ და... კვლავ გული
 ზღვასავით მიღელავს,
 თუმც მჯერა
 ეგ მზერა
 სხვისი გზის მაშუქრად...
 მე ისიც მეყოფა —
 შეგითხზა სიმღერა
 და შენი ღიმილი
 მივიღო საჩუქრად.

კვლავ ვუცქერ შენს სარკმელს,
 ვარ სანთლად დამდნარი,
 ქუჩიდან გიმღერი
 ქებას და დიდებას,
 და ტოტებს,
 ვით მკლავებს,
 კვლავ მიწედის ჭადარი,
 და ხელში ბავშვივით
 აყვანას მპირდება.

მან იცის — უშენოდ
 სუნთქვაც რომ მიკირდ
 მან იცის —
 სევდა რომ მიტევდა სიავით,
 მან იცის —
 შენ მაშინ ვატკობდა
 ბიჭვინთა,
 ტალღების სრბოლა და
 ნაძვების შრიალი.

მან იცის —
 შენ გული
 არ გიძგერს საჩემოდ,
 არც მე ვთვლი მაგ მზერას
 ჩემი გზის მაშუქრად,
 მე ისიც მეყოფა —
 ეს ლექსი გაჩვენო
 და შენი ღიმილი
 მივიღო საჩუქრად.



საქართველოს
 ბიბლიოკლუბი

შაქრო საპარაშვილი



სიცოცხლემ მძლავრი ფრთები გაშალა

ეპ, გულის მანკი... ამ გულის კენესა
როცა მალეძებს, ლამის გაეთავდე:
მძიმდება ფიქრი...

— შენი ხმა მესმა,
ჰეი, სიკვდილო, რას მითვალთვალე,
წადი,
ადრეა,
შევხარი მზესა,
კიდევ საქირო კაცად ჩამთვალე!

*
*
*

და აი, ახლაც,
ამ შუა ღამით
განადგურებამ დამგესლა წამით.

წამომეშალნენ ისევ ფიქრები:
„ნუთუ აღსრულდა... აღარ ვიქნები...
სიცოცხლე მინდა, იგი ტკბილია,
რა მემუქრება გატიალებით...
დგას შორიახლოს, — ეს სიკვდილია —
საზარელ პირით, მღვრიე თვალებით...“

ვდგები.
შუქს გაეხსნი, კედლებს შეეხედავ,
მეცემა სხივი, სახეს მანათებ,
მძაფრი სურნელი, თმები მეხება,
სულში ჩამხედვ, ცეცხლად ამანთე,
მხნეობა... უფსკრულს გადიჩეხება
სიკვდილი, შე რომ გავეკამათე...

იმედის შუქი კვლავაც იელვებს,
სიცოცხლემ მძლავრი ფრთები გაშალა.
ჩემთან მოსული სიცარიელე
მშიმე ძუნძულით სადღაც წაშავდა.

გზაკვალაბნეულს
დავაყრით სიცილს,
ჩვენს ძლევას იგი როგორ შეძლებდა!

ჩემი მადლობა მაგ თვალთა ციმციმს,
ახლაც რა კარგ დროს წამომეშველა!

დაუბრიალა სიკვდილს თვალები
ტკბილი სიცოცხლის ძალამ მარადმა,
სული აანთო მზის ბრწყინვალეობით,
ბწყარები თეთრზე შავად დალაგდა.

თბილ-თბილ სტრიქონებს ფიქრი
მივანდე,
ჩამომქიკვიკია გულთეთრ მერცხალმა
და შთაგონების ცეცხლით მინავლულს
სიკვდილისათვის სადღა მეცალა.

გაუმჯობესდა ძგერა გულისა,
ამიგიზგიზდა ვარსკვლავთ კრებულში.
მეც ენახე წმინდა სიყვარულისგან
მკაცრი მოსპობა შეჩერებულში.

სიამოვნების შარბათი შეეხვი,
ლექსმა მიხსნა და...
მე ასე მჯერა:
სიცოცხლე არის ბრწყინვალე ლექსი,
ლექსი — სიცოცხლის უწყვეტი ძგერა.

ასე, ამგვარად,
გულო, რა უშავს,
კვლავაც დაიცვა შრომა მგოსნური,
ხელცარიელი უნდა გაუშვა
გაუძლომელი ჩემთვის მოსული.

მაცალე, გულო,
გამიგე,
მიცან,
მწე იყავ ისევ, რომ ვთქვა უთქმელი;
მერე კი... მერე... მშობელო მიწავ,
ცივი თბილ მკერდზე მოგებუტები!

მისი გახსენება

ღამე... გაცნობა, მენდო და ვენდე,
ვაგონში გვერდით მეჯდა ცისკარი.
ის ერთხელ ვნახე,
ვნახე და შემდეგ —
არის, იქნება დაუფიწყარი.
ძილის თილისმამ დაკარგა ძალა,
ფხიზლობდა, მითხრა: ტკბილად
გისმენო...
ეპ, სულს რომ შერჩა წარუშლელ
კვალად —

იმაზე უწინ ვინ გავიხსენდი!
მისი მშვენება სულმა იგლოვა,
იყო და შემდეგ არა იყო რა.
წავიდა, დარდი სულ დამიტოვა,
თუ ნახევარი თან გაიყოლა...
წასვლის წინ ვლუმდი,
მენანებოდა,
დამშვიდობების წუთმა შემზარა.
მარტო იმ გზაზე? — რა იქნებოდა
ცხოვრების გზაზეც ერთად გვემგზავრა!

ნიავი

გაშლილი მკერდით ყოველდღე ვხვდები,
მეაღერებს, ვეაღერებს.
მოუხარია მთიდან ბარამდის,
მის მადლს არასდროს ელევა ძალა,
სიცოცხლესავით არის მარადი,
უმისამართო და მაწანწალა.
მწიფობა... ელდრის გაშლილი ველი
თავს დატრიალებს სავესე ნაკვეთებს,

მკერდს აგრილებს და... შრომაში
გეშველის,
ისიც ამგვარად საქმეს აკეთებს.
ჭროლვავა მისი გარჯა, მხნეობა,
უყვარს ონაეარს ფოთოლთ შრიალი,
მას აკისრია მოვალეობად
მოუსვენრობა და ხეტიალი.



სამამუღლე რძა*

რომანი

სიტყვის შესრულება იცოდა ანანიამ. თუ არ შეეძლო, არ იტყოდა, ხოლო თუ ამოსთქვამდა — თავს გადააგებდა და ბოლომდე მაინც მიიყვანდა საქმეს. გაფიცებული მოეკიდა ვაჟაკი შერუჯული კედლების ხელახლა შემოსვას, საჩეხის დადგმას, ჭერის გადახურვას და კარ-ფანჯრების გათლა-გაწკებას.

ჯერ თემსაბჭოში ავიარდა, თავმჯდომარეს ბილეთი სთხოვა, რომ მასალა დაემზადებინა. ბილეთი ჩქარა მისცეს. მეზობლის ურემი ითხოვა და ორი კვირით ტყეში გადასახლდა. წნელით იქ პატარა ქოხი მოსწნა და შეუღდა ხეების ჭრას, ხერხევას, ფიცრის გამრობასა და გარანდვა-გაშალაშინებას.

ფეხმძიმე მაგდანა გვერდით ედგა ანანიას, ქალს ორსულობის უკანასკნელი თვე დასწყებოდა, მძიმე სამუშაო მისთვის მაენე და საშიში იყო, მაგრამ გამრჯე დიასახლისი ამას როდი დაგიღვდა. როგორც კარგი ვაჟაკი, ისე ეხმარებოდა ქმარს.

დილიდან საღამომდე სჭრიდნენ, ხერხავდნენ... საღამოს ხმელ პურსა და ყველს შეეჭყეოდნენ და იძინებდნენ. თავს არ იზოგავდნენ... მაგრამ, აგერ, უკვე თვე გადიოდა და ანანიას საჭირო მასალის ნახვეარიც არ ჰქონდა დამზადებული...

შემოდგომა კი უპირო კაცივით ყოველდღე ტყუოდა. დილით რომ მზეს გამოაშუქებდა, გუნებას გაუხსნიდა გლუხკაცს, შუადღისას ისეთ წვიმას წამოუშენდა, რომ გაკეთებულს სულერთიანად გაუფუჭებდა, საქმეს აგვიანებ-

და, აზოზინებდა, მწარე ცხოვრებას უფრო უმწარებდა.

მაგდანაც დღედღეზე დასაწოლი იყო. მას მოსვენება და მოვლა სჭირდებოდა, ხედავდა და გრძნობდა ამას ანანია. ბევრს ფიქრობდა, წვალობდა, რა გამოსავალი გამოენახა...

ამ დავიდარაბაში იყო ანანია, რომ ერთ დღეს ახოში სოსიკოს გადაეყარა. სოსიკოს უარი ეთქვა მოსკოვში წასვლაზე და მიწგანში დაეწყო მუშაობა, ახლა მიწგანის სხვა აგრონომებთან ერთად ახალ სავენახე და საყანე ადგილებს ეძებდა და ანანიასთან შეხვედრით ფრიად გაკვირვებული იყო.

რა გაიგო მეზობლის ასეთი გაკვირვება, შეწუხდა ძალიან, მაშინვე რაღაცა უჩურჩულა აგრონომებს, ხოლო მეორე დღეს ათი ჯან-ლონით საველე ყმაწვილი დააყენა თავზე ანანიას. თავათაც არ მოსცილებია მათ. ცულს ხელი წამოავლო, ხელეჩოც დამბაჩასავით გაიჭო ქამარში და მხარში ამოუღდა ტოლამხანაგს...

ანანია გაკვირვებული და გაზარებულ იყო ამ მოულოდნელი დახმარებით, იმედი მოეცა, უფრო ხალისიანად დაიწყო მუშაობა.

მაგდანას კი ისლა დარჩენოდა, რომ სოფელში ასულიყო და იქიდან ხარჯი ეზიდა გალალებული მამითადისათვის.

ხელმარჯვე ბიჭებმა ორ დღეში მოათავეს საქმე. სოსიკომ დურგლებიც მოიყვანა. ისე, ამხანაგობის, ძმობის გულისათვის, მათ ხელდახელ ჩამოასუფთავეს გაშავებული კედლები, თავზე გასდეს, დათლილი კოჭები დააწყეს და

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6.

საჩუხის სვეტებსაც დაუჩუქურთმეს გვერდები.

მუშაობდნენ ხალისით, ხმაურით, ხვანინად.

ანანია აღარ იყო სიხარულით. იგი ხედავდა, თუ არა სოფლის, მეზობლების დახმარება, ის სახლს ერთ წელიწადშიც ვერ გადახურავდა და, ალბათ, ღია ცისქვეშ დაეღუპებოდა ცოლ-შვილი.

ჩელი კოტე ხმამალაღი ტირილით შევიდა ახლად მოკრიალებულ სახლში. ღარიბულ, მაგრამ გულმართალ სუფრას თავისი ნათელი და სისპეტაკე დაადგა...

გასამრჯელო არავის მოუთხოვია. მამითაღში ეს სირცხვილიც იყო. ანანია ყველაზე მეტად სოსიკოს უმადლოდა. გახარებული უცინოდა მეზობელს, ჰპირდებოდა, თუ ცოცხალი დავრჩი, ამ სიკეთეს არ დაგაკარგავ და ვეცდები, როგორმე გადაგიხადო...

მამითაღი წავიდა. ახლად გარანდულ საჩუხის სვეტთან ანანია და სოსიკო ისხდნენ და ხმადამლა ლაპარაკობდნენ.

მაგდანა ჯერ ისევ იწვა ქვეშაგებში, მაგრამ ღლისით მიინც წამომდგარაყო და თავისი ლაზათი მიეცა ყველაფრისათვის: ოთახი დაეგავა, ეზო მოესუფთავებინა, მოეკრიალებინა ქერი და იატაკი...

მცირე ხნის ფიქრის მერე სოსიკომ თქვა:

— ხომ ხედავ, ანანია, ბერიკაცები ამბობენ, ბევრი ხელისა და ცოტა პირის ჰირიმიო... საწყლუბს ცარიელი პური ენატრებოდათ და მაშ რა უნდა ეთქვათ. შენ კი, ხომ დაინახე, ბევრი ზელო თუა, ბევრი პირიც არ არის საშიში. ხომ გაგიგია, ბევრ მკლავს ბევრი ხუავი მოაქვსო!

— მაშ, ე ბიჭები რო შემეშველნენ ეს არი ის?

— რა ის? — ვერ გაიგო სოსიკომ.

— ის! — მოლოდინით, იმედით თქვა ანანია.

— ჰო, ჩემო ანანია. მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ნათქვამია. აბა, არა სჯობია, მხარდამხარ?

— უბედური მამაჩემი სულ მამითაღზე დადიოდა სოფელში, ხალხში ყოფნა უყვარდა. თითქმის არ შეეძლო, თუ ვილაცას არ ეჯობებოდა, ისე გაეჭნია ბარი ან თოხი.

— მამაჩემი კი, გულჩახვეულია, ბიჭო! მეშინია რატომაც...

ჩაფიქრდნენ. ანანიამ იკითხა:

— მალე იქნება!

— მალე, — იღუმალი სიხარულით გულათრთოლებულმა წაიხურჩულა სოსიკომ. მერე ხმადამლა დაამატა: — აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ.

სოსიკო უხმაუროდ წასულიყო. ანანია თავჩაქინდრული იჯდა. ეზოში ვილაცამ გაიარა. ხარება იყო. შეშინებულმა ანანიამ თვალეზი მოიფშენიდა. ზმინება გაქრა. მაგრამ ის არ გამქრალა იქ, გულში; ბრუნავდა, ტრიალებდა, უნდოდა გარეთ გამოსვლა, მზის სინათლეზე მოიწვედა.

ანანია მარტოობის კიას ისე დაეჯაბნა, ისე შეეწუხებინა, რომ გულით უნდოდა ხალხში ტრიალი, ტოლებთან, ბექვანიერ ბიჭებთან ჰიდილი, ხარება რომ ნატრობდა, „ი მამითაღში“ ყოფნა, რათა დამზრალი გული გასთბობოდა, გახალისებულიყო. „იკრიკიანთ ვანაზე ამბობენ იმისი ხელეური ძნას ეტოლებო, აბა, თუ ბიჭია, დამიდგეს! — ფიქრობდა ანანია, — ნამგალს ისე დაეაკვესებ, ალი მოედოს ყანას“..

ანანია ღრმა ფიქრში იყო წასული, მაგრამ შორი გუმანით გრძნობდა, თითქოს სოფლის თავში რალაც დიდი, უცნობი, ახალი ძალა მომდგარიყო, რომელსაც უნდა გამოეყვანა თავთავიანთ ქობებში ბელურებივით შეყუჟული გლეხები და მათი ჩამწყდარი გულები ერთი საქმის კრიალოსანზე აესხა...

უჩინარი, შინაგანი შუქით განათებოდა სახე ანანიას და გონებაში ათას მადლობას სწირავდა სოსიკოს, ცხოვრების ორომტრიალში რომ ჩაახვდა და დაანახვა ის ბილიკი, რითაც ბედნიერების გზაზე შეიძლებოდა გასვლა.

ვარდიანში სოსიკო ნაშუადღევს ჩამოვიდა. საბჭოში თავმჯდომარეს მიაკითხა. უთხრეს, სოფელშია გასული და მალე შემობრუნდებოთ. სოსიკო გაუჩორკნავ სკამზე ჩამოჯდა და ლოდინი დაიწყო.

სად იყო, სად არა, კიშპალა გაჩნდა, სოსიკოს გამოკეცა:

— გამარჯობა, ამხანაგო აგრონომო!
— გაგიმარჯოს, კიშპალ. რა ამბავია თქვენთან, ხომ მშვიდობა?

— ახლა სიწყნარეა. დილას რომ გენახა, საგიეთი გეგონებოდა.

— რატომ?
— სოფელში კულაკური ელემენტები აღმოვაჩინეთ.

— მერე შენ რა შუა ხარ?
— მოთავეები აქა გყავდა თავლაში დამწყვედელი და.

— შენ როგორა ხარ, კიშპალ?

— დავხანხალე.

— ცოლ-შვილი?

— მოვსპე, როგორც კლასი!

— ხომ არ გადარეულხარ, რას ამბობ?

— ცოლი, კარგა იცი, ხუთი წლის წინ გამეკცა. აღარ მოვეწონე, ცალფეხა არ მინდებოდა. ერთი ბნელიანი შვილი მყავდა, ჩემს დას გავუზავნე ლაგოდესში.

— თავმჯდომარე როდის მოვა?

— არ ვიცი, არ მეუბნება.

— ეპატარაები?

— მაშ! მე რომ არღანივით ტელეფონს არ ვატრიალებ და დღეგამოშვებით სილნაღში არ დავრბივარ? მე ჩემი სინდისით მწამს რევოლუცია და ვებრძოლებ, სანამ პირში სული მიდგას. ნუ დამათასებენ!

— შენ ყველა მტერი გგონია. იქნება მეც მიპირებ, როგორც კლასს, მოსპობას?

— არა, შენ რათა, ჯამბარას ბიჭი არა ხარ? შენ კარგი ხარ! აი ის კი, შენი გერი ძმა, საცა შემხვდება, სულ იმას დამძახის, პარაზიტი ხარო. რამ გამამპარაზიტა? საკუთარი სახლი არა მაქვს

და კარი. საკუთარი ცოლი არა მყავს. ერთი ეშმაკი მყავდა, რომ შეგეხედა შეგეშინდებოდა. მაინც დამხრებულა შურდა ვილაქას, ჩამეზიარა. კიდე კარგი, ლამაზი არ იყო, თორემ მომკლავდნენ. ჰოდა, ცოლი არა მყავს საკუთარი, საკუთარ ბურს არა ვქამ, ქვეყნის გზაზე ვდგევარ...

— სწორეთ მაგას ჰქვია კიშპალ, პარაზიტობა!

— რასა, კულაკი რომ არა ვარ? მამაშენივით დიდ ვენახს რომ არ ვიკეთებ, ქვიციკრის სახლები რომ არ წამოვკიმი? განა იმიტომ, რომ არ შემეძლო? არ ვირჩიე. რათა? იმათა, რომ მე კლასობრივ მტერს დავდე და ბრა ქვევრების ამოვსებას... აი, ამითვინა ვერ მხედავს ზოგზოგი და უკადრებელსაც მეძახის...

— მწარე ენა გაქვს, კიშპალ! მამაჩემს რაზე გადასწყვდი? კარგად იცი, ჯამბარას რაცა აქვს, სიღარიბითა და სისაწყლით, თავისი მკლავით გააკეთა. რომ გაგიგოს, ხომ იცი, არ დაგინდობს!

— ძაან მაშინებ! ერთი მტერი მომემატება, სხვა ხომ არაფერი.

— მე ამბის მიტანა არ ვიცი, მაგრამ ერთიდე ვგეთ ცუდებრლო ლაპარაკსა. ყველა ჩემსავით ხათრს არ შეგინახავს.

— ნუ გეწყინება, ბიჭო, — დაუწია კიშპალამ. — მამაშენზე მეც არ ვიცი, რა ოხრობამ მათქმევინა... ოღონდ პარაზიტს რომ დამიძახებენ ხოლმე, გულზე ცეცხლი მეკიდება და მზადა ვარ კაცი დავმლოჯო...

— გააგებინე ხალხს, რომ იმათთვის იბრძვი და დაგეხსნებიან.

— ხალხი რა შუაა, კლასობრივი მტერი არ მისვენებს. აი, როცა ვარდიანში არტელს დავაარსებთ და ყველას ვენახებს გავაერთიანებთ, როცა ღარიბ-ღატაკი აღარავინ იქნება, მაშინ დამათასებენ. იქამდე კი, რა ჩარაა...

— აი, ის რომ მოდის, თავმჯდომარე არაა? — იკითხა სოსიკომ და გზის თავში გამოჩენილ კაცისაკენ ხელი გაიშვირა.

კიმალამ თვალები მოქუტა და გზას გახედა.

— ის არი. გაბრაზებული ჩანს.

— რაზე შეატყე?

— ქუდი ხელში უქირავს.

— არაფერი შესმის.

— ე, ჩვენი ახლანდელი თავმჯდომარე, მენშევიკებს რომ მივერეკებოდით, თავში დასტრეს. ეგ ქუდი ხურებია. როცა ლახარეთიდან გამოსულა, თავისი ნატყვიარი ქუდი მოუთხოვია. ახალი მიუციათ. არა, მე ძველი ქუდი მინდაო, დაუყინია. რა ჩარა იყო, ძველიც გამოუტანებიათ. ახლა, როცა გლეხებს ვერ აჯერებს და გული მოსდის, ქუდს მოიხდის, თვალეში სჩრის და ეუბნება: შე ბრიყვო, შენა, მე შენთვის შუბლი გამიხვრიტეს, ამა, ჩემი ქუდია ამის ნიშანი, შენ კი არ მეხმარებო? — წელან ქუდმოხდილი გავიდა საბჭოდან, ხალხი ჰყავდა და ერთიანად ყველა დაღანძღა; მთელი სოფელი უქუდოდ შემოიარა. დღეს ვერაა გუნებაზე. ეგეთ დროს რომ შეეფეთო, არ ივარგებს, დამოჯერე, ხეირი არ დაგეყრება. მოდი, ხვალე ნახე, რაც იქნება იქნება!

— არა, გადაუდებელი საქმე მაქვს. თავმჯდომარე ეზრში შემოვიდა, სოსიკოს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა! სწორედ შენ გელოდი.

სოსიკო საბჭოს თავმჯდომარის ოთახში შევიდა, ვარდიანის მოსახლეობის სიას კარგა ხანს უკირკიტეს. ის დღე გასული იყო, დილისთვის დასთქვეს შეყრა.

იმავე ღამეს ვარდიანი ფეხზე დადგა. ორლობეში ხალხი განქარებული მიმოდოდა, რალაცას ამზადებდნენ, ძაღლებს არ ასვენებდნენ, თეთრად გაათევენს.

დილით, საბჭოს წინ მოიყარა ხალხმა თავი.

ცივი, ნისლიანი დღე თენდებოდა. ბასა და შამშე ერთად იდგნენ. ჩანდა, ღამე არ სძინებოდათ, სახეზე დაღ-

ლილობისა და დაძაბულობის დალი დაწურვოდათ. ბასა ნეკი^{ნეკი} ფურს იჩიჩქნიდა, თან შამშეს რალაცას უკირკიტებოდა, მარჯვენა ხელს გულზე იკრავდა, ჩასისხლიანებულ თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, მზად იყო ყველას გიგი ყოჩივით შუბლით დასტაკებოდა. შამშე ფურს არ უგდებდა, ახალისს განქარებული იკრავდა და ვერაგზით ვერ შეეკრა, გულდასმით უკირკიტებდა ლილილოებს, ათვალეირებდა, უნდოდა გამოეყვლია, რატომ ვერ შემოიკრავსო. ამას ისეთი ყურადღებით და თავდადებით აკეთებდა, თითქოს ქვეყნის ბედი ამ ლილილოების კარგად შეეკრაზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

ჯამბარა თავის ვენახში გამოსულიყო, ღობესთან იდგა და სხვა გლეხებთან ერთად რალაცას ელოდა.

„მოდიანო“ — დაიძახა ვიღაცამ და ეს ერთი სიტყვა პირიდან პირზე გადავიდა სოფელში.

თავმჯდომარე და სოსიკო ვენახებში შემოვიდნენ. ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა. როცა რომელიმე ვენახს გავივლიდნენ და არაფერს არ იტყოდნენ, ვენახის პატრონი თავისუფლად ამოისუნთქებდა, მომიჯნავეს ბედს ჩაუშტერდებოდა.

ყველა ვენახი გაიარეს და ნაპირზე გავიდნენ. ჯამბარა ქალღღივით გაფითრებული შემოხვდათ, თავმჯდომარეს გამარჯობაზეც ვერ უპასუხა, სოსიკოს უაზროდ მიჩერებოდა და თვალებით ეკითხებოდა:

— მიმეტებ? მშობელ მამას, ამდენი უბედურების შემდეგ...

— მამი, სოფელში არტელი უნდა დაარსდეს და ყველას ვენახებს ვაერთიანებთ, — ისე უბრალოდ თქვა სოსიკომ, თითქოს ერთ მოწვევა თავბაქოსა თხოვსო, — სოფელში ღარიბ-ღატაკი ბევრია, მამი. ხალხს ასე უნდა.

ჯამბარამ იცოდა, რასაც ეტყოდნენ, მაგრამ ამ საშინელ სიტყვებს თუ ღვიძლი შვილისაგან გაიგონებდა და ეს ყვე-

ლაფერი მისი ვენახით დაიწყებოდა, ამას არავითარ შემთხვევაში არ ელოდა.

— ბიჭო, სოსიკო... — თქვა ხმადაბლა.

სოსიკომ თავმჯდომარეს ანიშნა, მან გლეხებს დაუძახა და ვენახის აზომვა დაიწყო.

— შეილო, მღუბავ? — კიდევ თქვა ჯამბარამ, ყველას გასაოცებლად, გაიღიმა, რადგან ჯერ ისევე ყველაფერი ხუმრობა ეგონა...

სოსიკომ არა მიუგო-რა.

— ბიჭო, ამას ველოდი შენგან?

ჯამბარამ უკანასკნელი ძალით კომბალი დაბლუჯა, იქნია რომ სოსიკოსათვის თავი გაეპო, მაგრამ ხელები პერში გაუშეშდა, კომბალი გაუვარდა, ცალი მხარე მოუდუნდა და ნახევარი პირი-სახე მოეღრცა. ჯამბარა ჩვარით წაეშვა ვაზებში.

შეშინებული სოსიკო მამას მივარდა, მაგრამ გვიან-ლა იყო.

ვაზის ლერწებში ობობასავით გაბარჯული ჯამბარა ძლივს აგლიჯეს და ცოცხალ-მკვდარი შინისაკენ ტატიოთ წაასვენეს.

მაგდანას ლამფის შუშა გასტეხოდა, ანანია მამი უბანი შემოირბინა, მაგრამ ვერაფერ ათხოვა სანაცვლო. იძულებული გახდა თაფლის სანთელში ნართის ძაფი გაეხვია და ის ლამე სანთლის შექმნე გაეთენებინა.

დღის შთაბეჭდილებებით დამძიმებული ანანია ისე იყო დაღლილი, რომ, როცა სანთელს ანთებდა, ფიქრობდა, რილასთვის ვანთებ, დავწვები თუ არა, დამეძინებაო. მაგრამ დაწვა და ველარ დაიძინა. სწორედ დიდმა დაღლამ გაუკრთო ძილი, დახტული თვალები გაახვლინა, კერისათვის მიაპყრობინა და ათასი ფიქრისა და ზრუნვის მორევში გადაავლო.

მაგდანა აკვანს მისჯდომოდა, არწევდა, ხმადაბლა მღეროდა ივენანს და

როცა კოტეს ჩაეძინებოდა, სიმღერას შესწყვეტდა, იჯნებდა განვლილ დღის მღელვარე სურათებს.

— კოციაანთ უხმოდ ჩაუბარებიათ ვენახი, — ამბობდა მაგდანა, — ულვაშა ათანა მთვრალი ყოფილა და მრავალ-ქამიერიც უთქვამს... კულანიკიანი შინ არა ყოფილან და პატრონის მოსვლამდე ხელი არ უხლიათ ვენახისათვის... დედაკაცები ამბობენ, პატროსნად აზომესო, მართალია, ანანია?

— მართალია. გუშინდელი ბალები ხომ არ არიან!

— ხარაზგორაანი სხვეწე შეკერილ მესტებს ინახავდნენ თურმე. ვილაცას დაუბეზლებია. რა გვონია, ჩამოართმევენ?

— ახიცი არი, რომ ჩამოართვან! — ბრაზი მოერია ანანიას, — იმ ურჯულომ, ქალამნის თასმაში იმ დღეს ხელადა ღვინო მთხოვა. ეგ ხარაზი კი არა, ჩარჩი-ვაქარია...

— ჰო... — ჩაიდუღუნა მაგდანამ და ისევე აკვანს მიუტრიალდა.

კოტეს გაღვიძებოდა. აკვანში მოუსვენრად ტოკავდა, თავს ატრიალებდა, წაკრულ ბილბანდს იძრობდა, თვალებს ახელდა და ცნობისმოყვარეობით უყურებდა სანთლის შექმნე უცნაური ჩრდილებით მოხატულ ოთახს.

მაგდანა არწევდა აკვანს და თან ისევე თავის საფიქრალს დასტრიალებდა. მაგრამ კოტე არ აცლიდა ფიქრს, იმდენს შერებოდა, კისერს იმხელაზე იგრძელებდა, ლამის აკვნიდან ამოვარდნილიყო.

— არ გეძინება, ჩიტო? — ჩაეკითხა სიყვარულით მაგდანა, — დაიცა, ხელებს აგიშლი, — მარჯვენით დახვეული თასმა შემოაბრუნა, გადაკერილი არტახი მოუშვა, ახსნა, მაგრამ საბანი ისევე წააფარა გულზე, რომ ბავშვს არ შესცივროდა.

ყოჩაღად ამოკრითა კოტემ ხელები, ჯერ აკვანზე დაკიდულ სათამაშოებს წაეპოტინა, მერე პატარა, ფუნჯულა თითები სახეზე მოისევა, თვალშიც წაი-

კრა ერთი-ორჯერ, მაგრამ ტირილი არ დაუწყია. ბოლოს, მარჯვენა ხელის ორი თითი პირში ჩაიღო და აქავებული ღრძილებით წუწნა დაუწყო.

— კიბები ამოგდის, გენაცვალე? — სიხარულით სახე ებადრებოდა მაგდანას, — ძაან კარგია, შვილო. ცოტა გეტკინება, იქნება სიცხეც მოგცეს, მაგრამ სამაგიეროდ თეთრი, მაგარი კიბები ამოგივა და ბევრ საქმელს შესჭამ...

კოტეს, მართალია, ჯერ კბილები არა ჰქონდა, მაგრამ ისე ღონივრად ეკიდებოდა თავის თითებს, რომ მაგდანამ არჩია, ისინი ისევ არტახისქვეშ დაემალა.

— მოგშინია, კიდევ, ბიჭო! ღმერთო ჩემო, ამ პატარა მუცელში დევი გიზის? — საყვედურიც იყო ამ სიტყვებში და დედური სიამაყეც. მაგდანამ სწრაფად გაიხსნა აზლუდი, თეთრი, საკმაოდ მოზრდილი ძუძუ ამოიღო, მოწოლილი რძის სიმძიმისაგან თავი რომ გაბერვოდა.

ხარბად სტაცა პირი კოტემ დედის ძუძუს, ჯერ უყურა, უცინა, მერე თვალები მილულა და სასიამოვნო თვლემასში მიყუჩდა.

მაგდანა ხანდახან წამოიკვნივსებდა ხოლმე, ეს მაშინ, როცა კოტე აქავებული ღრძილებით მეტისმეტად მოუქერდა ძუძუს... კოტე სწოვდა ძუძუს და ნელნელა ეძინებოდა. აი, უკანასკნელად გაცმაცუნა ტუჩები და გაჩერდა. მაგდანამ მაშინვე არ გამოაყალა ძუძუ რათა ისევ არ გაღვიძებოდა კოტეს, ცოტა შეიცადა, მერე ნაზად მოაშორა მკერდი აკვანს, არტახში ჩააკრა ისევ ჩვილი. მალე ბავშვის აჩქარებული სუნთქვა მოისმა.

ანანიას ჯერ კიდევ არ ეძინა. ის ელოდა, მაგდანა როდის დაამთავრებდა ბავშვის მოვლას, რომ კვლავ თავის საფიქრალს მოსტრიალებოდა. მაგდანას კარგახანია დაემთავრებინა საქმე და გარინდებულყო ტახტზე მიწოლილი...

ანანიას ლაპარაკი სურდა ცოლთან, მაგრამ სიჩუმის დარღვევას არ სურდა. უზარებოდა.

უცხად ანანიას ნესტოებში დაუღიტინა რალაცამ, ომახიანად დააცემინა.

— იცოცხლე, გენაცვალე! — არ დაუგვიანა დალოცვა მაგდანამ.

— საწყალი ჯამბარა, — წამოიწყო ჩაფიქრებულმა ანანიამ, — რა უცხად გახდა ავად, არავინ ელოდა თუ ეგეთი მაგარი კაცი გატყდებოდა...

— მელანოს თმა გაუშლია და მოსთქვამს, აქო და გული მეწვებო, — თქვა მაგდანამ.

— ეჰ, ვინც მოკვდა — თავს მოუყვდაო, ნათქვამია. სიკვდილი აშაროს ყველა მოკეთესა და მეზობელს, თორე იმასაც ვნახავ, ამ გრძელ ცხოვრებაში მელანომ წითელ-ყვითელი ჩაიცვას და პატარბალივით გაიპარანოს...

— ერთი ქმარი ზომ მოიღწო, ახლა მეორესაც გაატანს მოკითხვის წერილს...

— დღეს კი სოსიკოსაგან ეცა ელდა, კაცმა რომ თქვას. შენ თვითონ იფიქრე, სოსიკო იყო მამულიშვილი, ოჯახს მაგას აბარებდა ჯამბარა და დახე ბედის ტრიალს!

— შენც აგრე ამბობ, ანანია?

— სოსიკოსაგან სულ ის მესმოდა, ჯამბარა უტეხია და ჩემი ლაპარაკით უფრო გავაჯავრებო, წინასწარ გული რაზე დაეუტანჯოო...

— ეჰ, საწყალი ბერიკაცი!

კიდევ ახსენეს ცოლ-ქმარმა ხიფეხაანი, ქუნიანთ ლოქო კულა, ცუცუქმანტა, წიკამაკიანი, ათასი მტერი და მოყვარე, თითქმის მთელი სოფლის ხალხი...

საკუთარ ვენახზე ფიქრს კი გაურბოდა ანანია. როგორც კი მამულუბის აზრმა დაიწყო, მან მაშინვე ჩააბარა არტელს თავისი ნაამადარი, მაგრამ გულში მაინც მცირე რამ ნაღველი ელო. უფრო გარდატეხილი მამის მორიდებისა და შიშისაგან.

„ცოცხალი რომ ყოფილიყო ხარება, რას იზამდა?“ — ეკითხებოდა საკუთარ თავს ანანია და პასუხი ვერ მოეძებნა.

გარეთ რიქრაქი დგებოდა. უფრო მუქდებოდა ოთახში ყველაფერი. კოტეს ღრმა ძილით ეძინა. მაგდანას გაეშალა ქვეშაგები და მასაც, მთელი ღღის მუშაობით დაღლილს, ტყბილად ჩასძინებოდა.

თაფლის სანთელი რა ხანია ჩამქრალიყო. იმედის ალი შემორჩენოდა ანანიას სულს; გრძობდა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მომავალი გაუცვლავ მინდორივით წინ ედო; საკუთარი მარჯვენით უნდა გაეკლო პირველი ხნული და დაეწყებინათვის მიეცა ის მცირე სევდა, რაც გულში ასე უჩინრად და უხმუროდ შეპარვოდა.

რა იყო ეს, გაუგონარი უბედურება თუ მეხი ჯამბარას თავზე? რა მოხდა, საიდან დაიწყო უბედურების ძაფი, სად გაიკვანძა და ეგრე მოულოდნელად როგორ გაიხსნა, რომ ყველაფერი დაახანზარა, აურდაურია, ათეული წლებით ნაგები ცხოვრება მოსპო, ერთი ხელის ჩაქნევით დაივიწყა. ყოველივე მით უფრო საშინელი იყო, რომ ელდად დაეცა და ფიქრის დროც აღარ მისცა, ისე გააცამტვერა. ეგონა, ოჯახის ნაღვალს მზრუნველ ხელებს უტოვებდა... და სწორედ იმ ხელებმა, ვისგანაც ჯამბარა შევლასა და გადარჩენას ელოდა, მოხუცს შხამიანი მახვილი ჩასცეს, სიკვდილამდე დარჩენილი დღეები მოუწამლეს, რომ სამარეში კვნესით ჩასულიყო.

დამბლადაცემული ჯამბარა ავადმყოფობის ძილბურანში იყო წასული. მას ამ ქვეყნის სული აღარ ედგა, მაგრამ ღონიერი, გაუმაძლარი მკლავებით ბალახებსა და ხეებს ისევე ეჭიდებოდა, გამჩენს მუდარის თვალთ შეჭყურებდა, ორიოდღე დღე კიდევ დაეცალდებინა, სოსიკოს უნახავად ნუ მოჰკლავდა, ეწა-

და, თავისი უცნაური შვილისაგან უკანასკნელი გულისპასუხი გვეგონებოდა. მელანო ცეცხლზე ნაფხისაგან...

— გუებნებოდი და არ მიჯერებდი! ხომ დაინახე, არაფერს არ დაგიღვეს სოსიკო, ოღონდ საბჭოს თავმჯდომარე გახდეს. საკუთარი მამაც სასიკვდილოდ გამოგიმეტა.

— გამიმეტა... — დაიკვნესა ჯამბარამ. წამწამზე ცრემლი გადმოვიდა. დამტირებელიც არავინ ჰყავდა. აგრე ყველასაგან დავიწყებული უნდა ჩასულიყო სამარეში? რისთვის? ცხოვრებაში საამისო რა გააფუჭა, რომ უღმობელო ბედისწერა აგრე ვერაგულად უხდიდა?

„საიდან სად მიდის კაცი! — ფიქრობდა ჯამბარა, — რისთვის გამაჩინა ღმერთმა თუ ასე უმადურად მომკლავდა. განა სიკვდილი ერთი არ არის? რომ არ მოგვედო, ამ ძალღურ სიცოცხლეში რაღა ყრია? რისთვის ვიცოცხლო, როცა აღარაფერი მაქვს? რასაც შე მთელი სიცოცხლე ციციანთელასავით შევციციენებდი, სულის ერთი შებერვით დამენგრავა... არა, რისთვის გამაჩინე, შე ძალღლო ღმერთო, თუ ასე მომიღებდი ბოლოს...“

„შვილებმა სულთმობრძავს მოუსწრეს“ სოსიკო შორიახლო იდგა, ელოდა... გიო და დარო თავზე ადგნენ მამას, იქნება ორი სიტყვა გვეთხრასო. როგორც კი სოსიკო შენიშნა, ჯამბარა დაქრილი ნადირივით აზმუვლდა, ხელი გაასავსავა, თავი შეატოკა, კედლისაკენ პირი იბრუნა.

სოსიკო გამეშვებული დარჩა. არ იცოდა, რა ექნა. უნდოდა დაეღრილა, მამისთვის ყველაფერი მოეთხრო, რა, როგორ და რატომ ხდებოდა, მაგრამ ამისთვის აღარც დრო იყო და აღარც ჯამბარას სურვილი.

ტახტის ფეხთან, ვილაცის მოტანილ, შემთხვევით დაგდებულ დამქნარ ყურძნის მტევანს შავი ქიანველა დახვეოდა.

3. შიღილი



გერმანული
საქვეყნო

მელანო ჩვეულებისამებრ შინ იჯდა და თავის საქმეებს განაგებდა. მას ცვლილებები იმდენად აშფოთებდა, რამდენადაც ეს ვენახსა და კარ-მიდამოს შეეხებოდა, დანარჩენს კი თუნდაც თავში ქვა ეხალა.

პელო ხშირი სტუმარი იყო მელანოსი. დიასახლისს მეზობლებისათვის საქმელსასმელი არ შურდა, რადგან ვარაუდობდა, პატივისცემა არ დამეკარგებო. ასმევდა, ამმევდა პელოს, რათა ამ უკანასკნელს მისი ნათქვამი, მისი გულუხეობის და კეთილი მეზობლობის ამბავი სოფელში გაეტანა, გაებერა, გაებევრებინა, დიდ-პატარისათვის ემცნო, ტყუილი დიდფეხა ჭორად ექცია, ისეთ ჭორად, რომელიც მართალს ემჯობინებოდა. ბევრ ჰქვიანსა და გამოცდილ კაცსაც ჩააფიქრებდა.

ჭორების დიდი ოსტატი იყო პელო. მისთვის საქმარისი იყო ეთქვათ, ენიშნებინათ, ჭარი საით ჭროდა, ის თავის ზურნადუღეს აახშიანებდა და, როგორც ჩასურჩულეზდნენ, ისე იმღერებდა. რომ დაიწყებდა, გათავება აღარ ახსოვდა, ერთსა და იმავეს ათასჯერ იმეორებდა:

— შენ კარგა იცი, მელანო, ჩემი წუთისოფელი პატიოსნად გავატარე, კაცის ხელი არ მინახავს და არავის მკლავზე არ გადავგორებია. ბევრ მტერსა და მოშურნეს უყვარს ჩემი კილვა და ათასი აბლაუბდის ლაპარაკი, მაგრამ ჰქვიან აღამიანი ჭორაობას რომ აპყვეს, ვინ იცის, ბოროტი ხმები სადამდე მიიყვანს. ჩემზე ავს ბევრს ამბობენ, მაგრამ... ღვინის ჭია როდი მალაპარაკებს, გული მტკივა, მინდა ყველას დავეხმარო და შევეწიო.

მელანო ჩუმად იყო, წვრილ თვალებს გამჩქარებული აცეცებდა, ნისკარტა ცხვირით პაერს ყნოსავდა და ნესტოებში ბურნუტს იყრია. მერე ერთი-ორჯერ დააცემინებდა და ბოლოს ცივად იტყოდა:

— ყველა სიკვდილის, მკვლელობის ვართ?

— ეჰ, აგრე-რო იფიქროს ადამიანმა, მაშ, სიცოცხლე არა ღირსო, უნდა თქვას და აღაზანში გადაეარდეს. სიკვდილის შეილები ვართ, მაგრამ რა გვრჯის, სხვის საქმეში რომ ვეჩრებთ, რატომ ჩვენ ტყავში ვერ დავტეულვართ?

— ნეტა არ გეზარება ღიჯინი! — დაუტია მელანომ, წვრილი თვალები ქუთუთოებში გადამალა და გრძელი თითები ბრწყვალეზივით დაგრჩხა.

— სხვისა ჭირი ღობეს ჩხირიო, — წაუტირა პელომ, — შენ ორი ქმარი მოიდნე...

— ემანდ, კვირა დღესა, გადი ბაზარში და... ვისაც დაედრიჯები...

— რას ამბობ, ქა!

— მაშ, რალას წუწუნებ!

— დარდიც ვეღარ უნდა ვთქვა?

მელანომ არა უპასუხა რა, მარნიდან შოთი პურის ყუა, თუშური ყველის ნატეხი და ჭინჭილით ღვინო გამოიტანა.

— აიღე, ემაგ ლაპარაკსა, ყელი გაისველე!

პელოს ღვინის დანახვაზე ყველაფერი დააეწყდა, თვალები აუციმციმდა, პური მადიანად გალუქა და ჭინჭილა შნოიანად მოიყუდა.

მელანო ოდნავი ზიზლით შესცქეროდა, ტუჩებთან იღუმალი ღიმილი უკრთოდა, თვალები მოეკუტა, ლაწვისთავებზე ნაოკი გადამლოდა.

ჯამბარას სიკვდილის შემდეგ დარო აღარ ჩამოდიოდა, გომაც ამოიკვეთა ფეხი. შინ მხოლოდ სტეფანე და სოსიკო ტრიალებდნენ. სოსიკო კვირაში ერთხელ თუ შემოიხედავდა, სოფლებს უვლიდა, ყოველ საღამოს შინ მობრუნება არ ზერზდებოდა. ამიტომ, სადაც მოვივდებოდა, პური იქ უნდა ექამა, საცა დაულამდებოდა, ღამე იქ უნდა გაეთია.

სტეფანე დარდიმანდობდა, ქული გვერდზე მოეგდო, კრიალა ჩექმები ჩაეცვა, ლურჯ გალიფეს მტვერს წკიპურტით აცლიდა და ყველას ცერად უყუ-

რებდა. ისიც იშვიათად შემოდის და შინ, ერთ ღუქანში რომ ქუდი ეგდო, მეორეში ქეიფობდა.

მელანოს მარტოობა უხაროდა. მთელი სახლი გადააქოთა. ჯერ ოთახებიდან ჯამბარას სული გასული არ იყო, ოჯახისეული ნივთებიდან რაც მოესურვა, გაყიდა, თავისთვის კამოდი, დიდი ლამაზი, სამოვარი, ზინგერის სისტემის კრიბა, ახალთახალი საკერავი მანქანა და ქიშმირის კაბები იყიდა; წინათ თუ საკაბედ უბრალო ბამბახისა და ჩითს ნატრობდა, ახლა შალისას იკერავდა, ქალაქურ ფეხსაცმელს იცვამდა, ბაზარში შავი ქოლგით დადიოდა, მზე მწყენს და ვერიდებოდა. ერთხელ, ბაზრიდან ძველებური გრამაფონი მოათრია და იმ სატილებზე რომ კაცის ხმაზე დაიწყო სიმღერა, გაოცებული უსმენდა.

კარგმა მოვლამ სამოცამდე მიღწეული მელანო ისე გადაბადრა, ორმოცი წლისაც არ გეგონებოდათ. მთხოვნელებიც გამოუჩნდნენ. სანამ პასუხს მოიფიქრებდა, მელანომ ჯერ ყველას თითო საკაბე დასცინცლა, მერე ჭირიანებით დაიფრინა.

მთელი დღე დადიოდა, კაპასობდა; პელოს ართვევინებდა, აქსოვინებდა, არეცინებდა, პურს აცხობინებდა, მოსატანზე თუ წასალეზე გზავნიდა, თვითონ კი, როგორც ნამდვილი ქალბატონი, იჯდა, გასესხებული ფულის სარგებელს თვლიდა, აწყობდა, ანგარიშობდა, სტეფანეს აჰმევედა. სტეფანესაც რა ენაღვლებოდა, ქარის შემოტანილს ქარივე წაიღებდა, — მონაგრებაზე წელი არა სტკიოდა, არც დახარჯვაზე შესტკიოდა გული, მარჯვნივ და მარცხნივ ფულს ლაღად ყრიდა, დროს ატარებდა.

პელოს ჭინკილა გამოეწრება, შოთის ყუა და ყველის ნატეხიც გაეთავებინა, ახლა მატყლს უჯდა და ართავდა.

მელანოს დაეიწყებოდა პელოს არეობა, თავისი საქმით იყო გართული.

ორლობეში ცხენის ფეხისხმა გაისმა, სოსიკომ შემოაგელვა ქურანა, ქიშკართან ცხენიდან გადმოსტა, აღვირი მარვილზე ჩამოაცვა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ წამოვიდა.

— გამარჯობათ! — მიესალმა მელანოსა და პელოს.

პელომ წამოიწია და გაეხსენებოდა, მელანო არ განძრეულა, ოდნავ თავი შეატოკა. „რა გინდა, რომ მოხვედი!“ — თითქოსდა თვალებით შეეკითხა მოსულს.

სოსიკო აენტო. რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, სხვა დროისათვის გადასდო. ახლა ეჩქარებოდა, სალაპარაკოდ არ ეცალა.

მარანში შეიბრინა, ხუთიოდე პური ხურჯინში ჩასდო, პატარა ტიკტორას დაეკვიდა, რომ მელანოს ხმა მოესმა:

— შეხე ერთი, ქა, მე ვმონაგრობ და, ეს თითქო ოჯახის მტერი იყოს, სულ მე მაგრე გარეთ ეზიდება!

სოსიკო შედგა, მელანოს გარკვევით უთხრა:

— კარგად იცით თქვენა, მე ხშირად ვერ ვათევ ღამეს სახლში და მინდორში ვრჩები. მამაჩემისა და ჩემს მონაგარს ხელი რომ ვახლო, არ შეიძლება?

— ჩემი მონაგარიო, ქა, — ავიშვიშდა მელანო. — მათეული ვინ გააბა ვენანში?..

სოსიკომ ყური აღარ უგდო, ეზოში გაბრაზებული გავიდა, ცხენი აუშვა და უქანმოუხედავად თვალს მიეფარა.

— ზო ნახე, პელო, — თქვა მელანომ, — აი, სულ აგრე მტანჯავენ ჯამბარას ლეკვები. ვერ გაიგებ, როგორი წითელი კვერცხი უნდა უგორო. მეზღვირებიან, თითქო რაღაცა მოვპარე და შეეუქამე. რა უნდათ ქა! ე თხუთმეტი წელიწადია მაგათვინა ვწვალობ, ემონაგრობ, სოსიკო კი, ეგრე ეზიდება გარეთ, გეგონება მტრის ოჯახში იყოს. ეგეთი განაიყება შეიძლება, ქა?

— ეხ, როცა წელი არა სტკენიათ შრომით! — კვერი დაუკრა პელომ.

— ღმერთმა დასწყველა დედინაცვლის მომგონი! ოქროსი რომ იყო, მაინც დედინაცვალი გქვია და შენ სიკეთეს ვერავეს დაანახებ. ცოცხლად შემქამეს, დამადნეს და მომხარშეს მაგ ჩემი ჭირით გასაწყვეტლებმა!

— რას იზამ, მელანო, უნდა გაუძლო. ეგეთი ყოფილა დედაკაცის ბედი. ქვეყანა ხედავს შენ სიკეთესა. სოფელში

კაცი არ არი, რომ შენი უმძრახი იყოს. პოდა, ვინ დაუგდებს ყურს მაგათ დურ-დურსა თუ ამოდენა სოფელში უმძრახი არავინა გყავს. რა მოხდა, თქვენი ჭირი-მე, მაგათ ველარ გაუგე და ვერ ასიამოვნე. მაგრამ არა, ავი ზნისანი რომ გამოფლენ, მერე ველარც ღმერთი უშველის და ველარც კაცი. რას იზამ, უნდა მოითმინო. სოფელს რას ერჩი, შენ სიკეთეს თვალნათლივ ხედავს. გერები თუ არ დავიფასებენ, ღმერთი მალალია და მის თვალს აბა რა გამოეპარება. ის დაინახავს, შელანო, შენ არხეინად იყავ და გული დაიმშვიდე.

შელანო ყურს ტუჩაბზუებული უგდებდა. იცოდა, ნახევარზე მეტი პელოს სიტყვებში ტყუილი იყო, დანარჩენი თვალთმაქცობა, მაშ მართალი რაღა რჩებოდა? პელომ სათქმელი გაათავა და კიდევ კარგახნით გაჩუმდა. უცხად ვილაყის ღრილი გაისმა. დედაკაცები შეხტნენ, მიაყურეს და მიხვდნენ, მთვრალეები მღეროდნენ. შელანოს გული შეუთამაშდა, წამოდგა და ორღობისაკენ გაიხედა. სტეფანე თავის სამ ამხანაგთან ერთად მოქანაობდა.

— არიქა, პელო! — დაიძახა მელანომ, — ჩემი სტეფანე მოდის, მიალაგე აქაურობა!

ქალებს საფიციბი შეუდგათ. პელო ერთი სამჯერ წაიქცა. კინალამ კოკა გატეხა. ჭირის ოფლი მოიწმინდა, ეზო მიგავა და, ის იყო, სახლის დირეზე გაოფლილი ჩამოვდა, რომ ეზოში სტეფანე შემოვიდა.

— მოდი, თქვენ დაგენაცვლეთ, მოდი!.. — იძახოდა გახარებული მელანო და სტუმრებს ეგებებოდა.

— გამარჯობათ, დედიჯან! — ყელყელობდნენ სტეფანეს ძმაკაცები, — ჩვენა და სტეპკო დოსტები ვართ, აი, ნაღდი დოსტები! ჩვენ პურმარილზე კი არ დავდივართ. ვახ, ჩემი გული ეჭამე, თუ მაგისთანა ყურუმსალი ვიყო. ჩვენ შენმა სიყვარულმა მოგვიყვანა და ჩვენი სტეპკოს კაცობამ... გამარჯობა, დედიჯან, აი, გამარჯობაა!

— იცოცხლეთ, შვილებო, იცოცხლეთ! — ცდილობდა მელანო, სიტყვები

ლმობიერი და ლამაზი გამოსვლიდა.

სტეფანე შუა ეზოში გაჩქარდა და დაიძახა:

— ბაღჩო, ვალიკო, ნასყიდ, ვახ, ჩემო ჯიგრებო, მოდი, რაღა, ერთი ლაზათიანად გადაგოცნოთ. აგრე! კარგია... აბა, ბიჭებო, ჩვენ ახლა ჩემს სახლში ვართ. აქ მე ვარ თავი და თავი! იგრე იფიქრეთ, როგორც საკუთარ სახლში იყოთ, შინაურულად, რაღა... ე, მუდრეგებო, ეს ბრუციანი საზანდრების ან ყვირტიანი გველოს დუქანი კი არ არის... რა დარეტიანებული ყოჩებივით იყურებით? აბა, დედი, ამით ხელ-პირი დააბანინე... ფაიტონში მტვერი იყო... პო, ჩქარა, მე ვინა ვარ!..

— სალოლ, სტეპკო, სალოლ! — ყვიროდნენ სტუმრები.

— ეგრე! — თქვა სტეფანემ. — ახლა დედი, ოთხი კარგი ქათამი მომიყვა...

პელომ მიურბენინა ქათმები.

— აბა, ბიჭებო! — დაიძახა სტეფანემ, — საითათოდ უნდა დავკლათ, აბა, რაზ, დვა, ვზიალი..

სტუმრები დავლურს უვლიდნენ, სტეფანეს ეხვეოდნენ.

— სტეპკო, ბიჭო, ჩემი სიყმე მოკედეს, თუ მე ტყუილს გუბნებოდე. ვახ, ამის კაცი მნახე? ეგრე გაგიმეტებ? მე შენი სიყვარული მშობი, შე ყურუმსალი. ვახ, ეგეთი ბიჭი გინახავთ?

მელანო და პელო გაჩქარებული ტრილებდნენ. პელოს მოეჩვენა, რომ ის კაცი, სტეფანე ბაღჩოს რომ ეძახდა, მას სხვანაირი თვალებით უყურებდა. პელოს, ცოტა არ იყოს, დასცხა. როცა სტუმრებისათვის შემწვარი ქათმები მოქჭონდა, პირველად იმ კაცს მიაწოდა. ბაღჩომ ღვინისაგან არეული თვალეები პელოს ბუღასავით შეანათა და წამოიძახა:

— სტეპკო, ეს რა კრასავიცა გყოლია! სტუმრები ახარხარდნენ. პელომ აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა.

მოქეიფენი შუალამემდე ღრეობდნენ. ქამა რომ აღარ შეეძლოთ, მთელ-მთელ პურებსა და ქათმის ნაჭრებს ძაღლს უყრიდნენ.

— სტეპო, ციცი! შე ძაღლები მიყვარს, — ყვიროდა ბაჩო, — ჩვენ რომ ვკამთ, ძაღლს ჰამა არ უნდა? აბა, ეგენი არ იყოს! დოსტებში ეგეთი რამე არ მოდის. შე ვინა ვარ? დღეს მოგებულს დღესვე შეგვამ, გაგიგია, შენ, პეპო? მააჰ, ეს იმან თქო! სტეპო, შე სიყმემკვდარო, რა ყურები ჩამოგიყრია!

სტეფანე ლაღად გაშხლართულიყო და ეძინა. სხვებსაც დასძინებოდათ. მხოლოდ ბაჩოს არ ეკიდებოდა ძილი, ის ამხანაგებს სათითაოდ აღვიძებდა. მათთან ჯაჯგური რომ ბეზრდებოდა, მძინარეებს ელაპარაკებოდა:

— აღვიძეთ, გათენდა ე, რა ცხვრებივით მოგწყდათ ყველას ყინწები...

ამ ალიაქოთში პელოს კალთაზე დაეკიდა ბაჩო და ლათაიები გაუბა.

— ვახ, კრასავიცა, რა შუესავით ანათებ! მერე, რა ვუყოთ, რომ ცოტა ბეზერი ხარ! არა უშავს, უფრო გამოცდილი იქნები...

— შე ეგრე ნუ მიყურებ, ჯეელო, — მორცხვობდა პელო, — ჩემი წუთისოფელი პატროსნად გავატარე...

— შენ რეებს უბნობ, ქალო? სრულ კუთაზე ხარ? რის წუთისოფელი! შე ვინა ვარ? იცი, შე ვინა ვარ? სიღნაღში ამოდი, პირველი დამრტყმელი და მოჭიფე... ე, სადა ხართ, გაიღვიძეთ, ეს რა ძილქუში დავაწვით.

მელანო შორიანლო იდგა, პირველი ღიმი და სიხარული ჩაქრობოდა, შეფიქრინებული უყურებდა ღრეობას, ეჩვენებოდა, ბეჭებზე ქიანჭვლები დაცოცავდნენ.

დაროს ცხოვრებაში იყო წუთები, როცა გატაცებას მთელი არსებით ეძლეოდა, მომავალს ნაზი შეფრთხინებით შეჰყურებდა, ადამიანებში მხოლოდ კეთილსა ხედავდა და ეგონა, რომ მისთვის ყველას ერთნაირად ეწვოდა გული. იმ დღიდან, რაც ბიძინა ელაპარაკა, დარო ყველაფერს სიყვარულით უყურებდა. საქმე, მუშაობა, ადამიანებთან ურთიერთობა მისთვის საამო გახდა...

შეზინდებული არ იყო, დარო რომ

ბიძინას სახლში მივიდა. სტუმრებს სხვა თავი მოეყარათ, ხმამაღლა ეჩხუროდნენ, მხიარულობდნენ, ჭრბოხმსჭრბოხმსჭრბოხმს ხელს იშვერდნენ და რალაცას დავობდნენ. დარო ოთახში დაბნეული შევიდა. კართან გაჩერდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბიძინა ღიმილით მოუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, შუა ოთახში გაიყვანა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— შეგობრებო, ჩემი კოლეგა! ვთხოვთ იცნობდეთ!

სტუმრები ხმაურით წამოიშალნენ, რიგში ჩადგნენ, რომ დაროსათვის ხელი ჩამოერთმიათ. დარო ამ ხმაურზე უფრო დაიბნა, სტუმრებს თავდახრილი, გაწითლებული ართმევდა ხელს და მორცხვად იღიმებოდა.

პირველი დამაბულობა გაქრა. სტუმრებმა ლაპარაკი განაგრძეს. ისინი თბილისის ოპერის თეატრზე საუბრობდნენ.

დაროს თბილისიც არ ენახა, არათუ ოპერის თეატრი. ოფლში იწურებოდა, ამდენ ახალ ამბავს რომ ჰყვებოდნენ და მას ჯერ ხმა არ ამოელო. დროდადრო ზოგიერთი სტუმართაგანი დაროს გაცხებული თვალით შეხედავდა, ვითომდა, შენ რატომ ხმას არ იღებო. დარო კრძალვით, ნაზად გაიღიმებდა, რაც შეიძლება, მოსაუბრეს ისე გაეგო, რომ დარომ ბრწყინვალედ იცოდა საკითხი, რაზეც სხვები დავობდნენ, მაგრამ ქალიშვილური თავდაპერილობის გამო მორცხვობდა და არაფერს ამბობდა. ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, რომ ერთ გრძელცხვირა სტუმარს, უცბად, დაროსათვის პირდაპირ თვალებში არ შეეხედა და არ ეკითხა:

— «ქარმენის» ახალ დადგმაზე რას იტყვიო?

დარო ჯერ გაწითლდა და თავი ჩაღუნა, მერე თვალები ცრემლებით აევსო. არავინ იცოდა, მისი გასაქპირი რითი დამთავრდებოდა, რომ ბიძინას არ ეხსნა.

— შე და დარო ცოტა სექპტიკურად ვუყურებთ ახალ დადგმებს. რეჟისორები არსებითად არაფერს ცვლიან, გარდა რამდენიმე დეკორაციისა.

სტუმარი, რომელმაც ახალი დადგმის

შესახებ იკითხა, კონსერვატორიის სტუდენტი იყო და მოსაუბრეს აგრე ადვილად ვერ დაეხსნებოდა. მას დარო გადავიწყდა და იერში ახლა ბიძინაზე მიიტანა.

დარომ თავისუფლად ამოისუნთქა, შუბლიდან ჭირის ოფლი გადაიწმინდა, ოთახის კედლები ჩაათვალიერა.

ბიძინა კარგად ცხოვრობდა. კარიდან მაგიდამდე გრძელი ხალიჩა იყო გაფენილი. ოთახის კუთხეში ყავისფერი ფორტეპიანო იდგა. კედელზე რუბენსის „ვირსავია“ ეკიდა. შიშველი ქალის დანახვაზე დარო ყურებამდე გაწითლდა. მან უნებურად თავის მუხლებსა და მკერდს დახედა.

ობერაზე გაცხარებული საუბარი შეწყდა, პატეფონის ჩახლეჩილი ხმა მოისმა. სტუმრები მარდად აღგნენ, დაწყვილდნენ და ტანგოს ცეკვა დაიწყეს. ბიძინა დაროსათვის ცეკვის შეთავაზებას შორსმკვრეტელურად მოერიდა, კონსერვატორიის სტუდენტი კი აქოშინებული მიიქრა, ხელი გაუწოდა და ბრტყლად უთხრა:

— იმედი მაქვს, ორიოდ პაზე უარს არ მეტყვიო?

— მაპატიეთ, მაგრამ მე არ ვცეკვავ.

— როგორ, თქვენ არ ცეკვავთ? — ისე გაუკვირდა სტუდენტს, თითქოს ეთქვათ, ორი ცხვირი გაქვსო.

— რას იზამთ, გამოვასწორობ... — მორცხვად იღიმებოდა დარო.

სტუდენტი მიბრუნდა და ვილაცას რუსულად, საკმაოდ ხმამაღლა უთხრა:

— ჩვენს დროში, ადამიანმა ხუთი წელი თბილისში მედიცინა ისწავლოს და ევროპული ცეკვები არ იცოდეს... არ მესმის, ამაზე დიდი ჩამორჩენა შეიძლება?

— რა კავშირშია მედიცინა ცეკვასთან, ვერ გამოვიდა? — შეედავა მოსაუბრე.

— კულტურა, ბატონებო!

დარომ ყველაფერი მშვენივრად გაიგო. ერჩივნა, მიწა გასკდომოდა და იქვე ჩამარხულიყო. რა რჯიდა ბიძინას, ამ უცნობ ხალხში რომ ეჭიმად მონათლა!

რა, ფერშალიაო, რომ გაეგოთ, არ იკადრებდნენ?

სალამო წამწარდა. ვახუშტი სტუმრები ისეთ ანგელოტებს ამბობდნენ, დარომ აღარ იცოდა სირცხვილით გაწითლებული სახე სად დემალა. ის იყო ლხინს ამთავრებდნენ, ოთახში ბიძინა დედა შემოვიდა. აქამდე ის არავის გახსენებია, არც დაროს გახსენებია, თუმცა, რომ მოდიოდა, ფიქრობდა, დაკვირვებოდა, მთელს სიღნაღში მის სიღარბაისლეზე და ზნეობაზე ამდენს რომ ლაპარაკობდნენ.

ოთახში ნატოს შემოსვლისთანავე ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრები ფეხზე აღგნენ, ნატოსთან სათითაოდ მივიდნენ, ხელზე აკოცეს. ნატომ სტუმრები მკაცრად აათვალიერა, დაროზე შეაჩერა თვალი. ბიძინამ გააცნო:

— ჩვენი სუფრის მშვენიება, ჩემი კოლეგაა, დედა...

პურობა დიდხანს აღარ გაუგრძელებიათ, სტუმრები აიშალნენ. გასასვლელში უცებ დარომ ასეთ საუბარს მოჰკრა ყური:

— ქალბატონო ნატო, თქვენი დიდი ხათრი აქვს... მე რაღა ვარ ცხოვრებაში ამის შემდეგ... თქვენ ხომ ყველაფერი იცით... უთხარით, გააგებინეთ, თქვენი მონა ვიქნები, ოღონდ ნუ დამლუპავთ...

— მე ვერ გამოვიდა, რა გინდა ჩემგან, გოგონი? — უპასუხებდა ნატო, — ბიძინა რამდენ ქალს აკოცებს, მე ყველას რძლად ხომ ვერ დავისვამ?

დარომ ვერ მოასწრო უცნობი ქალის სახის დანახვა. უცნაურად უცბინა მისმა სიტყვებმა. შინ დაფიქრებული წამოვიდა. მთელი ღამე თეთრად გაათენა. ალიონზე ჩასთვლიმა.

მაგრამ, გაიღვიმა თუ არა, სადღა იყო წინა ღამის ეკვი და შიში. ლოგინიდან გულაიანცქალბუღი წამოიქრა, დერეფანში გამოვიდა და ბიძინას შეეფთა. მან გულლიად გაუღიმა და ხავერდითობილი ხმით უთხრა:

— რა ანგელოზივით ნათელი სახე გაქვს, დარო!

დაროს გააერიალა, უნდოდა ბიძინასა-

თვის შემთხვევით მოსმენილ ამბავზე ეკითხა, მაგრამ თავისდაუნებურად სხვა თქვა:

— სტუმრებს რად გააცანი ჩემი თავი ექიმად?

— მერე რა, გეწყინა?

— არა, რა საჭირო იყო... უხერხულია... განა ადამიანის ღირსება მხოლოდ ეს არის?

— ჩემს წრეში ამას დიდ ყურადღებას აქცევენ.

დაროს ხმა აღარ გაუცია, თავის ოთახში დაბრუნდა. ჯერ კიდევ გუშინ რა საამური ეჩვენებოდა ცხოვრება, რა სათუთი იყო მის თვალში ყველა... ახლა? ნუთუ დაიშხვრა ის წმიდათა წმიდა, რასაც ადამიანები სიყვარულს ეძახიან?

კარგა ხანს ხმა აღარ გაუცია ბიძინასათვის. ის კი, ბიძინა, იმ დღეებში უფრო მორჩილი და დამთმობი გახდა, დაროს ვარდებს უგზავნიდა, სასიყვარულო ბარათებს სწერდა, ერთგულებას ეფიცებოდა, თავისთავს სულელსა და ჩერჩეტს ეძახდა, ბოდის იხდიდა, პატივებს ითხოვდა... ბიძინას დაეინებამ, მისმა ნებისყოფამ აჯობა დაროს სუსტ, ქალურ გულს, დარო მოღბა, მიიღუნა, ობოლსა და მიუსაფარს ცხოვრებაში აღერსი და ტკბილი სიტყვა პირველად ესმოდა. როცა შერიგდნენ, პირველი დარო მოეხვია ბიძინას...

იმ დღიდან ვარდისფერი იყო დაროსათვის ცხოვრება. ის აფრენილი იყო, ღრუბლებზე დადიოდა, ამქვეყნიური აღარაფერი ესმოდა, პირზე მხოლოდ ბიძინას სახელი ეკერა. სატრფოს ფეხქვეშ გაეგო, ფიანდაზად გაეშალა, უკმაყოფილო მხოლოდ იმით იყო, რომ ბიძინა ქორწინებას აგვიანებდა და დარო რამდენსაც არ ეტყოდა, ხელი მოვაწეროთო, ის ათასნაირ ხელისშემშლელ მიზეზებს იგონებდა.

მათმა სიახლოვემ ბოლოს ისეთი აშკარა ხასიათი მიიღო, რომ დარომ სოსიკოს შეუთვალა, ჩამოდი, გათხოვებას ვაპირებ და ჩემს გაბედნიერებაში წილი დაიღეო. სოსიკომ წერილებიდან აღრევე იცოდა დაროსა და ბიძინას ურთიერთობის ამბავი. დას ჩქარა მოაკითხა. და-

რო გახარებული შეხვდა, სოსიკოს ყველა შეკითხვაზე იცინოდა და უღიღინებდა თვითდაჯერებით უპასუხებდა!

— დარო, ძალიან გიყვარს ბიძინა? — მშვიდად ეკითხებოდა სოსიკო.

— მიყვარსო? რას ამბობ, ბიჭო, ლამისაა ქკუაზე შევიშალო. აი, ნახავ, სოსიკო და შენ თავათ დარწმუნდები. ბიძინა ოქრო კაცია, როგორი განათლებული, კულტურული, მოსიყვარულე. შეხედავ თუ არა, მაშინვე შეგიყვარდება! რომ იცოდე, რა ცეცხლივით თვალები აქვს... რა სიტყვებს მეუბნება ხოლმე...

— დაიცა, დარო, შენ გატაცებული ხარ. ცხოვრებაში შეგობრის არჩევა მეტად ძნელია, კარგად დაუფიქრდი. მხოლოდ დიდ სიყვარულს უნდა ეძებდე ცხოვრებაში, სხვა ყველაფერი წარმავალია. გრძნობ დიდ სიყვარულს?

— ვგრძნობ, სოსიკო, ვგრძნობ...

— იქნებ ეს სიყვარული არ არის, იქნებ ცდუნებაა? იქნება შენ მარტო გარეგნობა მოგწონს მისი...

— ისეთი ლამაზია!

— სილამაზე ერთია, მაგრამ ეს არ კმარა.

— ვერ გამოვიცა, რას ამბობ?

— შენ ახლა ვერც გამოიგებ, გენაცვალე. შენ სიყვარულს გაუგოვებხარ. მე, ერთი მხრივ, მიხარია: სიყვარული ბევრს აგატანინებს, ბევრს გაგაცეთებიანებს ცხოვრებაში. დიდი სიყვარული ყველაფერზე ძვირფასი განძია, მაგრამ მაინც კარგად უნდა დაუფიქრდე, დარო. ცხოვრებაში ბევრი რამ არ არის ისე, როგორც შენ გეჩვენება... ბოლოსდაბოლოს, ექიმმა კაცმა რა ნახა შენში, რომ ასე გადარეულია?

— სოსიკო, შე უსირცხვილო, შენც ამას ამბობ?

— სჯობს მე ვიყო ახლა უხეში, ვიდრე მერე შენ მთელი სიცოცხლე დაიტანჯო...

— რამ შეგაშინა, ბიჭო? მე მიყვარს ის კაცი და იმასაც ვუყვარავარ! უნდა გაეთხოვდე!

— ღმერთმა ხელი მოგამართოს, დარო, მაგრამ კაცის გული ფრთხილია და ადვილად ვერავის მიენდობა.

— სოსიკო, სად დარჩენილხარ შენა? ახლა ახალი ცხოვრებაა, სოსიკო...

— შენ ჯერ პატარა ხარ, დაო და ვერ გაიგებ ამას. ეგ, რაც ახლა შენ სთქვი, — არის, მაგრამ მთლიანად ცხოვრება როგორია? ვანა ყველა ანგელოზია? ბევრი გველაძეა ჩვენ შორის და მე იმათი მეშინია...

სოსიკო და ბიძინა ერთმანეთს სიღნაღის ბულვარზე შეხვდნენ. სოსიკომ ეს შემთხვეველობას მიაწერა და სრულიად არ დაფიქრებია იმ გარემოებას, რომ ბიძინას შინ არ მიუბატოებია იგი. დარო თავის მხრივ აჩქარებდა, ბიძინა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე უნდა წავიდეს თბილისს და იქამდე, ვინძლო, ხელი მოვაწეროთო...

ბიძინას არაფერი უთქვამს მნიშვნელოვანი, ოღონდ სოსიკოს მაგრად ჩამოართვა ხელი და ღრმა ფიქრი გადაიკრა სახეზე. სოსიკომ თვალეზში ჩახედა ბიძინას, მხარზე ხელი მოჰხვია და მეგობრულად უთხრა:

— ერთი და მყავს, ბიძინა, და ეგ არის ჩემი სიწმინდე. დიდ სიყვარულით უყვარხარ, შენც, სამაგიეროდ, დიდი სიყვარული აჩუქე. ეს არის მხოლოდ ცხოვრებაში დასახარებელი, სხვა ყველაფერი თავისით მოვა... აბა, ბიძინა, ვაეკაცი ხარ და შენი სიტყვის იმედი მაქვს!..

— იმედი გქონდეს, კიდევ, სოსიკო! ჩვენ განათლებული ხალხი ვართ და ერთმანეთს ვეჭვილებს ვერ მივცემთ. მე ჩემი სიყვარულის სიტყვებით გამოხატევა არ შემიძლია... ჩვენ შორის, მართალია, რაღაც სხვაობა არის, მაგრამ ეს სიახლოვესა და სიყვარულს ხელს არ შეუშლის, რადგან, მომავალში, მე ვფიქრობ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა დაროს ინსტიტუტი დავამთავრებინო.

— აბა, შენ იცი, ბიძინა!

— დამშვიდებული იყავი, სოსიკო!

თუმცა გვიანი შემოდგომა იყო, დაროსთვის ის დღეები აპრილის დარად ციმციმებდნენ. სიხარულს ველარ ფარავდა, უნდოდა ყველა გამგლეღისათვის ეთქვა, რომ ის უსაზღვროდ ბედნიე-

რია, რომ ყველა ცოდვა-ბრალის სკამ-გიეროდ, რასაც მის თავზე წყევამყავდა დიდი სიყვარული დაჰნათის — ჯანჯანებს ბრძღვილა სხივებით ამკობს.

იმ დღეს დარო ბიძინასთან იყო და ხავერდის ყდიან საოჯახო ალბომებს ათვალეერებდა. ბიძინა გვერდით უჯდა და ნაზად უხსნიდა:

— ამ ალბომში ჩემი ბავშვობაა, დარო...

— ახლაც ბევრ სურათს იღებ? — ჰკითხა დარომ.

— ახლა სადღა მაქვს, გენაცვალე, ან მოცლა ან ხალისი.

— მართლაც...

— ეჰ, უბედური ვარ, დარო...

— უბედური? — თვალეზი გაუფართოვდა დაროს, — რაზე შეგეცვალა გუნება? არ გამაგიჟო!

— მე დიდი ხანია შენთვის მინდოდა მეთქვა, დარო, რომ ცხოვრებაზე გული მაქვს გატეხილი. რატომღაც მგონია, რომ ყველა მატყუებს, ყველას ჩემი შურს, ცდილობს წამაფცქვენას, თვალი გამორჩენაზე უპირავს. აღამიანებისადმი რწმენა დავკარგე, ჩემო სიყვარული! —

— წინათ არასდროს არ გამიგია შენგან ასეთი ჩივილი, — ჩაურთო დარომ, — ახლა რა დაგემართა?

— დარო, არათუ სხვისა, თითქოსდა ჩვენი სიყვარულიც არა მჯერა.

— ბიძინა! — გააკანკალა დაროს.

— ჰო, ეჭვიანი გავხდი. ველარ ვიჯერებ. თუ არ დამარწმუნეს, თუ არ დამიმტკიცეს, აღარა მჯერა. ნამდვილი სიყვარული ცეცხლივითაა, რომელიც ბწვავს...

დარო გაოცებული უყურებდა ბიძინას და არ იცოდა, მისი ნათქვამი როგორ გაეგო.

— დარო... მომიალერსე... ისე მომიალერსე, რომ შენი სიყვარულის მთელი ძალა ვიგრძნო...

დარომ ხელეზი გაუბედავად გაიწოდა, ბიძინას კისერზე მოეხვია და აცახცახებული ტუჩები სახესთან მიუტანა. კრძალვით აკოცა, მერე მიენდო და მის მკერდთან გაიჩინდა.

ბიძინა ლაპარაკიდან ჩურჩულზე გადავიდა, დაროს წელზე ხელები სალტესავით შემოაქდო და ნაკვერჩხლებად ქცეული ტუჩებით დადალა. დაროს მეტიმეტი სიმხურვალისაგან სუნთქვა შეეკრა, გააფრთქილა, მაგრამ ბიძინას შეკვებებიდან გამოსხნა ვეღარ შეძლო...

— შენ უნდა დამარწმუნო, რომ გიყვარვარ... — ჩურჩულებდა ბიძინა და დაროს მთელი სხეულით ეგრანგებოდა. თანდათან, შეუმჩნევლად დარო ტახტზე გადაესვენა და ძარღვებშიც სისუსტე იგრძნო... როგორც იქნა, ტახტიდან წამოიწია; თვალები ცრემლით ავსებოდა, საყვედურის თქმა უნდოდა. დალაპარაკება ვერ შეძლო. ბიძინა ეხვეოდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა. დაროს მოსმენის თავი აღარ ჰქონდა. დამტვრეული ნაბიჯით გარეთ მიიწეოდა. გრძნობა შეურაცხყოფისა, დამცირებისა, თავბრუს ახვევდა, ცალკე დიდ სიყვარულსა და ცალკე ამ მაღალი ოცნების ასე უცბად გამოწიერებას მისთვის გული შეეკუმშა, ხმის ამოდების უნარი წაერთმია. დარო ბიძინას სახლიდან გამოვიდა. „ხვალ შევხვდეთ, ხვალ!“ — მოსჩურჩულებდა ბიძინა, მაგრამ დაროს მისი ხმა აღარ ესმოდა. რატომღაც ნატოს და იმ უცნობი ქალის საუბარი აგონდებოდა.

აჯიას უმცროსი ძმა გიგოლა აჯიასზე ნაკლები მეწისქვილე არ გამოდგა. ხალხი ორიოდ თვეში მოიმადლიერა.

გიგოლას კოპწიაობა უყვარდა, ორ ქვრივს ერთად ჰყვარობდა, ამიტომ დღეშიადაც თმის ვარცხნაში და მორთვა-მოკაზმევაში გახლდათ.

ზედმეტ სახელად „კოხტა მეწისქვილეს“ ეძახდნენ სოფელში გიგოლას და, მართლაც, მის წისქვილში როცა არ უნდა მისულიყავით, უთენია თუ ნაშუალამევს, ყოველთვის პატარძლის ეზოსავით დაგვილ-დასუფთავებული იყო ყველაფერი.

აქამდე გიგოლა მხოლოდ აჯიას მეგობრებს თუ ახსოვდათ, ახლა თემსაბჭოში დღეში სამჯერ დაარბენინებდნენ,

ათასნაირ გეგმებს აჩვენებდნენ და რიგვას ეკითხებოდნენ.

— დღეღამეში რამდენ ფუტსს შექვავდი, გიგოლა?

— თუ გვალვა არ იყო და ღარი სავსე მოდგაფუნებდა, ათ ფუტსა, შენი კირიმე.

— ელექტროწისქვილზე სამოც ფუტს დაფქვავ, მეტს თუ არა.

— რას ამბობ, ე!

— აბა?

— მთელი კვირის საფქვავს ერთ დღეში ჩამოვფქვავ? მერე რაღა ვაკეთო, დავჯდე და ბუზები ვყლაპო?

— რათა კაცო, საფქვავი გექნება.

— რას ამბობთ, ე, დღეში რომ სამოცი ფუტი დაფქვა, მთელ ვარდიანს ერთ კვირაში ჩამოვფქვავ, მერე?

— ნუ გეშინია. სამუშაო ბლომად იქნება. სხვა არაფერი, მეზობელი სოფლებიდან მოვა ხალხი.

— იმათ რა, ელექტრონი წისქვილი არ ექნებათ?

— ჯერჯერობით ყველგან ვერ იქნება, გიგოლა. ჯერ მხოლოდ დიდ სოფლებში უნდა ავაშენოთ.

— ჰო, ახლა გავიგე.

ანანია ახლად დაარსებული არტელის მოამაგე იყო. თემსაბჭოში სოფლის საქმეებს ხშირად ავალებდნენ. ახლაც მას დაავალეს თბილისს წასვლა და წისქვილის ქვების ჩამოტანა. ანანიას გაეხარდა, რომ ქალაქში წასასვლელად მიზეზი ეძლეოდა. გიოსაც ვნახავო, გაიფიქრა და გიგოლას თხოვნა-ვედრებით გაბეზრებული თბილისისაკენ გაეშურა.

— ბალო, — მისძახოდა გიგოლა, — ქვები სველი არ იყოს. ჩაქუჩითა ნახე, თორე იქნება რბილი ქვა შემოგატყუონ და თავი შაქარით დამეფშენება. აბა, შენ იცი, კარგი ქვები ჩამოიტა და ამას იქით უმინდოდაც დაგიფქვამ.

ანანია ერთხელ იყო თბილისში ნამყოფი. მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, ტრამვაის პარკში ჯერ გიოს მიაკითხა, მასთან ერთად ვივლი და გზა არ დამეკარგებო, — იფიქრა.

კითხვა-კითხვით გიოს ადგილ-სამყოფელს მიაგნო. ტრამვაის მუშებმა უთხრეს, გიო ჩვენთან არი, მაგრამ ახლა კრება აქვთ და მოცდა მოგიწევსო. ანანიამ თავი გააქნია, ამდენი დრო არა მაქვსო. მაშინ, მუშებმა შესთავაზეს, წამო, ჩვენ კლუბში მივდივართ, შენც შემოგვყე და იქნება გიო როგორმე გარეთ გავიყვანოთო. ანანიას მუშების აზრი ჭკუაში დაუჯდა.

კლუბი საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. ანანია რომ შევიდა, კარმა ისე საძაგლად გაიჭრიალა, რომ ნახევარი დარბაზი უკან შემოტრიალდა.

— რა კელეტარით დავრქვი, კაცო! — დაუძახა ვილაცამ ანანიას, — დაჯე ე მანდ და კარი მიხურე.

ანანიამ მიმოიხედა. სკამი არსად იყო. ჩაცუქდა და სული განაბა.

დარბაზში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ანანიამ მხოლოდ ახლა გაბედა წინ თამამად გაეხედა და ხალხი მოეთვალეობინა. რიგიდან რიგზე თვალი გულმოდგინედ ატარა, გუგებო აუწყლიანდა, მაგრამ არათუ გიოს ვერ მიაგნო, ადამიანის სახეებიც ზეირიანად ვერ გაარჩია, ისე იყო ყველა კობტად წვერგაპარსული და ლურჯ შარვალ-ხალათში გამოწყობილი. „ე რა ყველა ერთმანეთსა ჰგავს ჩურჩხელებივითო“, — ჩაიდუღუნა თავისთვის.

— რას ნუღუნებ, თუ მომხსენებელს არ ეთანხმები, გამოდი და სიტყვა თქვი! — დაუტია ვილაცამ.

ანანია გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით. უცბად მის გვერდით ვილაც ოქლაქი ადგა და სცენისაკენ ქანაობით წავიდა.

ანანიამ გაიფიქრა, ეს რა ხათაბალაში გავებოო, მაგრამ სცენისაკენ მაინც გაიხედა. ვილაცა კაცი ხელებს იქნევდა სცენაზე და მთელი ხმით გაკოდა. ნეტავი რას ამბობსო, — იაზრა ანანიამ და მცირე ხნით ყური მიუგდო.

— მოდის კიკაშვილი, მოდის! — იხუვლა დარბაზმა.

— მოდის თორე, მაგისმა მზემ, ბაყბაყდეგია.

სცენაზე მდგომმა კაცმა კიკაშვილი დარბაზისაკენ პირით მოაბრუნა, მერე

ხელი ასწია და ხალხს გაჩუმება სთხოვა.

— მე, როგორც კრებმათს ვამჯავდობთ, ამხანაგებო, კიდევ გაფორმდებთ: ვისაც სათქმელი გაქვთ, აქ გამოდით.

ანანია კრების თავმჯდომარეს დააცქერდა და უცბად შეჰყვირა:

— ბიჭო, გიო!

ანანია ისე გაერთო, რომ, როცა გარეთ გასვლა მოახერხა, მზე უკვე გადახრილიყო.

პარკში ტრამვაის ვეგონები შემოდინდნენ.

ამდენი რკინა ჯერ არ ენახა ანანიას. ის გაოცებული უყურებდა გრძელ სახელონსოებს, საიდანაც სახარატო ჩარხების ხმაური ისმოდა.

ხალხმა იხუვლა და გარეთ ტალღასავით გამოიშალა. კრება დამთავრებულიყო. ანანია მშლაერ დინებას გადაელობა და თვალით გიოს ძებნა დაიწყო. გიომ თავად დაინახა, მისკენ გახარებული წამოვიდა და გადაეხვია.

— ბიჭო, საიდან ჩამოვარდი მოჩვენებასავით?

— შენსავით კი არა ვარ, უჯიგაროვ, — ჩაიციხა ანანიამ, — ხომ ხედავ, გულმა აღარ მომიტმინა და შენ სანახავად ჩამოველ.

— ჩემ სანახავად? რალაცა არა მჯერა. შენ ამ გაგანია მუშაობაში ბარს არ დააგდებდი და ჩემ სანახავად არ ჩამოხვიდოდი. ხომ მართალი ვარ?

— სწორე ხარ, გიო, საქმეზე ჩამოველ.

ცოტა ხანს გაჩუმდნენ. ვილაცამ გაიარა და გიოს გამოელაპარაკა. გიომ ანანიას ანიშნა, მომიცადეო, და სადღაც გაქრა. როცა უკან დაბრუნდა, ლურჯი შარვალ-ხალათი აღარ ეცვა. გასუფთავებულ-გაწკეპილ ტანსაცმელში გამოწყობილიყო.

— ეგ რა არის? — გაოცებული დაეკითხა ანანია, — ორი ხელი ტანისამოსით დახვალ?

— მაშ! ის სამუშაო შარვალ-ხალათი იყო, ეს — საგარეოა. აბა, ახლა მითხარ, რა საქმე გაქვს და წავიდეთ.

— ბიჭოს, შენა ყოფილხარ ბლალოჩი-

ნი! — წამოიძახა ანანიამ, — მაგრამ სოფელს რომ აღარ კადრულობ, ეს რაღა არი?

— ეჰ, სახლ-კარი სადღა მაქვს, ანანიავ.

— როგორ თუ საღა გაქვს, იმოდენა სახლი და მამული ვის უნდა დაუტოვო?

— სოსიკო ხომ იქ არის! საწყალი ბიჭი! ეგ ჩემზე მეტად დაიჩაგრა. კაცი ამოდენა ინსტიტუტში დააფასეს და საკუთარ სახლში — ვერა. მოსკოვის გზავნიდნენ, რა უნდოდათ, გაეშვათ, მეცნიერი გამოსულიყო, სრფელი ესახელებინა.

— სოსიკო არც ჩვენთან აკეთებს ნაკლებს. რაინონის აგრონომია, თხუთმეტამდე სოფელი მის სიტყვას შეჰყურებს.

— ეგ მაგრეა, მაგრამ საკუთარ სახლში უცხოა. შენ რომ სოსიკოს წერილები წაგაკითხო, ანანია, გული აგტირდება. განა ეს არის სამართალი! მშობლიურ სახლში ღვიძლი შვილი თავს უცხოდა თვლიდეს. ოჯახს ის ინახავს, მელანო კი თურმე ლუქმას უთვლის. გერ ძმას, მოგხსენება, არსენასავით უყვარს გზებზე სუფრის გადაფენა, დადის და დაქეიფობს. ქამს მამაჩემის ზონაგარსა.

— ჰოდა, სწორედ იმიტომ უნდა ჩამოხვიდე, გიო. ოჯახს მაგარი ხელი სჭირდება, დიდი გაძლოლა უნდა, გარედან ყურს ვერ უგდებ, პატრონის თვალი დედაბოძზე უნდა მოაქედო, თუ გინდა მეტოქე და მოშურნე არ გაგიჩნდეს. თქვენ, სამივენი დაიფანტენით. დაროს ამბავიც შენ უნდა გკითხო. შენ უფრო გეცოდინება წერილით.

— დარო ფერშლად მუშაობს, ცხოვრობს თავისთვის. ეჰ, ეგ მაინც ვაგვეთხოვებინა.

— რაო, არ უნდა?

— აუჩემებია, გაუთხოვარი უნდა დაებერდეთ.

— რათა, კაცო?

— რა ვიცი, აბა, ქალისას კაცი რამეს გაიგებს?

— ყველა ყველა, მაგრამ შენ მაინც დამნაშავე ხარ. გიო, რომ სოფელში არ ჩამოდიხარ.

— ჩემზე რა მოგახსენო და აი. გოგო

რომ გამეზრდება იმას, ალბათ, გამივგზავნი.

— მართალია, რამდენი ხნისაა წინაა?

— ხუთი წლისა ვახდა.

— ეჰ, სანამ ეგ გაიზრდება, ჩვენ დავებრდებით და..

— რაღა, ანანიავ, ქვეყანა იგრე ბრუნავს, ადამიანის ასაველ-დასაველს ვერავენ გაიგებს. იქნება და, ნინომ მოისხას ყველას მადლი. იქნება იმან აღადგინოს მამა-პაპის დანგრეული ოჯახი.

ნეტავ მაგ დღეს მოვესწრებოდეთ, გიო, მე და შენ და მაშინ რაღა მოგეკლავს...

სადამო იყო, გიო და ანანია ვარდიანის თემსაბჭოს ქალაქით დანიშნულ ადგილზე რომ მივიდნენ. გზაში ანანიამ ყური გაუხვრიტა გიოს გიგოლას დანაბარებით — რბილი ქვა არ იყოსო, სველი არ იყოსო, მაგრამ როცა საწყობში მივიდნენ, დარწმუნდა, გიგოლას შიში და წუხილი სრულიად ზედმეტი იყო. წისქვილის ქვები ისე გულბადებით იყო შეფუთვნილი, ზედ გაფრთხილებისა და მოვლის იმდენი წესი ეწერა, ანანიამ ველარ გაბედა ეჭვი გამოეთქვა, საწყობის გამგისაგან დიდი მადლობით ჩაიბარა და იქვე, ეზოში, სახელდახელო სუფრა გაშალა. თუშური ყველი, შოთი პურის ნატეხი და ხელადა რქაწითელი, თითქოს ხელში ჯადო ჰქონოდესო, საიდანდაც დააძვრინა.

— იგრე არ იქნება, ბიჭებო, — მორცხვად ილიმებოდა ანანია, — ყველაფერს დალოცვა უნდა. წისქვილს ვაშენებთ, საქათმეს კი — არა. ხალხი მდიდრდება და იმის ბარაქას ერთი სადღეგრძელო მაინც ვუთხრათ.

პირველმა საწყობის გამგემ წამოაველო ქიქას ხელი და დინჯად წამოიწყო:

— ჩვენა, ბიჭებო, დღეს ერთმანეთსა პირველად შეეხვდით, მაგრამ დიდი ნაცნობებივით ვლაპარაკობთ. რათა? იმიტომ, რომ ყველას ხალხისათვის, ჩვენი სოფლისათვის გული გვეწვის და იმის მადლი გვალაპარაკებს. მოდი, ამ ჩვენ კარგ შეხვედრას, ერთმანეთისაკენ

მიმართულ მართალ თვალსა და სუფთა გულს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — ბეჭედი დაჰკრეს ანანიამ და გიომ.

— ერთს კიდევ ვიტყვი, ბიჭებო! დღეში აქ თქვენისთანა ასი მოდის. ყველას რაღაცა მიაქვს. ზოგს აგური, ზოგს კრამიტი, ზოგსაც ხე-ტყე. შორი სოფლებიდანაც ჩამოდიან, საშენ მასალას ეზიდებიან. აი, თქვენა, წისქვილის ქვები მიგაქვთ. წისქვილი რა არის, კაცმა რომ იკითხოს? არაფერი ეგეთი. მაგრამ — კარგა რომ ჩაუფიქრდე, წისქვილი დიდი რამეა! ჩვენი მოსავლის დედაა, მაზიარებელია, მშრომელი კაცის ჯანი და ღონეა. მოდი, ჩვენ შრომას გაუმარჯოს, სადაც უნდა ვიყოთ, ამ ღვინოსავით ალალი და მაგარი ვყოფილიყავით!

გიოს დახმარებით ანანიამ, როგორც იქნა, გააფორმა, რაც საჭირო იყო, წისქვილის ქვები იმავე ღამეს მატარებელს დაუდეს და მეორე დილას ვარდიანში ააცუხცუხეს. ანანია დიდხანს ემშვიდობებოდა გიოს, ეუბნებოდა, ბევრი სათქმელი დამარჩაო, სთხოვდა, ევედრებოდა, სოფელში ჩამოდიო.

გიო ქალაქში დარჩა და ანანია ისევ სოფელში დაბრუნდა. ორ თვეში ახალი წისქვილი გამართეს. გიგოლა გაბღენძილი დადიოდა, თითქოს აქ მე ვარ და იქ შირაქის მინდვრებო.

წისქვილს დღედაღამ ამუშავებდა და ხალხი არათუ არ გამოლეულა, პირიქით — ემატებოდა!

— ხალხო, — ხელებსა შლიდა გიგოლა, — სად იყავით აქამდე, შიმშილით იხოცებოდით? სად დაიკრიფეთ ამოდენა, გამარჯვლოთ **ღმერთმა!**

— მიდი, გიგოლა, შენ ბლომა მინდი აილე, რა გენაღვლება, წისქვილს თუ რამე გაუფუჭდა, ფონს მინდიც გაგიყვანს.

— არა ხალხო, თქვენი წყალობა რად მინდა! საბჭოს ცალკე აქვს ფული გადადებული. თუ ელექტრონს რამე მოეშალა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ახალი წისქვილი დიდად არ ებიტნავებოდათ და

გულღვარძლიანად ამბობდნენ:

— დაილოცა მამა-პაპებური წყლის წისქვილი! ეს რა ოხრობაა! ბეჭედიც მტკიცე უშუაგეს, გჭონება, თონეში ჩაცკვივინიაო.

გიგოლა როცა ასეთ რამეს გაიგონებდა, თვალის დახამხამებაზე გაავდებოდა და დაიყვირებდა:

— დაიკარგე! შენ თვითონ დასაფუქვა-ვი ხარ წისქვილში! მერე ჩაიწყვეტავ ხმას!

აღრე მელანო სტეფანეს არ ემდუროდა, უხაროდა, ვაჟიშვილი მეზრდება, ჩემს ქალობასა და პატივს ეგ დაიცავსო. აღრე მელანო არც სწავლა-განათლებას დაგიდევდათ. სულ სხვა იყო მისი ოცნება, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ხალხს შეჰყურებდა და რწმუნდებოდა, რომ მოტყუვდა. სტეფანე თუ ეგრე გააგრძელებდა, ცხოვრებაში დაინაჯრებოდა, ვერაფერს მიღწევდა, დამდაბლდებოდა.

მელანო ხშირად უსაყვედურებდა შვილს, ქვეყანა ქვეყნად იქცა, შენც სახლ-კარს მიხედე და ჰქუა მოიკრიფეო, მაგრამ სტეფანეს ერთხელ რომ აღრა აეშვა, ქეიფსა და დროსტარების გრიგალს აჰყოლოდა, თვალ-მოუკრავად მიეკანებოდა ხან აქეთ და ხან იქით. ძალიანაც რომ სდომებოდა შეჩერება, აღარ შეეძლო.

შვილს მოსწყინდა დედის ამდენი ბუზღუნი, ღამეებს ხშირად შინ აღარ ათევდა, გავიღოდა საქეიფოდ და, სანამ ფული ეყოფოდა, ერთი ფეხი ალთასა ჰქონდა, მეორე — ბალთას.

სოსიკოც იშვიათად მოდიოდა შინ. ვენახში საგაზაფხულო სამუშაოები გაეჩაღებინათ და აგრონომი დღედაღამ იქ იყო.

ხშირად მელანო მარტო რჩებოდა, ერთადერთ გამართობად და გულის მესაიდუმლედ წინანდებურად პელო ჰყავდა, დღენიდაც მასთან რომ იყო წამოსკუპებულნი და გულის პრილობას ენის წვერით უყუჩებდა.

ახლაც მოსულიყო პელო; ფთილებად დაწინებელი მატყლი მუხლებზე დაედო,

თითისტარს ატრიალებდა და მელანოს ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— არა, გენაცვათ, ქალის გაჩენის დღე დაწყებული და უბედური ყოფილა თავიდანვე. ქალი რომ დაიბადება, წიხლი უნდა დააქირო და მაშინვე გომბეშოსავით გაქყლიტო. რა მინდოდა, რატომ ჩემთვის არ დავეტიე, რა მრჯიდა, ამ უმადურ წუთისოფელში მაღლს ვინ დავიფასებ, რომ მაგათ დავიფასებინათ; განა არ ვიცოდი ესა, ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, მაგრამ ოხერი გული მტკიოდა... ვიფიქრე, გამოვზრდი, ვასწავლი, ხალხში გამოვიყვან, მერე მეც მომხედან, მიპატრონებენ-მეთქი. გაგიგონია? სათოფედაც არ მეკარებიან, ქა!

— ყველა დაიფთხინე და რას მოგეკარებიანი! — წაიღულუნა პელომ.

— რასა ჭყვიტინებ? — ცხვირი გააცმაუნა მელანომ, — ეგ თვალეხი სად დასაკარგავში წაგივიდნენ, სიმართლეს რომ ვეღარ არჩევ. ეგ უნდა მითხრა?

— მაშ რა, ვინც აქ გაიზარდა, ყველამ ფეხი ამოიკვეთა. სად მამაჩემთან წავიდნენ, კაცმა რომ გკითხოს.

— მეც მაგას არ დავეძებ, პელო?

— დაეძებ და ვერ გიპოვნი?

— კამეჩის ფეხით გასრესილი ბალახით ვარ, ქა. წელი ჩამწყდა, ჩაეწეძა და ვეღარ ავმდგარვარ. რაც ის ცხონებული ჯამბარა ხელიდან გამომეცალა, მთელი ოჯახი ჩემს კისერზე არი. ამდენ მუქთამკამელებს შენახვა არ უნდა?

— ვის ინახავ მაინცა?

— როგორ თუ ვისა? აი, გიყებს ვურიგებ გზაზე.

— რა ვიცი, მე კი ვერა ვხედავ და!

— ქალაქში რამდენ პირამდე თავმოხმულ ხურჯინს გავგზავნი, ყველა შენ გაჩვენო? ყველა ეგრე დაუნახავები რომ ხართ, დღეის იქით, ასე ვევაკეთებ: სახალხოდ გამოვიტან ხურჯინს მინდორზე, შეზობლობას შეგყრიით და გაჩვენებთ, ოჯახის სარჩო სად მიდის.

— სადაო?

— ჯამბარას ნაშიერებთან! გიოსა და დაროს შენახვა არ უნდათ?

— როგორ, შენ ინახავ?

— ინახავ რომელია, ქა, ლამისა ტყავი გამძვრეს.

— ისინი ხომ თავთავიანთისა დგანენ, კიდევ შენ ჯამს შემოაწყურებენ?

— რა აჯამივით ლაპარაკობ, დედაკაცო! — დაუტია მელანომ, — შემომწყურებენ და ეგრე? ლამისა კაბის კალთებიც ჩამომპკრან და თავიანთ სახლში გააქციონ.

— ჯამაგირს არ იღებენ? — არ ცხრებოდა პელო.

— ჰი, ჯამაგირს!

— ვიცი, სულში არ გისხედან.

— ეპ, ვინც ოჯახს გარედან უყურებს, ყველაფერი ბოლაწო ჰგონია, ერთი ყლუპით შესაქმელი. არა, პელო, ბევრი ქირი ჰქონია ქონებასა. რაც უფრო ბევრი გაქვს, უფრო მეტი გინდა და ვაითუ აღარ შეგიძლია...

— არცა მაქვს და არცა ვდარდობ, შენი კირიმე! — სიტყვას ხელი აუკრა პელომ, — მე მხოლოდ იმასა ვჩივი, ღმერთმა ეგრე უბედურად რად დამაბერა, კარგუნახავი რად უნდა ჩავიდე სამარეში... ერთი რეგენი ქმარი მეცა მყოლოდა, რა იქნებოდა...

— მოძალდე ყბა, ძველი არღანივით ნუ აქიქინდები ზოლმე, — ტუჩი აიბზუა მელანომ, — იმ დღეს არ იყო, რომ სტეფანეს ამხანაგებმა გაბურთავეს! მეტი გინდა!

— ეპ, მაშინ კარგა გადავრჩი, თორე გამეწეწავდნენ. რა ყოფილან, ქა!

— ერთი ეს მითხარ, — ჩაფიქრებით თქვა მელანომ, — ლელეზე რომ ამოიარე, წისქვილი ბრუნავდა?

— ბრუნავდა, მაშა! ელესტრონს იგეთი რახრახი გაუღიოდა, სანამ ორ ნაბიჯზე გამოვიცილდებოდი, ლამის ყურები გამიხვრიტა.

— ხალხი ბლომად იყო?

— იგრე, რა.

— მაშ ე მატყლის დართვასა პატარახნით თავი დაანებე და ერთი ფუთი ზორბალი გადამირბენინე ხელდახელ წისქვილში, ჩამოაფქვევინე; საღამოს სტეფანე თავისი ამხანაგებით მომივა და გამტყციული პური უნდა ვაჭამო.

— ამხანაგები გუშინ აქ არ ეყარნენ?

— შენ არავინ გეკითხება. გუშინ იყვნენ და დღესაც იქნებიან. საჭირო ხალხი ყოფილა, ბიჭი სამსახურში უნდა ჩააყენონ.

— ამდენს მაგითვინ აქმევს?

— რა ინდაურივითა ხარ, დედაკაცო, გამორეგვინებელი?!

— სოსიკო როგორ ჩააყენეს? არც ფული დაუხარჯავს და მამის ქონებაც არავისთვის შეუქმევიდა.

— სასი გაიქრე და ნუ იცი ეგეთი მუდრდალი ლაპარაკი! სოსიკო! რა სულ იმის სახელი გაკერია პირზე? სოსიკომ, ხომ ნახე, რა ქნა, მამას ვენახი წაართვა. ვენახს თუ მისცემ, სამსახურში ჩაგაყენებენ კი არა, ხელმწიფედ დაგსვამენ.

— ვენახი ქრთამად მისცა? — პირი დაალო პელომ.

— მოკეტე ყბა! — გაწიწმატდა მელანო, — რით ვერ გაიგე, რომ პატიოსნად ჯამბარას შვილებიდან ერთი არა ცხოვრობს. სოსიკოა და, შშობელი მამა მოკლა, ოჯახი გაანიავა, ვენახი უცხოხს ჩაუგდო ხელში... გიო თურმე ქალაქში ღობე-ყორეს აწყდებდა, კონკას დაახრივინებდა... დარო ვილაცას შეჰყვარებია, მერე თავი გაუნებებია და ცოლად აღარ ირთავს... ხომ ხედავ, ჯამბარას შვილებში უნამუსოებიც გაჩნდნენ. როგორა ფიქრობ, დარო ჯერ თითის სიგარძე რომ იყო, მეზობლის ბიჭებთან გორაობდა კალოზე... მეტი ბოლო არცა ჰქონდა მაგის უნამუსობას! თვითონ ეეკიდებოდა ვისმე და ახლა ჭორებს აბამს, შემაკდინესო. ჰგონია დაუჯერებენ? ალუ, ნეკზე არ მიკბინოს! მისი დასატყუარი კბილები დიდი ხანია დავიცვალე... იმან თავისი უმაქნისი ძმები მოატყუოს...

— რეებს ამბობ, ქა? — ყბებს სჩაჩავდა პელო.

— შენ დამაცა, უარესს გეტყვი. მე ყველაფრის საქვეყნოდ გამზიანება არ მინდოდა. ოჯახის ამბავი, ავია თუ კარგი, რად უნდა ვახდეს ძაღლისა და ღორის საჭირდავი... მაგრამ თავსა მჭრიან, ყველგან ჩემ ლანძღვა-გინებაზე დგანან და მე რითა ვარ იმათზე ნაკლები, რომ

ვალში დავრჩე. არა, გენაცვათ, ვალში არ დავრჩები!

— ძან ცეცხლმოკიდებული ხარ, მელანო, — ეშმაკურად თვალბი მოკუტა პელომ, — მე რათ მელაპარაკები მაგასა, წადი და ვინც შენზე იქორავა, თავში მიახალე!

— ყველასთან ხომ ხელი არ მიმწვდება. ორღობეში რამდენი მამაძაღლი, რამდენი ძაღლი და ღორი დაეთრევა და, რაც მოესურვება, ენას იმაზე აქარტალებს. მე ყველას ვერ ავედევნები მძუნავი ლეკვივითა. თქვენც დაგქირდებათ ჩემი თავი და მამის ნახე, თუ ხელი გავძრა.

— შენ თვითონა სჭრი და ჰკერამ, ქა! ვინ რა გითხრა? ისე ხომ არ არი შენი საქმე, მელას რაც ეზმანებოდა, ის ეჩვენებოდაო!

— გაჩუმდი, შე წუნჯალო! — კისერი წაიგრძელა მელანომ, — ხმა გაიქრე და არსად დაგცდეს ჩვენი ნალაპარაკევი.

— წელან არ მითხარ, ხალხს გააგებიანი, ტყუილად მამარალებენო?

— როდის გითხარ? შენ გიყი ხომ არა ხარ?

— დედაკაცო, — პირს უფრო ფართოდ აღებდა პელო, — ახლა არ მითხარ? დაგავიწყდა?

— არა, გენაცვათ, ეგეთი რამე არც დამსიზმრებია. სასი გაიქრე და მეორედ აღარ დაგცდეს!

პელომ პირი გაიკრა, უნებურად ყუერი გამოიწმინდა, ხომ არ მეჩვენებოდაო, თითისტარს წამოავლო ხელი.

— თავი დაანებე მაგასა, — დაუტია მელანომ, — რა გითხარ, დაგავიწყდა?

— არაფერი მითქვამსო, არ იმახი?

— სულ ნუ გააჯამდი. ხორბალი გამოიტა და წისქვილში წაიღე. გოგოლას უთხარ, კვირამალს მელანო ნახევარჩარეკიან არაყს გამოგვიზავინს-თქო. იქნება ადრე დააყაროს საფქვაკი და მალე მოხირდე უკან. საღამო ხანს სტიფანე ამოვა და ვაი ჩვენი ბრალი, სუფრა თუ გაშლილი არ დახვდა.

პელო უხმოდ წამოდგა, ხორბლით საგსე ტომარა ზურგზე წამოიკიდა, ნეკრესის ქარებიოთა და ტომარის სიმძიმით

ათასად დაგრეხილი. თავჩაქინდრული წავიდა წისქვილისაკენ.

წისქვილის ქვეები რომ ჩამოიტანა, ანანის ახლა მეორე საქმე დაავალეს: წითელ-წყაროში უნდა გასულიყო და ვენახისათვის ნახევარი ტონა შაბი ეყიდა.

სოფელში სიწყნარე არ იყო. კულაკებს მიზანში ამოეღოთ ანანია, ღამით მის სახლს ქვეს უშენდნენ და კრამიტს ამტრევედნენ. დღისით სახლის პატრონს აშკარად ემუქრებოდნენ, თუ არტელის საქმეებზე სიარულისათვის თავი არ დაგინებებია, შაურიანივით გაგზვრეტავთ...

მართალი არ იქნებოდა ვისმე ეფიქრა, თითქოს ანანის ტყვიის არ ეშინოდა. ჩქიფა ხანჯალი ხალათქვეშ ჰქონდა და მალული, ყოველწუთს ჩახმაზზე შეყენებული თოფივით იყო, ორლობებში თოფის ტუჩი ეღანდებოდა...

მაგრამ მაინც არ ანებებდა თავს არტელის საქმეებზე სიარულს. ხედავდა, კულაკებს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერათ, მათ ბოგინს მალე მოედებოდა ბოლო, ამიტომ თვალგამართული უყურებდა მომავალს და გულშიც გაუტეხელი ფოლადი ედო.

სამშაბათ დილას, ინათა თუ არა, წითლის გზას დაადგა. სოფელში ჯერ არავინ გზავნიდა ფულს ფოსტით და ანანიაც იძულებული იყო უბით წაეღო. ამიტომ ფრთხილობდა სწორედ. უნდოდა კაცის თვალმოუტყრავად გასულიყო სოფლიდან, რათა მშვიდობით ევლო და საქმეც დროზე გაეკეთებინა.

მაგრამ დახეთ უბედურებას! ჩავიდა თუ არა შარაგზაზე, რაღაც წვეტიან ქვას წამოჰკრა ფეხი და ქალამნის თასმები ორსამ ალაგას გაუწყდა. ანანიამ სიბრახისაგან ერთი ლაზათიანი შეიგინა და გზისპირას ჩაიმუხლა. ქალამანი გაიხადა. გაწყვეტილი თასმების გადაბმა შეიძლებოდა, მაგრამ კვანძები ერთიორად ამოკლებდნენ მათ და ისინი ველარ იქერდნენ ქალამანს... ნემსი და ძაფი სად ექნებოდა ამ შუაგზაში, რომ გაეკერა. არა და, რა ექნა, არ იცოდა. ერთი-ორჯერ გაიფიქ-

რა, ქამარს ამოვიტერო, მაგრამ არც ასე უშნოდ ტარება უნდოდა. წითელში ათასი ნაცნობის თვალი დაინახავდა და ახანაც, საწყობში ასე მათხოვარვით მისვლა სცხვენოდა. ამ გაწამაწიაში იყო ანანია, რომ მზემ საკმაოდ მალლა ამოიწია; ის რომ გზას დაადგა, კარგა ხნის გათენებული იყო. ანანია ატყობდა, რომ დაავიანა და ამით გაბრაზებული, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიიჩქაროდა. სიჩქარისაგან ოფლი შუბლზე ხეთქად გადასდიოდა, ფეხები ერთმანეთში ებლანდებოდა, ხოლო გულისჯიბე, თითქოს გასაბრაზებლად, ფულს ისე გამოებერა, გეგონებოდა, უბეში ვეება საზამთრო ჩაუღიათო. იფიქრა, ფულს ადგილს შევუნაცკლებო, შარვლის ჯიბეში გადავიწყობო, მაგრამ ამოღება დაეხარა. ამა-სობაში გედიქის ხევი განვლო და არბოშიკის გზასაყარზე რომ ერთი დუქანი იყო, იქ გაიარა. ანანიამ ერთი კი გაიფიქრა, არ მაწყენდა არაფერი, მაგრამ თავი შეიკავა. არ გაველო ორი ნაბიჯი, რომ ვიღაც ბანჯგვლიანმა კაცმა თავი გამოჰყო დუქნიდან და ანანიას დაუძახა:

— ბიჭო, სად მირბიხარ, ეგრე დაოთხილი?

ანანიამ უხალისოდ მოიხედა. ნაბიჯი არ შეუწელებია, რაღაცა გაურკვეველი გადმოსძახა მხარზემოდან და იფიქრა თავი დაეაღწიეო, რომ კვლავ მოესმა დაქინებული ძახილი:

— შენა, კაცო, მოდი ერთი ქიქა დაგვილიე, დაგვლოცე... აქაო და, არტელში რომ ხარ, ჩვენა, საწყალი ხალხი აღარ უნდა გვიკადრო?

უარი რომ ეთქვა, უფრო დააეკვებდა დუქანში მყოფთ.

დაბრუნდა. დუქანში შევიდა. ათიოდე კაცი შემოსხდომოდა სუფრას და უკვე კარგად შექეფიანებულებს, ერთი აურზაური აეტეხათ.

მეტე გზა არ იყო. ანანია უნდა მისულიყო მათთან და პური გაეტეხა.

გვერდით მოისვენს, ერთმა ყანწი მიაწოდა და უთხრა:

— აბა ერთი, ახალ ყაიდაზე დაგ-

ვლოცე! ამბობენ, ახალი ყაიდის ლოცვას ეშმაკიც ვერას აკლებსო.

ანანიას სიწითლემ გადაურბინა სახეზე, მაგრამ თავი შეიკავა. ფიქრობდა, რომ ეს ნამდვილი მახე იყო. თუ ვალში დარჩებოდა და სიტყვის ხურდას მაშინვე არ დაუბრუნებდა, აღარ ამოასუნთქებდნენ, დასჯაბნიდნენ. ამიტომ ნაძალადევი მოლხენა, მათი გაცურება იყო საჭირო, რომ ანანიას უვნებლად გაეტანა სუფრიდან თავი.

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო! — ხმაძალდა თქვა ანანიამ და ისეთი მაღალი მრავალეამიერი შემოსძახა, რომ მართალია სუფრას ორი-სამი კარგი ხმის პატრონი ეჯდა, მათაც კი ვერ აუწიეს იქამდე.

მრავალეამიერს ყანწი მოჰყვა. ღვინოს ისევ სიმღერა. გახურდა ქეიფი.

— მალე მოვა მაგათი აღსასრული! — ენაშწარობდა ვილაცა, — ეგრე უნდა ვენახის ჩამორთმევა? დამაცადონ! ბიჭებო, არტელის შესანდობარი დავლიოთ.

ეს კი ველარ მოითმინა ანანიამ. წასასვლელად წამოდგა.

— ე მანდ იჯექ და არ გატოვდე! — გაისმა დუქანში.

ანანია მიიმედ დაეშვა. ცივმა ოფლმა დაუსველა ბეჭები. სუფრაზე უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

უცხად დუქანში მეწისქვილე გიგოლამ შემოჰყო თავი.

— შენლა გვავლდი, — დაიძახა ბასამ და გაიცინა.

— თავისი ძმაკაცი მონახა.

— ქვები ხომ ჩამოუტანა ქალაქიდან, მალე დავაწყობთ გულზე იმ ქვებს, ცოტა დაგვაცადონ...

გიგოლა შეშინებული იდგა. ჩანდა, გულით უნდოდა გაქცევა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ატყობდა, სუფრას ჩხუბის სუნი უდიოდა.

მართლაც, ბასამ წამოავლო ბოთლის ხელი და ანანიას ესროლა.

მოასწრო ანანიამ თავის დაწევა, ბოთლი აიციდინა, მაგრამ ნიკაპქვემოთ მოხვდა ისეთი მუშტი, რომ თვალებიდან ცეცხლი გააყრევინა.

უცხად აირია ყველაფერი. ანანია შუა-

გულში მოხვდა. სეტყვასავით დააყარეს აქეთ-იქიდან წიხლები.

ანანიას საცაა შემოგფხვნივბოდა ჭალათი, დასცვივებოდა ფული და მაშინ ნაღდი სიკვდილი იყო...

თავს იცავდა. ერთი-ორი თავათაც გაიქნია ისეთი, რომ მოქეიფენი კედელს მიაწყვიტა.

არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს ორომბრიალი, რომ უცხად დუქანი ისე ძლიერ შეინძრა, კედლები ათიოდე ალაგას გასკდა, ჰერცი ჩამოიღრცია. ეგონათ, მიწა ფეხქვეშ გამოგვეცალაო. მაგიდიდან წყრილით ჩამოცვივდა ძირს პურქელი. მიწა კიდეც იძრა, ახლა უფრო ძლიერ და ამ მოულოდნელმა, უჩინარმა ძალამ ისე გააშეშა, დაადუმა და შეაშინა ყველა, რომ ანანია კი არა, საკუთარი თავიც დაავიწყდათ.

ბოლოს ისევ გიგოლამ მოიფიქრა, სტაცა ხელი ანანიას და სანამ ბასა და მისი ამფსონები გონს მოსვლას მოასწრებდნენ, დუქნიდან ნიავეით გაიტაცა.

ნაცემი, დალურჯებული ანანია უფრო მეტი თავგამოდებით მიიჩქაროდა წითლისაკენ და თან გიგოლასაც მიარბენინებდა.

ფული უკლებლივ ჩაიტანეს და საწყობის გამგეც შეიპირეს, რომ ორ დღეში გამოგზავნიდა შაბს ვარდიანში.

როცა იმავე საღამოს ანანიამ სოსიკოსა და ძღაბას თავისი ბეწვზე გადარჩენის ამბავი მოუთხრო, სოსიკომ გვარიანი შეშფოთების მერე გაიღიმა და თქვა:

— შენ უკვე არტელის თავაკად გთვლიან, ანანია! რაზან მტერი ასე გთვლის, შენთვის ეს ყველაზე მეტი დაფასება უნდა იყოს. ერთი მაფიქრებს, ძალიან აგვეკვიტნენ და მეშინია კულაკებს თოფის ტუჩზე არ ჰყავდე დასმული... სანამ შენთვის საკუთარი იარაღს ვიშოვიდე, აპა, დროებით ჩემი ატარე, — უთხრა სოსიკომ და ჯიბეში ჩაუღო შავი, პრიალა რევოლვერი.

ერთ ორდობეში იყვნენ გაზრდილი სოსიკო და ანანია. საერთო საქმემ უფრო დაახლოვა ისინი. სოსიკოს აღარებე-

ლი საქმე ჰქონდა, მიწვანში მუშაობას რომ მორჩებოდა, ვენახში მიდიოდა ახალ საძირეზე ვაზის მყნობის საჩვენებლად და საუბრების ჩასატარებლად გლეხებში. საღამოობით კი ერთად იყვნენ სოსიკო და ანანია.

ანანიას ახალი სახლი სარკესავით კრიალებდა. ხანძრის დროს ანანიას ყველაფერი დაეწვა და ახლა იძულებული გახდა, აკვანიც კი მეზობლებიდან ეთხოვა. კოტე ახლა იმ აკვანში იწვა, რომელშიც სოსიკო გაიზარდა...

— ბედნიერი აკვანია, ჩემო ანანია, — იღიმებოდა სოსიკო, — მაგის პატრონს ამ ცხოვრების სასაყვედურო არაფერი აქვს.

მაგდანა მცირე ვახშამს გამოიტანდა. ანანია და სოსიკო მიუსხდებოდნენ სუფრას და შუალამამდე ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ ვენახები რამდენს მისცემდათ, ნამყენი როგორ გაიხარებდა, შამშე და ბასა მორჯულებოდნენ თუ არა, ახალი ვინ შევიდოდა კიდეც არტელში და ათას სხვა სოფლის სატკივარსა და წუხილზე.

განუმებული იჯდა ხოლმე ასეთი საუბრების დროს მაგდანა, აკვანს არწევდა, სიყვარულით სავსე თვალებით შვილს დასცქეროდა და ოცნებებში უხატავდა მომავალს.

ხან ღიმილი დაეფინებოდა სახეზე, ხან ღრუბელი გადაუვლიდა, წარბებს შეკუმუნხიდა, ჩაფიქრებოდა, მერე ისევ ხალისის სიო დაბერავდა და სევდის ჩრდილს მოაცილებდა სახიდან.

ნაშუალამევს ანანია ბნელ ორღობეში გააცილებდა სოსიკოს, ხოლო როცა უკან მარტო ბრუნდებოდა, ღონივრად ბლუჯავდა მუჭაში რევოლვერის ტარს და ისეთი გრძნობა ებადებოდა, თითქოს ხელს ართმევდა ასეთივე მაგარსა და უტებს მის ყოფილ პატრონს.

„ერთი გაბედოს ვინმემ და სოსიკოს ხელი ახლოს! — გაიფიქრებდა ხოლმე ანანია და სიბნელეში ვილაცას თვალების რისხვას დაატეხდა.

„ვაითუ მე გამხვრიტონ შაურიაინით... — გაუელვებდა უცბად.

„ერთ-ერთი ხომ დავრჩებით! — ხახავდა ფიქრების აბლაბუტრდნან ვამყნავალს. „ვინც დარჩება, ის მოიყვანს შობალომდე საქმეს“ — დაასკვნინდა იმედინად და თვალწინ აუციმციმდებოდა თავისი ვაეიშვილის ნორჩი, უმანკო სახე.

არტელში დღითიდღე მეტი ხალხი შედიოდა. თავაკაცებს კანტორა დროებით ფარეხში მოეწყობო, ეზო მაღალი ძეხვით შემოერაგვით და ყარაულები დაეყენებინათ გლეხების მიერ შემოყვანილ ხარ-კამეჩისათვის. საქონლით კი ბევრი შედიოდა. ვილაცას ხმა დაეყარა, მაინც ჩამოგვართმევენო და ამ ფიქრით შეშინებულ ზოგიერთ გულბოროტ კაცს, თავისი კაი ბიჭობა რომ დაემტკიცებინა, თავად შეჰყავდა პირუტყვი არტელში. ზოგი კირი მარგებელიყო. ასე იყო თუ ისე, ორიოდ თვეში ვარდიანის გლეხების მეტი ნაწილი უკვე არტელის წყერი იყო.

შემოყვანილი საქონლის მოვლა-პატრონობა დაავალეს ანანიას. დაეთარში უნდა აღერიცხა, ვისი რა იყო, როდის შემოიყვანა და რამდენი.

კვირამალს უცნაურად იბალა ხალხმა. თავაკაცებს ეგონათ გლეხები ბაზრისთვის სამზადისში იქნებოდნენ, ან თავიანთ ბალ-ბოსტნებს ჩაუკირიკიტებდნენ, მაგრამ მოხდა უცნაური: როგორც კი გლეხის სადილობა გადავიდა, არტელის ეზოში შემოეფინა ათიოდე სული ხარ-კამეჩი, კარგა მოზრდილი ცხერის ფარა და ცხენების ჯოგი.

ანანია გახარებულიც იყო და შეშინებულიც. ამდენ ხალხს მოვლა არ უნდოდა? ვაითუ კარგად ვერ ჩაეწერა, ერთიმეორეში არეოდა და მეზობლები სათოფედ გადაემტერებინა. ამ ფიქრში და დარდში იყო ანანია, რომ წინ წამოდგა ქოსა გლეხი, ლაბა ხარი სათვალსაჩინოდ დააყენა და ხმამაღლა დაიძახა:

— აი, ხალხო! ეს ხარი იყო ჩემი მარჩენალი. რახან ყველა არტელზე ხართ თავგადაპყვლარი, მეც ჯანი გამეარდეს. შემომიწირია თქვენთვის... — თქვა, ხარს წებლა გადაჰკრა და სხვა საქონელში გაურია.

„ქოსა კიკრომაც მოიყვანა ერთი ლაბა ხარი,“ — ჩაწერა ანანიამ

— ხელი მომიწერე, კაცო, — უთხრა ქოსას.

— წერისა რა ვიცი, შენი ჭირიმე. მე რომელი დიაკვანი მნახე.

— თითი მაინც გაუსვი, კაცო!

ქოსამ ცერა თითზე დაიხედა, დანის პირივით მჭრელი, მაგარი ფრჩხილი დაისველა და თავისი სახელის გასწვრივ დაფთარში ჯვარი გახაზა.

— მშვიდობაში მოგახმაროთ, ბიჭო! — თქვა ღიმილით.

— იცოცხლე, შენი ცოლ-შვილის გასახარებლად. — მიუგო ანანიამ.

— ე მანდ რას ქუქკუყებთ გოგო-ბიჭებივით, — მოისმა ვილაცის ომახიანი შეძახილი, — თუ ჯერია, ჯერი იყოს, აბა აქ დილა მდევ ხომ ვერ ვიქნებით.

— უჯეროდ არაფერ წასულა, — გამოედვა მეზობელი.

— შენ ვისი ტიკიტომარა ხარ, რომ ეჩრები!

— გაჩემდით ხალხო, რა გაჩხუბებთ. ხელდახელ ჩაგწერთ ყველას, — თქვა ანანიამ.

ცალხელა კაფანდარამ წყვილი ღორი შემოიყვანა, დაფთარში ერთ მტკაველზე დაწერა თავისი სახელი.

— ამხელაზე რათ გინდა, — გაეღიმა ანანიას.

— არა, გენაცვათ. მე შარის თავი არა მაქვს. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვისი რა არი... იქნება...

— რა, არტელი დაიშალოს და უკან გაიყვანო შენი ჭირიანი ღორები? — დაიყვირა იმან, წელან რომ დავობდა, ხალხს უჯეროდ ნუ უშვებთო.

კაცო შენ მარცხენა ფეხზე ხომ არა ხარ ამდგარი. რა მახრჩობელა პანტასავით ყველას ყელში ეცემი ხოლმე... ადამიანმა თავისი გულისდარდი ველარ უნდა თქვას? — ხელს იქნევდა კაფანდარა.

— ჰოდა, ე კულაკური ღორი გული ნუ გექნებათ, — არ ცხრებოდა შეახნის კაცი.

ის იყო კაფანდარა განზე გავედა, რომ ეზოში წყვილი მოვლელ-ნაბატოეები ხარ-კამეჩი შემოიყვანა ვილაცამ. ანანიას ასეთი კარგი საქონლის დანახვაზე სახეზე ნათელი დაადგა; ის ფეხზე წამოდგა კიდევ, რომ ამით განსაკუთრებული პატივი ეცა მოსულისათვის, მაგრამ საიდანლატ ქალის თავსაფარმა გამოაშუქა, ხალხის რიგებიდან ფეხათრევით გამოვიდა პელო და ანანიას თვალეში ჩააშტერდა.

— შენ რა, ხელცარიელი მოხველ, პელო? — ჰკითხა ანანიამ.

— გული ნუ გადმოგიბრუნდა, ბალო! — ამაყად თქვა პელომ. — ხელცარიელი არ მოვსულვარ. — კაბის კალთა გადასწია და უზარმაზარი ჯიბიდან ამოიყვანა ერთი თავტიტველა, საცოდავად ამობუზული ლიპრიანი ყვინჩილა, — სილარიბე რა თავილია, გენაცვათ! რაცა მყავდა, ის მოგგვარეთ. არტელში იმიტომ შემოვდივარ, რომ აშენებას თქვენგან ველი!

— მართალი ხარ! — იხუეღა ხალხმა და პელოს უკანასკნელი სიტყვებით გახალისებულმა წინანდელი დამცინავი ღიმილი გადაიფიქვა.

კარგა ლამემდევ იჯდა ანანია და ბატიფეხურით სწერდა დაფთარს.

ფარეხი თანდათან ივსებოდა. ხარ-კამეჩის ბლავილს, ცხვრის ყმუყუნს, ცხენების ჭიხინს და ფრინველის კრიახს ყურთასმენა წაელო. ანანია ხედავდა, ცალცალკე ყველა მისი მეზობელი ღარიბ-ლატაკი იყო, მაგრამ როცა მათი ჭირ-ვარამი, გასაქირი და სიხარული შეერთებულყო, ეს სილარიბეც გამჭრავლიყო თითქოს.

ამას სხვებიც ხედავდნენ. გლეხებს სწამდათ, რომ გამრჯე ხელებს აბარებდნენ თავიანთ ოჯახს, საქონელს, თავს, ბედს და ისინი არ უმტყუნებდნენ, არ გააწბილებდნენ, არ დალაღატიანებდნენ.

ხალხი ხმაურობდა, მღეროდა, გაცხარებული დავობდა, წინასწარმეტყველებდა თუ ვის რამდენი შრომადღე უნდა

დასწეროდა, როგორ უნდა ემუშავათ, რომ რაც ჩააბარეს არტელს, იმის საფასურში ერთი-ორად მეტი პირნახელი მიეღოთ.

ანანია გახარებული მირბოდა თემსაბჭოში, თავმჯდომარესა და აგრონომებს დაეთარს აჩვენებდა და მერე გადამადრული ელოდა მათგან შექმებას.

ყველაზე მეტად მაინც სოსიკოს სიაზოვნებდა ეს ამბავი. ხოლო ერთ დღეს, ისინი, ვინც მას ჰკილავდნენ ჯამბარას უეცარ სიკვდილში, კანტორაში რომ მივიდნენ და არტელში ჩაწერა ითხოვეს, სოსიკომ მაშინ უკვე ნამდვილად გამარჯვებულად იგრძნო თავი.

დარდი უმსუბუქდებოდა. მამას რა დაევიწყებდა, იმ უძირო ტკივილს რა ამოაშრობდა, მაგრამ ხალხის ასეთი თავგამოდებით, სიხალისით, ერთგულებით ფრთები ესხმოდა, ფოლადის ასოებით იბუქდავდა გრძნობა-გონებაში არტელის გზის სისწორესა და სიმართლეს.

გული კი მაინც სტკიოდა. უკვირდა, ანანიას შამა — ხარება რამდენი ხნით აღრე მოკვდა, მაგრამ ასეთი გულჩახვეული და თავგერძა არასოდეს ყოფილა. „ჩქნება მე ვარ დამნაშავე, რომ მამას დროზე ვერ გავაგებინე ახალი ცხოვრების სიაყვარებე, არ ავუხსენი, არ ვანუშარტე, რომ მერე ასე ელდად არ დასცემოდა ვენახის ჩამორთმევა,“ — ფქრობდა სოსიკო.

დამნაშავე იყო და არც იყო სოსიკო. ერთხანს დაბნეული დადიოდა. არ იცოდა, რით აეხსნა ასეთი უცნაური სიმართლე და სიცარიელე, რაც მამის სიკვდილის მერე გამეფდა და აღარ აპირებდა გაქრობას. სოსიკო ცდილობდა ყველაფერი დაევიწყებინა, შორეული მოგონების ბურუსში გადაეტანა, გულის წიაღში ჩაექრო, მაგრამ რაც უფრო მეტს ცდილობდა, სინამდვილე მოგონებად ექცოდა, პირიქით ხდებოდა. ყველაფერი, რაც მის ცხოვრებაში მამის სახელთან იყო დაკავშირებული, ახლა, ჯამბარას სიკვდილის მერე, უცნაური ძალით ცოცხლდებოდა, თვალწინ ეხატებოდა. მოგონებათა ქაოსი უზარმაზარ ზეგად

ქცეულიყო. მას აღარ უჯერებდა, სოსიკოს თავებზე ეხვეოდა, თითქმის და რაღაც იღუმელი ხმა ჩასძახოდა: „რამ მამის სიკვდილში ის იყო დამნაშავე, რომ რაღაც გარეშე და არა ოჯახის ინტერესებისათვის, მშობელი მამა სასიკვდილოდ გაიმეტა...“

„ანანიას დავთრის“ შეესებოთ, რაც ასე ახარებდა ყველას, რწმუნდებოდა სოსიკო, რომ რაღაც ძალა უფრო მალა უნდა დაეყენებინა ოჯახზე და პირად ბედნიერებაზე... ის ხედავდა, ცხოვრების მსვლელობის მძლავრ მდინარეში იყო მოქცეული და მის დინებას მიჰყვებოდა. მას ამ მდინარის შეჩერება, სხვა კალაპოტში გადაგდება არ შეეძლო. სოსიკო მშვენიერად ხედავდა, ცხოვრებას თავისი დაუწერელი კანონები ჰქონდა, ამ კანონებს, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ნებით თუ უნებლიედ უნდა დამორჩილებოდნენ ადამიანები. ვინც წინ აღუდგებოდა — დაიღუპებოდა.

მაგრამ ახლა ეს ყველაფერი წარსულს ეკუთვნოდა. სოსიკო და ანანია თითქოს უკვე ხედავდნენ ცისკიდურიდან დაძრულ მზის სხივს და მის შესაგებებლად გალაღებულნი მიიჩქაროდნენ.

ავგისტო ვასული იყო. არტელში პირველი მოსავალი უნდა აეღოთ, რომ სოფლად ხმა გაეარდა: დამიანად ვენახში ვილაკეები შეპარულან და ათასამდე ვაზი აუჩხვიათო. ეს ამბავი ელდად დეცა ვარდიანს. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე შილიციის უბნის რწმუნებულთან ერთად თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, მაგრამ კვალისათვის ვერ მიეგნო.

ვენახს ყარაულები დაუყენეს. სოსიკომ თავად გაანაწილა ყარაულები, გადასწყვიტა, ერთი ღამე მასაც გაეთია ვენახში.

ჯამბარას ნავენახარს ხარებას ნავენახარი ემოვნებოდა. ლობესთან ანანია გადმოსულიყო და იქაურობას თვალს აღევნებდა.

სოსიკოსთან შეველე ძღაბა მივიდა და თამბაქო სთხოვა. ანანიამაც გამოიხედა და სოსიკოსთან გადმოვიდა. ანანიამ ძველ, დაქმუქნილ გაზეთის ქალაღში

გაახვია თამბაქო და ის იყო თავის ადგილს უნდა დაბრუნებოდა, რომ უცბად ძღაბამ იკითხა:

— კაცო, სოსიკო, აგრონომი ხარ და ერთი ქრისტიანულად გამაგებინე, რა ხდება ჩვენ თავზე. კულაკობა ხო რა ხანია აღარ არი, ჩვენა მეველეები ვართ და აქ უნდა ვიყვნეთ, თქვენა, ანანია და სხვა საქმის ხალხი რილასთვის სცდებით, აგრე რამ შეგამინათ?

— შიში რას მიქვიან, ძღაბავ, — თქვა სოსიკომ, — სიფრთხილეა საქირო. ანანია თავის ნავენახარში დაბრუნდა, სოსიკო და ძღაბა ერთად დარჩნენ. სოსიკოს ალაზანზე ხშირი ტარებითა და ნაქაობარში უყოფნით ციება ჰქონდა და ეხლა უგემურად აერიალებდა. საცოდავად მოიბუხა, ნაბადი მკიდროდ შემოიხურა, მაგრამ მიინც ამაგმაგებდა. ვერ იქნა და ვერ გათბა.

— შეგცივდა თუ? — ჰკითხა ძღაბამ.

— მაციებს, ძღაბავ და ეხლა მომიარა ამ სატიალომ.

— აჰა, ჩემი ნაბადიც შემოიხურე, დაგათობს.

— იყოს, გამივლის ეს საოხრო, ალბათ. რალა ეხლა მოუნდა, როცა ცის ქვეშა ვართ.

ძღაბას უნდოდა სოსიკოსათვის რამე ეთქვა, გაერთო, მაგრამ დაეზარა, თვალები მოიფშენიდა და მიყურდა. კარგა ხანს იყვნენ ჩუმად. სოსიკომ დაახველა. ძღაბამ ფრთხილად შეხედა. რომ არ ჩასძინებოდა, ლაპარაკი წამოიწყო. სოსიკო თავიდან ყურს არ უგდებდა. ის თვალბგაფართოებული მისჩერებოდა სიბნელეში გამდნარ ვაზებს, მახვილი ყური ვენახისაკენ ჰქონდა და მცირე ხმაურზეც თავს წამოსწევდა ხოლმე; ძღაბამ რალაც ისეთი ახსენა, რომ სოსიკო მთელი სხეულით შეერთა და ყური მიუგდო.

— განა ის ჩემი დამწველი გოგო მიყვარდა, — ლაპარაკობდა ძღაბა, — მაგრამ იგრე მეჩვენებოდა, რომ უმისოდ გაძლება არ შემეძლო...

სოსიკო თავის საფიქრალმა წაიღო. ძღაბას საუბარმა მოგონებაში გადააგდო...

— ვიფიქრე, რეტი დამეცა-მეთქი, — ლაპარაკობდა ძღაბა და სუსკიკოც გულათამაშებული, ღრმა დუმილში წასვლთ, ყურს უგდებდა.

უცბად ნიავმა წამოუბერა, საღღაც გაიელვა და დაიქუხა. სოსიკომ თავი წამოკყო. ცას შეხედა.

— დიდი წვიმა იქნება, სოსიკო — უთხრა ძღაბამ, — წადი, გენაცვა, მოსვენე, მე სულ მარტო ვყარაულობ ვენახს და ამალამ რალა იქნება იგეთი? კიდევ გაცივებს? მთლად გალურჯებულხარ.

— ჰო, ვერა ვარ კარგად, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა სოსიკომ.

ნიავი გაძლიერდა, კაკლის ტოტებში დაიქმუტუნა, მინდორში გაითამაშა და ციდან ყრუ კენესა ჩამოიტანა. წვიმის მსხვილი წვეთი კაბუნით დაეცა ვახის ფოთოლს და დაარხია.

— ეჰ, იწყება ეს ოხერი, — თქვა ძღაბამ და ფარნის ასანთებად წავიდა.

ცა ღრუბლებით უცებ გაიჭვდა, ქუხილი შეწყდა და თვალისდახამხამებამზე კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. სოსიკო ავადმყოფობისაგან აცახცახებული წამოდგა, ძღაბას დაედევნა, რომელსაც ფარანი აენთო და ვენახს ვარშემო უვლიდა.

— ჰაიტ, შე მამაძაღლო, — მოისმა უცებ ძღაბას ყვირილი და ზედ ჯოხის ლაწანი მოჰყვა.

სოსიკო თვალისდახამხამებამზე შევარდა მეველეს კარავში, თოფი გამოიტანა და ხმის მიმართულებით წავიდა. წვიმა გემოზე უჭაუნებდა, დიდი, მძიმე ნაბადი სიარულს უშლიდა, სოსიკომ მკლავი გაიქნია, ნაბადი ვაზებთან მიადო და ფეხს მოუჩქარა.

გულხეთქებით მიიჭრა მეველესთან, შეუძახა.

— ვინ არი, ძღაბავ?

— არაფერია, ნუ გეშინია, სოსიკო. ვილაციის ძალი გადმოსულიყო და იმასა ეზებე ჯოხი.

— ეჰ, შენც ერთი, — ჩაილაპარაკა სოსიკომ და შემართული თოფი ძირს დაუშვა.

წვიმა უმატებდა. სოსიკოს დაეიწყე-

ბოდა თავისი ავადმყოფობა, ისიც, რომ ნაბადი ვაზებთან მიაგდო, თავშიშველი იდგა და ილუმპებოდა. გვიან შენიშნა ძაბამ სოსიკოს უნაბდობა, გაუჯაგრდა კიდეც, მაგრამ შინ წასვლაზე ვერ დაიყოლია.

როცა გათენდა, სოსიკოს ეგონა, დიდი ზიდან ჩამოვევარდნილვარ და დავმტერეულვარო.

შინ დაბრუნდა, მელანოს ცხელი წყალი მოსთხოვა, რომ წვიმაში გაყინული ფეხები დაებანა, მაგრამ წყლის გაცხელებას ველარ დაუცადა, ქვეშაგები გაშალა და ჩაწვა. დაძინება უნდოდა, თვალი ვერ მოეხუჭა, ქუთუთოები სტკიოდა, თვალიდან ცრემლი სდიოდა, შუბლი ისე უხურდა, ეგონა, ვიწვებიო. დაფაცურდა მელანო. საბჭოში გაიქცა, თავმჯდომარეს შეატყობინა. სიცხიანის სილნალში წაყვანა შეუძლებელი იყო, აქ უნდა გამოეძახათ როგორმე ექიმი.

შუალამე გადასული იყო, როცა სილნალიდან გაფითრებული და გულგახეთქილი დარო ჩამოვიდა. მას აღარც კი ეგონა, თუ სოსიკო ცოცხალი დახვდებოდა. თვალგახელილი რომ დაინახა, გულზე დაეკონა და აქვითინდა.

დაროს ჩამოსვლამ სოსიკო გაამხნევა. მან თავი წამოსწია, გაღიმება სცადა; ავადმყოფობამ დასძლია, თავი ბალიშზე დაადებინა.

დარო დატრიალდა. რაც იცოდა თავისი გამოცდილებით, გაუკეთა ავადმყოფს, თან წამდაუწუმ ორლობისაკენ იყურებოდა, ექიმი ხომ არ მოდიოდა.

ექიმი მხოლოდ მეორე დღეს გამოჩნდა. მელანო შემოფარფატდა ოთახში, დაროს უჩურჩულა, ვილაც ქალაქელი კაცია, ალბათ ექიმი უნდა იყოს და გარეთ გამოდიო! დარომ ნამტირალევი

თვალეები მოიწმინდა და ეზოში გავიდა. დღის სინათლემ თვალი მოსტკრე წამლევი აერია, მაგრამ თავი შემომაჯიქნა ქიშკართან ვაჩერებულოცო და რატომღაც შინ შემოსვლას არ აპირებდა.

— ბიძინა, შენ? — შეკვივლა დარომ მის დანახვაზე.

— მოვედი, რომ მკურნალის ვალი მოვიხადო, — ლმობიერად თქვა ბიძინამ.

იმ დღეს ავადმყოფთან დარჩა ბიძინა. დარჩა კიდეც სამ დღეს. რაც შეეძლო, გააკეთა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

მეშვიდე დღეს ავადმყოფმა თითქოსდა მოიხედა, სიცხიანი თვალეები გაახილა და ამოიხრიალა:

— დარო, ვკვლები...

დაროს ქვითინი აუვარდა. სოსიკომ დას ოფლიანი ხელი მოჰხვია და ჰკითხა.

— მარტო ვართ? ჰო... ძალიან კარგია. გიოს უნახავადა ვკვლები... უთხარი... არ დამივიწყოს. შენც ნუ დამივიწყებ... გათხოვდი?

ოთახში საიდანღაც შემოპარული კატა დაროს ფეხებთან მისჯდომოდა და ეთამაშებოდა.

დარო ოდნავ გადაიხარა სასთუმალზე. სახეზე დააცქერდა მომაცვდავს. სოსიკოს თვალეები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა.

კატა საბნის ყურს წაეტანა, ბრჭყალებით ჩაეტიდა. დარომ ძირს დაიხედა და შეძრწუნდა: ალმასივით უელავდა კატას ფართოდ გახედილი თვალეები. დაროს დაშტერებას მაინც ვერ გაუძლო. უკან-უკან წავიდა, კამოლზე შეხტა და მელანოს ნამშითვი დიდი სარკე გადმოაგდო. სარკე პირქვე დაეცა იატაკს და დაიმსხვრა.



აფხაზური თქმულება

შეღამე თუ გადავიდა, დედი?!
ჯერ აღრეა, ასტამურ! — უპასუხა
დედის მაგერ უფროსმა ძმამ და ქალა-
მნების თასმებს დაუწყო შეკვრა.

ქალარა დედა ნელა წამოდგა, კარები
გამოაღო, ხელი სახეზე მოიხრდილა, მი-
წაზე ჩაწოლილ წვეარამ ღამეს გახედა.
დიღხანს უყურა, მერე ზევით ასწია თა-
ვი და ცას მიაპყრო თვალები.

— რამდენი ვარსკვლავია ამ ჩვენს
დალოცულ ცაზე, არსად ამდენი არ იქ-
ნება. დედა ენაცვალთ! როგორ ციმცი-
მებენ ჩემი ბიჭების თვალებივით. აღ-
ბათ ეს ვეებერთელა ცის გუმბათი დე-
დის კალთაა, ვარსკვლავები კი ჩენი
ბავშვების თვალებსაა გამოხედვია. აი,
ორი წვრილი, კიაფი ვარსკვლავი რომ
ციმციმებს ცის განაპირას, ჩემი შვილი-
შვილის თვალებია, — ბურანში წასუ-
ლივით ფიქრობდა დაჯილი. მერე სა-
ხლში შემობრუნდა.

— გათენებას, შვილებო, ერთი ძი-
ლისპირი აქლია, წასვლის დროა, დამი-
ლოცავხართ დედის ლოცვით!

— სანამ ყაბალახებს დაეიხურავდეთ,
ძალღი გამოუშვი, დედი, — შეეხვეწა
უფროსი შვილი.

— კი, შვილო, კი, მე კინადამ დამავი-
წყდა!

დაჯილმა ისევ გამოაღო კარი და გა-
რეთ გავიდა.

ორივე ძმამ ყაბალახებით თავები გაი-
კრა, თოფები გადაიკიდა და წასასვლე-
ლად მოემზადა.

— შექზიარას არ დაემშვიდობე-
ბი?! — მზრუნველად უთხრა ასტამურს
უფროსმა.

— ბარემ მინდოდა, მაგრამ... — ას-
ტამური გამოღებულ კარის ზღურბლზე
კრძალვით შეჩერდა, მერე ნიკაი მოი-

სრისა და ჩაილაპარაკა... — თვითონ შე-
მეხვეწა, ბავშვს რომ აძინებდა, უჩემოდ
არ წახვიდო.

უფროსმა ძმამ კარები ცხვირის წინ
სიცილით მიუხურა.

— არ დაიგვიანო, დედა კიშკრამდე
გაგვაცილებს.

დიდი კაკლის ხის ძირში მათეს დედა-
ზე წინ ძალღი შემოეგება, ღამეზე უფრო
შავი ვეფხო, ამ სიბნელეში კიდევ უფ-
რო დიდი მოჩანდა. იგი წინა ფეხებგარ-
თხმული შეაჩერდა პატრონის თვალებს
და, რაკი შიგ ალერსი შენიშნა, საკინძე-
ზე შეეპოტინა.

— პატ, — შეუწყრა ახლა მათე ცხო-
ველს. ძალღი უხასიათოდ ჩამოხტა მი-
წაზე და აქეთ-იქეთ მიიხედა. ცოტა ხანს
დააჩერდა სახლსკენ ღამის სივრცეს და
ორივე ფეხი ისევ გასწია წინ, ბალახს
ფხვნა დაუწყო და კაკლისხის ტოტებს
შეუწყადა.

— ასტამური მალე დაგვეწვეა. —
ჩაუჩურჩულა მათემ ძალღს, — პატარა
ბიჭს აკოცებს, ვეფხო. ხომ უნდა დამ-
შვიდობოს ცოლ-შვილს:

მოახლოებულმა დედამ ჩურჩული გა-
იგონა.

— თქვენ კი გენაცვალეთ, რომ ძმებს
ასე გიყვართ ერთმანეთი, — ახლა დედამ
ჩაიჩურჩულა სათქმელი და ცისკენ ხე-
ლები აღაპყრო.

— ვაი შენს მეუღლეს, მათეს და ას-
ტამურის მამავ, მათ დავაეკაცებს რომ
ვერ მოესწარი, შე უბედურო!

— ვის ელაპარაკები, დედი?

— თქვენს ლოცვას ვამბობ, შვილო,
ხომ იცი, ბიჭო, დედის გულს შვილებზე
ფიქრი და ლოცვა ამარგებს.

— შექზიარას და ბიჭს მიხედე, დედი.

ჩვენ რა გაგვიპირდება, პირველად ხომ არ მივდივართ ჯიხვებზე სანადიროდ?

— პირველად არა, მაგრამ რაღაც გული მიკვნესის, შეილო... დედა უცებ, თითქოს ენა მოკნეტოდეს, შეჩერდა. „ეს რა წამომცდარა“, გაიფიქრა და უნებლად კინალამ ხმამაღლა დააყოლა: — ვაი, რომ ძუძუს თავებიც ამეწვა, ბიჭო!

მათე თვალების ბრიალით მიუახლოვდა დედას.

— დედა, თუ გული გეუბნება, აღარ წავალთ.

დედა ისევ შეჩერდა. სახლის კარებს გახედა და წყნარად თქვა.

— ასტამური არ იზამს, შეილო. ხომ იცი, ფიცები ბიჭია. მერე შენი ბედი მაწუხებს და ბევრი რამ შედარდება.

— მე რა მაქვს სადარდო?

— სად გაგონილა, ბიჭო, უმცროსმა ქალი შეირთოს, უფროსი კი უქალოდ დარჩეს.

— ჰე, დედი, ნუ ჩქარობ, ასე არ დავიჩინებ, ხომ იცი, თავს არ დავიჩინავ!

— ნუ გერიდება, შეილო, ძმისა, განა მას არ გაუხარდება შენი ქორწილი?

მათეს გაელემა, მერე ოდნავ შეჩერდა და დაფიქრებით თქვა:

— დედი, ხომ იცი, ბევრი ხარჯია საჭირო, ახლაბან ერთი ქორწილი გადავიხადეთ, მეორე ასე უცებ გაგვიძინელდება. ცოტა ხანი კიდევ და ბედში მოფრინდება ორივე ფრთით.

— ვიცი, შეილო, ვინც გიღვეს გულში. მისი ბადალი აფხაზეთში არ არის.

— მე სხვა მინდა დედი, — გაღიმა მათემ.

— ვიცი, შეილო, ვინც შენს გულს უნდა. დედის. გულ-ღვიძლი შეილის გულ-ღვიძლთან უშორებელია, ვერ მომატყუებ, შეილო, ვერა.

— კარგი, დედაჩემო, ასტამურმა არ გაიგონოს. იდარდებს, ხელი შეუშალებს.

— კი, შეილო, ხელი მართლაც შეგიშალა. თუმცა მისი რა ბრალია, შენ დაიჯინე, საქვეყნო წესი დაარღვიე, უმცროსს მმას ქალი უმაღ მოაყვანინე.

— ასტამურის მეტი ვინ გეყავს, დე-

დი, ამქვეყნად. მისი ერთი დღის დარდი მეც დამანობდა და შენც, რა უნდა!

— ახლა, ბიჭო, შენ კრამ: დნემის ამ ქალის სიყვარულით!

— ჩემი მოითმენს. — ჩაფიქრებით თქვა მათემ და სახლისკენ გაიხედა. ისევ სიწყნარე იყო, ჯერ კიდევ არაყინ ჩანდა:

— მარულაზე ვნახე, ცხენზე იჯდა, უზანგამდე უწედა, თეთრი დარაიის ყაბალახით თავი აფხაზურად ებურა, თვალი ვერ მოვაშორე, ბიჭო!

მათე გაიღურსა.

— თვალები ჩვენი პატარა ბიჭივით სუფთა აქვს.

— კარგი, დედი!

— დოღშიაც ყველას აჯობა, შეილო.

— გაჩერდი, დედი, გაჩერდი, — ბავშვივით მოეხვია მათე დედას და შუბლზე აკოცა.

— კარგია ჩვენი შუქშიარა, მაგრამ იმ შენი რჩეულის ჩვენს სახლში დაგულეხაც მეჩქარება, დედის გუნება მეუბნება, შეილო.

სახლის კარი გაიღო და ასტამურთან ერთად შუქშიარა სანათით ხელში გამოჩნდა. სინათლე სიბნელეში ფარშავანგას ბოლოსავით გაიშალა და მწვეანე ბალახებში აკანკალდა.

— არაფერი თქვა, დედი, შუქშიარამ იჭვი არ აიღოს, — ჩაიჩურჩულა მათემ და დედას თბილ ლოყაზე აკოცა.



თენდებოდა. კავკასიონის ცაღაზიდული ყინულოვანი მწვერვალები, ღრუბლების ზემოდან გასცქეროდნენ ქვეყანას. ნისლი თანდათან ქვემოთ იწვედა. კრიალა ცის გუმბათის დიდებულ სილურჯეში მთათა თეთრი წვერები თვალისმომკრელად ქათქათებდნენ. ჯერ კიდევ მზეჩაუხედავი ხეები ნისლში გახვეულნი გუგუნებდნენ. ქვესკნელში შხეფაბოლებული მდინარეები კლდეებს ასკდებოდნენ. ცასა და ჩაქვესკნელებულ

ხევეს შორის ფერდობებზე შეფენილი ტყე შრიალებდა.

— ჰამ, ჰამ, — მოისმოდა ხევისპირზე ძაღლის ხმა და ამ ყეფას იმეორებდნენ მთის კალთებზე აშოლტილი ტყეები.

— გაჩუმდი, ვეფხო, ახლა ხმამალა ყეფა აღარ შეიძლება, საჯიხევეებს ვუახლოვდებით, — უტევდნენ ძმები ძაღლს.

ვეფხო აქელებული შორდებოდა ხევისპირებს და სიჩქარით გარბოდა დაკიდებულ ბილიკებზე.

ზევით და ზევით თანდათან თეთრი სამყარო იწყებოდა. ჯერ აქა-იქ თოვლის და მოხეთქილი ზვავების გუნდები გამოჩნდა, შემდეგ კი წრიახებზე დაკიდებული ყინულის უდნობი კლდეები. მზემ ნელინელ ამოიწია მწვერვალზეგადაღმადან. თვალისმომკრელი სინათლის ბული დაიბნა ყინულის კალთებზე. ძმებმა სასაუზმედ შეისვენეს.

— თითო არაყი დავლიოთ, ასტამურ, — ბრძანა უფროსმა.

— დავლიოთ, — ჩაფიქრებით თქვა უმცროსმა ძმამ.

მათე ასტამურს დააცქერდა.

— რამ ჩაგაფიქრა, შენი ბიჭი გაგახსენდა?!

— ჰო, გამახსენდა, — გაიღიმა ასტამურმა. — წამოსვლისას პატარა ხელეობით უღვაში დამაწიწკანა, — მოკრძალებით შეხედა უმცროსმა უფროსს.

— თუ კარგი ნადირობა გვექნა, ჩამოსვლისთანავე ნათლობა უნდა გადავიხადოთ. — ახლა უფროსი ძმა დააცქერდა უმცროსს.

— არა, ჯერ შენი ქორწილი უნდა მოვათავოთ, ხალხის ყბაში ვართ ჩავარდნილი. ამბობენ, უმცროსმა ქალი მოიყვანა, უფროსმა კი არაო.

— სხვას ყურს ნუ უვდებ, ჩემო ძმაო. ჩვენი ოჯახის საქმე ჩვენ ვიცით.

— დედასაც აღმათ გული ეთანადრება, თვალში ვერ შემიხედავს მისთვის. შენიც მერცხვინება, მათე! ძმაო, სულწასულობა!

— რას ამბობ, ბიჭო! სულწასულობა კი არა, ასე იყო საჭირო, მე ჯერ არავინ მიღევს გულში.

— ვითომ?!

— გუბნები და დამიჯერე, ასტამურმა ღიმილით დასტავა ცინვით მოკუტა თვალი.

— არც ხიმური მოგწონს, თარკილის ქალიშვილი?

მათეს აღმურმა გადაუარა სახეზე. შუბლზე ოფლის ცვარი დააყარა.

— აი, ლამაზი ქალი ხიმურზე იტქმის. ნაწნავეები ბამილაყის ფრთებზე უფრო ვრძელი აქვს. მისი ტანი სიარულის დროს ფშანში ამოსული ლერწამივით ირხევა. ჩემმა შუქშიარმა გუშინწინ მიიხრა, მათეს შესცქერის თვალეშით. ხომ იცი, ქალმა ქალისა იცის.

— პაუ, შუქშიარას თვალი დასცდენია. სად მე და სად ხიმური.

ასტამური გააკვირვა ძმის ამგვარმა წამოძახილმა.

— ვითომ რადაო?!

მათემ უცებ ვერაფერი მოისაზრა და, გაწითლებულმა, ისეთი რაიმე წამოროშა, მერე თვითონაც ჩანა.

— ხიმურს ჩვენი ძუძუმტე უნდა უყვარდეს.

გაოცებული ასტამური ქარივით წამოიჭრა ზევით.

— რომელი ძუძუმტე?!

— ხირიფს თარბა.

ასტამური, თითქოს ქვა მოხვედროდეს შუბლში, ისე შეტოკადა.

— შეუძლებელია, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან და მერე გულწრფელად დაატანა, — აბა რაღა გვეშველება?!

მათეს სახეზე ღიმილი მოერია.

— რას ჩააცივდი ფარკილების ქალიშვილს. ჯერ შენი ბიჭის ნათლობა გვიღევს წინ. მერე კი ენახოთ.

უმცროსმა ისევ ახედა უფროს ძმას, შუბლზე ნამი შეამჩნია. არა, მათე, ნუ მოატყუებ ასტამურს, ხირიფს თარბა შენს ამორჩეულს თვალს არ გაუშარათავს.

— არც მე გავუშარათავ მის საცოლეს თვალს.

ასტამურმა არაფერი უთხრა ძმას. ცოტა ხანს იყუჩა, მერე მთებს გადახედა და წყნარად თქვა:



— მე კი სხვანაირად მეგონა. უკვე რძლად ვიგულებდი ხიმურს.

მზემ ქვეყანას მთელი ძალით დააცხუნა სხივები. ყინულის გარეკასს ცრემლები დაეტყო, მათემ თვალი შეაყოლა კალთებს. ნელნელ სწყდებოდნენ წვეთები სხივებისაგან გამთბარ ყინულეთს და ვერცხლის წყლის ცვარებად მოცივოდნენ ქვემოთ. ზოგ ადგილას ისინი ერთმანეთს უერთდებოდნენ და პატარა ღარებს იკეთებდნენ. მზის სხივთა საოცარ ლიელივში ეს მარგალიტის შეფეები ბეწვის სიმსზო ნაკადულებად მიჩნრიალდებდნენ ყინულის კედლებზე.

— ასტამურ! თოფებს ჩოხები გავაძროთ! უბრძანა უფროსმა ძმამ.

— ჯერ აღრე არ არის ვითომ? — იკითხა უმცროსმა.

— უკვე საჯიხვეთი იწყება. რა იცი, სად წაეაწყდებით ჯოგს.

— კარგი, — არ შეედავა ასტამური. — შენი ნება იყოს. — ყანწები და ნარჩენი შოთები ზურჯინში ჩაალაგეს, თასები გაიკრეს, თოფებს ჩოხები გააძრეს და ზევით გასწიეს.

შუადღემდე იარეს ძმებმა და თეთრ ხეცს მიაღწიეს. გაღმა-გამოღმა თვალუწვლენი სიმაღლის ყინულის კალთები იყო დაკიდებული. ქვემოთ ყინულის სქელი კლდეების ქვეშ, მდინარე მიჩნრიალდებდა. გადასასვლელზე გადახტომის დროს მოულოდნელად მათეს ფეხი დაუცდა და კოჭი შეუბრუნდა.

— აი, დედაჩემის ნათქვამი, — გაიფიქრა უფროსმა ძმამ. თქმით კი არაფერი თქვა.

ჯერ არ დაიმჩნია მათემ ეს ფათერაკი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კოჭლობა დაიწყო.

— ფეხთ გაიძრე, დაეხედოთ! — წამოიძახა ასტამური. მათემ ქალამანი გაიხადა და კოჭს დახედა. ფეხი ორივე მხარეს შესიებული ჩანდა.

— ცუდი ნადირობა მოგვიხდა, მათე, — უკან უნდა დაებრუნდეთ.

— არაფერია, სიარულს შევძლებ, ასტამურ. ოღონდ ვიჩქაროთ.

— ფეხი გასივდება მათე, ამ წრიბებზე უნდა გავშორდეთ.

— თითო ჯიხვი თუ გინდა, მარჯვენა რეთ, სოფელში ჩასვლა სირცხვილი იქნება, ბიჭო.

— უფეხოდ ჯიხვზე ნადირობა ვინ გაიგონა, ძმაო. ფათერაკის მეშინია.

— ასტამურ, ნათვლა მალე უნდა გადავიხადოთ, უიმისობა არ შეიძლება.

უმცროს ძმას თითქოს მუხლები აუკანკალდა, ისეთმა ფერმა გადაუარა სახეზე.

„ნათვლა ეჩქარება“, გაიფიქრა მან და კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა — აბა, მიგიხვდი, უფროსო ძმაო, ჯერ ამას მოვილევთ, მერე კი შენს ქორწილსაც გადავიხდით.

— კარგი, შენი ნება იყოს. მხოლოდ მეშინია არ დავარდე. — ეს სიტყვები კი ხმამაღლა თქვა ასტამურმა.

ორივემ შემოიხვია ყაბალახები, ნელა დაიწყეს ციცაბოებზე სვლა.

წინ ახლა უმცროსი მიდიოდა, უკან მათე მიჰყვებოდა. უჭირდა უფროს ძმას სიარული. სიმსივნე თანდათან მატულობდა, ფეხი უხურდა. ასტამურის ნამალავად ჯერ პაჭიჭი გაიძრო, მერე ერთი წინდა გაიხადა.

ვეფხო ისევ წინ გარბოდა, ახლა იგი უგუნებოდ ჩანდა. არ ყუფდა, კუდდაშვებული მიჰყვებოდა ბილიკებს. ხანდახან მობრუნდებოდა, დაიციდიდა და მათეს თვალეში შეხედავდა. თითქოს წუხილს მიუხედავ, ფეხით ყინულს მოფხოჭდა და ისევ წინ გაიქცეოდა.

მზე გადაიხარა. საღამო ახლოვდებოდა. ძმებს განზრახული ჰქონდათ, დამე საჯიხვე მთების მისასვლელზე გაეთიათ და დილით დაეწყათ ნადირობა. საღამო ხანს ნისლებმა ქვევიდან ზევით იწყეს სვლა. მხოლოდ მთის თეთრი წვერები იყო მზის სხივებში გახვეული. ნისლი თანდათან სქლად ეხვეოდა კალთებს.

ქვევით აღარაფერი ჩანდა. უცებ, თითქოს მიწა შუაზე გასკდა და ჩიქცაო, ისეთი ხმაური მოისმა. გაღმა მთის მწვერვალს ვეება ყინულის კლდე მოსკდა და

ქვევით წამოვიდა. დაქანებული ზვაი გზაზე ყველაფერს ხვეტდა, ეკრავდა და საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ძმებმა გახედეს მომსკდარ კლდეს და ფერი ეცვალათ. გრგვინვით და შხუილით მოხეთქილი ყინულეთი თითქოს პირდაპირ გამოლმა მწვერვალისაკენ მოექანებოდა.

— გვერდით კალთაზე უნდა გადავიწველოთ, ასტამურ! — დასძახა მათემ და იქით გაიწია.

ასტამური მიხედა უფროსი ძმის განზრახვას. თვითონაც მწვერვალის იმ კალთისკენ წაიდა, საითკენაც ზვაი ვერ მისწვდებოდა. მთელი დღის მზის სიმბურვალის გამო ყინულის ქერქი გაღობილი ჩანდა. თვალისმომკრელ, თეთრ, ყინულეთის სქელ გარეკანს მწუხარე დედის თვალისვით შეუწყვეტლივ ცრემლი სდიოდა და ამიტომ ფეხი ცურავდა.

ორი ნაბიჯი ძლივს გადადგეს ძმებმა, რომ ასტამურს მათეს კენესა მოესმა.

უმცროსმა უკან მოიხედა.

მათე ყინულზე გამხლართულიყო.

ჯიხვივით გადმოხტა ასტამური ძმისკენ და მხრებში დასწვდა.

— ისევ ფეხი გადამიბრუნდა! — დაიკენესა ძმამ.

— რას ამბობ, ბიჭო! ეგლა გვინდოდა?! — წამოიძახა ასტამურმა.

სიტყვები ვერ დაასრულა, რომ გაღმა მწვერვალზე მომსკდარმა ზვაემ გამოლმა მთის კალთას ჩამოუბრბინა. თითქოს დედამიწა სკდებოდა და იფშვნიებოდა, თვალგაუზომელი ყინულის კედლები მების სისწრაფით და გრიალით მიექანება უფსკრულისაკენ. ვეება ნამსხვრევეები აქეთ-იქეთ ცვიოდნენ. მწვერვალები თართოდნენ და კანკალებდნენ.

ძმები უნებლიეთ ჩაეკრნენ ერთიმეორეს და ყინულზე გაწვნიან. ზვაეთან ერთად საოცარმა სიცივემ ჩაიჭროლა უფსკრულისაკენ. როცა ძმებმა თვალი გაახილეს, შეხედეს; რომ აზვირთებელი თოვლის მდინარე შხუილით და ზათქით მიჰყვებოდა ზვაის ნაკვალევს.

— გადავრჩით! — წყნარად თქვა მათემ.

— გადავრჩით, — ლოცვასავით გაიმეორა ასტამურმა. მწვერვალის ჩრდილო კალთაზე მინდორივით გაშლილი პატარა ფლატე მოჩანდა. მათემ იქით გაიწია.

უფროსმა ძმამ ისევ დაიკენესა, ფეხის გადადგმა კი ვერ შეძლო.

— ვნახოთ, რა დაგემართა! — წყნარად უთხრა ასტამურმა. მათემ წინდის ყელი ჩაიწია და დახედა. სიმსიენე წვივზე ასულიყო. ფეხი მუხლისთავამდე აფუებული პურის ცომივით მოჩანდა.

— ახლავე ქვევით უნდა წაიდე! — დაასვენა უმცროსმა ძმამ.

— ხელცარიელი უკან წასვლა ვერაფერი ბედენაა, ძმაო.

უცებ ორივე ძმას თვალები გაუშტერდა. სწორედ მათ ზემოთ ვიწრო მწვერვალის ცხვირზე ჯიხვების ჯოგი გადმომდგარიყო. ისინი ერთ ადგილზე გაშეშებულიყვნენ, წინ ვეება ყოჩი იდგა. მისი რქები მზის ჩამავალ სხივქვეშ ნასისხლარი ხმლებივით ელავდა. ქვემოდან ისე მოჩანდა, თითქოს ცის თალის გასამაგრებლად შებჯენოდა სამყაროს.

— რა უნდა ვილონოთ ახლა? — აღმოხდა მათეს გულიდან.

ასტამურს თვალები გაუფართოვდა.

— მე წაველ, წამოვეპარები, — ჩაუჩურჩულა უფროს ძმას.

— უკვე ღამდება, — ბოლმით თქვა მათემ, — ასვლასაც ვერ მოვასწრებთ.

— მე მარტო წაველ, — შეეხეწა ახლა ძმას ასტამური.

— მარტო წახვალ?! — თითქოს ბურანში იყო, ისე გაიმეორა უფროსმა, და თან დაატანა: — არა, არ შეიძლება!

— მათე, გამიშვი, თორემ არ ვიცი, რა მომივა!

— ღამდება-მეთქი, — გაჯავრდა მათე.

— მოვასწრებ, ბიჭო, მოვასწრებ. — ასტამურსაც გაჯავრება დაეტყო ხმაში.

— ვერ მოასწრებ, ძმაო, — მტკიცედ თქვა უფროსმა.

— ნათლობა დაგაეიწყდა?! —

მათე გაჩუმდა. პასუხი არ გასცა.

— შენი ქორწილი?! —

— დადამდება, ასტამურ. ხედავ? მზე უკვე ჩავიდა.

ასტამურმა ჯიხვებს ვახედა. ისინი ისევ იმ ადგილზე იდგნენ.

— გაეგვიდები, თუ არ წავედი! — მტკიცედ გადაწყვიტა მან და ყინულზე ხოხვით გაეცურა.

— დაიღუპები, ბიჭო, ოჯახს დამიქვე! — ამოსკდა გულიდან მათეს.

ასტამურს ეს სიტყვები არ გაუგონია. იგი მიჰყვებოდა ბეწვივით დაკიდებულ ყინულის ღარს, რომელშიც კრიალა წყალს ყინულის ნატეხებს ქვევით მთარბენინებდა. ციკაბო ყინულის კედელი ძნელად საეღელი იყო. ასტამური ნელა, ფორთხვით მიიწვედა ზევით. მათე თრთოლვით შეჰყურებდა მის მოძრაობას.

— ყინულზე ბზარს დაუკვირდი, ასტამურ, თვალმა არ მოგატყუოს! — ისევ გასძახა უფროსმა უმცროსს.

ასტამურმა ღარს დახედა და გააეროლა. ადგილ-ადგილ მკლავი ჩაეტეოდა, ისეთი ბზარები ჩანდა. ზევით ვახედა ჯიხვებს და უკებ ყველაფერი გადაავიწყდა. აქედან მთელი ჯოგი უკლებლივ მოჩანდა. ეტყობოდა, ადამიანის სუნი ვერ აეღოთ. პატარები ერთიმეორეს ხტომაში ეჯიბრებოდნენ.

„ან დავიღუპები, ანდა ამ მამალ ჯიხვე მოგვლავ. ძირს ჩავეიტან და მათეს გულს გაუხარებ“.

ასტამურმა ისევ მტკიცედ დაიწყო ზევით სვლა.

მათე ყინულის მინდორზე იწვა და ჯიხვებსაც და მშასაც ჯერჯერობით კარგად უყურებდა, ფეხი საშინლად სტეხდა. უფროსი მძის თვალი მინც ზევით იყო მიპყრობილი. მათემ კარგად შეხედა, როგორ აფორთხდა ასტამური მწვერვალის ყინულოვან ცხვირზე და მუცლით გადახოხდა ზევით.

სიბნელე მატულობდა. გარშემო ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ პატარა საგნები, ცის თალზე ვარსკვლავები უფროდაუფრო მკაფიოდ ისახებოდნენ. ბინდბუნდში მთების ცაღალმართული უზარმაზარი მწვერვალები კიდევ უფრო დიდად გამოჩნდნენ.

„ნეტავ კი მოასწრებდეს ქვევით ჩამოსვლას!“ — გმინავდა მათე. ზეგვიდან ისევ ხრიალი მოისმა, მათეს ტკივილი დაავიწყდა, მშას ვახედა. სწორედ ის ღარი, რომელსაც ასტამური მიჰყვებოდა, მის ფეხებთან შუაზე გატყდა და ძირს ხრიალით ჩამოვიდა. მათემ სიბნელეში თვალი ჰკრა უმცროსი მძის ღანდს. ასტამურმა არაადამიანური ნახტომი გააკეთა და გვერდის კალთას ჩაებლაუქა. ბინდში ისიც გამოჩნდა, ჯიუტმა მონადირემ თუ როგორ ჩაიმუხლა პატარა ყინულის მინდორზე.

„გადარჩა, დაღუპვას გადაჩა“, — გამშრალ ყელში ჩაიხრიალა მათემ. ცოტა ხნის შემდეგ ვეფხოს ღანდიც შენიშნა ქვევით მწოლარემ. ძალი ასტამურისკენ მიხიზნავდა.

— უკან ველარ დაბრუნდებიან! — ელვასავით გაჰკრა ამ ფიქრმა მათეს. — ჰაი, რომ მართალი გამოდგა დედის იქვი?! ახლა თითქოს სხვამ დაუდასტურა ბოლომით სავსე კაცს ნაფიქრალი შხამი. მის თავზე ვარსკვლავები დამსხვილდნენ და უფრო ნათელი გახდნენ. გაღმა მწვერვალები ახლა ვეება ღანდებივით აღიმართნენ ცამდე. იქ, სადაც ჯიხვეები იდგნენ, უფროსმა მონადირის გამჭირაბმა თვალმა მინც შენიშნა, რომ ახლა იქ სიცილი ეყო. ისინი საღდაც გაუჩინარდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც ვეფხოს ყეფა მოესმა.

„გადაიკარგნენ, ძალი ისე ახლა არ დაყუფდა“, — ისევ შხამი ჩაეწვეთა გონებაში ქვევით მწოლარეს.

ისევ ძალის ყეფა მოესმა. ამჯერად ხმა აშკარად იქიდან მოდიოდა, სადაც წელან ჯიხვეები იდგნენ.

— ჰაუუ, ასტამურ! — გასძახა ბნელ სივრცეს.

— ჰაუუ! — მოესმა ასტამურის ხმა. ყინულის თეთრ პატარა მინდორზე ძალიც და მონადირეც აჩრდილებად მოჩანდნენ. ცის თალზე კი ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

— ჩამოსვლა არ ვაბედო! — გასძახა უფროსმა მშამ.

— ყინულის ერთ მტკაველზე ვდგავარ, გზა უნდა ვნახო.

— არ გაბედო-მეთქი! დაილუპები, უსათუოდ დაილუპები.

— გავიყინებით, ბილიკი უნდა ვიპოვნო!

მათემ კარგად იცოდა, რომ ზეავმომსკდარ მწვერვალზე — ამ სიბნელეში — ბილიკის ძებნა უცილოდ სიკვდილს ნიშნავდა.

— ასტამურ, დამიჯერე, ბიჭო, ქვესკნელში გადაიჩეხები! — პასუხის ნაცვლად, ზემოდან ზენეშა მოისმა. უფროსი ძმა მიხვდა, ყინულზე თითებჩაფრენილი ასტამური ფეხებით ეძებდა ბილიკს და ამიტომ ამოიხვნეშა.

— ვერ იპოვენ ხომ?!

— ირგვლივ ყველგან უფსკრულის პირია.

— არ გაინძრე, გეხვეწები, ასტამურ, არ გაინძრე.

სივრცეში ისევ ზენეშა გაისმა.

ვეფხომ ახლა გაბმით დაიწყო ყეფა.

— ყმუის, — თქვა მათემ. — ეს ცუდი ნიშანია.

— ასტამურ! — თითქოს თვითონაც დაიყმუილაო, ისე გასძახა უმცროს ძმას.

— რა გინდა, კაცო! — ბრაზით ჩამოსძახა ასტამურმა და მათეს მოეჩვენა, რომ ძმა კი არა, სხვა კაცი ეხმინებოდა.

— არ დაიძრე, ბიჭო! შუქზეარა მაინც შეიცოდე!

— სწორედ ამიტომ უნდა მოვნახო ბილიკი, — ჩამოსძახა ზემოდან.

— შეილიც დაგვიწყდა?! დაილუპები, ბიჭო!

— უნდა ჩამოვიდე-მეთქი!

— გადაითენე, ასტამურ, როგორმე გადაითენე.

— არ შემძლია, ვიყინები.

— ხელები ისრისე, ვეფხოს ჩაეხუტე, ხომ იცი, ძაღლის ბალანს ნაპერწკალი აქვს და გაგათბობს!

— ეპ, — ისევ ზენეშა მოესმა მათეს პასუხის ნაცვლად.

— დილა ბილიკს მოგანახვინებს, ძმაო, ახლა კი...

ვეფხომ ახლა გაბმით გააბა ყმუილი.

მათემ იგრძნო, რომ თრთოდა, განკალბდა. ძაღლის ხმა საზარტად ეძებოდა ამ ცივ მწვერვალებს და ყველაფერს აჯანკალბდა.

— გაჩუმდი! — მოისმა ასტამურის ხმა.

ვეფხო მაინც განაგრძობდა ყმუილს. უცებ დარტყმის ხმა მოისმა და მათემ ჯერ ყურთან ქშულილი იგრძნო, მერე უფსკრულში ჩაქანებული ძაღლის წკაქწკავე გაიგონა.

„ფეხი კრა და გადაიჩეხა“, — გაზარა ტანში ქვევით მწოლარეს. ცოტა ხნის შემდეგ ქვესკნელიდან ბრავგანის ხმა მოისმა, მერმე ყველაფერი დაჩუმდა, „გაგაყდა, ახლავე დაეშვება და დაილუპება“; — გაიფიქრა მათემ და ცალ მუხლზე წამოიდგა.

ცის ტატნობზე მთვარე ამოვიდა. გარეშემო კედევ მეტად გაირინდა და გაცივდა. მხოლოდ ორი ადამიანის ზენეშასუნთქვა ისმოდა ყინულეთში. ცალმუხლზე დაყრდნობილი მათე ახლა ისე იყურებოდა ზევით, თითქოს თოფს უმიზნებდა ძმას. მისი თვალები ველური კაცის თვალებივით ელავდნენ, სახე სიბნელეშიც მოღრეცილი ჩანდა.

— ასტამურ, ჰა, ასტამურ! — გასძახა ისევ უფროსმა სივრცეს. მის ხმას ახლა სიმტკიცე და ნება დაეტყო. ეტყობოდა, უმცროსმა ვერ იცნო მათეს ხმა, ისე უცებ და გაკვირვებით ჩამოსძახა.

— რა გინდა, კაცო!

— რაღაცა უნდა გითხრა.

— რას მეტყვი?! — კიდევ უფრო გაიკვირვა ასტამურმა.

— ვიცი, შენი წუთები დათვლილია.

— მეც ვიცი, — თითქოს უღარდელი ხმა მოისმა ზემოდან.

— ჰოდა, ჩემი გაიგონე.

— მესმის, ძმაო, — ახლა ასტამურის ხმას ნაღველი დაეტყო.

— ძმა კი არა, ჩემი მტერი ხარ?

— ჰა?!

— მტერი ხარ-მეთქი, მოსისხლე მტერი.

— მათე, რა სთქვი?!



— ამქვეყნად მე და შენ ერთად არ გვედგომებოდა.

ყინულის ჩხრიალი გაისმა. მათე მიხვდა, ასტამური თითებით მაგრად ჩაებლაუქა ყინულის კლდეს.

„მით უკეთესი“, — გაიფიქრა მან და ხმაში ფოლადი ჩაისხა.

— ასტამურ-მეთქი, კარგად გამიგონე, სანამ შუქშიარას ჩემი თვალები დაინახავდა, შენი ძმა ვიყავ.

ზევიდან უფრო ხმაძლიერი ქშენა მოისმა.

— გესმის, თუ არა! — დაიგრგვინა მათემ.

— თქვი!

— იცი, ქალს რატომ არ ვირთავდი?!

— თქვი-მეთქი?

— შენი ცოლი მიყვარდა!

— არა, ტყუილია! ვაი ჩემს დღეს, მათე შეიშალა, ღმერთო მიშველე, — აბლაღდა ასტამური.

მათე ცოტა ხნით გაირინდა. მისი თვალები ახლა მართლაც ნადირის თვალებით ელავდა ამ თეთრს და ჩაბნელებულ სამყაროში.

— ეს ტყუილი არ არის, მართალია. მათეს ხმამ ისევ შეაზანზარა ყინულეთი.

— რას ამბობ, მათე, რას!

— სიმართლეს ვამბობ. მე შენი ცოლი მიყვარდა.

— „გაგიყდა, ნამდვილად გაგიყდა!“ ისევ თავისთვის ჩაიხშიანა ასტამურმა.

— მე კი არა, შენ იყავი გიყი, შუქშიარა შემოყვარდა, შენ კი ვერ მიხვდი, მორჩა და გაათავდა.

— ამას რას მოვესწარი?!

— გათავდა, დღეიდან ველარაფერს შეესწრები.

— რა სთქვი?

— გათავდა-მეთქი შენი დღეები.

— როგორ თუ გათავდა?!

— ამაღამ შენ უცილოდ დაიღუპები.

— ჰა!

— დაიღუპები, შენ გარშემო უფსკრული იზრდება.

— მერე! — ახლა სხვანაირი შხამი ჩაეწვეთა ასტამურს ხმაში.

— შენ ერთ მტკაველ ყინულზე დგა-

ხარ, უფსკრულიდან სიკვდილი გარწვდის ხელს.

არქონულნი

— შენ რა ეშმაკი გახარებხარ!

— შუქშიარა დამჩნება, ასტამურ.

— რას ამბობ, წყეულო!

— მიხარია, როგორც იქნა, გზიდან ჩამოგიცილე, შენი ქონებაც მე დამჩნება, შენ ხომ ჩემი მენახევერე ხარ.

„ნამდვილად შეიშალა“, — ისევ დაეკვდა უმცროსი ძმა.

— არ გჯერა?! — შეეკითხა ახლა უფროსი.

— გაჩუმდი, შეშლილო გველო!

— არ გავჩუმდები, შენ გარშემო ყინულეთის ქვესკნელია, ასტამურ, შენ კი დაუოკებელი კაცი ხარ. ერთ ადგილს, ვიცი, ვერ გაძლებ. გაინძრევი და დაიღუპები.

— ასე ფიქრობ?!

— კი არ ვფიქრობ, მჯერა. შუქშიარა მე დამჩნება. ისე კი ვერ მოგკლავდა, ძმა იყავი, ქვეყანა დამცინებდა. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესროდა ახლა მათე ასტამურს.

— ვაი ჩემს დღეს. ძმა კი არა, გველი მყოლია სახლში.

— ჩქარა, ნუ აყოვნებ, ცოტა გაინძერ, რომ უფსკრულში გადაიჩნებო.

— მაშ ჩემი სიკვდილი გინდა?!

— შინდა და ასეც მოხდება.

— ასე ფიქრობ?

— გაინძერ-მეთქი, — შებლაღვა მათემ.

— არა, რაკი ასე გინდა, შეიძლება სხვა რამ ვიღონო. — მოისმა გესლიანი ხმა. ორივენი წუთით დაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ყინულზე თოფის დუგლუმის დარტყმის ხმა მოესმა მათეს. „ალბათ მუხლის ჩასადგამ ორმოს იღრპავებს“, — გაიფიქრა მან და ცას გახვდა. ზევით ვარსკვლავები თანდათან ფერს კარგავდნენ. აღმოსავლეთით გუმბათი მეთეთრებული ჩანდა. ნისლში გახვეული ყინული კი ისევ ჩუმად და გარინდებით სუნთქავდა.

„მაღე გათენდება და შეიძლება მე-შველოს“, — ისევ გაიფიქრა მათემ.

დედის სიზმარი

შამფრიანის ქალი დაჯილი სვანეთიდან მოიყვანა მათეს და ასტამურის მამამ. აფხაზმა მონადირემ ღამე გაათია სვანეთში, მონადირისავე ოჯახში და მის ქალიშვილს თვალი დაადგა.

სვანეთიდან ქალის წამოყვანა არც -სე ადვილი საქმე იყო, მით უმეტეს, ლამაზი ქალისა. დაჯილის დღეობაზე გამოსვლა კი სვან ვაჟკაცებს ნათელს უმატებდა თვალბში.

საკრავზე დაამღერებდა დაჯილი და მის ხმას და სიმების კენესას თითქოს ერთი სიტკბო დაჰყოლოდა ადამიანების საამებლად. იცეკვებდა და... სვანი ვაჟკაცები გრძნობდნენ მისი ტანის რხევას, მათი გულის ძგერას ისე აჩქარებდა და ანელებდა, როგორც მოესურვებოდა. მისი დალაღები ნადირობის ღმერთ ქალს შეშურდებოდა, სწორედ ამიტომ იყო ძნელი დაჯილის სვანეთიდან მოყვანა. აფხაზმა მონადირემ თვალი მოაეღო ქალს თუ არა, დაიფიცა:

— ჩემი ცოლი მარტო შენ იქნები ამქვეყნადო.

ფიცი ფიცად დარჩებოდა, სვან მამაკაცებს რომ გაეგოთ მისი ფიქრი.

ვერც ის გაიხსენეს სვანმა ახალგაზრდებმა, გული რომ თვალის სასინათლესთან აქვს ქალს შეერთებული.

შეხედა თუ არა დაჯილმა აფხაზ მონადირეს, გულმა უთხრა: აი შენი ბედი და იღბალიო.

არც შეიძლებოდა, ქალწულს თემპვა არ მოსწონებოდა. მის მზით გარუჯულ სახეზე გრძელწამწამიანი შავი თვალეები იმდენ ცეცხლს აფრქვევდნენ, რომ დაჯილს ეგონა, სვანეთის ყინულის წვერებიც კი დადნებოდა მისი სითბოთი. ოდნავ კეზიანი ცხვირის ქვემოთ უღეაშის შავი ზოლი ბიზინებდა. სწორი ნიკაბი და ფართო შუბლი მეტად ვაჟკაცურ იერს აძლევდა მის სახეს. კოსტად შეკობილ თეთრი ბაშლიაყის ქვემოთ შავი თმის ერთი კონა თითქოს ნიავსაგრილებლად ჰქონდა გადმოშლილი. ნაცრისფერი შალის ჩოხა ტანზე ისე დასდგომოდა, გვეგონებოდათ, ისიც მასთან ერთად და-

ბადებულები დედის სიზმრად! მის ბეჭებს ვაჟკაცის მკლავი ვერ შემოსწვდებოდა, წელს კი მუჭშიაო მოიქცეოდა ქალწულის ხელი. შავი ყაითნით პირმოქობილი პაიჭები ეცვა. ამოკობილი ქალამანი თეთრი თასმით ჰქონდა ამოკრული.

ვარსკვლავებივით ციმციმა თვალეები შეანათა თემპვას დაჯილმა. ეფხვივით ჩამოხედა ზევიდან ქალწულს მონადირემ. ორივენი მიხედნენ ერთიმეორას გულისნადებს და ორივეს ერთი აზრი გაუჩნდა ფიქრად.

მხოლოდ სახლიდან გაპარვით შეიძლებოდა მათი დაქორწინება.

ორი კვირა იარა მთებზე თემპვამ ეითომდა სანადიროდ. ამ ხნის მანძილზე ხუთჯერ ღამე საპატარძლოს ქონგურმალ კოშკიან ქვიტყირის სახლში გაათენა და მეექვსე ღამეს სვანების ნამალევად დაჯილ-ქალი აფხაზეთისაკენ გაიტაცა. ვანრისხებულ შამფრიანები მუქათ კლდეებს სტებდნენ. ორი წელი უვლიდნენ სიძის კარ-მიდამოს გარშემო სამტროდ, მაგრამ დაჯილმა მამა-მამას შეუთვალა, თემპვას რომ ერთი თმაც ჩამოვარდეს, მეც თავს მოვიკლავო.

ძალზე უყვარდათ ოჯახში დაჯილი. იგრძნეს შამფრიანებმა, მათ ქალიშვილს სვანი ქალის ჩვეული სიყვარულით შეპყვარებოდა აფხაზი მონადირე.

აბა სვან ქალს ვინ ამოუგდებდა გულიდან ქმრის სიყვარულს?! სიკვდილის მომტან მტრობას, მშვიდობიანი სიყვარული არჩიეს გონიერმა შამფრიანებმა.

ერთ დღიას დაჯილის მამა ქალიშვილის ქიშკარს მიადგა. თავდახრილი სიძე სახლის ზღურბლზე ზრდილად შემოეგება სიმამრს. დაჯილი აკვანში ჩაყრულ მოღულუნე მათე-ბიკს ურწევდა. შვილიშვილი გადებულ კარებში შემოსულ მზის სხივსა და პაპას ღიმილით შესცივინებდა. ყველა წყენა ერთად დააფიქცა და დაჯილის მამას.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ შამფრიანები გულდაგულ უვლიდნენ სიძის ეზო-

გარემოს. რათა ვისმეს შიგ სამტრო თვალით არ გადაეხედა.

ადამიანის ბელიც ვარსკვლავებით მოქედილ მოკამყამე ცასა ჰგავს. ერთი წამი და ყველაზე დიდი ვარსკვლავი მოსწყდება ამ კრიალა ზეცას, სივრცეში გაიფრქვება და მის კელსაც მერმე ვერაინ ნახავს. ასე დაემართა დაჯილის ბედსაც. ორი ჩვილი ბიჭის პატრონ ქალს თემჰვა უცაბედად დაეკარგა. დარჩა ახალგაზრდა ქერივი და წყვილად გასაზრდელი მემკვიდრეები.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ძმის-შვილი ივაკი შამფრიანი თვალსა და მკლავს არ აცილებდა ადრე დაქვრივებულ მამიდას. ბიჭები მომწიფდნენ და დაეკაცოდნენ, განთქმული მონადირენი დადგნენ. ბედნიერი დედა ახლა ყოველთვის გულისთანაყალით ელოდა თავისი ვაჟკაცების სანადიროდან დაბრუნებას.

ჯიხვის ზორცი სევან ქალს სასოებას ჰგვრიდა.

— იმას სხვა გემო აქვს, შინ გაზრდილი ოთხფეხი, აბა, რა საქმელიაო? — იტყოდა დაჯრილი.

იყოდნენ დედის მორჩილად გაზრდილმა შვილებმა მისი ხასიათი და ოჯახში მარიდდაყრილი და კვამლში გამოშრალი ჯიხვის ბეჭები გამოუღვევლად ინახებოდა.

შვილებს რომ არ მოეტანათ, ივაკი შამფრიანი დაჯილ-მამიდას ჯიხვის ზორცს შამოაკლებდა?

ორივე თვალს ერჩია თანშეზრდილი მამიდაშვილები ივაკის. მათე და ასტამური რომ ცხენებს მოასხდებოდნენ და ივაკი შუაში ჩაუდგებოდათ, დაჯილ-დედას და მამიდას განა მზე მათი ბეჭების რხევით არ ათბობდა და აცოცხლებდა ქვეყანას?

სევანმა კაცმა თავგადადებული და ულაატო ნათესაობა იცის. ძმები რომ ჰყოლოდა, ივაკის უფრო მეტად არ ეყვარებოდა, ვინემ მათე და ასტამური.

მართალია, აფხაზი მამიდაშვილებივით სხარტი და ლამაზი არ იყო ივაკი, მაგრამ მისი ბეჭების ჩრდილში ზუთი კაცი მოიგრილებდა. სამწყვრთიანი სატევარი მო-

უშორებლად თან ეყიდა. ატოტებულ დათვის შუაზე კვეთდა ერთი მოქნივით, მისგან ნასროლი ტყვია უცოდლოდ ჩვედა ბოდა მიხანში. ამ ვეება ვაჟკაცს საკვრეველი ჩვილი გული ჰქონდა. სხვას რომ მწუხარე ცრემლს შენიშნავდა, თვითონაც ატირდებოდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ასტამური ათი წლისაც არ იყო და ივაკი ახლად აბიბინებულ ულვაშზე უყვე ჩუმჩუმად ისევამდა ნახევარ ადლიან თითებს, მათე და შამფრიანი ქალებში სამწყვროდ ჩავიდნენ. შემოდგომა იყო და მწყვარი ღამით ზღვის კიდეს ასდევნებოდა. ელვა სამართებელივით გაკრავდა ღრუბლებით ამღვრეულ ზეცას. ასეთ ამინდში ღამით მწყვრაობა დოვლათიანია. პატარა ასტამური დედას გამოპპარვია და აღვენებულს შორიახლო თვალთვლით უვლია. ივაკიმ და მათემ მწყვრებით ჩოხის კალთები გაივსეს თურმე, და როცა სახლისკენ პირი ქნეს, ბუჩქებიდან ბავშვის ტირილი შემოესმათ.

ახლოს მივიდნენ, ხედავენ, ასტამური ტირის. გაოცებული ძმა და ბიძაშვილი ეფერებიან ბავშვს. ის კი არაფერს ამბობს.

— თქვი, ბიჭო, შეგეშინდა? — ეხეწება მათე ძმას.

— ჰოი, ჰოი, ჰოი, — ტირის ბიჭი და სიტყვას არ ამბობს. ივაკიმ ბავშვი ხელში აიყვანა. შინისაკენ გასწიეს. ბავშვს ვერაფერი ვერ მოუხერხეს, ვერ გააჩუქეს.

უცებ ივაკიმ ჩოხის კალთაზე ხელი მოიხვედრა და მისმა სისველემ შეაცბო. დანამულ თითებს დაყნოსა. სისხლის სუნი ეცა.

— მათე, ასტამურს სისხლი მოსდის მგონი!

— რაო? — გოცდა ძმა.

— თქვი, გენაცვალე, რა გტკივა? — ისევ შეეხვეწა ივაკი მამიდაშვილს.

ასტამურმა ბლავილს უფრო უმატა, სიტყვა კი მაინც ვერ წამოაცდენინეს.

მოსახლისას შეუხვიეს და გულზე შემოეყარათ: ბიჭს მართლაც სისხლი სდიოდა.

თხელ წულამესტში დიდი წითელი

ეკალი შესობოდა. ჰრილობა არც ისე პატარა იყო.

ახლა ივაკის შესკდა ცრემლი. არავინ იცის, ბავშვის ჰრილობამ თუ მისმა ამტანობამ და სიტყვის უთქმელობამ აატირა ბიჭაშვილი. ეკალი ამოუღეს, ფეხი შეუხვიეს. ასტამური დაშოშმინდა, ივაკის კი დიდხანს სდიოდა ცრემლი.

ასეთი კაცი იყო ივაკი შამფრიაანი, ასეთი ბიჭაშვილი ჰყავდათ მათეს და ასტამურს. მათი ჰირი ჰირად მიაჩნდა სვან ვაჟაკს, ლხინი კი — ლხინად.

იმ დამესაც, როცა ძმებს ფათერაკი შეემთხვათ, თითქოს უბედურება იგრძნოთ, ივაკი სახლში ვერ გაჩერდა, ცხენი შეკაზმა და მამიდასკენ გამოსწია.

დიდხანს არ დასძინებია იმ ღამით დაჯიღს. ავს რამეს გრძნობდა დედის გული. როცა თვალი მილულა, ცუდი სიზმარი ნახა დაჯიღმა. თითქოს ფრფები გამოსხმონდა ორი შვილის დედას, კავკასიონის თეთრ მწვერვალებიან კალთებს შუა დაფრინავდა. ხედავს, ბილიკზე მისი ქმარი თემშვა მოაბიჯებს, წყვილი ნანადირევი ჯიხვი გაედო ბეჭზე. მებებარქები ყინულზე ფართო კვალს ტოვებდა. ნაკვალევში, როგორც წისქვილის ღარში წყალი ისე მოჩქრილებდა: სახლისკენ როდი მიდიოდა თემშვა, აღმა, მწვერვალებისკენ მიჰყვებოდა ბილიკს.

— სად მიგაქვს ნანადირევი, კაციო! — შეეკითხა დაჯიღი ქმარს.

— ბიჭებთან. — უპასუხა მონადირემ.

— ბიჭებს რად უნდათ შენი ნანადირევი, თავისი თავსაყრელად აქეთ.

— შენ ისე გგონია, — ჯავრით თქვა თემშვამ.

— წუხელ წავიდნენ, თვალო, სანადიროდ.

— ჰოდა, ხორცი ენატრებათ ჩემს შვილებს.

— ნამცხვრებიც ბევრი გავატანე დედამ.

— უკან დაბრუნდი, ქალო, — გაუჯავრდა ქმარი. — სახლს მიხედე. პატარას არადგერი მოეწიოს.

თემშვა ნელა აჰყავა ყინულის წვერებზე შევეულად დაკიდებულ ბილიკს. და-

ჯილიც ფრენით გამოედევნა ქმარს.

უცებ დედას თვალი მისწრა სახლბიობამ. მაღალი მწვერვალის ყინულუმს ცეცხლი ბრიალით მოსდებოდათ. ისინი, თითქოს ზეთი გადაესხა ვინმეს, კვამლში და მოგზიგვიზე აღში იყვნენ გახვეულნი.

— სად არიან ჩემი შვილები?! — დაიკვილა დედამ.

— რად გამოუშვი ისინი სახლიდან? — ახლა მამამაც დაიბღავლა. აღადქვეულ ყინულწვერებზეა ცეცხლი და კვამლი ცას შესტოტებოდა, გუმბათი გავარვარებულ თონესავით ჩინჩხლებს ისრადა. ვეება ყინულები სკდებოდა მწვერვალუმს, ყინულები კი არა, ნაკვერცხლის უზარმაზარი კლდეები, და უფსკრულუმში აღმოდებული გარბოდნენ. დაჯიღმა თვალი მოჰკრა მათეს და ასტამურს, ორივენი წრიახებზე თოკებით ეკიდნენ, ერთი ერთ მწვერვალზე და მეორე — მეორე მწვერვალზე.

არა, ეს მისი შვილები არ იყვნენ. არც ერთს სხეული აღარ ჰქონდა. არც მხრები, არც თავი, არც გულ-მკერდი და ხელ-ფეხი, მხოლოდ გულები, მფეთქავი გულები დარჩენოდათ. გულის ბეჭებზე არწივის ფრთები გამოსხმოდით და ისე ბოინობდნენ ავიზიგებული უფსკრულის თავზე.

— ვაი თქვენს დედას, შვილო. — დაიკვნესა დედამ.

— ვაი ჩემს ვაჩენას, — დაიბღავლა მამამ.

— რა დაგმართით, მათე?! — მიაფათქუნდა დედა უფროს შვილს.

— ასტამურს ჰკითხე, დედი! — ჩაიბუზღუნა მათემ.

— რა მოხდა, ბიჭო! — ახლა ასტამურს მიაფრინდა დაჯიღი.

— ოჯახი შეგვირცხვინა მათემ! — დაიყვილა ასტამურის გულმა.

— რა სთქვი, შვილო! — დაიბუზუნა ახლა შუბლშევერით მამამ.

— შენმა უფროსმა შვილმა გვარი შეირცხვინა, მთელ აფხაზეთს შუბლი გაუტალახიანა.



— სტყუი, ეს არ მოხდებოდა! — გაუწყრა თემკვა ასტამურს.

— შემცდარი ხარ, შეილო, — ჩაიქვი-თინა დედამ.

— არ დაუჯეროთ, მამა! — სასოწარ-კვეთით დაიბლაგლა მათემ. ეს ხმა ისე ძლიერი იყო, რომ მთელი ყინულეთი მოსკდა მწვერვალებს და ხანძრის ბუდე-წყაროებს გადაეფარა. ნელ-ნელა დაიწმინდა კვამლი, ცეცხლი ჩაქრა და გამოიღარა. ისევ გათეთრდა ყინულწვერე-ბი, ისევ ამრიალდა ქვემოთ ტყეები. ცი-სა და მიწის შუა ფირუზისფერი ჰაე-რით გაივსო სივრცე, შზის სხივებმა ლიე-ლივი დაიწყეს, წყაროები ჩქრილით და-ეშენენ დაბლა. დაწყნარდა და ვაცო-ცხლდა მთელი ქვეყანა.

— აი, დედიკო, შეხედე, — ისევ გა-ნაგრძო მათემ, — ასტამურის ნათქვამი ჯოჯოხეთის ცეცხლს იწვევს ამქვეყნად. ჩემი კი — სიმშვიდეს, შზისა და მიწის ბედნიერებას. მე, მართალი ვარ, დედი, მართალი!

აღმოსავლეთიდან წაივსო დაბერა, კრი-ალა ლურჯ სივრცეში ზევით და ზევით ამაღლდნენ არწივისფრთიანი მობრი-ნე გულები. თანდათან ნათლად გამოჩნ-და მათი სახეები.

მათე ღიმილით შეჰყურებდა მშობ-ლებს. მხოლოდ ასტამურის სახეს ეფა-რა თალხი. იგი თვალების ბრიალით შე-სჩერებოდა ქვეყანას.

— ვაი, მე უბედურსო! — მოესმა და-ჯილს უმცროსი შეილის ამოკენესა.



შეე კარგა მალა იყო, როცა შექზაი-რა კიშკართან შეეგება ივაკის.

— აბა, ბიჭი მომაწოდე, რძალო, — გაუწოდა ხელები ბავშვს და გულზე მი-იკრა. არც პატარამ იუცხოვა ივაკი, იგი ღიმილით მიეყრდნო შამფრიანის ვეება მკერდს და მამის უღვაშზე მიჩვეული ხელი მას წაუპოტინა.

— უღვაში არ შემირცხვინო! — გაე-ლიმა ივაკის, ფრთხილად მოაშორა ბავ-შვის ჩვილი თითები უღვაშებს, ცალ

ხელში აიყვანა და შზისკენ ისე გასწიდა და გახედა, თითქოს კვერცხს ~~დასწიდა~~ დასწიდა.

— აი, რა ბიჭი გამხდარა! — რძალო, ეს ჩემი ძმისშვილი?! შზის ჩამონაპოზივით, სხივიანი კაცი დადგება. ხომ ხედავ, ულ-ვაშისკენ მიურბის ხელი მალე დედაქე-ცებულს ვნახავთ.

— ასტამურმა მიაჩვია ამ სიცელ-ქეს, — გაიმართლა თავი შექზიარამ.

— მამიდაჩემი სად არის, შექზიარავ!

— სასიმიინდეში შევიდა — საკენქის-თვის.

— მათე და ასტამურიც არ უნდა იყ-ვენენ სახლში?! — სიფრთხილით იკითხა ივაკიმ და რძალს დააცქერდა.

— ჯიხვებზე სანადიროდ წავიდნენ, ივაკი ბატონო!

შამფრიანს არ მოეწონა ნათქვამი, მა-გრამ არ შეიმჩნია.

— რა უკირთ მერმე, შე ქალო! თით-ქოს თავი დაიიშედა, ისე ჩაილულულა შამფრიანმა.

— ივაკი, ხომ მშვიდობაა. — მოისმა დაჯილის ხმა და კალთაში საკენქიყარი-ლი ქალი სასიმიინდიდან სირბილით წა-მოვიდა.

— მშვიდობა ნუ მოგვეშალოს, მამი-და, ცუდი ამბავი როდი მომიტანია, ახ-ლა რომ დავიბედო.

— შე კი მუხლი მომკვეთა, ცუდი სი-ზმარი ვნახე, ბიჭო! იმ შენს მამიდაშვი-ლებს არაფერი გაუჭირდება ნეტავ. — ეს ისე წყნარად თქვა დაჯილმა, თითქოს კბილებს აჭერდა ერთიმეორეს, ბევრი არაფერი წამომცდესო.

— ცუდი სიზმარი ნახე, დედი?! — შეშფოთდა შექზიარა, — ბავშვსაც მთე-ლი ღამე არ სძინებია, ბორბავდა და ტი-როდა.

— სიზმარს რა შეუძლია, შეილო, — გული დაუბამა რძალს დაჯილმა, — უბე-ღურების ცხადში უნდა გეშინოდეს.

— მითხარი, ბიჭო! — მიუბრუნდა ძმის-შვილს დაჯილი, — შენ რამ ჩამოგიყვანა სვანეთიდან, სხეულმა ხომ არ გიგრძნო რამე ფათერაკი?!

ივაკის ტანში ვაცკრა. მამიდას მიხვე-ღრილობამ ნაპერწკლები დაუნთო ძარ-

ღვებში, ცოტა დააკლდა და კინალამ წამოსცდა მოსვლის მიზეზი. მაინც თავი შეიმაგრა, მამიდას თვალელებში შეხედა და წყნარად თქვა:

— მამიდა, უბედურება ჩვენს მტერს მისვლოდეს ოჯახში, ჩვენთან მას მკლავიც არ მიუწვდება.

ჭიშკართან ქათმები დაფეთდნენ და ქოთქოთით აქეთ-იქეთ გაიფანტნენ. ყველამ იქით მიიხედა.

— რა ტურა მოვლანდათ?! — იკითხა ივაკიმ და იქეთ გაიწია. გაიწია და უკან მოაწყდა ისევ. ჭიშკარის ქვეშ ვეფხოს გასისხლიანებული თავი მოჩანდა. სოველ ბალანზე აქა-იქ ყინულის ჯერ კიდევ გაუმდნარი ნატეხები მიჰკროდა. უკანა ფეხებზე ვერ დგებოდა, სიცოცხლე მხოლოდ თვალელებში ეტყობოდა.

ივაკის ფერი ეცვალა.

„მამიდაჩემმა არ შეხედოს ამ ძალს, თორემ დავიღუბე“, — გაიფიქრა მან და ისე შემობრუნდა, თითქოს არაფერიც არ დაენახოს.

— არაფერია, დღეს სულ მოჩვენების ხასიათზე ხართ. სახლში შემოყვანეთ, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინათ?!

— მოდი, შენი ჭირიმე, მოდი, მამიდა გენაცვალოს, დაფეთდა ივაკის ნათქვამით დაჯილი.

შუქზიარა ბავშვით ხელში შებრუნდა სახლისაკენ. ივაკიმ ნელა მიაცილა რძალ-ღედამთილი და სახლში შესვლისთანავე კარი უკან ისე მიიხურა, თითქოს ეშინოდა, უკან არავინ გამოექცესო. ცოტა ხნის შემდეგ ივაკი შამფრიანი ისევ ეზოში გამოვიდა. მან დაკვირვებით მიხედ-მოიხედა და, რაკი შენიშნა, არავინ უცქერდა, ჭიშკართან მივიარდა.

ძალი ისევ ჭიშკარის ძელის ქვეშ იწვა. იგი აღამიანივით კვნესოდა და ჭმენდა: სველი ტანიდან ოხმივარი ასდიოდა. მუცლის ქვეშ ბალნებიდან წყალი მოწურწურებდა. ივაკიმ ვეფხოს თავზე ფრთხილად მოკიდა ხელი და თვალელებში ჩახედა. ძალმა უღიმღამოდ ამოხედა ქვემოდან.

„ფერდები ჩამტვრეული აქვს, უკანა ფეხებიც მოტეხილი უჩანს“, — გაიფიქ-

რა მან და დაასკვნა, — ზევი დასტაკებიან, დაეღუპულვართ, ივაკიმ ვეფხვანა ძალი ხელში და, რძალ-ღედამთილს რომ არ დაენახა, ლობეს გადაეწონა. ივაკიმ ძალი წყნარად დაუშვა მიწაზე.

„თვიის დაგებაა საჭირო, ცოდება“, — ისევ გაიფიქრა მან და ოდნავ შეჩერდა, მერე ხელი ჩაიქნია და ჭიშკარი გამოაღო.

მზე მთავარ კავკასიონს ზემოდან დაპყურებდა, ცაღამალღებული თეთრი მწვერვალების ქვემოთ თეთრი ნისლი ირეოდა და ამიტომ იისფერ სივრცეში აზიდული ყინულმთები ცამდე ასასვლელი კბეებივით მოჩანდა აქედან.

— ნუთუ იქ, ამ ღვთაებათა საბინადროში, ჯოჯოხეთური ამბავი მოხდა?! — ახლად ხმამაღლა წამოიძახა ივაკიმ და ნაბიჯს აუჩქარა.

ღამე კლდოვან ფერდოზე გაათია ივაკი შამფრიანმა და დილით ყინულსამყაროში შეყო თავი. ვეება ვეკაცი მსუბუქად მიიკვლევდა გზას ბილიკებზე.

ბილიკებიც დასრულდა.

— ჰე-ჰე-ჰე-ე-ე! — გასძახებდა დროდადრო გარინდებულ მთებს ივაკი და, რამდენი ხევი და მთაც იყო იმდენჯერ ესმოდა უკან დაბრუნებული საკუთარი ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი გაჩუმდებოდა და საოცარი სიწყნარე გადაუვლიდა ქვეყანას.

ხანდახან, ცის ლურჯ კამარში თეთრი თოვლის ნაზი სინათლეები ალივლივდებოდა. თითქოს ნიავეც ამოვარდაო, ისეთი შრიაციც მოისმოდა, ეს ფრინველები გადაუფრენდნენ უფსკრულებსა და მწვერვალებს ზემოდან. ჰე-ჰე-ე — ისევ გასძახებდა ივაკი. ერთი გაიგრილებდა თეთრ კალთებზე მისი ხმა და ისევ ჩაჩუმდებოდა ყველაფერი, ისევ გაირინდებოდა სამყარო.

„ძალი რომ წამომეყვანა, კარგი იქნებოდა“, — ფიქრობდა ივაკი... აღარ შეეძლო ჩვენს ვეფხოს სიარული, იქნებ ახლა მკვდარიც კია, საწყალი!

თანდათან მაღლა იწევდა შამფრიანი,

თანდათან უახლოვდებოდა ყინულწვერებს.

— შხრრრ, — მოისმა უცებ ყინულთანაფხვენის ხრიალი და სევანმა მონადირემ თვალი ჰკრა დაფეთებულ ჯიხვს. იგი ყინულფლატეს ფრთაშეკეცილი არწივივით გადააფრინდა და კლდის უკან გაუჩინარდა.

ივაკიმ უნებლიეთ გაისვა თოფზე ხელო.

— რა ეშმაკად მინდა, სად ვატრიო, — თავისთვის ჩაილაპარაკა შამფრიანმა და ხელი ჩაიქნია.

ციდან შუადღის მზე აცხუნებდა მწვერვალებს, ყინულის გარეკანზე ცრემლებივით დაიწყო ახლად გამდნარმა წვეთებმა უონვა. ადგილ-ადგილ ჩხრიალით რბოდნენ წვრილი ნაკადულები. დილით სიცივისაგან მოსიპული ყინულის ქერქი ახლა მოლხვა, უფრო ადვილი სასიარულო გახდა. მგზავრი მუხლს უფრო იმაგრებდა.

ივაკი დაყინებით გაჰყურებდა ყინულის პიტალო, შვეულ კედლებს, ათვალერებდა კალთებს, ჩასცქეროდა უფსკრულებს. არსად მამიდაშვილების კვალი არ ჩანდა. დაღლილი და დაქანცული ივაკი კლდის ცხვირზე ჩამოჯდა.

უცებ თვალეში დაკვესა. გაღმა მწვერვალის კალთაზე კაცი დაინახა.

— სოცლები ყოფილან, მაგრამ მეორე რატომ არ ჩანსო? — გაიფიქრა და ჰეჰო გასძახა. მგზავრი შეჩერდა. დიდხანს იფურებოდა აქეთ. ისევ განაგრძო გზა. ივაკიმ ახლა შენიშნა, რომ კაცი რაცრაცით მიჰყვებოდა კლდის პირს.

— ჰე-ჰე-ე! — ისევ გასძახა მან და თან დაუმატა, — ივაკი ვარ, ივაკი შამფრიანი.

უცნობი, თითქოს ტყვია მოხვედროდეს, ისე ჩაიკეცა ადგილზე, ჩაიკეცა და გაიშლართა კიდევ. ივაკის სული შეუგუბდა. მან სწრაფად მოაქლო თვალი გარემოს და უფსკრულისაკენ დაეშვა.

ოდესღაც ზეგად წამოსული ყინული და ხერგი მთებშუა გაჰყვდილიყო, მერმე ისევ თოვლყინული დაჰყროდა და ორ მთაშუა ხიდად გადებულებოდა. ზემოთ ვი-

წრო იყო. საცალფეხო ბილიკივით, ადგილადგილ ადამიანის ტერფივით დაედგებოდა. ქვემოთ კი მუხსსტრუტში მდინარე გარბოდა. მის მშფოთვარე ტალღებს ყინულის გული გამოეღრღნა და ათასნაირი ზღაპრული დარბაზბივით გამოეკვეთა.

— „შეიძლება ფეხქვეშ ჩამექცეს ეს ყინულეთი“, — გაიფიქრა ივაკიმ, მაგრამ შეჩერებით კი არ შეჩერებულა.

იგი სიფრთხილით შეუდგა გასვლას. ხანდახან ვიწრო ყინულის ზურგს ცხენივით გადააჯდებოდა და ისე მიფოფხავდა ხმლის პირივით გაბასრულ ყინულზე, გაღმა კი ის კაცი იწვა და, თითქოს სიკვდილი ჩასდგომოდეს ტანში, არც იმძრეოდა. ორ ადგილას ჩამოტყდა ყინულის კლდე და ჩხრიალით წვიდა ქვემოთ. შამფრიანმა საოცარი სისწრაფით გადაინაცვლა სველ ყინულზე.

„ვაითუ უცხოა, მე კი თავს ვიკლავ, — გაიფიქრა ივაკიმ. — ქართველი კაცი ხომ იქნება, ეტყობა, უჭირს“, — თავი გაიმართლა მან და ისევ გადაცოცება დაიწყო ყინულის ხიდზე.

ვაივავლახით მიალწია გაღმა კალთას, ხევად მომსკდარ ვეება ყინულის გორაკს გვერდი აუარა და მგზავრს თავზე დაადგა. დაჯილის უმცროსი ვაჟი ზურგზე გადავარდნილი ეგდო გულაღმა.

— ასტამურ, შენა ხარ, ბიჭო?! — შეანჯღრია მამიდაშვილი გაოცებულმა ივაკიმ. წაქცეულმა ხმა არ გასცა, ივაკიმ ყაბალახის შემოსხნა დაუწყო. ყველაფერი ტანზე შემოჰყინოდა. გამხმარ ქერის პურის ყუასავით ტყდებოდა ყაბალახის ტოტებიც და ჩოხის კალთებიც.

— მომკვდარა კაცი, — თავისთვის ჩაილაპარაკა ახლა შამფრიანმა, მათარიდან არაყი გადმოსასხა და სახის ზელვას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ ასტამურმა თვალები გაახილა.

— ხმა ამოიღე, ასტამურ! — ჩასძახა შამფრიანმა. ეტყობა, ამ ხმამ უცებ გამოაფხიზლა ასტამური. წამოჯდა, მარჯვენა ხელით გაყინულ კლდეს დაეყრდნო და ივაკის თვალების ბრიალით შეხედა.

— შენ აქ როგორ გაჩნდი?! — გააკვირვა მან.

— მათე სად არის, ბიჭო?! — შეეკითხა ბიძაშვილი.

— ეჰ, — ჩაიქნია ხელი ასტამურმა და თვალმილულული ისევ კლდეზე მიწვა.

— ეძინება, გონზე არ არის, — გაიფიქრა ივაკიმ. მათარა პირთან მიუტანა და არყის რამდენიმე წვეთი ჩაყლაბა.

— კიდევ მოსვი, ბიჭო, კიდევ, ჩვენებური არაყი! — ჩასძახა ისევ მამიდაშვილს.

რამდენიმეჯერ უაზროდ მოსვა ასტამურმა არაყი და ისევ თვალეზი გააღო.

— მათე სად არის-მეთქი, ასტამურ! — უმცროსი მამიდაშვილი ისევ თვალეზის ბრიალით მიაჩერდა ბიძაშვილს.

— არ ვიცი, — წყნარად და გასაჯათებით თქვა მან.

ეს სიტყვები არ მოეწონა შამფრიანს.

— როგორ თუ არ იცი, შენთან არ იყო სანადიროდ წამოსული?!

— არ ვიცი, თავი დამანებე, ივაკიმ! — შამფრიანს პირში ნერწყვი გაუშრა. სიტყვა ველარ დასძრა.

— რას ამბობ, ასტამურ, — ამოიხრიალა ახლა მან. იგი დასწვდა მამიდაშვილს ბეჭებში და წამოაყენა. ალბათ ეგონა, კიდევ გონზე არ არის ასტამურიო, ყურებში ხმამალა ჩააყვირა:

— გაიხსენე, ასტამურ, გაიხსენე, ბიჭო, სად დაშორდი მათეს?!

ასტამური ძალღანაკებნივით შეინძრა, ხელებიდან გაუსხლტა ივაკის, წინ გაიწია და მერმე შემობრუნდა. იგი სულ მთლად ცახცახებდა და კბილი-კბილს აცემინებდა.

— რას ჩამაცივდი, ალბათ შენც იცოდი მისი კაიკაცობა და მიმალავდით, უთუოდ დედამაც იცოდა, ყველამ იცოდა, ვაი, სირცხვილო, ოჯახის შერცხვენაე! — აბლაღდა ასტამური.

ივაკის თვალეზი სავსე მოვარისოდენა გაუხდა.

„ნამდვილად ქუაზე გადამცდარა, დავიღუპეთ“, — გაიფიქრა მან და ასტამურს ბეჭებზე მოხვია ხელი.

— კარგი, ასტამურ, არაფერს არ გვი-

თხავ, შინ წავიდეთ. — მოეფერა ახლა იგი მამიდაშვილს.

აქვითინებული ასტამური ცხვარობით დაემორჩილა ბიძაშვილს. ცახცახით გაპყვა უკან.

ცოტა ხნის შემდეგ ყინულის გორაკებმა იკლო, დაბლა უკვე მოჩანდა ბალახზე მიშვებული ხარ-ძროხა, თხისა და ცხვრის ფარები. ხანდახან ძაღლების ყეფაც ამოდიოდა.

— შენ რატომ მომდევ? — უცებ შემოტრიალდა ასტამური. — შენ იმას მიხედ, იქნებ ცოცხალიც არის!

შამფრიანი შეტორტმანდა, მიხვდა, სინამდვილე თავს იჩენდა.

— მითხარი, ბიჭო, რა უბედურება მჭირს! — შევედრა ივაკი და ისევ თვალეზში ჩააჩერდა.

— გივი გგონივარ ხომ?! უარესი მკუთნის, ვაი ჩემს დედას, რომ შვილის მაგივრად ოჯახის საძირკვლის მკამელი გაუზრდია უბედურს.

— ვისზე ამბობ, ასტამურ?!

— შენს უფროს მამიდაშვილზე, ჩემს გამზრდელ ძმაზე.

მთელი ძალით დაიყვირა ასტამურმა. კისრის ძარღვები დაებერა, თვალეზი ჩაუსისხლიანდა.

— რაო, რა სთქვი?! — უაზროდ დააჩერდა ზემოდან ივაკი.

— რაც გაგონე! შექზიარა შეპყვარებია ჩვენს ძმას!

— გაგივებულხარ, უბედურო, უთუოდ გაგივებულხარ?!

— თვითონ მითხრა, თავისი პირით მითხრა!

— ღმერთო, მიშველე, — ჩაიჩურჩულა ივაკიმ, ხანჯალზე დადებული ხელი აუქანკალდა, შუბლზე ცერის სიმსხო ნაკვები გაუჩნდა.

— ტყუილია. — მტკიცედ თქვა მან. — მოგჩვენებია, ძმის ნაცვლად, ქაჯი დაგლაპარაკებია.

— ქაჯი და ეშმაკი თქვენს თავს, — სასოწარკვეთით წამოიძახა ასტამურმა. სახე თითებში ჩარგო და აბლაღდა. მისმა ტირილმა ივაკი გამოაფხიზლა, სიღინჯე დაუბრუნა. კარგა ხანს უყურა მას და მერმე მკლავზე მოჰკიდა ხელი.

— მათე სად დასტოვე, უბედურო!

— სიჩუმის ხევში.

— იქ ვინ ჩაიყვანდა, ბიჭო?!

— თავისმა სიკვდილმა ჩაიყვანა, თჯახის შერცხვენამ გადაჩეხა.

— ვაი მამიდაჩემის ძუძუს, — წამოიძახა ივაკიმ და თავზე ხელები შემოიკრა. ქვეყდან ძალღების ყეფა მოისმა. მწყემსები მთავე წყალზე დოქებით ამოსულიყვნენ.

ივაკიმ ნელა მიიხედ-მოიხედა, ცოტა ხანს შეჩერდა, რამდენიმეჯერ ისე ამოიხრა, მთებმა გაიმორეს ეს ოხვრა. მერე ასტამურს დაადგა თავზე.

— მწყემსებთან ჩადი, კრინტი არ დასძრა, თუ გკითხონ—ხევით დარჩა-თქო, უთხარი, ხომ გესმის, უბედურო, სიტყვა არ წამოგცდეს.

მეტი არაფერი უთქვამს ივაკის. ყაბაღახი შემოიხვია და აღმართს შეუდგა.

რაცრაცით წავიდა ასტამურიც იალღებისკენ. მწყემსებმა შორიდანვე შენიშნეს მომავალი და წინ შემოეგებნენ.

— რა უბედურება შეგმთხვევია, ასტამურ! — შემოეხვია ყველაზე უხუცესი თემშულ თარკილი.

ასტამური ატირებული თვალებით დააჩერდა დამბდურს, დიდხანს უყურა და, რაღი ხიმურის მამა შეიცნო, გონი დაკარგა, მიწაზე მოწყვეტით დაეცა.

— აბა, საკაცე! სადგომამდე ჩავიტანოთ, — წამოიძახა თემშულმა და ყურების სრესა დაუწყო ასტამურს.



სამი მყინვარწყვირის კალთებქვეშ გართხმულა სიჩუმის ხევი. კავკასიონის დიდი მწყვერვალეები თუ შეირხევა და ბეჭებს გაიფერთხავს, ყინულის ვეება ზვავეებს აგზავნიან აქ. უხსოვარი დროიდან აწეება ერთიმეორეს ეს ყინულები, ერთმანეთს ამსხვრევენ, სწნეხენ და ბოლოს ერთ მთლიან სიპად იქცევიან. ხანდახან ეს ხევი ცივ ჯოჯოხეთსა ჰგავს. გრიალ-გრიალით სკდება ზემოდან დაქანებული ზვაეები, ყველაფერს გლეჯენ და ხვეტავენ. კლდეთა და ყინულთა ქარიშხალი მიწას არყევს და აზანზარებს.

ათიათას მეხად სკდება ერთმანეთთან დაჯახებული ნამსხვრეეები, მწყვერვალე ჩაჩუმდება ხევი, გაიირინდება ჩქმმმმმმმმმ ისმის არსიდან, მხოლოდ გადაფრენილი ჯიხვის ჩლიქიდან მოწყვეტილი თოვლიყინული თუ ჩამოცვივა ათასში ერთხელ. სძინავს უფსკრულს წყნარად.

ივაკი შამფრიანმა ზემოდან დახედა ამ ყინულეთს. ყველაფერი ხელსგულივით მოჩანდა. კლდისა და ყინულის ახალი ნამსხვრეეები აქა-იქ გაბნეულიყო. შამფრიანის გამოცდილმა თვალმა მათეს ცალი პაიჭი შენიშნა უფსკრულის გასარკულ ზედაპირზე, კაცი კი არსად ჩანდა. დიდხანს ათვალიერა ივაკიმ ხევი, დიდხანს იფორთხა და მათეს თვალი მანც ვერსად ვერ მოჰკიდა. ახლა მეორე კალთაზე გადავიდა სევანი მონადირე და იქედან ჩახედა უფსკრულს, არც იქიდან მოჩანდა ვინმე.

„პაიჭი აქ არის“, — ფიქრობდა იგი, მამასადამე, მათეც აქვე უნდა იყოს.

იგი შეჩერდა და კლდის კალთებს ააყოლა თვალი. გაღმა კალთის ფრიალოზე, წელან რომ იდგა, სწორედ იმ კლდის ცხვირის ქვევით, შავი რაღაც მოჩანდა. თანდათან დაუკვირდა, ნაბდის კალთის ყური შეიცნო. ისევ მეორე კალთის ხევით მოექცა ივაკი. ჩახედა და გული შეუქანდა. კლდის ცხვირზე თოვლში ჩაბუგული კაცი იწვა. კლდის ფხაზე ბაწარი დაამაგრა და ფრიალოზე დაიწყო ჩაცაცება. გადაჩეხილ მათეს ზემოდან ფიფქი თოვლი დაჰყროდა, ივაკიმ თოვლი ფრთხილად გადააფერთხა და გულმა რეჩხი უყო. ნაბადი მთელ ტანზე შემოხვეული შერჩენოდა მამიდაშვილს.

„ცოცხალი იქნება, ნაბადი და თოვლი სითბოს შეუნახავდა“, ელვასავით გაჰკრა ფიქრმა შამფრიანს, ხანჯალი გაიძრო და ტუჩებთან მიუტანა.

ხანჯლის პირი ოდნავ შეიორთქლა.

— ცოცხალია, ღმერთო, მიშველე, — წამოიძახა მან და მათარა მოიხსნა. ჯერ სახე დაუხილა, მერმე საკინძე გაუხსნა და გულმკერდი დაუხრისა.

მათემ ამოიკვნესა.

— თვალი გაახილე, ძმაო, შენი კირი-

მე, გამოფხიზლდი, — ეფერებოდა ივანე გაციუნულს.

ვაივავლახით გახსნა წამწამები მათემ და ივანის შეხედა.

— შენა ხარ, ივანე! — გაიღიმა მათემ.

— მე ვარ, ჩემო მათე! აბა ეს მოსვი, პო, კიდევ მოსვი, ძმაო. ძალას შეგმატებს.

ცოტა ხნის შემდეგ მათე ნელა წამოდგა.

— დალაპარაკებაც არ მაცალა იმ სულელმა, ისე მკრა ხელი და გადამჩეხა. — ეს იყო მათეს პირველი სიტყვა, რომელიც ბავშვის პირველ ლულულს უფრო ჰგავდა, ვინემ ვაჟიკაცის ნათქვამს.

— ვინ გადაგჩეხა?! — გაოცდა ივანე.

— ასტამურმა!

— რა სთქვი?!

— რაც გაიგონე, ივანე, ასტამურმა გადამჩეხა.

— თქვენ ორივენი გაგიცებულხართ, — არ დაიჯერა ივანემ.

მათემ წამოდგომა დააპირა, მაგრამ მტკივანი ფეხი არ დაემორჩილა.

— აი, ეს ფეხი რომ არ მტკენოდა, იმ სიტყვასაც არ ვიტყოდი. მე ზევით ვერ აველი, ის კი სიბნელეში იღუპებოდა. სხვა გზა არ მქონდა.

ივანის ვერაფერი გაეგო. იგი გაშტერებული მისჩერებოდა მათეს.

— კარგი, ჯერ სამშვიდობოს გავიდეთ. — ივანე ბაწარს დაეკიდა და ჯერ თვითონ აპყვა კლდის კალთას ზემოთ. მერმე მათეს ჩამოუგდო მისი ერთი წერი. მათემ ბაწარის ბოლო წელზე და ბეჭზე შემოიხვია, მაგრამ კლდეზე ასვლის დროს საშინელი სისუსტე იგრძნო. ფეხის სიძსივნე ახლა ისე არ აწუხებდა, ღონე ვერ მოეკრიბა მხოლოდ.

„მთელი დამე სიცხეს დაეუბუგავარ, ალბათ ამან გადამარჩინა კიდე“, — გაიფიქრა მათემ.

— რას შერები, იჩქარე, კაცო, — ჩამოსძახა ზემოდან შამფრიანმა.

— სისუსტემ დამიარა, ცოტა ხანს მაცალე.

ივანემ ფეხი გადაგა.

— აბა, შენ მხოლოდ ნელა იმოძრავე,

მე ბაწარს დავეჩაჩავ, — ჩასძახა მათეს და ბაწარის მოზიდვა დაეწყო ნელა. მათეს ამოსვლისთანავე გულში შეტე-
ლონდა.

არყის წვეთებმა თავისი გაიტანეს და ცოტა ხნის შემდეგ მათეს ხელმეორედ ჩაუდგა ტანში ძალ-ღონე. ივანე პირმოკუმული და შუბლშეკრული მიჰყვებოდა მამიდაშვილს.

როცა მკავე წყლებთან შეისვენეს, მამინ ამოიღო ხმა შამფრიანმა.

— ახლა მიახმე, რა გპირთ, ბიჭო! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ივანემ. ივანე შამფრიანი, ხანჯალზე ხელდადებული და სახეგაფითრებული მისჩერებოდა მათეს.

— დიდი ცოდვა ჩაგიდენია, მათე. — გაგუღული ხმით წარმოთქვა მან.

— სხვა გზა არ იყო, ძმა უნდა გადამერჩინა, ივანე!

— სტყუი, — დაიბუხუნა ახლა შამფრიანმა. — ერთი სიკვდილი თუ მეორეს შეუნაცვლე, ეს განა სიკეთედ მიგაჩნია?!

— რას ამბობ, ივანე?!

— რასაც შენ მაშინ უნდა მიმხვდარიყავი, ჩემო ძმაო! ასტამურს მართალია. შენ გულზე მიტანილი სისიკვდილო დანა ააცალე, სატყვარი კი თვითონვე ჩაქარი უღმერთოდ.

— არა ხარ მართალი, — წამოდგა მათე, — ჩამოვიდა თუ არა, სიტყვა არ დამაცალა. სიცხისგან გათარანებული და ფეხდასიებული კაცი კლდეზე გადამისროლა.

— ძმის მოღალატეს სიკვდილი ეკუთვნის! — თვალი არ გაუმართავს ივანის, ისე მიახალა მათეს ეს სიტყვა.

— მერე მე მოღალატე ვიყავი?!

— შეუჭიარა ხომ შენი და იყო! — გაბრაზდა ახლა შამფრიანი.

— იყო და არის კიდევ.

— კაცის გულში არავინ ზის, მათე, სიტყვამ გულში ჩადებული ფიქრი უნდა გამოთქვას.

— მერე მე...

— შენ კი... სიტყვა გააწყვეტინა შამფრიანმა. — შენ პირველმა ესროლე ტა-

ლახი მამის სახლის საძირკველსა და თავანს.

— შე მისი სიცოცხლე დავიცავი.

— სამაგიეროდ, სამი სიცოცხლე ვასწირე! — თანდათან უღმობელი გახდა ივაკი.

— როგორ?

— როგორ და შენი ნათქვამის შემდეგ არც ძმა ივარგებდა, არც მისი ცოლი და არც შვილი.

— ივაკი, შე ჩემი ძმა გადავარჩინე!

— ცული გზით მოპოვებულ სიცოცხლეს ვაქაჯი კაცი სიკვდილს არჩევს ყოველთვის.

მათეს ტანში შემოენთო. ივარგო აფხაზმა მონადირემ, ივაკი შამფრიანი დიდად წუხდა.

— გესლიანი სიტყვები რომ არ მომფიქრებოდა, ძმა მელუპებოდა შამფრიანი.

— აფხაზ კაცს ღალატს სიკვდილი ურჩევნია, მამიდაშვილო.

— შენ ასე ფიქრობ, ივაკი?

— სიმათლეს გეუბნები, პირველმა შენ გაუბზარე გული ასტამურს.

— რაღა ვქნა შე უბედურმა. — სასოწარკვეთით თქვა მათემ. იგი ნელა ჩამოჯდა წყაროს პირზე და თავი ჩალუნა. საბალახოებს ქვემოთ, ეტყობოდა, ქარი ქროდა. ხეები ირხეოდა და იზნიჭებოდა. ხანდახან ხეებშუა სიცალიერეები ჩნდებოდა. მაშინ მზის სხივები კაშკაშა ფერით გაიღვებდა მათ შორის.

მათე თავაუღებლად იჯდა ერთ ადგილას.

ხვაკის შეეცოდა მამიდაშვილი.

— ასეა, ძმაო, უჩრდილო სიყვარულია გამძლე და ბედნიერი, თორემ ის ოხერი იჭვის ბზარი კაცს კი არა, აი, ამ მოთხსაც გააპობს შუაზე.



თემშულ თარკილმა ასტამური თავის სადგომ ფაცხაში შეიყვანა. გონწასული ახალგაზრდა მონადირე ლოგინში ჩაათბუნეს.

— თბილი რძე ასვით, არაყით დაზილეთ, — ბრძანა თემშულმა.

იატაზე დათვის ტყავები ეფინა. კედლებიც ნადირის ტყავებზე უფრო ფარდაგებული. თემშულმა ჭაღანშეხალი — ხიმური ჯიხვის ტყავით გადაფარებულ ჯირკოზე იჯდა. შეხედვისთანავე იცნო ასტამური ხიმურმა. განთიადის ეამს მზის სხივი რომ ცის ტატნობს ფრთას გაჰკრავს და აღმურს მოუცილებს, ისე მოედო ალი სახეზე ხიმურს. „ალბათ მათეც აქ არის!“ გაიფიქრა მან და ოდნავ შემკრთალი წამოდგა ზევით. იგი ყელმოღერებით, წყნარი და მსუბუქი ნაბიჯებით წამოვიდა კარებისაკენ.

ზღრუბლზე რომ გადააბოჯა, მწყემსებს შეეფეთა. ყველამ მოკრძალებით დაუთმო გზა. თავშეყრილ მწყემსებს შორის ისმოდა:

— რა დაემართა ნეტავი?!

— ზვავმა თუ ჩაიტანა.

— გაყრნულია საწყალი ბიჭი.

— დაღლილი და გატანჯული ჩანს.

ხიმურმა წყნარად მოავლო თვალი ყველას. ჯერ ერთი შეათვალიერა. ერთიდან მეორეზე გადავიდა, მერე მესამე, მეოთხესაც დააკვირდა, მაგრამ ვისაც ეძებდა იგი ვერ დაინახა. ოდნავ შეჩერდა, მერმე თავი დახარა და წყაროს პირისკენ ჩაუხვია.

დიღხანს იჯდა წყაროს პირზე ხიმური, იჯდა და მათეს სახე ელანდებოდა.

— არასდროს მარტო არ წასულა იგი სანადიროდ. წასვლის წინ თვითონ მითხრა, ასტამურიც ჩემთან ერთად მოდისო. რა დაემართა ნეტავი, ნუთუ დამღუპა და გადაიჩინა?! — ქალს თვალბზე ცრემლი მოადგა.

— უშენოდ ერთ წუთსაც ნუ მიცოცხლია. — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ქალმა. მისმა ჩურჩულმა წყაროს პირზე ქაღვლები რგოლებად აამოძრავა. ქალმა თვალი დააშტერა წყაროს ზედაპირს. წყაროში რგოლები საყურეს რკალივით ჩნდებოდა. ნელ-ნელა ფართოვდებოდა და ათრთოლებული იკარგებოდა. უკებ შენიშნა, რომ წყალში დარჩეულ რგოლებშუა მათეს თავი გამოჩნდა: იგი ცხენზე იჯდა, ის თეთრი დარბაისს ყაბალახი ისე შევენოდა, როგორც პირველ ნახვის დღეს.

ამ გახსენებამ თარკილის ქალი ააღელვა. ლიხანში, ზედ თავად შერვაშიძის სასახლის წინ გამოიღო ტრიალ მინდორზე დიდი იყო გამართული. ვინ არ იყო მაშინ იქ: შერვაშიძეთა სასახლეს მარშანების, გარდაცხადების, ჩანჩბების ოჯახები სტუმრებოდნენ. ოქრო-ვერცხლით შემკული ქალ-ვაჟნი ბედაურებს აჯიბრებდნენ ერთმანეთს. ქესკინჯ მარშანიას ნაცრისფერმა კვიცმა გადარია შეკრებილები. იგი გოგმანით იწყებდა სირბილს და თანდათან, ქარიშხლის წინ ამოვარდნილი ნიავევით უმატებდა სვლას.

თავადები სასახლის წინ ფანჩატურს ქვემოთ იდგნენ, გლეხებს კი საყდრის გალავანში აღმართულ კაკლისხის ქვეშ მიეშვათ ცხენები. ვეება მინდორი ხალხით იყო სავსე. მარშანიას კვიცმა მინდვრის ხუთი შემორბენის დროს ყველანი უკან მოიტოვა. ახლა ათი შემორბენისათვის ემზადებოდნენ ბედაურები. ხიმური ხედავდა, მარშანიას ნაცრისფერი ბედაური ადგილზე კი არ ცქმუტავდა სხვა ცხენებით, დინჯად იდგა, მხოლოდ ლავაშს კენეტდა და თვალებს ელმად აბრიალებდა. ხიმურმა ისიც კარგად შენიშნა, ეზოს დიდ კიშკარში როგორ შემოგოგდა ნესტოებდაბერილი ნისლისფერი ბაჩა კვიცი. ერთი შეხედვით გარეულ ღორს უფრო წააგავდა, ვინემ ცხენს. ჯაგარივით სქელი თმა ზღარბივით აბუჩგოდა პატარა და მრგვალ ტანზე. შეხედარმა ეკლესიის გალავნისაკენ მიუშვა კვიცი. უცებ ხიმურს თვალეში ნაპერწკლები გაუჩნდა, ცხენის პატრონს დარაიის თეთრი ყაბალახით ჰქონდა თავი წაყრული, სწორედ ისეთი დარაიით, როგორიც თვითონ ხიმურს ეხურა. ცხენზე თავისუფლად იჯდა, წელი და ბეჭები არ ერხეოდა. ლაჯებშუა ამოკეცილი ნისლისფერივე ჩოხის კალთები არ ეშლებოდა. ცხენზე მიწებებულივით ჩანდა.

ხიმური სწრაფად გამოეყო ხალხს და წინ წამოიწია. ცხენოსანი უდარდელი სახით მიაგლეგებდა ცხენს და სტუმრებს ათვლიერებდა. მხედარი ხიმურს გაუს-

წორდა და მისკენ მოიხედა. ხიმურს ახლაც ქრუანტელი უელსს ტანში, როცა მისი შეხედვა გაახსენებდა.

ცხენოსანმა შეხედა თუ არა ხიმურს. თვალები ცხენის თვალეზე ბრიალა გაუხდა. სახე გაუწითლდა. უნებლიეთ შუბლზე მოისვა ხელი. ხიმურიც მონუსხულივით მისკენ გაიწია. მოსულმა ცხენს სადავე ამოჰკრა და ადგილზე გააშეშა.

— მე ხომ არაფერს მიბრძანებთ, ქალიშვილო! — ვეკაცოს ხმამ ცეცხლი მოუკიდა ტანში თარკილის ქალს.

ხიმური დაიბნა.

— ცხენი მომეწონა, სხვანაირია, ჩვეულებრივს არა ჰგავს.

მხედარმა უშალ დაიქვეითა.

— თქვენი საჩუქარი იყოს. — რეტდასხმულივით თქვა მან და ადვირი ქალიშვილს გაუწოდა.

— აჰ, როგორ გეკადრებათ?!

— ნეტავი ასეთივე თვალით მე შემხედოთ, ჩემს თავსაც არ დავიშურებდი. ხიმური გამოფხიზლდა.

— ვითომ?! — ახლა გამომწყვევად აათვლიერა დაქვეითებული.

ჩოხის კალთები კოჭებამდე უწევდა მოსულს და უფრო მაღალს აჩენდა მას. მისი წელი ხიმურის ნეკის ბეჭედში გაძვრებოდა. ბეჭები, კი ბრტყელი და განიერი ჰქონდა. ისინი მძიმედ ირხეოდნენ ჩოხაში. ხიმურმა წამწამები დახარა და უთქმელად გამობრუნდა.

დიდი ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ქარიშხალივით მიჭროდა დაწინაურებული მარშანიას ნაცრისფერი ბედაური, ნისლივით მსუბუქად მიჰყვებოდა გვერდიგვერდს ბაჩა-კვიცი.

მინდორის ექვსჯერ შემორბენის შემდეგ ხალხმა დაინახა, რომ ჯერ ბაჩა-კვიცის კისერი გამოჩნდა წინ და მერე მისი მთელი ტანი გამოგოგმანდა. მსუბუქად, ძალდაუტანებლად მიჭროდა ბაჩა-კვიცი. მარშანია სირმის მათრახს სცემდა ისედაც ფიცხ ბედაურს, პატ, პატო, ჩასძახოდა ყურში, დეზსაც კი ხმარობდა, დაღლილობისაგან ხერხემალ მოღუნებულ ცხენს კი მეტი აღარ შე-

ეწლო. ბაჩა-კვიცმა მეთაუჯერ მინდ-
ვრის შემოვლის დროს უკვე ერთი რკა-
ლით გაასწრო წინ.

— ის პატარა ცხენი თვეზივით გვერ-
დივერდს იყურება! — შენიშნა ვილა-
ცამ.

— მხედარს შეხედეთ?! — გაიოცა
შეგვაშიძემ, როცა ცხენებმა წინ. სულ
ახლოს გაუქროლეს, — სუნთქვაც კი არ
პომატებია, წამწამსაც არ ახამხამებს. აი,
ცხენზე ჯდომაც ამას ჰქვია.

— ვინ არის ნეტავ? — იკითხა შერ-
ვაშიძის ქალიშვილმა:

— თემქვას უფროსი ბიჭია, ქალბა-
ტონო, სვანი ქალის, დაჯილის ვაჟიშვა-
ლი. — თქვა ვილა-
ცამ. — თარკილის ქალიშვილი, თავადის
ქალს რომ თვალი შეუვარდა ბაჩა-
კვიცის მხედარზე. მათემ კი ამ დროს
ეკლესიის გალავანთან მიაგდო ცხენა.
მეგობრები შემოეხვივნენ. და ულოცა-
დნენ.

— ნახეთ, ერთი, ოფლის ცვარი არ
დასდენია, — გაიოცეს მოჯირითეებ-
მა. — დაჯდბსაც არ შეჰპარჯია ლამი.

— ჯიქის ძუძუნაწოვია, — გაილიმა
მათემ.

— რაო?! — ახლა კი ვერ შეიმაგრა
თავი ხიმურმა. მათემ მისი ხმა გაიგონა
თუ არა, სწრაფად მისკენ შემოტრა-
აღდა.

— კვიცი რომ იყო, ჯიქის ძუძუს ვა-
წოვებდით, ქალიშვილო.

— ჯეჟი კვიცს როგორ მიიკა-
რებს?! — ხელები გაშალა ხიმურმა.

— ცოცხლად დავიპირე დედა ჯიქი
თავისი ჩვილით. კვიციც შეეჩვია, არც
მე დავუშალე.

თავადი შერვაშიძის ქალი ახლო მი-
სულიყო და გაშტერებული უსმენდა
მთხრობელს.

— ჩვენ კი გვასწავლეს, ჯიქი არ შა-
ნაურდებო, — ნელა თქვა მან.

— შეიძლება ასეა, — ქალბატონო, —
ჩაფიქრებით შეეპასუხა მათე, — ალბათ
ჩვილთან ერთად რომ შევიპყარხ, ამან
დააოკა, ძუძუსაწოვრად თავისთან ერ-

თად კვიციც მიუშვა. მის თენიერებს
კი ვერც ახლა დავიქადნებდა რკინის ბე-
ლოზე მიბნია ჯაქვით. — შიზლირთხა

იმ ლამით თვალი ვერ მოხუტა ხიმურ-
მა, შერვაშიძის ქალის კრიალა და გამ-
ქვალავი თვალები ელანდებოდა. ვერც
მეორე ლამეს დაიძინა გულდამშვიდე-
ბით. მამამ დალონება შეატყო ერთად-
ერთ ქალიშვილს.

— ავად ხომ არა ხარ, გოგო?!
ხიმური შეცბა. მამას მხრებზე მოეხ-
ვია.

— არა, მამა, ცოტა უგუნებოდ შევი-
ქენი.

— საბალახობებზე ავიდეთ, შვილო,
— ნიშური — ძე სხარა: მთიერა; წაიიყვანა
და მათეს მთელ ზაფხულს ვერ ვნახავო.

— ვერ წამოვალ, დედას ვერ მივა-
ტოვებ.

სწორედ ამ დროს კიშკარი გაილო და
მათეს ძმამ — ასტამურმა პატარა ჯიქი
შემოიყვანა.

— ჩემმა უფროსმა ძმამ გისაჩუქ-
რათ, — წყნარად თქვა მოსულმა და ხი-
მურს შეხედდა.

თარკილის ქალიშვილი ცას შეეტოტა
ხელით.

— მობრძანდით, — არ დაიბნა იგი,
სტუმარი სახლში შეიპატიეთა. გაოცებუ-
ლი მამა ჩაფიქრებით მიჰყვებოდა სტუ-
მარს. მიხვდა ძველი მეჯოგე, მათეს სა-
ჩუქარი უფრო მეტი ღირებულებისა
იყო.

დიდი პატივით მიიღო ასტამური ქა-
ლიშვილის ოჯახმა.

ხიმური თავზე ევლებოდა სტუმარს.
მეორე დღეს უმცროსი ძმა მათეს უყ-
ვებოდა თარკილების უხვი მასპინძლო-
ბის თაობაზე.

— დალალები კოჭებამდე უღელავ-
სო, — დაბოლოვა ასტამურმა და ძმას
ეშმაკურად შეხედა.

მის შემდეგ ბევრი რამ მოხდა. მათე
არა ერთხელ შეხვდა ხიმურს. არა ერთ-
ხელ ისმენდა ნიავი მათეს მკლავზე დაყ-
რდნობილი თარკილის ქალის ჩურჩულს.

ახლა კი წყაროს თვალში უყურებდა ხიმური თავის გულსტოლს.

— არა, ასტამურს უნდა გვითხო! — გადაწყვიტა მან და კარავისკენ წამოვიდა.

ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა, ხიმურს ლაპარაკი მოესმა. სიცხეში წასული ასტამური ბოდავდა.

— ტყუილია, არა მჯერა, შეუძლებელია, გაგიცდა... — იძახდა იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— იწვის უბედური, — ჩაიჩურჩულა ხიმურმა, თავსაფარი დაასველა და ავადმყოფს შუბლზე დააფინა.

თითქოს ჩვარის სიცივემ იმოქმედაო, ასტამური გაინაბა, გაუჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აფორიაქდა, ისევ აიტყვიცა და უფრო ხმამაღლა მორთო ყვირილი.

— რა სთქვი, როგორ გაბედე! არა, სტყუი, ვერაგო, ეს შენ გამოიგონე, ძმა კი არა გველი ყოფილხარ...

ხიმურს მუხლები უკანკალებდა.

— გაგიცდა: სიცხისაგან გაგიცდა. რა ექნა, მათეს რა ვუთხრა? — სიმწარისაგან ხელების მტვრევით ჩაიჩურჩულა ხიმურმა.

— არა! — ახლა ისე დაიყვირა ავადმყოფმა, რომ კარავმა დაიზანზარა, — მაშ, გვატყუებდი. ხიმური მიყვარსო ხომ?! თვალს გვიხვევდი მეც და დედას, არა?! არ დაგინდობ, დილამდე როგორმე გავძლებ და მაშინ ნახე შურისძიება. მისი სახელის ხსენებაზე ხიმური უკან მიაწყდა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა გავიგონე. ეს რა წამორიშა ასტამურმა, აქ რალაც სხვა ამბავია?! — იგი გონების მოსაკრეფად კედელს მიეყრდნო. ახლა ქალს ლოყები გაუყვითლდა და ათრთოლდა.

— არა, ტყუილია, მათე ჩემს სიყვარულს არ უმტყუნებს. — ამ სიტყვებთან ერთად ხიმური გარეთ გავიდა, უცებ კარს უკან მიყუდებულ ურდულს წამოედო და მუხლზე კაბა გადაიხია. ხიმურს ეს არც გაუგია. მან მთებს გახედა, მწვერვალებსა და საბალახოებს-შუა ლურჯი მსუბუქი ლივლივა ჰაერი იდგა. მზის სხივები თვალისმომკრელად

იბნეოდა ამ ზღურბლის ფერებზე/ავსებულ გარემოში, თეთრი მწვერვალები მაღლა პირქუშად აზიდულნი.

— სად წავიდე, როგორ მივაქვლიო! — თრთოლვით ჩაილაპარაკა ქალმა.

— ხა, ხა, ხა, მოკვდი, უბედურო! — ისევ დაიღრიალა ასტამურის ხმამ კარავში.

ხიმური შემობრუნდა.

— უნდა გავაღვიძო, გამოვიკითხო, — გაიფიქრა მან და ისევ კარავში დაბრუნდა.

ასტამურს ცალი ხელი საბანს გარეთ გადმოეგდო, შუბლზე ოფლის წვეთები დაჰყაროდა.

— ასტამურ, ასტამურ, — ჩასძახა ქალმა ავადმყოფს. ასტამური მეხდაკრულივით კანკალით წამოუღდა ლოგინზე და უაზრო თვალებით მიაჩერდა ქალიშვილს.

— მითხარი, რა დამართა მათეს?! — შეევედრა ხიმური.

ასტამურმა არაფერი არა თქვა. იგი ისევ გარინდებით მისჩერებოდა ქალიშვილს.

— ჰა, შენ ხარ, უბედურო! — ახლა შეიცნო ხიმური ასტამურმა.

— უბედურს რატომ მეძახი, ასტამურ!

— განა შენ არ გიყვარდა ის დაუნდობელი კაცი?!

— ვინ არის დაუნდობელი?!

— ვინ და ჩემი ძმა, მათე.

ქალი ასტამურს მივიარდა და ხელებზე მოექვიდა.

— გარკვევით მითხარი, გული ნუ დამილიე, ასტამურ!

— რა გითხრა, ჩემო დაო, ორივეს გვიღალატა, ორივე დაგვლუბა. შუქში-რა შეჰყვარებია.

— ტყუილია, — ამოსკდა ქალს გულიდან. — სიცხე გაქვს და ბოდავ!

— თვითონ თქვა, თარკილის ქალო, ჩემი ყურით გავიგონე.

— სტყუი, საზიზღარო! — ხიმურმა ასტამურს ხელი გაუშვა და კედელს მი-



ეკრა. მისი თვალეზი მრისხანედ კიადომ-
და ახლა.

— ნეტაეი მართლაც გაგვიეტბული-
ყავი, ბედნიერ კაცად ჩადთვლიდი
თავს. — ასტამურს ცრემლები წასკდა.

— გიემა კაცმა ცრემლი არ იცის, —
გახსენდა მამის ნათქვამი ქალს.

— სად არის მათე ახლა?! — ხრია-
ლით იეითხა ქალმა.

— ჯანდაბას, სადაც დედაჩემის ძე-
ძის მოწოვამდე უნდა ყოფილიყო.

გაღებული კარებიდან ნიადე შემოვი-
და და ქალს მუხლისთადზე გახეული კა-
ბა აუთამაშა.

— ნუ მომკალი, ასტამურ, ყოველი-
ვე გარკვევით მიითხარი!

ასტამურმა ტირილი შეწყვიტა. ახლა
ცრემლი აღარ სტიოდა სველი წამწამე-
ბიდან, თვალეზი ნაკვერცხლებიეით უბ-
რიალებდა, ხიმურს დაეინებით მისჩე-
რბოდა. მისი ასე უცებ შეეცვლა ქალს
არ მოეწონა, ხიმურმა თვალი გაადევნა
ასტამურის მხერას და მუხლზე დაიხე-
და. ქალს შიშველი მუხლისთადე თეთ-
რად უღევარებდა. სახეალანძელი თარ-
კილის ქალი გველნაკბენიეით წამოვარ-
და ზეეით.

— ფუი, შენს ძმობას, თეითონ ვერა-
გი და უნდო ყოფილხარი! განა მე არ
ვარ შენი სარძლო? მათე კი, ჩემი მათე
სამოლაც კაცია და საქმროლაც შეუც-
ვლელია, იცოდე.

იგი სწრაფად გამოვარდა გარეთ, კარ-
ვის სვეტზე დაკიდებულ ნაბადს და ბა-
შილიყს ერთად წაატანა ხელი, მერე
ოდნავ შეჩერდა, გარემოს თვალი მოავ-
ლო და ბალახზე მიშვებული ცხენისაკენ
სირბილით გაიქცა. ენაჩავარდნილი ას-
ტამური ერთ ადგილზე გამეშვებული
დარჩა. ახლა თვალეზის ეღვარება ჩა-
უქრა, სხეული მოუდუნდა, პირში ნერწ-
ყეი ისე გაუშრა, ხმის ამოღება გაუქირ-
და. რაცრაცით მიადგა კარებს. ხიმური
ცხენზე ჯდებოდა.

— არ წახეიდე, ხიმურ, ვფიცავ, უნა-
მუსო თვალით არ შემიხედავს გოგოს-
თვის!

ცასა და მაღალ მწვერვალზე მობრძან-
სავსე მთვარე ვიღოდა. ღამის სიწყინარე-
ში მისი სხიეები მდუმარედ დასცქეროდ-
ნენ ცის თალში შეტყორცნილ მუდამ
დადუმებულ ყინულოვან მთის წვერებს,
სინათლე იბნეოდა ყველგან, მთის კალ-
თებზე, ხეებზე და ზღვისპირა მინდ-
ვრებში. მხოლოდ დაჯილის ფაცხის წინ
მღგარ ცაცხვის ტოტებქვეშ ვერ ჩად-
წია მის სხიეებს. ფოთლების სისშირის
გამო მის ქვემოთ ღამე იდგა, ხის ძირას
ორი ღანდი ჩურჩულით ესაუბრებოდა
ერთმანეთს.

— მამიდაჩემო, თუ გიყვარვარ, არა-
ფერი მკითხო, მათე ამელამვე სვანეთში
უნდა წადიყვანო, საქმე მაქვს.

— ხომ ცოცხალია, ბიჭო?!

ცოცხალიც არის და ჯანზედაც არის.

— ასტამური სად არის?

— თარკილებთან დარჩა საბალახო-
ებზე.

— მას ხომ არაფერი უქირს.

— არა, ისიც კარგად არის.

— დედას არაფერი დაემალბა, იეაკი!

— ხომ გითხარი, მამიდა, მათე აუ-
ცილებლად ჩემთან უნდა წადიყვანო-
მეთქი.

— შენ რა გაგიქირდა, რატომ მიმა-
ლაე?!

— მალე გაგავებინებ, ახლა, ჩემს
თავს გაფიცებ, არაფერი მკითხო.

— ცოტა ჩემკენ მოიწი. — დაჯილმა
ძმისშვილის სახე ახლო მიიტანა და თვა-
ლებზე ხელი მოუსვა.

— ცრემლი არა გაქვს, მაგრამ, გეტ-
ყობა, თვალეზი გიხურს, ბიჭო.

— მამიდა, შენთვის ოდესმე ტყუილი
მიკადრებია?

— არა, მაგრამ ცუდი სიზმარი ვნახე
ბიჭებზე.

— ხომ დაგიფიცე, ორიეენი ჯანზე
არიანი!

— კარგი, წადიყვანე, დამილოცავხართ.
იცოდე კი, სანამ თქვენს ამბავს არ გა-
ვიგებ, დავილევი.

— თუ იღარღებ, მაშინ ამალამვე ჩამოვიყვან ორივეს სახლში.

— არა, ისინი თუ შენ გჭირდება, შენი ძმები არიან და წაიყვანე, საფათერაჲს არაფერი ჩაიღოთ გულში.

ივაკიმ ფრთხილად გადმოიყვანა ცხენი ქიშკარზე, მამილას გადაეხვია და ისევ მთებისაკენ გასწია.

— რაკი კარგად არიან, აღარაფერს დავეძებ, — ჩაიხურჩულა დაჯილმა და ქიშკარი მოხურა.



მათე თანდათან მომჯობინდა. სვანეთის ჰაერმა, ივაკის მოვლამ და ახალგაზრდულმა ჯან-ლონემ თავისი გაიტანა. მხოლოდ ერთი ფიქრი არ შორდებოდა მათეს — ხიმურის არაფერი ისმოდა. აგერ ორი კვირა გავიდა და აფხაზეთიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

— ჩვენი ამბავი თუ გაიგო, დავიღუპე! — ეტყოდა ბიძაშვილს მათე.

— არ ვიცი, — დაიბუხუნებდა ივაკი, — ნეტავი შეც არ გამეგო და მოემკვდარიყავი.

— ხიმურმა თუ შეიტყო, რა მომეღლის, ივაკი?

— არც ეს ვიცი, ვერაფერს გეტყვი.

— უიმისოდ ვერ ვიცოცხლებ, იცოდე!

ივაკი შუბლს შეიკრავდა, ხანჯალზე ვეება თითებს დაალაგებდა და მხრებს აიჩეხდა.

რამდენი კოშკია სვანეთში, იმდენი გზაც არის. ყოველი გზა კი კოშკის ძირას თავდება. ერთ დილას ივაკიმ მათეკენ მომავალი ორი ცხენოსანი შენიშნა. ისინი ბოგირზე გამოვიდნენ და ქენებით წამოვიდნენ ზევით.

«ვინ უნდა იყვნენ ნეტავი?» — გაიფიქრა მან და მათეს უხმო.

— დედაჩემი და ხიმურ-ქალია! — გაიოცა მათემ და ფერი ეცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივე ცხენოსანი კოშკის ზღუდეს მოადგა.

კარები გაუღეს. დაჯილს მათესათვის

არ შეუხებდაეს, ისე შეანათა თვალები ივაკის.

— ჩემი ოჯახის მტერი ხომ არ ხარ ივაკი, ამხელა უბედურება რომ დამიშალე?!

ივაკი შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა.

— კირს დრო აქარევებს, მამიდაჩემო, მეც დროის გასვლით მინდოდა მისი ვანელება.

— ტყუილია! — დაჰქვა დაჯილმა, — ასეთ კირს დრო უფრო აღრმავებს და საქვეყნო კირად ხდის.

— ქვეყანა რა შუაშია, დედაჩემო! ბორძიკით წაილულულა მათემ.

— გონება დაგბნელებია, შვილო! განა ოჯახის შერცხვენა ქვეყნის კირი არ არის?

— ასტამური იღუპებოდა, დედი!

— შერცხვენას სიკვდილი არ სჯობს, ბიჭო?

ხიმური ჯერ ხმას არ იღებდა. იგი გარინდებით მისჩერებოდა მათეს და დაჯილის საუბარს. ქალს დარაიის თეთრი ყაბალახი მოეშალა თავიდან და დალალები ძირს გადმოსცვენოდა. მხრებიდან ჩამოგდებული ნაბადი ბეჭზე მოხსმულივით ისევ მიწაზე იდგა და ქალს მკერდამდე სწვდებოდა.

— შე რას მეუბნები, მათე! — იკითხა მან და დალალები ხელში ისე აიკრიფა, თითქოს ამით აპირებდა წაქცივისაგან თავის შეკავებას.

— შენ? — დააბნია მეხზე უფრო საშიშმა სიტყვამ მათე.

— ჰო, მე! მე რას მეტყვი?

— რა უნდა გითხრა, თუ არ გამწირავ, დღესვე ჯვარს დავიწერ.

დაჯილმა ამოახუნეშა. ხიმურს თითქოს არ გაუგონია ეს ზენეშა.

— მერე გულს რას ეუბნები?!

— რა სიტყვი? — კიდევ უფრო გაიკვირვა მათემ.

— გულს რას ეუბნები-მეთქი?!

— მე ისევ მიყვარხარ, მე ისევ შენ...

— სტყუი! — გააწყვეტინა სიტყვა ხიმურმა, — თუ ერთი გიყვარს, პატროსანი კაცი მეორე ადამიანს ეტყვის ამ სიტყვას?!

— არავისთვის არ მოთქვამს, მიყვარხარ-მეთქი.

— ხომ სთქვი, შეუქნიარა მიყვარსო!

მათეს სახე დაედრიჯა.

— გულით ხომ არ მოთქვამს!

— განა ვაყვაცის გულში ნაფიქრი სიტყვა ბაგემ შეურყვნელად არ უნდა ვამოთქვას? განა სხვანაირად შეიძლება?

იგი ოდნავ შეჩერდა, სული მოითქვა და მერე დაჯილს და ივაკის მიუბრუნდა.

— თქვენ მაინც მითხარით, აღამიანებო! ღმერთმა იცოდეს, თავზე უფრო მიყვარდა თქვენი შვილი, მე მეგონა, მასაც ვუყვარდი, ახლა კი ჩემს სათქმელს სხვას ეუბნება, თან მეფიცება, უგულოდ ვთქვი და დამიჯერეო. არა, მათე, ვერ დაგიჯერებ, მე მეგონა, ასტამური სცდება-მეთქი, და შენკენ გამოვეშურე. მეგონა, თავს გაიმართლებდი და შენგან სხვა სიტყვებს გავიგონებდი, შევეცდა, აფხაზი კაცის არც გული გქონია და არც სიტყვა.

მათე შეტორტმანდა და ხელგაწვდილი წამოიწია ხიმურისაკენ.

— არ მომეკარო! — დაიკივლა ქალიშვილმა. მან ნაბადს ხელი ჰკრა და ისიც კაცივით გაგორდა მიწაზე.

— არ მომეკარო! თარკილების ოჯახს, იცოდე, ასე მოსდგამს: სიტყვამრუდი აღამიანი ყველაზე ბოროტ კაცად მია-

ჩნია. სიტყვას გულიდან ფრთხილად უნდა ამოკრეფა, დაუფიქრებლად ნაფიქრო საყვარელ კაცს საძულველად ვაჩვენო, ძმას გადაგამტერებს, დედას დაგაშორებს, ქვეყნის მოლაღატედ გაგზავნის.

— ვაი მე უბედურს?! — წამოიძახა მათემ და თავზე ორივე ხელი შემოიკრა.

დაჯილი დაბარბაცდა, მერე ძალა მოიკრიფა და ივაკის შეუტია:

— წამიყვანე აქედან ბიჭო, აქაურობას გამაცილე. გული გამისკდება.

ივაკიმ ფრთხილად მოჰკიდა ხელი მამიდასა და კოშკისაკენ წაიყვანა.

ათრთოლებული ხიმური ცხენისკენ ნელა წავიდა. გონებადაბნეულ ქალიშვილს ნაბდის წამოსხმა არ გახსენებია, ისე შეჯდა ცხენზე.

ვაცი მისკენ არ იმზირებოდა, იგი ახლა დამბლადაცემულივით იდგა, მის თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალი არ კიაფობდა.

— არ გადარჩებო! — გაიფიქრა ხიმურმა, ცხენს ჰუსლი ჰკრა და ნაბადი ცხენიდანვე აიტანა. — მის ფიქრს სინათლე აკლია. ნისლიანი კაცი ყოფილა. ასეთები ძმასაც გულს გაუტეხენ და თავსაც დალუპავენ“.

ხიმურის ცხენმა ბოგირი გადაირბინა და კლდეზე გაქრილ გზას დაადგა.

ზევით ახლა ჩამიჩუმე არ ისმოდა.

პიორგი ჩიქობავა



მცხეთა

სადაც ვინდა, იქ წერაქვი დაკარ,
გამოჩნდება უძველესი ნივთი,
მცხეთის მიწავ, შენს თვითეულ ნაბრალს
ისტორიის ამკობს მარგალიტი.

მთის ფუძესთან მტკვარს არაგვი
ერთვის,
ქანდაკება დგას ოცნების ტოლი,
შორიახლო საფლავია ერთი —
ოქელაშვილს სძინავს დაღლილს
ბრძოლით.

იქით, სადაც ცას შესცქერენ მთანი,
(ახლა ვინდა დაიჯერებს ამას!)
წარმართები კერპის შიშით მთვრალნი,
ჩვილ-ჩვილ ბავშვებს შესწირავდნენ
არმავს.

ახლა, სადაც თხრილებია ვრცელი,
პოულობენ ნასახლართა ნაცარს...
დასცქერს ჯვარის მონასტერი ძველი —
სვეტიცხოველს და სამთავროს ტაძარს.

სამალავეებს მალავს კლდეთა შუბლი,
მიწა ჰფარავს უსახელო გმირებს,
მტკვარს გაჰკვრია, ვით ქალაქის
ზღურბლი,
პომპეუსის ხიდის ნაშთი მცირე.

მეფარება საუკუნეთ ტიხრი,
ვკვრეტ გადაღმა ნამუსრეეთა კიდილს,
სიზმარივით გაფანტული ფიქრი
ზმანებათა საუფლოში მიდის.

სამუდამოდ დაილეწა ბნელი;
აქ ზაპისის ტურბინების ბრუნვას
დიდ ლენინის შორს გაწვედილი ხელი
შთააგონებს ხალხისათვის ზრუნვას...

ქამთალმწერელს, მითხარ, როგორ
ვენდო?
ამას ვნატობ, ო, შემეძლოს ნეტავ,
ძეგლებს შორის ამოვიცნო ერთობ
შენი ყველა საიდუმლო, მცხეთავ!

კინო კინო



ორი ლექსი ციკლიდან:

„ჩრდილოეთის ზღვა“

1. ოკეანიდების სიმღერა

მწუხრის სიმკრთალე აჩრდილივით ჩამოწვა ზღვაზე,
ზის, როგორც ლანდი, უკაცრიელ ნაპირას, მარტო,
ადამიანი უთვისტომო, სულით ობოლი
და უღიმღამო, ცივ იერით გასცქერის ზევით,
შორს, სიკვდილივით გაფითრებულ ზეცის თალისკენ,
ხან თვალს შეაეღებეს აზვირთებულ ზღვას — მოშრიალეს.
მისი გულიდან აღმომსკდარი მძიმე ოხვრანი,
ვით საპაერო მცურავეები, ზღვას ევლებიან
და მყისვე უკან ბრუნდებიან დაოსებულნი,
მავრამ დახშული ხედვებით გული —
ნათესაყუდარი.

და იგი კენესის, მაღალი ხმით ისე ვალაღებს,
რომ თოლიები, შემზარავი შიშით დამფრთხალნი,
ტოვებენ ბუდეს და გუნდ-გუნდად გარს ეხვევიან.
ის თვალს შეაეღებს და მათ ეტყვის მწარე ღიმილით:

„ო, შევფეხებო,

თეთრი ფრთებით ზღვაზე მფრინავნო,
მოკაუტებულ ნისკარტებით ზღვის წყალის მსმელნო,
და ზიპიანი სელაპების ხორცის მჭამელნო.

მწარეა თქვენი ყოფნა ისე, ვით საზრდო თქვენი.

მე კი სვიანი, შევექცევი მხოლოდ ტკბილულს,
ესვამ ვარდის სურნელს, მთვარის სხივით გამოზრდილ ვარდის,
ნაზი ბულბულის საპატარძლოდ ყელს რომ იღერებს.

მე შევექცევი კვლავ უტკბილეს —

ნამცხვარს საამოს,

და ამაზედაც უფრო უტკბესს მადლს ნეტარების:
ვიგემებ ტრფობას მიჯნურისგან — სამაგიეროს.

„მე მას ვუყვარვარ, ლამაზ ასულს ვუყვარვარ, მჯერა.

ახლა იგი დგას აივანზე პატარა სახლის

და გადაწყურებს ბინდით მოცულ სოფლის შარავზას.
დაღონებული ჩემზე ფიქრობს, ჩემს ნახვას ცდილობს.
ოხრავს, დამეძებს, თვალთ აცეცებს ირგვლივ ამოდ.
ეწვევა ბაღნარს,

ხეტიალობს მთვარიან ღამით.

ობლად საუბრობს ყვავილებთან, მოუთხრობს ჩემზე,
რარიგ კარგი ვარ, მისი სატრფო, შეყვარებული,
ნამდვილად ღირსი თავდადებით სიყვარულისა.



შემდეგ, ძილშიაც ჩემზე ფიქრობს, სიზმარში ზედავს
ჩემს ხატებას და ნეტარების განიცდის წამებს,
და დილითაც კი, საუზმის ეამს, როცა დაეღაჯა
ბუტერბროდს სწვდება,
მასზე ზედავს ჩემს მცინარ სახეს
და შეეპყვება, მჯერა, ჩემი სიყვარულისთვის.

ზის და ტრაბახობს იგი ასე დაუსრულებლივ,
თოლიები გარს ეხვევიან და დასცინიან,
აყრუებს ჰაერს მათი სტვენა ირონიული.
დაისის ჩრდილნი მუქდებიან, მიფრენენ ზევით.
შორს, ისფერი ღრუბლებიდან საზარელ სახით
ჩაყვითლებული ბალახებით გამოკრთის მთვარე.
ზათქით და გრგვინვით ზღვის ტალღები, ფაფარაყრილნა,
აბორგებული სიღრმეებით, იწვევენ ზევით
და ნაღვლიანად, ნიავ-ქარის შრიალის დარად
ოკეანიდთა ნაზი ჰანგი გაისმის ირგვლივ.
ტკბილი სიმღერა, მომხიბვლელი ზღვის ქალებისა.
ამ სიმღერაში უფრო მწველი და წარმტაცია
ვერცხლისფებიან პელეასის მეუღლის ჰანგი...
და მათ ნაღვლიან ღალადისში ისმის გარკვევით:
„ოი, სულელო, ცრუ-ტრაბახა, სულელო ყრმაო,
დარდით ვნებულო,
იმედები დაგიჰქენენ უკვე,
სასოებანი, შენი გულის მკვირცხლი ბავშვები!
აუტანელი მწუხარებით და სიმღერებით
ნიობას დარად შენი გულიც გაქვავებულა.
შენს თავში, ვაგლახ, ბნელმა ღამემ დაისადგურა,
სიგიყის ელვამ ფრთა გაშალა, იწყო ცილიც;
შენ კი ტრაბახობ აუტანელ ტკივილებისგან.
ოი, სულელო, ცრუ-ტრაბახა, სულელო ყრმაო,
შენ ჯიუტი ხარ, უკმეხი ხარ წინაპარივით,
რომელმაც ცეცხლი ჩაუქრობი, ცეცხლი ციური
ღმერთებს მოჰპარა და მიუძღვნა ადამიანებს,
სალ კლდეს მიკრული, ძერის კერად გადაქცეული
ემუქრებოდა დიად ოლიმპს და თან კენესოდა,
ისე ძლიერად, რომ გვესმოდა აქ, ზღვის სიღრმეში.
ჩვენ მას ვხვდებოდით და ვუმღერდით ჰანგს სანუგეშოს.
ოი, სულელო, ცრუ-ტრაბახა, სულელო ყრმაო,
შენ ხომ სუსტი ხარ, უსუსური და განა შენთვის
არ აჯობებდა ყოფილიყავ ღმერთის მოსაივი?
გეზიდა ტვირთი მოთმინებით — უბედობისა,
გეზიდა ჩუმად, მოკრძალებით, მანამდე, ვიდრე
თავად ატლასი დაკარგავდა მოთმინებასა
და მტანჯველ ქვეყნის მზრებისგან გადაისროდა
უბედურებას მარადიულ ღამის სიღრმეში!“
ოკეანიდთა ასე ეღერდა სიმღერა ტკბილი,



ოკეანიდთა — უნაზესი ზღვის ქალებისა,
ვიდრე მძვინვარე ზღვის ტალღებმა ის არ ჩაახშეს.
ამ დროს ღრუბლებმა ფრთა გაშალეს, დაფარეს მთვარე,
და შემზარავად დაამთქნარა ლამემ პირშავმა,
მე დიდხანს ვიჯექ სიბნელეში და ცრემლებს ვღვრიდი.

2. საბერძნეთის ღმერთები

ო, საესე მთვარე, მოელვარე! შენი ნათელით
ზღვა ისე ბრწყინავს, ვით ბაჯალლო ოქრო გამდნარი,
ვით შუქი დღისა, ჯადოსნური ბინდით მოცული,
ზღვა გაწოლილა შორეული ნაპირის მიღმა,
და უფარსკვლავო, ფირუზოვან ცის კამარაზე
თეთრი ღრუბლები დაცურავენ ნარნარი რხევით,
როგორც ღმერთების სახეება ტიტანიური,
გამოკვეთილნი მოელვარე მარმარილოსგან.
ო, არა, არა! ეს ღრუბელნი არ ჩანან ცაზე,
ეს ღმერთებია, თვით ღმერთები ძველ ჰელადისა,
ერთ დროს სამყაროს მზიარულად რომ განაგებდნენ.
დღეს კი ძლეულნი, უღიმღამო და მომაკვდავნი,
როგორც ვეება აჩრდილები, შორს მიცურავენ,
ეხეტებიან შუალამის ზეცაზე ობლად.
განსაცვიფრებელ, თვალისმომკრელ ზეცის პანთეონს
მე ვაკვირდები, ხარბად ვუცქერ ლურჯ სივრცეებში
შიშისაღმძვრელად მოლივლივე დიად ქმნილებებს;
აგერ, ვეება კრონიონი, ციური მეფე,
თოვლივით თეთრი კულულები თავს რომ უშვებენბს.
თვითონ ოლიმპის შემზარავი თმის კულულები!
ხელში უჭირავს, გარინდებულს, ჩამქრალი ელეა,
მკმუნვარ სახეზე აღბეჭდია უბედურება,
და თანაც ძველი სიამაყის დაღი ზვიადი.
რა სანეტარო იყო ის დრო, ო, ზევსო დიდო,
როს, მეფობის ეამს, შენ სტკებზოდი, გაიხარებდი,
ჰეკატომბებით, ნიმფებით და შალხაზ ბავშვებით.
მაგრამ ღმერთებიც ვერ მეფობენ მარადიულად,
ახალგაზრდები მოხუცებულთ ავიწროებენ.
აკი შენც ერთ დროს არ დაინდე ჭაღარა მამა,
მას მიაყოლე ტიტანები, შენი ბიძები,
შენ, მამის მკვლელი, უღმობელო იუპიტერო!
ო, იუნონა, მედიდურო, შენც გიცნობ კარგად,
ველარ გიშველა იქნეული სიფრთხილის გრძნობამ,
მანინ დამარცხდი, შენი სკიპტრა სხვამ მოიბოვა.
აწ აღარა ხარ დედოფალი. მეუფე ცისა.
გაქვავებულან შენი დიდი თვალები უკვე,
და ძლიერება დაუკარგაეთ შროშნის მსგავს ხელებს.
აწ ვერასოდეს შურისგებით მიაგებ ვნებას
ქალწულს უნაზესს, ღმერთის მიერ არსებად ქცეულს,
და გასაოცარს — მისსავე ძეს, სასწაულთმოქმედს.



შენ გიცნობ, ღმერთო, ო, პალადა, ბრძენო ათინა!
 ნუთუ სიბრძნით და მტკიცე ფარით შენ არ შეგეძლო
 შენი ღმერთები დალუპვისგან გადაგერჩინა?
 შენ ვინ არ გიცნობს, აფროდიტავ, დიდო ღეთაებავ,
 ერთ დროს ბრწყინვალე ოქროს სახევე, ახლა კი ვერცხლო,
 თუშკა სარტყელი კვლავ გამშვეენებს თვალისწარმტაცი!
 მე იღუმალად ისევე მზარავს სიტურფე შენი.
 რომ ისურვო და მყო სვიანი შენი ალერსით —
 მე შიშისაგან მოვკვდებოდი, ვით სხვა გმირები!
 ქალღმერთის გვამად მარტოოდენ დღეს მეჩვენები,
 ოი, ვენერა-ლიბიტინა, მხიბლავო წინათ!
 აწ სიყვარულით აღარ გიცქერს
 მკაცრი არესი.

გქვრეტს ნაღვლიანად, გულმოკლული ფებეს-აპოლო,
 დაღუშებულა, არ წკრიალებს კაბუკის ქნარი,
 ღმერთთა ნადიმზე მხიარულად რომ ეღერდა მარად.
 და კიდევ უფრო ნაღვლიანად მიცქერს ჰეფესტოს,
 საბრალო კოკლი, უსუსური, ან ვერასოდეს
 ვერ შეეცლის ფებას, მოქმედებას ვერ შეძლებს მისებრ.
 ვერ შესთავაზებს ღმერთთა კრებულს კვლავ გატაცებით
 უტბილეს ნექტარს! უკვე ჩაქრა დიდი ხანია
 ღმერთთა სიცილი უქრობელი, ოლიმპიური!

ოი, ღმერთებო, არასოდეს მე არ მიყვარდით,
 მძულს მე ბერძნები,

რომავლნიც მეზიზღებიანი!

მაგრამ ჩემს გულში მინდა გრძნობა სიბრალულისა
 და შემზარავი თანაგრძნობა კვლავ ცოცხლებიან —
 როს თქვენ გიცქერით, ო, ღმერთებო,
 ცაში შთენილნი!

თქვენ, ღამეულო აჩრდილებო, გაქვავებულნი,
 ნისლივით სუსტნი, ქარის ფრთებქვეშ მოცახცახენო,
 მე როცა ვფიქრობ თქვენს შემშუსერელ ახალ ღმერთებზე,
 ვგრძნობ მათ სიმხდალეს და საოცარ ქარაფშუტობას.
 რარიგ არიან მოსაწყენნი, მოძალადენი,
 ღმერთები — თქვენი უბედობით განაჩებულნი,
 ყალბ მოყრძალების ცხერის ტყავებში გამოხვეულნი!
 ო, ხშირად მიპყრობს უღმობელი რისხვა და ბრანზი,
 მინდა ტაძრები დაფანგრიო ახლად ნაგები,
 თქვენთვის ვიბრძოლო, გულკეთილნი, ძველო ღმერთებო,
 თქვენი სიშარტლე რომ დავიცვა — ამბროზიული,
 და თქვენს ზნემაღალ საკურთხეველის წინაშე, კრძალვით —
 დღეს რომ სამსხვერპლოს ბოლი ასდის გულშემზარავი, —
 მუხლთ მოვიდრეკედი, ვილოცავდი მე სასოებით,
 წრფელი ვედრებით აღვაპყრობდი ზეცისკენ ზელებს.

ჩველო ღმერთებო, თავგანწირულ ხალხთა ბრძოლის ეამს
 მუდამ იყავით თქვენ ფხიზელნი და მხარს უქვრდით



ამბოხებებში გამარჯვებულ ადამიანებს.
მწამს, სულმალალი არის თქვენზე ადამიანი,
და თქვენს ბრძოლებში, ო, ღმერთებო, რისხვით გზნებულნი
დამარცხებულთა თანამგრძნობი ვარ და ვიქნები!

ასე ვამბობდი და შევნიშნე — ციდან მიცქერდნენ
ვით მომაკედანნი, შესამჩნევად გაწითლებული
ლანდები, ღამის მკრთალ ღრუბლებში მორიალენი
სახე საზარლად უელავდათ ტკვილებისგან,
როცა შევნიშნეს — სიერცეებში გაუჩინარდნენ.
გადაეფარა პირბადრ მთვარეს
შავი ღრუბელი,
ზღვა აგუგუნდა, მძლე ტალღებმა უმატეს ღელვას,
ძლევამოსილად ცის სიერცეში მიმოდიოდნენ
მარადიული ვარსკვლავები — მოკიაფენი!

თარგმანი ხარიტონ შარდოშვილისა



რამ გადარია ქვეყანა, ვფიქრობ,
გემოვნებისა რა ესმით ბრიყვებს,
შენზე ამბობენ ძვირფასო, თითქოსა
უხსაიათო გოგონა იყვე.

ეპ, ჩემო კარგო, ასეა, როცა
არა აქვთ შენი შეცნობის ალლო,
მათ რა იციან, რომ შენი კოცნა
ეგზომ ტყბილია, პატარა ბაღლო.



შვის, შროშანის, ვარდისა და მტრედის
ნეტარ ტრფობას ვატარებდი მკერდით.
ერთს გაეულე ახლა გულის კარი,

პატარაა, სათნო, სანუკვარი.
სულიც ტყბება მისით, გულიც ხარობს,
თვითონ არის სიყვარულის წყარო.



პეი, მეთევზე ქალო,
ნაზარზე გამო ზღვიდან,
ჩანოჯექ ჩემთან ახლოს,
წენი ალერსი მინდა.
ეგ პაწაწინა თავი
დამადე გულზე: ნაზად,
ნუ შიშობ, შენ ხომ ნავით
ცნდობი ხოლმე ზღვასა.

ზღვასა ჰგავს ჩემი გულიც
ბობოქარსა და მქუხარს,
შივ არის ჩამარხული
თვ-ღმარგალიტი უხვად.

თარგმანი გერმანულიდან
შოთა ამირანაშვილისა

დავით მინუსაძე



ილია ჭავჭავაძემ და სამართაშორისო ურთიერთობის საკითხები

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა მოიცავდა საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა დარგს. იგი ეხებოდა თავისი დროის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებსაც. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ცხოვრებაში არ მომხდარა ისეთი, ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ილია არ გამოხმარებოდა. ილიას წერილები უცხოეთზე და საპოლიტიკო მიმოხილვები, რომლებიც იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1877 წლიდან 1898 წლამდე, შეეხებოდა ევროპის, აზიისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანას.

იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად სწორი იყო ილიას მიერ მოცემული საერთაშორისო ურთიერთობის ანალიზი, საქმარისია გავიხსოვოთ „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1882 წელს გამოქვეყნებული პოლიტიკური მიმოხილვა: „ევროპა ორ დიდ ბანაიდ შესაძლოა გაიყოს, — წერდა ილია, — ერთის მხრით გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და ოსმალთა, მეორეს მხრით — რუსეთი, საფრანგეთი და იტალია. საფრანგეთი და იტალია იმისათვის კი არ ზავრებიან საქმეში, რომ რუსეთს უშეშლონ, არამედ იმისათვის, რომ პირველმა გერმანიას ჩამოართვას ელზას — ლოტარინგია, და მეორემ ავსტრიას იტალიის საკლდონ ადგილები. ერთიც და მეორეც ჩამოეცლება რუსეთს, რომ ეს გულის წაძლილი როგორმე სხვა ვხით აუსრულდეთ“¹.

ისტორიის მსვლელობამ საცხები დადასტურა ილიას წინასწარხედა. როგორც ვიცით, 1914 — 1918 წლების პირველ მსოფლიო ომში რუსეთი, საფრანგეთი და იტალია ინგლისთან ერთად იბრძოდნენ გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და თურქეთის სახედრო ბლოკის წინააღმდეგ.

ერთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ ილიას მიერ გამოქვეყნული აზრი დღეს ისევე აქტუალურად ელერს, როგორც 70 წლის წინათ.

1889 წლის თებერვალში თავისი ორჯანის — „ივერიას“ ფურცლებზე ილია წერდა:

„ერთა შორის დედნდობობა, ომი და სისხლის ღვრა, რომ კაცობრიობის ზედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემზუთავი და დამლუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელი იმისდა მიუხედავით, რომ ვგ აზრი მეტად აღვლი გასაგებია, მთელი ევროპა მუდამ იმისა ცდილობს, რომ საომრად მოემზადდეს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარ ხარჯსა და საშუალებას არა ზოგავენ, მხოლოდ იმატომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ“².

ილია აღწვითვას გამოთქვამდა ევროპის სახელმწიფოების გამაღებელი შეიარაღების გამო, რომელიც მძიმე ტვირთად აწეა ხალხს.

თავის სტატიაში — „მილიტარიზმა ევროპაში“, რომელიც „ივერიის“ 1889 წლის 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა, ილია წერდა:

„გაუტვირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება. უცუთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ჭონებისა იღუპება დღე-ყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ჭონებას ჰკლავს იგი გაუმაძლარი ვეშაში, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას ექაზიან.“

„საითაც კი მიიხედავთ რაზმი რაზმზედ ეწყობა, ჯარებს, რაც ძალი და ღონე აქვთ უმატებენ, თოფსა, ზარბაზანს და ტყვიანობას ამზადებენ და მიანე გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მერე ვულში არა გეაქვს რაო. ვერ წარმოადგენთ რა აუარებელი ფული ამოცის ევროპის მეკიდრთა ჯიბისაგან და რა აუარებელი ისარება ამ შეთოფიარაღებულ მშვიდობიანობისათვის. ვერაფერი მშვიდობიანობაა, თუ-კი კაცი იძულებულია ხელი ზმალზედ ევლოს დღეებდამ და ისეე მატრონობდეს თავის თვისა“².

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარამდე სამრეწველო წარმოების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა ინგლისს. კ. მარქსი მას უწოდებდა მსოფლიო სამრეწველო სახელისნოს. ინგლისი ბატონობდა მსოფლიო ბაზარზე, იგი იყო ზღეების ბატონ-მატრონა და უდიდესი კოლონიურა სახელმწიფო. 1860 წლისთვის ინგლისი იძლეოდა მერე ქსოვილებს, თუჯს, ფოლადს, ქვანახშირს, ეიდრე საფრანგე-

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული ზუთ ტომად, ტომი III, პ. ინგოროყვის რედაქტორობით. სახელგამი, თბილისი, 1952, გვ. 461.

¹ ილ. ჭავჭავაძე, დასახელებული თხზ. გვ. 445.
² იქვე — გვ. 441.



თა, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იტალია, რუსეთი და იაპონია ერთად აღებული. ინგლისს შემდეგ მეორე ადგილი ეკავა საფრანგეთს. გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები სამრეწველო წარმოების მხრივ იმ დროისთვის მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ინგლისს.

უკვე ათი წლის შემდეგ ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამრეწველო წარმოების მხრივ გაუსწრო საფრანგეთს და მისი ადგილი დაიკავა მსოფლიოში, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ინგლისს იყო. კიდევ ათი წლის შემდეგ, XIX საუკუნის 80-ან წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუსწრეს ინგლისს და მტკიცედ დაიკავეს პირველი ადგილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. გერმანიამ კი გაუსწრო საფრანგეთს და მესამე ადგილი დაიკავა შეერთებული შტატებისა და ინგლისის შემდეგ. უკვე XX საუკუნის დამდეგს გერმანიამ გაუსწრო ინგლისს და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში, ხოლო ევროპაში სამრეწველო წარმოების მხრივ მას პირველი ადგილი ეკავა.

ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის მოღვაწესთან — პაროლდ სტასენთან საუბარში ი. ბ. სტალინმა განმარტა უმნიშვნელოაწილის ისტორიული მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამერიკის შეერთებული შტატების სწრაფ განვითარებას. პირველი მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს 60 წლის განმავლობაში არ უმოწიათ და სარგებლობდნენ მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთით. ამერიკა დაუღლია ორი ოკეანეა. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება სუსტი ქვეყანა კანადა, ხოლო სამხრეთით-სუსტი ქვეყანა მექსიკა. შეერთებულ შტატებს შეუძლიათ არ ემორიდებოდნენ მათი ყოველივე ამან ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებული შტატების სწრაფ განვითარებას.¹

ახლა მოვეხილეთ, თუ რას ამბობდა ილია შვიდი თველი წლის წინათ.

ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩენია ევროპისას. სამაგვროდ ერის სიმდიდრე და ცვალებადობა ამერიკის შტატებისა იმდენად სუბილენს ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრთხილად წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმე-

დაი, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას".¹ თავის მრავალრიცხოვან სტატიებში, რომლებშიც ხილავს უცხოეთის შესახებ ილია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს. ამასთან მისი სიმშაბთები კაპიტალისტური ქვეყნების მიერ პოლიტიკურად და ეკონომიურად დამონებული, უფლებები და ჩაგრული ხალხების მხარეზეა. ილიას ბასტი კალაში მიმართულია დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც, ილიასივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კოლონიებს წერბელასავით სწოვენ, სარჩო-საბადებელს არ არჩენენ და სულ თავისაკენ თლიან“.

ილიას დამოკიდებულება კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიურ დამპყრობათა პოლიტიკისადმი განსაკუთრებით მკაცრი და ნათლად, ილიასათვის დამახასიათებელი გონებაშეხილობით არის გამოხატული მის სტატიაში „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“, რომელიც „ივერისი“ 1890 წლის 20 იანვრის ნომერში დაიბეჭდა.

ესპანეთის გვერდით, — ამბობს ილია ამ სტატიაში, — არის ერთი პატარა სახელმწიფო პორტუგალია. ეს დღეს პატარა და უღონო სახელმწიფო ერთ დროს დიდ იმპერიულ ყოფილა. ბევრი კოლონია აიწინა შორეულ ქვეყნებში, საცა კი მიაწვდინა თავისი ზომალი. ბევრმა ისტორიულმა მიზეზმა უკან დააყენა ეს ერთ დროს გაღონიერებული ქვეყანა და ჩვენს დროს იქამდე დაქვეითდა, რომ როცა ევროპის საქმეთა ამბილობა ასე თუ ისე ააწიოვებს ევროპას, პორტუგალიის სხუნებაც არსად არის ზოლმე: არც მისი მოყვრობაა ვისთვისმე სახარბიელო და არც მისი მტრობა საფიქრებელი. ერთი მუტა ქვეყანაა და ერთი მუტა ხალხი, და რა სათვალავსა და ანგარიშში მოსატანია ევროპისათვის, საცა მართო დიდ მუტებსა და მკლავსა აქვს ხმა და პატევი“.

შემდეგ ილია განიხილავს ინგლისისა და პორტუგალიის ქიშობას აფრიკაში და დასძენს:

„თვით ეს დავიღარაბა კი, რომელმაც ეს ამბავი გამოიწვია პორტუგალიაში მაგდენი არაფერია არც პორტუგალიის, არც ინგლისის სასახელოდ. ერთი კაცმა ჰეთხოოს ერთსაც და მეორესაც, ნეტა ვის ტაბლაზე ჩხუბობენ? იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებოდან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას. იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ, და რაო ჩემოო? რა თქმა უნდა, ერთმანეცა და მეორემაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორისავე ხელით ღმერთს მადლობას შესწირავენ, კარგად თუ ვეად ამ წუთისთვის თვითონ ვაძღვე-

¹ ჩანაწერი ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბრისა ამერიკის რესპუბლიკური პარტიის მოღვაწე პაროლდ სტასენთან. „კომუნისტი“, 1947 წლის 9 მაისი.

¹ ილია ჭავჭავაძე. დასახელებული თხზ., გვ. 445

ბიან, არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალთ ცსონებას არ ინდომებენ...

ამასთან დაეკვირვებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პორტუგალიელი კოლონიზატორები დღესაც სისხლში აზრანობენ ოთხას წლის წინათ მიტაცებული, ოდიღანვე ინდოეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილის — გოას პატრიოტების მოძრაობას თავის დედა-სამშობლოსთან გაერთიანებისათვის. ინდოეთი სიუპრემების მნიშვნელზე გმინავედა ინგლისის ბატონობის უღელ ქვეშ. ალია ქვეყნებზე წერდა, რომ ინგლისი, როგორც თავის ორი თვალის ზინს, ისე უფრო ხილდება არამტყუ მარტო ამ დიდ ინდოეთს, არამედ სხვა კოლონიებსაცო. მაგრამ ინგლისს ბევრი ტყვილი აქვს და ერთი ის აღონებს მას, რომ კოლონიები როგორღაც ვერ გმობიანდებიანო. ინგლისელი კოლონიზატორთა წინააღმდეგ ინდოეთის ხალხის ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლა ზვესს დროში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დაგვირგვინდა ინდოეთის სუვერენული რესპუბლიკის შექმნით. განთავისუფლებული ინდოეთი, რომელიც უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობაში, რასაკვირველია, ვერ შეუძრავდება პორტუგალიელ კოლონიზატორების ძველებურ თარეშს თავისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილში.

დიდად საინტერესოა ილიას თვალსაზრისი ჩინეთის შესახებ.

ილია ქვეყნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის უპრაოდში ჩინეთი იმდენად დამატუნებული იყო, რომ მწერალი იძულებული იყო ეთქვა: „ეს უბედური ჩინეთი, თუმცა ტანით და ხორციით ერთი რამ უზარმაზარი ექმანია, მაგრამ ეისაც კი არ ეზარება, ყველა ზედ მისევეა, ყურში ხელსაყრდებს და მავნესავით ციბრუტით ატარალებს.“

ჩინეთის ჩამორჩენისა და დაუძღვრების მიზეზი ის იყო, რომ იგი დიდხანს განიცდიდა მონღოლთა და მანჯურთა ურდობის ბატონობას, რამაც უდიდესი ზიანი მიყენა ქვეყნას, მნიშვნელოვანდ შეაჩერა მისი წინსვლა. XVII საუკუნინამ ევროპა თავს აღწევს ფეოდალურ ჩამორჩენილობას და მტკიცედ აღგება კაპიტალისტური განვითარების გზას. ინგლისში ხდება „სამრეწველო გადატრიალება“, ეთარდება სამანქანო ინდუსტრია. შემდეგ კაპიტალიზმი ფებს იკიდებს საფრანგეთშიც. ჩინეთში კი ამ დროს მიმდინარეობდა მიწის კონცენტრაცია მსხვილი ფეოდალების ხელში, ხელნუბედი რჩებოდა ფეოდალური წარმოების საფუძვლები. ევროპოური სისტემის ჩამორჩენილობას და სიამაშეს შეუდგენ მოქცეა ჩინეთის ფეოდალიზმის მთელი პოლიტიკური სისტემის სისუსტე და გადაგვარება. ჩინეთის ფეოდალური სახელმწიფოს არმია იმდენად სუსტად იყო ორგანი-

ზებული და შეიარაღებული, რომ მას დიდს გაკირებებით შეეძლო გლეხთა მოწყობის ჩაქრობა რომელაზე პრაიონტუალურად უკეთესი სესეებით უძღვრი იყო გამჯაჯებოდა ევროპის რთმელნიმ ქვეყნის თუნდაც მცირე არმიას.

წერილში „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“ ილია ქვეყნებზე აღნიშნავდა:

„ევროპა ზედვს ჩინეთის სისუსტეს, „სინედუ კაცად“ ახლა ჩინეთი გადაიქცა. რადგანაც მოსალოდნელოა, რომ ეს უზარმაზარი შორაღმოსავლეთის სახელმწიფო თვისმა სისუსტემ და უძღვრებამ თან გადაიტანოს, ყველას უნდა წინათვე როგორმე ფეხმოსადგებელი ადგილი დაიჭიროს ჩინეთში, რომ როცა დრო მოვა, ახლი იყოს — დიდი ლექმა თითონ მოითალოს და სხვამ არ დასწროს. გვამანია, რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია — ეხლა იმის ცდაში არიან, რომ იქ, ჩინეთის საზღვრებზე, ზღვიდან ჩინეთში შესავალი ადგილი ხელთ იგდონ ყოველ ანაზღველად მოსალოდნელ შემთხვევისათვის. ამა უზარმაზარი, მაგრამ უღონო ჩინეთი რას გაუძლებს ამას ზედ — მოსევას, და სხვა არა დარჩენია რა, რომ ყველას დღესაც საკმაო ლექმა მიაწოდოს. სწორედ ესე იქცევა დღეს ჩინეთი, მაგრამ თუ ამტკიცებს რაზე, ისევე ის, რომ ზედ — მისედუ სახელმწიფოებს ერთმანეთისათვის შერთ ყოველივე, რასაც ძალმახილილი ჩინეთი ძალუნებურად აწუდის, ოღონდ დამეხსენით და სხვას ნერას წიატანთ ზესაო.“

XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩინეთს გაუჩნდა ახალი სამიში მტერი იაპონია. 1872 წელს იაპონიამ დაიპყრო ეუნძულები რიუიუე, ხოლო 1877 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად სცადა ეუნძულ ტოიანზე შეებრა, მაგრამ ევროპის სახელმწიფოებმა, პირველ რიგში კი ინგლისმა, რომელსაც თვითონ ეებრა თვალთავისიყენ, იაპონია აიძულებს უკან დაეხია.

70-იან წლებში იაპონია ცდლობს თავის გავლენას დაეშორილოს კორეა და ეიდუც აზერხებს ამას. 1876 წელს იაპონიამ არათანასწორ უფლებიანი ხელშეკრულება დადო კორეასთან და შეუდგა ჩინეთთან ომისათვის შზადებას.

ამან როდესაც შოალატე ფეოდალი მმართველები უსრდისით ჰყიდდენ ჩინეთის მიწასწალს, ჩინელი ხალხი არ წყვეტდა თვდაღებულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ილია ქვეყნებზე მშერეად თანაგრძნობდა ჩინელი ხალხის ამ ეთილშობილურ ბრძოლას, რომელსაც ჩვენს დროში შეუდგად მოკცეა ანტიიმპერილისტური და ანტიფეოდალური რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში.

იმპერიალისტური ჩაგვრის პოტიკლებს სამე-

დამოდ დააღწია თავი მსოფლიოში ყველაზე მსხველმისა ნახევარდკოლონიზაციაში, მოსახლეობას მხრივ მსოფლიოში ყველაზე დიდმა სახელმწიფომ. ჩინეთის აერაცხელი ადამიანთა და მატერიალური რესურსები კაპიტალიზმის რეზერვად სოციალიზმის რეზერვად ვადაიქცა, ენაერთი საბჭოთა კავშირთან ერთად ჩინეთი მშენებლის, დემოკრატიის და სოციალიზმის დიდი ბანაკის ერთ-ერთი წამყვანი ძალა გახდა.

ევროპის ცალკეული სახელმწიფოებისადმი მიმდინარე სპეციალური სტატეგისა და საერთო-პოლიტიკური მიზნობრივებში ილია ჭავჭავაძე ახასიათებს ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფოების ისტორიულ-ეკონომიკური განვითარების პროცესს, მათს საშინაო და საგარეო ცხოვრებას, ამ სახელმწიფოთა ურთიერთ წინააღმდეგობებს და ბრძოლას საერთაშორისო სარბიველზე კოლონიების დაპყრობისათვის, საქონლის გამსაღებელი ბაზრებისათვის.

ევროპა ველარ იტეეს სიმრავლეს საქონლისა და ერთმანეთში გაძლიერებული ცილობაც ხელს უწყობს. ევროპის ვიწის გასახსნელად, საქონლის გასასაღებლად სხვა უფრო შორეული ქვეყნები ღიაა, ნამეტნავად ის ქვეყნები, რომელთაც ზღვა იქვთ შესავალად. ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები აზიასი, მთელი აფრიკა, სამხრეთი ამერიკა და სხვანი — სულ კვი ლეჟმა საქონლის აღებ მიეკმობისათვის. ბოლოს დროს ასე გაუქორა საქმე სხვა სახელმწიფოებსაც ამ საქონლის უმუშტრობამ, რომ საფრანგეთში, გერმანიამ და იტალიამაც — კი საყოლონო პოლიტიკას ჩაქვიდეს ზელო მაგრად და ამ სახით ზღვათა მფლობელსა ინგლისს მოცადედ გაუზღენ¹ — ამბობს ილია.¹

თავის წერილებში ილია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ვასელი საუკუნის 70 — 90-იან წლებში ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიზნობრივს. ეს ის პერიოდია, როცა ინგლისი თანდათან ჭკარგავდა მონოპოლიის მრეწველობას და ვაჭრობასში. მსოფლიო ბაზრებზე იგი შეეპიროეს უფრო ახალგაზრდა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა — გერმანიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მაგრამ ეს უდიდესი კოლონიური იმპერია კვრ კიდევ მთლიანად ინარჩუნებდა თავის მონოპოლიას კოლონიებსა და ზღვებზე და მთავარ როლს ასრულებდა მსოფლიოს განაწილებისათვის ბრძოლაში. თუ 1860 წლისათვის დიდი ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოები მოიცავდნენ 6.500 ათას კვ. კილომეტრ ტერიტორიას 145 მილიონი მოსახლეობით, მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის მისი კოლონიების ტერიტორია შეადგენდა 30 მილიონ კვ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 390 მილიონ კაცს.

ილია ასე ახასიათებს ინგლისის კოლონიური იმპერიის ზრდის პროცესს: „ინგლისი, შოტლან-

დიით და ირლანდიით, ევროპისაგან მოწყვეტილი უშველაველი ქენძელია. იმსერ [შესვლელი] და ვასავალი ოთხსაე ქუთხივე [ქვეყნები] მისი მფლობელობამ ინგლისის საგარეო ისტორია ისე წარმართა, რომ ზღვით და ზღვებით უნდა ვეპოვარა. ამიტომაც როცა შინ ცოტადუნდა მაინც ფრთხილ შევისსა, მამინვე საყოლონო პოლიტიკას დაადგა. თუმცა აქ მოცილენი გაუჩინდნენ, მვალითებრ ისინია, პრრტეგალია და შოლანდია, და ამა მოცილეთა არა ერთხელ დასაწრეს ზღვის პირების დაქვარა აზიასა, აფრიკასა თუ ამერიკასი. მაგრამ ინგლისმა იმოდენა დიდ ლეჟმა მოიგდო ხელში რომ ზღვათა მფლობელად დღესაც საამართლიანად იწოდება“.¹

„მოგვხსენებთო, — ამბობდა ილია, — ინგლისს მართავს ორი დიდი დასი, ვიგებისა და ტორთებისა. (ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები დ. შ.) ინგლისის სეე-ზედის გამგებელი და მმართველი პარლამენტია, რომელშიაც ინგლისის ერს თავისი წარმომადგენლენი ჰყავს არჩევიანითა. ეს ორი უდიდესი დასი, რომელთაც ხელთ უყვრია თითქმის მთელი ინგლისის სეე-ზედის წარმომადგენლობა, ერთ მეთრეს ებრძვის ზოლმე იმ ანგარიშით, რომ პარლამენტში ერთმა მეორზედ მეტი მომხრე იყალონ, ერთმა მეორზედ მომეტებულად თავისი კაცები დასყავს. ინგლისის ერი ამ დასების მოძღვრების მიხედვით თითქმის ორ თანასწორ ბანაკად არის გაყოფილი“².

XIX საუკუნის მანერულში ინგლისის ბურჟუაზიამ, რომელიც თანდათანობით კარგავდა თავის საეპრო-სამრეწველო მონოპოლიას, უკუაგდო ლიბერალიზმისა და თავისუფალი კონკურენციის ტრადიციული დოქტრინა. დიდად დასუსტდა პოპიციები ლიბერალური პარტიისა, რომელსაც წინაა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. ბურჟუაზიის ზედათენა ვადაბარგდა კონსერვატიული პარტიის ბანაკში.

ილია დიდ ყურადღებას უთმობდა ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის საკითხს, რომელსაც „ივერიის“³ ფურცლებზე მიუძღვნა ზუთი სტატია და მიმოხილვა.

საქმე იმაშია, რომ ვასელი საუკუნის 70-80-იან წლებში ირლანდია განიცდიდა აგრარული კრიზისის მძიმე გავლენას, რასაც შედეგად მოჰყვა ირლანდიის გლეხობის კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა. გამწვევად ბრძოლა ლენდლორდებსა, მსხვილ ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის მუშათა შორის. ამასთან ერთად ინგლისის პარლამენტში ოპოზიციური მოღვაწეობა გააძლიერეს ირლანდიის ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, რომლებიც მოითხოვდნენ ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში ირლანდიის თვითმმართველობის, პარლამენტისა და მთავრობის შექმნას.

¹ იქვე, გვ. 464
² იქვე, გვ. 546

¹ იქვე, გვ. 464.

ინგლისის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა უილიამ გლადსტონმა (1809-98), რომელმაც კარვად იცოდა, რომ მარტო რეპრესიებით არ შეიძლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაქრობა ირლანდიაში, ბლოკ შეკრა ირლანდიის ლიბერალების ლიდერ პარნელთან. თუ ირლანდიის წარმომადგენლები მსარს დაუპირდნენ ლიბერალურ პარტიას ინგლისის პარლამენტში, ინგლისის ლიბერალური მთავრობა თავის მხრივ პარლამენტში მიიღებდა კანონს ირლანდიისათვის თვითმმართველობის მიცემის, — ე. წ. გომპრულის შესახებ.

აი, როგორ ხსნის ილია ამ შეთანხმების მიზეზს:

„პარლამენტი თითქმის ყოველთვის ისე შემდგარი, რომ ერთი დასი შეორეხს ცოტათი სჭარბობს. ამისთანა გარემოებაში, — პარლამენტი, თუ შესაძებ რაიმე დასია, თუნდ რიცხვით თერთუღს ზემოხსენებულ ღიღს დასზედ მცირეა, ვესაც ეს შესაძებ დასი მიემსრობა, იგი მხარე დასძლევს ხოლმე, და ასე გამოდია, რომ ინგლისის სეე-ბედელ იმ შესაძებს, რიცხვით მცირე დასზედ დამოკიდებულა. ამისთანა დასი დღეს ეგრეთწოდებულა პარნელის დასია ინლისის პარლამენტში, ესე იგი ირლანდიელთა დასი, რომელსაც სულ 86 კაცი ჰყავს.

...ესე გარემოება მით უფრო საფრთხილოა და საფრთხეელი, რომ 86 კაცი ირლანდიელი ინგლისის პარლამენტში ისე მოქმედებენ პარნელის ბრძანებისამებრ, როგორც ერთი კაცია... რა თქმა უნდა ინგლისის უკეთესნი შორამჭერებლნი კაცნი თავისნი ქვეყნის სეე-ბედესა ასე ადვილად არ გახდინდნ სთამამოდ 86 კაცის ზელში. აი იგი მიზეზი, აი იგი საბუთი, რომლის ძალითაც ილიამ გლადსტონმა, მოსურვა რა მიანემომ ირლანდიას საკუთარი პარლამენტში სეპიროდ სენა საერთო საიმპერიო პარლამენტში ხმა და წარმომადგენლობა აღარ მიეცა“¹.

1886 წელს გლადსტონმა პარლამენტში შეიტანა პროექტი კანონისა გომპრულის შესახებ. ამან გამოიწვია განხეთქილება ლიბერალური პარტიის შგნით და თვით გლადსტონის მთავრობის დაცემა. გომპრულის მოწინააღმდეგეები, ჯოზეფ ჩემპერლინის მეთაურობით, რომლებმაც ცალკე ფრაქცია შექმნეს, შედგომ კონსერვატიულ პარტიას შეუერთდნენ. კანონპროექტი გომპრულის შესახებ უარყოფილ იქნა. ამის შემდეგ მთავრობის სათავეში მოექცია კონსერვატორების მთავრობა სოლსბერის მეთაურობით. 1893 წელს გლადსტონმა შეორეგერა შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი გომპრულის შესახებ. თუმთა პალატამ ვაი-ვაგლახით მიიღო იგი, მაგრამ ლორდთა პალატამ ცალკე უარჰკყო.

როგორც ცნობილია, ირლანდიაში მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობით დამფრთხალმა ინგლისის

მთავრობამ, რომლის სათავეში იღვა ასეკტი, 1912 წელს მესამეჯერ შეიტანა კანონპროექტი ირლანდიის უმრავლესობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი ბრიტანეთის პარლამენტს უფლება ჰქონდა აეკრძალა ირლანდიის პარლამენტის ყოველი იერიისქიება და აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად ჩაეზოდა ბრიტანეთის შეფის მიერ დანიშნულ ლორდს — მეფისნაცვალს, ლორდთა პალატამ ორჯერ უარყო და დიდი ბრძოლის შემდეგ მიიღო მხოლოდ 1914 წელს.

საყურადღებო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ილიას გერმანიის შესახებ. „გერმანია, — ამბობს იგი, — რომელმაც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბატონობა დაიწემა ვერაიის საქმეებში, დიდი ხანია შემდგარია — თავისი გამოხეული მხედრობა უფრო გააძლიეროს, და ეს საქმე უჩუქრად ისე მიჰყავს, რომ ძიღს და მოსვენებას უფრთხობს მოსაზრებებსა“².

გერმანიის იმპერიის შექმნამ მართლაც გააძლიერა პრუსიის მილიტარიზმი. „გერმანიამ ისე მოაწყო თავისი საქმე, — განაცხობს ილია, — რომ როგორც ამბობენ ორ კვირახედ თუნდა ერთ მილიონ ჯარს გამოიყვანსო, კარვად გამოეხეობს, კარვად შეთოფ-იარაღებულსა, და ასეთს სამხედრო შტაბს და გენერალთას, თუ იფიქრობას წარმოადგენსო, რომ ვერობაში მისი ბიდალი არსად მოიპოვებია“³.

გერმანიის ასეთი გაძლიერების მიზეზს ილია მმართლთანად ზედაეს პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ გერმანიის გაერთიანებაში, რომელშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბისმარკს. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბისმარკმა გააქეთა თავისებურად, თუნდაც უმრავლესობის ცნობდა ამას. ენგელსი კერვად პრუსიისეული ისტორიული საქმე. გერმანიის გაერთიანება იტყილებული იყო, მარქსი როგორც 1848 წლის რევოლუციის წინ, ისე მის შემდეგ ყოველთვის ცნობდა ამას. ენგელსი კერვად 1859 წელს გერმანელ ხალხს პირდაპირ მოუწოდებდა ომისაკენ გაერთიანების გულისათვის.

„როდესაც რევოლუციური გაერთიანება ვერ მოხდებდა, — წერდა ლენინი, — ბისმარკმა ეს გაიანობრცივდა კონტრარევოლუციურად, იუნკრულად“⁴.

ბისმარკი ცდილობდა დაესუსტებინა აესტრია და საფრანგეთი, რომლებიც წინ ელიბებოდნენ გერმანიის გაერთიანების საქმეს.

სამხედრო ძალით გერმანიის ანტიდემოკრატიული გაერთიანების გზაზე პირველი ნაბიჯი იყო ომი დანიასთან 1864 წელს, რომლის შედეგად პრუსიამ აესტრიასთან ერთად დანიის შლეზვიგ-ჰოლშტაინი წართთა. აესტრია-პრუსიის ომში აესტრიის სწრაფად განადგურების შემდეგ 1867 წელს შეიქმნა ჩრდილო გერმანიის კავში-

¹ იქვე, გვ. 456.
² იქვე.
³ ე. ი. ლენინი, ოხზ. ტ. 21, გვ. 130.

¹ იქვე, გვ. 547.



რო პრუსიის მეთაურობით. მოზარდებელი დიპლომატიური მანერით ბისმარკმა შეძლო საფრანგეთის იზოლირება და 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ შეძლო გერმანიის გაერთიანება.

მოუწმინოთ ახლა ილიას:

„ბისმარკი მეტად მოზარდებელი კაცი; საქმეს ისე მთავრებს ხოლმე, რომ როცა ერთის მტრის, თუ მოპირდაპირის გათახსილება უნდა, მეორე მტრის თუ მოპირდაპირის, გამოეგობრებებს ხოლმე, და პირველს რომ ანდობს. ანდობს, ვხლა გამოეგობრებულს დაეკავება და ტყვეობს აბრძობს.

დანიანზედ რომ გაიღწერა, თავისი მტერ-მოყვარე ავსტრია მოიშველია, ჩამოართვა დანიას შუგვიან-გულშტრინა და ავსტრიას პირში ჩილა გამოავლო. ეს კიდევ არაფერი, ეს რომ გამარჯვინა ავსტრიისათვის, ვინ რას იტყოდა. მოტბორუნდა ახლა ავსტრიას, ცხვირპირი შეიღწევი, გამოდევნა გერმანიიდან და პირი აღმოსავლეთისაკენ აქნევინა. საფრანგეთში, თუქმა მაშინ ბალკან აუშეო, მაგრამ ბისმარკმა მოატყუა: შენ დამავალე, ერთი ავსტრიას მოვრჩეო, და შენც შენას გარგუნებო. რასაკვირველია, არა არგუნა რა და, თუ ვნებათ, არგუნა კიდევ. ავსტრია, რომელსაც დიდი ინტერესი ჰქონდა, რომ პრუსია ისე არ გაგარტყლებულყო, აუე შეკავებდა ისე დამამარცხა ბისმარკმა, რომ კონტრე ვერ დასძრა, როცა ბისმარკმა თავისი ძლევამოსილი ჯარი მიუსია საფრანგეთსა. რუსეთსა და იტალიას კი მაშინ აღუტყვა, რომ ოლონდ თქვენ ხელს ნუ შემიშლით და შენ, რუსეთო, პარიზის ხელშეკრულება, რომელიც შენთვის ასე მავნებელია, და რომელსაც ნაპოლეონ III ასე მაგრად ინაჩავს შენს საწინააღმდეგეთათო, დახიე და ეცეხლს მიეციო, და შენ იტალიევ, შენი დიდი ხნის წუერეილი მოიკლ და შენი ხანატრელი დედაქალაქი რომი დაიჭირეო, ეს რომი რომელსაც იგივე ნაპოლეონ III არ განაგებსო. ვუღანი ასე მოთათბირა, თითონ საფრანგეთი ეალე გაავლო, მიწასთან გაასწორა, ორი ლახათიანი პრივივიცია ჩამოართვა, გერმანია გაერთო, და რუსეთში პარიზის ხელშეკრულება გაიქცა, იტალია რომი დაიპყრა“.

ბისმარკი თავის ძირითად მიზანად თვლიდა არ დაეშვა გამარტყელი საფრანგეთის მიერ სარკვანაო ომის მოშალება და გერმანიის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კოალიციის შექმნა. ბისმარკი იმით იყო დაინტერესებული, რომ საფრანგეთი რაც შეიძლება ღრმად ჩიფლადიყო კოალიციურ ომებში, რითაც გერმანიის საშელება მიეცემოდა თავისუფლად ეთარქმა ევროპის ქვეყნებში. არც ეს მდგომარეობა გამორჩა მხედველობაში ილიას, რომელიც წერდა:

„ბისმარკი ძალიან ხელს უწყობდა საფრანგეთსა, ოლონდ მე კი თავილი მომპირდა და ხელს გინდა ფეხი გაიღვიო. საფრანგეთი კი ვერც ტენის წაელო ხელი, პატრონობა დაიჩივია და ამით ძალიან მოიძიდრა თავისი თითქმის მუდამი მოყვარე იტალია, რომელსაც თავისი საბუთი ჰქონდა ტენისის დაქვერისა. ეს რომ გაათავა, ტონკინისაკენ გაიწია საფრანგეთმა, ბევრი ანაცვალია ტონკინს ფელი, თუ კაცი, და აქაც ამის გამო ერთი დაძინებელი მტერი აიჩინა — ჩინეთი: ბისმარკს ჯერ ეს მტრების აჩენა უხაროდა და მერე საფრანგეთის ასე შორს გატყუება და გამბა. ახლა ევროპის საქმის გამო სადაამალე გუტყვია კინკლაობა საფრანგეთს ინგლისთან და იქამდე მიიღწია, რომ ერთმანეთზედ გული კარგად საგრძობლად გაუგრილა“.

საფრანგეთის ისტორიული განვითარების სრულ შესაბამისად ილია შენიშნავს, რომ ეს ქვეყანა 1870 წლამდე (ე. ი. საფრანგეთ-პრუსიის ომამდე დ. მ.) სათავეში ედგა ყველაფერს ევროპაში და მის სიტყვას ყველა მოწიწებით და რადიტი ისმენდა. ახლა კი დიდი გულისტკივლით გაიფურება რეინისაკენ და გერმანიისაკენ წართმეულს ელზას-ლოტარინიის გასტრიონსო. საფრანგეთმა ვერც იმისთანა მომხრეები იშოვა, რომ მათის იმედით გამკლავებოდა გერმანიას და ჯავარი ვყარა, და ვერც მარტოკამ ოგრძნო თავი ესოდენ ღონიერად, რომ სადავიკროს გადახდის სურავლი მოეკლაო.

როგორც ცნობილია, შემდგომში, 1914—1918 წლების პირველი მსოფლიო ომის შედეგად ელზას-ლოტარინგია საფრანგეთს დაუბრუნდა. ილია ესეხა საფრანგეთის რესპუბლიკის შინაურ მდგომარეობას, ბრძოლას მონარქიულ და რესპუბლიკურ პარტიებს შორის, მთავრობებისა და მინისტრების განუწყვეტელ ცეცხლბაღობას, რაც ესოდენ დამახასიათებელია დღევანდელი საფრანგეთისთვისაც.

პრეზიდენტისა და უფრო ხშირად სამინისტროების დაუღვარობობას და ხანმოკლეობას საფრანგეთში მიზეზად ისა აქვს, რომ პარლამენტი და სენატი უმთავრესი გამგებელი საქმისანი — იძულებულ არიან წაჯექ-უთუჯექობით იმოქმედონ, ერთი ფეხი რომ წინ გადადგან მეორე უსათუოდ უკან“.

ეს სიტყვები, რომლებიც ილიამ თქვა 1895 წელს, პირდაპირ შეეფარდება დღევანდელი საფრანგეთის მდგომარეობასაც. სწორედ საფრანგეთის რეაქციული მმართველი წრეების „წაჯექ-უთუჯექობის“ პოლიტიკის შედეგია ის, რომ საფრანგეთმა დაკარგა მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს მდგომარეობა და ამერიკის შეერთებული შტატების უმცროსი პარტნიორად, მის მანჩისლად გადაიქცა.

ახასიათებს რა XIX საუკუნის ში-იან წლე-

1 ილია ჰამბაშვილი, დასახელებული ომხ. გვ. 477.

1 იქვე, გვ. 463.

2 იქვე გვ. 568.

ბის მიწერულში საფრანგეთში შექმნილ პო-
ლიტიკურ კრიზისს, რაც სამრეწველო და სა-
სოფლო-სამეურნეო კრიზისის გამო წერილი
ბურჟუაზიის გავლატების შედეგი იყო, ილია
წერს:

„საფრანგეთში თავი იჩინა ბულანკოზამ და
ღამის ერთი კვი ვი-ვაგლახი ასტების შინვე
და ერთისა და იმავე ქვეყნის შვილი ერთმანეთს
დაატყოს. ვაუსინგეთი გული ამ ბულანკოზას,
ის მრავალგვარი ნაქვეყნები შემოაცალეთ და
ღამანახეთ, რომ მახეზი მისი მოვლენისა და
შერე ვალოჩებებსა მარტო ის არის, რომ ერს
ველარ აუტანია დღევანდელი ყოფა. სიმძიმემ
დღევანდელს ღღისამ შეპტუთა ქვეყანა, არა-
ქითი გამოცალა, რა ჩად გვიყვარს, რომ ბირ-
ველ ჩხავანა კატას, რომელსაც ეი შეხვდა,
ჩაველი ხელი, ამა თავეს ეს დაგვიყვარს“.¹

ილია გამომეხატრა აგრეთვე მეორე დიდ მოვ-
ლენა: საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაში —
დრეიფუსის საქმეს, რომლის შესახებ წერდა,
რომ ამ საქმემ „ღამის საფრანგეთში მშათა
შორის სისხლი ჩამოაფდოს და ერთი ნახევარი
საფრანგეთისა შერაცხ დაჯგანოს ერთმანეთის
საეღვტად“.²

საქმე დაიწყო იმათ, რომ 1894 წლის სექტემ-
ბერში საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მერ-
სიემ გენერალური შტაბის ოფიცერს, გროუნე-
ნით ეზრაცეს, აღფრედ დრეიფუსს (1859—1935)
სრულიად უსაფრთხოოდ ბრალი დადი გერმან-
იისათვის კიდულყო სამხედრო დოკუმენტე-
ბის მიყიდვაში. სამხედრო სასამართლომ, მიუ-
ხედავად იმისა, რომ ამ ბრალდების დასამტკი-
ცებლად არავითარი საბუთი არ გაჩნდა, დრეი-
ფუსს სამუდამოდ კატორღა მოუსჯდა. დრეი-
ფუსის დასჯა რეაქციულმა წრეებმა გამოიყუ-
ნეს ანტიდემოკრატიის გასაღივებლად, რესპუბ-
ლიკური რეჟიმისა და ელემენტარულ დემოკ-
რატიულ უფლებათა წინააღმდეგ იერიშის მი-
სახანად.

1896 წელს გამომქლანდა, რომ საიდუმლო
დოკუმენტები გერმანიას მიყიდა არა დრეიფუს-
მა, არამედ შტაბის ოფიცერმა ესტერგაზიმ.
იმის გამო მთელ საფრანგეთში აზვირთდა პო-
ტენტის ტალღა სასამართლოს უკანონო გან-
ჩენის წინააღმდეგ.

განთქმულმა ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ
რესპუბლიკის პრეზიდენტს ფორს მიმართა ღია
წერილით, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „მე
ბრალს ვღებ“.³ ზოლა ბრალს სდებდა სამხედრო
სამინისტროს, გენერალურ შტაბს და სამხედრო
სასამართლოს — იმაში, რომ მათ შევცნებულად
დასაჯეს უდანაშაულო ადამიანი, ზოლო ნამდ-
ელი დამნაშავე კი გაამართლეს. სამხედრო
ბრემამ ამ გამოსვლისათვის ზოლას ბრალი დადი
არმიის შეურაცხყოფაში და მიაღწია იმის, რომ

სასამართლომ მას ერთი წლის პატიმრობა მიე-
საჯა. მაგრამ ზოლამ ინგლისში წასვლით თავი-
დან აცილდა ეს სასჯელი.

1899 წელს პრეზიდენტმა მარტიმორიზმის გან-
თავისუფლა დრეიფუსი ზოლო 1906 წელს იგი
საესენით გაამართლეს და არმიის აღადგინეს.
დრეიფუსის საქმე კაპიტალიზტური წყობილუ-
ბის სიღამპლისა და ბურჟუაზიული სახელმწი-
ფო აპარატის გაღაგეარების ერთ-ერთი გამოვლ-
ნება იყო

თავის წერილებსა და მიმოხილვებში უცხოე-
თის შესახებ ილია ეხება ინგლის-საფრანგეთის
ინტერესთა შეჯახებას კოლონიურ დაკარბთ თ-
თაობაზე. 1898 წელს ილია აღნიშნავდა, რომ
ვერპოის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებისა სე-
ლი დღეს აფრიკაში გააბნა და არაიენ იყოს
ღამირისპირება და შეჯახება ამ ინტერესებისა
რას მოავლენს შერპისსა.

აფრიკის განწილებასთან დაკავშირებით 1898
წელს კონფლიქტი აღმოცენდა ინგლისსა და
საფრანგეთის შორის ფაშოდამო. „მართალია,
ფაშოდამო თავის თავად დიდი არაფერია, — წერდა
ილია, — ერთი რაღაც სოფლის მსგავსი უხეირო
ქალაქია თუთრი ნილოსის ვენძელზე. მაგრამ
დიდ მნიშვნელოვანია, ვითარცა სადღერი წარდ-
ლო აფრიკიდან მიმავალსა სამრეგოთისაკენ და
აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ“.⁴

სულდამი ინგლისი ცდილობდა დავებო ნი-
ლოსის მთელი ხეობა ზოლო საფრანგეთი, რ-
მელიც თავის მხრივ დაინტერესებული იყო
ეკუატორულ აფრიკაში თავისი კოლონიური
სამუღბლოების გაფართოებით, მიისწრაფო-
და ნილოსისაკენ, რითაც შეაერთებდა თავის
კოლონიებს ცენტრალურ აფრიკაში. 1898 წლის
19 სექტემბერს ინგლის-ფრევიტის ჯარები კატ-
ნენერის მეთაურობით მიეახლოდნენ ფაშო-
დას, მაგრამ აქ დახედით საფრანგეთის ჯარ-
ბის რაზმი კავიტან მარშანის მეთაურობით.
ინგლისის მთაურობამ ულტრატიტის ფორში
მოთხოვა საფრანგეთისაგან მარშანის რაზმის
გაწვევა. ინგლისის ომი საფრანგეთთან ბეწზე
კდიოა, — აღნიშნავდა ამის გამო ე. ი. ლენინი.

საფრანგეთის მთაურობა შეშობდა, რომ ინ-
გლისსა და საფრანგეთის ომით ისარგებლებდა
გერმანი და თავს დაესხმოდა საფრანგეთს. ამ
არახელსაყრელი სავრთაშობისო ვითარებრს გა-
ში საფრანგეთი იძულებული იყო დეტში და
გამოეყვანა თავისი რაზმი ფაშოდადან. „ფაშო-
დაზე ხელი დაამანა ინგლისმა საფრანგეთს და
ცალოერ მექარის დამარცხებული იქიდან გამო-
აძევა“ — დასძებდა ილია.⁵

ილია ქვეყანის მოღვაწეობის დროს ევრო-
პის ხუთი დიდი სახელმწიფოდან ერთ-ერთი
პირველხარისხოვანი სახელმწიფო იყო ავსტრია-
უნგრეთი, ამიტომ, ბუნებრივია, ილიას ნაწე-

¹ ილია ქვეყანაზე, დასახელებული თხზ. გვ. 443.
² იქვე, გვ. 525.

³ იქვე, გვ. 530
⁴ იქვე.

რეში უკროვანი ადგილი აქვს დათმობილი ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ანალიზს.

ეს სახელმწიფო, რომელიც მდინარე ლეიტის ხაზზე გაყოფილ იყო ორ ნაწილად—ავსტრიისა (ესპერანია) და უნგრეთის (ტრანსლევანია) სამეფოებად, წარმოადგენდა სხვადასხვა ერების კონგლომერატს. ილია წერდა, რომ ავსტრიის ბედმა არგუნა და შინაურ საქმედ გაუხადა ერთი რთული და მეტად მძიმე საქმე: სხვადასხვა გვარტომობის ერის მოთავესება ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ისე, რომ არც გვარტომობის ენის რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა. მაგრამ, „დღევანდელმდე კაცობრიობა თითქმის დარწმუნებულია, იქვე შეინიშნავდა ილია, რომ თუ ერთმა გვარტომობის ერმა შეარჩევს არა უკლები, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შექმნელებლია“¹.

ილიას ეს სიტყვები შესანიშნავად გამოხატავს კაპიტალისტური სახელმწიფოების შინაგან ბუნებას. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულია და წარმართულია გაბატონებული ექსპლოატატორული უმცირესობის დასაცავად. ექსპლოატატორული კლასი ცდილობს დაიმოწინოს და გააძლიეროს ხალხები არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ უცხო ქვეყნებში; საერთაშორისო მასშტაბით. ხალხთა ფართო მასების უფლებობა, მათი უღმობელი ექსპლოატაცია, ერთი ერის გაბატონება მეორეზე — აი არა ამოპარავებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

სწორედ ასეთა სახელმწიფოს კლასიკური მაგალითი იყო ავსტრია-უნგრეთის კონსტიტუციური-პიროკრატიული მონარქია. ხელგუნდრად შეკაწიწებულ ავსტრია-უნგრეთის დეალისტურ სახელმწიფოში სხვადასხვა ერების ბრძოლას დამოუკიდებელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ილია ახსიათებდა როგორც ავსტრიის შინაურ ტყვეობს. ჩვენი დღევანდელი მგოსანი წერდა, რომ ეს ტყვეობი მოელს აგებულებაში აქვს გამყდარი ამ ახელმწიფოს და ისეთი ძნელი ტყვეობა არის, რომ შესაძლოა ავსტრია სულ თან ვადალიტანოს თუ რიგინი წამალი ვერ მოღებებდა.

როგორც ცნობილია, ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფომ ვერ გატეხა ამ ტყვეობს და პირველი მსოფლიო ომის შედეგად ხუბელასაგით დაიწერა. სხვათაგანად არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ყველა და ყოველგვარ განსაცდელს შეუძლია გაუძლოს მხოლოდ სოციალიზმის პაზაზე წარმოშობილია მრავალეროვნებასა-სახელმწიფომ. მარქსიზმი ვეასწავლის, რომ სოციალისტური წყობილების დამყარება ძირუხვებთან შეცვლის არა მარტო ადამიანთა ურთიერთობას ყოველ ცალკე აღებულ ქვეყანაში, არამედ ხალხთა ურთიერთობასაც.

„იმდენად, რამდენდაც მოისობა ერთი ინდი-

ვიდუების ექსპლოატაცია მეორის მიერ, მოისობა ერთი ერის ექსპლოატაცია მეორეს მიერ.

ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის უფრო ცემისთან ერთად დაცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი“².

დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ილია იტალიის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან ნ. გ. ჩერნიშევსკისთან და ა. ი. გერცენთან ერთად იგი აღფრთოვანებით შეხვდა იტალიის გაერთიანებას, რომელიც 1870 წელს დამთავრდა.

„იმოდენა მივალითი ახვანებისა, დიდსულოვნებისა, თავდადებისა, — აღნიშნავდა ილია, — რამოდენაეც იტალიის გმირთ გამოიჩინეს თავისი ქვეყნის გაერთიანებისათვის, ბევრს სხვა ერს არ გამოუჩენია. მრავალმა გამოჩინილმა კაცმა იტალიისამ თავი შეაყლა, მრავალმა თავისი საყოფარი ბედნიერება მტლად დაუღო ამ დიდს საქმეს შეერთებისას და მათმა ლეწლმა და თავის საშობლოსათვის დაქვეულმა სისხლმა ამაოდ არ ჩაუბათ. დღეს იტალია გაერთიანებულია და კარგა მოზრდილს სახელმწიფოს შეადგენს. თვით იტალიელთა თავმოსაწინებელსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ხმის მქონებელსა“³.

იტალიის სახალხო გმირს და რევოლუციონერ დემოკრატის ბელადს უკრუხე ვარიბალდს (1807 — 82), რომელმაც უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინა მრავალრიცხოვან ბრძოლებში იტალიის გაერთიანებისათვის, ილია უწოდებდა „მხალს იტალიისს“.

ილიას მსუფვეტობიდან არ გამოჩენია აგრეთვე ევროპის მკითხე სახელმწიფოები, როგორც არიან, მაგალითად: პოლანდია, ბელგია, შვეიცია, ნორვეგია, შვეიცარია, დანია. მხოლოდ ცხოვრებას ამ ქვეყნებისასა, — წერდა ილია თავის მიმოხილვაში „ევროპა 1885 წელს“, — აზრდობს ერთი შიში, რომ ერთმა რომელიმე ბობოლა სახელმწიფომ თავისი ხარბი ყბა არ დააღოს და მათი გადაყალბა არ მოიწადინოს, როგორც სვავია ბელუტა ჩიტისო.

ილია განსაყურებით ხაზს უსვამდა ბელგიისა და პოლანდიის მდგომარეობას, რომლებსაც „გვერდები დიდი დევნით უწევანან, შერე ისე, რომ შუაში არც უღვა უღვეთ, არც უზარმზაზა მოები. ერთის ლაზათიანად პირის დაღების მეტი არ არის საჭირო: ერთიც და მეორეც შარშანდელი თოვლივით აშრებიან“⁴.

ილია სისტემატორ მიმოხილვას უყვებოდა ევროპე წოდებულ „აღმოსავლეთის საკითხს“, რომელიც დავაუმობებელი იყო ოსმალეთის ფეოდა-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, გვ. 74.

² ილია შავშავაძე, დასახელებული თხზ., გვ. 471.

³ იქვე, გვ. 575.

ღერ დესპოტური იმპერიის პოლიტიკური ძლიერების დაკემსთან და დიდი სახელმწიფოების ზრდოსთან ოსმალეთის იმპერიის გამკვიდრების დასაპატრონებლად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, წინა აზიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში.

„იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი? — აღნიშნავდა ილია, — იმ უმთავრესი ძარღვი აღმოსავლეთის საქმისა, რომელიც ეს ნახევარსუბკონტინენტი წინაა, რაც ევროპას არ აძინებს, არ ასვენებს და ერთიერთმანეთის შერიბა და მტრობით აქეთ იქით ატოყებს და არყვეს.

... ეხლა ოსმალეთი თავის-თავად არ წარმოადგენს იმისთანა სახელმწიფოს, რომ მარტოდ და ცალკედ საშინაო იყოს რომელიმე დიდ სახელმწიფოსათვის, თუ მატრად-მარტო გაიმკლავებინა ერთმანეთსა. ბალკანეთის წერილი სახელმწიფოებიც უშინაო არიან ოსმალეთისაგან. თუმცა თითოეულ მათზე ოსმალეთი გაცილებით ძლიერია, მაგრამ არც ერთი დიდი სახელმწიფო აქ გზას არ მისცემს, არც ერთს ამ წერილს სახელმწიფოს ოსმალისად, არც გაათუღვინებენ, ოსმალის ლეკმად არ ვახდინა“.¹

ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია და უფრო გვიან ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ დაეკავებინათ გადაწყვეტი პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციები ოსმალეთის იმპერიაში, დაეწაფებინათ იგი. დასავლეთის დიდი სახელმწიფოების ამ აგრესიულ მისწრაფებას ილია ასე ახასიათებდა:

„ოსმალეთს იმისთანა სახარბიელო აღვიღებთ და საზღვრები უქარაგს, ისეთი მდებარეობა აქვს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა დიდი სახელმწიფო, რომელსაც არ სწყურავდეს ძიძობა მისი ხელთ იგდოს და მისი საბელი ყელისა თუთ დაიბროს სწორედ იმ განსაიდგელის მოლოდინით, რომ სხვამ არ დაგვასწროს და არ მიიყენეს“.²

რუსეთი თავის მხრივ მიისწრაფოდა დაებრუნებინათ თურქების მიერ დაპყრობილი შავი ზღვისპირა მიწები, მოეპოვებინა რუსეთის ფლოტის თავისუფალი გასვლის უფლება. სრუტეებიდან ხმელთაშუა ზღვაში, თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია ოსმალეთის იმპერია და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზღვები. მაგრამ რუსეთის ამ პოლიტიკას წინ ეღობოდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები.

„ევროპა, საფრანგეთისა და ინგლისის მეთითობით, — შენიშნავდა ილია, — არა ერთხელ დაიბლომბო გზით და ხან თოფ-იარაღით და ჯარით მიმველებია ოსმალეთის რუსეთის წინააღმდეგ. გავიხსენით ყირაჟის ომები და ყოველივე ის ხლართი საქმისა, რომელსაც ინგლისი არა მხოვავდა, რომ რუსეთს სტამბოლში საქვე წა-

უღბინოს და წინ ფეხი არ გადაადგმევინოს/ გავიხსენით თუნდ უკანასკნელი კრეპოტიც შედგენ, საცა გამარჯვებული რუსეთი უფრო ქრეპოტიც კარის წინ შეყენებულ იქნა ევროპის დაბლობების ძალ-მოძრეობით“.³

1870 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს რუსეთმა გაუმეხველად გამოაცხადა პარიზის 1856 წლის ხელშეკრულების პირობები, რომელთა ძალითაც რუსეთს აკრძალული ჰქონდა ავგო სომარტები და სამხედრო ფლოტი შავ ზღვაზე. ევროპის სახელმწიფოები, ინგლისის წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებული იყვნენ ეცნოთ რუსეთის უფლებები შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის შექმნის შესახებ, მაგრამ სრუტეები დახურულად გამოცხადდა ყველა ქვეყნის, მათ რიცხვში რუსეთის სამხედრო ფლოტისათვის.

1878 წელს ინგლისმა მოახდინა ოცუბაიკი კონძელ კვიბრისისა, რომელიც ბრიტანეთის მთავარი საყრდენი ზანა ვახდა ეგვიპტის დამონებისა და ახლო და შუა აღმოსავლეთში ახლო დაპყრობათა განხორციელების გზაზე. იმავე წელს ბერლინის კონგრესზე დასავლეთის სახელმწიფოებმა ინგლისის მეთაურობით მიადწინეს იმას, რომ მინიმუმადე დაეყენებ 1877 — 78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგები. დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ბალკანეთის ხალხების ეროვნულ ინტერესებს, რუსეთისაგან ვანთავისუფლებულ ბულგარეთს და აგრეთვე სერბიასა და ჩერნოგორიას ჩამოაქარეს თავიანთი ტერიტორიები. ბულგარეთისა და შვედონიის ტერიტორიის ნაწილი თურქეთს დაუბრუნდა, ხოლო ავსტრია-უნგრეთმა მოახდინა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაცია. მაგრამ ამ ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად თურქეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქნენ ცნობილი სერბია, ჩერნოგორია, რუმინეთი. სასხრეთ ბულგარეთმა (აღმოსავლეთ რუმელია) ავტონომია მიიღო, ჩრდილო ბულგარეთი კი გადაიქცა დამოუკიდებელ სათავადო სულთანის ფორმალური სიუზერენიტეტით. 1885 წელს ანტითურქული სახალხო აჯანყების შედეგად აღმოსავლეთ რუმელია ბულგარეთს შეუერთდა. ამრიგად, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხების დიდი უმრავლესობა განთავისუფლებულ იქნა თურქეთის უღლისაგან.

თავის წერილებსა და მიმოხილვებში უცხოეთის ქვეყნების შესახებ ილია ეხება მრავალ საკითხს.

ერთ საყრდნალო სტატიაში ძნელია ამომწურავად შეეფასოთ ილიას დიდი ღვაწლი ქართული საზოგადოებრიობის წინაშე უცხოეთის ქვეყნების ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების გაუმეხველად.

¹ იქვე, გვ. 516

² იქვე, გვ. 517

³ იქვე, გვ. 517.



ინეჰ „ახალი ჰორიზონტის“ გავრცელება

ლადო ავალიანის რომანის „ახალი ჰორიზონტის“ I და II ნაწილი შირვან მეორედ გამოიცა პირველი ტომის სახით.

რომანის ორმა წიგნმა საკმაო გამომხატურება პოეზიის პრესაში.

კრიტიკული წერილების ავტორები ერთხმად აღიარებენ, რომ „ახალი ჰორიზონტი“ საყურადღებოა იმით, რომ ის პირველი რომანია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ახსნავს მუშათა კლასის ერთ-ერთი რაზმის — მემსახურების ყოფილ ცხოვრებას.

მაგრამ, როგორ შეასრულა ავტორმა თავისი მხატვრული ამოცანა, ამაზე ვარკვევდ უნდა ვთქვათ. ვერც ერთი კრიტიკული წერილი ვერ აძლევს „ახალი ჰორიზონტის“ შეფასებას.

რეცენზენტების ერთი ნაწილი თავიდანვე აღნიშნავდა, რომ მწერლა დაუმთავრებელი ნაწარმოების საფუძვლიანი განხილვა და შეფასება. ეს მოსაზრება პრინციპში მართალია მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკულ ლიტერატურას დამთავრებული ნაწარმოების საფუძვლიანი განხილვის და შეფასების საკმაო გამოცდილება აქვს.

არის საკითხები, რომელთა შესახებ დამთავრებულ ნაწარმოების მიხედვით მსჯელობა ნაადრევია და არის საკითხები, რომელთა განხილვა შესაძლებელია და მიზანშეწონილი.

ამ შემთხვევაში ჩვენც ასე მოვიქცევით. ლადო ავალიანის რომანის პირველი ტომის მიხედვით შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რომელთა განხილვა საინტერესოდ მიგვაჩნია.

ამთავითვე ვგინდა აღენიშნოთ, რომ, როგორც იღვრის სანათობით, ისე შერჩეული თემით „ახალი ჰორიზონტი“ უდავოდ თვალსაჩინო მოვლენაა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ჩვენი აზრით, „ახალი ჰორიზონტი“ უწინარეს ყოვლისა, იმით არის საყურადღებო, რომ ავტორმა დაგვიჩვენა ის ცვლილებები, რაც ოქტომბრის რევოლუციამ შეიტანა ქართულ მემსახურების ყოფილ ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში.

პირველი საკითხი, რომელსაც ამთავითვე შევეხებით, ეს არის კონფლიქტის საკითხი. „ახალი ჰორიზონტის“ პირველი ტომის პერსონაჟთა ხასიათებისა და მოქმედების განვითარების დავიარეობით შესწავლა ცოტად თუ ზეგარდა სამუაღებს გვაძლევს ნაწარმოებში ძირითადი კონფლიქტის ვეიძით ჩვენს საზოგადოებაში ორი,

დიალექტალურად საწინააღმდეგო მისწრაფების მქონე ადამიანთა დაპირისპირებაში. კონფლიქტი, „ახალი ჰორიზონტის“ პირველ ტომში „ქვემდინარების“ მფლობელობაშია. რაც კი ნაწარმოების „ზედაპირზე“ ხდება, ეს სწორედ შედეგია ამ „ქვემდინარებისა“ და მისი ვერსია.

არის ლათინური თქმა — Non vivamus ut edamus sed edamus ut vivamus“, ე. ი. იმისთვის კი არ ვცხოვრობთ, რომ გვამოთ, არამედ იმისათვის გვამოთ, რომ ვიცხოვროთ. „ახალი ჰორიზონტის“ პერსონაჟების ერთი ნაწილისათვის ცხოვრება შემოქმედებაა (მუშაკი იქნება ის თუ ხელოვანი). საქმეს, რომელსაც ისინი აკეთებენ, მთავარი ადგილი უჭირავს მათს ცხოვრებაში, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები მათს არსებაში მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და შეუქმედებელია ისინი ერთმანეთს დაამოთ. ასეთები არიან რომანში შატბაი და ნიკო არაბიძეები, თამარელა, გერასიმე სოფროშაძე. მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომელთათვისაც ის სამუშაო, რომელსაც ასრულებენ, ის თანამდებობა, რომელიც უჭირავთ, მხოლოდ შემოსავლის წყაროა. მათთვის პირადი კეთილდღეობა საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა დგას. ასეთი სულსკვეთების ადამიანები გარკვეულ დრომდე გარკვეულად არაფრით არ გამოირჩევიან სხვებისგან, კარგების მიხედვით ისინი ზოგჯერ კარგადაც მუშაობენ, მაგრამ როგორც კი მათი პირადი ინტერესები დაუბრუნდება საზოგადოებრივს, — როდესაც იძულებული ხდებიან აშკარა არჩევანი გააკეთონ, — მათი ბუნება ძალაუნებურად შეცვლდება. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავი გადაიარჩინონ, თუნდაც ამით საზოგადო საქმე გაფუჭდეს. ამ გზას ადგიან რომანში სელიკო, ბუხალაძე, ქარქაშაძე.

ამ ორი ტიპის ადამიანების დაპირისპირებით ავტორს სურს დაგვიჩვენოს, ავიხსნას ჩვენი თანამედროვე ადამიანის შინაგან მისწრაფებათა კონფლიქტები, მისი მოქმედების ნაშთილი მორტიკები, დაგვიჩვენოს ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ყოველდღიურობაში გმირულად, მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალების დამხმელი ემსახურება საერთო საქმეს და რომელსაც მხოლოდ ანგარება ამოძრავებს, საბჭოთა მოქალაქის სახელით კი კარგად მორგებული ნიღბის დანიშნულებას ასრულებს მისთვის.

ამგვარად, როდესაც ასეთი ნაწარმოების შესახებ ვმსჯელობთ, როგორც „ახალი ჰორიზონტი“

* განხილვის წესით. რ. დ.

ნტია", არ შეიძლება კონფლიქტი სიუვეტურ კენძებში, პერსონაჟთა ხასიათის გამოხატვითად აღწერილ ეპიზოდებში ვეძიოთ, არამედ ღრმად უნდა ჩავეუკიროთ პერსონაჟთა ხასიათებს და მათს დაპირისპირებაში ამოვიკითხოთ ავტორის ჩანაფიქრი.

ამხანაგი ვ. ხუბაშვილი¹, მეორე წიგნის გამოქვეყნების შემდეგაც, პირველი წიგნის მიხედვით კონფლიქტს „ტრაგიკულ სასიყვარულო სამკეთილდღეში“ ხედავს, ხოლო როდესაც ეს კონფლიქტი მეორე წიგნში არ ვითარდება, ნაწარმოებს „უკონფლიქტოდ“ ნათლავს. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება სწორად ჩითვალოს. შატბიას შინაგანი „გაიორგე“ იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მას მეგი მოეწონა. ეს შეტად იოლი და ზრეველ ახსნა იქნებოდა იმ რთული სულიერა მდგომარეობისა, რომელშიაც აღმოჩნდა შატბია. შატბიას უფრო იმიტომ მოეწონა მეგი, რომ ეს გოგონა ცხოვრების გზაჯვარედინზე იმ კრიტიკულ მომენტში შეხვდა, როდესაც შატბიას წინაშე გადაედგმებოდა იყო ცხოვრებაში გზის არჩევის საკითხი. კრიტიკოსი კი შედეგს მიზნულად აცხადებს.

შატბია არაბიძე, როგორც ზოგს ჰგონია, მუშახტე არ არის. შატბია მუშაზე წრიდან გამოშვებული ჩვენი ახალგაზრდობის ტიპური წარმომადგენელია სწორედ იმით, რომ ის საერთოდ სკოლის დამთარგების შემდეგ თავისუფალია თავისი სურვილის მიხედვით პროფესიის არჩევაში. შატბია შატბია მუშაობს, მაგრამ მხოლოდ ზაფხულობით, არადადეგების დროს. შატბიას ლონეც ერჩის, ხალისიც აქვს შატბიას მუშაობის, მაგრამ ეს არ არის მისი მოწოდება, თუმცა შამა ყოველმხრივ ცდილობს შეაყვაროს ეს საქმე და, თუ ზაფხულობით შვალი შამის ნებას დაჰყვება ხოლმე, უფრო იმიტომ, რომ 18—19 წლის თავმოწონე უკანეს საკუთარი შრომით მოზარდებით ჯიბის ფული უჩრევნია შამის კმაყოფიზე ყოფნას.

გარდა ამისა, მას, როგორც ბუნებით ზელოვანს, ინტერესებს ეს მიწისქვეშა სამყარო. სულიერ საზრდოს ის ყველგან ეძებს და ყველგანვე ხედავს თავისი მომავალი ქანდაკებებისათვის დამახასიათებელ შტრიხებს.

პ. ბახტურიძე თავის რეცენზიაში² აყენებს კითხვას: — „რამდენად აკმაყოფილებენ შატბიას, თამარელას, სულიკოს და მეგის მხატვრული სახეები ტიპისა და ტიპური ხასიათისადმი წაყენებულ მოთხოვნებს?“. მაგრამ ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა. „ნიკოლოზ, შამოშელი, კაცობოფარე, პატრონაინი და კეთილშობილი — ასეთია შატბია. ყოველივე ეს შატბიას წარმოვიდგენს, როგორც მოწინავე საბჭოთა

ახალგაზრდას“-ო. ყველა ეს თვისება პერსონაჟურულ თარაბანთ კერძის შეიქმნა — გიორგის, მაგრამ ის საბჭოთა ახალგაზრდა სწორედ ის.

ჩვენი დროისათვის შატბიას ტიპურს ხდის მისი მორალურ სახესთან ერთად ის მისწრაფებანი, რომლებიც მას, მუშის ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდობის წარმომადგენელს, დღეს გააჩნია. ტიპური ის კი არ არის, რომ შატბია ადამიანის გადასარჩენად მდინარეში გადაეშვა (ამას ოთხი რაბანთ კერძის გიორგეც ვაძეგებდით), არამედ ის, რომ ომის გამოცხადებისთანავე შატბია შატბი ჩავიდა და ორი ცელა ზედინზედ იმეშვა, მერე კი ტოლამხანაგებთან ერთად საბჭოთა სამშობლოს დასაცავად წავიდა. ტიპური ის, რომ შატბიასათვის ყველა გზა ხსნაღობისა და მისი ცხოვრების პირობებში, და მის „გაიორგებს“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, უწინარეს ყოვლისა, პროფესიის არჩევის საკითხი იწვევს. ეს ყველაფერი საკმაოდ ნათლად ჩანს რომანში, და მისი შეუმჩნეველად ბრუნდება ამ სხვაგვარად ახსნა ნაწარმოების სწორად გაგების თვალსაზრისით ზედასაყრელი არ უნდა იყოს.

ერთი მხრივ, ზელოვნების სიყვარული, მოქანდაკის ნიჭი, რომლითაც შატბია არის დაჯილდოებული, მეორე მხრივ, შამაშამის ტრადიცია, შამისადმი ღრმა პატივისცემა ამ კაბუცში იწვევს შინაგან „გაიორგებს“-ს. მას ვერ გადაეწევატბია, რომელიც ვაზ იბრინოს საბოლოოდ. სწორედ ამ დროს შვეის გამოჩნდა, ვ. ი. საოცნებო ცხოვრებიდან მოსული ადამიანის შემოქმედი მის სულიერ სამყაროში, რასაკვირველია, დიდმნიშვნელოვანი მოქმეტი. მეგი აშკარად და უყოფნაოდ აღიარებს მის ნიჭს, მხარის უქვრის და ამხნეველს სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად და, ვფიქრობთ, გასაკვირი არაფერია, თუ შატბიას ხიბლავს ეს თავისთავად კვლევით და გულისხმობით უცხო ქალშვილი, ზოგჯერ შეიძლება კიდევ „აეჩქვებ“-ს თამარელას. მაგრამ წინააღმდეგობაერთი კრიტიკოსის მტკიცებისა, ამით „სასიყვარულო სამკეთილდღე“ შინეც არ იქმნება, რადგან ამ შემთხვევაში საში ადამიანის დამოკიდებულება — სამკეთილდღე ნაგულისხმევი — არ შეესაბამება ამ ცნების შინაარსს.

პირველი ტომის მიხედვით, საერთოდ, ნაღრევი და უსაფუძვლოა შატბიასადმი თამარელასა და მეგის ურთიერთობის გამოცხადება რომანის კონფლიქტად, ან თუნდაც „სასიყვარულო სამკეთილდღე“.

როგორც ვითხვევს ახლავს, შატბიამ ბროწეულის ყველით თამარელას მისცა. არჩევანი ნათელია რომანის ამ ნაწილის ფარგლებში, ხოლო შატბია და სამხატვრო აკადემიის შორის შატბიამ არჩევანი ვერ მოასწრო; ცხოვრებამ იგი მესამე გზით გაეშვა — ომში გაეზავნა.

„ახალ პორიზონტში“ ყოველთვის ერთმან მოქმედი შორის ასაკს, ამ ასაკს და ხასიათის შესაბამის რეაქციას მოვლენებსა თუ ადამიანებთან გარკვეულ დამოკიდებულებაში. შატბია 18—19

¹ ვ. ხუბაშვილი, ახალი პორიზონტის მეორე წიგნი, „მნათობი“, № 12, 1954.

² პ. ბახტურიძე, რომანი ქართველ მეშახტეებზე, „მნათობი“, 1953 წ. № 11.

წლის ჰაბუკია. ეს იგრძნობა მის ქვეყანაში, მის მისწრაფებებში, მისი გრძნობების გამოვლინებაში. შატბაის ხასიათში იმთავითვე თუქი რამ არის გამოჩვეული და განმტკიცებული, პირველ ყოვლისა, ესაა შრომისადმი სიყვარული. ამ შიკრი ის ნიყო არაბიძის ნამდვილი მემკვიდრეა.

გ. ხეხაშვილი წერს: „თუ ავტორი დამახულ სტეკიათაში გვიჩვენებს დასაწყისში თავის გმირს (ბრძოლა ადიდებულ მდინარესთან), რომანის შემდგომ ნაწილში შატბაისათვის არ არსებობს არავითარი დამბრკოლება“. უცნაურად გვეჩვენება დამბრკოლების ასეთი განმარტება შატბაის მაგალითზე. სწორედ წუაღიდილობის შემდეგ ხელუბა შატბაა მეგის, სწორედ ამის შემდეგ იგებს მკითხველი მისი შინაგანი სულიერი დამახულბის შესახებ. ესეც რომ არ იყოს, იწყება ომი და ხელყვნების სიყვარულით და ცხოვრებაში საფეთხი ადგილის ძიებებით გატაცებული ჰაბუკი მადის სამშობლოს დასაცავად.

რომანის პირველი ნაწილის მცირე მონაკვეთში შატბაა — გვიწინდელი მოსწიველ ღღეს — მემხატა (ომმა სწორედ შატბაში მომეშვეს მოუსწრო და ფორტზედაც მემხატის სახელით მიღის). „ხელ — ჯარისკაცი, ხეც კი, თუ ცოცხალი დამბრუნდა, შეიძლება, ის ლეკოვანიც გახდეს.

რომანის მეორე პერსონაჟი თამარელა თანამდროვე ქართული ქალის საყვარლებში სახეი ჰყენი დღევანდელ ლიტერატურაში. დიდი სიფაქიზი და სიყვარულით დავეხატა ავტორმა ეს უღრესად ნაზი, ველისმზიერი, მოსიყვარულე გოგონა. თამარელასთან ადამიანზე იტყვიან ხილზე რესები, „მთლიანი ნატურაა“.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის თამარელას სახე ტაბუაა. პ. ბატურცემ ასე ძუნწად დავეხატისათა იგი: „თამარელა სოფელი (?) გოგონაა. გულწრფელი, პატიოსანი, მორალურად ფაქიზი ადამიანი. იგი ყველაფერს პირდაპირ, ბუნებრივი გულწრფელობით უცქერს“. ესაა და ეს. რასაკვირველია, მხოლოდ ასეთი რომ იყოს თამარელა, ის შამინ არ იქნებოდა ჩვენი ღრის ქალიშვილის ტიპური სახე; მაგრამ ჩვენ მასში სხვა თვისებებსა და ღირსებებსაც ვხედავთ: მიზანდასბელობასა და ჩვენს საზოგადოებაში მამაცუთან თანაბარი უღლებებით გამოიზიებული მოვალეობის გრძნობას. თამარელას „მე წავალ“ არის უპველად ტიპური ჩვენი ახალგაზრდობისათვის. პირადი, ინტიმური გრძნობების სრული პარპონიულობა საზოგადოებრივ საქმიანობასთან და მოვალეობასთან, აი რა არის ახალი ჩვენი ადამიანების ფსიქოლოგიაში.

ძველია იმის უარყოფა, რომ შატბაისადმი სიყვარული თამარელასათვის პირად-ინტიმური გრძნობაა. უდავოა ისიც, რომ ამ ინტიმურმა გრძნობამ „ორგანულად“ მიადებინა თამარელას შატბაში მემუბობის ვალაყუეტილება, რაც, რასაკვირველია, საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ლ. ავალიანმა თავისი მხატვრული პრაქტიკით იმთავითვე უარყო „საწარმოო რომანის“ მხატვრული თეორია, თავის პერსონაჟებში არ გამოიხატა საზოგადოებრივი საქმიანობა. შირაღ-ინტიმური გრძნობებისაგან და ეს უკანასკნელი არ წარმოვეიღებინა როგორც მისი „უფასო დამატება“. რომანის მხატვრული ზემოქმედების ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი პერსონაჟები ღრმა ადამიანური და ჩვეულებრივი არიან ყველა თავისი ღირსებით და საყოველთაოებით.

ავტორი პრაპორციებზე კი არ ფიქრობს, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიის გახსნას ცდილობს და მის სისახელოდ უნდა ითქვას, თამარელას სახე რომანში რელოფური და დამაჯერებელია. თამარელასათვის შატბაის სიყვარულის პრიზმაში ტყდება სამშობლოს სიყვარულიც, გმირული შრომაც, სიმეძღვრეობაც, ყველაფერი, რაც მას შატბაისთან აახლოებს, თამარელასათვის მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ავტორმა რომანის პირველი წიგნით დამაჯერებლად მოამზადა თამარელას „მე წავალ“, ფსიქოლოგიურად გაამართლა იგი და შემდეგ, მეორე წიგნში, ლოკურად განავითარა.

მხატვრულად ძლიერია რომანში არაბიძე. მისი სახით რომანში ყოველგვარი ყალბი ეფექტების, შეჯახებისა და გაზვიადების გარეშე ნაჩვენებია რიგითი საბჭოთა ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით დაკავშირებულია საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

ნიყო არაბიძის ხასიათი ყველაზე დასრულებულია რომანის I ტომში. ეს კანონზომიერიცაა, რადგან, თუკი 18 — 19 წლის შატბაის ხასიათი არ შეიძლება ბოლომდე ნამოყალიბებული იყოს, სულ სხვაა 50 წლის მამაკაცი, რომელსაც ცხოვრების მდიდარი გამოცდილება აქვს, მიზანიც გარკვეული და გზაც საბოლოოდ არჩეული.

ლოკური თანამიმდევრობით ძერწავს ლ. ავალიანი არაბიძის ხასიათს: ფსიქოლოგიურად გამართლებულია ნიკოს წინააღმდეგობა შატბაისთან პროფესიის არჩევის საკითხში. არაბიძისათვის მემხატის სახელი ყველაზე საპატრიო სახელია და მას არ ესმის, ადვილად ვერ შერყევია იმ აზრს, რომ შეიღმა შეიძლება სხვა პროფესია იარჩიოს.

ახალგაზრდა მემუბების — საშოთსკოლადამთავრებულების მიღების თუ შატბაი ქალების პირველად ჩასვლის დროს ჩანს ნიკოს დიდი გულსხმირება და მზრუნველობა იმათ მიმართ, ვინც მის საყვარელ საქმეს აფასებს; და მისი ასეთი დამოკიდებულება მარტო ბუნებით კეთილი ადამიანის ხასიათის უზარალო გამოვლინება კი არ არის, არამედ მის ამგვარ საქციელში ჩანს შორისმჭერეტილი და გამოცდილი ხელმძღვანელის სახარბიელო უნარიც. ასეა შერყეული ნიკო არაბიძის ბუნებაში პირადული და საზოგადოებრივი.

შრომისადმი სიყვარული არაბიძეს სისხლბორცში აქვს გამაჯდარი. რად ღირს მისი თენდაც

ერთი დამახასიათებელი შენიშვნა — „რა გემოზე დაეღალაო“. ამ, ერთი შეხედვით უბრალო, შენიშვნაში კარგად დავანახავთ ავტორმა ნიკო არაბიძის მთელი არსება.

ნიკო არაბიძის ხასიათში განუყოფელია მამა და მოქალაქე, ის მარტო თავისი იუჯახის წევრებზე კი არ ზრუნავს, ვინც ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებს. არაბიძე ყოველთვის მამა და შვიკობარია. მან არა მარტო თავისი შვილი ვაზარდა ვაჟკაცური სულისკვეთებით, სპეტაკ და პატიოსან აღამიანად, ათასი მუშა, რომელთაც მასთან უმუშევრად, უმშველად არაბიძის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს ამკარად ჩანს იმ ურთიერთობაში, რომელიც ნიკოსა და მის უბანში მომუშავეთა შორის სუფევს. ნიკო არაბიძემ იცის (სამწუხაროდ, ყველამ არ იცის), რომ თუ ვინღა კარგი მუშაკი აღზარდო, აღამიანს უნდა შეაფხვროს საქმე, რომელსაც ის აკეთებს, ყურადღებით და მზრუნველობით დაიმსახურო მისი წილობა და პატივსაცემობა, საკუთარი მაგალითით განუმტკიცო, რაც კარგია, დაეხმაროს, სადაც შეეძლება და დატეხოს, როდესაც ეს აუცილებელია.

მოთხოვნა და მკაცრ უბნის უფროსთან მუშაობა ყოველ შემხატეს სასახელოდ მიიჩნება. მაგრამ არიან სხვა ჯურობის აღამიანებიც, რომელთაც ნიკოს არსებობა კი ხელს უშლის. მათი ზრახვები შეუთავსებელია ნიკოს მისწრაფებებთან. ისინი ყოველწინადად უშლიან ხელს არაბიძის საქმიანობას. მართალია, ავტორმა რომანის პირველ ტომში მამარი შეგახებულა არ დაგვიხატა ნიკო და ქარქაშაძეს თუ ბუხალაძეს შორის, მაგრამ რომანში მოვლენების განვითარების და ურთიერთობათა ვართლებების ლოკია გვაფიქრებინებს, რომ ეს შეგახებები არათუ მოსალოდნელია, გარდუვალიცაა.

ნამდვილად რეალისტური და ცხოვრებისეულია ნიკო არაბიძის სახე. ნიკო არაბიძე ქართული მუშის სახეა, ის კონკრეტულია თავისი ინდივიდუალური თვისებებით, ხასიათით და, ამავე დროს ტიპურია იმით, რომ მის მსგავსს ჩვენ შევხვდებით ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, როგორც კოლმეურნეების, ისე ინტელიგენციის რიგებში. ამ ერთ კონკრეტულ სახეში განზოგადების ძალას ავტორი აღწევს იმით, რომ არც ცხოვრების სიმართლეს და არც რეალიზმის პრინციპებს არ დაღატობს.

მეტად საკლესიზმია ის გარემოებაც, რომ, როგორც ხშირად ხდება, დადებითი პერსონაჟები კი არ ვალოდინს უარყოფითზე უფრო მკრთალი და გემოთუდიანი, პრიმიტივი, დამაჯერებელი და ხატულ უარყოფითი პერსონაჟებს დაუბრისობია ასევე დამაჯერებლად დახატული დადებითი პერსონაჟები.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ რომანში ახალგაზრდა და-მამას, მეგისა და სულიკოს. ისინი შემხატეთა ქალაქში თბილისიდან ჩამოვიდნენ

და შემთხვევით ნიკო არაბიძის ოჯახში მოხვდნენ.

შარქაშაძე

თუ ნიკო არაბიძეს ავტორმა „შარქაშაძე“ და ქარქაშაძე დაუპირისპირა, სულიკო მთელი თავისი შინაგანი რაობით უბირისპირდება შარქაშას. სულიკო საქონისანი. სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი უკვე სამუშაოს შოულობს „პროვინციაში“. ის პირველი შეხვედრისთანვე ცდილობს რაიკომის მდივნის და ტრესტის მმართველის თუ სხვა „საპირო“ ხალხის გულის მონადირებას. ამასთან დაკავშირებით გაცივრებებს იწვევს პ. ხაბტორაძის ვაჟებმა — „რატომ შეაჩინეს ისეთი არასერიოზული აღამიანი, როგორც სულიკოა, შემხატეთა ქალაქში კლუბისთვის ბარელიეფის გასაკეთებლად“. მე მგონია ეს ამბავი რომანში სულაც არ არის ვასაკვირი. ვინა სულიკოსთანა გაქნილი საქმისნები ვერ ამბარებენ თავისი საქმეების ჩინებულად მოვარებას?

სულიკოსთანა აღამიანები ცხოვრებაში ყველაფერს პირადი გამოზრუნვის მიზნით უყურებენ. თუ ის შარქაშასაც ჯერ ქედმაღლურად დისცქარის, დაწმუნდება რა მის დიდ ტალანტში, უხალ იმაზე ფიქრს შეუდგება, რამდენი სარგებლობა შეიძლება მოუტანოს მომავალში შარქაშას, ანუ გავლენა და ყოველწინადად ცდილობს, მასთან არა მარტო დამეგობრებას, დამოყვრებასაც კი. სულიკოს ეგოიზმი, მთელია. მისი მდებალი ბუნება მელანქოლია ყალბი წერილის შემთხვევას. დის გრძნობებისა და თავმოყვარეობის შელახვასაც არ ურბდება სულიკო, ოღონდ თავისი ზრახვები განახორციელოს.

პირველი გაცნობა სულიკოსთან მკითხველს ვერაფრით ვერ აფიქრებინებს, რომ ის, სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი, მომავალი მოქანდაკე, ზღოვნებაზე „შეყვარებული“ ახალგაზრდა, სულმდებალი, უსინდისო აღამიანი, რომელსაც „აუღწრფელია და გულუბრყვილობა ისეთ თვისებებში მიიჩნია რომელთა წყალობით აღამიანი დედმშობილასავით გამოიყურება“. ავტორის ეს რემარკა I ტომის თითქმის დასასრულს გვხვდება და ამ შენიშვნით საქმაოდ ვამიშველბულია სულიკოს ბუნება.

მართალია, ომი ახალი დამყვებელია და ჩვენ არ ვიცით, როგორ მოიქცევა სულიკო შემდგომში, მაგრამ ჯერჯერობით მისი ქცევა მკვეთრად განიჩრევა შარქაშას, თამარელასა და სხვა ახალგაზრდების ქცევისაგან.

რომანის გამოქვეყნებულ ნაწილში ავტორს, ჩვენი ზრით, განზრახული ჰქონდა მკითხველისათვის გაცნობა მთავარი მოქმედი პერსონაჟები, ასე ვთქვათ, საწყისი პოზიციაში დაეყვებინა ისინი და, პირველ ტომში დასახული ამოცანების შესაბამისად, კონკრეტულ ვითარებაში და გარემოში მოეხაზა ყოველი მათგანის ინდივიდუალური ხასიათი.

„ახალი პოზიციონტი“ იმითაც არის საყურადღებო, რომ არავითარი ყალბი პათოსა და ყუ-

რით მოთრეული „კონფლიქტები“ არ დასჭირდა ავტორს სულკოს სულმდაბლობის, შატბიას ეკონომიკური მდგომარეობის თუ თამარელას წარყვლი გრძნობის გადმოსაცემად.

მეტი, რომელიც ასე უეცრად შემოიჭრა შატბიასა და თამარელას ცხოვრებაში, მეტად საინტერესო სახეა. მისი ხასიათი ავტორმა უფრო მეტად, ვიდრე სხვა პერსონაჟები, განვითარებაში მოგვცა. მეგის სახე ასეთი ქალიშვილების ფსიქოლოგიის ცოდნით არის დაბატული რომანში. მისი ცხოვრების გზა არ არის ისევე გარკვეული, როგორც თამარელასი და სხვების. მართლაც ძნელია იმის ვარაუდი, როგორი იქნება ეს გზა. მეგის ადგილად იტაცებს ყოველგვარი სოსხლის გრძნობის თავისი სიღამაზის ძალის და სარგებლობა კიდევ ამით. მისთვის შატბიას მხოლოდ ერთ-ერთი „თავყვანისმცემელია“, რომელიც შინ ასე ადგილად მოაჯადოვდა. როგორც შემთხვევით შემთხვევით, შატბიასათვის მეტი საოცნებო ხელოვნების სამყაროდან მოვლენილი არსებობდა. ამიტომაც არის დამაჯერებელი მისი გიტაცება მეგით. მათი გასეირნება მთავრად ლამაზი ციხის ნაწრეველებისაკენ, გორაკზე ასვლა, ბუნების სიღამაზის ერთნაირად აღქმა, პოეტური განწყობილება, ერთმანეთსა ხელოვნების აღმოჩენის წადილი, — ყველაფერი ეს ძალიან მალე აახლოებს მათ, მაგრამ ეს დაახლოება შატბიასათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეგისათვის. მისი ხასიათი არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული. იმის მიხედვით, თუ ვის ექნება მასზე გავლენა, ვინ ეყოლება მრჩეველი, მეგისაგან შეიძლება თვალსაჩინო შესახობივ გამოვიდეს, და ისიც შეიძლება მოხდეს, რომ იაფუფასოანი ექვემდებარება ვებულება დაახლოვდეს თავისი ნიჭი. რაც უნდა იმხედვს რომანის შემდგომ ნაწილებში, შატბიას და თამარელას არასოდეს არ დამეგავსებინა სულიკოს, მეტი კი, ადგილი საფიქრებელია, სულიკომ თავისაკენ გადაიხიროს ცხოვრებაში, დაეწევეს მისცეს მისი მეტი შეთხზული ყალბი წერილთ აღმრელი გულწრფელი აღმყოფობა.

„ახალი პორიზონტი“ პირველი ტომი უეკვენლა ექსპოზიციური ნაწილი მთლიან რომანისა. მიუხედავად ამისა, „ახალი პორიზონტი“ მკვეთრად არის მოცემული ძირითადი პერსონაჟების ხასიათი და მიწერალება. ისინი არასოდეს არ ავტრევათ ერთმანეთში.

კომპოზიციურად რომანი ისეა აგებული, რომ პერსონაჟები არ არიან მომწვედელი ხელოვნურ, „წინასწარ მოდიქრებული“, სათავდასავლო ხლარობით გაბირობებულ „ჩარჩოში“. ავტორის თბობის მანერა დინჯივ იგი აღმქარებულად, პატარ-პატარა ეპიზოდებში ძერწყავს ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათს. ხასიათის ეს მრავალწახნაგვანება მეტი შინაგანი დამაჯერებლობის ძალის ანიჭებს მათ. შინაგანი კავშირი ეპიზოდებს შორის ავტორის კონტრასტებზე და ასოციაციებზე იქნს აგებული.

9. „მნათობი“, № 7.

წყალდიდობის სცენაში მედგენება წყნარი და მოტრალეული ქალიშვილის ექიმულ დაფორელი ძალა და თავგანწირვის უნარი. ეს ამბავი ამზადებს მკითხველს რომანის პირველი წყნარის ბოლო ეპიზოდისათვის. თამარელას „მე წავალ“ მისი შინაგანი ბუნების, მისი ხასიათის გახსნის კულმინაციური წერტილია. პირველი წაწილი ნათელი ფერებით და ზალისიანი განწყობილებით არის აღმქვლილი. შრომის ხალისი, საუბარი, წვეულება, თინება მომთავალე — ისეთი შინაგანი სიმშვიდით და სულისკვეთებით ავთწერა ავტორმა, რომ ომი მართლაც ქარიშხალივით ატყდება თავს რომანის პერსონაჟებს. ძირფესვიანად ცვლის მათს ცხოვრებას.

თუ ომის წინ მზანად იღლა განწეოდელი სიამოვნებას პეტრიდა რომანის პერსონაჟებს, ამლიერება მათს ზალისიან განწყობილებას, ამიერიოდან, ომის ვითარებაში, ასე აღარ იქნება. რომანში ეს საგულისხმოდ გარემოება მათეოდია ხაზგასმული.

მაგრამ თ რის წერს ამის გამო გ. ხუნაშვილი: „რომანის 284, 285 გვ. ავტორი ავთწერს ქექეხილის სურათს. რისთვის სჭირდება ავტორს ეს? თურმე იმისათვის რომ იმ სურათის აღწერას მოაკლოს ომის მოვლადელად დაწევის ამბავი, ესე იგი გვითბოს, რომ ადამიანთა მოსალოდნელ უბედურებებზე ბუნებას მტკიცებლობად მოვლენის დახატვის ეს ზეჩხი პრიმიტიული და ხელოვნური. რათ უნდა მტკიცება იმ გარემოებას, რომ ბუნება ინდიფერენტულია ადამიანთა ყოფისადმი. თეთორ ადამიანი ატორი ბუნებობისაღმა (!) ეს სხვა ამბავია. ვავთსწერთ როგორ იწეება ა. ფადევიის „ახალგაზრდა გვარდა“. აქაც ხომ ომის ვანცდაა (?) გადმოცემული. ულიან გრომთვა წელსმბრას დაბრლი ხელით უჩვენებს (!) თავის მეგობარს წელს ზედაპირზე მინარე შრომანას „შეხედეთ, როგორ ასევენა წელს ზედაპირზე“. ამით ავტორი გვებუნება რომ ბუნებაში ზვეულებრივი სიმშვიდეა და სიყოცხლის კანონზომიერება არ ირლევვა. მხოლოდ შორეული ქეხილი ამცნობს ბუნების სიღამაზით და სიმშვიდით აღტაცებულ გოვონებს, რომ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ყოფი ომში დაარღვია“.

ჯერ ერთი, ულიანა გრომთვა რომ შრომანას უუერება, საბჭოთა ხალხის მშვიდობა უკვე ვარგა ხნის დაარღვეული იყო. ზარბაზნების ქეხილმა ულიანას და მის ამხანაგებს ის ამცნო, რომ გერმანული დამისტები მათ ქალკში შემოვიდნენ. მეორეც, ა. ფადევიამ მშვენიერ სცენით კონტრასტს ქმნის, რათა შეხედვით უკეთ გვატრძობონ და განგვადღევიონ განსხვავება ომსა და მშვიდობის შორის. ასევე, ლ. ავალიანაც მოგვცა 22 იენისის დილის ლაღი და მიმზღველი სურათი. მას არ დავიწყებია თავისი პერსონაჟები ამ დილას. პირველი, შატბიას, სულიკოს და მეგის შეტრანმების პრიზმაში ზედავდა ის ბუნების. სწორედ რომანის 282 — 289 გვ. კითხვისას ძნელი

წარმოსადგენია, რომ არაბიძის ოჯახში რამდენიმე საათის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება.

შატერაძის ნაწარმოების შემოქმედება მეთხველზე არ შეიძლება კრიტიკისა ისე განიხილოს, რომ ყველაფერი ერთმანეთს დააშოროს, შექაჩვებად დაყოს. ის განწყობილება, რომელსაც ა. ფადეევი თუ ლ. ავალიანი ბუნების სურათის აღწერით უქმნის მეთხველს, უადვილებს, ამზადებს მას შემდგომი ამბების უფრო შესაყნობად და განსაცდელად.

მე ვფიქრობ, შემოაღნიშნულ გარკვეულ ღირსებებთან ერთად ლ. ავალიანის „ახალ პორტიზატს“ პირველ ტომს გააჩნია საკმაო ნაკლიც.

ჩვენი ამოცანას შეადგენს, დადებითთან ერთად, „ახალი პორტიზატს“ პირველ ტომში შემხვეული ნაკლოვანებების განხილვაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის პირველ ტომში, ერთი შეხედვით, არ ჩანს მძაფრი შეჯახებები, დაძაბული სიტუაციები. პერსონაჟთა სახეები ყოველდღიურობის ჩვეულებრივ გათარეზაში ყალიბდება. იგრძნობა, რომ ავტორს ბევრი ცხოვრებისეული მასალა დაეგროვდა, და უდავოდ აწუხებს სათქმელი იმ ცხოვრებაზე, რომელსაც ავტორს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ზოგჯერ ავტორი ამ მასალიდან ვერ ირჩევს აუცილებელს და ბევრ ზედმეტ დეტალთა ტვირთავს ნაწარმოებს. საქმე იმაშია, რომ რომანის I ტომის ზოგიერთი ადგილი გაქიანურებულის და, ზოგჯერ, მასაწყურის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩასაკვირვებელია, ვერ დავეთანხმებით იმ კრიტიკოსების მტკიცებას, რომლებიც რომანის მეორე ნაწილის სიტუაციის დუნედ განიხილავენ. „უკრძალვითობით“ ხსნიან. ეს ვარაუდობა არც იმას შეიძლება მიუყვაროს, რომ შატბაა წაყვია და ამიტომ შატბაას, შევისა და თამარელას შორის დამოკიდებულება მეორე ნაწილში ვეღარ გამოვადგა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რომანის როგორც პირველ, ისე მეორე წიგნში გაქიანურების მიზეზი არის შემდგომი ავტორის ლოკურად მიჰყავს პერსონაჟი რაიმე მოქმედებისაკენ (მაგ. თამარელას „მე წაიღე“ I ნაწილის ბოლოს) და საცხებიით ბუნებრივად აღწევს ამ მოქმედების კულმინაციას. შემდგომ, იმის შიშით, რომ მკითხველი ვერ გააგებს პერსონაჟის მოქმედების მთავრებს, ავტორი თავისი რემარკებით დამატებით ახსნას აძლევს მას და ამით აწელებს პირველად შთაბეჭდილებას. ასეთი განმარტებები პერსონაჟების საცხებიით ვასაგებს მოქმედებისა წიგნში ბევრია. გაქიანურების მეორე მიზეზად ჩვენ ის მიგვიჩნია, რომ სწორად ავტორი დეტალურად აღწერს მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო გარემოს თუ მოქმედებას. ამით მკითხველის უზრადლება იფანტება; მას ეძნელება შთაგარისა და მეორეხარისხოვანის ერთმანეთისაგან გარჩევა და ზოგჯერ ავტორის შთაგარა იღვია ამ უმნიშვნელო დეტალში იქნება, ძალას კარგავს. მაგალითისათვის გავიხსენოთ თამარელას პირველი ჩასვლა შატბაში. იმ ეპიზოდს მეორე წიგნის თითქმის მე-

ოთხედი აქვს დათმობილი. ავტორმა ისარგებლა რა იმით, რომ თამარელა შატბაში პირველად ჩაღვს, მიწისქვეშა სამყარო ავეიქურა სიჭრუხორცეს დაინახა თამარელას უცხო სივრცეში. მკითხველი, რომელიც შატბაში არასოდეს არ ყოფილა და შეიძლება არც არასოდეს მოუხდეს ყოფნა, კითხვლის თამარელას მოგზაურობის აღწერას მიწისქვეშა სამყაროში. მაგრამ, მიუხედავად იქაურობის კეთილსინდისიერად აღწერისა, ავტორის მიზნი ვერ აგრძნობინდება მკითხველს იმ შიშს, რომელმაც თამარელა მოიცილა, სრულად ვერ წარმოადგენინებდა იმ წყვილადს, ერთი პატარა სურათით რომ არ ჩაერთო ამ გრძელი აღწერილობის ბოლოს. განსხვავებას უბრალოდ სინზელესა და შატბაში დამკვიდრებულ წყვილად შორის მკითხველი მკვიდრად იგრძნობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორი ნიკოსა და თამარელას სანგრევეში შეიყვანს და ნათურებით საუბარს ავეიქურს. ნიკო ნათურის მიშქვებით ხან ერთი შემატებს სახეს „ამოიტაცება“ სიმნელიდან, ხან მეორისას, და ეს შატბო სახის გამოჩენა სინზელესში მკითხველს ერთბაშად ყველაფერს აგრძნობინებს. ასევე კარგად მიგნებული დეტალია თამარელას მიერ სვეულ შტრეკში თეთრი ობის დანახვა.

არ შეიძლება ყველა ავტორს პქონდეს ერთი სტილი, წერის ერთნაირი მანერა. არ შეიძლება ყველა ეპარის ნაწარმოებში ერთი ტრემში ვითარდებოდეს, არ შეიძლება შეწერას მოვთხოვით, რომ მისი ჩანაფიქრი წიგნის გვერდების რაიმე გარკვეულ რაოდენობაში ჩაეტოოს, მაგრამ ნაწარმოებში, ყოფაცხოვრებითი რომანი იქნება იგი თუ სათავედაცასველო, მკითხველს გაქიანურებულად არ უნდა მოეჩვენოს.

როდესაც კრიტიკოსები ავტორს უსაყვედურებენ საერთოდ ბუნების სურათებისა თუ პატარ-პატარა ეპიზოდების სიმრავლეს და იმაში ხედავენ რომანის გაქიანურების მიზეზს, ეს მართებულია, არ მივაჩნია, რადგან პირადი გემოვნების საქმეა, მოეწონს თუ არა ბუნების აღწერა რომანში, ხოლო პატარ-პატარა ეპიზოდების სიმრავლე მოვლენების თუ ხასიათების გახსნის ავტორისეული მანერის ერთი მხარეა და ზოგს ის შეიძლება მოეწონოს, ზოგს — არა. ესეც უდავოდ გემოვნების საქმეა, და სადავოდ არ მივაჯინია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ სხვაა როდესაც ავტორი ზედმეტ დეტალუბით ტვირთავს მოვლენებისა თუ ადამიანების აღწერას, მიუხედავად იმისა პირველხარისხოვანია თუ მეორეხარისხოვანი ისინი. მაგალითისათვის ავიღოთ ორა, თითქმის ერთნაირი (გარეგნულად), ეპიზოდი. რომანის მეორე ნაწილის დასაწყისში თამარელა აღეს შატბის კომპინატის კბეზე. მან ეს-ეს არის მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ავტორი დეტალურად აღწერს თამარელას გზას, რადგან მისთვის ეს გზა მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. ერთ-ერთი, შემდგომი ეპიზოდში იმავე კბეებზე ვერ ადის რაიკოსის მდივანი — ბეგლარი. მისი ყოველი ნაბიჯის აღწერა არა-

ფერს არ მპატებს არც ბეგლარის ხასიათს, არც სიუჟეტის განათმარებას.

გაუმართლებელია, აგრეთვე, დახასიათების თუ აღწერილობის მრავალგზის გამეორება. მაგალითად, რომანის დასაწყისშივე ავტორი დეტალურად აგვიწერს მემშახტეების გარეგნობას, მათს ჩაქმულობას სათანადო ატრიბუტებით — მუზარადით, აკუმულატორული ნათურებით და სხვ. შემდგომში, რამდენჯერაც კი ხედება მკითხველი მემშახტეს, იმდენჯერ კითხვობს მის აღწერას. აღწერილობა ხშირად კარგად მიგნებული, დამახასიათებელი დეტალის თუ შტრიხის ახსნა-განმარტებად იქცევა ხოლმე, ამიტომ, ვფიქრობთ, რომანა არ წააგებს, თუ ავტორი მას შოტირდება.

გაკანტრების შთაბეჭდილებას ქმნის, აგრეთვე, ზოგიერთი წინადადების გაუმართლებელი გართულება, წვრილმანებით გადატვირთვა: „ახალგაზრდები, რომლებიც მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ მისდევდნენ შატბიას“; „კედელზე, მაღლა ცვიად პლაკატები მემშახტეთა შრომაზე, მათ შუა გაკრული იყო წითელი ქსოვილი, რომელზედაც თეთრი საღებავით და მსხვილი ასოებით ეწერა ლოზუნგი“; „ფერმკრთალ სახეზე მას ცნობისმოყვარეობის გამოშხატველი იერი აღბეჭდვოდა“. გარდა ამისა, რომანში, რომელიც საერთოდ კარგი ქართულით არის დაწერილი, ზოგჯერ დაუჩვეწავი წინადადებები გვხვდება. არის შემთხვევები, როდესაც სიტყვა ზუსტად არ შეესაბამება სიტუაციას: „კვიქის ფეხს ორი თითი მოწიწებით შეახო“; „ნიკომ თამარელას იუწყა— აქ გვირამი სპეციალური კარით არის გადაკეტილი“. ზოგჯერ წინადადებაში ავტორი ორ, ერთმანეთის შეუსაბამო, სიტყვას ხმარობს: სპეც-სამოსში გამოწყობილ მემშახტეთა ხილვანე თეილები ჰუატებს“. ზოგჯერ ერთ ეპიზოდში შედარებები ისე უკარბია, რომ ავტორი მათ ერთფერო-

ვან (და ამიტომ უხეირო) „გეგონებოდათ“ ი კრებს. მაგ. 285-ე გვ. „გეგონებოდათ“ ხეყრქრ მრასნ-ნახ-მარი, თან ორი „თითქო“ აქვს მისევედმტლია ზოგჯერაც თვით შედარებები არ არის სათანადოდ ზუსტი. მაგ., 376-ე გვ. ხელისგულისოდენა— ცხვირსაბოცია, 489-გვ. კი ხელისგულისოდენა სურფაა გაშლილი. საყვედური ასეთი ლაღსუნებისათვის ეკუთვნის არა მარტო ავტორს, არამედ რედაქტორსაც, რომლის უცხო თვალისათვის ასეთი წვრილმანები უფრო ადვილი შესაშინეცია. რისთვის ჰყავს წიგნს რედაქტორი, თუ ის „თავის დასაბან მიწას“ „თავსაბან მიწად“ არ გაასწორებს?!

ძალიანაც რომ ვეცადოთ, „ტრადიციის“ მიხედვით რომანი დაეშტამოთ რომელიმე „იარაღით“, როგორც ეს დღემდე გვხვდება ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში — „საკომედიურნიკო“, „სამრეწველო“ და სხვა ასეთი რომანი, ამგვარ „ნარჩოში“ „ახალ პორიზონტს“ მიიღ ვერ ჩაეტევა, რადგან ის გამოხატავს იმ ვითარებას, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არის, ეს არის სიბლადე და ინტერესთა ერთიანობა კოლმეურნესა, მუშასა და ინტელიგენტს შორის.

ჩვენს სინამდვილეში, საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრება ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. დღევანდელი მუშა და კოლმეურნიე ზეალ ინტელიგენციის რთვებში დგება და ისინიც კი, ვინც მუშად და კოლმეურნიედ რჩებიან, თავისი ყოფა-ცხოვრების პირობებით, გონებრივი, კულტურული მოთხოვნილებებით დიდად აღარ განსხვავდებიან ინტელექტუალური შრომის აღამიანებისაგან. ზღვარის შესამჩნევი შემკირება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის არის ჩვენი საზოგადოების დიდი მონაპოვარი. ეს ვარემოება მყადიო გამოხატულების ბოლოებს „ახალ პორიზონტშიაც“.



კ ა მ ო

(75 წლისთავის გამო)

...ვიცნობ ყოველმხრივ, როგორც განსაკუთრებული ერთგულების, "სიმამაცისა და ენერჯის აღმომად", — ასე დაახასიათა გ. ი. ლენინმა გამოჩენილი პროფესიონალ-რევოლუციონერი, ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის მგზნებარე პროლეტარული რაინდი — კამო — სიმონ არმაჯისძე ტერაპეტროსიანი.

მუშათა მოძრაობამ საქართველოში კამოს სახით მოგვცა შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სისტემატური პოლიტიკური დევნის მიუხედავად, თითქმის შეუთხებელი საეჭრის მანძილზე უშინარად, თავგანწირვით სძლევდა ყოველგვარ სიძნელეებს და თავის ერთგულ თანამოსაგრებთან ერთად განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა ჩვენი სახელოანი კომუნისტური პარტიის საპასუხისმგებლო დავალებებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, აწყობდა სტამბებს, საპატარძლოებიდან პოლიტიკური პატარძლების გაქცევას, ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან რუსეთში იარაღის, ფუტყებდა ნივთიერების გადმოტანას, გმირულად იბრძოდა თვითმპყრობელობისა და ბერყუასიის წინააღმდეგ.

კამო დაიბადა 1882 წლის 18 მაისს (6 მაისს ზე. სტილით) ქ. გორში.

პირველდაწყებითი განათლება კამომ შინ მიიღო, შემდეგ სწავლობდა გორის საქალაქო სასწავლებელში, საიდანაც გარიცხულ იქნა 1898 წელს ცენტრის და პოლიტიკური არასამედიოების გამო.

სასწავლებლიდან გარიცხვის მიუხედავად, კამოს ზელი არ აიღია სწავლაზე. იგი დიდი ინტერესით კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას.

1901 წელს გარდაიცვალა კამოს დედა; დედის სიკვდილის შემდეგ კამომ საბოლოოდ დატოვა გორი და საცხოვრებლად გადავიდა თბილისში.

ამ პერიოდის თბილისი წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს კავკასიაში.

მარქსისტული აგიტაციის უმნიშვნელოვანეს ძალას ადგილობრივ ქართველ მუშათა პროპაგანდისტებთან — მ. ბოჭორიშვილთან, ზ. ჩოდრიშვილთან, ი. სტურუასთან, ს. თოდრიასთან,

მ. ჩხეიძესთან და სხვ. ერთად წარმოადგენდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატების: კალინინი, ს. ალილუევი, ი. კოშტეკოვი, ფ. მაიოროვი და სხვ. რევოლუციური პროპაგანდის საქმეში ფართოდ იყენენ ჩაბმული მოსწავლე ახალგაზრდებიც. ნაყოფიერი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაბმული თბილისის პროლეტარიატის ბრძოლამ, რომელსაც სათავეში ედგა ზელმძღვანელი პარტიული ჯგუფი მ. ცხაკაიას, ფ. შახარაძის, ლ. ყუცხოველის, ს. წულუკიძის, ი. სტალინის შემადგენლობით შეგნებული, აშკარა კლასობრივი ბრძოლის ჩასათათ მიიღო.

თბილისში გაჩაღებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ უდიდესი გავლენა მოახდინა კამოზე, რომელიც თავისი თანაგვებელ ვორაულ სტუდენტთა დახმარებით სწრაფად დაუახლოვდა თბილისის სასულიერო სემინარიის არალეგალურ რევოლუციურ წრეებს და უშუალოდ ჩაება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში.

პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებასთან ერთად კამო განაგრძობდა მეცადინეობას, სწავლობდა მათემატიკასა და რუსულ ენას. სწორედ რუსული ენის გრამატიკაში მეცადინეობის დროს, არსებითი სახელის ბრუნების შესწავლის სიძნელესთან დაკავშირებით მიიღო მან თავისი ზედმეტი სახელი „კამო“. ეს სახელი კამოს ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნისას შეარქვეს. განდარბრების მასალებში 1909 წლის 13 ოქტომბრის თარიღით დაცულია ოქმი სიმონ არმაჯისძე ტერაპეტროსიანის ჩვენებით. „მე — აზობოდა, იგი, — ცნობილი ვიყავი: „კამოს“ ან „კამო სომეხის“ სახელით. რუსეთში ჩემ თანამემამულეთა შორის მიცნობდნენ „კამუს“ ფსევდონიმით და არა „კამოდ“. როდესაც გორის სასწავლებელში ვსწავლობდი, ამხანაგებმა ზურობით შემარქვეს „კამუ“, იმიტომ, რომ ერთხელ არასწორად ვუპასუხე მასწავლებლის მიერ დამსულ კითხვას. რუსულ ენაზე „земь“-ს ნაცვლითქვე „кому“.¹

¹ საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 22. საქმე 476 16/1 გვ. 169.

1901 — 1903 წ. წ. კამო ახლო გაეცნო მ. ცხა-
გაის, ა. წულუკიძეს, ი. სტალინს, ბ. კენიანიანს,
მ. ბოქორიშვილს და რუსეთის სოციალ-დემოკრა-
ტიულ მუშათა პარტიის სხვა გამორჩენილ აღ-
ვალობრივ მოღვაწეებს და მათთან ერთად მებრ-
კულად ზაგბა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრა-
ტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, იგი მო-
წაწოდებდა იღებდა მუშათა გაფიცვებში, პოლი-
ტიკურ დემონსტრაციებში, აწუხებდა არალეგალ-
ურ სტამბებს, ავრცელებდა პროკლამაციებს
და სხვ.

1903 წლის მაისში კავკასიის კავშირის მიერ
კამო გამოუფიქრი იქნა არალეგალური ლიტერა-
ტურის ტრანსპორტიორად. მას ელისო ლომი-
ნაძესთან, მოსე კვარაცხელიასთან და მარია სუ-
ვოროვა-ფედოროვისთან ერთად ამიერკავკასიის
სხვადასხვა ქალაქებში სისტემატურად გადამ-
ქრნდა ვაზუტეები: „ისკრა“, პროლეტარიატის
ბრძოლა“ და რევოლუციური ლიტერატურა.
გარდა ამისა, კამო რეგულარულად აწვდიდა დე-
ვილობრივ ორგანიზაციებს პარტიული ცენტრის
გადამწევეტილებებს, ღირებულებებს, ხელშეწყვე-
ნის ამსახვების ნითითადაც და ცნობებს.

ტრანსპორტიორად მუშაობის დროს კამო ყო-
ველ მხრივ დახვედრებული კონსპირატორი გახ-
და, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1903 წლის 27
ნოემბერს ყანდარმერიაში საღებურ ბათუმში შემ-
თხვევით დააკავა იგი. განჩხრების შედეგად ჩე-
ჩენაში და კალათაში, რომელიც აღმოაჩინდა
კამოს, ნახეს უამრავი პროკლამაცია, ვაზუტე
პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლები და
სხვა არალეგალური ლიტერატურა.

სამარტყმდლო მასალების მიხედვით, კამოს
სამი წლის პატიმრობა მოელოდა, მაგრამ იგი არ
ფიქრობდა სასჯელის მოხდას, პირიქით, დაპა-
ტიმრობისთანავე კამო უკვე გაქცევაზე ოცნე-
ბილდა.

1904 წლის 17 სექტემბერს კამომ განახორ-
ციელა კადეც თავისი განზრახვა. ერთ-ერთი გა-
სყარებისას მან ისარგებლა შორივე ჯარისკე-
ციის ყურადღების მოდუნებით, იხელთა დრო,
სწრაფად გადაეწეო კედელს და მოხერხებულად
მიიღწა.

ბათუმიდან კამო ფარულად გამოემგზავრა თბი-
ლისში. „1904 წლის სექტემბრის თვეში, — იგო-
ნებს იგი, — მე გაიქცევი ბათუმის ციხიდან, სა-
დაც ვიჯექი, როგორც ბრალდებული არალეგალ-
ური ლიტერატურის ვავრცელებამში, რომელ-
საც სცემდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა
პარტია... 1904 წლის სექტემბრის ბოლოს ჩამო-
ვედი ბათუმიდან თბილისში, სადაც ეცხოვრობ-
დი არალეგალურად სხვადასხვა პირებთან. მჭონ-
და სიზონ ზობის გვარზე ვაყიებული პასპორტი,
რომელიც მივიღე რუსეთის სოციალ-დემოკრატი-
ული პარტიის თბილისის ორგანიზაციიდან. აღ-
ნიშნულ ორგანიზაციას მჭონდა თავისი საპას-
პორტო ბიურო, რომელიც არსებობდა თბილისის

კომიტეტთან. ბიუროს დანიშნულებას წარმოად-
გენდა უზრუნველყო არალეგალურად მცხოვრე-
ბი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების
პასპორტებით მომზადების საქმე. თითოეული მუშა
ნიშნულ საკავშირო კომიტეტის (კავკასიის კავ-
შირი. რ. ი.) წევრად არ ვითვლებოდი. საკავშირო
კომიტეტთან არსებობდა გამავრცელებელი ბიუ-
რო, რომელიც ავრცელებდა „წულუგაღმშინას“,
ე. ი. არალეგალურ ლიტერატურას. ეს გამავრცე-
ლებელი ბიურო... იმყოფებოდა თბილისში. თბი-
ლისში მე არალეგალურ ლიტერატურას ვიღებდი
ერთი და იმავე პიროვნებისაგან. მას შემდეგ,
რაც გავეცანი რ. ს. დ. მ. პროგამას და პარტი-
ულ ლიტერატურას, ვაგზდი მისი ჩივილი წევრი
და თავიდანვე... ვავრცელებდი იმავე პარტიის
კავკასიის კავშირის მიერ გამოშვებულ არალე-
გალურ ლიტერატურას.“¹

1905 წლის იანვარში დაიწყო რუსეთის პირ-
ველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუ-
ცია. კამომ ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდი
და ენერჯიული მუშაობა გასწია. მუშათა საპრო-
ტესტო გამოსვლებთან დაკავშირებით მას მთელი
კვირამობა, ხანდახან დამლაშობითაც კი, უხდე-
ბოდა მუშაობა. იმეტყებოდა და ვრცელებოდა
უამრავი პროკლამაცია, არალეგალური ლიტერა-
ტურა.

1905 წლის 14 თებერვალს კამო აშხ. ს. ორ-
ჯონიკიძესთან ერთად სათავეში ედგა სომეხ თა-
თართა ხოცვა-კლუტის წინააღმდეგ თბილისის
პროლეტარიატის მიერ მოწყობილ მძლავრ საპრო-
ტესტო დემონსტრაციას. აქ შრომელთა 10
ათასიანი მასის წინაშე მან რამოდენიმეჯერ წარ-
მოსთქვა მგზნებარე რევოლუციური სიტყვა.

მუშათა მოძრაობის ტალღა სულ უფრო მე-
ტად იზრდებოდა. რ. ს. დ. მ. პ. III ყრილობის
შემდეგ თბილისიდან ბოლშევიკურ ცენტრში
გავსავენილ ერთ-ერთ წევრილმ ნათქვამია: „ქაბრ-
თველებს შორის ქალაქებსა და სოფლებში, რკი-
ნისგზაზე — მატარებლებში, ერთი სიტყვით,
ყველგან გაშლილია ცხარე კამით... მოკვავთ
ციტატები ლენინიდან, პლუხანოვიდან, მარქსი-
დან და ენგელსიდან. ციტატები მოკვავდათ აგ-
რეთვე ერთდროის პროგამიდან, კომუნისტურ-
ი მანიფესტიდან, „რა ვაყითოდან“, „ნაბიჯები-
დან“, ყრილობის ოქმებიდან და სხვ. ყველაფერი
ეს ხდება აუწყებელი საშარეთული ენთუზიაზ-
მით.“² ხელიდან ხელში გადადიოდა ვაზუტე
„პროლეტარი“, „რა ვაყითო“ და „ნაბიჯებზე“
კალოსალურა მოთხოვნილება — პროლეტარი,
პროლეტარი პირველი პლანდ უკანასკნელად ეს

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო
საისტორიო არქივი, ფონდი 22, საქმე 476, 16/1,
გვ. 164 — 165.

² სკვპ ც. კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენ-
ინიზმის ინსტრუქტის პარტიული არქივი, ფონ-
დი 26, აღწ. 29.6., საქმე 1017 გვ. 2.

არის ამჟამად უპირველესი და უმთავრესი სა-
კმე¹ — სწერდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტე-
ტი ცენტრალური კომიტეტის ორგანოს რედაქცი-
ას 1905 წლის მაისის ბოლოსათვის გაგზავნილ
წერილში.

იჯანყების ტექნიკურ საქმეთა მოგვარების მი-
ზნით თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას-
თან შეიქმნა საეკონომიკური სამხედრო შტაბი.
შტაბის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კამო.

1905 წლის 18 დეკემბერს თვითმპყრობელობა
თავს დაესხა თბილისის პროლეტარიატს. კამო,
მ. კალაქისთან, გ. ელიაშვილთან, ვ. თვარაძესთან
და სხვებთან ერთად თავგანწირვით ჩაება ნაძალა-
დევში შემოჭრილ კახაკთა სამხედრო ნაწილების
წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. ერთ-ერთი
შეტაკების დროს იგი დაჭრილი იქნა და
ტყვედ ჩაუვარდა კახაკებს. „დამიჭირეს,—იგა-
ნებს კამო,— და თოფებითა და ხმალ-ხანჯლე-
ბათ შეიარაღებული 30 კაცი გარს შემოიჭრება.
ერთი მათგანი მომიპაბოვდა და ხანჯალი მატაკა.
მე ბუნებრივად უკან დაეხიე, ესლა ხანჯალი
იმან მატაკა, რომელსაც მიუცხოვდი, და ასე,
ვისკენაც კი წაყოფილი ექმნებოდა ხანჯლის წვერს
ვლებულობდი, ამნაირად, მომცეს 22 კრილიან².
ხანგრძლივი წყალების შემდეგ შეპყრობილი „მე-
ამბოხე“ მეტეხის ციხეში მოათავსეს, მაგრამ
თვითმპყრობელობის აგენტებმა ვერ იცნეს კა-
მო და ამის გამო მან მალე მოაზერხა ციხიდან
თავის დაღწევა.

1906 — 1907 წ. წ. კამო აქტიურ მონაწილეო-
ბას იღებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ
კავკასიაში გაჩაღებულ პარტიზანულ ბრძოლა-
ში. მისი ინიციატივით 1906 წლის აპრილში მო-
ეწყო პატიმართა დიდი ჯგუფის გაქცევა მეტე-
ხის ციხიდან. 1906 წლის დეკემბერში კამო ბულ-
გარეთში — ქ. ვარნას გაემგზავრა და რ. ს. დ. მ. პ.
კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომი-
ტეტის მიერ გამოყოფილ კომისიასთან ერთად
ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ შექმნილი
იარაღის რუსეთში ტრანსპორტირების საქმეს.

1907 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში კამო
საეკონომიკური პარტიული დავალებით თბილისი-
დან პეტერბურგს წავიდა. პეტერბურგში იგი
დაეხმარა ნ. კ. კრუშკაიას და დაუახლოვდა
გ. ი. ლენინის ოჯახურ წრეს კოტაილაში, სადაც
კამომ პირადად გაიყნო დიდი ბელადი.

კამო პეტერბურგში თითქმის ერთი თვე დარჩა.
იქ იგი პარტიული ამზანაეების დახმარებით სწავ-
ლობდა ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერება-
თა დამზადებას.

1907 წლის 15 თებერვალს კამო დაბრუნდა
საქართველოში და თან ჩამოიტანა დიდძალი

ფეთქებადი მასალა. პარტიაში შექმნილ მიმე-
დინანსური მდგომარეობის გამო, 1907 წლის 13
ივლისს თბილისში, ვრეჟენის მოედანზე, ეჭვანა-
გების ჯგუფში კამოს ხელმძღვანელობით მოაწყო
სახანძრო თანჯების მსხვილი ექსპროზიაცია.

თვითმპყრობელობა დიდ მნიშვნელობას ანი-
ჭებდა ვრეჟენის მოედანზე მოწყობილი ექსპრო-
ზიაციის მონაწილეთა აღმოჩენას. სასტიკო დევნის
მიუხედავად, კამომ ფული ფილიფსი კონსპირა-
ციის დაცემა გადაიტანა ბაქოში, შემდეგ პეტერ-
ბურგზე გავიდა — დანეთში და 1907 წლის
აგვისტოში გადასცა თანშემღებებისაშენებ.

1907 წლის აგვისტო კამომ ფინეთში გ. ი. ლუ-
ნინთან გაატარა. პროლეტარიატის დიდ ბელად-
თან ხანგრძლივად ყოფნამ არაჩვეულებრივი გავ-
ლენა მოახდინა კამოზე. მას ბავშვური გულწრ-
ფელაობით შეუყვარდა ილია, კამო გამოირჩე-
და, დიდი გამოუდიდებდა შილო, ბევრი რამ შეი-
ძინა რევოლუციურ-მარქსისტული თეორიისა და
პრაქტიკის დარგში. მას დიდად აფასებდა
გ. ი. ლენინიც. ვლადიმერ ილიასძეს მოსწონდა
ამ პიროვნების ახალგაზრდული გამბედაობა,
რევოლუციური გატაცება და სიმტკიცე.

1907 წლის ოქტომბრის დასაწყისს კამო, პარ-
ტიის დავალებით, ჩადის საფრანგეთში, შემდეგ
მოგზაურობს სამხრეთ ევროპაში, ნოემბრის დამ-
დევის კი იგი უკვე ვერმანიაშია.

1907 წ. 9 ნოემბერს კამო დაამტკიცა, კამოს
საქმესთან დაკავშირებით წერლიანს ჩამოვიდა
ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამ. ლ.
პ. კრასინი, რომელიც აქ შეხვდა კამოს ადვო-
კატს — ოსკარ კონს და მისცა მას სათანადო მი-
თითებები. 1908 წლის 6 თებერვალს ოსკარ კონსი
ინახულა კამო შიბუიტის ციხეში. 7 ნოემბერს კი
დაიწყო კამოს მიერ სიციხის საყოველთაოდ ცნო-
ბილი სიმუშაოთა.

1908 — 1909 წ. წ. კამო იქნა ბერლინის სულთ-
ავადმყოფთა სამკურნალოში („ბუხმო“). იქ ავად-
მყოფის სულიერი მდგომარეობის შემოწმებას
მიზნით ბარბაროსულ მეთოდებს იყენებდნენ. შე-
სამოწმებელს საშინაოდ აწვავდებდნენ, ჩველებ-
დნენ ნებსებობა, დაღაიდნენ სხვადასხვა ზომის
რკინის გაბურბული შანთებობი, სემოდნენ კარ-
ცერში, სადაც ტემპერატურა ნოლ გრადუსზე და-
ბალი იყო, სცემდნენ, ხელოვნურად უმტვერე-
დნენ სახსრებს, ძვლებს და სხვ. ასეთი წამების
იტანა ჯანმრთელი ადამიანისაგან არახელ დე-
ძაბენს მოითხოვდა. კამომ გატეოლ „ცივილიზე-
ბელ“ — ბარბაროსთა ამ მრავალფეროვანი სა-
შუალებებით წამებს, ბერლინის ცნობილი ფსი-
ქიატრების მიერ გამოტანილ საბოლოო სამედი-
ცინო დასკვნაში იგი აღიარებულ იქნა მიმე-
დინარ ავადმყოფად.

1909 წლის 21 სექტემბერს ვერმანიის ზელის-
ფელდამ კამო რუსეთის მთავრობას გადასცეს
1909 — 1910 წ. იგი თბილისში — მეტეხის ცი-
ხეში იჯდა. 1910 წლის გაზაფხულზე კამომ ხელ-
ახლად დაიწყო სიციხის სიმუშაოთა, რადგან თვით-

¹ იქვე. ფონდი 26. აღწ. 27 წ. საქმე 20119,
გვ. 1.
² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქარ-
თლოს ფოლიალის არქივი, ფონდი 31. საქმე
325, გვ. 139.

მეზობელობა სისხლის სამართლის კანონებით აპირებდა მის განსამართლებას. 1910 წლის 21 დეკემბერს, შემოწმების მიზნით, კამო მოთავსებულ იქნა მიხეილის (ამჟამად ქალაქის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო) საავადმყოფოს შემოღობვა განყოფილებაში. სასტიკი მეთვალყურეობის მიუხედავად, საავადმყოფოდან კამომ მოახერხა ფარულად კავშირის დამყარება თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან და მისი დახმარებით 1911 წლის 15 აგვისტოს მოახერხა გაქცევა. 1911 წლის 17 აგვისტოს ეინდარშია სამმართველოს უფროსის მიერ ოზბაჩისა და საპოლიცია უწყებებში გაგზავნილ მიმართებში ნათქვამია: „15 წლის აგვისტოს შუადღის 5 საათზე თბილისის მიხეილის საავადმყოფოს შემოღობვა განყოფილებიდან გაიქცა იქ გამოსაცდელად მოთავსებული პატიმარი სიმონ არშაკის-ქე ტერპეტროსიანი, გაქცევა მოხდა საპრეზიდენტო ოთახის პატარა დერეფნის ფანჯრიდან, რომლის რკინის ზღურები რამდენიმე ადგილას ვადახერხილი აღმოჩნდა“¹.

ოზბაჩამ ვერ მიაგნო კამოს კვალს; თბილისის პარტიული ორგანიზაციის დახმარებით კამო მშვიდობიანად ჩავიდა ბათუმში და აქედან 1911 წლის 19 აგვისტოს — გემის ტრიუმფი დამალული, უდიდესი კონსპირაციის დაცვით საზღვარგარეთ — საფრანგეთში გაემგზავრა.

პარიზში კამო შეხვდა ვ. ი. ლენინს, ნ. კ. კრუპსკაის, გ. კ. ორჯონიკიძეს და სხვა პარტიულ ამხანაგებს.

1912 წლის 6 ივნისს იარაღით და ფეთქებადი მასალებით დატვირთული კამო რუსეთში დაბრუნდა. თავდაპირველად იგი ბათუმის პორტში ჩამოვიდა, შემდეგ კი თბილისში გამოემგზავრა.

ვ. ი. ლენინის მიერ გაზალბეული ენერჯიული საქმიანობის შედეგად კავკასიელმა ბოლშევიკებმა ამ პერიოდისათვის დიდ წარმატებებს მიიღწიეს პოლიტიკური მოძრაობის ახალი აღმავლობის გზაზე. პარტიული კრიზისი დამთავრდა. სულ რაღაც ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში — თბილისი, პეტერბურგთან, მოსკოვთან და რუსეთის სხვა ქალაქებთან ერთად, ფართოდ მოიცვა არალეგალური ორგანიზაციების აღსადგენად გამოვლილი მუშაობა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე კამო გატაცებით ჩაება მუშაობაში. იგი სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელ სამხედრო-ტექნიკურ საქმიანობას. 1912 წლის ივლისსა და აგვისტოში კამომ იმოგზაურა რუსეთში, საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში; იყო პეტროგრადს, მოსკოვს, ოდესაში, ელზავეტპოლში, ქუთაისში და სხვ. კამო დაუკავშირდა სანდო პარტიულ ამხანაგებს და

ჩამოაყალიბა სამხედრო-ტექნიკური ჯგუფი. მისი ინიციატივით თბილისის სხვადასხვა რაიონში მოწყობილი იქნა უმუშარებისა და ფეთქებად, ნეოთიერებათა დამამზადებელი რამდენიმე ფარული ლაბორატორია.

1912 წლის 24 სექტემბერს, სასტიკი პოლიციური დევნის მიუხედავად, სამხედრო ტექნიკური ჯგუფი კამოს ხელმძღვანელობით კოჯრის გზაზე თავს დაესხა სახაზინო ტრანსპორტის მცველ ვახაეთა შეიარაღებულ რაზმს. მაგრამ ამჯერად ოზბაჩამ სახელს უხსტად მიიღწია თავდამსხმელთა კვლისათვის. 1913 წლის 10 იანვარს კამო დაპატიმრებულ იქნა. „10 იანვარს — ოგონებს პოლიციის ზედამხედველი შელცი — საღამოს 7 საათზე სახაზინო თეატრთან შევემხინე ეს პირი (კამო, რ. ა.), თავის ამხანაგებთან ერთად ტრამვაში მგდომი, და ავედევნე მას. ისინი ტრამვიდან სასახლის ქუჩაზე ჩამოვიდნენ. ერთი მთავანი „წითური“ ქუჩაში დაჩნდა. „გაპარსული“ კი შევიდა ქართული თეატრის ეზოში. რამდენიმე ხნის შემდეგ „გაპარსული“ გამოვიდა ეზოდან და წავიდა კავკასიის სამხედრო ოქჯის შტაბის შენობისაკენ, მაშინ „წითურიც“ გაჰყვა მას და შტაბთან ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. აქ მე ჩემს ხალხთან ერთად აღუა შემოვარტე მათ და შევიპაიო; გაჩხრეკის შემდეგ ისინი დაეპატიმრე და გადავეცი სამქებარო განყოფილებას“².

კამოს სიკვდილით დასჯი მიუსაჯეს, მაგრამ ამჯერად იგი რომანოვების მეფობის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ამნისტოის გამოცხადებამ იხსნა. ხელახალი სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, სიმონ არშაკის-ქე ტერპეტროსიანს აღნიშნული სასჯელი შეეცვალა სამუდამო კატორღით.

1915 — 1917 წწ. კამო ხარკოვის საეატორღო ციხეში იჯდა. საპრობოლიდან იგი მხოლოდ თებერვლის ბურევაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის შემდეგ განთავისუფლდა.

1917 წლის გაზაფხულზე კამო საქართველოში ჩამოვიდა და ფართო რევოლუციური მუშაობა გააჩნდა რაქვის მახრის გლეხებს შორის. თავის გამოსვლებში იგი ააშკარავებდა საქართველოს თებერვლის ბურევაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის იდეებს, მოუწოდებდა მშრომელებს ბურევაზიისა და მისი მსახურების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კამო პეტერბურგში გაემგზავრა, მაგრამ 1917 წლის დეკემბერში იგი პარტიის დეპუტატობით კვლავ ბრუნდებდა საქართველოში და ჩამოაქვს სტ. შუშინისისათვის ამიერ-

¹ საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 4, საქმე 47. გვ. 37.

² საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 22, საქმე 540² გვ. 49.

კავკასიის საგანგებო კომისიის მანდატი ვ. ი. ლენინის ხელმოწერით.

1918 წლის თებერვალში კამო კვლავ პეტროგრადშია. 1918 წლის გაზაფხულზე კამო საქართველოში დაბრუნდა. 1919 წლის მაისში მისი ინიციატივით მოეწყო სერგო ორჯონიკიძის ფარულ გამოგზავნება თბილისიდან მოსკოვში. კამო თვით გაეყვანა აშხ. სერგოს რუსეთში, მოსკოვში კამო შეხვდა ვ. ი. ლენინს და მუშაობა დაიწყო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აპარატში.

1919 წლის ზაფხულში, ვ. ი. ლენინის წინადადებით, კამოს დაეება მოეწყო მებრძოლი ჯგუფი დენიკინის ზურგში სამოქმედოდ. 1919 წლის სექტემბერში რაზმი უკვე გამოემართა კიდეც სამხრეთისაკენ. კამოს, როგორც მის ხელმძღვანელს, პქონდა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის ბარათი: „აშხ. კ. პეტროვს... ვიცნობ პირადად მე. ვთხოვ ყველა საბჭოთა დაწესებულებას, სამხედრო და სხვა ხელისუფალთ აღმოჩინონ აშხ. კ. პეტროვს სრული ნდობა და ყოველშემთხვევაში დახმარება“¹.

1919 წლის 24 ნოემბერს კამოს რაზმი, რომელშიც შედიოდნენ აშხ. ა. მახარაძე, პ. მარდაღიშვილი, ნ. ნოვიკოვი და სხვ., შემდეგში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბაძილაში დაღუბული გვირგები, ბაქოში ჩამოვიდა. აქ მისი დიდი ნაწილი დაპატიმრებულ იქნა მუსავატების მიერ. თვით კამომ რამდენიმე ამხანაგთან ერთად მოასწრო არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა და თბილისში გაემგზავრა.

1920 წლის იანვარში კამო დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ მან ერთი თვის შემდეგ მოახერხა საპატიმროდან თავის დაღწევა. ციხიდან გაქცევის შემდეგ კამო დაუკავშირდა ბაქოსა და ბათუმის ბოლშევიკურ კომიტეტებს. იგი ფუშავედა კავკასიის კონტრრევოლუციონერთა — საქართველოს მენშევიკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატების გვეშებს. კამოს ინიციატივით მოწყობილი სამხედრო ჯგუფები ანადგურებდნენ ბათუმსა და ბაქოში ვრანგელის ფენტებს, პროვოკატორებს, მუსავატელებს, აფეთქებდნენ იარაღის საწყობებს, ხიდებს, გემებს, სამხედრო მატარებლებს და სხვ.

1. გაზ. „კომუნისტი“, 1928 წელი, 15 ივლისი, № 163.

1920 წლის აპრილში კამო მონაწილეობას იღებდა ბაქოს პროლეტარიატის მიერ შეიქმნილი აჯანყების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით ბაქოს მუშათა რაზმებში ჩამოყალიბებულ იქნა სამხედრო დრუჟინები, რაზმები და სხვ.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კამო გაემგზავრა მოსკოვს და იქ მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

1921 წელს კამო, როგორც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, გაგზავნილ იქნა თეირანს. თეირანიდან დაბრუნების შემდეგ იგი 1922 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა და ამავე წლის 8 მაისს დანიშნულ იქნა იმერეთის საოლქო საბჭოთა სამმართველოს უფროსად.

1922 წლის 14 ივლისს საღამოს 11 საათზე ვერსი (ამჟამად ელბაქიძის) დაღმართზე ევროსიპელით სწრაფად დაშვებული კამო იტალიისკენ დაეძახა. მიმდებარე დაწესებულებები კამო სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ კრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა და კატასტროფიდან ორ საათნახევრის გასვლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

კამოს დაკრძალვა მოხდა 1922 წლის 16 ივლისს პუშკინის ბაღში. საქართველოს და იმერეთის კავკასიის პროლეტარიატი უდიდესი შწმუნებით გამოუთხოვა კომუნისტის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს. დაკრძალვის დროს სიტყვებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ა. მახარაძე და რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. მრავალრიცხოვან გვირგვინებს შორის კამოს კუბოსთან ეწყო გვირგვინები, რომლებზედაც ეწერა: „დაუწყოფარი კამო — ლენინისა და კრუპსკიასაგან“, „პროლეტარული რევოლუციის მუდმივ დარაჯს — რ. კ. პ. (პ) ც. კ-საგან“.

მგზნებარე რევოლუციონერის კამოს გვირგვინსა და მუდამ ცოცხლობს საბჭოთა აღმართების გულში. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდა იგი ცარიზმის, ბურჟუაზიისა და კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ხალხის ბედნიერი მომავლისათვის.

ლიტერატურული შემკვიდრება

ლიტერატურული
შემკვიდრება

მინიერ კაქაიძე



სულხან-საბა ორბელიანის უკანასკნელი მშგავრობა

XVII საუკუნის მეორე ნახევარი და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი საქართველომ, მასა მიწინავე შეიღებმა, შეიღებმა იოქვის მიღმა ქართველმა ხალხმა, გარეშე მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში გაატარეს, სიცოცხლე არ დამტრეს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და კულტურულ ქვეყნებად ურთიერთობისა და მეგობრობის დასამყარებლად.

გორგი მეფეთრთმეტე, არჩილ მეფე, ლევან ბატონიშვილი და მისი ძენი — მეფე ქიხოსრო და ქართული კულტურის უდიდესი მოღვაწე ვახტანგ VI უოველნარად ცდილობდნენ ჩვენი ისტორიის ამ მძიმე მომენტში საქართველო მოსაპოვებლად გერმანიისაგან გადარჩენათ. მათი თვალს მიუპარებელი იყო ხან კათოლიკურ-ქრისტიანულ დასავლეთისაგან (საფრანგეთი, იტალია), ხან ჩრდილოეთის დიდი სახელმწიფოსაგან — შვედეთისაგან დამარცხდნის რისკი. მათი დახმარებით ფიქრობდნენ ქართველთა მესვეურნი მამაღიანური სამყაროს შემოტრევათა მოგვარებას და თვითმოყოლობის შენარჩუნებას.

ამ მიზნით ისინი სისხლისმღვრელ თავდაცვითი ღმბთან ერთად დიდ დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. მოსკოვი, პარიზი, რომი, კონსტანტინეპოლი, ისპაანი და სხვა მრავალი ქალაქი აქვთ ფეხით მოუვლიათ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს და ჩვენი სამშობლოსათვის უკეთესი ზრუნვის მოსაპოვებლად ბედი უცდიათ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სულხან-საბა ორბელიანს, რომლის სპეტაკი გული საქართველოს სიყვარულში დაიფრფლდა.

გორგი XI, არჩილ მეფე და ლევან ბატონიშვილი ორბელიანის მიმდამოვლები იყვნენ, ქიხოსრო და ვახტანგ VI მამიდაშვილის შვილინი. სულხან-საბა ორბელიანი მათი ერთგული იყო. დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწეობისას მთელი თავისი ბრწყინვალე ნიჭი, შორისმკვრეტელობა და ენაქვეყრობა მათი ტახტის განმტკიცებას მოახლოა, რადგან „ქართული ლექსიკონისა“ და „სახარხე სიკრტის“ უკუდავი ავტორი ფიქრობდა, რომ ზემო დასახელებულ პირთა საგარეო პოლიტიკის კურსი ყველაზე უფრო უსახურებდა და მოუკიდებელი საქართველოს ინტერესებს. ამიტომ არ ექნებოდათ სწორი, ორბელიანის ერთგულება მამიდამოვლებთან მარტო ახლო ნა-

თესაობით იგვეხსნა, ეს რომ განსაზღვრული მიზეზი ყოფილიყო, მაშინ მას ადვილად შეეძლო საერთო ენა გამოენახა ვახტანგ მეექვსის უმცროს ძმებთან — იესე ბატონიშვილთან (ალ-იუსლიხანი), რომელიც 1714 — 1716 წ. წ. ქართლში მეფობდა ირანის შაჰის ბელიშეყობით და სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც ვახტანგის ისპაანში ყოფნის დროს, ავრთვეთ იტყნებოდა ქართლის ტახტზე.

სულხან-საბა ორბელიანს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ იმ დროს არც ისპაანი, არც სტამბოლი არ წარმოადგენენ იმ ცენტრებს, რომლებსაც შეეძლებოდათ კეთილშეზობლური ურთიერთობის დამყარება საქართველოსთან, ისეთი მეტობლობა-მეგობრობისა, რომელიც არ შელახვდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ სულხან-საბა ორბელიანი თანაუგრძნობდა გორგი XI-ს, არჩილ მეფეს და ვახტანგ VI-ს, როცა ისინი დაეინებით ეძებდნენ მეგობარ-მოკავშირეს, დამხმარეს ქრისტიანულ სახელმწიფოსა სახით. ორბელიანი მათი მრჩეველი და საიმედო ელზი იყო ამ დიპლომატიური საქმიანობის დროს.

ჩვენ დაწერილებით არ ვიცით, რა მოღვაწეობას ეწეოდა ამ მხრივ სულხან-საბა თვით საქართველოში, მაგრამ საქართველოს ფარგლებს გარეთ დიპლომატიური მიზნით ორბელიანმა სამეგრეო მოგზაური.

ს. ორბელიანის Curriculum Vitae-ში ნათქვამია: „ქორანიკოს ჩიდი (1710) დეკემბერს ა (1) ზვარასანს წავიდა, — მეფეს ქიხოსროს ეგზო და ფეხურვალს კ (20) გამოისტუმრა მრავლის ნიჭითა. მათს ია (11) ქართლს მივიდა“ („ქართული ლექსიკონი“, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 477).

აქედან ჩანს, რომ გორგი XI-ის ყანდაარში დაღუპვის შემდეგ ქართლის ტახტზე მეფედ დამტკიცებულ ქიხოსრო ბატონიშვილს, საგანგებოდ გაუწვევია ზორასანში ს. ორბელიანი (1710 წლის დეკემბერი — 1711 წლის მაისი). გერგერობით უცნობია, არ დაეკლები მიიღო ორბელიანმა ქიხოსროსაგან.

მეორეჯერ ვახტანგ VI-მ ს. ორბელიანი ვეროპაში გაგზავნა (1713 — 1716), ამ მოგზაურობის მიზანი და მარშრუტი საქმოდ გარკვეული და

შესწავლილა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

შესაშედ ს. ორბელიანი ვახტანგ VI-ს გაყევი რუსეთში (1724). თვითონ ვახტანგი ამის შესახებ გადმოგვცემს: „ჩვენ რომ რუსეთს წამოვედით, საბამ მოხუცებულმა, სამოცდაშვიდისა წლისამან, ჩვეულებისამებრ, ჩვენი მამა-ბიძით სიყვარული და ჩვენი ერთგულება არ უღებ-ყო და თან გვიახლა საშის ძმითა და ორის ძმისწულთა“ (საქართველოს სიმეფლენი, II, 1909, გვ. 332). ვახტანგის ამაღა მიდიოდა მარშრუტით: თბილისი — გორი — ცხინვალი — უწყრა¹ — დივორო — სოლადი — ასტრახანი.

ასტრახანიდან ცარიანზე ვაფლით — მოსკოვი — პეტერბურგი. პეტერბურგში უნდა წარსდგომოდა ვახტანგ VI პეტრე დიდს და საქართველოს შესახებ დახმარება პირადად გამოეთხოვა. ეს მგზავრობა იოლი არ ყოფილა 67 წლის მოზუც სწახსათვის. განსაკუთრებით კავკასიონის გადალახვის დროს. გზაში მას (ისე, როგორც მთელ ამაღას, რომელიც 1300-მდე სულს ითვლიდა) დიდი გუპირების გადატანა მოუხდა. ამაღას წევარი გაბრიელ გელოვანი მოგვითხრობს: „მამინ აღდგა მეფე და განელო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიისა მსგავსი ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯერღმელი მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრეთ ძნიად განსასვლელ იყო კაცთათვის, უკეთუ შთავარდნილ იყოს ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არჩივი, მასცა ვერღა ეჭლო მშენი აღმოსვლად, არცაღა თუ ესკოდენთა ურისცვთა დედა წელთა“ (ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ პეტსარათა პოლემი, 1956, გვ. 118).

პოემა „ვახტანგის“ ავტორი ფაველინიშვილი „სახაველ მთას“ უწოდებს უღელტეხილს, რომელიც სხვებთან ერთად გადალახა საბამ.

უღელტეხილის გადავლის შემდეგ ამაღას გაპირვება შეუმსუბუქდა. როგორც ცნობილა, ვახტანგ IV-ს ცოლად ჰყავდა ჩერქეზთ ბატონის ასული დედოფალი რუსუდანი. მეფე-დედოფალს (და, ცხადია, მათ მახლობლებს, აგრეთვე მთელ ამაღას) ჩერქეზები გულბიძად შეხვედრიან.

შეეცყოთ ჩერქეზთ ბატონებს, მოვიდნენ
კაცის წყობითა,
მათ წაგვიყვანეს თვის სამყოფს,
აუჩქარებლად რომითა.

რა გარდევდით, მოვიგება დედოფალსა
დედა თვისი,

¹ უწყრიდან (რაჭა) ამაღას კავკასიონის ქედი გადაუვლია ყინულოვანი უღელტეხილით — გურბივი — ვეცა (იხ. Л. И. Маруашвили, В. Баграტიони, его предшественники и современники. Москва, 1956, стр. 26).

თან იახლენ რაღანი ქალნი, რაცა უნდა
მარცხევენი მისი
გეზულითა
მოგვიძღვნენ თვისა პალატა, სად
ქონდათ სახლი გებული,
ლბინი უჩვენეს საშოვრო, ვითა ენებათ
შეებული.

(ლიტერატურული მიგება, ტ. IV, გვ. 194).
რამდენიმე ხნის შემდეგ ჩერქეზთა ქალაქი (ჩეზიდენციამი) მივიდა რუსებისაგან გამოგზავნილი ყალბუზთა ჯარი, რომელსაც უნდა გაეცილებინა ვახტანგის ამაღა გარკვეულ მანძილზე ჩერქეზთა შთავარმა (უფროსმა) ალიმ, როგორც ჩანს, თავის მხრივ რაღამი გაყოლა გამოცლებლად ვახტანგის ამაღას.

წამოვედით აღმა მეფეს თან ატანა ძმა
ზღუბულად.
დაეშართენით დიდს მინდორს, ვერვინ
აგვიჩნდა ენებულად.
(გვ. 196).

გზაში მათ რუსების რევოლუციური ჯარი შემოვედნენ, რომაც ამაღა ძლიერ სასიამოვნებო ღარმა. ამასთან დაკავშირებით სენია ჩვიტეწერს: „წაბრძანდა მეფე ვახტანგ რაჭილამ ჩერქეზის ბატონის სახლში, ვითაც მოყვარე იყო და დახვდა მართებულად, რომელი იმ ქვეყანასა გაეწყობოდა. მარიაშობა იქ გადაიხადა. წაბრძანდა მიეგება შოლა და კალმური და ყახბი, იყო ათასი კაცი. შოლა დღეს (შემოვედნათ — მ.) რუსის ჯარი ქვეითა და ცენოსანი, ხელშეიღისაგან განსწავლული, მეცნიერნი და მხენნი ათას ორასი, იმით უფროსს ბულღუღარის ეპაზოდნენ. სარდალს შედეგი კაცი იყო დრანვი, ახლდა შვიდი ზარბაზანი, დაიწყეს სროლა ზარბაზნებისა და ვარჯიში თოფითა, ერთი სამოცე არ შეედრებოდა. ჩაიარეს დაღისტინის პირი და სოლდის სახალოეს მიეწურნენ ორს ალაჯზე. მოეგება სარდალი კალსკით, შექმნეს ზარბაზნის სროლა. მიბძანდა მეფე, სადაც სავანე მოეშადა, დაპატოვა სარდალმა, დახვდა დიდგამორჩენებით, მორათვა მისარბმევი, დაყო თვე ერთი და წაბრძანდა აშტარხანს ლეიონბისთვის“ („ქართლის ცხოვრება“, ნაწილი II, გვ. 333).

ჩვენი აზრით, ალი რუსუდანი დედოფლის უფროსი ძმა უნდა იყოს. ფაველინიშვილი, რომელიც ვახტანგს ახლდა, გადმოგვცემს, რომ რუსუდანს შეხვედნენ დედა და ძმები. ჩერქეზთა უფროსი ალი ერქვაო. ოჯახის წევრებმა წაიყვანეს ვახტანგი და რუსუდანი თავის რეზიდენციამი. ჩანს, რუსუდანის მამა ამ დროს ცოცხალი არ ყოფილა, თორემ შეუძლებელია ფაველინიშვილი არ მოგხსენებინა.

პ. ბეტკოვის ცნობით, ვახტანგის ამაღა წმ. ჯვარის ციხეში მასულა 1724 წლის 21 ან 22 აგვისტოს (იხ. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть первая. Петербург, 1869, стр. 63. ქვემოთ ეს წიგნი შემოკლებით იქნება მოთხოვნილი: Материалы...).

რუსულ წყაროებში მოხსენებული წმ. ჯვარის ციხე და ქართული სოფლის ციხე მარტოვად სოფალი — ეს ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია.

სოფალში მისვლის შემდეგ ვახტანგ VI-ის დავალებით იწყება სულხან-საბა ორბელიანის მესამე დიპლომატიური მოგზაურობა. მანამდე მეფემ სოფალიდან პეტერბურგს საგანგებო დავალებით და წერილით გაგზავნა „შემპარჯვენი ზემო ქართლის სრული სარდალი თავადი ვახტანგ ავთანდილის შვილი ამოლახორი“ პეტრე დიდიან წარსადგენად ამოლახორს, რამდენიმე მზღვრებით, სოფალიდან გასულა 1724 წლის სექტემბრის შემდეგ პეტერბურგში ჩაივდა იმავე წლის 6 ნოემბერს (იხ. ს. ყუბანეიშვილი დ. გურამიშვილი ქართულ ჰესართა პოლკში, 1955, გვ. 5).

როგორც ჩანს, ვახტანგ VI არ დამკვიდრებულა მარტოოდენ ამოლახორის წარგზავნით და მისთვის თითქმის კვალდაკვალ გაუყოლებია სულხან-საბა ორბელიანი.

ბეტკოვაქვემოკისს გიორგი ლეონიძის ცნობით, საბას თან ახლდნენ: „მისი შმა ბუტი ზოსიმე, აზნაური „იონივეკი“... მსახურები: დაბალი, აზნაური დიმიტრი და ტიტე კარგარეთელები, პარლუმბულის არქიმანდრიტი არსენ ბარათაშვილი, აზნაური ომანი, დიკეანი დავითი, მსახური „არტემონი“ (ლიტერატურული გაზეთი, 1955, № 4. „პოლი ფურცელი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა“).

საბა და ზოსიმე მოსკოვს ჩასულან ნოემბრის პირველ რიცხვებში, ხოლო „1724 წლის 6 ნოემბერს უკვე გამოცხადებულან მოსკოვში საგარეო საქმეთა კოლეგიის კანტორაში“ (იგივე წყარო). ცხადია, რაკი ორბელიანი საგარეო საქმეთა კანტორაში გამოცხადდა, მას გარკვეული დიპლომატიური მისია ჰქონია დაკისრებული. გარდა ამისა, უპიკველი, საბას მოსკოვში მცხოვრებ დარჯიჯან ბატონიშვილთანაც (არჩილ მეფის ასული) ექნებოდა ვახტანგის წერილი. სამწუხაროდ, ამჟამად უცნობია, კონკრეტულად რა ჰქონდა დავალებული სულხან-საბა ორბელიანს, თუმცა კვლევა-

I „ქართლის ცხოვრება“ სხვა თარიღს უჩვენებს: „ხოლო რაკილამ შავიდა მეფე ვახტანგ დიგორს, მუნ მოგებნენს ცოლის ძმანი თვისნი ჩერქეზის ბატონი. მუნიდან ჩერქეზს შთასარულს მიეცება სპანი დიდნი რუსთა სოფაბს ახალსა ციხესა შინა აგვისტოს 21, ოქტომბერს ჩაჯდა ნავსა დე განვიდა ანტარხანს ნოემბერს 21 (ნაწ. II, გვ. 87)

ძიების შედეგად მოხალადნელია აღმოჩენის ახალი მასალები, რომლებიც ორბელიანის ამ უკანასკნელი მოგზაურობის მიხედვით უკანასკნელი მოხლენს.

შეიძლება კი შემდეგი ვივარაუდოთ: სოფალში, ვახტანგმა რაღაც წყაროებით ვიგო, რომ პეტრე დიდი რატომღაც არ ჩაბრობდა მეფის მიწვევას პეტერბურგში. მას კი მოუთმუნლად უნდოდა რუსეთის წასვლა და პეტრე პირველის პირადად ნახვა.

ბეტკოვი ამ საკითხზე წერს: „О сем Вахтанг писал к астраханскому губернатору Волинскому, который донёс о том государю 17 сентября 1723 г. („Но не 1724 г.? — ბეტკოვისავე შენიშვნა სქოლიოში), чтоб его принять со всем домом его в Астрахан. Сие Волинский именем монаршим ему и обещал. Монарх негодовал за сие позволение, приметив, что хотя царь и в бедстве, но гордости не оставляет.

Государь желал, чтоб Вахтанг основал себе жилище в крепости Святого креста¹, или где (нибудь) на границе, но как уже Волинский именем государя сие ему обещал, то государь, в следствие донесения о несчастиях Вахтанга, полученного государем от сестры вахтанговой в России пребывающей (помещицы села Валетского), царицы имеретинской, супруги Арчила, Екатерины Давидовны („Но она умерла 1719 года“. ბეტკოვისავე შენიშვნა სქოლიოში) принужден был

1 შდრ. პეტრე დიდის მოითხოვნი კრონოტოვისაღმი ვახტანგთან დამოკიდებულების შესახებ (Материалы... გვ. 64). ვახტანგი ძლიერ უკმაყოფილო ყოფილა მის მიმართ ასეთი მოპყრობის გამო და, როცა პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ, წარუდგა დედოფალ ეკატერინეს, რომელსაც უთქვამს: არჩევანი შენზეა, გინდა რუსეთში დარჩი სამუდამო საცხოვრებლად, გინდა ჯარს მოგეცე და ქართლს მიეშველეო, ვახტანგი ნაწყენი დარჩენილა, რადგან არჩევანი უადგილოდ მიღწენეო, რუსეთში მისა წასვლა მხოლოდ ერთი მიზნით იყო გამოწვეული: ქართლისაღმი უახმარების გამოთხოვის სურვილით. და ამიტომაც დედოფლისთვის უპასუხნია:

„თქვენის ბრძანებით დავაგდე ჩემი ქვეყანა ტიალი, ურჯულთ ხელში მყოფობენ, აქვე შეწყუბება-ზრიალს ამათის ცოდვის ცეცხლი მწუავს, უშკრებდ, გზნებით მე აღი“.

(იხ. პოემა „ვახტანგისანი, გამოკვეყნებულს ს. ყუბანეიშვილის მიერ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, ტექსტში დაბეჭდილია „გზნებით“).

отправить к царю письмо с князьями Прангистаном Туркистановым и Давидом Назаровым. Тем письмом позволял Царю приехать в Россию" (Материалы..., გვ. 63).

ბუტკოვის დავებმა, რომ ვახტანგის თხოვნის შესახებ ვოლინსკის პეტრე პირველისათვის 1724 წელს უნდა ეცნობებინა და არა 1723 წლის სექტემბერში, სწორია: ხოლო მეორე შენიშვნით იგი აღნიშნავს, რომ „ეკატერინე დედოფანა“ (კეთევან დედოფალი, არჩილ მეფის მეუღლე) 1719 წელს გარდაიცვალა და ამიტომ ეკუთვნის, მის ზემოდ გადმოცემული ცნობის სისწორეში, მაგრამ არ მიუთითებს, ვინ უნდა ყოფილიყო ის პირი, რომელმაც ასეთი გაელენი მოახდინა პეტრე პირველზე.

ახლა ცნობილია, ეს გაელენიანი პირი დარეჯან ბატონიშვილია და არა მისი დედა კეთევან დედოფალი. ფეიქრობთ, სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი იყო დარეჯან ბატონიშვილის გაელენის გამოყენება და შემადგენლობა პეტრეს წინაშე, რათა ამ უჯანსაღ კნელს განკარგულემა გაცეა ვახტანგის ამაღლის ჯერ ასტრახანში და შემდეგ პეტერბურგში მიწვევის შესახებ. ამ მიზნით სულხან-საბა ორბელიანზე უკეთეს პირს მეფე ვერც შეარჩევდა დარეჯან ბატონიშვილიან ვასაგზავნად. გარდა იმისა, რომ დარეჯანი სულხანის მამიდაშვილის შვილი იყო, ისინი ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს და ადვილად შეებლით ერთმანეთის ვაგება, ხოლო თუ რაოდენ პატივს ცემდა პეტრე დიდი დარეჯანს ეს კარგადაა ნაჩვენები ვლ. ტატიშვილის მიერ (იხ. მისი ქართულები მოსკოვში, 1947, თბილისი).

სოლ. ყუბანეიშვილმა გარკვევია, რომ სულხან-საბა ორბელიანი სოლდში დაშორდა ვახტანგ VI-ეს (იხ. დავით გურამიშვილი... გვ. 23 — 25). იგი თავის შესაშვ დიპლომატიურ მოგზაურობას შეუდგა სოლდია ის უჯანსაღი პუნქტი, სადაც სულხანი და მისი აღზრდილი ვახტანგი უჯანსაღი მსჯელობდნენ ერთმანეთთან საქართველოს ბედზე, მის აწმყობა და მომავალზე. შემდეგ მათ ერთიმორე აღარ უნახათ: სულხან-საბა ორბელიანი მოსკოვს გარდაიკვალა 1725 წლის იანვარში, არჩილ მეფის სისახლეში, დარეჯან ბატონიშვილისაგან დატარებული და დიდი პატივით დასაფლავებული.

სოლდია ის ადგილი, საიდანაც ქართველები ზღვით მიდიოდნენ ასტრახანში და ასტრახანიდან მდინარე ვოლგის აყობებით მოსკოვში, სოლდია სწორად იხსენიება იმდროინდელ ქართულ წერილობით ძეგლებში ამიტომ საუბრად მიგვიჩინა მისი აღგარდებარების დასტურება, მით უმეტეს, რომ კომენტარებში, რომლებიც სხვადასხვა წიგნშია წარმოდგენილი სოლდის შესახებ არასწორი ცნობებია მოცემული.

¹ მგალითად, სოლ. ყუბანეიშვილის ფრიად საყურადღებო ნაშრომში „დავით გურამიშვილი

წმ. ჯვრის ციხე და სოლდია ეს ერთი და იგივე პუნქტია. ციხე ადგილი იყო მრავალი კავკასიის (დაღესტნის) მდინარე სოფლებზე (ხელნაწილ ქართულ რუკებზე მდ. სულდია, რუსულად — Сулак) ნაპირზე პეტრე პირველის მიერ. მდინარის სახელწოდება ქართველებმა წმ. ჯვრის ციხეს მისცეს და ასედაც იხსენიებენ ყოველთვის. ციხის აშენების შესახებ პ. ბუტკოვის საინტერესო ცნობები აქვს მოცემული თავის წიგნში („Материалы...“ ყ. 1).

პეტრე დიდს სპარსეთზე ლაშქრობის დროს (1722 — 1723) იძულებით მოეხდა ლაშქრობის შეწყვეტა (ამის მიზეზი იყო სურსათობა და სომარის საუბრელი დატვირთული გემების დაღუპვა კასპიის ზღვაზე, აგრეთვე არეულობა სენატში, რაც მოჰყვა ოზერ-პრაკურობის სკონიაკე-პისარევსა და სენატორ შაფიროვს შორის მომხდარ უთანხმოებას).

ბაქოს მიდამოებში მყოფი რუსის მხედრობა იმპერატორის არაღლობით უკან გაბრუნდა ასტრახანისკენ (ხმელთით) 1723 წლის სექტემბერში. 18 სექტემბერს ლაშქარი მდ. სოლდის მიაღწა.

„Как положение крепости Терки государю не нравилось, то он изволил заложить новую крепость, под именем Святого креста, в 20 верстах от устья Сулака и в 67 от устья Аграхани, в том самом месте, где река Койсу делится на два рукава: южный — Сулак и северный — Аграхани в том самом месте, где река Койсу делится от крепости Терки (გვ. 33).

ახე ჩიყარა სოფტქველი წმ. ჯვრის ციხე. ციხის ადგილი პეტრე დიდმა თითონ შეარჩია, გვერდზე და საჯორი ნახაზები თითონ გაკეთა. ამ სამუშაოს შესრულებაში იმპერატორს ეხმარებოდა ბრიგადირი ვასილ იაკობის-ძე ლევაშვი. ციხეს ბასტიონი ჰქონდა. მისი მშენებლობა 1724 წელს დათავრდა (მშენებლობას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გენერალ-მაიორი კროპოტკინი, ინჟინერ-პოლკოვნიკი დე-ბრინელი, ინჟინერ-პოლკოვნიკი ვეტერანო).

თურქეთის მიერ საქართველოსა და სომხეთის დაპყრობის შემდეგ, ბევრმა ქართველმა და სომხებმა დასტოვა სამშობლო და გილანში დასახლდა. ლევაშევის მეცადინეობით, მათგან 700-მდე კაცი რუსეთის სამსახურში შევიდა და არაჩეგულარული ჯარის რამდენიმე როტა შეადგინეს ქართველ-სომხთა ამ მხედრობამ რვა წელი გილანში გაატარა, აქედან დერბენდში (დარუბანდი)

ქართულ უქსართა პოლკში* 26-ე გვერდზე ვითვლებოთ: „ეს თანხა იმპერატორის განკარგულებით გამოყო სენატმა 5 ივნისს 1724 წ. და გადაგზავნა ასტრახანში, წმ. ჯვრის ციხეში“. ეს ციხე, რომელსაც ქართველები სოლდის უწოდებდნენ, ასტრახანში არ ყოფილა.

გადიყვანეს, ღერბენდიდან წმინდა ჯერის ციხის გარნიზონს შეუერთდნენ, ზოლოს კი ყიზლარის ციხე-სიმაგრეს იცავდნენ.

სოლალის ციხე (წმ. ჯერის ციხე) ერთ-ერთი უძლიერესი სიმაგრე იყო ჩრდილოეთ კავკასიაში (დაღესტანში). 1725 წელს მას 35 ზარბაზანი ჰქონდა. ერთი წლით ადრე (1724 წლის ოქტომბერში) პეტრე დიდის ბრძანებით გენერალ-მაიორ მატეიშკინმა თურგის ციხე-სიმაგრის გარნიზონი და მცხოვრებლები წმ. ჯერის ციხეში გადაიყვანა.

ამ ციხეში 10 წელი იარსება. 1735 წელს ის გაუქმებულ იქნა და მისი გარნიზონი ყიზლარის ციხეში გადაიყვანეს. ამასთან დაკავშირებით პ. ბუტკოვი წერს:¹

Левашев положил основание крепости Кизляр 1735 г. при рукаве Терека, называющемся Кизлярком. Как скоро крепость сия возведена до удобности к обитанию, то 27 октября 1735 г. переведены сюда все военнопослужители из оставленной крепости Святого Креста* (გვ. 507).

წმ. ჯერის ციხის დატოვება რუსთა მიერ გამოწვეული იყო ნადირ-შაჰის მოთხოვნით (1735 წლის 27 ოქტომბერს). გარდა ამ ციხისა სპარსეთში უკანვე დაიბრუნა ღერბენდი, ბაჭო და ყუზბის საზანო.

დავით გურამიშვილი კი ამის შესახებ წერს:

„მალე მოვიდა კარიდამ ხელშწოდის გეგმანარია: სოლალის ციხე მოწალეთ, დასცალეთ ჭალმა მხარია, სანამდის თვითონ ამიღბარ ციხეს არ დასცა ბარია, მანამდის დასაქციველდ ხელი ვერაინ გარია“.

(დავითიანი, ა. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1931, გვ. 127).

სოლალის ციხე თავის არსებობის მანძილზე წარმოადგენდა იმ პუნქტს, რომელიც ამიერკავკასიის (ყერძოდ, საქართველოს) რუსეთთან აჯე-

შირებდა. მასზე გადიოდა მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ მიმავალი გზა. იქ „შენიშნენდ მცხოვრებთ თეთ ვახტანგის მრავალრიცხოვან მამულს მრტან მელსაც წმ. ჯერის ციხის მეციხოვნენი საღუტით შეხვდნენ, რასაც ვახტანგის ამაღს წერბი გ. გელოვანი საგანგებოდ აღნიშნავს: მევე „მოძიანდა ციხესა სოლალისსაა წელსა ჩლედ (1724), და მუნ მიეგება სარდარი გაბრიელ კროპოტოვი. და განახენეს კარნი ციხისანი და მისცეს ხმა ქუზილისანი ზღუდეთა ზედა გარდმოკიდულთა ზარბაზანთაგან, დაწყობლთა სპათი ხელის თოფთაგან“.

სოლალის ციხიდან გაგზავნა პეტერბურგს ვახტანგმა ელჩად ამილახვარი, ხოლო მის შემდეგ მოხუცებული პერი სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც უკანასკნელ ამოუხრთველად საქართველოს ბუნდოვანობისთვის იღვწოდა. სოლალის ციხე გაიარა ტყვეობიდან გაქცეულმა დავით გურამიშვილმა:

შევაიყოლო, აჲ რა შერგო, რაც ვიუბენ ამდენს ზანსა? თურგიაძე სოლალს წაველ, სოლალიდამ აშტარბანსა.

ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული როლი იქნება, თუ იგი სოლალის ციხის ნანგრევთა და მისი მიდამოს სურათს იხილავს: ის ზენს წინაშე გააცოცხლებს ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის ერთად ყოფნის უკანასკნელ დღეებს, გააცოცხლებს სახეს დიდი ქართველისას, რომელიც მიუხედავად მოხუცებულობისა საქართველოს ტრფობით გულანთებულო სოლალიდან თავის შესამე დიპლომატიურ მოგზაურობას შეუდგა ზამთრის სუსხიან პირობებში.

¹ ბუტკოვი შენიშნავს: „Валы ея и теперь видны и находятся верстах в 15 ниже Костиковской кумикской деревни Казьюрт, которая лежит на самой дороге из Кизляра в Дербент“ (Материалы..., стр. 132).

მიხილ ზანდუაქი



ხალხოსანთა და თერგდაღუღთა
მსოფრმხმრველობისათვის

1956 წლის ივნის „მნათობს“ № 11-ში დაიბეჭდა ვაბ. მეგრელიშვილის წერილი „თერგდაღუღთა და ხალხოსანთა მსოფრმხმრველობის საკითხება“, რომელშიც მოცემულია ჩემი შრომების — „ახალი ქართული ლიტერატრა“, ტ. ტ. 1—3, „Очерки по истории грузинской литературы XIX века“ გარჩევა.

დასახელებულ შრომებში მე მიზნად ვისახავ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მხატვრული მასალების შესწავლას. მე არა ვწერ არც პოლიტიკურ-ეკონომიურსა და არც ისტორიულ გამოცემათა თერგდაღუღთა და ხალხოსანთა შესახებ. აღნიშნულ შრომებში ემოქის სოციალ-ეკონომიური საკითხების გარკვევას უძლევი მხოლოდ ძირითად ხაზებში, ისიც იმდენად, რამდენადაც ეს მე მჭირდება და შესაძლებლობას მომცემს ლიტერატურული მივლენები სისწორით იქნეს გარკვეული.

ჩემი რეცენზენტი სწორედ იმას მისაყვედურებს, რომ მე ვერ შევძელი „მთელ რიგ შემთხვევებში მოხეცა ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრის ფაქტების სწორი მეცნიერულ-ლიტერატურული ანალიზი“. გამოთქვა რა ჩემი შრომების ეს საერთო შეფასება, ვაბ. მეგრელიშვილი, თავისი შეფასების დამტკიცების მიზნით, კონკრეტულ შეცდომებზე მიითითებს.

იძულებული ვარ რეცენზენტის შენიშვნებიდან ამოკრიფო ყოველი კონკრეტული ბრალდება და ჩემს შრომებში ფაქტობრივი მასალის ნაშთივლი მდგომარეობის საფუძველზე გავარკვიო.

რა ბრალდებებს მიყენებს ვაბ. მეგრელიშვილი?

ავტორი წერს: „მიხ. ზანდუაქის აზრით, ახალი ქართული ლიტერატურის „პირველ პერიოდში“, რომელსაც ავტორი მეცხრამეტე საუკუნის დამდეგით იწვევს და 1845 წლამდე მოითქვას, საქმე გვაქვს „დაზღვეულ განწირულ თავდაზნაურობასთან; „მთლილი კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ნიადაგის თანდათანობით ამჯარბელი ტემპით დაკარგვასთან“; „შეორე პერიოდში ახალი ქართული ლიტერატურისა“, რომელიც, მიხ. ზანდუაქის აზრით, „შესაძლებელია 1845 წლიდან დაიწყეთ და 1890 წლამდე მოეტიანოთ“ კაპიტალიზმის განვითარებამ

„გაბატონებული კლასი (თავდაზნაურობა) სავსებით დაარღვია“.

საკითხის სწორი გაგებისა და გარკვევის მიზნით, მოვიტან, რასაც ვწერ ვაბ. მეგრელიშვილის მიერ მითითებულ გვერდებზე:

„ქედან (XIX საუკუნის დასაწყისიდან) საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება, მისა სოციალური ფორმაციები გამოწვეული და გაშლილია კაპიტალიზმის თანდათანობით განვითარებასთან დაკავშირებით. თანდათან იწყება სწრაფი, შეიძლება ითქვას კატასტროფული რღვევა ფეოდალური კლასისა და მისი მეურნეობისა, ანუ ღვებამდე ბურჟუაზიაც თანდათანობით იწყებს საქართველოს ისტორიის ასპარეზზე გამოტოვებას“ (ტ. 1, გვ. 37). ცოტა ქვემოთ იმავე ტომში ნათქვამია: „ამ პერიოდში... რღვევის ნიადაგზე მყოფი ძველი ქართველი ფეოდალური კლასი, თუ წოდება შეეჯახა კაპიტალისტურ-ჩინოვნიერ რუსეთს, ევროპის ენტერტის თავისი გზით შემოიტანს. ამ შეჯახების ნიადაგზე ვიღებთ: დარღვეულ, განწირულ თავდაზნაურობას, მის საბოლოო ქედის მოხრას ახალი ხელისუფლების წინაშე და ბატონების გამწვავებას“ (ტ. 1, გვ. 43).

ამრიგად, ჩემი შეხედულება გარკვეულია: XIX საუკუნიდან კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე თანდათან ირღვევა ფეოდალური მეურნეობა და ამ საფუძველზე ირღვევა ქართველი ფეოდალური კლასიც — თავდაზნაურობა; საქართველოს ისტორიის ასპარეზზე თანდათანობით იწყებს გამოსვლას ახლად ღვებამდე ბურჟუაზია; ქართველი თავდაზნაურობა გაღარბების, განწირულ მდგომარეობაში ვარდება. რა არის აქ სადავო ან მიუღებელი?

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ფაქტია კაპიტალიზმის განვითარება. კაპიტალიზმის განვითარება საუკველთაოდ ცნობილია, არღვევს ფეოდალური კლასის ნიტრალურ მეურნეობას, ძირს უთხრის ფეოდალური კლასის ეკონომიურ მდგომარეობას, აღარბებს, ასუსტებს მას კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე, თანდათან ძლიერდება ღვებამდე ბურჟუაზია და სდევნის ფეოდალურ კლასს გამატონკებული პოზიციებიდან. კაპიტალიზმის განვითარებასთან

დაკავშირებით ფეოდალური კლასი ღვება განწირვის გზაზე. ფეოდალური კლასი თანდათან, რა თქმა უნდა, უნებლიეთ უთმობს პოზიციებს ბურჟუაზიის, კარგავს გაბატონებულის ძალი-ურფლებას — ის განწირულია. ასეთივეა მდგომარეობა ქართული ფეოდალური კლასისაც XIX საუკუნეში.

გარდა კაპიტალიზმის განვითარებისა, ისედაც საგრძნობლად დარღვეული ქართული ფეოდალური კლასის დასუსტებას ზუსტ უწყობდა იეთი ახლად შემოსული ბურჟუატიული ხელისუფლების მისწრაფება, რაც შეიძლება სწრაფად განმტკიცებულყო ის ამიერკავკასიაში და; პირველ რიგში, საქართველოში. ამ მისწრაფებამ პირველ ხანებში მას ეწინააღმდეგებოდა ქართული ფეოდალური კლასის ვარკვეული ნაწილი: ბატონიშვილები, ნაწილი ფეოდალური არისტოკრატისაც. ამით იყო გამოწვეული ბატონიშვილებისა და ზოგიერთი გვლეხიანი და-დი ფეოდალის გადასახლება რუსეთში და მათი მშენიის ხაზინაზე გადასვლა. ამ ორმაგმა დაწო-ლამ, ცხადია, უფრო დააჩქარა ქართველი თავადაზნაურობის დასუსტება, მისი განწირვა, როგორც კლასისა. ცხადია, რამდენადაც ფეოდალური კლასი, კაპიტალიზმის განვითარების გა-მო, ვეღარ დაუბრუნდებოდა თავის პარავნდელ გაბატონებულ მდგომარეობას და საბოლოო ანგარიშში უნდა განადგურებულყო. ის ღვებ-ვა განადგურების გზაზე.

მეგრამ ამის გარშემო დავა გაბ. მეგრელიშვილს, ალბათ, იმისათვის სჭირდება, რომ შემდეგს „შეკლამაში“ დამოკიდოს. ის წერს: „ამ რიგად, პრიოდ. მახ. ზანდველი უნებულუ-ვოფს ამ ფაქტს, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში შემამულენი რეფორმის შემდეგ არ წარმოადგენენ გაბატონებულ კლასს ეკონომიკასა და პოლიტიკაში, რომ მსხვილი შემამულე-ლური მიწათმფლობელობა იყო საფუძველი სო-ფლად კაბლური ურთიერთობისა, შემფერხებუ-ლი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისა, ეკონომიური აღმაშენებისა. მიხ. ზანდველი ვერ ამჩნევს იმ ფაქტს, რომ შემამულური მიწათ-მფლობელობა იყო საფუძველი გლეხის მიმე-წყნარებისა, ექსპლოატაციისა, წინააღობისტური ფორმების არსებობისა, რომლის მანაზუდაც იშ-ლება უმწვევესი წინააღმდეგობანი შემამულეთა და გლეხებს შორის... რომ გლეხობა არ შეიძლე-ბოდა არ ყოფილიყო რევოლუციურ-დემოკრატი-ული ტენდენციების მატარებელი ეკონომიკასა და პოლიტიკაში, ხოლო შემამულეობა — რეაქცი-ის ბურჯი, არადემოკრატიული ძალა“.

გამ. მეგრელიშვილი არც აქაა მართალი. აქაც არ იჩენს ის სარკვეწიო მასალისადმი გე-ლისსიფერ დამოკიდებულებას.

მე არა ვრთვხის ვწერ, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად თანდათან ქართველი თავადაზნაურობა ირღვევა, განწირულია გზაზე-

დაცვა შემდგარი, მაგრამ კლასობრივი ურთიერ-თობა საქართველოში უფრო მწვერვლებზე უნდა ბატონებოდა უფრო მწვევე უფრომწველებს (ტ. I, გვ. 37, 43; ტ. II, გვ. 80, 81, 95, 140, 142, 146 და სხვ.), ხოლო რეფორმის შემდეგ ურ-თიერთობა მეამბულეთა და გლეხებს შორის უფ-რო მწვევე ფორმებში ვლინდება.

მოვისმინოთ, რასა ეწერ: „ამ საკითხის (შემა-მულეთა და გლეხთა ურთიერთობის) გამწვევე-ბასა და გლრმევებას ეხედეთ ბატონებობის გადაგარდნის შემდეგ, რაც საქართველოში შე-დარებით რუსეთთან ცოტა მოგვიანებით (1864 — 1867 წწ.) გატარდა. ამ რეფორმამ გლეხეციობის არამე თუ სასურველი მდგომარეობა არ შეუქმნა, არამედ მათი ცხოვრების პირობები საგრძნობლად დაამძიმა კიდევ, „იმ განსხვავებით, რომ ახლა გლეხი პირადად თავისუფალი იყო“ (საქ. კომ. 3(2) ისტორია, გვ. 8). საცვლეს რეფორმამ, — ვგარქვებ, — გლეხებს მრავალ შემთხვევაში ჩა-მართავა მიწები, რომლებიც აქამდე მათ ხმარე-ბაში იყო და მით უფრო გაამწვევა მათსა და შე-მამულეთა შორის ურთიერთობა. რეფორმის შემ-დეგ მთელი თავისი ცხოვრების სიძმით გლეხი დარჩა კაბალურ დამოკიდებულებაში მეამბული-სიგან“ (ტ. III, გვ. 10).

ცხადია, რაშიც ბრალსა მდებს გაბ. მეგრელი-შვილი, უურაღვებოდ არა მაქვს დატოვებული, პირიქით, გარკვეულად და ხაზვასმით მაქვს აღ-ნიშნული. განა სწორედ რეფორმების შემდგომი ეპოქა, ამ თვალსაზრისით არაა განხილული ზემს III ტომში? ხალხისანი მწერლების შემოქმედე-ბა, რომელშიც სწორედ გამწვევებული ურთიერ-თობა მიცემული მეამბულეთა და გლეხთა შო-რის — კლასთა შორის გამწვევებულ ურთიერთ-ობაში დასახათებული გლეხობა, როგორც ინ-დიფილდურად, ისე ორგანიზაციულად მებრ-ძილი; ნაწევებია ბრძოლის პროცესში როგორ გაძლიერდება გლეხობაში რევოლუციურ-დემო-კრატიული განწყობილება. სწორედ ამ ასპექტ-შია განხილული — ინტ. ფურცელადის „შე არ-თა“ (როსტომ ტაბატაძისა და გლეხთა შორის გამწვევებული ურთიერთობა. გვ. 274 — 279), „შე არ-თი ხეტი ი“ (გვ. 271 — 280), „ქეტი-სა“ (281 — 284) ნიკო ლომოერის — „ბეღე-უბეღეუროთა“ — გლეხთა მიერ ორგანიზაცი-ულად წინააღმდეგობის გაწევა მეამბულე ხმამა-ლალოფებისა და ხლამაშვილებთან, „წუ-თისო მეთეღი“ — შემამულე მეთუნაშვილსა და გლეხობას შორის გამწვევებული ურთიერთ-ობა, გლეხებსა მიერ ორგანიზაციულად მეაუნა-შვილის მოკვლა (გვ. 126 — 134) და სხვა.

ამავდ ნაწარმოებთა გარჩევისას ხაზვასმით მაქვს აღნიშნული, რომ თავიდანსაურობა ბურ-ჯი იყო რეაქციისა და არადემოკრატიული ძალა რევოლუციის წინააღმდეგ (ნიკ. ლომოერის „ბეღეა უბეღეუროთაში“; კონა ხმამალა-ლაშვილი; სოფ. შვალობლიშვილის „გო რ. ხ. ა-ქე არაში“ — ესტ. მარტუშიძე. მისი შვილი არ-

ჩილა და სხვ.), შემდეგ ხაზგასმით ვწერ: „ნიკოლოზოერი საქმარისად მყოფიოდ უსვამს ხაზს იმ ვარემოებას, რომ თავადანაწარობა რეაქციის სიმკვრივე იყო და ერთგულად ემსახურებოდა ბიუროკრატიულ მთავრობას ძველი წყობილების შენარჩუნებაში, გამათავსებლად მოძრაობასთან ბრძოლის საქმეში“ (ტ. III, გვ. 125). ამ აზრს ვავითარებ იმავე III ტომში (გვ. 126, 214, 215, 219, 220).

არც ისა მკვეს უუერადლებოდ დატოვებული, რომ თავადანაწარობა რეფორმების წინაე და შემდეგაც, მიუხედავად მისი რღვევისა, მანც არის გამატონებელი კლასია მდგომარეობაში. აი რასა ვწერ: „რეფორმის ვატარებას საფრედლად ეღვა კაპიტალისტური ურთიერთობის თავისუფალი ვანვითარებისათვის რუსეთში ფართოდ ვარის ვაღება. მვგრამ, კონიოდან, ერთი მხრით, თავადანაწარული ზა ბიუროკრატიული მმართველობა, რომელიც ვერ კლდე ვანვარძობდა თავადანაწარობაზე დაყრდნობას, მძლავრო აღმოჩნდა, ხილო, მვგრამ მხრით, ბურჟუაზია — სუსტი, რადგანაც... სავაპრო-სამრეწველო წამრეწებათა ვარემეც ქვიდა კაპიტალს ფართო ასპარეზი თავისი ვამოქმედების: კუსტარული და შინამრეწველური წარმოების საშუალებით ზარალს ნაკლები შიში ქვიდა და დიდ მოვებასაც ჩვეულებრივ ყოველთვის იღებდა. ამით ახსნება, რომ რუსეთის ბურჟუაზია არც იღობდა ფართო და რადიკალური ეკონომიური რეფორმის ვატარებასა და მით პოლიტიკურ ძალუფლებაზე ვაგლენის ზელში ჩადებას“ (ტ. III, გვ. 10). ცხადია, ამ კუსტარულ და შინამრეწველურ წარმოებას აწარმოებდნენ მემშენი, ვანსაკუთრებით დიდი მემშენი, კაპიტალისტურ ვანვითარებას პრესიული გზით რომ ვაყვენენ, ინარჩუნებდნენ თავადანაწარულ-ბიუროკრატიული მმართველობის ქვეყანაში ძალაუფლებას. მვგრამ, მიუხედავად ამისა, კაპიტალში მანც ვითარდება, ფეოდალური კლასიც თანდათან სუსტდება და ბურჟუაზია ძლიერდება.

ვამ. მვერელიშვილი წერს: „ზანდუაძელი ფიქრობს, რომ... 60-იან წლებში ჩვენში... ფეოდალიზმთან შეერთებულ მებრძოლ ძალას წარმოადგენს წერილი და საშუალო თავადანაწარობა და მათი იდეოლოგები, ისინი დგანან რევოლუციური კლასის ბურჟუაზიის მხარეზე“. რევენენტი ამ აზრის დასამტკიცებლად მიუთითებს წიგნზე — „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II, გვ. 23, 24, 56, 157 და სხვ.

რევენენტის მიერ გამოთქმული აზრი, თუნდაც მისი მიმსგავსებელი, არც მის მიერ მიითითებულ ვერადებზე და არც სხვაგან ჩემს შრომებში არსად არ არის. მე არსად არ ვლაპარაკობ წერილ და საშუალო თავადანაწარობაზე, როგორც ასეთზე. მე წერილ და საშუალო თავადანაწარობას იმდენად ვიხსენიებ, რამდენადღეც 60-იანი წლების ქართული მოწინავე ახალ-

გაზრდობა, თავისი უმრავლესობით ვმოდის თავადანაწარობის წრიოდან. მე არსად, არც ერთ ჩემს შრომაში არ ვამბობ, რომ წერილი და საშუალო თავადანაწარობის და მათი იდეოლოგიები დგანან რევოლუციური კლასის ბურჟუაზიის მხარეზე“. ეს ჩემი აზრის ვაყალბებაა.

მე ვწერ: „საზოგადოებრივი ცხოვრების ახალმა ეკონომიურმა პირობებმა და მიმართულებამ, კაპიტალიზაციის ვანვითარების ნიდაგზე აღმოცენებულმა, პრივილეგიური კლასი დამლამასში შევიქნა შინა ვგუფები... ახალი ცხოვრების მოწოლით ვაკოტრებული წერილი და ხმარად საშუალო შეძლების პატრონი არც ვყოფილდებიან ძველი ცხოვრების ფორმებელ. მათი ინტერესები აღარ ვთანასწორება ამავე კლასის სხვა (ფერო შეძლების) ვგუფების ინტერესებს. მათ წინაშე ისმება „ყოფნა არყოფნის“ საკითხი. მათ წინაშე ისმება საკითხი — ახალი გზის ვამონახვისა, და სწორედ ვანათლებულ საშუალო და წერილი თავადანაწარობის წრიოდან ვამოსული ეს ნაწილი ეწაფება ახალ ცხოვრებას, უნდა აღლო ეფლის მას და მომავლის ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად, მშენებლობაში ჩაებას. სხეთია სოციალური წარმოშობა და ბუნება ჩვენი თერგდალუელებს“ (ტ. II გვ. 186). თერგდალუელებმა (რომელთა შორის, არა თავადანაწარული წრიოდანაც იყვნენ) ილია ქავკავაძის პირით მოთხოვეს ძველის დატოვება ახალი ვარსკვლავის, ახალი გზის მიყოლა“ (ტ. II, გვ. 187).

ეს ვანათლებული ქართული ახალგაზრდობა (თერგდალუელები), აღზრდილი რუსი საშოკის წერილის დიდი ვაგლენის ქვეშ, ითვისებს დემოკრატიულ იდეებს, — ისინი დემოკრატები არიან. მათ მიმართულებას მე ვუწვევად დემოკრატიის ამ ვაგებას, რომელსაც მარქსი იძლევა: „დემოკრატს, რომელიც წარმოადგენს წერილ-ბურჟუაზიას, ე. ი. ვარ დამავალ კლასს. სადაც ირი კლასის ინტერესები ერთმანეთს არღუნებენ, — მგონია, რომ იგი საზოგადოელსობრივ ანტაგონიზმზე მალე დგას. დემოკრატების აზრით, მათ წინააღმდეგ დგას პრივილეგიური კლასი, მვგრამ ერთს მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად ისინი ხალხს შეადგენენ, ისინი ხალხის უფლებას იცავენ, ისინი ხალხის ინტერესებს წარმოადგენენ“ (ტ. II, გვ. 158; ვ. ლენინი, თხზ. ტ. I, გვ. 541, ვამ. 1948 წ.).

ასეთი ბუნებისა და მიმართულების თერგდალუელებმა ხალხის ახალი ცხოვრების დამყარებისათვის მიიჩნიეს ვზა დემოკრატობა, დაუწვეს ბრძოლა ძველ დრომოქმულ ფეოდალურ ყოფს. მამ, რაა, თუ არა შეურთებელი ბრძოლა ფეოდალურ ყოფსთან ილ. ქავკავაძის „ბედნიერი ერი“, „რა ვეცეთოთ, რას ვმერებოდით?“ „კაცია აღმართნი!“ „გლახის ნამშობი“ და მრავალი მისი პუბლიცისტური და ეკონომიური ნარკვევი?!



ასეთი ფაქტური მდგომარეობა ჩვენი XIX საუკუნის 60-იანი წლების სინამდვილეში და რომ ეს მოვლენა — ერთი კლასში ფენების ასეთი მოთრეგბელი ბრძოლა — არც მოვლადნეულია და არც უნაზრო, როგორც ეს ვამ. მგერელი-შელს ეჩვენება, ვიმოწმებ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტოდან“ გარკვეულ აზრს: „იმ პერიოდში, როდესაც კლასთა ბრძოლა გადაწყვეტ მოშენებს უახლოვდება, დაცლის პროცესი გაბატონებული კლასის შიგნით, მთელი ძველი საზოგადოების შიგნით, ისეთ მძლავრ, ისეთ მწვევე ხასიათს ღებულობს, რომ გაბატონებული კლასის მეორე ნაწილი ეთიშება ამ კლასს და უერთდება რევოლუციურ კლასს, იმ კლასს, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. ამიტომ, როგორც წინათ თავდაზნარობის ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა, ისევე დღეს ბურჟუაზიის ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის“. (ცვ. 52 — 53; ტ. II, გვ. 195). თერგდალეულებს სწამდათ, რომ მომავალი მშრომელ ხალხს, გლეხობას, მაშინ დაინაგრეს, ეკუთვნის და, ისინი, როგორც დემოკრატები, გამოეთიშნენ ფეოდალურ კლასს და აღდგნენ „ხალხის“ ინტერესების დაცვის, ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე. ეს გზა, მათი შეხედულებით, კაპიტალისტური განვითარების გზაა, რომელიც არღვევს ფეოდალურ საწყისებს (ილია კვავიავაძე, ვ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხა და სხვები). ვამ. მგერელიშელს ჩემი შრომები სათანადო ყურადღებით რომ წყვეთობ, არც ამისთანა უმართებელი შენიშვნას ვააქეთებდა.

თერგდალეულთა მიერ აღებული გზა კაპიტალიზაციის განვითარებისა იყო თუ არა პრუსიული, ეს საკითხი დახუსტებას მოითხოვს.

ვამ. მგერელიშელი განაცხადობს: მის. ზანდელკო „წერს: „60-იანი წლების რეფორმის შემდეგ... რუსმა ინტელიგენციამ, რუსეთის ბურჟუაზიული და წერილობტურული ფენების ინტერესების გამოშხატველში, გატაცებისა და ნიშნის ბურჟუაზიული თვის დააღწია და დაუყოვნებლივ დაიწყო მამივე და შეუთრეგბელი ბრძოლა „ხალხის“ ინტერესების, ბედნიერებისა და, პირველ რიგში, მისი ეკონომიური კეთილდღეობისათვის“, რომ რუსეთის სპოზადოების ეს „მოწინავე ნაწილი ამ პერიოდთან მტკიცედ განაგრძობს ბრძოლას ხალხის ნამდვილი განთავისუფლებისათვის“.

ავტორი განაცხადობს: „ასეთი დებულების წამოყენება პირდაპირ გასაოცარია. რა ფაქტობა აქვს მის. ზანდელკოს ამის დასამტკიცებლად?“.

ამის დამამტკიცებელია ის მაღალი, იდეური, დემოკრატიული-რევოლუციონერი მოძრაობა, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ-რევოლუციონერების — ნ. ზერნიშევსკის, ა. გერცენის, ნ. დობროლუბოვის, ნ. სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვა დემოკრატიულ-რევოლუციონ. „მნათობი“, № 7.

ნერი და რევოლუციონერები — ხალხოსანების სახელებთან 60-70 წლებში: ცხარე მხედვენი-რულნი მთელი თავიანთი შეტევა-მეცხე-საძლებლობით ხალხის საკეთილდღეოდ მონაწილეობდნენ; მათ მოვლადნეობას ელ. ლენინი დადებითად აფასებს. 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებს — ჩერნიშევსკის, გერცენს, დობროლუბოვს, სალტიკოვ-შჩედრინს თვლიან სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებად. რევოლუციონერ-დემოკრატებში რევოლუციონერ-ხალხოსანებთან ერთად ნიადაგი გაუპოხებრეს მარქსიზმის იდეების პოპულარიზაციას.

რევუნენტი განაცხადობს: „როცა ერთხელ და სამუდამოდ გამოეშვიდობათ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ყველა თერგდალეული ერთი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებისაა 60-ან წლებში და რომ ყველა ისინი თავდაზნებურილი ღებერალებია“.

აქვე ვამ. მგერელიშელი ლია კარებს ამტარებს.

მე სწორედ იმ აზრს ვავითარებ, რომ ყველა თერგდალეული არ ეკუთვნის ერთ მთლიან იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას. მე არა ერთხელს ვწერ, და ვიმოწმებ კიდევ თერგდალეულთა წარმომადგენლებს — ს. შვესს (ტ. III, გვ. 14), ნ. ნიკოლაძეს (ტ. III, გვ. 13), ნ. ინაშვილს (ტ. II, გვ. 243-244) და სხვებს, რომ მათ რიგებში შეღავნდება საგრძნობი დიფერენციაცია, საგრძნობი სხვაობა სხვადასხვა სოციალში. აი, მაგალითად, რასა ვწერ: „პერიოდი 1866 წლიდან 1876 წლიდან დახლოვებით შეიძლება დავახასიათოთ, როგორც თერგდალეულთა მსოფლმხედველობაში დიფერენციაციისა და ახალი იდეოლოგიის აღმოცენების, გამომუშავების პერიოდი. ეს პერიოდი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისათვის თანადროულ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში გარკვეულია და მისი მოთხოვნების შესაფერის ახალი იდეოლოგიის ძიების პერიოდი“ (ტ. II, გვ. 231).

მეთხველისათვის ნათელი უნდა იყოს ჩემი აზრი, რომ მე თერგდალეულთა შორის აღვნიშნავ სხვადასხვაობას და არა ერთიანობას. ვანა ეს ვამ. მგერელიშელის მხრივ უყურადღებობა არ არის?!

არსად არ ვამბობ, რომ „ყველა თერგდალეული თავდაზნებურილი ღებერალია“.

მე ვწერ: „თერგდალეულთ არა აქვთ კლასობრივი თვალსაზრისი დაცული. თერგდალეულთა მსოფლმხედველობაში სხვადასხვა ვარიანტი გადისხარათა ღებერალურ-რადიკალური იდეოლოგია. თერგდალეულთა შემოქმედებაში არამც თუ მშრომელი გლეხის, მეშის საკითხიცაა დასმული. სწორად მათ გაგებაში რადიკალურ-დემოკრატიული ელემენტაცია ჩართული“ (ტ. II, გვ. 239).

უფრო მეტად გავუგებარი და აუხსნელია, სი-
დან განდა ვაბ. მეგრულიშვილის შემდეგ
ბრალდება: „უცნაერა ერთ სიბრტყეზე მოვ-
თავსო, მავათოად, ნ. ნიკოლაძე და მ. თუმანი-
ანიშვილი... როგორ შეიძლება არ დავინახოთ
განსხვავება ნ. ნიკოლაძის და იმ პირს (მ. თუ-
მანიშვილს — მ. ზ.) შორის, რომელი ბატონ-
ეშობის ვაჟქმების პერიოდში არ გამოდიოდა
მეფის რესკრიპტების ფარგლებს გარეთ საგლე-
ხო რეფორმის საკითხებში“.

კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ არ-
სად არათუ ერთ სიბრტყეზე არა მყავს მოთავ-
სებული ნიკოლაძე და მ. თუმანიშვილი, არამედ
თერგდალეულთა შორის მოხსენებელიც არა
მყავს მ. თუმანიშვილი. პირიქით, 50-იან წლებ-
ში მოკლედ ვიხილავ მ. თუმანიშვილს, როგორც
მოლიბერალოს, და ვწერ: „1861 წლიდან, რო-
დესაც „მამათა“ და „შეილთა“ შორის ბრძოლა
გაშალა, მის. თუმანიშვილი მამათა ბანაკში
მოღეწეობს და თერგდალეულთ მამათა სახე-
ლით პასუხს აძლევს „ციხისის“ ფურცლები-
დან“ (ტ. II, გვ. 124).

ვაბ. მეგრულიშვილი არც ხალხისათა შესა-
ხებ გამოთქმულ ჩემი აზრების ინტერპრეტა-
ცაში იჩენს სიკორი ყურადღებასა და პასუხის-
მცემლობას. ის წერს: „ხალხისნების დასახრებ-
ბისას ის (მ. ზანდუკელი — მ. ზ.) სრულიად
უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ჩვენში ეს მოძ-
რაობა იფარგლება 70-80 წლებით. სრულიად
უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ 80-იანი წლების
დასაწყისში დაასრულა რუსული ხალხისნობა,
„რომ „ხალხისნობა საყოველთაო ასპარეზიდან
80-იან წლებში უკვე იხსნება“; „საკითხავია, —
განაკრძობს ავტორი, — „თუ 80-იან წლების და-
საწყისში დაასრულა ხალხისნობა“, მაშ ვის წი-
ნააღმდეგაა მიმართული 90-იან წლებში დაწე-
რილი შრომების ღენინისა, პუბლიცისა“?

აქვე ჩემი აზრის არასწორი, დამახინჯებულ
ვადმოცემითან გვაქვს საქმე. საჯობს ზუსტად
ამოვიწყოთ, რასა და როგორ ვწერ მე როგორც
II, ისე III ტომში: „მართალია, ალექსანდრე
III რეაქციამ დაშალა ხალხისნების ორგანიზა-
ციები, მართალია, ხალხისნობა თ ა ვ ი ს ს ე პ ე-
ო ც ი კ უ რ ი ს ა ხ ი თ სახით მოიქმედო ასპარეზი-
დან 80-იან წლებში უკვე იხსნება, მაგრამ მისი
იდეები, რასაკვირველია, საგრძნობი ვარიაციე-
ბით, გადმოდის შემდეგ პერიოდებში“ (ტ. II,
გვ. 174). რამდენიმე გვერდის შემდეგ იმავე
ტომში კიდევ ვაზუსტებ ამ დებულებას: „ხალ-
ხისნობის მიმართულბა რუსულ ლიტერატურა-
ში და საზოგადოებრივ აზროვნებაში იმდენად
ძლიერი იყო, რომ 60-იანი წლებიდან დაწყე-
ბული თითქმის მ ე ვ 2 0 ს ა უ ე კ უ ნ ი ს კ ა რ ა-
მ დ ე მძლერ ლამპარსავით ენთო რუსულ ლი-
ტერატურაში და ღიდის ვატაცებით ვრცელდე-
ბოდა რუსი მკითხველის ფართო წრეებში“
(ტ. II, გვ. 177).

ასეთსავე აზრს არა ერთგზის გამოვთქეამ III
ტომშიც: „1883 წლიდან რუსეთშიც ეფუძესთან
დაკავშირებით საქართველოშიც „ოფიციალურ“ ეწე-
ვება ხალხისნობის იდეოლოგიისა და ორგანი-
ზაციების დეკლანსი“ (ტ. III, გვ. 48). კიდევ
„90-იანი წლებისათვის ხალხისნობის მიმართუ-
ლება საქართველოში საბოლოოდ დაიშალა:
ხალხისნების ერთი ნაწილი (ეშმეტის) წყავდა
„ივერია“ — „მოამბის“ ჯგუფისაკენ, ნაწილიც
„ევალიში“ მოიწმევე ახალ — მესამე დასთან —
ლეგალურ მარქსიზმთან მივიდა“ (ტ. III, გვ. 50).

ამ ამონაწერებიდან აშკარაა, რომ ვაბ. მეგ-
რულიშვილი ჩემს დებულებას, აყალებს. ცხა-
დაა, მე ვამბობ, რომ ხალხისნობა 80-იანი წლები-
დან იწყებს დაშლას, დეკლანსს, „თავისი
სპეციფიკური სისით“, გარკვეული პირობების
გამო, რაც შრომებში მაქვს აღნიშნული, მაგრამ
ის „XX საუკუნის კარამდე მოდის“, „გადმო-
დის შემდეგ პერიოდებშიც, თუმცა საგრძნობი
ვარიანტებით“, „ის მინც რჩება ერთ მძლავრ
მიმართულებათ 80-იანი წლების შემდეგაც. მის
ჰყავს მრავალი მკითხველი“. ამიტომაც სრუ-
ლიად ბუნებრივი იყო ღენინისა და პლუხანო-
ვის საფუძვლიანი ბრძოლა ხალხისნების წინა-
აღმდეგ 90-იან წლებში.

რაც შეეხება ქართველ ხალხისნებს 90-იან
წლებში, მათ აღარა აქვთ თავისი ორგანი, ისი-
ნი უფრო ადვილად დაიშალნენ, მაგრამ ისი-
ნიც განაკრძობენ თავისებურობის გამოვლინე-
ბის, იქნება ეს „ივერია“ — „მოამბეში“ თუ „ევალი-
ში“. ამიტომ მთხა ცხაკიას, დ. მახარაძისა და
სხვათა პოლემიკასაც, რა თქმა უნდა, რეალური
საფუძველი ჰქონდა.

საკვირველია, რატომ დისკორდა ვაბ. მეგრე-
ლიშვილს ნათელი საკითხის ასე დაბუნდება?!
ვაბ. მეგრულიშვილი საყვედურისა და დარი-
გების კილოთი წერს: „შეუღლია იმის მტკიცე-
ბა, რომ ზემდეველები თითქოს იყვნენ მხო-
ლოდ პოლიტიკური რევოლუციონერები, რომ
ისინი მისწრაფიოდნენ მხოლოდ პოლიტიკური
გადართიანებისაკენ“. ასეთ რამეს მე არსად
არც ვამბობ, არც ვამტკიცებ. მე ვამბობ, რომ
პირველ ხანებში 70-იანი წლების რევოლუციო-
ნერ — ხალხისნეც, მიზნად ჰქონდათ „ხალხში
სიარული“ — გლეხური სოციალიზმის იდეების
პროპაგანდა, გლეხობის დარაზნვა მემამულეთა
და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, გლეხური
რევოლუციის მოხდენა, გადართიანლება გლეხ-
თა სოციალიზმის დამყარების მიზნით და უფუ-
რებულყოფდნენ ბრძოლის პოლიტიკურ ფრონტს.
70-იანი წლების მიწერულებისათვის კი ხალ-
ხისნებისათვის აშკარა შექმნა, რომ სოციალუ-
რი რევოლუციის მოხდენისათვის აუცილებე-
ლია აგრეთვე პოლიტიკური თავისუფლებისათ-
ვისაც ბრძოლა.

მეტი სიკბადისათვის მოეყვან, ჩასა ეწერ ვაბ. მეგრელიშვილის მიერ მითითებულ გვერდებზე: „თუ 70-იანი წლების პირველ ნახევარში ხალხოსანებს პოლიტიკური საკითხის წამოყენება არამდ თუ არ აინტერესებდათ, არამედ უწინმეტყველოდ კი მიამჩნად, 1878 წლის შემდეგ ხალხოსანები უკვე განზრახდნენ ორი ფრანკისა—პოლიტიკურისა და სოციალურის — შეთანხმების აუცილებლობას. ახლა უკვე არსდება პოლიტიკური ორგანიზაციები. აღიარებული იქნა არამდ თუ პოლიტიკური პრინციპის გათხანსწორება სოციალურთან, არამედ პირველ დროისათვის პოლიტიკურის უპირატესობაჲც კი. 1879 წელს ლიბერალ-ვორონეჟის ყრილობის შემდეგ დაიძლეა ორგანიზაცია „Земля и воля“, მის მავიერ დაარსდა „Народная воля“ და „Чёрный передел“. „ნაროდოვოლებმა“ ახალ ლოზუნგი წამოაყენეს — სოციალიზმისაკენ პოლიტიკის საშუალებით (მისიალივსკი, ევლია-ზოვი, დეზაგორი — მოსკოვინი და სხვანი). ამ დროს რუსი საზოგადოების აზროვნებაში ირკვევა პოლიტიკური რეფორმებისათვის ზრდილის საჭიროება. ამისთვის ინტელიგენციის ძალებში ერთი ნაწილი მიმართული იყო პოლიტიკური ბრძოლისაკენ“ (ტ. II, გვ. 173).

განა აქვდა ჩანს მტკიცება, რომ ზემოთხსენებულ ან სხვა რომელიმე ფრთა ხალხოსანებისა იყვნენ „მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციონერები, რომ ისინი მისწრაფებოდნენ მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალებისაკენ“, ან „რომ ზემოთხსენებულნი ხელი აღღიან თავიანთი წინამორბედების რევოლუციურ პროგრამაზე და არ ისახავდნენ გლეხური რევოლუციის მომზადებას, ცარზისისა და მემამულეთა წინააღმდეგ და გლეხური სოციალიზმის დამკვიდრებას“, როგორც ამას მაწერს რეცენზენტი? ანდა: ჩემი სიტყვები — „ნაროდოვოლებმა“ ახალი ლოზუნგი წამოაყენეს — „სოციალიზმისაკენ პოლიტიკის საშუალებით“ განა ნიშნავს, რომ ხალხოსანები „პოლიტიკურ გადატრიალებას აცილებდნენ სოციალურს“?

ცხადია, დაუშასტრებელია, აგრეთვე, ვაბ. მეგრელიშვილის ბრალდება: „მისი ზანდუცლის ეს მტკიცება, თითქმის ზემოთხსენებულთა უფრო თქვენს „ხალხში სიარტის“ პერაოდის „სოციალურ“ პროგრამაზე და თავს იზღუდავენ მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალების ორგანიზაციით, არ შეეფერება სინამდვილეს“.

საკმარისი იყო ვაბ. მეგრელიშვილს ყურადღებით გადაეთვლიერებინა ჩემი III ტომი (გვ. 210 — 222, 228, 231), სადაჲ ამ საკითხის განიხილება ლიტერატურული მასალის საფუძველზე, რომ ასეთი უცნაური აზრი არ გამოეთქვა.

ვაბ. მეგრელიშვილი საყვედურის კილოთი წერს: „ქართული რევოლუციონერი ხალხოსანება არასოდეს არ ყოფილან სეპარატისტები, არასოდეს არ წამოუყენებიათ თავიანთ პროგ-

რამელ მოთხოვნებზე სეპარატისმი, საქართველოს რუსეთიდან გამოყოფა, ორი ქვეყნის შერამეღლა გათიშვა“. საიდან, ამოციტნა ჩვენი მა რეცენზენტმა ასეთი აზრი კატეგორიულად გადახალებ, რომ არც ერთ ეტოს სეპარატისმი ანის მსჯავსიკ არ აბის, არც ერთს ჩემს შრომაში ანის სეპარატისმზე არც ერთი სიტყვა არ მოიძებნება. მე, პირიქით, არა ერთხელს ვწერ, რომ ქართული ხალხოსანები აღიარებდნენ და გამედღმებით მკიდრო კავშირში იყვნენ რუს ხალხოსანებთან, მათგან ლებულოდნენ არაღვეაღღერ ლიტერატურას, მათ თან საერთო ბრძოლის ფორმის ჰქონდნენ, ქართული ხალხოსანები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუს ხალხოსანებთან ერთად რევოლუციურ პროცესში, საქართველოს ზედს ისინი უკავშირებდნენ რუსი ხალხის განთავისუფლებას.

ვახასიათებ რა უბეში კოლონიური პოლიტიკით გამოწვეულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში და ამ საკითხში თერგდაღუელთა და ხალხოსანებს შორის განსხვავებას, დავსკყინი: „ცხადია, ჩვენი ხალხოსანების შეხედულებაში ეროვნული განძნობა ფართო ფარგლებში იშლება, ცხადია, ამ მხრით ჩვენ ხალხოსანებს შედარებით წინა თაბანთან (იგულისხმება თურგდაღუელები — მ. შ.) ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ახალ ეტაპზე აქვათ. ერის წინმსველობა დავაქმარებული აქვთ კაცობრიობის, სხვა ქვეყნების განვითარებასთან. ავი ისინი პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც ფართო გეზს ატარებდნენ, როგორც ვაღმოგეცვს მ. შ. დავითაშვილი, ეს ერთ-ერთი პრაქტიკული მოღვაწე ქართველი ხალხოსანი. ჩვენი ხალხოსანების ადგილობრივი ჯგუფი, მიზნად ისახავდა მოღვაწეობინა „მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩეველად ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის ამ მომენტში, როდესაც შიდა რუსეთში დაკრავდა ბრძოლის საათი“ (ტ. III, გვ. 37).

მე ამით არა ვკმაყოფილებდი და იქვე განვაგრძობ: „ყველა აღნიშნულიდან, უდავოა, რომ ხალხოსანებისათვის ეროვნულ საკითხსა და გრძობას, მისინდელი პოლიტიკური მდგომარეობით განახილებულს, არ დაუტარავს სიმწევე და სიმეფეთრე. ეროვნული საკითხი ჩვენი ხალხოსანებისათვის მტკიცეული და საჭირო-როტო საკითხია, მაგრამ ეს საკითხი ისე ძირითადად არ იპყრობს მთელ მათ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს, როგორც ამას თერგდაღუელთა მოღვაწეობაში აქვს ადგილი“. იხ. აგრეთვე გვ. 23.

განა ასეთი მსჯელობა აძლებს რეცენზენტს საფუძველს თქვას, რომ მე ქართველ ხალხოსანებს ვახასიათებ, როგორც სეპარატისტებს, რომელთა მიზანი იყო „საქართველოს რუსეთიდან გამოყოფა, ორი ქვეყნის შერამეღლა გათიშვა“?

გამ. მეგრელიშვილის მიერ ჩემი „ნარკვევები-დან“ (რუსულ ენაზე) მოტიანილი ციტატის ინტერპრეტაციაც არაა სწორი. ვაგისხნოთ ეს ადგილიც: „Несмотря на то, что грузины-народники развились под непосредственным влиянием русских народников и непрерывно продолжали испытывать на себе их воздействие, всётаки кое-в чём они существенно разнились. Разница, главным образом, была вызвана особенностями грузинской действительности... В основном разница сводилась к следующему: 1) в отличие от русских народников грузинские народники стояли за национальное освобождение Грузии и совместно с „тергдалаული“ усиливали фронт революционно-национальной борьбы (Ант-Пурцелაძე, в. Ломоური, С. Мგალობლიშვილი и др.); 2) в противоположность русским народникам, их отношение к Западной Европе не было огульно отрицательным. Напротив, оттуда собирались они брать пример для перестройки народной жизни (имелись в виду — Швейцария, Швеция, Норвегия и другие мелкие государства Европы) — Ан. Пурцелაძე, Г. Китшидзе и др.); 3) Отсюда вытекало их своеобразное, в отличие от русских народников, отношение к капитализму. Грузинские народники не только не отрицали существование капитализма, но принимали его, как уже свершившийся могучий фактор, но исторической роли капитализма грузинские народники, равно как и их русские собратья, всё-же не понимали“ (С. Чрелашვილი, М. Гургენიძე, Д. Абдушелашვილი) („Очерки“, ув. 132). განა ეს ციტატა საფუძველს აძლევს რეცენზენტს თქვას, რომ, მიხ. ჯანდიაშვილის მტკიცებით, ქართველი ხალხოსნები სებატიანისტები იყვნენ?

მოელი წიგნის მანძილზე ვავითარებ აზრს, რომ, თუმცა ქართველი ხალხოსნები გამომდებით მჭიდრო კავშირში იყვნენ რუს ხალხოსნებთან, მათ დიდ გავლენას განიცდიდნენ, საკითხებს და თემებს ერთნაირად ეი არკვევდნენ და წყვეტდნენ, მაგრამ ქართველ ხალხოსნებს მიიწე ახასიათებდათ თავისებურება. ეს თავისებურება, ჯერ-ერთი, გამოიხატებოდა ეროვნული საკითხის გარშემო ბრძოლაში, რა თქმა უნდა, რუსი ხალხოსნები ეროვნულ თვითგამორკვევის საკითხს არ უარყოფდნენ, საჭიროდღე თვლიდნენ, მაგრამ იმ 60-80 წლებში ეს საკითხი მათთვის არ იყო ბრძოლის გადაუდებელი საკითხი; განსაკუთრებით რუსი ბელეტრისტების, პოეტებისათვის იმ დროს არ იყო ეს აქტუალური თემა. ქართველ ხალხში, როგორც კოლონიალური პოლიტიკის ქვეშ დაჩაგრული ერის ცხოვრების სინამდვილეში, ბუნებრივად და მწვევედ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრინტი. თერგდალულები

დიდი გაბედულებით იბრძვიან ამ მიმართულებით და ჩვენი ხალხოსნებიც ჩამოვლილნი არაა და საქმარის სიმკვეთრით იბრძვიან ამ დროინდელ ქვეყნის მოთვანი (როგორც არც ერთი თერგდალუელი) ერთს სიტყვასაც არ ამბობს სებატიანისტზე, მაგრამ ეროვნული თავისუფალი აღორძინების განვითარების, წინშეგლეობისათვის კი აქტიურად იბრძვიან. აი ეს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მწერლობის სინამდვილე მაქვს მხედველობაში, როდესაც ვწერ, ეროვნული საკითხის გარკვევაში ქართველი ხალხოსნები, შედარებით რუს ხალხოსნებთან, თავისებურებას იწარსებებენ-შეიქი.

ამდინევე გამოიძინარებოთს ქართველი ხალხოსნების დამოკიდებულება კამიტალიზმისადმი. ქართველი ხალხოსნები უარყოფითად არ უყურებენ კამიტალიზმის განვითარებას, თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც ვწერ, არც მათ გაიფეს კამიტალიზმის ისტორიული როლი.

„რუსი ხალხოსნების მიზანი იყო, — ვწერ მე, — ხალხი წაეჯანა განვითარების ისეთი გზით, რომ კამიტალიზტრი ტვლიდა თავიდან აეცდინათ. ასეთმა მუხლედულობამ წარმოშვა კულტურემორივი წყობილებისა, რომლის საფუძველების განვითარება, ხალხოსნების რწმენით, ხალხს საშუალებას მისცემდა უშუალოდ სოციალიზმში გადასულიყო“ (ტ. III, გვ. 28). ამიტომ რუსი ხალხოსნები უარყოფდნენ კამიტალიზმის განვითარებას რუსეთში.

ქართველი ხალხოსნები კი, შესაძლებელია იმისთვისაც, რომ საქართველოში თემობრივი წყობილება უკვე დარღვეული იყო, აღიარებენ, რომ კამიტალიზმის განვითარება საქართველოში მსგავსი ფაქტია და ჩვენი მომზადებულად უნდა შეგვხედოთ მას (ერტნ. „იმედში“, 1881 წ. № 1, 2, 3, დაგ. აბდუშელიშვილი და სხვანი). ასეთი შეხედულება კამიტალიზმზე უფრო გარკვევით აქვს გამოთქმული ერტნ. „იმედში“ ქართველი ხალხოსნების ერთ-ერთი წიგნის წარმომადგენელს — სტ. კრედიანის მიერ. „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“, სადაც განხილულია ლ. არდანიანის „სოლომონ ისაკის მეჯანაშვილი“. მეორე ქართველი ხალხოსანი ნ. ხი (ნ. ხიანაშვილი) წერს: „ჩვენ ვამტკიცებთ იმ აზრს, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თანდათან ნელ-ნელა მკარავს უწინდელ თავის დიდ მნიშვნელობას და საბატიო ნაწილს მფლობელობისას უნებლოდ უთმობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს, მავ; ქარხნულ მწეწველობას, ვაჭრობას და სხვ. ამას ცხადად ამტკიცებს ეკონომიური ისტორია“ (ტ. III, გვ. 31).

ცხადია, ქართველი ხალხოსნები ისე უარყოფითად არ უყურებენ ქვეყნის კამიტალიზტრ განვითარებას, როგორც რუსი ხალხოსნები. აი, ეს თავისებურებანი მაქვს მხედველობაში, როდესაც აღნიშნავ ქართველ და რუს ხალხოსანთ შორის სხვაობას. განა ეს ნათელი არ არის?

უყნაურია გამ. მეგრელიშვილის შემდეგ მტკიცება: „მის. ჯანდიაშვილი ფიქრობს, რომ



ხალხში სიარულის ტაქტიკით ჩვენი თავს ირთობდა რამდენიმე ხალხოსანი, ერთმანეთთან დაკავშირებული, ორსამ ხალხოსნურ წრეში გაერთიანებული და, რომ ამ მოძრაობის ცენტრი საქართველოში იყო მხოლოდ ქ. გორი. აქტორმა არ იყის, — განაგრძობს რეცენზენტი, — რომ 1875 წლისათვის ჩვენი ხალხოსნური მოძრაობა მაღალ საფეხურზე ავიდა... შექმნეს რევოლუციონერთა არალეგალური კონსპირაციული ორგანიზაცია, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული არალეგალური კონსპირაციული წრეების სახით ვაფიქსირებ უნდა იყოს მთელ საქართველოში და დაკავშირებული კავსასიისა და რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციასთან. მათი აზრით, ამ ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა მის მიერვე გამოშვებული ერთიანი პრაგრამა, ტაქტიკა და მისი მოღვაწეობა მიმართულიყო გლეხური რევოლუციის მომზადებისაკენ პროპაგანდის გზით“.

ესეც დიდი ვაფიქსირების შედეგია. ვინა მთელი ჩემი III ტომი იმის ჩვენება და მტკიცება არაა, რომ ხალხოსნები დიდი თავგანწირვით იბრძოდნენ გლეხთა გამოთხოვლების, მათი დღასა და მშენებლობის, რომ ისინი სასტრუქ ბრძოლის გულზეთან ერთად შეგამოვლენისა და ხელისუფლების წინააღმდეგ აწეოდნენ და რომ ამისათვის ციხეები, დარბევები, ციხეებში დაღუბვები, ციხეებში, კატორღა და სხვა მრავალი ტანჯვა ზედობდა ხალხოსნებს? ნუთუ გ. მეგრული შვილს ეს ეჩვენება, თითქმის ამით ხალხოსნები თავს ირთობდნენ?! დიდად უცნაურია, რომ ხალხოსანთა ასეთი მდგომარეობის გაცნობის შემდეგ თქვას ადამიანმა, — „ხალხოსნები თავს ირთობდნენ“!

გარდა ამისა, მე არა ვწერ ხალხოსნობის ისტორიას საქართველოში, ჩვენი თემაა: „ხალხოსანი მწერლები ქართულ ლიტერატურაში“. ამიტომ, ბუნებრივია, მე ხალხოსნობის მხოლოდ იმ მხარეებს ვეხები, რომლებიც დამეხმარება ჩემი ძირითადი თემის გაჩვენებაში. სპირო იყო მხოლოდ მეტი ურთაღმდეგობით გასცნობოდა რეცენზენტი ჩემს შრომებს, კერძოდ, თუნდაც, მარტო III ტომს, რომ ასეთი უმართებულო აზრები არ გამოთქვა.

მე ვწერ, რომ ქართველი ხალხოსნები მკიდროლ იყვნენ დაკავშირებული რუს ხალხოსნებთან. ასეთი მკიდრო კონსპირაციული კავშირი ჰქონდათ მათ არა 1875 წლიდან, არამედ უფრო ადრეც, 1872 წლიდანაც კი (ტ. III, გვ. 23). ესარგებლობს შ. დავითაშვილის, იმ პერიოდის მიმდებარე ხალხოსნის, მოგონებით ჩემი აზრის დასადასტურებლად: „ჩვენი ხალხოსნების რევოლუციური ჯგუფი მიზნად ისახავდა მოემზადებინა „მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის იმ მომენტში, როდესაც შიდა რუსეთში დაკრავდა ბრძოლის საათი“ (ტ. III, გვ. 37).

რა არის ეს, თუ არა „წრეობანის არიდან გამოსვლა“?! რა არის, ეს, თუ არა „ქრისტიანული ორგანიზაციის არსებობა?! რა [სახე] [სახე] [სახე] აღნიშნავს კავკასიისა და რუსეთის ხალხოსნების დაკავშირებისა?!

გამ. მეგრული შვილის არც ის მტკიცება სწორია, ვითომც მე ხალხოსნურ ორგანიზაციის მხოლოდ ქ. გორში მივიჩნევ.

ჩემი შრომის III ტომში ხალხოსნური ორგანიზაციები აღნიშნულია: თბილისში, გორში, ტყევიანში, ქუთაისში. მე არა მქონია მიზნად შეველა ორგანიზაცია აღმუშავდა, ან უფრო დაუკრძალვით შეეჩერებულა იგი აღნიშნულზეც კი. შედარებით შეტის ვაშობ გორის ორგანიზაციას, რადგანაც 70-იან წლებში ქ. გორში შედარებით მრავალმა ხალხოსანმა მოიყარა თავი, (მათ შორის ქართული ლიტერატურის წარმომადგენელი ბეგრიანი). იქვე ვიმოწმებ შ. დავითაშვილს ორგანიზაციული კავშირის შესახებ რუს ხალხოსნებთან, საიდანაც მოდიოდა არალეგალური ლიტერატურა, ხალხი აქვდა იზრუნებოდა პერიოდურებში. თბილისიდან ეს არალეგალური ლიტერატურა შ. დავითაშვილს მიაქვს გორში; ირთვებთან გადამწვედნენ, დაახლოვნ ორგანიზაცია სტამბით სოფ. ტყევიანში და ა. შ. იმდენად ძლიერდება ხალხოსანთა ორგანიზაციების მუშაობა, რომ 1876 და 1878 წლებში ხალხოსნებზე საერთო თავდასხმისას ქართულ ხალხოსნურ ორგანიზაციებსაც არ ივიწყებენ. „ეს დაკავშირებული იყო, — ვწერ მე, — რუსეთში მომხდარ გლეხთა აჯანყებისთან და რუსეთის რევოლუციონერთა მიმართ მიღებულ რეპრესიებთან“ (ტ. III, გვ. 24) და განეგრძობს: „ამ განხრეკას მოჰყვა მრავალი რევოლუციონერის დატუსაღება: თბილისში, დაეტუსაღეს — ეგ. ოსელიანი და სტამბის მეპატრონე არსენ კალანდაძე, გორში — ვასო დეკანოზიშვილი, სოფ. შგალობლიშვილი, სოფ. მერეთში — დ. ფურცელაძე, სოფ. ტყევიანში — მღვდელი ვასო სამადაშვილი, სოფ. ქვიშხეთში — მის. ყოფიანი, ქუთაისში — ვახ. გზინიძე და პოლიექტ კვიციანი და სხვანი“. იქვე სქოლიოში ვიყენებ ს. შგალობლიშვილის მოგონებას და ვწერ: „ანალოგიური ორგანიზაციები მოქმედებდნენ სხვა ადგილებში: თბილისში, ქუთაისში თელავში, ოზურგეთში, სამეგრელოში“ (ტ. III, გვ. 23-24). იგრეთვე აღვნიშნავ, რომ ქ. ქუთაისში არსებობდა ხალხოსანთა უკრძალვით, რომელიც ამხადებდა მასალებს ხალხოსანთა ორგანი „იმედისათვის“, ამ უკრძალვით იყენენ: შ. ასათიანი, შ. გურგენიძე ანდრო ბენაშვილი, დათა ჩიშკაძე, სპ. მატაძე, ალ. ვახაშვილი, შ. პეტრიაშვილი და სხვანი (ტ. III, გვ. 8).

საიდან იმოკითხა გამ. მეგრული შვილი, რომ ხალხოსანთა ორგანიზაციის მე მხოლოდ ქ. გორში ვცნობ და ისიც, „სადაც თავს ირთობდა რამდენიმე ხალხოსანი“?

რეცენზენტი წერს: „მის ზანდუკელი ხალხოს-
ნებს უწოდებს „სუბიექტურ სოციალისტებს“ და
კი არ ცდილობს ამ არც ისე მართებული ცნების
წინააღმდეგ გახსნას“.

ვეხები რა ეურს. „იმედში“ ხალხოსნების მიერ
გამოთქმულ რესპუბლიკანურ იდეებს, ვწერ:
„ხალხოსნები მარტო პოლიტიკური თავისუფლე-
ბით არ კმაყოფილდებიან. ისინი სოციალისმისა-
გენ მიისწრაფვიან და ასეთ შეხედულებას ააშკა-
რებენ იმედის“ ფურცლებზე. ჩვენი ხალხოს-
ნები აქაც იმავე პოზიციას დგანან როგორზეც
რუსი ხალხოსნები, რომელთა შესახებ ლენინი ამ-
ბობს, რომ ისინი მხოლოდ სუბიექტურად იყვნენ
სოციალისტები“ (ტ. III, გვ. 42). შემდეგ მომ-
ყავს სათანადო ადგილები ჩემი შრომის როგორც
II, ისე III ტომში, თუ როგორ მარტავს ხალ-
ხოსნების სოციალისტურ ბუნებას ე. ლენინი. მე
ვწერ: „ამ თეორიას, ე. ი. ხალხოსნობას, — ამ-
ბობს ლენინი, — „სწამდა „მეთემური“ გლეხის
კომუნისტური ინსტიტუტი და ამიტომ გლეხო-
ბაში ხედავდა სოციალისმისათვის პირდაპირ მე-
ბრძოლს, მაგრამ მას აკლდა, ერთი მხრით, თეო-
რიული დამუშავება, დამატკიცებელი ისეთი პო-
ლიტიკური პროგრამის გამოყენებაში, რომელიც
გლეხის ამ ნაფარადვე თვისებებს დაეყრდნო-
ბოდა“ (ტ. II, გვ. 164; ვლ. ლენინი — ტ. I,
გვ. 323, გამ. 1948). ამ საკითხს ვეხები იმავე II
ტომშიც, იქაც ვიშველიებ ე. ლენინს. „ხალხო-
სანთა რწმენა გლეხთა კომუნისტური ინსტიტუტ-
ბისა, — წერს ლენინი, — ბუნებრივია, სოცია-
ლისტებისაგან მოითხოვდა, რომ მათ უკან დაე-
ყრებინათ პოლიტიკა და ხალხში წასულიყვნენ“
(ტ. II, გვ. 170; ე. ლენინი — ტ. I, გვ. 325, გამ.
1948). ცხადია, ხალხოსნებს სწამდათ, რომ ისი-
ნი მიდიოდნენ სოციალისმის განხორციელების
გზით, რომ ისინი ხალხს გლეხური სოციალისმის
საშუალებით მიიყვინდნენ სოციალისმში, რომ
მათ თემური საწყისები ამ შესაძლებლობას ამ-
ლევდა. ამ გაგებით ხალხოსნები სოციალის-
ტები იყვნენ. მაგრამ ობიექტურად მათი გზა
არ იყო სწორი. რადგანაც ხალხოსნები ვერ
ითვისაწინებდნენ რუსეთის მტკიცედ დადგო-
მას კაპიტალიზმის გზაზე და არავითარ ძალს
ყო არ ძალძედა, რომ ის ამ გზას ასდევ-
ნოდა. ვინაიდან, — ვწერ მე, — „ხალხოსნები
განაგრძნობდნენ მტკიცებას, რომ კაპიტალიზმი
რუსეთში შემთხვევითი მოვლენაა, რომ ის რუ-
სეთში ვერ განვითარდება და პროლეტარიატე
ვერ გაიზრდება. გამომდინარეობდნენ რა ამ მო-
საზრებიდან, ხალხოსნები მთავარ წამყვან რევო-
ლუციურ ძალად თვლიდნენ გლეხობას, ინტელი-
გენტის ხელმძღვანელობით და გლეხურ თემს,
რომელშიც ისინი ხედავდნენ სოციალისმის ჩი-
ნასასს, და არა მუშათა კლასს, პროლეტარიატს,
რომლის გარეშეც ისინი ლაშობდნენ სოციალიზ-
მის მიღწევას“ (ტ. III, გვ. 49). ამ აზრს მე იქვე

ვაფიქრებ ე. ლენინისა და კ. პლენინისაგან
თა მოშველიებით და ვწერ: „მე ვწინააღმდეგობ
ე. პლენინი, იღებდნენ რა მისი რეცენზენტი რუ-
სეთის სინამდვილეს, მასში ძლევათაშორის
განვითარებას, ამტკიცებენ: რევოლუციონერები
იმას კი არ უნდა ცდილობდნენ, რომ შეამჩნიონ
რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება, არამედ
უნდა მიიღონ კაპიტალიზმი, როგორც შესრულე-
ბული ფაქტი და გარკვეულად დაეყრდნონ ამ
მძლავრ რევოლუციურ ძალს, რომელსაც წარ-
მოშობს კაპიტალიზმის განვითარება, — მუშათა
კლასს — პროლეტარიატს ხელი შეუწყო მასში
კლასობრივი შეგნების გაღვივებას, მის დარბი-
ვას და დახმარონ მას შექმნას თავისი პარტია“
(ტ. III, გვ. 49). რაკი ხალხოსნები უარყოფდნენ
ამ გზას, არ ეყრდნობოდნენ მუშათა კლასს, და
ეს კი იყო ერთადერთი საშუალება სოციალიზ-
მში გადასასვლელად, ამიტომ ისინი ობიექტურად
არ იყვნენ სოციალისტები.

აქედან მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს,
რომ „ხალხოსნები სუბიექტურად იყვნენ სოცია-
ლისტები“ არც ისე უმართებულოა, როგორც
ეს გაბ. მეგრელიშვილს უნდა მკითხველს შთა-
გონოს.

დასასრულ, მინდა შევეჩუო კიდევ ერთ ბრალ-
დებას. გაბ. მეგრელიშვილი წერს: „განცვიფრე-
ბას იწვევს ის ფაქტი, რომ ლიბერალურ ხალ-
ხოსან წყარებს, როგორცაა, მაგ. დ. მაჩხანე-
ლი და სხვები ის ც. ი. შ. ზანდუკელი უწოდებს
ხალხის ნამდვილ მეგობრებს, ხალხის ინტერესე-
ბის დამცველს“.

დაბეჭდილობით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს
შრომებში ლიბერალური ხალხოსანი წყაროები,
კერძოდ, დ. მაჩხანელი ხალხის ნამდვილ მეგობ-
რად არსად არ მომიხსენებია. ხალხის ნამდვილ
მეგობრებს ვუწოდებ რევოლუციურ ხალხოს-
ნებს, რომლებიც გავიდნენ ხალხში და ხალ-
ხის კეთილდღეობას გამოარდნენ, ვუღწერყ-
რად, უნაგაროდ სწირავდნენ თავის ენერჯიას,
ცოდნას, ნიჭს, უნარს, დოვლათს, თვით სიცოცხ-
ლესაც კი. რა თქმა უნდა, მათი სუბიექტურა
შეგნებით ისინი ხალხის ნამდვილი მეგობრები
იყვნენ, ხალხისადმი სიყვარული ამოძრავებდა
მათ ასეთი გმირული გაწიროვისათვის, ხოლო
ხალხის ინტერესებს რომ ყველა ხალხოსანი
იტყვდა, ესეც ფაქტია. ან რა დამაჯი დ. მაჩხ-
ანელმა — ისიც გავიდა სოფლად, როგორც
სოფლის მასწავლებელი, დადიოდა სოფელ-სო-
ფელ, გლეხთა გათვითცნობიერებისათვის ატე-
რებდა საუბრებს. კარგადაა ცნობილი მისი საუბ-
რების კრებული „მშორი სიტყვა“; 1892 წელს,
ხოლერობის დროს შეადგინა დამხმარე წერ და
ხალხს დიდ დახმარებას უწევდა; ს. მაჩხანე
დაარსა „ღებო“, შემდეგ „მწყემსთა საზოგა-
დოება“, რათა გლეხობა ეხსნა ვაჭრების ექს-
პლოატაციისაგან; 1895 წ. სოფ. მაჩხანეში

დააარსა ქალთა სკოლა, რომელსაც დაუთმო თავისი საკუთარი დიდი შენობა, იმავე წელს იქვე მისი ხელმძღვანელობით დააარსდა „სამეურნეო სკოლა, თეატრი, და სხვ. ეს გართობა კი არ იყო, არამედ — ზრუნვა ხალხზე, ხალხის ინტერესების დაცვა...

ტრაველია ხალხოსნებისა ის იყო, რომ ისინი ვერ გრძნობდნენ თავისი მოქმედებისა და მისწრაფების მცდარობას, რომ ისინი მიზანს — სოციალიზმის დამყარებას — ვერ მიაღწევდნენ გლეხური რევოლუციის საშუალებით... ვ. ლენინი ხალხოსანთა შეგობრობას მხოლოდ ამ ასპექტში აყენებს ექვს ქვეშ. მაგრამ, მიუხედავად ლენინის მიერ ხალხოსნების სამართლიანი შეფასებისა, ის მაინც მტკიცედ გვასწავლის: „ნაროდნიკული პროგრამის უარყოფა მთლიანად, განურჩევლად, აბსოლუტურად უმართებულო იქნებოდა. ამ პროგრამაში მკაცრად უნდა გავაჩიოთ მისი რეაქციული და პროგრესული მხარეები... მარქსისტებმა, მათი პროგრამის მთელი რეაქციული ნი-

შენების უკუგდების შემდეგ, არათუ უნდა მიიღონ სავართო-დემოკრატიული პუნქტები, არამედ, კიდევაც უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში რევოლუციურ ზუსტად, ღრმად და გაფართოებულად. რაც უფრო ვადაპირით გატარდება ასეთი რევოლუციები რუსეთში, რაც უფრო ამაღლებენ მშრომელთა მასების საარსებო დონეს, — მით უფრო მკვეთრად და წმინდად იჩენს თავს რუსეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და ძირითადი (უკვე ახლა) სოციალური წინააღმდეგობა. მარქსისტები არა თუ არ „სწუვებენ დემოკრატიულ ძაღს“, თუ მიმდინარეობას... არამედ, პირიქით, მათ სწადიათ ამ მიმდინარეობის განვითარება და გაძლიერება, სწადიათ მისი დაახლოება ცხოვრებასთან, სწადიათ აიღონ ის „ძაფი“, რომელსაც „საზოგადოება“ და „ინტელიგენცია“ ხელიდან უშვებს“. (ვ. ი. ლენინი — ტ. I, გვ. 611, 613, გამოც. 1946 წ. ტ. II, გვ. 177).

ასეთია ჩვენი შენიშვნები ვ. მეგრელიშვილის საარეცენზიო წერილის თაობაზე.



ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ

მე-19 საუკუნის სამოედიათთან წლებში ცოლ-ქმარმა სეტენერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ლიტერატურის ევროპეოლიზაციის გადნობის საქმეში. ბარონესა ბერტა ფონ-ზეტენერი და ბარონ არტურ გუნდაკაზ ფონ-ზეტენერი საქართველოში მოღვაწეობდნენ 1876 — 1886 წლებში.

არისტოკრატიული წარმოშობა, მომხიბლავი სილამაზე, ნიჭი და გონებაშეხილვადი ბერტას დიდ წარმატებას უქადდა არა მარტო პრაღაში, არამედ პარიზშიც. თვით ნაპოლეონ III-ის კარზეც, სადაც ის უკვე მიღებული იყო. სამოციანი წლების პარიზის არისტოკრატიულ საზოგადოებაში სილამაზით დაჯილდოებულმა, მან მართლაც მრავალი პატივის გული აძებრა და ბევრი მაღალი მდგომარეობის პრინციც ყურადღება მიიბრუნა. მის მხატვრული შრომის იყენებ ირაკლი ბაგრატიონი (მეფე ერეკლეს II-ის შვილიშვილი), სამეგრელოს მთავრის ძე ნიკოლოზ დადიანი (მინერვლესი), თავად ვიტგენშტეინი და სხვ. როგორც ჩანს, ბერტა ამ უკანასკნელს თანაურებნობდა, რადგან მისმა უფუარმა გარდაცვალებამ იგი ძლიერ დამაგლოვინა, ერთ ხანობაზე სასოწარკვეთილებამაც წააგდო და დროებით ამ მაღალ საზოგადოებასაც გაეცალა. ამას დაერთო მამის ოჯახის უკუბედობე დაქვეითება და ერთხანად გაღარიბება, რამაც იგი აიძულა სრულიად დაეტოვებინა ეს ე. წ. მაღალი საზოგადოება და საერთო შრომით ეძებინა საარსებო სახსარი. ენერგიულსა და დამოუკიდებელი ხასიათის მქონე ბერტას შეეძლო შემბრძოლებოდა ბედს. ის დგება გვეერძიორად ვინმე ბარონ ფონ-ზეტენერის ოჯახში. აქ ის შეუფუარდა ბარონის 25 წლის ქაბუცს არტურს (1850 — 1902), რომელსაც ქალმაც თანაურებნობდა. მაგრამ ამ ქორწინებას სისტემატად წინააღმდეგნენ ორივე მხარის მშობლები. შეყვარებულები მიიწვი ქორწინდებან მაღულად და საქართველოსაკენ გამოისყვებან.

საქართველოში მათ ვგულეობდათ გულკეთილი მეგობრები — სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე და მისი ასული სალომე დადიანი — მიუტრიათსა. როგორც ცნობილია, აღუქმანდრე ქავ-ქავაძის ასული ეკატერინე დადიანისა დაჭკობ-ეების შემდეგ ეარგა-ხანს (1861 — 68) ცხოვრობდა პარიზში შვილების აღზარდულად. ეკატერინეს ქალი სალომე და ბერტა, როგორც თანამოასაკენი, დამეგობრდნენ. ეკატერინე მთელი თავისი ოჯახით ნაპოლეონის კარზე იყო მიღებული,

ცხოვრობდა ვერსალის სასახლეში, სადაც მოხდა ეკატერინეს ქალის სალომეს დაქორწინება ამაღ მიურატზე. ბერტა ამ შემთხვევების მონაწილე და შინაური პერსონი იყო, რომელსაც ეკატერინე შვილივით ეყვრობოდა, როგორც თავისი ასულის მეგობარს. ამ მეგობრობამ ევროპიდან ლტოლვილ ახალგაზრდა სეტენერებს (ქართულ ლიტერატურაში ასეა მათი გვარი მიღებული) გეზი საქართველოსაკენ ააღებინა. მათ პარიზში მონახეს ნიკოლოზ დადიანის-ძე დადიანი-მინერვლესი, რომელიც თავისი ახალშერთული მეუღლით მარიათ ადლერბერგის ასულით მაშინ პარიზში იყოფებოდა. 1876 წლის მიწურულში პარიზიდან ზეგდიდში დაბრუნებულ ნიკოსა და მის მეუღლეს ჩამოყვებენ ახალდაქორწინებული, სამშობლოდან ლტოლვილი სეტენერები. აქ ისინი გულთბილად მიიღეს. თავმჯახჯარის გარდა, მათ მუშაობის პირობებიც შეექმნათ ძველი მეგობრებისა და ქართული სტუმართმოყვარეობის წყალობით.

ხუთ წელწადს სეტენერები ზეგდიდში ცხოვრობდნენ. ამ ხნის განმავლობაში არტური მინერვლესის მამულების მმართველად იყო და მიეღ სამეგრელო-ლეჩხუმს გაეცნო დაეახლოვდა ხალხს, შეისწავლა მათი ცხოვრება; ზნე-ჩვეულება, ეკონომიური და კულტურული პირობები და ეთნობება, მეგრული და ქართული შეისწავლა იმდენად, რომ ადგილობრივთი გამოლაპარაკებოდა. მისა მეუღლე ბერტა ფრანგულსა და გერმანულს, აგრეთვე მუსიკის ასწავლიდა. ორივე ცოლ-ქმარი ზედმიწევნით დაეუფლა რუსულ ენასა და ლიტერატურას და უხეად სარგებლობდა ეკატერინეს სასახლეში დაეული მდიდარი ბიბლიოთეკით.

1882 წელს, ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, სეტენერები საცხოვრებლად თბილისში გადამოვიდნენ. აქ ისინი დაბინადდნენ ასლანდელი კამოსა და სამოსწავლო („უნებანი პეტრეოლო“) ქუჩების კუთხეში მდებარე სახლში. არტური მუშაობდა ბერნეტის ავეჯის ქარხანაში მხატვარ-გამფორმებლად, ბერტა კი, უცხოური ენებისა და მუსიკის გაკეთილების მიცემას განაგრძობდა. თბილისში მათ იცხოვრეს დაახლოებით ოთხი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე ისინი ვაიეცენენ ქართული მწერლობასა და დაეახლოდნენ თითქმის ყველა იმდროინდელ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესა და მწერალს. ეს გაენობა არ იყო უნაყოფო და უშედეგო. მათ ერთგვარი მონაწილეობაც მიიღეს ქართულ ლიტერატურაში. პარ-

ველ რიგში აღსანიშნავია მათი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის, გამოცემისა და ევროპელო მეთხველსათვის გაცნობის საქმეში.

როგორც ცნობილია, 1881 წელს შემდგარმა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ იონა შეენარჯიას დაავალა, როგორც ფრანგული ენის მკოდნეს, ეთარგმნა პოემის სრული ტექსტი, რომ იგი წაეყთხა მხატვარ ზინის, რომელიც გამოცემის ილუსტრირებას კისრულობდა. შეენარჯიამ შეასრულა ეს მძიმე დავალება. ამ თარგმანის დისახუსტებლად და საბოლოო რედაქციისათვის მას თავისთან მიუწვევია შამინ თბილისში მსოფრბები სეტნერებში და ფრანგი ეურნალისტი ჟ. შერე. ამის შესახებ ის 1884 წლის 16 დეკემბერს პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს აცნობებდა რომ შან სეტნერებში სამეცრელოში, თავის სოფელში (ცაიშში) წაიყენა, რათა იქ ერთხელ კიდევ ბეჯითად ვადაიკოთხონ და გაასწორონ თავისი ფრანგული თარგმანი. 24 დღის ენერგიული მუშაობის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს რედაქცია არც ისე იოლია და საქირთა კიდევ მუშაობა. 1885 წ. 9 იანვარს იგი კვლავ სწერდა ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგში: „ეს ორი კვირა ქალაქიდან წამოსული ვარ და არ ვიცი, მიგრწერია თუ არა რაიმე პასუხი ჩემთვის, ან ილიასთვის და წესახად „ვეფხისტყაოსნისა“ და ზინის... ამ იწგნსა, რატიმ გწერი როგორც ამას წინათ გაცნობე, მე სეტნერებში სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმოკრედ შეეუდგეით თარგმნას, უფრო უმეტესის დავკირვებთ და სინდისით. ვერ უკანასკრე რედაქციის ვადგენთ ფრანგულად და შერე იქვე გვრბანულად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირა, დღე და ღამე ვმუშაობთ და, როგორც იყო, ერთს მეოთხედს მოვლეთ ზოლო. ამ პირველს მეოთხედში ერთი შეუდგომა შემხვდა წინადელი ჩემი თარგმანისა, რომელიც უთუოდ უნდა ვასწორდეს ზინის ეგზემლიარში, თორემ მსატრიალა ნაშდელი არ გაიოვა... იმეგნად, 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წ. მარტამდე სეტნერები ისხდნენ სოფელ ცაიშში იონა შეენარჯიასთან და საბოლოო რედაქციის უეითებდნენ ა. შეენარჯიასეულ ფრანგულ თარგმანს; ამვე დროს, როგორც თვითონ შეენარჯია გვაცნობებს, პოემას თარგმნიდნენ გერმანულ ენახუდაც, ცხადია, თვითი ღეჰსით, ისე, როგორც ეს თვით შეენარჯიას ჰქონდა ნათარგმნი და რომლის ნამუშებიც მოყვანილია დასახვლებულ ბარათში. წყნაჲს უცნობია სეტნერებში მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული ტექსტი არ არას დადგენილი, ვამთავრეს თუ არა მათ დაწყებულ საქმე; ეს კა, რომ შეენარჯია იმავე წერილში შენიშნავს: „როგორც შევატყვე, გერმანულ ენაზე უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“. ქართული ფრანკა ფრანგულ ენახე უთუოდ უნდა შეუცვლოს როგორც და გერმანულად კი პირდაპირ ვადადისო...“ (იქვე).

დასახვლებული თარგმანის რედაქტირება დასრულდა. იგი, რემინგტონის მანქანაზე ვადაბეჰ-

დილი, ხელახლა ილია გავკვავაბის მითითებით დაუყოვნებლოვ ვადაეცა ზინის, ჰენიმადე ამ ტექსტის მიხედვით შექმნა ილუსტრაციები, ეგზემლის ტყაოსნის“ 1888 წლის მდიდრად გამოცემის რომ მოთავსდა.

ვიდრე ამ თარგმანის ტექსტის საბოლოო რედაქციაზე დაიწყებდნენ მუშაობას, ირტურ სეტნერი მას იდრევე ვასცნობია. ამის შედეგად მან დაწერა ვრცელი კრიტიკული სტატია „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც რამდენიმე ფელეტონად გამოაქვეყნა 1884 წლის ვაზეთ „კავკაზში“. ეს ფელეტონები იმდენად უფრადსაღები იყო იმდროინდელი საზოგადოებისა და ლიტერატურული წრეებისათვის, რომ ისინი დაუყოვნებლოვ ვადაბეჰდეს ქართულმა ვახუშტმა „დროებამ“ და ეურნალმა „ივერიამ“...

არტურ სეტნერს სრულიად კანონზომიერად მიანდა ის ფაქტი, რომ იმდროინდელი მოწინავე ქართული ინტელიგენცია ასე დიდი ყურადღებით ვაიდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას, მის უცხო ენებზე თარგმნას და მდიდრული გამოცემის განხორციელებს საქმეს. მისი აზრით, ამვანად აყვედა ერი აგრეკლებს მოედანს თავის გამოკვლევითათვის, ლიტერატურის შესწავლაც თავს ანებებს ვიწროდ შემოფარგულ წრეს, რომელშიაც იგი იყო ჩავარდნილი რტირნიორებისა და პედანტების წყალობით, რომელთა ღრმა ნაკითხობა და ერთუცია ის იყო, რომ მხოლოდ სამშობლო ქვეყნის კლასიკოსები, ბერძენთა და რომაელთა მწერლები ჰქონდა შესწავლილი. დღეს ისინი, ვინც ლიტერატურის შესწავლას მისდევენ, ცდილობენ თავიანთი შედარებითისა და კრიტიკულის გამოკვლევების საგნად განიხილონ ყოველგვარი ნაქირანსულევი კაცის ვონებისა ვველა ქვეყნისა და ვველა საუყუნისა...“

სეტნერის მითითებით „მხოლოდ ამ მხრით უნდა უეკიროს საგანს მეთხველმა, როდესაც იფასებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს ფრანგულ ენაზე ბან შეენარჯიასაგან.“

შემდეგ, ენება რა იგი რუსთაველის პოემის ვავრცელებულობას, მისდამი ქართული ზალხის სიყვარულს, იმ ფაქტს, რომ თითქმის ვველა ქართულმა იცის ზეპირად „ვეფხისტყაოსანი“ და თავყანსა სცემს მის შემქმნელს, ასკვის, რომ ეს ვველაფერი იმის მომსწრეებელია, რომ რუსთაველი გამოშხატეულია ერის ბენიისა. ეს ვარემოება კი უფლებას აძლევს რუსთაველს, ადგილო ჰქონდეს „იმ ათისა თუ თორბეტის პოეტის გვერდით, რომელია სახელებიც საუტუნეებთან ერთად იზრდებიანო“...

სეტნერი ვარკვევულად შენიშნავს იმ ვარემოებას, რომ იმდროინდელ საქართველოში ახალი და უჩვეული ნიავი ქროდა. სამოქმედოდ იყო გამოსული მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთი ისეთი ჩგუფი, რომლის წევრები რუსეთისა და ევროპის იყვნენ ვანათლებლამილებული და თავგამოდებიო ცდილობდნენ შობლიურ მხარეშიც დაემკვიდრებინათ ეროვნული ვანათლება და ახალი ვანმოთავისუფლებული იღვები. დავკირვებუ-

ლი პუბლიცისტი იმასაც შენიშნავდა, თუ რა ინტენსიურად გაიანდეს ქართველმა მწერლებმა ექსპოზიცია (ფრანგული, ინგლისური, გერმანული და სხვ.) ლიტერატურის თარგმნა შობლიურ ენაზე, ამასთანავე, ქმნიან ორიგინალურ თხზულებებსაც, ეროვნულ თეატრსა და მის რეპერტუარსაც.

სწორედ ამ ახალგაზრდა ქართველ მწერალთა წრეთს წარმოიშვა ის აზრი, წერდა სეტნერი, — რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ენასა და ეროვნულ ლიტერატურას, მწერლობის განვითარებას; სწავლობენ და ავლენენ თავიანთი ძველი კლასიკური მწერლობის ნიმუშებს. "სეტნერის მოსწონდა, რომ ეს ახალგაზრდობა ცდილობდა შეეშინებინა ნაება უცხოელი სწავლულები და, ამრავალ, მათი კრიტიკული ვტიუდების, გამოკვლევების, ლექციების, თარგმანების, ცოცხალი სურათებისა და სხვათა საგნად გეგმადათ თავიანთი ეროვნული თხზულებანი. „ამავე გატაცებამ, — წერს სეტნერი, — მთავიღებინა ხელი ბ-ნ მეურნარეას პოემის თარგმნისათვის, რათა წარედგინოს იგი ევროპელ მკითხველს. იმას კალმოდან რუსთაველის პოემა პირველად გამოვა სრულად, სიტყვასიტყვით გადათარგმნილი. თვით მთარგმნელი, როგორც ეს ჩანს წინასიტყვაობიდან, არ ფარავს იმ სიძნელეს, რომელსაც უნდა მორეგვდა თავისი სურვილის შესასრულებლად და პირდაპირ ამბობს: რაც შე ვიკისრე, იმ საგანს და მის შესრულებას შორის დიდი მანძილი არსებობსო. ეს თავმდაბლობა მთარგმნელისა პატივისცემისა და ამტკიცებს, თუ რა თავიანთს ცემით, რა მოწოდებით ექცევა იგი ამ ნაწარმოებს, რომლის თარგმნა და ახსნა მას უცხარია.."

სეტნერის აზრით, ჯერჯერობით მხოლოდ საწყისება მოცემული ამ გენიალური ქმნილების შესწავლისა, სრული და ნამდვილი შეფასება პოემისა და მისი ავტორისათვის შესაბამისი იდეალის დათმობა მხოლოდ კარიფების შორის მოხდება მხოლოდ ხანგრძლივი ცვლევა-ძიების, პოემის დედნების შეცნობრული შესწავლის შემდეგ; ავტორი გამოთქვამს რწმენას, რომ, ქართველებს გარდა, სულ მოკლე ხანში გამოჩნდებიან სხვა ერის ფილოლოგებიც, რომელნიც საფუძვლიანად შეისწავლიან რუსთაველის ენას, ჩაუტარებდებიან მის პოეტურ ქმნილებას და გარკვეულ შეხედულებას შეიმუშავენ მე-12 სთუენის ქართული ელტერის ვითარებაზეო.

აღსანიშნავია, რომ სეტნერის სრულიად უადგილოდ მიანიჩა ლაპარაკი იმაზე, ვითომ პოემა სპარსულიად არის ნათარგმნი იმ გამოყენებულია რომელიღაც სპარსული ზღაპარი, მთარულა სიუეტო. იგი წერს: „ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება გრომოდ არა ღირს... შეიძლება მან ისარგებლა რომელიმე თქმულებით, მაგრამ ამით მისი ღირსება არ დამცირდება. ეს მოთვა უჭირად, წუნდ დასწონს შექსპირის იმისათვის, რომ სიუეტებმა თავისი დრამებისათვის იილო ბოკაჩიოსაგან?.. „ბეთმოვენი

მოვეითხრობსო, — განატარობს ის, — რომ ტანჯრის გვერდით მისი ყურადღება მიიქცია პატარა ბავშვის ფორტეპიანოზე მარაქნებას შემდეგ ამ ერთიმეორესთან დაუკავშირებულ მარტებსაგან — ბავშვის აზრებისაგან მან შეადგინა თავისი ერთი საუკეთესო სონეტის ინტროდუქცია, შესავალი. ამგვარი სიუეტების მორატობაზე იგი ვაღმოგვეცხოს ასეთ სიანტიკურა ცნობასაც: „არ არის დიდი ხანი მას შემდეგ, რაც მე თვითონ მქონდა შემთხვევა აღმოვიჩინა მსგავსება შილერის ბალიის Fredolin-ის და ერთის არაკის შინაარსისა, რომელიც გერმანულ პოეტზე ბევრად აღრე საბა-სულხან ორბელიანს თავის „სიბრძნეს-სიღრმეს“ მოექცევა... განა ამის გამო შექსპირის, ბეთმოვენი, შილერის შემოქმედნი არ უნდა ვუწოდოთ?.."

ავსტრიელი პუბლიცისტი მთელ რიგ პარალელებს ავლებს დანტეს, ტასოსა და მსოფლიოს სხვა კარიფების თხზულებებთან. შემოქმედების მაგალიტზე ავტორი დასკვნის, რომ „რუსთაველის პოემა, რომელმაც თავისი დრო და თავისი ქვეყანა აღტაცებაში მოიყვანა, უნდა ყოფილიყო იმ დროის ვითარებით და თავისი ერის თვისებებით გაეღწეოდა და გამსჭვალული... როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი — სპარსული თუ არაბული, სადაც არ უნდა წარმოებოდა მისი მოქმედება — ინდოეთში თუ სხვაგან, „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის იყო და იქნება ქართული ნაწარმოები... ამასთანავე, იგი განსაკუთრებული ყურადღებით ჩერდება ტარეელისა და ნესტან-დარეჯანის ურთიერთობაზე და პოემის იმ ურთიერთობის გამოჩნატველ აღვლილებზე, ნესტანისა და ტარიელის საქციელზე, ტარიელის ფიციზე, ნესტანის რწმუნებაზე და ასკვნის, რომ პოემის ეს ადგილები ღირსია ხანგრძლივად შეჩერებისა და დაწერილობით გარჩევისა, მაგრამ ამ წერილს მიზნად არა აქვს დასახული ამგვარი ფართი მიზნობილება და სრულ ანალიზი პოემისა, „სჯულის და დაწერილობითი გარჩევა რუსთაველის პოემისა ჩემი გერმანულ მკითხველისათვის შევიანახოო."

სეტნერი ახდენს პოემის მხატვრულ ანალიზს და გზადგნა მას ახსენდება „სიმღერა როლანზე“, „ნიმფილეგები“, ესპანური „კამპეადორის ბალი“, რუსული „სიტყვა იგორის დაქმრობაზე“ და სხვ. მაგრამ ყველა ესენი ხალხური ქმნილებებიაო, დასაქმნის ის, „ქებანი გვირგვინისებებისა და გზარებისა“, ასე რომ სიხელი, დიდება და შარავნდელი ამ შემთხვევაში პერსონალურად არავის არ ეკუთვნისო. იგი „ვეფხისტყაოსანს“ თვლის რომანად, რომელსაც აქვს თავისი ე. წ. „ნასკვი, გამახალისებელი დასაწყისი და ამ ნასკვის გარკვევითვე გამოცხადებული ბოლო და დამთავრება“, მისი აზრით, პოემაში დატულია ყველა კონონი დიდი ნაწარმოების შექმნისა — მტკიცედ არის დატული ამის თანდათანობითი განვითარება, შეკრულია სიუეტურად მტკიცედ მოფიქ-



რებულ გვევით, რომლის მთავარ იდეალ სუტ-
ნერს მიანიჭა მეგობრობა, სიყვარულის ძლევა-
სიძლება, სიმახილეს გამარჯვება და პირობების
დათრგუნვა.

უბელიცისტი დიდხანს ჩერდება „ვეფხისტყა-
ისნის“ განსაკუთრებულად ძლიერ და მხატვ-
რულ იდეალებზე, ყურადღებას ამახვილებს ავ-
თანდღის ანდერძზე და იმ მიზეზზე, როცა ამ
ანდერძს კითხულობს რუსთაველი, ახასიათებს
მას, როგორც ბრძენს და გამჭირვალ სახელმწი-
ფო მმართველს, რომლის ხასიათი უთუოდ ისტო-
რიულად რეალური პიროვნების განხორციელებ-
ბაა. ავტორი მოხიბულია რუსთაველის სიბრ-
ძნით, მისი სენტენციებითა და აფორიზმებით, რო-
მელთა სიუხვით „ვეფხისტყაისნი“ უთუოდ გა-
ნაჩვენებელია მსოფლიოს ამგვარი კატეგორიის ძველ-
ბადაც: „ეს სიტყვები, — აღნიშნავს ის, — ისე
შეწვეიერნი არიან და ისეთი ღრმა აზრი აქვთ
მათ, რომ ღირსნი არიან მთელი ქვეყანა მოვლ-
ნო...“ ამ შემთხვევაში იგი მოხსენიებს გოთეს,
შექსპირს, ბაირონს, ლერმონტოვსა და სხვ. და
ავითარებს აზრს, რომ რუსთაველი თუ წარმო-
შვა საქართველომ — ეს იმას ნიშნავს, რომ ამ
ქვეყანაში სიამისი პირობები არსებობდა იმ
დროს, „შედიდობა იქნებოდა გვეფიქრა, — აღნიშ-
ნავს ის, — რომ პოეტის გენიოსობა ქმნის მთელს
ქვეყნიერებას, გონებრივ განვითარებას, პირიქით,
ქვეყნიერება თავად ქმნის პოეტებს თავისებუ-
რად. ყვავილი კი არა ქმნის ნიადაგს, ნიადაგი
ქმნის ყვავილს“...

სუტნერის აზრით, რუსთაველი რომანის ეპი-
ტოპს პირველი გამოგონებელია. ეპოპოში რომ-
ანის სარწმუნოდ სადრამატული მიანდათ რად-
გან ყველაზე ადრე, მე-13 საუკუნეში, წარმოიშ-
ვა იქ ეს ეპიკოპო, გვეუბნება იგი. ამიტომ „სულ
მარტივი და უბრალო ლოგიკის ძალით, — წერს
სუტნერი, — ჩვენ უნდა დავხსნის გვირგვინი და-
ვადგათ იმას, ვინც შორეულ ქვეყანაში და ერთი
საუკუნით ადრე ამგვარივე გამოგონებით ისა-
ხელა თავი“... ამიტომ, დასძენს ავტორი, — „მი-
უდგომლობა გვაძლევს გენიოსის ვეწოდოთ
რუსთაველს, რადგან მან შეადგინა რომანი იმ
დროს, როცა ეს ეპიკოპო პოეზიისა ჯერ
არ არსებობდა ევროპაში... ჩვენ უნდა გვიხარო-
დეს, რომ ჩვენ თვალწინ აღმართება პოეზიის
ერთი გმირი, რომლის არსებობაც კი არ ეყო-
დით და რომელიც ღირსია ადვილი დაიპიროს
მსოფლიო დიდების პანთეონში“...

რამდენად უკვირდება და ღრმად შეიჭრება
სუტნერი „ვეფხისტყაისნის“ სამყაროში, იმდენ-
ად იხიბება მისი სტრუქტურების მოქნილობით,
მხატვრული ელვარებით და დაუმტკიცელი სიბრ-
ძნით. ყველაფერი ეს მას თანდათანობით ჰმა-
ტებს გამბედაობას, ხმაბლად აღიაროს: „ვეფხის-
ტყაისანი“ ჩემზე დატოვა ზელოვნების მდიდარი
ქმნილების შთაბეჭდილება, რომელიც ერთადერ-
თი თავისგან თხზულებათა შორის და მარ-

გალიციული ობოლი, რადგან მე ერთს იდეალ-
საც ვერ შეეხები ამ პოემაში ისედაც, რომელიც
ამტკიცებდა რუსთაველის მიზანქმედს, წინადად-
პოეტებისადმი...“ „რაც შეეხება შემოქმედების
ხერხს, გრძნობათა კეთილშობილებას, აზრის ად-
ფრთხილებას, — დასძენს იგი, — „ქართველებს
შეუძლიათ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი
ერთგული პოემა არ არის მიზანქმედი არც პოეზიო-
სისა, არც ვირტილიუსისა; იგი პირველიდან
უკანასკნელ კამადონამდე წმინდა რუსთაველისე-
ბურია და მხოლოდ რუსთაველისეობა“.

არტურ სუტნერის ამგვარი კეთილსინდისიერი
შრომის, უაზრობისა და მეგობრული დამოკი-
დებულების შედეგი იყო უთუოდ ნიკო ნიკოლა-
ძის ინიციატივით მათთვის გამართული სადილი
1885 წ. საქართველოდან მათი განგზავრების
დროს. დრამატურგი დავით ერისთავი ერთ კერ-
ძო ბარათში ნიკოლაძისადმი დიდ კმაყოფილებას
გამოთქვამდა დიდიხვედრი ადამიანებისადმი ასეთი
შეხვედრის გამართვისა და პატივისცემისათვის.

როგორც აღნიშნული გეგონდა, საქართველოში
ცხოვრებამ სუტნერებს შეაყვარა ქართული ხალ-
ხი და მისი შექრლობა. მათ შემოიარეს საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხე. ამგვარმა მოგზაურობამ
შეწვრდეს საქმად მიღებო მასალა შესძინა.
მათს კალამს ვეუთენის ნარკვევები, კრიტიკული
ცნობები, მოთხრობები, გამოკვლევები და სხვ.
რომელთაც ისინი პრალაში გამოშავილი უფრ.
„არესემი“ — თავსებდნენ და ამით რუსთაველ-
სა და მის სამშობლოს დასავლეთ ევროპისა და,
განსაკუთრებით, გერმანულ მეთხველებს აცნობ-
დნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ
ბერტა სუტნერმა თავისი მეუღლის მიზანქმედ
დაიწყო შექრლობაში საკუთარი ძალის გამოყ-
ენა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა. როგორც
მეტლტრისტი, იგი საქართველოში დაიბადა, აქვე
დაწერა ის პირველი ნოველები, რომლებიც თბი-
ლისიდან პრალაში გადაგზავნა და იქაურს პრესა-
ში გამოაქვეყნა 1883 წ. ამის შემდეგ სუტნერებს
კალამი ზედიდან არ გაუგდიათ და მრავალი სა-
გულისხმო თხზულებაც შექმნეს საქართველოს
თენიზე, ქართველი ხალხის ცხოვრებიდან.

პირადად არტურ სუტნერს საქართველოს თე-
მაზე საკმაოდ მრავალი და საყურადღებო მასალა
აქვს დაქმნეული და გამოცემული როგორც
კრიტიკულ-მეტიციისტური, ისე მხატვრული
თხზულებანი.

1885 წელს კ. პრალაში გარდაიცვალა ავსტრო-
ვენგრეთის იმპერიის ფელდმარშალი და უზუეცის
სარდალი გრაფი კინსკი — მამა ბერტა სუტნერი-
სა, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ცოლქმარა
სუტნერები სამშობლოში ბრუნდებიან, დიდ
შთაბეჭდილებითა და მასალებით დატვირთულნი.
მათ აღბათ თან წაიღეს გერმანული ტექსტი
„ვეფხისტყაისნისა“. პოემის თარგმანი სუტნერებ-
მა საქართველოში დაიწვეს და არაიენ იცის,
დაამთავრეს თუ არა. მოხალღენილი, თარგმანი
მათს ზღნაწერებშია დაცული.

უნდა აღენიშნათ ისიც, რომ საქართველოში წასვლის შემდეგაც სტენერების ღვიწილ ქართულ პრესას არ დაუფიქრებია, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას ზვენი პრესის შემოკლებით ყურადღებით გაედებოდნენ, თვალყურს ადევნებდნენ და ფართო შეთხვევლაც მოეთხოვრებდნენ. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ (1891 წ. №25) მკითხველებს აცნობებდა, რომ ქ. დრეზდენში გერმანულ ენაზე გამოიცა არტურ სტენერის ახალი წიგნი, მოთხრობების კრებული „ქენი კავასიონისანი“, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს ცხოვრებიდან აღებული შემდეგი მოთხრობები: 1. „ჩემი მეზობელი გუჯა“, 2. „მეზობლები“, 3. „ბატონი გრიგოლი“, 4. „საწყალო ვარდი“, 5. „ქეთევანი“, 6. „მარგალიტი“.

ეს მოთხრობებიც, ვარადა ერთისა („ბატონი გრიგოლი“), ქართული ხალხის იმდროინდელი ცხოვრების სურათებია. მავალითად, „ჩემი მეზობელი გუჯა“ და „ქეთევანი“ აღებულია სამეგრელოს ცხოვრებიდან. პირველში აღწერილია თავგადასავალი ერთი ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ექვს წელიწადს საზღვარგარეთ ყოფილა და იქიდან დაბრუნებული მანქანით ქართულ ქალს ირთავს ცოლად. „ივერიის“ ცნობით, ამ მოთხრობაში საყვანილმა მართალი სურათებია დახატული ქართველ მემამულეთა და თავად-აზნაურობიდან. ძალიან ბევრია საყოფაცხოვრებო სურათები მოთხრობის „ქეთევანი“, რომლის სიტყვები გაშლილია ზეგდიდისა და მის ახლომხობლ სოფლებში. ამ ნაწარმოებში, სხვათა შორის, გამოყენებულია ცნობილი მეგრული ხალხური ლექსები და სიმღერები: „მა დო სქემი ცირა“ და „სი ქოთლი ბატა“ მა დომიტალეწკო“, რომელთა ტექსტის თარგმანები მოთხრობაში მოცემულია თითოეულ ლექსით. მოთხრობა „მეზობლები“ ვადმოგვეცხვოს აგრეთვე ორი მეგრული აზნაურის მტრულ დამოკიდებულებას ურთიერთშორის და მათს შეხლა-შემოხლას. მოთხრობაში „ბატონი გრიგოლი“ ასახულია თბილისელ ვაჭარ სომეხობი ცხოვრება. მეოთხე და მეექვსე („საწყალო ვარდი“ და „მარგალიტი“) ნოველები ნამდვილი პოეტური განწყობილებებით შექმნილი თხზულებებია, რომლებშიც ვადმოცემულია მეტად მოხდენილი ამბები ქართველთა ცხოვრებიდან თბილისში.

„ივერიის“ დასკვნით, ეს წიგნი მეტად „სასიამოვნო საკითხავია. ავტორს ეტყობა ქართველთა ცხოვრების ცოდნა, თუმცა არა საფუძვლიანად, ამიტომ ფსიქოლოგიური მხრით ზოგიერთი მისი მოთხრობა მძლად მართალი არ არის. მიუხედავად ამისა, წიგნს მთელი ლიტერატურული მნიშვნელობა როდი აქვს და მით უფრო სასიამოვნოა მისი გამოცემა, რომ ამ წიგნით ევროპელებსა და მათს ყოფილ-ცხოვრებას“... გაზეთში ისიც არის აღნიშნული, რომ, როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, ეს კრებული პირველი ტომია იმ

მოთხრობათა, რომელთა გამოცემა სურს შემდეგ ავტორს. და მართლაც, ენციკლოპედიაში აღნიშნულია არტურ ვენდაკარ (სტენერის) მეორე წიგნში მოთავსებული მოთხრობების, რომელთაგანს გერმანულ მკითხველს აცნობს ქართველთა ტიპებსა და საქართველოს ცხოვრების ზოგიერთ მხარესაც სამოცლიათიანი წლების პერიოდიდან. ესენია: „დარეჯანი“, „ანდრია“, „ბატონი“, „აპარა“ და სხვ. მოთხრობა „აპარა“ ავტორს თვით სასოკიასთვის ვადამუცია სათარგმნელად, მაგრამ იმ ხანებში პარიზში მყოფ თედოს სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო ეს განზრახვა ვერ შეუსრულვებია.

ქართული პრესა ასევე გუფაცივებით იდევნებდა თვალყურს ბერტა სტენერის შემოქმედების ზრდასა და წარმატებას. რაც მას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ზედა. იგივე გაზეთი „ივერია“ (1891 წ. № 75) თავის მკითხველებს იუწყებდა, რომ „როდესაც გერმანიის რეისსტაგი დღე-ყოფედ იმის თავის ტკივილშია, კიდევ რა სამეალებად და ღონისძიებად მოექმნით. მებრძოლის განაძლიერებდალ... რა მოვიტოვოთ ადამიანის სწრაფიშობადიწინებელი და სულის გამფრთხობი მანქანა... ამ ერის შობილურ ენაზე დაწერილი რომანის ავტორი ბრძოლასა და სისხლის ღვრის ამ სურვილს „ბარბაროსულ სიღუბნის, ცივილიზაციის განაფუქსაჯიბელსა და კაცობრიობის გარეულ ნაღრბსა ზრავად ვადამეცველ სურვილს“ უწოდებს. რომანს ეწოდება „აიყარეთ იარაღი“. იგი დაეწერია ნინებულ შეწერალ ქალს ბერტა სტენერს“...

რომანი „ძირს იარაღი“ ბერტა სტენერის დიდი შემოქმედებითი ტიტოა. მთელ მსოფლიოში განხმარებული ეს რომანი, რომელიც თავის დროზე ევროპის თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა (ბზიაში იაპონურზედაც), მშვიდობისმოყვარეთა მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

1886 წ. საქართველოდან ევროპაში დაბრუნებული ბ. სტენერი უკვე ჩავიწვებული ყოფილა შეექმნა ანგარიხი ხასიათის ნაწარმოები. მისი შექმნის ფესვები ძმათა სისლას ღვრით გამოხივრებული ნიადაგით იცვებებოდა. ავსტრია-პრუსიის უმართებულო და უწყალო ომების შემდეგ კარგა ხნით მოფიქრებული ნაწარმოები თავის ახალგაზრდა ავტორისაგან უფროვე ჯეროვანი ფორმის ძიებაში იყო. 70-ანი წლების საფრანგე-პრუსიისა და შემდეგ საქართველოში ყოფნისას რუსეთ-ოსმალეთის ომებში კიდევ უფრო გუფიქოვრა შეწერალს ეს შთაბეჭდილება და განზრახულ ნაწარმოებსაც შესაფერისი ფორმა მოუქმნა. საფიქრებელია, ჩვენი ქვეყნის წარსულის ისტორიისა და იმდროინდელი ვითარებასაც კი უძევს წიგლი ამ უჩვეულო თხზულების შექმნაში. ისიც საფიქრებელია, რომ ამ რომანის გარკვეული ნაწილი საქართველოში იყო დაწერილი, რადგან ავტორის სამშობლოში დაბრუნების მეორე წელსვე ის უკვე მზად იყო და ავტორი გამოქმედებთან აწინარეობდა მსოფლიო-

ჩაეკბანს. როგორც ამ მოლაპარაკებებიდან ჩანს, რომანის გამოქვეყნების დიდი დაბაკოლებები ელბოზოდა წინ. გამოქვეყნები გაერბოლენ ამ „სახელთა წიგნის“ დაბეჭდვას და გაერბეღება. აგი არხიზის ღირსებისა და პატრიარქული გრძნობის შემლახვე ნაწარმოებად იქნა მონათლული. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ერთობა გამოქვეყნობამ მიიწევა ვაბედა მისი გამოცემა. იგი პირველად გამოიცა 1889 წელს დრუბენში. წიგნს დიდი წარმატება ხვდა. მისი ეტორი მსოფლიოში ენობილი მწერალი ხდებდა. ამ რომანის დაწერისათვის ბ. სტენერი 1905 წ. დაჯილდოვეს ნობელის პრემიით.

მართლაც, ბ. სტენერმა საქართველოდან აგრძნობილი დაბრუნებისთანავე დაიწყო გამოსვლა საზოგადოებრივ მიტრეგებზე. ენობილია ბ. სტენერის, როგორც ნიუიერი ორატორი ქალის, მგზნებარე სიტყვები პარიზისა და სხვა ქალაქების ომის სწინააღმდეგე ტრბუნედიან. მან მსურვალედ თანაღრძნობი და ენერგიულად დაუჭირა მხარი ინგლისისა და საღრძანგეთის ზოგიერთი მოწინავე მოღვაწის ინიციატივას — ევროპის რომელიმე ცენტრალურ ქალაქში დაარსებულყო ყოველწლიური კონფერენცია ომიანობის შეწყვეტის საკითხებზე. მართლაც, 1889 წელს პირველად პარიზში მოეწყო ამგვარი საერთაშორისო ყრბობა ბერტა სტენერის აქტიური მონაწილეობით და, შეიძლება ითქვას, თითქმის მისივე ინიციატივით. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ წელსვე გამოჩნდა მისი პაციფისტური რომანიც.

კრიტიკოსები ბერტა სტენერის ამ რომანს მალე შეფასებდა აძლედნენ. მის ეტორს „ბიუდა თომის ქობის“ ეტორს იღარებდნენ. უთოოდ ბეგერი რამ არის საერთო მათ შორის. რომანი „ძირს იარაღი“ ისე, როგორც ერთ დროს პარიეტ ბიხრისტოეს წიგნი, იღვენებოდა და ამჟამადაც იღვენება ომის გამოაღებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე რომ, სტენერის წიგნი უცერ კიდვე განავრცობს ღღადღისს, ვიდრე იარაღი არ დაეყრბა. ვაზეთი „იერიბა“ ზანს უსჯელში ამ მომენტს, რომ რომანში საშინელი სურათების პარალელურად აღწერილია საეცხოო სურათებიც მშვიდობიანი ცხოვრებისა, თითქოს გოჯობეითან ერთად სამოთხეც უნდა დაუბატოს ვზადანელი ვრს და ამით უფრო ადვილად დაიყოლიოს, ადვილად დააგრევიონს იარაღი, სისხლის ღვრა და დამიანთა ზოცვა-ყვება მოაშლევინოს.

სამოცდაათი წლის წინათ დაწერილ ამ რომანს დღესაც აქვს ერთგვარი ზემოქმედების ძალა. ის მსოფლიოს ხალხებს მოეწოდებს მშვიდობისავე, თუცა ვერ ითვალისწინებს ამ დამბრკოლებას, რომ კაპიტალისტურ სამყაროს არ შეუძლია მშვიდობის შექმნა. ეტორი ვერ ამჩნევს კაპიტალისტური წუობობების ბუნებას, მას ჰგონია, რომ ყაბმოთვარეობისა და ჰუმანიურობის ქადაგებით შეიძლება კაპიტალისტური სახელმწიფოების შეარჩება ისე, რომ ომიანობა სამუდამოდ მოასპოს მთელ ქვეყანაში, ხოლო ეკლასთა ბრძოლის მძაფ-

რი მომენტები და პატარა ვრების ჩაგვრა დამონების პროცესი კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ სამყაროში, კაპიტალისტურ, სახელმწიფოების სისტემაში ბ. სტენერის ნაწარმოებიდან სრულიად გამოირიცხულია.

მიუხედავად ამგვარი ნაკლოვანებისა, რომანს თავის დროზე მიიწევა დადებითი მნიშვნელობა; მან ისეთი შთაბეჭდილება დატოვა აესტორულ ენობილ რომანისტ როზენგერზე, რომ ამ უქანასკნელს ათქმევინა: „თუ ამდენ ზანს არსებობდნენ ბიბლიის გამავრცელებელი საზოგადოებანი, ამიერიდან უნდა შეიქმნენ ბერტა სტენერის ამ საეცხოო რომანის გამავრცელებელი საზოგადოებანი.“

1895 წელს ეწერა „მოამბეში“ (11) დაიბეჭდა ადგილები ამ რომანიდან „ომის მსხვერპლის“ სათაურით, რომლის თარგმანი ეკუთვნოდა ია ეგლაქეს, ამ თავებში აღწერილია ომის საშინელებანი და ის ებიზოლები, თუ როგორ ხდებოდა ომის მსხვერპლად უღანაშულო ადამიანები.

70 წლის მსკოვანი ქალი სიცოცხლის უქანასკნელ დღეებშივე განავრცობდა დიდლოვე პროპაგანდას — „ომის ომის წინააღმდეგ“; მონაწილეობდა მსოფლიო კონგრესებზე, სცემდა ეურნალს, რომლითაც აგრეკლებდა საერთაშორისო მშვიდობიანობის იდეას, პრესაში ბ. ოულტის ფსევდონიმით ათავსებდა სტატიებს, გამოდიოდა მოხსენებებით და ა. შ.

ბ. სტენერის უქანასკნელი ვრცელი ნაწარმოებია მისი მემუარები, რომელიც მან 1909 წ. გამოცემა. მასში ეტორს მოთბრობილი აქვს თავისი შინაარსიანი და საინტერესო თავგადასავალი. აქ საგრძნობი ადგილი უკავია მის ცხოვრებას საქართველოში, ღანბარაქია ქართულ მწერლობაზე, ენობილ ქართველ მოღვაწეებზე, ხალხზე, თვით სტენერების აქ ცხოვრებაზე და სხვ. ამ მემუარების შესახებ ვაზეთი „ამერეთი“ აღნიშნავდა, რომ თავის დროზე ამ წიგნში ბეგერი ღანბარაქი ემოწეწება ევროპის პრესაში და მსოფლიო ქართულ ლიტერატურაში არა აქმულდა რა მის შესახებ, და ეს მაშინ, როცა ამ წიგნში საქართველოზე ბეგერი რამ არის ნათქვამი...

ამ მემუარების გამოქვეყნების შემდეგ ბერტამ კიდვე ხუთი წელიწადი იცოცხლა. ვარაუდავლენის წინა დღეებში მან ერთ-ერთ ვერმანულ გოზეთში გამოაქვეყნა მისთვის ჩვეული აღმრთოვანებული სტატია, რომელშიც ის მალალ შეფასებას აძლედა ჰაუბტმანის ახალს, პაციფისტურ დრამას. ეს სტატია მისთვის გედის სიმღერა იყო. იგი ვარდაიცვალა 1914 წლის ივლისში, მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომის პირველი ყრმბარები ფიქტვობდნენ წინააღმდეგ სტენერის თავგამოდებული ქადაგებისა. ომის მოსასპობად და მშვიდობის დასამყარებლად. სტენერის ვარდაიცვალბას მაშინდელი ქართული პრესა ფართოდ ვაზოხმბარა. ვაზეთები — „სახალხო ვაზეთი“, „ამერეთი“, „თეში“ და სხვ. გულისბმეგრებით და მადლიერების გრწობით იხსენიებდნენ ამ

ჩვენი ქვეყნის ხალხისა და მისი მწერლობის შეგობარს, რომლის სურათებიც მოათავსეს თავიანთ ფურცლებზე. „იმერეთი“ (№77), აცნობდა რა მოკლედ ქართველ მკითხველს ბერატა სუტნერის ბიოგრაფიას, განსაკუთრებით აღნიშნავდა იმას, რომ „ცოლმა და ქმარმა ცხრი წელიწადი დაჰყვეს საქართველოში და მათ მრავალჯერ აქვთ აღწერილი თავის თხზულებებში მისი ბუნება, მისი ხალხი და ზნეხასიათი“; ასევე პატივისცემის გრძნობით ახასიათებს მათ ნაყოფიერ მუშაობას საქართველოში გაზეთი „თემი“ და სხვებიც. იმხანებშივე გაიხსენა სუტნერების ღვაწლი ჩვენს ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებმა გერმანელმა მწერალმა არტურ ლისტიმ და აღნიშნა, რომ „გერმანელმა მწერალმა სუტნერმა (იგულისხმება არტურ გუნდაკარ) დააწერა რამდენიმე მოთხრობა სამეგრელოს ცხოვრებიდან, სადაც ნიკიერად არის გადმოცემული შუა სამეგრელოს რამდენიმე სურათიო“...

შეუღლის გარდაცვალების შემდეგ არტურ გუნდაკარ სუტნერი მომეტებულად გენგში ცხოვრობდა და ქართველოლოგ პუგო მუხარტოვიც მასვე გობრებული ბიოლოგიე განაგრძობდა საქმერლო და ერნალისტურ მოღვაწეობას.

ამგვარად, სუტნერების გამოქვეყნებულ და გამოქვეყნებულ ლიტერატურულ შემკვიდრებებში, რომელიც შეიცავს ბელეტრისტულ, პუბლიცისტურ, კრიტიკულ და ისტორიული ხასიათის ნარკვევებს, უთუოდ მრავალი საინტერესო და საგულისხმო ცნობაა დაცული გასული საუკუნის 70 — 80-ანი წლების საქართველოს ცხოვრებასა და ქართულ ლიტერატურაზე, იმდროინდელ ქართველ მწერლებსა და გამოჩენილ მოღვაწეებზე, რომელთანაც კი შეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ მათ მთელი ათა წლის განმავლობაში.



ივ. თაყაიძე, პრ. კადრდაინოვი



დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობისათვის

თავის ცნობილ თხზულებაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ი. ლენინი, ებება რა ჯ. ლოკის ფილოსოფიურ შეხედულებას, აღნიშნავს, რომ მისი ფილოსოფია შეიქმნა წყაროდ ირი; სრულიად საწინააღმდეგო, მიმართულებითა. ერთი მხრივ, ჯ. ლოკის ფილოსოფიიდან გაზოგვიდა და განვითარდა ბერკლის იდეალიზმი და იუმეს იდეალიზმი და, აგრეთვე თანამიმდევრული აგნოსტიციზმი, ხოლო, მეორე მხრივ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი ვ. ი. ლენინის ეს მოძღვრება არის ის მეთოდოლოგურ რი დებულება, რომლის შექმნე უნდა იქნეს განხილული იმ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საყენებო მომენტები, რომლის წარმომადგენლები თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით ყოველთვის გამოდიოდნენ, როგორც პროგრესული ისე რეგრესული მსოფლმხედველობის წარმომშობ წყაროდ. ასეთ მოაზროვნება რიცხვს ეკუთვნის დიონისე არეოპაგელს, რომლის მსოფლმხედველობა დიდო საფუძვლად დასაყვებისა და აღმოსავლეთის ფილოსოფიურ განვითარებას და გახდა წყაროდ არა მარტო რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებას, არამედ პანთეისტურ მსოფლმხედველობასა და დიალექტიკის ძირითადი პრინციპის — მისი მთავარი კანონის — შემდგომი განვითარებისა და გამართლებისა. ამით უკვე მოცემულია ზოგად ხაზებში ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობას.



მაგრამ სანამ გადავიდოდეთ ამ ჩვენი ძირითადი თეზისის განხილვა-დამტკიცებაზე, საჭიროა ზოგადი მანიერ ვავეცნოთ დიონისე არეოპაგელის პიროვნებას და მის თხზულებებს.

დიონისე არეოპაგელი ცნობილია, როგორც ჩვენი წულთადრიცხვის პირველი საუკუნის მოღვაწე („წიგნი შესაქმნისა, XVIII“). დიონისე კონსტანტინის ცნობით, რომელიც შემონახული აქვს ევსევის, დიონისე არეოპაგელი მოიქცა ქრისტიანად პაულე მოციქულის ქადაგებით, თითქოს იგი იყო პირველი ეპისკოპოსი ათენში. მაგრამ ამ ცნობის სისწორეში ზოგი შეკვლევარი დაიპყრებოდა. დიონისე არეოპაგელის კალამს ეკუთვნის შემდეგი თხზულებები: საღმრთო სახელთათვის, მისტიკური თეოლოგია,

ზეციური იერარქია, საეკლესიო იერარქია და ათი ეპისტოლე. ვარდა ამისა, დიონისე თვითონვე აღნიშნავს, რომ მას დაუწერია ტრაქტატები სოფლის შესახებ, ანგელოსთა თვისებებისა და ხარისხის შესახებ, თეოლოგიური ნარკვევები, სიმბოლური თეოლოგია, გონებრიობის და მგრძობელობის შესახებ, ჰიმნები და საღმრთოს სამართლიანი სამჯავროს შესახებ. მაგრამ დღეს შეცნეირულდ დამტკიცებელია, რომ აღნიშნულ თხზულებათა ავტორი არ არის პირველი საუკუნის მოღვაწე დიონისე არეოპაგელი და რომ V საუკუნის ვილად მოღვაწეს მხოლოდ ფსევდონიმად აერჩევიდა „დეონისე არეოპაგელს“ სახელი.

მთავარ არეუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებები დაწერილია V საუკუნეში, არის ის, რომ ამ თხზულებებში მოცემულია V საუკუნის ნეოპლატონიკოს პროკლეს შეხედულებათა გავლენა. ამას ჯერ კიდევ ჰეგელი აღნიშნავდა. მართლაც, თავის „ფილოსოფიის ისტორიაში“ ჰეგელი წერდა: იოანე იერუვენსი გადთარგმნა ბერძნულიდან ლათინურ ენაზე დიონისე არეოპაგელის თხზულებები, ამ ალექსანდრიელი სკოლის გვიანდელი ბერძენი ფილოსოფოსისა, რომელიც უმთავრესად პროკლეს მიმდევარი იყო (თხზ. ტ. XI. 125). თავი რომ დაეანებოთ იმას, რომ ჰეგელისათვის დიონისე არეოპაგელი არის „გვიანდელი ბერძენი ფილოსოფოსი“, მართებულად შეიძლება ჩაითვალოს მისი აზრი იმის შესახებ, რომ დიონისე არეოპაგელი არის პროკლეს ფილოსოფიის მიმდევარი და რომ მისი სახელით ცნობილი თხზულებები, მამსადავამ, დაწერილია V საუკუნეში. მართალია, ჰეგელი ასე შორს არ მიდიოდა, მაგრამ მისი აღნიშნული გაგებისაგან ნათლად გამოიშინარობს, რომ დიონისე არეოპაგელი არის არა პირველი, არამედ V საუკუნის მოღვაწე-ფილოსოფოსი, რადგან იგი არის „მიმდევარი“ სწორედ V საუკუნის მოღვაწის — ნეოპლატონიკოს პროკლესა. ჰეგელის ეს აზრი საბოლოოდ დადასტურა კოხმა და შტიგლმაიერმა.

მართლაც, კოხი და შტიგლმაიერი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არეოპაგისტული წიგნების ავტორი შეიძროდაა დაკავშირებული პროკლეს მსოფლმხედველობასთან. აღმოჩნდა, რომ დიონისე არეოპაგელის თხზულებაში „საღმრთო სახელთათვის“ (IV 18-34), იქ სადაც ლამაზაქია ბორტების შესახებ, მსჯელობა ამ საკითხზე საე-



სებით აღებულია, კობის აზრით, პროკუსს თხზულებიდან — „დე სუბსტანცია მალორუმ“, როგორც დაწერილია 440 წელს. ვარდა ამისა, დიონისე არეოპაგელის თხზულებაში ლაპარაკია „თეოლოგის ელემენტებზე“ და მის ავტორად გამოცხადებულია იერეთოსი. მაგრამ ეს „თეოლოგის ელემენტები“ არის ნამდვილად პროკუსის ცნობილი თხზულება. შტიგლმაიერი აღნიშნავდა, რომ დიონისე არეოპაგელის თხზულებებში მოხანს გავლენა პროკუსის იმ შეხედულებებისა, რომლებიც მან გამოთქვა პლატონის „პირველი აკლამადას“ კომენტარებში და რომელზეც დაწერილია 462 წ.

ყველა ამ საბუთის საფუძველზე დადგინილი იქნა, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებები ნამდვილად დაწერილია არა პირველ საუკუნეში და ვკუთვნის არა პირველი საუკუნის მოღვაწეს დიონისე არეოპაგელს, არამედ დაწერილია V საუკუნისა — და VI საუკუნის დასაწყისში ვიღაც მოღვაწის მიერ, რომელსაც „დიონისე არეოპაგელის“ სახელი თავის ფსევდონიმად აურჩევია. ამიერიდან დაიწყო ძიება ამ უცნობო ავტორისა. შტიგლმაიერი ამ აღნიშნა და დაამტკიცა, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებები, როგორც ეს თვითონ ამ თხზულებებიდან ჩანს, დაწერილია სარაა-პალესტინაში ქ. ღაზის რაიონში და არა ეგვიპტეში. ამიტომ აღნიშნულ თხზულებათა ავტორის დასადგენად საქმით შეიქნა V საუკუნის იმ მოღვაწეთა შესწავლა, რომლებიც ამ პერიოდში სირია-პალესტინაში და, კერძოდ, ქ. ღაზაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. კრიუგერი ფიქრობდა, რომ დიონისე არეოპაგელი უნდა იყოს სირიული მოღვაწეების — ისაიას და პეტრე ივერის მოწაფე დიონისე, რომლის შესახებ ცნობებს იძლევა თავის „საეკლესიო ისტორიაში“ V საუკუნის მოღვაწე ზაქარია რიტორი. 1942 წ. კი პროდ. შ. ნუცუბიძის გამოკვლევაში „ფსევდო დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ დადგინილი იქნა, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებები დაწერილია პეტრე ივერის მიერ, რომელიც ქ. ღაზაში მოღვაწეობდა სწორედ იმ პერიოდში. ამვე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი პროფესორი ერნესტ ჰონიგმანი თავის გამოკვლევაში „პეტრე ივერი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებები“.



ამებამდ ჩვენი მიზანი განსაზღვრულია: ჩვენ გვინტერესებს თვითონ დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის გაეცნობა და, ამიტომ, ვაჩვენებთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა არგუმენტით არის მოცემული ეკლესიური ივერის და დიონისე არეოპაგელის ივერეობის დამტკიცებისა. თვითონ ჩვენი თემის არჩევის აქტუალობა გამოწვეულია იმ ვარაუდებით, რომ, რადგან ამ ბოლო ხანებში გაძლიერდა ინტერესი დიონისე არეოპაგელისა და პეტრე ივერის გაიგივების შესახებ და

რადგან კამათი ამ საკითხის შესახებ დღესაც გრძელდება, ამიტომ საინტერესოა გვეცნობოს ჩვენი შეთხვევებისთვის შეფასებები არეოპაგელის მსოფლმხედველობა, რომელიც მწყობრი და სისტემატური სახით ჯერ კიდევ არ არის მოცემული.

ქ. მარქსი ერთ ადგილას აღნიშნავდა, რომ საქმე ის კი არაა, რას ფიქრობდა სპინოზა თავისი ფილოსოფიის შესახებ, არამედ ის, თუ ობიექტურად რა გამოუვიდა მას მისი ფილოსოფიიდან. ქ. მარქსის ეს დებულება ჩვენთვის იქნება ის მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის საფუძველზეც განვიხილავთ დიონისე არეოპაგელის შეხედულებას. მართლაც, საქმე ის კი არაა, თუ რას ფიქრობდა დიონისე არეოპაგელი თავისი მსოფლმხედველობის შესახებ, არამედ საქმე ისაა, თუ ობიექტურად რა გამოუვიდა მას მისი მსოფლმხედველობის დასაფუძვლისა.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ დაგვრჩენია გვეცნოთ დიონისე არეოპაგელის საერთო მსოფლმხედველობას. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით მისი მსოფლმხედველობა მხოლოდ რელიგიური-იდეალისტურია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გვეცნობოთ მაინც მისი შეხედულებების ამ მხარეს. არეოპაგელის აზროვნების რეფლექსის საგანია, ერთი მხრივ, ღმერთი, მეორე მხრივ, საეკლესიო, ზეციური და მიწიერი იერარქია. ღმერთისა და მისი შემქმნების საკითხს, როგორც ამას თვითონ დიონისე არეოპაგელი აღნიშნავს, არკვევენ შემდეგი მისი თხზულებები: თეოლოგიური დარჩევა, საღმრთო სახელთაათვის, სიმბოლური თეოლოგია და მისტიკური თეოლოგია. საეკლესიო, ზეციური და მიწიერი იერარქიის საკითხი კი საგანია იმ თხზულებებისა, რომელთაც ეწოდებათ: „ზეციური იერარქიის შესახებ“ და „საეკლესიო იერარქიის შესახებ“. ავტორის აზრით, მიწიერი ანუ საეკლესიო იერარქია არის ზეციური იერარქიის ასახვა. ხოლო, როგორც ზეციური, ისე საეკლესიო ანუ მიწიერი იერარქია არის თვითონ დავითების სიკოცხლისა და მოქმედების ასახვა. ასეთი რამდენიმე სიტყვით დიონისე არეოპაგელის რელიგიური-იდეალისტური შეხედულება მაგრამ განავარაუბროთ მისი შეხედულებების უფრო ფართო დახასიათება.

დიონისე არეოპაგელის აზრით, ის წყარო, რომელიც გამოსადგვია ღვთაების შესახებ გარკვეული მოძღვრების შესაძლებლად არის „საღმრთო წერილები“. ცხადია, რომ საეკლესიო მოღვაწეს არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მაგრამ აქ აღსანიშნავია ის ვარაუდობა, რომ, ავტორის აზრით, ის მოძღვრება ღმერთის შესახებ, რომელიც მოცემულია „საღმრთო წერილებში“ უნდა იქნეს კომენტარული შემდგენიარად: ჯერ უნდა გაირკვოს ღმერთის შინაგანი ცხოვრების ძირითადი მომენტები, ე. ი. უნდა ვთარგმნოთ უზენაესი ღვთაების ერთიანობისა და სამსახურების საკითხი. ამის შესახებ ავტორი ლაპარაკობს იმ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება:

„თეოლოგიური დარღვევანი“. შემდეგ უნდა გაიკვეს ღვთაების აბსტრაქტული სახელები, რომლებიც გამოხატავენ მისი, ე. ი. ღმერთის დამოკიდებულებას სამყაროსადმი ანუ ქვეყნისადმი ამის შესახებ ავტორი მსჯელობს თავის იმ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „საღმრთო სახელთათვის“. უკანასკნელად ავტორი იმ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „სიმბოლური თეოლოგია“, განიხილავს „საღმრთო წერალების“ სიმბოლურ გამოთქმებს ღმერთის შესახებ. მაგრამ ავტორის ის თხზულებანი, რომლებიც ეწოდება „თეოლოგიური დარღვევების“ და „სიმბოლური თეოლოგიის“ სახელწოდებით, ჩვენამდე არ არის მოღწეული. ამ თხზულებათა ძირითადი აზრები კი მოცემულია ჩვენამდე მოღწეული ზემოაღნიშნულ მის თხზულებებში. რაც შეეხება ავტორის თხზულებას—„საღმრთო სახელთათვის“, აქ, როგორც აღვნიშნეთ, ლაპარაკია ღმერთის დამოკიდებულებაზე ქვეყნისადმი. ერთ-ერთი სახელი უზენაესი ღვთაებისა, დონისე არეოპაგელის აზრით, არის სიკეთე. იგი არის კეთილი და ამიტომ სამყაროს გაჩენაც მისი იმ სიკეთიდან მომდინარეობს. ღვთაების სიკეთე არის, ამავე დროს, უმაღლესი მშვენიერებაც. ღვთაება, როგორც უმაღლესი მშვენიერება, არის ობიექტი ყველა საფინის სიყვარულისა, ე. ი. ყოველი შემწვინი გამსჭვალული ღვთაებისადმი უმაღლესი ერთობი, უმაღლესი სიყვარული. ყოველი არსებულნი გამომდინარეობს ღვთაებისაგან და მასშივე უბრუნდება სწორედ ამ უმაღლესი ერთობის ძალით. ადვილი შესამჩნევია, რომ აქ დონისე არეოპაგელი ერთისა და მრავლის პრობლემას ეხება და ფიქრობს, რომ ერთიდან, ე. ი. ღვთაებიდან გამომდინარეობს მრავალი, ე. ი. სამყარო და შემდეგ იგივე სამყარო უმაღლესი ერთობის ძალით კვლავ უბრუნდება ერთს. მაგრამ აქ ერთი მომენტია აღსანიშნავი. ერთიდან მომდინარე არსებობა იერარქიისში მყოფი მაღალი საფეხურები, აღნიშნული ერთობის ძალით, ურთიერთკავშირშია და ერთმეორეშია, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეჭრილი და შეღვლებული. ხოლო იგივე უმაღლესი ერთობი იძულებს დაბალ საფეხურზე მყოფ არსებებს, ურთიერთ კავშირში განამტკიცონ თავის გამართლება და ამ სახით წაბადონ უმაღლეს საფეხურებს და იცხოვრონ მათი სიცოცხლით. ამიტომ ღვთაების სიყვარული, გამოდის რა მისგან, კვლავ მასვე უბრუნდება. მაგრამ აქ დონისე წააწყდება საკითხს იმის შესახებ, რომ, თუ უზენაესი ღვთაების სახელება „სიკეთე“ და „მშვენიერება“, მაშინ რით უნდა აიხსნას „ბოროტების“ არსებობა სამყაროში? ავტორის აზრით, ბოროტება არ არის ობიექტურად არსებული, ბოროტება არ არის დადებითი მოვლენა. იგი უარყოფითობაა. ბოროტება, როგორც უარყოფითობა, არ შეიძლება იყოს გონიერული არსების მისწრაფების საგანი. და თუ გონიერული არსება მოისწრაფვის ბოროტებისადმი, ამას იგი აკეთებს არა იმიტომ, რომ განახორციელოს

ბოროტება, როგორც ისეთი, არამედ იგი მას მიანიხსი სიკეთედ და ამით ბოროტებას, როგორც უარყოფითობას, დადებითობის ტერმინით განასახიერებს. თვით ბოროტების წაღება გონიერულ არსების ბუნებაზეა დამოკიდებული და იგი წარმოადგენს მის მიერ ნებისმიერად ღვთაების სიკეთისაგან ვანდგომის მომენტს. ამიტომაც, რომ გონიერული არსება პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის და ბოროტების წაღებისათვის; იგი ამიტომ შეიძლება დაიასაჯოს მოშავი, იმქვეყნური ცხოვრებაში. შემდეგი სახელები უზენაესი ღვთაებისა არის ის, რომ იგი არის „არსი“, „სიცოცხლე“, „საბრძნე“, „გონება“ და „კვამირტება“.

თუ ამ პრედიკატებით განვიხილავთ უზენაესი ღვთაების დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მაშინ აღსანიშნავია შემდეგი ღვთაება არის არის იმ აზრით, რომ იგი არის, ამავე დროს, მიზეზი ყოველი არსებული დამოლოებულის არსისა და ამ უკანასკნელის პროტოტიპები მასშია მოცემული იდეალურად. ღვთაება არის არა მარტო მიზეზი, არამედ ის ძალა, რომელიც სამყაროს დამოლოებულ საგანთა არსებობას განამტკიცებს და ინარჩუნებს. მაგრამ, როგორც კი გაჩნდება ღვთაებას ამ მიმართებით, შევამჩნევთ, რომ მისი ამსოლუტური ძალის გამოვლენა დამოლოებულ სამყაროში არ შეიძლება გამოსახული იქნეს რაიმე კატეგორიებით. მართლაც, ღვთაება არის დაუბოლოებელი მაქსიმია, მაგრამ იგი ერთნაირად ელონდება მინიმუმშიც. აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ იგი, ე. ი. ღვთაება, მინიმამი, დამოლოებულის ისე ელონდებოდეს, როგორც იგი არის ნამდვილად და თავისთავად. მართლაც, ღვთაება არის თავისთავის დაგვაი. ამიტომ იგი არის ყველაფრის დაგვარობის პრინციპი. ამიტომ ყოველი არსებული მისწრაფვის იმისაკენ, რომ იყოს ღვთაების დაგვარის და ამის გამო ერთიმეორის დაგვარაც ხდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითონ ღვთაება არაფრის დაგვარი არ არის. ამიტომ მას არ მიეწერება არც ერთი დადებითი პრედიკატი, არც ერთი დადებითი კატეგორია, რომელიც დამახასიათებელია დამოლოებულ სამყაროსათვის. იგი ყველაფერს აღემატება და ერთადერთი, რაც შეიძლება დადებითი ითქვას მასზე, როგორც გამოუთქმელზე, არის ის, რომ იგი არის სრულქმნილება და ერთიანობა. მაგრამ ღვთაება უფრო მეტია, ვიდრე ერთიანობა და ამიტომ თქმის იმისა, რომ იგი არის ერთი, და, ამავე დროს, სამსახოვანი, არ გამოხატავს საჭმის ნამდვილ ვითარებას; იგი არ არის არც ერთი და არც სამსახოვანი, ჩვენს ადამიანურ ცნებებში გამოხატული. ამრიგად, დიონისე არეოპაგელის აზრით, ჩვენ არ შეგვიძლია შევიმტოთ უზენაესი ღვთაება არც დადებითი და არც უარყოფითი პრედიკატებით, რადგანაც იგი უფრო მეტია და გამოუთქმელი, ვიდრე ჩვენი დადებითი ან უარყოფითი პრედიკატები. აღნიშნულ დარჩენილი მხოლოდ ღვთაების შემცენ-

ზის ვრთი გზა: მისტიკური ზილვა, მისტიკური ზურბა. ამ საკითხის კი დიონისე არეოპაგელი განიხილავს თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „მისტიკური თეოლოგია“. მისტიკური ზილვა ღვთაებისა ამოუანტურბი, ე. ი. უარყოფითი სვლის გზაა. მართლაც, თუ ჩვენ დავახასიათებთ ღვთაებას იმ განსაზღვრებებით, რომლებიც აღუბული გვექნება არსის დაბალი საფეხურებიდან, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ასეთი პრედიკატები არ იქნებიან ღვთაების ბუნების შემეცნების აღქვატური. მაგრამ ჩვენს შემეცნებას შეუძლია დაახასიათოს ღვთაება აბსტრაქტული პრედიკატებით. მაშინ აქაც გაიკვევია, რომ იგი აღქვატურად ვერ შეგვემეცნებინებს ღვთაების არსებას. და აი, თუ შემეცნებალე სუბიექტი ნათლად განსკვრეტს იმას, რომ აქ ერთი კატეგორიაღური პრედიკაცია არ შეიძლება იყოს ღვთაების შემეცნების აღქვატური, მაშინ იგი ლოგიკური აუცილებლობით მოახდენს აბსტრაქციას ანუ განუდგება ყოველი ცნებითი შემეცნების ხერხებს და, ვამოვადრა თავისი თავისებანი, შეერწყმის გამოუთქმელ და საიდუმლო უზუნავს ღვთაებას და, ამრიგად, შევა „უცოდინარობის წუღიადში“, მოექცევა ღვთაების მისტიკურ ზილვაში. ეს მისტიკური ზილვა ღვთაებისა და მასთან ერთიანობა თვითონ არის გუფგვებანი, მაგრამ გზა, მისკენ მიმავალი, არის წმინდა ლოგიკური, ე. ი. გზა აბსტრაქტული თანდათანობითი მსვლელობისა. რაც შეეხება დიონისე არეოპაგელის იმ თხზულებებს, როგორცია „ზეციური“ და „საეკლესიო იერარქიები“, აქ იგი, როგორც აღვნიშნეთ, იმ დებულებას ეფუთარება, რომ საეკლესიო იერარქია არის ასახვა ზეციური იერარქიისა და რომ ორსავე შემთხვევაში მხოლოდ ღვთაების მოქმედების გამოვლენასთან გაქვს საქმე და მეტი არაფერი. მაგრამ შთავარი აქ ის არის, რომ ზეციური იერარქიის დახასიათების დროს დიონისე არეოპაგელი ამ იერარქიას წარმოიდგენს ტრიადული სისტემის სახით და ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა არა „საღმრთო წერილებს“, არამედ მხოლოდ მისი მასწავლებლის და მეგობრის — იერეთეოსის შრომას.

ასეთია ზოგადად დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობა.

••

ცხადია, რომ ზემოხსენებული დახასიათებიდან, ის დასკვნა გამოიღინარეობს, რომ მისი მსოფლმხედველობა გაუღენილია მისტიკურ-იდეალისტური შინაარსით. სწორედ ასე გაიგო დიონისე არეოპაგელი მთელმა რიგმა საეკლესიო შერალებმა. მართლაც, თუ გადავხედოთ აზროვნების ისტორიას, დავინახავთ, რომ დიონისე არეოპაგელის რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებანი მალე შეფასებეს პოელობენ სასულიერო შერალობაში. ასე, მაგალითად, ანდრია კესარიელი თავის „აპოკალიპსების“ კომენტარებში ხშირად ეყრდნობა დიონისე არეოპაგელის შრომებს. ანტოქიის პატრიარქი, ზომიერი მონოფიზიტი, სე-

ვრი (VI ს.), ანტოქიის პატრიარქი ეერეში (VI ს.), ავტორიტეტად სწორედ დიონისე არეოპაგელს ასახელებენ. იმე საიდუმლოებაში კი დავწერა კომენტარები დიონისე არეოპაგელის თხზულებებისა და მისი რელიგიურ-იდეალისტური აზრები საკმაო სიხებადით წინა პლანზე წამოსწია.

ასევე, მაქსიმე განდგომილის თვალსაზრისით, დიონისე არეოპაგელი არის უდიდესი ავტორიტეტი თეოლოგიაში. უკანასკნელ, აღსანიშნავია ისიც, რომ VI — VII საუკუნეებში არა მარტო მონოფიზიტები, არამედ დიოფიზიტებიც კი ავტორიტეტად რაცხდნენ დიონისე არეოპაგელის სახელს და მის თხზულებებს. ამავე გზას იდგენ მონოფელიტებიც, რომელთა წარმომადგენელი, კოლბეთის ეპისკოპოსი კირი თავის შეხედულებას ასახულებდა იმით, რომ დიონისე არეოპაგელის თხზულებაში არის დებულება იმის შესახებ, რომ ქრისტე არის „ენერგია“ და სხვა. მაგრამ დიონისე არეოპაგელის თხზულებებს ეყრდნობიან არა მარტო სასულიერო შერალობის წარმომადგენლები, არამედ სკოლასტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებიც. ასე, მაგალითად, იმე დამასკელი თავის „უოდნის წყაროს“ მესამე ნაწილში, სადაც იგი აღავებს მართლმადიდებელ ქრისტიანულ დოგმატიკას, ფართოდ იყენებს დიონისე არეოპაგელის რელიგიურ-იდეალისტურ შეხედულებები დიდ მოწონებას და პატრიარქიას იმსახურებენ აღბერტ დიდისა და თომა აქვინელის შრომებში. იგივე თქმის მაქსიმე კონფესორზე და ფოტიზე. ამ ავტორების მიზანია, მოახდინონ დიონისე არეოპაგელის შეხედულებათა გამოყენება და შეგვემა ქრისტიანულ რელიგიასთან. ასეთია ერთი ზაზი, რომელიც მიმდინარეობს დიონისე არეოპაგელის შეხედულებებისაგან.

••

შეკვამა იქნება ვიფიქროთ, რომ დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობა ამოწურება მხოლოდ რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებებით. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მის შეხედულებებში უკვე გადმოცემული და დასახუთებულია მატერიალისტური თვალსაზრისი. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა თვითონ დიონისე შეხედულებათა გაცნობა. მიუხედავად ამისა, დიონისე არეოპაგელის შეხედულებებში მოცემულია ისეთი მომენტები, რომლებიც ძირს უთხრიან რელიგიურ-იდეალისტურ იდეოლოგიას და გზას უზსნიან პროგრესული მსოფლმხედველობის განვითარებას და განმტკიცებას.

აღსანიშნავია ორი ძირითადი გარემოება: ზეციური იერარქიის შესახებ მსჯელობით დიონისე მიღის იმ დასკვნამდე, რომ უზუნავსი ღვთაება არის მიზეზი არსის პირველი და არა ყველა საფეხურისა. ამით დიონისე არეოპაგელი საგრძობლად განსაზღვრავს უმაღლესი ღვთაების



მოქმედების არეს და შორდება ქრისტიანული ღვთაების იმ ძირითად თვისს, რომლის თანახმად, ღვთაება, როგორც ყოვლისშემძლე არსება არის პირველი მიზეზი არსთა ყოველივე და ყოველგვარი საფუძვლებისა. დიონისე არეოპაგელის ამ აზრმა თავისი გამოხატულება პირადად დასაყვედურისა და აღმოსავლეთის მოაზროვნეთა შეხედულებებში. ასე, მაგ. აღნიშნული თვალსაზრისი გატარებულია დასავლეთში იერუშემას და ბრამანტელის, ხოლო აღმოსავლეთში — დიდებული ავიცენას მიერ.

მეორე და უმთავრესი გარემოება მღვთმართობის იმაში, რომ დიონისე არეოპაგელის ნამდვილი შეხედულებების მიხედვით, უმაღლესი ღვთაება არ არის ტრანსცენდენტური სამყაროსადმი, როგორც ამას ყველა რელიგიური სისტემა და, მათ შორის, ქრისტიანული რელიგიის ყველა მიმართულება ქადაგებს. პირიქით, დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ღვთაება სამყაროშია და სამყარო ღვთაებაშია. ამით მოხაზულია დიონისე არეოპაგელის პანთეისტური შეხედულება. მართლაც, როგორცა დიონისე არეოპაგელის მიერ უმაღლესი ღვთაების გავება? თანახმად დიონისე არეოპაგელისა „ღმერთი არის ყველაფერი ყველაფერში და არარსი არარსში“ (საღმერთო სახელთათვის, თავი, VIII § 3). ამრიგად, ეკუმენიტანელია, ის რომ დიონისე არეოპაგელის ეს შეხედულება პანთეისტურია და, მისთანადაც, იგი ძირს უბხრის ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებას, ღვთაების სამყაროსადმი ტრანსცენდენტობის მოძღვრებას. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დიონისე არეოპაგელის ეს შეხედულება თავის გამოხატულებას პიუბს იერუშემას, ნიკოლოზ კუზანელიც, ჯორჯანოზ ბერნოს და სხვა პანთეისტურად მოაზროვნე ფილოსოფოსთა შეხედულებებში. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი საბუთები. ასე, მაგალითად, იერუშემთა ეყრდნობა დიონისე არეოპაგელის შეხედულებას და აღნიშნავს, რომ „ღმერთი და მისი შემოქმედება (სამყარო, არსი) სხვადასხვა არსება კი არ არის, არამედ ისინი ერთი და იგივეა“. ნიკოლოზ კუზანელიც ეყრდნობა დიონისე არეოპაგელის შეხედულებას და აღნიშნავს, რომ „ღმერთი არის სამყაროში (ქვეყანაში) და სამყარო (ქვეყანა) ღმერთშია“ („დოქტა იგნორაცია“, II, § 7).

ასევე, ჯორჯანოზ ბერნო, დიონისე არეოპაგელის შეხედულებებიდან გამოსული, აღნიშნავს, რომ „ცხოველები და მცენარეები არიან ბუნების ცოცხალი ნაწარმოებნი, ხოლო ბუნება... სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი საგნებში“ (იხ. მისი გამარჯვებული მხეცის განდევნა).

ამრიგად, დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის ერთი მხარე არის პანთეისტური. ასეთია ობიექტურად მისი მსოფლმხედველობის ის მხარე, რომელიც შეიძლება, მისიდაუნებურად, მიმართულია ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ.

მეორე მხარე

მაგრამ დიონისე არეოპაგელის შეხედულებებში მოცემულია კიდევ ერთი მომენტი, ჩვენ შეხედულობაში გვაქვს მისი შეხედულებანი დაპირისპირებულია ერთიანობის დამთხვევის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტიკის ამ განონის დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება ჯერ კიდევ პერაკლიტეს ფილოსოფიიდან. თანახმად პერაკლიტესი, „სამყარო, ერთიანი ყოველივესათვის არ არის შექმნილი არც ღმერთისაგან და არც ადამიანისაგან, არამედ იგი იყო და არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც განაწინებურად ინთება და განაწინებურად ქრება“. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პერაკლიტეს აღნიშნულ მოძღვრებაში მოცემულია „დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი ვაგმოცემა“ (ფილოსოფიური რვეულები, გვ. 318). პერაკლიტეს ფილოსოფიაში დაპირისპირებულია ერთიანობის კანონი არის ძირითადი კანონი სამყაროს მოვლენათა განვითარებისა. ეს არის ერთი ხაზი დიალექტიკის ისტორიაში. მაგრამ ფილოსოფიის ისტორიაში ჩვენ გვხვებით მთელ რიგ ცდებს დიალექტიკის იდეალისტურ საფუძველზე ჩამოყალიბებისა. ამ მხრივ შეიძლება დავისახელოთ პლატონის გვიანდელი შრომები, როგორცა „პარმენიდე“ და „სოფისტა“, და შემდეგ — ფილონ და ნეოპლატონიზმი (პლოტინი და პროკლეს). კერძოდ, ნეოპლატონიკოსები აღიარებდნენ, რომ გამოუთქმელი ერთიდან (ღმერთიდან) ემანაციის გზით გამოდის მრავალგვარობა არსთა საფუძვრებისა, რომლებშიც შემდგომ (იმავე ერთობს მსგავსების საფუძველზე) ისევ იმ გამოუთქმელ ერთს ანუ ღმერთს უბრუნდება. ამ შეტად ზოგად დახასიათებაშიც შეგვიძლია დავინახოთ დაპირისპირებულია ერთიანობის იდეალისტური გავალებება. მართლაც, გამოუთქმელი ერთი ანუ ღმერთი მიწინააღმდეგელებსა, მრავალგვარობა კი — ამ ერთის დაპირისპირებად, ხოლო მათი ერთიანობა მისაღწევი ხდება კვლავ ამ ერთისადმი ამ მრავალგვარობის დაბრუნების საფუძველზე. დიალექტიკის იდეალისტური გავალებება აქ აშკარაა: ჯერ ერთი, დაპირისპირებულია ერთიანობა გამილილი ღმერთის მოღვაწეობის ხაზით და მეორედ ამ კანონის მოქმედება იწყებს არა განვითარებას, ვ. ი. ვამილდრებას, არამედ გაღრმობებას, რადგან არის საფუძვრები, ემანაციის გზით ერთი საწყისიდან გამოსული, განლაგებულია მტრ-ნაცულის სრულმნიშვნით, სადაც ჩვენი ქვეყანა არის ყველაზე უანასენელი საფუძვრი და სრულმნიშვნელებას მოკლებულია. დიალექტიკის იდეალისტური გავალებება თავის უმაღლეს წერტილს მიაღწევს პროკლეს მოძღვრებაში, სადაც ემანაციის პრინციპი ტრადიციული სისტემის სახით არის დიალექტიკური და გაშუქებული. ასეთია მეორე ხაზი დიალექტიკის ისტორიაში. ამგვარად ჩვენი მიზანი არ არის დიალექტიკის ისტორიის დალაგება და განხილვა. ჩვენ გვინდობა მხოლოდ ზოგად

ხანებში გვეჩვენებინა, რომ დიონისე არეობავე-
ლის თხზულებათა დაწერამდე ფილოსოფიის
ისტორიაში ჩვენ გვხვდება როგორც მატერიალის-
ტური, ისე იდეალისტური დიალექტიკა. ჩვენ არ
ვიყოფებით, რომ ასეთივე მდგომარეობა იყო დიონ-
ისე არეობაველის შემდეგაც: გაივსენით ჰეგელ-
ის დიალექტიკა და მრავალი სხვა.

ჩვენი მთავარი მიზანია, გამოეარკვიოთ, რა იდე-
გოლი უძირავს დიონისე არეობაველის შემდგუ-
ლებებს მატერიალისტური დიალექტიკის მიერ
იდეალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ წარ-
მოებულ ბრძოლაში. მართლაც, დიონისე არეობა-
ველის პანთეისტურ შეხედულებათა განასერში
შეიძლება მოიძებნოს დიალექტიკის ბიძოვის
(მისი მთავარი კანონის) რაციონალური მარცვლი.
აქ ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ერთ
გარემოებას: დიონისე არეობაველის თანახმად,
უხეიანს არსებაში, ე. ი. ღმერთში ადგილი აქვს
„მაქსიმიზს“ და „მინიზს“ დაბირისპირებულთა
ერთიანობას ანუ დამთხვევას, აი, ეს მომენტია
არის სწორად ის ხაზი, რომელსაც შემდეგ ნ. კუ-
ჩანელი და ჯ. ბრუნო განავითარებენ თავის პან-
თეისტურ მსოფლმხედველობაში.

ნ. კუჩანელის ფილოსოფიის მიზანია ცოდნისა
და რწმუნის წინააღმდეგობის დაძლევა და მათი
მთლიანობის დასაბუთება, ამისათვის იგი არჩევს
ახალ გზას, სახელდება, მიადწიოს დაბირისპირე-
ბათა დამთხვევას, ე. ი. „კონსიდერაციის ოპოზი-
ტორუმს“. ამისათვის იგი მიემხრობა დიონისე
არეობაველის მეთოდს, ე. წ. „განსწავლული არ-
ცოდნის“ მეთოდს და ამით ცდილობს მიადწიოს
აღნიშნულ მიზანს. მაგრამ ჩვენითვის ამგვად სა-
ყურადღებოა ის გარემოება, რომ ნიკოლოზ კუ-
ჩანელი ცდილობს თავი დააღწიოს სტილასტრის
ლოგიკის არტაბებს და წამოაყენებს დიალექტიკის
ისტორიისათვის საუკუთაღებო დებულებას, „და-
ბირისპირებულთა დამთხვევის“ ანუ ერთიანობის
პრინციპს. მართალია, ნ. კუჩანელის შეხედულე-
ბებში ეს პრინციპი პანთეისტის სამოსელშია
გაბეჭდილი, მაგრამ მის აქვს აღნიშნული პრინცი-
პის წინადა მეცნიერული და, კერძოდ, მათემატი-
კური დასაბუთება. ნ. კუჩანელი გამოიწივს დიონისე
არეობაველის არა მარტო „განსწავლულ არ-
ცოდნის“ თვალსაზრისიდან, არამედ მისი იმ
თვალსაზრისისაგან, რომ აბსოლუტში არის სრუ-
ლი დამთხვევა უსასრულო „მაქსიმიზს“ და უსას-
რულო „მინიზის“ დაბირისპირებისა, და აი, ამ
ზრის იგი შემდეგნაირად გავლის მათემატიკური
მეცნიერების ენაზე. კუჩანელი ასე მსჯელობს:
ავილოთ, მავალითად, სამკუთხედი. თუ ახლა მო-
ვიხარებთ, რომ მისი ერთი მხარე იზრდება
უსასრულობამდე, მაშინ ცხადია, რომ ასევე
უსასრულოდ იზრდება მისი ორივე მხარე. ხოლო
უსასრულობაში მოახრებული სამკუთხედი იგი-
ვე სწორი ხაზი იქნება და, პირიქით, უსასრულო
სწორი ხაზი იგივე სამკუთხედი. ანდა ავილოთ
წრე. თუ ჩვენ ამ წრის დამეტრის წარმოვიდგინებ
უსასრულო მხარედ, მაშინ წრის მრუდობა უსას-
რულობამდე შემცირდება და, ბოლოს, სწორ ხაზს

გაუთანასწორდება. აქედან ნ. კუჩანელი ასკენის,
რომ უსასრულო სწორი ხაზის არა მარტო სამკუთ-
ხედი, არამედ იგი წრეც არის (იხილ. ჩვენი ფი-
ლოსოფიური თხზულებები, რუსული გამოცემა,
1957 წ. გვ. 25 — 30). ამავე თვალსაზრისს ემ-
ხრობა ჯ. ბრუნოც. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ
სწორი ხაზი და წრე უსასრულობაში ერთი და
იგივეა, რომ სწორი ხაზი და მრუდი ხაზი უსას-
რულობაში ერთიდაიგივეა და სხვა (იხ. მიხეხის,
საწყისის და ერთიანობის შესახებ, რუსული გა-
მოცემა, 1934, გვ. 205). ხოლო შემდეგ საუკუ-
ნეებში იგი ნიუტონისა თუ ლაიბნიცის წყალობი-
თი დადგენილ დიფერენციალურ აღრიცხვაში
პოვებს თავის საუკეთესო გამოხატულებას.
მართლაც, ფ. ენგელსი, ეყრდნობა რა დიფე-
რენციალური აღრიცხვის თეორიას, აღნიშნავს
მის დიალექტიკურ არსებას.

აქტიუტებს რა ე. დიერჩიანის შეხედულებას
იმის თაობაზე, რომ წინააღმდეგობა თითქმის ყო-
ველთვის ნიშნავდეს უპირობას და ამიტომ შეუძ-
ლებელია იგი იყოს სინამდვილეში, ფ. ენგელსი
„ანტი-დიერჩიანში“ აღნიშნავს, რომ „სხვა მხრივ
საკმაოდ ჯანსაღი გონების მქონე ადამიანებს ეს
დებულება ისევე თავისთავად საავლისმმებრედ
ენივნებათ, როგორც ის დებულება, რომ წრევე
შეუძლებელია მრუდი იყოს, ხოლო მრუდი —
წრევე, მაგრამ ჯანსაღი ადამიანური გონების ყო-
ველი პროტესტის მიუხედავად, დიფერენციალურ-
ი აღრიცხვა განსაზღვრულ პირობებში ათანა-
რებს წრესსა და მრუდს და ამათი აღწევს ისეთ
წარმატებებს, რომელთაც ვერასოდეს ვერ მიაღ-
წევდა ჯანსაღი ადამიანური გონება, რომელიც
გაჯიქდებოდა წრესისა და მრუდის იგივეობის
უპირობაზე“ (ქართ. გამოც. 1952. 142—143).

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარე-
მოებას, რომ წრესსა და მრუდის დაბირისპირე-
ბულთა ერთიანობა არის უმაღლესი მათემატიკის
უდიდესი მიღწევა და რომ ამ მოძღვრების ში-
რეული ძირები უკვე მოცემულია ნ. კუჩანელის
და ჯ. ბრუნოს პანთეისტურ და დიალექტიკურ
შეხედულებებში (იხიანი თავის მხრივ ამოდიოდნენ
და ავითარებდნენ დიონისე არეობაველის
მსოფლმხედველობის იმ მხარეს, სადაც ეს
უკანასკნელი პანთეიზმისკენა გადახრილია და
სადაც იგი ლამპარკობს უსასრულო „მაქსიმიზს“
და უსასრულო „მინიზის“ დაბირისპირებულთა
ერთიანობისა ანუ დამთხვევის შესახებ), მაშინ
ცხადი უნდა იყოს, რომ დიონისე არეობაველის
შეხედულებების ეს მხარე (სულ ერთია, საიდან
აქ უნდა მქონდეს მას იგი მთავისებულო) ის რა-
ციონალური მარცვალი, რომელზეც დაყრდნობენ
და განვითარებთ ნ. კუჩანელმა და ჯ. ბრუნომ
მოამზადეს ნადაგი მათემატიკის დარგში. დია-
ლექტიკური თვალსაზრისის შექრისა და გამარ-
ჯვებისათვის. აი, ამ მხრივ ენიჭება ერთგვარი
მნიშვნელობა დიონისე არეობაველის აღნიშნულ
შეხედულებას და ამიტომ დიალექტიკის ისტო-
რიაში მას თავისი გარკვეული ადგილიც მიე-
კუთვნება.



საერთაშორისო გეოფიზიკური წელი

1957 წლის 1 ივლისიდან 1958 წლის 31 დეკემბრამდე დედამიწაზე ტარდება ე. წ. საერთაშორისო გეოფიზიკური წელი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის ერთ-ერთ უდიდეს მაგალითს. გეოფიზიკური წლის დაკვირვებების საგანს შეადგენს ისეთი მოვლენების შესწავლა, რომელთაც დადი განვითარება ახასიათებს დედამიწის ზედაპირზე, მის შიგნით ან მის გარშემო სივრცეში. ისეთ მოვლენებს ეკუთვნიან, მაგალითად, ამინდის შეკეთრი ცვლილებანი, რომელნიც ხშირად მოვლ კონტინენტზე ვრცელდება ხოლმე, ე. წ. მაგნიტური დღეები, რომელნიც დედამიწის მაგნიტური ველის არაჩვეულებრივი სახით გამოვლინებას წარმოადგენენ და ხშირად ერთსა და იმავე დროს მთელ დედამიწის ზურგზე შეიზინევიან ხოლმე, პოლარული ნათებანი, რომელნიც ხშირად მთელ პოლარულ ზონაში ვრცელდება და სხვა.

ამ მოვლენების მეცნიერული შესწავლა დედამიწის ზურგის რომელიმე ნაწილში ან ცალკე აღებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ მოგვეშუშა სრულ წარმოდგენას მათ ხასიათზე. თუ რომელიმე მოვლენას დიდი ტერიტორიული ან საერთაშორისო განვითარება ახასიათებს, მისი დიდ ფართზე ერთდროული შესწავლა შესაძლებლობას მოგვეძლეს ამ მოვლენის გამოვლინებას ისეთი მხარეებიც შევამჩნიოთ, რომელნიც ლოკალურ ფარგლებში ზოგჯერ შეუმჩნეველიც არიან.

ამ გარემოებათა გამო მეცნიერებაში წარმოიშვა ახრა გეოფიზიკური მოვლენების შესწავლის შესახებ, რამდენად შესაძლებელია დიდი ფართის ან სივრცის საზღვრებში. პირველად ასეთი წინადადება გამოაქმნელი იყო საერთაშორისო მეტეოროლოგიურ კონგრესზე, რომში, 1879 წელს, რომელმაც დაადგინა ჩატარებელიყო ე. წ. საერთაშორისო პოლარული წელი, რომელიც მოეწყო 1882 წლის აგვისტოდან 1883 წლის აგვისტომდე და მასში მონაწილეობა მიიღო 12 სახელმწიფომ. სამეცნიერო დაკვირვებანი ძირითადად წარმოებდა არქტიკაში, სადაც 12 სადგური იყო მოწყობილი. პირველი პოლარული წლის განმავლობაში უმთავრესად მეტეოროლოგიური და გეომაგნიტური დაკვირვებები წარმოებდა. მაგრამ ამ დაკვირვებათა გარდა, მკირე მასშტაბით წარმოებდა აგრეთვე წყლის და ნიადაგის ტემპერატურის შესწავლა, მიწის დენების, მზის

რადიაციის და სხვა სახის დაკვირვებანი.

პირველი საერთაშორისო პოლარული წლის ექსპედიციების მიერ (განსაკუთრებით რუსეთის ექსპედიციების მიერ) დიდი მეცნიერული მასალა იქნა დაგროვილი მეტეოროლოგიის, მაგნიტური მოვლენების, პოლარული ნათების და სხვ. დარგებში. ამ მასალების გამოქვეყნება დამთავრდა 1898 წელში და საფუძვლად დაედო შემდგომ გამოკვლევებს მეცნიერების სათანადო დარგებში.

მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში კვლავ შრომა იდგა მეორე პოლარული წლის ჩატარების შესახებ. 1928 წელს ლენინგრადში შემდგარმა კონფერენციამ წამოაყენა არქტიკის შესწავლის მთელი რიგი პრობლემები და მიიღო ეს წინადადება. აღსანიშნავია, რომ როგორც პირველ, ისე მეორე საერთაშორისო პოლარული წლების ჩატარებაში რუსეთის და საბჭოთა კავშირის მეცნიერები ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ. 1882 — 83 წწ. საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი პ. ვილდი, ხოლო 1932 — 33 წლებში, მეორე პოლარულ წლის ჩატარების საქმეში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელმა პრეზიდენტმა აკად. ა. პ. კაპანინმა.

მეორე საერთაშორისო პოლარული წლის დაკვირვებათა პროგრამა გაიცალბით უფრო ფართო იყო. ეს პროგრამა შეიცავდა მეცნიერების შემდეგ დარგებს: მეტეოროლოგია, აგროლოგია, ატმოსფეროს ფენების შესწავლა, მზის რადიაცია და ატმოსფეროს ოპტიკა, ატმოსფეროს ელექტრობა, ზღვის სითბური და მარილანობის რეჟიმი, ზღვის ყინულების შესწავლა, გეომაგნიტოზი, პოლარული ნათება, კოსმოსტერია-გამოსხივება, რადიოტალღების გავრცელება, პლანეტოლოგია და რიგი საკითხები და სხვა.

მეორე პოლარული წლის დაკვირვებათა შორის ძირითადი მეტეოროლოგიური დაკვირვებანი იყო, რაც სადგურების მრავალრიცხოვან ქსელში განხორციელდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს 92 სადგურში, რომელთაგან 33 სპეციალურად პოლარული წლისათვის იყო მოწყობილი.

მეორე პოლარული წლის დაკვირვებებში პირვანდელი გვემით განზრახული იყო 49 ქვეყნის მონაწილეობა. მაგრამ ეკონომიური კრიზისის გამო, რომელიც მაშინ თითქმის ყველა კაპიტალის-

ტურ ქვეყნებში მძინვარება, მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი, სათანადო თანხების უქონლობის გამო, ვაკილებით ნაკლები იყო. იგივე მიზეზის გამო ამ დაკვირვებების შედეგების სრულად გამოქვეყნება მოხერხდა მხოლოდ საბჭოთა კავშირში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში.

წინადადება მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარების შესახებ წამოყენებულ იქნა 1950 წელს, ობსერვატორიის შერეული კომისიის მიერ, სამეცნიერო კავშირების საერთაშორისო საბჭოში.

ამასთან დაკავშირებით 1951 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩამტარებელი სპეციალური კომიტეტი, რომელმაც 1953 წლის ივნის-ივლისში ჯ. ბიოსელდში მიიღო საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა წინასწარი პროგრამა.

დადასტურებულ იქნა, რომ მომავალი გეოფიზიკური წლის დაკვირვებები გაერტყელება არა მარტო პოლარულ რაიონებზე, არამედ იწარმოებს მთელი დედამიწის ზურგზე. ამიტომ ამ ღონისძიებას ეწოდება საერთაშორისო გეოფიზიკური წელი, და მისი ჩატარების ვადები განისაზღვრა 1957 წლის 1 ივლისიდან 1958 წლის 31 დეკემბრამდე. ეს პერიოდი თანხვდება ე. წ. მზის აქტივობის მაქსიმუმს. როგორც ცნობილია, მზის აქტივობის პერიოდულობა ახასიათებს და ეს პერიოდი (მზის ციკლი) 10 — 11 წელიწადს უდრას. უკანასკნელი მინიმუმები მზის აქტივობის მაქსიმუმი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

საერთაშორისო სპეციალური კომიტეტის 1954 წლის 30 სექტემბრის რომის სხდომაზე მონაწილეობა მიიღო 30 სახელმწიფოს წარმომადგენელმა და მასზე საბჭოთა კავშირი დამტკიცებულ იქნა როგორც მესამე გეოფიზიკური წლის ერთერთი ძირითადი მონაწილე. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა წინადადებით გეოფიზიკური წლის მონაწილე დამტკიცებულ იქნა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

სპეციალური კომიტეტის ბიოსელდის და ბარსელონის სხდომებზე, რომლებიც შედგა 1955 და 1956 წ. სექტემბრის თვეში, საბოლოოდ დახსენებულ იქნა მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს დაკვირვებები როგორც ტერატორიულად, ისე მოცულობით, მასში მონაწილე ქვეყნების და სამეცნიერო ორგანიზაციების რიცხვის თვალსაზრისით, შეტად დიდი მასშტაბის ღონისძიებას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გრანდიოზული სამეცნიერო ღონისძიება, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის მეცნიერთა თანამშრომლობით ტარდება, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ამ ღონისძიების განხორციელებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, თანამედროვე პოლიტიკური ვითარება — საერთაშორისო

სა თანამშრომლობის ერთგვარი გაძლიერების სახით, რაშიც დიდ როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის და დემოკრატიული ქვეყნების მშენიღობის მოყვარული პოლიტიკა და, მეორე მხრივ, თანამედროვე მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები კავშირის, ტრანსპორტის და დაკვირვებათა მეთოდის დარგში, რომელნიც მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის გამოკვლევების მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარების საშუალებას იძლევიან.

მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარების გეგმა ითვალისწინებს 42 სამეცნიერო პრობლემის შესწავლას, რომელნიც შემდეგ საკითხებს შეეხებათ: ატმოსფეროს საერთო ცირკულაციის შესწავლა; ეკვატორთან ატმოსფეროს დინამიკის და ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის ჰაერის გაცვლის შესწავლა; ატმოსფეროს და სტრატოსფეროს ქვედა ნაწილს შორის გეოფიზიკური მოვლენების კავშირის შესწავლა; დედამიწის ზედაპირის სითბური ბალანსი; ატმოსფერული ოზონი, ატმოსფეროს საერთო ცირკულაციასთან და ამინდთან დაკავშირებათ; ვერცხლსხებური ღრუბლების შესწავლა; ოკეანეების და ზღვების წყლების სითბური და ქიმიური მდგომარეობის ცვალებადობა; წყნარი და ატლანტიკის ოკეანის პოლარული ფრონტის გამოკვლევა; ოკეანეს ზღვების რელოფის და სტრუქტურის შესწავლა; კეროლო-კამჩაიტის რავლის და წყნარი ოკეანეს ზოგიერთ უბანში კონტინენტსა და ოკეანეს შორის გარდამავალ ზონაში მიწის ქერქის აგებულების შესწავლა; მყინვარების სიდიდეთა ცვალებადობის შესწავლა კლიმატის ცვლადობასთან დაკავშირებით; მიწისქვეშა გამწინვარების, მეოთხეული ნალექების კრიოლიტოლოგიის შესწავლა; გეომაგნიტური და გეოელექტრული დენების ველების შესწავლა; მოკლებერიდიანი გეომაგნიტური და გეოელექტრული ვარიაციების ველების შესწავლა; ოკეანებზე დედამიწის მაგნიტური ველის შესწავლა; პოლარული ნათებისა და მისი გეოგრაფიული განაწილების შესწავლა; პოლარული ნათებისა და ღამის ცის ნათების სპექტრალური, სპექტროფოტომეტრიული და რადიოოცეპტური გამოკვლევა; წყნარი და ქარიშხლიანი ობსერვატორიის გამოკვლევა ვერტიკალური და დანბრილი ზონდირების მეთოდებით; ობსერვატორიი არაერთგვაროვანი სტრუქტურის და მოძრაობის გამოკვლევა; მეტეორების შესწავლა; მზის აქტივობის შესწავლა; კოსმოსური გამოსხივების ინტენსივობის ვარიაციების გამოკვლევა; დედამიწის დრეკადი მიმოქცევის შესწავლა-სიმძიმის ძალის აჩქარების ვარიაციების უწყვეტი რეგისტრაციის მეთოდით; დედამიწის სეისმურობის და მიკროსეისმების შესწავლა; დროისა და სივრცეების განსაზღვრა; სოციალური ცვლილებები და პოპულაციის მოძრაობანი; დედამიწის ბრუნვის არათანაბრობის შესწავლა და სხვა.

ს. გ. წ-ს დაკვირვებათა გეგმა ითვალისწინებს არა მარტო სტაციონარული და ექსპედიციური ხასიათის სამუშაოების ჩატარებას ამჟამად მოქმედ და ახლად ორგანიზებულ მეტეოროლოგიურ, გეოფიზიკურ, სეისმურ, მაგნიტურ და სხვა ობსერვატორიებში და სადგურებში, არამედ მთელი რიგი ახალი სახის დაკვირვებათა მოწყობას. ასეთი იქნება, მაგალითად, რაკეტული დაკვირვებანი, მათი სამუშაოებით ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ღრმად შევჭირათ დედამიწის გარეშე ატმოსფეროში, სტრატოსფეროში და იონოსფეროში და ამ გზით შევისწავლოთ მოვლენები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ დედამიწაზე მიმდინარე გეოფიზიკური პროცესების ხასიათზე.

რაკეტებზე მოწყობილი იქნება ისეთი დანადგარები, რომელნიც ავტომატურად გაზომავენ სხვადასხვა გეოფიზიკურ მოვლენებს. ასეთ მოვლენებს რიცხვს ექვთონიან კოსმოსური გამოსხივებანი, პერიოდული შემადგენლობა, წნევა და ტემპერატურა, გეომაგნიტური ველის მდგომარეობა, მზის სპექტრი, ცის ნათება, იონოსფეროს მდგომარეობა და სხვა. რაკეტული დაკვირვებების მხრივ დიდი მოკვლეობის სამუშაოები შესრულდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც (ნიუმექსიკოს უდაბნოში) მოწყობილია სივრცეში რაკეტების გასაშვები დანადგარები. პატარა ზომის (15 კილოგრამი ტვირთით) რაკეტების გაშვება, იწარმოებს საპირო ბურთის სამუშაოებით; დაახლოებით 27 კილოგრამის სიმაღლეზე რაკეტა ავტომატურად წყდება საპირო ბურთის და აღწევს 100 კილომეტრამდე სიმაღლეს. საბჭოთა კავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში განზრახულია დედამიწის პატარა ხელოვნური თანამგზავრების გაშვება, რომელსაც იმდენად დიდი სისწრაფე ექნება, რომ სძლებს დედამიწის მიზიდულობის ძალას და ვარკვეული დროის განმავლობაში იბრუნებს მის ვარსემო პროექტის თანახმად ხელოვნური თანამგზავრის საბოლოო სისწრაფე იქნება 29 ათასი კილომეტრი საათში. თანამგზავრის ორბიტა ვლიფსური ფორმისა იქნება და დედამიწის ზედაპირს დასცილდება 300-დან 1200 კილომეტრამდე პირველი თანამგზავრი იქნება სფერული ფორმის, 51 სანტიმეტრი დიამეტრით და 10 კილოგრამამდე წონით. ხელოვნური თანამგზავრზე დადგმული იარაღები ჩაწერენ პერიოდულ სიხშირეებს, მზის და კოსმოსური რადიაციის ინტენსივობას, ულტრაიისფერ გამოსხივებას და სხვა.

განსაკუთრებით დიდი მოკვლეობის სამუშაოები ეწყობა პოლარულ (არქტიკა და ანტარქტიკა) და ეკვატორულ სარტყლებში. დედამიწის ამ პარტების გარდა, შერჩეულია ხუთი მერიდიანი, რომელთა გასწვრივ ჩატარდება უფრო გახშირებული დაკვირვებანი, განსაკუთრებით ატმოსფეროს შესწავლის დარგში. ეს მერიდიანები არიან 10°, 75°, 110°, 140° — აღმოსავლეთის სიგრძედისა და 80° დასავლეთის სიგრძედისა.

იმ მუდმივი სადგურების რიცხვი, რომელნიც დაკვირვებებს აწარმოებენ, აღწევს რამდენიმე ათასს, მათში 3 ათასამდე მუდმივად მოქმედი მეტეოროლოგიური სადგურია და ათასამდე გეოფიზიკის სხვადასხვა დარგის სადგურები. ყველა პუნქტში, გარდა უარყოფითი დაკვირვებისა, სამი გ. წ. რეგულარული დღის განმავლობაში ყოველ თვეში, რაც სპეციალური კომიტეტის მიერ არის დადგენილი, იწარმოებს გახშირებული დაკვირვებანი განსაკუთრებული პროგრამით. მეტეოროლოგიის დარგში გახშირებული დაკვირვებებისათვის სპეციალური კომიტეტის მიერ დადგენილია 6 მსოფლიო მეტეოროლოგიური პერიოდი, წლინახევრის მინიმალზე ყოველ კვარტალში ათი დღის განმავლობაში.

ზოგიერთი გეოფიზიკური მოვლენის წინასწარმეტყველება შეეძლება სპეციალური შეწყობის (მაგალითად, მზის და მთვარის დამნელება) და საკმაოდ ადრე თითო მოვლენის დაწყებამდე, მაგრამ არიან ისეთი მოვლენები, რომელთა წინასწარმეტყველება შეუძლებელია ჯერ არ ძალუქს (მაგალითად, მიწის ძვრები), ან შეუძლია ნაკლები სიზუსტით და დროის მოკლე მანძილზე. ამავე დროს, საკითხი ამ მოვლენის საწყისი მომენტის და მისი ვრთბრთბრების შესახებ დედამიწის ინტერესს შეიცავს. მაგალითად, შეცნობების შექმნა მაგნიტური და იონოსფერული დედამიწის რამდენიმე დღით ადრე იწინასწარმეტყველება. ამ მოვლენების უმრავლესობა მზის აქტივობაზე არის დამოკიდებული და რადგან მისი ს. გ. წ. მზის აქტივობის მაქსიმუმს თანხვდება, მოსალოდნელია ამ მოვლენების განსაკუთრებული სახით გამოვლინებანი. ასეთი დაკვირვებების ჩასატარებლად, მოვლენის დაწყებამდე 12 საათით ადრე, სპეციალური მსოფლიო ცენტრი გამოაცხადებს ზოლზე დაკვირვებების მსოფლიო ინტერესებს.

ამჟამად შესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მონაწილე ქვეყნების რიცხვმა მიადგინა 60-ს მათში ყველაზე დიდი მოკვლეობის სამუშაოებს ატარებს საბჭოთა კავშირი, რომელმაც თავის ტერიტორიის სიდიდის გამო განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ს. გ. წ-ს დაკვირვებათა ჩატარებაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, ხუთი მერიდიანიდან, რომელთა გასწვრივ იწარმოებს ძირითადი დაკვირვებანი, სამი გადის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირი დიდ სამუშაოებს ჩატარებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც; ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ყველა სამეცნიერო პრობლემის დამუშავებაში და ამ საქმეში ჩაბმულია ასზე მეტი სამეცნიერო ორგანიზაცია და 16 ქვეყნის. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეწყობა ახალი 320 სამეცნიერო სადგური.

მესამე ს. გ. წ-ს სამუშაოებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ

ბელმწივანელობას უწევს გეოფიზიკური წლის მოწაღებებსა და ჩატარების საუწყებდათაშორისო კომიტეტი, რომელიც 1954 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან. კომიტეტს თავმჯდომარეობს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. პ. ბარდინი.

საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა სამყო მოცულობის სამუშაოები უნდა იქნეს ჩატარებული. ამ სამუშაოების ძირითადი მონაწილენი არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო და კავშირგაბმულობის სამინისტრო. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობს გერმეცის საქართველოს მეცნიერებანთა აკადემიის პრეზიდენტიმან არსებული საუწყებდათაშორისო კომიტეტი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პრობლემებს შორის დიდი ადგილი უჭირავს მეტეოროლოგიის დარგის დაკვირვებებს; შეისწავლება ატმოსფეროს ცირკულაცია დიდ ტერიტორიაზე, ატმოსფეროს დინამიკა და დედამიწის ნახევარსფეროებს შორის ჰაერის გაცვლა, ატმოსფეროს და სტრატოსფეროს შორის მოვლენათა კავშირი და დედამიწის ზედაპირის სითბური ბალანსი. ეს დაკვირვებანი მოიცავენ სივრცეს 25 — 30 კილომეტრის სიმაღლეზე და იწარმოებენ მთელი დედამიწის ზურგზე. მეტეოროლოგიური დაკვირვებანი ტერიტორიული თვალსაზრისით ყველაზე უფრო ფართო ხასიათს ატარებენ გეოფიზიკური წლის პრობლემათა შორის. დიდი მოცულობით შესრულდება აეროლოგიური დაკვირვებანი, რაც ძირითადად რადიონიდირების მეთოდით იწარმოებს. ატმოსფეროში გამოვებული იქნება რადიონიდიდები რეზინის საპაერო ბურთების საშუალებით. წინათ საპაერო ბურთების დაკვირვება მხოლოდ ვიზუალური წესით ხდებოდა, ამჟამად, მათი მოძრაობისთვის თვალყურის დევნება იწარმოებს რადიო-ლოკატორებზე იმპულსების რევისტრაციის საშუალებით, რომელთაც საპაერო ბურთები არეკლავენ. ამ გზით შესაძლებელი ხდება ჰაერის ცირკულაცია და ქარის მოძრაობა გამოვივლით დიდ სივრცეში.

მსოფლიოს მეტეოროლოგიურ ქსელში, რომელიც ჩამდენიმე ათასს სადგურს ითვლის, იწარმოებს დაკვირვებები ჩვეულებრივი პროგნოზით (წვივა, ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექება და სხვ.). ამ დაკვირვებათა შეჯამება საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ატმოსფეროს ცვლის შექანაზში ტროპიკულ და პოლარულ რაიონებს შორის, აგრეთვე სტრატოსფეროს და ტროპოსფეროს შორის ჰაერის მოძრაობა და ცეცხლ. ამ

მასილის უდიდესი მნიშვნელობა იქნება როგორც კლიმატოლოგიური საკითხების შესწავლისათვის, ისე ამინდის პროგნოზის საქმის განმარტებულსათვის.

როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე იწარმოებს შესწავლა ელემენტის მოვლენებისა, ე. წ. ატმოსფეროების ანუ ელემენტის ელემენტობის გავლენით წარმოშობილ იმპულსების დაკვირვების საშუალებით, რასაც რადიომიზანტები ჩაწერენ. გამოკვლეული იქნება დედამიწის რელიეფის გავლენა მეტეოროლოგიურ მოვლენებზე, ჩატარდება ჰაერის და მიწის ქერქის ტემპერატურათა შედარებითი გაზომვები, ნალექების გაზომვები დედამიწის მიღ ზედაპირზე და სხვა. ატმოსფეროს და სტრატოსფეროს შესწავლისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული რადიოლოკატორები, რომელზედაც ზემოთ გვკონდა ლაპარაკი, და აგრეთვე დაკვირვებანი თვითმფრინავებზე, რომელნიც მოეწეობა მიწის სითბური ბალანსის გამოსარკვევად და მზის რადიაციის (გამოსხივების) შესასწავლად.

საბჭოთა კავშირში მეტეოროლოგიური დაკვირვებები, ს. გ. წ.-თან დაკავშირებით ფართო მასშტაბით იწარმოებს. ექსპედიციური სამუშაოების გარდა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეს დაკვირვებანი ჩატარდება მეტეობასდგურების ქსელში, 1000-ზე მეტი სტაციონარულ სადგურზე. საბჭოთა მეტეოროლოგიური სამეცნიერო ორგანიზაციები აწეობენ ექსპედიციურ სამუშაოებს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. ჩამდენიმე სპეციალური გაფრენა, ამინდზე დაკვირვების მისახდენად, მოეწეობა ჩრდილოეთ პოლესზე და ოხოტის ზღვის რაიონებში.

ჩამოთვლილი პრობლემების ზაზით დაკვირვებანი იწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზეც. გარდა მეტეოროლოგიური და აეროლოგიური დაკვირვებებისა, საქართველოს ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს სადგურების ქსელში, სპეციალური დაკვირვებანი იწარმოებს მზის პირდაპირი და გაფანტული რადიაციის შესწავლის, დარგში (ატმონომეტრიული დაკვირვებანი). პირველი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მზის გამოსხივებას, რომელიც უშუალოდ აღწევს მიწის ზედაპირს, ხოლო მეორე ისეთი გამოსხივებაა, რომელიც განიფანტება ჰაერის მოლეკულებთან, მასში თხვეალი და მყარი ნაწილაკებთან შესხედლის გამო. ამ დაკვირვებებისათვის სპეციალური პენტეტები ეწყობა ობილისში და სიხეშში.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო ჩატარებს დაკვირვებებს ე. წ. ატმოსფერულ ზელმეშმულებზე, რომელნიც წარმოადგენენ ელემენტობის დაცლებს ატმოსფეროში და ხელს უშლან რადიომეშმულეობის საქმეს.

მეტეოროლოგიის დარგს მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგნოზით გათვალისწინებული ატმოსფერული ობ-

ხისა და ვერცხლისებური ღრუბლების შესწავლა. ოზონი წარმოადგენს განვადის ე. წ. ალტრობიულ ფორმას და ატმოსფეროში შეადგენს პროცენტის მხოლოდ რამდენიმე მეათათასედს. ის ძირითადად თავმოყრილია 20—55 კილომეტრის შეიღვდში და მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს სტრატოსფეროში 20—25 კილომეტრის სიმაღლეზე. ატმოსფეროს ოზონი თითქმის მთლიანად შთანთქავს მზის სხივების ულტრა-ისფერ ანუ მოკლეტალღიან გამოსხივებას და ასევე ველარ აღწევენ მიწის ზედაპირს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის, რადგან მზის გამოსხივების მოკლე ტალღები მაგნეტო მოქმედებენ ციკლად არსებებზე. მეორე მხრივ, ოზონი შთანთქავს ინფრა-წითელ გამოსხივებას და ამგვარად ხელს უშლის დედამიწის სითბური ენერჯის გაფანტვას სივრცეში. ოზონის ასეთი დიდი როლის გამო მნიშვნელობა ენიჭება ატმოსფეროში მისი შედგენილობის, გეოგრაფიული გავრცელების, სეზონური და დღეღამური ვარიაციების შესწავლას. ოზონზე დაკვირვებები წარმოებს სპეცტროგრაფების საშუალებით, სადა გამოიყენება ზემალინიშნული შთანთქმის-თვისებები, მაგრამ მისი შესწავლა შეიძლება აგრეთვე ე. წ. ფოტოელექტრული ფოტომეტრების საშუალებით. ოზონომეტრული დაკვირვებები იწარმოებს აგრეთვე რაკეტების საშუალებით. ამ პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობას იღებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, საიდანაც იწარმოებს ოზონის რაოდენობის და მისი ვარიაციების ჩაწერა, ფოტოელექტრული ფოტომეტრების საშუალებით.

ჩვეულებრივი ღრუბლები, როგორც ცნობილია, შედგება წყლის ორთქლისაგან, რომელიც მიწის და წყლის ზედაპირისაგან აორთქლებს შედეგად ჩნდება. ამიტომ ამ ღრუბლებს სიმაღლე მიწის ზედაპირიდან რამდენიმე კილომეტრს არ აღემატება. მაგრამ შენიშნული არიან ისეთი ტიპის ღრუბლები, რომლებიც 70—90 კილომეტრის სიმაღლეზე იმყოფებიან და დამახასიათებელი ვერცხლისებური ბზინვაება აქვთ. ცხადია, რომ ასეთ დიდ სიმაღლეზე ღრუბლების წარმოება არ შეიძლება აიხსნას ისევე, როგორც ჩვეულებრივი ღრუბლებისა. ვერცხლისებური ღრუბლების წარმოშობის მიზეზები დღემდე შეუსწავლელია და ამიტომ მათი დაკვირვებანი საქმით მეცნიერულ ინტერესს იწვევს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვერცხლისებური ღრუბლების საშუალო სიმაღლე შეტად ზესტი მუდმივობით ხასიათდება. ის უფროს 82 კილომეტრს. უნდა ვთქვათ, რომ ამ სიმაღლეზე არსებობენ რაღაც განსაკუთრებული პირობები, რომელიც მათ წარმოშობას განაპირობებენ. წინათ ფიქრობდნენ, რომ ვერცხლისებური ღრუბლები წარმოადგენენ ველანერ ფერულს, რო-

მელიც ატმოსფეროში ველანერებს ამოხეტივს შედეგად იფანტება. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ვერცხლისებური ღრუბლების განაწილება უფროდ არ სდევს თან ველანერების ამოხეტივს. არსებობს მათი წარმოშობის სხვა ახსნაც, მაგალითად, ზოგაერთი მეცნიერის აზრით, ისინი წარმოადგენენ მეტეორების აორთქლების შედეგს, მათი ატმოსფეროში შემოჭრის შედეგად. არ არის გამორიცხული, რომ წყალი ასეთ სიმაღლეზე ჩნდებოდეს უშუალოდ წყალბადის და ეანვადის სინთეზის შედეგად.

ოკეანოგრაფიის დარგში დაკვირვებათა საწარმოებლად ს. ვ. წ.-ს განმავლობაში ოკეანეებში და ზღვებში იმუშავეს 70-ზე მეტი ხომალდი, აღჭურვილი თანამედროვე დაკვირვებათა ხელსაწყოებით. ვარდა ამისა, საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის ოკეანოგრაფიული დაკვირვების წარმოება ევალება ყველა თევზისმჭერ და სატრანსპორტო ხომალდებს, რომელნიც ამ პერიოდში ნაოსნობაში იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის ოკეანოგრაფიული ექსპედიციები იმუშავებენ ნორვეგიის, გრენლანდიის და ბერინგის ზღვებში, ჩრდილოეთ ატლანტიკაში, წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, არქტიკაში და ანტარქტიკაში, ინდოეთის ოკეანეში და ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე იაპონიაში. ატლანტიკის ოკეანეში ჩვენი ანტარქტიკული ექსპედიცია სამჯერ გაივლის მერიდიანზე ინგლისი — ანტარქტიკა.

საბჭოთა დიზელურექტორმაავილები „ობი“ და „ლენა“, რომლებშიც, როგორც ცნობილია, უკვე გააკეთეს რეისი ანტარქტიკის ნაპირებისაკენ და გადაიყვანეს იქ საბჭოთა ექსპედიციები დაკვირვებების ჩასატარებლად. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში ანტარქტიკის ნაპირებამდე გააკეთებენ ხუთ რეისს — და შესარულებენ ოკეანოგრაფიულ დაკვირვებებს ინდოეთის და წყნარი ოკეანის პოლარულ უბნებში ოკეანოგრაფიულ კვლევებში საბჭოთა კავშირიდან იმუშავეს 11 ხომალდი.

1958 წლის ივნის-სექტემბერში შესრულებულ იქნება მთელი მსოფლიოს ოკეანეების ერთდროული ოკეანოგრაფიული გაღებება. ამ პერიოდში (ანტარქტიკული ზამთარი) საბჭოთა ექსპედიცია შემოეცვას გარშემო ანტარქტიკის კონტინენტს.

ამერიკის შვერთებული შტატების და კანადის ექსპედიციები იმუშავებენ ატლანტიკის დასავლეთ ნაწილში და წყნარ ოკეანეს აღმოსავლეთ უბნებზე, აგრეთვე ალიასის სანაპიროებში. ამ ადგილებში შესრულებულ იქნება ოკეანის მდინარეების ერთდროული ინსტრუმენტალური გაღებება რამდენიმე გვიმდამ, ანალოგიურ სამუშაოს წყნარ ოკეანეში შესარულებს იაპონია. საფრანგეთის ექსპედიციები იმუშავებენ ატლანტიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ბისკაის ყურესა, აზორის და კანარის კუნძულების რაიონებში, ევროპა-

მერიის განივ ტრასზე, ინდოეთის ოკეანეში და გვიანის ყურეში.

ინგლისის ექსპედიციები იმუშავებენ ფაერის-სა და შოტლანდიის კუნძულებთან, ნორვეგიისა და გრენლანდიის ზღვაში და, აგრეთვე, მერიდიანულ ჰორიზე აღმოსავლეთ ატლანტიკაში.

გერმანიის ექსპედიციები იმუშავებენ ატლანტიკის ჩრდილოეთ ნაწილში 47° ჩრდ. განედლიდან კუნძულ ისლანდიამდე.

ესპანეთი შესარულებს სამუშაოებს გობრალტარის მიდამოებში და გვიანის ყურეში; არგენტინას, სამხრეთ-აფრიკის კავშირთან ერთად, ატლანტიკის ოკეანეს სამხრეთ ნაწილში. პაესიტანის ექსპედიცია იმუშავებს ინდოეთის ოკეანეში, ზოლო ზღვისა და პერუს ექსპედიციები სამხრეთ-ამერიკის დასავლეთ სანაპიროებზე.

ოკეანოგრაფიული გამოკვლევების დარგში შეისწავლება მსოფლიო ოკეანის ზედაპირული და სიღრმის წყლების ცირკულაცია, თბილი და ცივი ზონების საზღვარზე წყლის გაცვლის პროცესები; ოკეანის და ზღვების ტალღების მახასიათებლები, წყნარი და ატლანტიკის ოკეანას პოლარული ფრონტები, არქტიკის და ანტარქტიკის პირობებში ცირკულირება რეგიონი, მიწის ქერქის აგებულება კონტინენტის და ოკეანის ზღვარზე. ოკეანის დონის დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს ატმოსფეროს და ოკეანის დინამიური ურთიერთობებზე შევისწავლოთ. ოკეანეებზე განხორციელებული მთელი კომპლექსი მეტეოროლოგიური, აეროლოგიური და აქტივობები და მარილიანობის განსაზღვრა ოკეანის მთელ სიღრმეზე. იწარმოებს ოკეანის წყლის შედგენილობის შესწავლა, მასში რადიოაქტიური ელემენტების განსაზღვრა, ოკეანის წყლის ფიზიკური თვისებების (ელექტროგამტარობა, იონიზირებული თვისებები და სხვ.) გამოკვლევა. იწარმოებს აგრეთვე ოკეანის სიღრმეების განსაზღვრა სხვადასხვა უბანში, რაც საშუალებას მოგვცემს დავახუსტროთ ნავთობიერი ატლანტიკის და რუკები; ზღვის გრუნტის შესწავლა, ოკეანის სიბოთრი რეგიონის კავშირი ზღვის სიბოთრი რეგიონთან, წყლის ვერტიკალური და ჰორიზონტული შერევის კოეფიციენტების განსაზღვრა, დაკვირვებანი ოკეანის ყინულებზე და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ანტარქტიკულ ყინულების დრეიფის კანონზომიერების შესწავლას. ზღვის ფსკერის გეოლოგია შეისწავლება სრულიად ახალი — სერისმო-აქუსტიკური მეთოდით. ოკეანეზე იწარმოებს გეომაგნეტიკური და გრაფიკური გამოკვლევები. ოკეანეებზე გეომაგნეტიკური გამოკვლევების საწარმოებლად საბჭოთა კავშირი აწუხებს გემ „ზარია“-ს ექსპედიციას, რომელიც აგებულია სრულიად არამგნეტიკური მასალისაგან და მასზე არ არის რკინის რკივები და სხვა. „ზარია“ აქტივობის მსოფლიოში ერთადერთი არამგნეტიკური გემია, რადგან მსგავ-

სი ამერიკული გემი „კარნეჯი“ დაიღობა ოკეანეთთან წლებში. ეს გემი წლინახევრის განმავლობაში გაივლის 45 ათას მილიონ კილომეტრს.

ოკეანის ტალღების და მზის დონის ცვლილებების შესწავლა წარმოებს სპეციალურ სადგურებზე, რომლებიც კუნძულებზე იქნებიან განლაგებული. საბჭოთა კავშირი ამ მოვლენებს შესწავლის კერძო კუნძულებზე და არქტიკაში ამერიკის შეერთებული შტატები — წმ. ელენეს, ტრისტან და კუნიას, კანარის, ჰავაის, გუამის, ტიტის და სხვა კუნძულებზე. ოკეანის დონის შესწავლა ამინდის ხანგრძლივ პროგნოზის საქმის გაუმჯობესების საშუალებას მოგვცემს, რადგან ოკეანის ტალღები ატმოსფეროს ცირკულაციის ინტენსივობის მაჩვენებლები არიან.

ს. გ. წ.-ს პრობლემათა შემდეგი რეგულირების ე. წ. გლაციოლოგიისა და გეოკრიოლოგიის დარგს ამ მეცნიერებათა საფანს შეადგენს დედამიწის მიწისფარების, აგრეთვე თოვლის საფარის შესწავლა, მათი დამოკიდებულება კლიმატთან, მათი გეოლოგიური და გეომაგნეტიკური მოქმედება მიწის ზედაპირზე. როგორც ცნობილია, დედამიწის გეოლოგიური ისტორიის შედარებით ახალი წარსული (რამდენიმე ასეული ათასი წლის წინათ), ადგილი ჰქონდა დედამიწის კლიმატის მკვეთარ ცვლილებას, ტემპორატურის და ცემის სახით. მედშივი გამოინვარების ზოლი ამ პერიოდში გაკვირვებით უფრო სამხრეთით გადადიოდა, ვიდრე ახლა. შუა და ჩრდილოეთი ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილი და სხვა ადგილები მყინვარებით იყო დაფარული. კლიმატის ცვლილებასთან ერთად გამოინვარების ზოლი დაიხია ჩრდილოეთისაკენ. მაღალმთიან ადგილებში ამჟამად არსებული მყინვარები განიცდიან ნელ ცვლილებებს, რაც გამოიხატება მათ უკან დახევაში, გამოინვარების ზოლის პიქსოპეტიკულად უფრო მაღლა გადაადგილებაში. არსებობდა ეს იგივე პროცესი და გვიჩვენებს დედამიწის კლიმატის უწყვეტ ცვლილებას. ს. გ. წ.-ს დაკვირვებათა ძირითადი პრობლემა ამ დარგში მდგომარეობს თანამედროვე მყინვარების სიღრმის, სისქის და მოძრაობის ერთდროულ შესწავლაში დედამიწის ზედაპირის ყველა ნაწილში. ასეთი დაკვირვებები მოწყობა პარიზზე, ტიან-შანზე, კავკასიის ქედზე, იტალიაში, შედევარიაში, ავსტრიაში, ჩილიში, ინდოეთში, კანადაში, პიმალაიზე, გრენლანდიაში.

მყინვარებზე დაკვირვება განხორციელებდა არა მარტო უშუალო დამზერის საშუალებით, არამედ აეროფოტოგრაფიული მეთოდითაც. ასეთი მეთოდით იწარმოებს, მაგალითად, პიმალაის მყინვარების შესწავლა. არსებობს მყინვარებზე დაკვირვების ძველი მასალები, რომელთაგან ახალი მასალის შედარება საშუალებას მოგვცემს მრავალი საკითხი გაავრცელოთ დედამიწის კლიმატის ნელი ცვლილებების დარგში.

საბჭოთა კავშირში გლაციოლოგიის საკითხების შესწავლა იწარმოებს 21 უნივერსიტეტი, მათგან 9 ახ-

ლად ეწყობა (მათში 3 ანტარქტიდში). მეცნიერებზე დაკვირვების ერთი სადგური მისკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ეწყობა იალბუზე.

დედამიწის მაგნიტიზმი და დედამიწის ელექტრული დენები შეიღებოდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით ამ დარგში შესწავლება ე. წ. გეომაგნეტური და გეოელექტრული ლენაევი, მოკლებერილიანი გეომაგნეტური და გეოელექტრული ვარიაციები და დედამიწის მაგნიტური და ელექტრული ველის დედამიწური ვარიაციები ისეთ ადგილებში, რომელნიც ამ მხრივ ნაკლებად არიან შესწავლილი (მაგნეტური და გეოგრაფიული გეოგრაფიების რაიონები, ოკეანეები და სხვ.)

დედამიწის ზედაპირის ყოველ წერტილს ახასიათებს მაგნეტური ძალის ელემენტების (ვერტიკალური და პორიზონტალური მდგენელები, მიხრიალობის და დამხრიალობის კუთხეები) გაკვეთული მნიშვნელობა, რომელიც დამოკიდებულია ამ წერტილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. დედამიწის ქერქში მოძრაობენ მეტად სუსტი ძალის ე. წ. მიწის ანუ ტელურული ელექტრული დენები. ჩვეულებრივ, მათი ძალა განიზომება ამპერის შემოლინებელი ნაწილით. როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებს, მიწის დენების და მაგნეტური ელემენტების ცვლად ნაწილებს შორის მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს.

მაგნიტური ველის ე. წ. დედამიწური ვარიაციები ანუ მისი ელემენტების ცვლილება დღეობის განმავლობაში, საკმაოდ წარგად არის შესწავლილი. მასზე დაკვირვებანი ყარგაბის ასეულ წელზე შეტი ხნის განმავლობაში მაგნიტურ ობსერვატორიებში, რომელთაგან ერთ-ერთი უძველესი საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დეშეთის მაგნეტური ობსერვატორიაა. მიწის დენებზეც დაკვირვებანი საკმაოდ ხანია სწავლილია, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ გატყვე შესწავლილი არ არიან. საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი, სადაც ეს დენები საფუძვლიანად შესწავლებიან, იგივე ინსტიტუტის დეშეთის ტელურული სადგურია. როგორც აღვნიშნეთ, ამ მოვლენათა რეგულარულ ცვლილებებზე დაკვირვებანი საქმით ხანია წარმოებენ; მაგრამ, ხშირად ადგილი აქვს ამ მოვლენათა არჩვეულებრივ ცვლილებებს; მიწის დენების ან მაგნეტური ძალის ამპლიტუდები იზრდებიან, რხევების სიხშირე მატლდება — ადგილი აქვს მაგნეტურ ან ელექტრულ ე. წ. დეკლას.

ს. გ. წ.-ს პროგრამით გათვალისწინებულია ამ დღეების შესწავლა, მათი მორფოლოგიის გამოკვლევა დროისა და სივრცის მიხედვით. პარალელურად რაკეტების საშუალებით დედამიწის რამდენიმე პუნქტიდან მოხდება იონოსფეროს (იონოსფეროს ზედა ფენები) ელექტრული დენების დაკვირვება, რომელთა მოძრაობა, როგორც ფქრობენ, მაგნიტური და ელექტრული დედამიწის წარმოშობას იწყვეენ. რაკეტებში, სხვა მოწყობი-

ლობათან ერთად, მოთავსებული იქნებიან მაგნიტური ელემენტების ჩამწერი იარაღები და, ამგვარად, მაგნიტური ველის ჩამწერი მოწყობის დიდ სიმაღლეზე მიწის ზედაპირზე; $\frac{1}{1000000}$

მაგნიტურ და ელექტრულ ვარიაციებს პერიოდულობის მეტად დიდი დიაპაზონი ახასიათებს. პერიოდები აქ იზომება წლებით, სეზონებით, თვეებით, საათებით, წუთებით, წამებით და წამის ნაწილებითაც. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა პროგრამა ითვალისწინებს მაგნიტური და ელექტრული ველების მოკლებერილიანი ვარიაციების და პულსაციების ერთადროულ რეგისტრაციას. მაგის შეათელი და შეასწავლი პერიოდის მქონე მაგნიტური რხევების ჩასწრა აშკარად წარმოებს ე. წ. ფლექსიბიტივლ დანადგარებზე, რომელნიც პირველად იქნება გამოყენებული და რომელთა ავტორია საბჭოთა მაგნიტოლოგი პროფ. ა. გ. კალაშნიკოვი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ოთხი სადგური, რომელიც აღჭურვილი იქნებიან ფლექსიბიტივლი აპარატურით. მოკლე პერიოდანი ელექტრული ვარიაციების ჩამწერი იწარმოებს ე. წ. ოსცილოგრაფებზე. მაგნიტური მოკლებების შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილია, იმუნად, რამდენადაც ზღვაზე ნაოსნობა, საპილოტო ტრანსპორტი და სხვ. მილიანად დამყარებულია მაგნიტურ ხელსაწყოებზე. მაგრამ ამ მოვლენებს დიდი მეცნიერული ინტერესიც აქვთ. მათი შესწავლა საშუალებას იძლევა არაპირდაპირი გზით წარმოადგენა ვიკონიით, როგორც დედამიწის აგებულებაზე, ისე მის გარეშე მდებარე იონოსფეროს სტრუქტურაზე.

უკანასკნელ ხანებში მრავალი მეცნიერი ფიქრობს, რომ მიწის ელექტრული დენები შეიძლება გამოიყენონ, როგორც მიწის ძვების წინასწარი მთქვეფლენი. როგორც ცნობილია, მიწის ძვები გეოფიზიკურ მოვლენათა ისეთ რაგს ვეუფლენიან, რომელთა დროის პროგნოზირება მეცნიერებას არ შეუძლია. აღნიშნული მეცნიერების მოსაზრება ემყარება საკმაოდ დასაბუთებულ წინასწარ მონაცემებს. ვინაიდან ელექტრული ველი არსებობს მიწის ქერქში, გარემოს (ამ შემთხვევაში მიწის ქერქის) ყოველგვარი გადაადგილება უნდა იწყვედეს დედამიწის ელექტრომაგნიტური ველის ცვლილებას და ეს ცვლილებანი დაკვირვების წერტილში უფრო ადრე უნდა აღინიშნოს, ვიდრე მიწისძვრა, რადგან ელექტრომაგნიტური ტალღები ვრცელდებიან სინათლის სიხვის სისწრაფით (300.000 კმ წამში), ხოლო დრკადი ტალღების გავრცელების სიქტარე არ აღემატება რამდენიმე კილომეტრს წამში. ამგვარად, სივალე მიწის შიგნით რყევის წარმოშობის შესახებ პირველად უნდა მიღებულ იქნენ ელექტრული ველის ჩამწერი იარაღის მიერ. ჩამწერიაროდ, ჯერჯერობით დაკვირვების საშუალებით არ ხერხდება მიწის დენების და მიწის ძვების შორის მტკიცე კავშირის აღდგენა,

მგერამ ამ მიმართულებით მეშაობა უთუოდ პერსპექტიულია.

გეომაგნიტიზმის და მიწის დენების პრობლემების დაბეჭედებაში ს. გ. წ.-ის განმავლობაში ფართო მონაწილეობას იღებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც სამ პრობლემაზე იმუშავებს — გეოელექტრიკი დენების, გეომაგნიტური დენების და მოკლებერიოდინი ელექტრიკი და მაგნიტური დენების შესწავლაზე. ძირითადად ეს დაკვირვებანი ჩატარდება ინსტიტუტის დეშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. ამასთან დაკავშირებით დეშეთში დამატებით აშენდა გეომაგნიტური მოკლებერიოდინი ვარიაციების დაკვირვების სადგური, რომელიც ერთ-ერთი ამ ოთხთავიანია, რომელზედაც ზემოთ გვექნება ლაბარაკი.

პოლარული და ლამის ცის ნათების საკითხები თანამედროვე გეოფიზიკის ერთ-ერთ სინტერესო პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის. პოლარული ნათება, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სინათლის მოვლენებს ატმოსფეროს ზედაფენებში, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფება იონოსფეროს. მდგომარეობასთან და, მანისადაც, დედაშიწის ცვლად ელექტრომაგნიტურ ველთან. პოლარული ნათება უკავშირდება ატმოსფეროს ზედა ფენების შედგენილობას და თვისებებს და მისი შესწავლა, ამგვარად, შესაძლებლობას გვაძლევს წარმოადგინა ვიქონიოთ ატმოსფეროს ისეთ სიმაღლეებზე, რომელნიც სხვა მეთოდებისათვის სრულიად მიუწვდომელია (700 — 1100 კილომეტრი).

ს. გ. წ.-ის განმავლობაში პირველ რიგში შესწავლება პოლარულ ნათებათა სინოპტიკა. ამისათვის სპეციალური სადგურების ხშირი ქსელი, რომელიც ეწყობა პოლარული ნათების რაიონებში (60° სიგანედის ჩრდილოეთით), შეიარაღებული იქნება ავტომატური კამერებით და აწარმოებენ ცის თაღის გადაღებას ბინდობას და დამე ყოველ ზეთ წუთში. ამ გზით შესაძლებელი ხდება პოლარული ნათების გაჩენის, განვითარების და გაქრობის პროცესის შესწავლა. გარდა ამისა, ამგვარი დაკვირვება შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ პოლარული ნათების განაწილება დედაშიწის ზურგზე და მისი სიმაღლე და გადაადგილება სხედასხვა სიგანეებზე. დაკვირვების შედეგად ყოველ 15 წუთში შედგება სინოპტიკური რუკა, რომლის შედარება სხვა გეოფიზიკურ მოვლენებთან შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ პოლარული ნათების კავშირი მზის აქტიუობასთან, მაგნიტური ევლის და მიწის დენების ვარიაციებთან და დენებთან, იონოსფეროს მდგომარეობასთან და სხვ. საბჭოთა კავშირი ასეთ ავტომატურ კამერებს აწყობს 30 სადგურში, მათში სამს ანტარქტიკაში.

ს. გ. წ.-ის განმავლობაში შეისწავლება აგრეთვე პოლარული ნათების ზონიდან რადიოტალღების არეკვლის ეფექტი და იწარმოებს თვით ნათების

მოვლენისაგან წარმომობილი რადიოტალღების რეგისტრაცია. ეს საშუალებას მოგვცემს დამუშავდეს პოლარული ნათების შესწავლაში ახალი მეთოდოკა, რომელიც არ არის დამოკიდებული დაკვირვების რაიონში ამინდისა და დრებლიანობისაგან.

თუ ს. გ. წ.-ის განმავლობაში მოსალოდნელი იქნა დიდი პოლარული ნათება, რაც სრულიად შესაძლებელია, რადგან 1957 — 1958 წწ. მზის აქტიუობის მაქსიმუმს თანხვდება, სპეციალური ექტერი გააფრთხილებს დაკვირვების სადგურებს სიგანით — „იყვ მზად“ განპირებული დაკვირვებების ჩასატარებლად. პოლარული ნათების დაკვირვებანი ჩატარდება საბჭოთა კავშირის, კანადის და დანის მიერ გრენლანდიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში და ანტარქტიკაში.

ლამის ცის ნათების მოვლენის შესწავლა ამგვარად ატმოსფეროს ზედაფენების შესწავლის პრობლემის ერთ-ერთი აქტუალური საკითხს წარმოადგენს. ატმოსფეროს ზედაფენები (70 კილომეტრის ზევით) გამოასხივებენ სუსტ სინათლეს, რომელიც წარმოადგენს ამ ფენების შემადგენელ ვაზების ნათებას. მიწის ზედაპირზე ამ ნათების შემსწავლა შეიძლება მხოლოდ ლამით, უღრუბლო ცაზე, შეტად მგრძნობიარე იარაღების — ფოტოელექტრიკი ფოტომეტრების საშუალებით. ეს შესწავლა საშუალებას იძლევა მივიღოთ ძვირფასი მასალა ატმოსფეროს ზედი ფენების შედგენილობის, მისი ფიზიკური მდგომარეობის, მასში ქიმიური პროცესების მიმდინარეობის შესახებ — აგრეთვე დაეადგინოთ ამ მოვლენების კავშირის ხასიათი მზის გამოსხივებასთან და მათი გავლენა ატმოსფეროს ქვემო ფენების მდგომარეობაზე.

ს. გ. წ.-ის განმავლობაში იწარმოებს ლამის ცის ნათების სინტემატური გაზომვები მისი ინტენსიუობის, გეოგრაფიული განაწილების, დედაშიწური და სეზონური ვარიაციების შესწავლის მიზნით. ასეთი დაკვირვებები ჩატარდება აგრეთვე რაკეტების საშუალებითაც სპეციალური სადგურებიდან მოხდება ცის თაღის ავტომატური გადაღება ყოველ ნახევარ სათოთში. ამ მოვლენის დაკვირვებას ძირითადად აწარმოებენ საბჭოთა კავშირი, ინდოეთი, იაპონია, საფრანგეთი.

საბჭოთა კავშირში ეს დაკვირვებები მოეწყობა ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, მერმანსკში, ლენინგრადში, მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ატმოსფეროს ფიზიკის ინსტიტუტის მიერ, ყაზახეთის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც ამ მიზნით შექმნილია სპეციალური აპარატურა (ფოტოელექტრიკი ფოტომეტრები) და აშენდა სპეციალური კოქტრა.

იონოსფეროს შესწავლის საკითხს დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე გეოფიზიკაში. იონოსფერო-

რო წარმოადგენს ატმოსფეროს ზედა ნაწილებს (100 კილომეტრის ზეით), რომელიც ელემენტარ-გამტარობით ხასიათდება და რადიოტალღებს არეკლავს ლითონის მსგავსად. წინათ ფიქრობდნენ, რომ იონოსფერო რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული შრისაგან შედგება. თანამედროვე რაკეტული დაკვირვებები გვიჩვენებენ, რომ იონოსფერო ერთ შრეს წარმოადგენს, თვსებების ადგილობრივი ცვლილებებით. იონოსფეროს ელემენტრული დენების სისტემები დიდ გავლენას ახდენენ მთელ რიგ გეოფიზიკურ მოვლენებზე და მათი შესწავლის მეთოდებიც დამყარებულია მის მებრ რადიოტალღების არეკვლას თვისებაზე.

ს. გ. წ.-ს განმავლობაში 160-მდე სადგურ-მსოფლიოს ყველა კუთხეში ე. წ. იმპულსიანი რადიო — ზოდირების მეთოდით აწარმოებს ასეთ შესწავლას. ეს სადგურები განაწილებული არიან ისე, რომ მათზე დაკვირვებანი წარმოადგენას მოგვეცემენ მშვიდი და ლეღიანი იონოსფეროს მორფოლოგიები, მის სტრუქტურაზე და მოძრაობაზე. დაკვირვებები მოეწყობა არა მარტო მწაზებ, არამედ თვითმფრინავების და რაკეტების საშუალებითაც, რომლებზედაც დაიდგება სპეციალური ავტომატური ხელსაწყოები.

ეს დაკვირვებანი მოგვეცემენ მასალას, რათა გამოავსკოთ იონოსფეროს დამოკიდებულება მზის აქტივობასთან, პირარული ნათების, ღამის ცის ნათების და გეომანტიტურ მოვლენებთან. ამ უკანასკნელის და იონოსფეროს ურთიერი დამოკიდებულების შესწავლის მიზნით რამდენიმე იონოსფერული სადგური განლაგდება ერთ გეომანტიტურ სივანდზე.

მეტეორებზე დაკვირვებების დროს შესწავლება მათი, როგორც ატმოსფეროს მაინიზირებული ფაქტორის აქტივობა. მეტეორების შესწავლა საშუალებას გვაძლევს მათი კვალის გომოჩენის ზონაში (60 — 110 კმ სიმაღლე) წარმოადგენა ვიქონით ატმოსფეროს სიმკვრივეზე, წნევასა და ტემპერატურაზე, აგრეთვე ატმოსფეროს დინების ხასიათზე. ეს დაკვირვებები ჩატარდება სხვადასხვა სივანდებზე და სხვადასხვა სეზონში და ამგვარად საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ატმოსფეროს თვისებები სივანდების და სეზონური ცვლილებების მიხედვით. ასეთი დაკვირვებანი მასალას მოგვეცემენ აღნიშნულ სიმაღლეებზე ფრენისნობის პირობების გამოსარკვევად.

მზის აქტივობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანი ინტერესს ის გარემოება იწვევს, რომ მზეზე მიმდინარე პროცესები უშუალო გვილენას ახდენენ და განაპირობებენ მთელ რიგ გეოფიზიკურ მოვლენებს (მაგნიტური აღფრები, იონოსფეროს მდგომარეობა და სხვ.). ამ პრობლემის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც მზე დედაშიწის ზედაპირზე ცოცხალი

არსებების განვითარების საქმეში თამაშობს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმანულია, რომ შესაშე ს. გ. წ. თანხედებზე მზის-მაქსიმუმული აქტივობის პერიოდს. თვით ს. გ. წ.-ს პროგრამით გათვალისწინებული მთელი რიგი გეოფიზიკური მოვლენების პროგნოზი (მაგალითად, მაგნიტური დედები, იონოსფეროს მოძრაობანი, პოლარული ნათება და სხვ.) დამოკიდებულია მზის აქტივობისაგან. ამიტომ მზეზე მიმდინარე პროცესების შესწავლა, ს. გ. წ.-ს განმავლობაში, ფართოდ იქნება წარმოებული.

ს. გ. წ.-ს განმავლობაში მზის სამსახური ითვალისწინებს მზის ქრომოსფერული და ფოტოსფერული წარმონაქმნების (ლაქები, ფლოკულები, პროტუბერანციები, ამოფრქვევები) ყველა მახასიათებლების (განლაგება — კოორდინატები, სიძლიერე, გავრცელების ფართობი და სხვ.) შესწავლას, მზის საერთო მაგნიტური ველის და მისი რადიოგამოსხივების სისტემატურ გაზომვებს. ს. გ. წ.-ს განმავლობაში იწარმოებს სხვადასხვა სიმაღლეზე მზის სპექტრის ფოტოგადაღებები რაკეტების საშუალებით.

საბჭოთა კავშირში მზის შესწავლაში მონაწილეობას მიიღებენ პულკოვოს, კიევის, ყირიშის, ხარკოვის, მოსკოვის (დედაშიწის მაგნიტოზონის, იონოსფეროს და რადიოტალღების გავრცელების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ტაშკენტის, აღმაატის, შორეულ აღმოსავლეთის, ირქუტსკის და ახასთუმნის რბსერვატორიები. ეს უკანასკნელი აწარმოებს უმათერესად მზის ქრომოსფერულ დაკვირვებებს სპეციალური ხელსაწყოებით, სპექტროპელეოგრაფიით და ქრომოსფერული-ფოტოსფერული ტელესკოპით. ამ დაკვირვებათა საწარმოებლად ობსერვატორიის ტერიტორიაზე აშენდა სპეციალური მზის პავილიონი.

კოსმოსური გამოსხივების ინტენსივობის ვარიაციების ერთდროული შესწავლა პირველად იქნება განხორციელებული მთელი დედამიწის მასტაბით. კოსმოსური გამოსხივების ვარიაციების ინტენსივობის გაზომვის საშუალებით დადგინდება მისი კავშირი მზის და მაგნიტურ აქტივობასთან, მეტეოროლოგიურ, აეროლოგიურ, იონოსფერულ და სხვა გეოფიზიკურ მოვლენებთან. რადგან ს. გ. წ.-ს განმავლობაში მზის და მაგნიტური მოვლენების ინტენსიურა შესწავლა სწარმოებს, ამდენად კოსმოსური გამოსხივების დაკვირვებებს დიდი მნიშვნელობა ეძლევათ და შესაძლებელი ხდება დამუშავდეს გეომანტიტური დედების თეორია, იონოსფეროში არსებული ელემენტრული დენების სისტემების მოქმედების მხედველობაში მიღებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომპლექსური გადამყვება საკითხისა გამოსხივების პირველადი კომპონენტის ვარიაციების წარმოშობის შესახებ მეორადი კომპონენტის ვარიაციებზე დაკვირვების საშუალებით.

კოსმოსური გამოსხივების შესწავლა, გარდა მიწის ზედაპირისა, იწარმოებს თვითმფრინავებში-

დანაც, საპერო ბურთებისა და რაკეტების საშეაღებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობას მიიღებს საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის თბილისის კოსმოსური სხივების სადგური, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა და რომელსაც მიღებული აქვს სრულიად ახალი სპეციალური აპარატურა.

გრავიმეტრული ანუ სიმძიმის ძალის ბქაჩარების გაზომვები უმთავრესად იწარმოებს დედამიწის ძველ მისადგომ ბუნებრივ (ანტარქტიდა) და ისეთ რაიონებში, სადაც ასეთი გაზომვები ნაკლებად რაოდენობით არის ჩატარებული. გრავიმეტრული გაზომვების საშეაღებით დასახვლია შეისწავლით გეოიდის ფიგურა და მიწის ქერქის შინაგანი აგებულება.

სიმძიმის ძალის ბქაჩარების ვარიაციების განუწყვეტელი რეგისტრაციის საშეაღებით შესაძლებელი იქნება შეისწავლით მიწის დრეკადი მიმოქცევის პრობლემა, რომელიც გამოწვეულია მზის და მთვარის მიზიდულობის გამო. ამით ჩვენ შევძლებთ დედამიწის ქერქის დრეკად თვისებებზე თანაგვლით. ასეთი სადგურები, ილუმერელნი თანამედროვე სტაციონარული გრავიმეტრებით (სიზუსტე — 0,01 მილიგალი), საბჭოთა კავშირში ეწყობა ბელკოვოში და კრასნოე პაზრაში, მოსკოვის მახლობლად.

გრავიმეტრული დაკვირვებების საშეაღებით შეისწავლება საერთო სიმძიმის ძალის ბქაჩარების ცვლილებისა დროის მიხედვით, რაც შეაძლებელია გამოწვეულია დედამიწის შიგნით მასების გადაადგილებით.

ს. გ. წ. ს. პროგრამის თანახმად, დედამიწის სეისმერობა შეისწავლება მხოლოდ ძველად მისადგომ მხარეებში, რომელნიც ამ მხრივ ძალიან სუსტად ან თითქმის სრულიად არ არიან შესწავლილი. დედამიწის ასეთ რაიონებს ეკუთვნიან ანტარქტიდა, არქტიკა და გვატარული ზონა.

არსებული მონაცემების მიხედვით, ანტარქტიკა წარმოადგენს დედამიწის მთავარი სეისმური ზონების პერიოდულ ნაწილს. დედამიწაზე ყველაზე აქტიურად ითვლება წუნარი ოკეანეს ზონა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სეისმური სარტყელის დასავლეთი ნაწილი, ახალ ზელანდიაზე გავლით, მიემართება სამხრეთ მაგნიტური პოლუსისაკენ, მაგრამ ანტარქტიდის კონტინენტს არ ილუმერს. მეორე სარტყელი მიემართება სამხრეთი ამერიკის წუნარი ოკეანეს სანაპიროზე, ვადადის ატლანტიკის ოკეანეში, წრიულად ბრუნდება უკან და ილუმერს ანტარქტიდას. ამ უკანასკნელის სეისმერობა სუსტად არის შესწავლილი; მოსალოდნელია, რომ იქ არსებული ამაღლებული უბნები ინტენსიურ მიწის ძვრებს განიცდიან. მათ შეასწავლავ ანტარქტიდის კონტინენტზე სეისმურ სადგურებს აწყობენ ამერიკის შვერთებული შტატების, ინგლისის, არგენტინის, ახალი ზელან-

დიის, საფრანგეთის, ჩილის და საბჭოთა კავშირის ექსპედიციები. კერძოდ, საბჭოთა კავშირში აქ აწყობს რა სეისმურ სადგურს, სადაც იწარმოებს მიწის ძვრის ძვრების განლაგების, მისი ძალისა და სიხშირის შესწავლა.

არქტიკის სეისმერობა გაიცლებით უკეთ არის შესწავლილი, რაშიც დიდი დეაწლი საბჭოთა მეცნიერებს მიუძღვის. აქ რეგისტრირებულია საკმაოდ მძლავრი მიწის ძვრები, რომელნიც უკავშირდებიან არქტიკის სეისმერობის სარტყელს. ეს უკანასკნელი მიიმართება მდინარე ლენის შესართავიდან ლაპტევის ზღვისაკენ, გაივლის ფრანკოვის მიწის და შპიციბერგის ჩრდილოეთით, იანმაიენის კუნძულზე და ისლანდიათან უერთდება ატლანტიკის სეისმო-აქტიურ ზოლს. ამ რაიონში მოქმედებს სხვადასხვა ტიპის (ღანია, ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია, ალიანკა და სხვ.) სეისმური სადგურები, რომელნიც ახალი მაღალგრანობიარე აპარატურით შეიქმნიან. საბჭოთა კავშირი, არსებული სადგურების გარდა, არქტიკაში აწყობს სამ ახალ სეისმურ სადგურს.

გვატარული ზონაში სეისმური სადგურები მოეწყობა, პირველ რიგში ინდონეზიაში და წუნარი ოკეანეს კუნძულებზე. ძირითადად ამ სამეზობლებს ჩაატარებს საბჭოთა კავშირი და ამერიკის შვერთებული შტატები.

დედამიწის ზედაპირი, მიწის ძვრების გარდა, რომელნიც დროგამოშვებით გამოვლინდებიან ხოლმე, განიცდის განუწყვეტელ სურტ რუეებს, რის შედეგადაც მხოლოდ მგრძობიარე იარაღებით შეიძლება. ამ რუეებს მიკროსეისმები ეწოდება. მათი პერიოდი ჩვეულებრივ 3—9 სეკუნდს უდრის და ამაღლდება 100 მიკრონამდე. მიკროსეისმების წარმოშობის უკავშირებენ ზღვის ქარიშხლებს, ციკლონურ მოქმედებას, ძლიერ ქარს და სხვ. ამ მოვლენების შესწავლა საშეაღების მოგვეყმს ემსჯელოთ მათი წარმოშობა მიზეზებზე და მათი პროგნოზის შესაძლებლობაზე. ამ პრობლემაზე იმუშავებენ ინდოეთის, იაპონიის, ამერიკის შვერთებული შტატების, სამხრეთ ამერიკის კავშირის და მექსიკის მეცნიერები. საბჭოთა კავშირი მიკროსეისმებზე დაკვირვებს აწიებს ატლანტიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში, წუნარი ოკეანეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ზედალთაზე ზღვის სანაპიროებზე.

პრობლემათა შემდეგი გვეუთი, რომლის მასალის ნაწილი გამოყენებული იქნება მხოლოდ მომავალში, შეისწავლის გეოსტრონომიულ და გეოდეზიურ საერთოებს. დროისა და სივრცეების განსაზღვრა მოხდება მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიებს შორის, რაც აქამდე ორჯერ იყო ჩატარებული. სივრცეების, სივრცეების, განიცდიან პერიოდულ და საუცხოვრებრივ ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია დედამიწის პოლუსის გადაადგილებასთან და მიწის ზედაპირის საუცხოვრებრივ დეფორმაციებთან. სივრცეების ცვლილება შეიძლება დაკავშირებული

ფის მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან (წნევა, ქარი, ოკეანის მდინარება და სხვ.). შესაძლებელია ეს მოვლენები იწვევდნენ დედამიწის მასების გადაწვევებს და პოლუსის გადაადგილებას დედამიწის მოძრაობის ოდენობის მიმდინარე ცვლილების გამო. იგივე ფაქტორები შეიძლება მოქმედებდნენ მიწის ბრუნვის სიჩქარის სეზონურ არათანაბრობაზე. ამ საკითხზე არის დამოკიდებული დროის სამსახურის დაზუსტება.

სივანელების და სივარძელების ცვლილებების შესამჩნევად საჭირო არის მიწის ზედაპირზე მეტად ზუსტი გაზომვების წარმოება. ეს გაზომვები უნდა მეორდებოდეს რამდენიმე ათეულ წლების მანძილზე მაინც. ასეთი გაზომვების მეთოდი ამჟამად მდგომარეობს დროის ზუსტი სივანელების გადაცემა-მიღებაში და მთვარის მოძრაობის ხშირ ფოტოგრაფირებაში ვარსკვლავების ფონზე, რაც იწარმოებს დაახლოებით 20 ობსერვატორიიდან. მთვარე ამ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც ტრიანგულაციის პუნქტი. ასეთი მეთოდების საშუალებით ხერხდება მიწის პერიოდული გადაადგილება გეოზომოს ათეული სანტიმეტრების სიზუსტით. მიწის ვერტიკალური მოძრაობა ვაცილებით უფრო ადვილი შესამჩნევია ზღვების და ოკეანების სანაპიროებზე. ეს გაზომვები საშუალებას მოგვცემენ დავაზუსტოთ დედამიწის ფორმა, დროის განსაზღვრება, დედამიწის ბრუნვის სიჩქარე, და აგრეთვე ვამსჯელოთ მატერიალების შესაძლებელი მოძრაობის შესახებ.

ასეთი არის მომავალი მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამა, რომლის შესასრულებლად ფართო მომზადება ჩატარდა ყველა ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი გეოფიზიკური წლის პროგრამით გათვალისწინებული ყველა

პრობლემის დამუშავებაში იღებს მონაწილეობას და შეასრულებს მეტად რთულ მუშაობებს მაგალითად, არცერთი სახელმწიფო არ არის მყოფი კავშირისა, არ დათანხმდა მოეწყო დაკვირვებები ანტარქტიდის ცენტრში, სამხრეთ გეომაგნიტური პოლუსის და ეგრეთ წოდებული შედარებითი მიულწევლობის პოლუსის რაიონებში, იქ არსებული მეტად მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო. ტემპერატურა აქ აღწევს 67—70°-ს წელს ქვემოთ.

ს. გ. წ-ს განმავლობაში იწარმოებს დაკვირვებითი მასალის დაგროვება. გადაწყვეტილია, რომ მოეწყობა რამდენიმე მსოფლიო ცენტრი (ერთი მათგანი საბჭოთა კავშირში), სადაც გადაიგზავნება დაკვირვების ყველა პირველადი დოკუმენტი. იმ დიდალ მასალის დამუშავებას, რომელიც შესამე ს. გ. წ-ს განმავლობაში დაგროვდება დასკირდება არა ერთი წელი. ამ მასალის საფუძველზე გამოვლინებული იქნება ახალი მოვლენები, ახალი დამოკიდებულებანი და კანონები, რომელნიც განაგებენ დედამიწაზე და მის გარშემო სივრცეში მიმდინარე პროცესებს. ეკვი არ არის, რომ მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წელი გამოიწვევს მეცნიერების მრავალი დარგის და პირველ რიგში გეოფიზიკური მეცნიერების მძლავრ აღმავლობას, ხოლო საქართველოს მონაწილეობა ამ ღონისძიების ჩატარებაში მეტყველებს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების მაღალ დონეზე.

საერთაშორისო გეოფიზიკურ წელს ექნება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან ხელს შეუწყობს დედამიწის სხვადასხვა ქვეყნების და ხალხთა თანამშრომლობას და ამ გზით გადიოქცევა მძლავრ ფაქტორად მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მინიერ ჩიქოვანი



„ბაღაპრიანი“ და ქართული ფოლკლორული ტრადიცია

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბალავარიანის პრობლემათა კვლევა-ძიება მეტად ვაცხოველდა. ამას მოწმობს როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე გამოქვეყნებული ლიტერატურა, რომლის მიმოხილვა მოცემულია პროფ. შ. ნუცუბიძის ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. ჩვენ არ შევძლიართ ბალავარიანის ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხთა ვადაწყვეტაში. აქ ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ამ მსოფლიო ძეგლის ფოლკლორულ ტრადიციასთან დამოკიდებულება. აღნიშნულ საკითხს ვაყვართ შევზო ინგლისელი მეცნიერი პროფ. დ. მ. ლუნგი ნაშრომში: „ექვთიმე ქართველი და ვარლამისა და და იოასაფის თქმულება“¹.

პროფ. დ. მ. ლუნგის გამოკვლევაში ვკითხულობთ: „ასეთი ვერსია ახლა აღარ შემორჩენილია ქართულად, მაგრამ მისი გამოძახილები მოიპოვე-

ბა ქართველ მთიელი ტომების, ფშავეებისა და ხევსურების, ხალხურ თქმულებებში“². ამ სიტყვებში ჩვენი, როგორც ფოლკლორისტის, ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია.

„სიბრძნე ბალავარისა“ რთული შედგენილობის ნაწარმოებია. საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე მას მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია, რასაც ადასტურებს საქართველოში და მის გარეთ დატული ქართული ზეღწერები, აგრეთვე მისი არაბული და ბერძნული ვერსიები.

ბალავარის რომანი მსგავსებას ამჟღავნებს ფოლკლორულ ტრადიციასთან, ანდა, პირაქით, ქართულ ფოლკლორში გვხვდება „ბალავარის სიბრძნის“ მოტივები. ზედმეტი არ იქნება ვაიკინათ რამდენიმე საერთო ადგილი, იმ თანმიმდევრობით როგორც ამას ნაწარმოებში აქვს ადგალი.

1. თხრობის დასაწყისი

ამბავი ბუნეს მეფის დაბასიათებით იხსნება: „იყო ვინმე მუფთჳ ქვეყანასა ჰინდოეთისასა, ადვილსა, რომელსა ჰქვან ბოლატ, და სახელი მისი ბუნესი. იყო იგი წარმართ, კერამ-მსახურე ხოლო კაცი იგი იყო მშველ და მდაბალ და ფრიად მოწყალე გლახაკა“³.

ამბის მთავარი პერსონის დაბასიათებით დაწვება ნიშნულია როგორც კლასიკური პერიოდის ქართული საერო მწერლობის, ისე ფოლკლორული ეპოსისათვის. საილუსტრაციოდ მოსე ზონელის „ამირან-დარეჯანიანის“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დასახელება საყმარისი. მოსე ზონელი თავის გმირად მოთხრობას მსგავსი სიტყვებით იწყებს: „იყო ინდოთ მეფე აბუსალომ მორკმული და განგებანი. და არა იყო შეპირება გულსა მისსა“. ასევე შოთა რუსთაველი თავიდანვე გვაცნობს როსტევეს:

იყო არაბეთს როსტევე, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მალაი, უზგი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი,
ყმიანი“.

ამგვარი დასაწყისი გავრცელებულია ქართულ ხალხურ პროზაში. ამას ადასტურებს, ერთი მხრით, ცოცხალ ყოფიერებაში არსებული ფოლკლორული მოთხრობები, მეორე მხრით, უკანას-

კნელი საზი საუკუნის მანძილზე შესრულებული ჩანაწერები. მართალია, შესაძარებლად არ მოგვპოვება ბალავარიანის დროინდელი წმინდა ფოლკლორული ჩანაწერები, მაგრამ ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს უფრო მოგვიანო ხანაში XVII ს-ში მოპოვებული ნამდვილი ხალხური ტექსტები და იქამდე მოღწეული ძველთაძველი ზეპირი ტრადიცია. XVII საუკუნის ჩანაწერში მოქმელი თავიდანვე გვაცნობს ზღაპრულ გმირს: „იყო ერთი ღარიბი კაცი და დღიურად ორის ზურგს შეშას მოიტანდის: ერთს გაყიდის და სვემდის და ჰამდის, მეორეს კი დინოთმდის“⁴.

ბალავარიანის დასაწყისი ე. წ. რეალისტური ტიპის თხრობითი-კონკრეტული დასაწყისია, რომელიც ადრე დამკვიდრდა მხატვრულ სიტყვიერებაში და სამეცნიერო ლიტერატურაშიც ცნობილია⁵. როგორც ვტყობთ „ბალავარის სიბრძნის“ ქართული ავტორი აქ არ იჩენს ორიგინალბას, იგი მის დროს თხრობით განრებში დამკვიდრებულ ზერბს მიმართავს. ამ შემთხვევაში ყურადღების ღირსია ის, რომ თხრობის ამგვარი დაწყება უცნობი არის ბალავარიანის არაბული ვერსიისათვის“⁶.

¹ იქვე, გვ. 160.

² შ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, II, გვ. 112.

³ შ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 366.

⁴ Повесть о Варлааме и Иоасафе, 1947.

¹ თარგმანი იხ. „მნათობი“, №3, 1956.

² სიბრძნე ბალავარისი, ილ. აბულაძის გამოცემა, 1937.



II. უშვილობა

ბალაგარიანი მოგვითხრობს აბენეს მეფე უშვილობით იტანჯებოდაო. „და არა ესაა მას შვილი და შწებარე იყო იგი უშვილობისათვის, რამეთუ ფრიად მდიდარ იყო იგი, და სწადოდა, რამათაჲცა დაუტევა მკვდრი მონაგებთა ზედა. ამისათვისაც ევედრებოდა ღმერთთა მათ მისთა, რამათა მინანიონ მას შვილიერობაჲ, ხოლო იგინი ვერარას შემძლებულ იყვნეს კეთილისა ყოფად მისდა. ამისათვისცა. ეუღდ იქმნებოდა ვედრებაჲ მისი; გარნა ღმერთსა, რომელსა ყოველთა კაცთა მწეზავს ცხოვრებაჲ, მოწყალებისა მისთვის, რომელჰყოფდა გლახათა ზედა, მინანიკა მას შვილი კეთილი და საღმრთოჲ“.

სიკბანდისათვის თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ არაბულ ვერსიაში ინდოეთის მეფე ჯანაისარი (აბენეს) არ არის უშვილო, მას მხოლოდ ქალიშვილები უჩნდება.

თუ რელიგიურ მსჯელობას მხედველობაში არ მივიღებთ, ქართულ ბალაგარიანში უშვილობის ეპიზოდი შეიძლება რამდენიმე მოტივად დაიშალოს, ეს მოტივებია: ა) სრული უშვილობა, ბ) მეფის წუხილი — ვის დაუტოვოს მეგვიდრეობა, გ) ღვთისადმი ვედრება, დ) ვედრების შესრულება, ე) მეგვიდრის — ვაჟის გაჩენა.

ბალაგარიანში მოცემული უშვილობის ეპიზოდი, ყველა შემადგენელი მოტივით, თითქმის იდენტური თანამედრობით, ცნობილი არის ქართულ ფოლკლორშიც; არათუ ცნობილი, იგი დღემდე მტკიცედ არის დატული ხალხურ პროზაში და ფიქსირებულია საქართველოს მრავალ კუთხეში, მათი და ხარში. ფოლკლორული მონაცემების მიხედვით ეს მღვდმარტობა განსაკუთრებით აწუხებს მეფეებს, თავადებს, მდიდრებს, მკონებელ გლეხებს, საერთოდ — მესაკუთრეებს. ამ შემთხვევაში მშობლიურ გრძნობას მეგვიდრეობის უფლება აჭარბებს.

უშვილო ზღმწიფეთა რიცხვი ქართულ ხალხურ პროზაში არაა მცირე. აქ ყველა შემთხვევის ჩამოთვლა საქირო არ არის, დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს. „იყო ერთი უშვილო ზღმწიფე... ერთხელ ზღმწიფემ შესთხოვა ღმერთს:

ღმერთო, ერთი შვილი მომეცი, ნუ დარტყვებ უშვილოთ, ვის უნდა დარჩეს ჩემი სახელმწიფო და საცხოვრებელი“¹. ხალხურ მოთხრობაში ფაქტის აღნიშვნას მოსდევს შვილის ნატვრა, ღვთისადმი ვედრება, თხოვნის შესრულება და ასრულება.

უშვილობის მიზეზის გასაგებად მეფეები ზოგჯერ უცხო ქვეყნის აქიმ-მეციენერებსაც მოიწყვევენ (იქვე, № 188). მდიდარსა და ღიდ სახელმწიფოს მფლობელს უმეგვიდრეობა განსაკუთრებით აღონებს (ტ. 2, № 82); უშვილობაში მეფეს (იქვე, № 8, 4, 100, 131) ფუნქციურად შეიძლება შეენაცვლოს თავადი (იქვე, № 117), მდიდარი მებაღე (ტ. 1, № 54), ვაჭარი (იქვე №60), კოკლი მონადირე (ტ. 2, №122) და ა. შ. ეპიზოდის მხატვრულ სტრუქტურაში პერსონაჟთა მონაცვლეობას სიუჟეტური სიახლე არ შეაქვს; ფუნქცია ყოველთვის ერთია.

უშვილობის დაძლევა მარტო ღვთის დახმარებით არ ხდება. არაქრისტიანულ მითბრობებში ამ სენს ხალხური წამლობა ან მეთხთავის რჩევით მოპოვებული მაგიური საგნები ჰყურნავს (ვაშლი, უცდავების წყარო, ცერბანი ფოთლი). მსგავსი მოტივები იჩენს თავს X — XI საუკუნეში გაფორმებულ ეთერბანში, ამ ქართულ ტრისტიანიაში (ეთერბანი, შ. ნიქოვანის რედ., №№ 13, 16, 19, 25).

ზემო დასახელებული მაგალითების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ზღაპრის სხვადასხვა სოციალური წრედან გამოსული გმირები უშვილობას ისე განიცდიან, როგორც აბენეს მეფე; ღმერთბრძოლა და ფოლკლორულ ძველობაში მეგვიდრის გაჩენის საჭიროება ერთნაირად არის დასაბუთებული; ასევე საერთოა ვედრების და წყალობის მოტივები.

უმეგვიდრეობის ეპიზოდი სხვაგვარად არის წარმოდგენილი ბალაგარიანის არაბულ ვერსიაში. ასულებიან ჯანაისარ მეფეს ვაჟი უპირველესი ცოლისაგან შეეძინება, სიზმარში თეთრი სპილოს მონჯუნების ნიადაგზე. უშვილობის ეპიზოდის დამუშავებაში ქართული ვერსია არ ჩანს არაბულისაგან დამოკიდებული, ეტყობა თითოეულ მათგანს საერთოი წინამძღვრება გააჩნია.

III. ბედის მწერლები

აბენეს მეფე შვილის ბედის გაგებას ფილოსოფოსობის და წინასწარბრეტყველების საშუალებით ცდილობს. ძირითადად როგორც ქართულ, ისე არაბულ ვერსიაში ერთნაირად მიმდინარეობს აბენის ამოკითხვა, თუმცა არაბული მოთხრობა აქ შეტ ენაწილბარობას იჩენს. იოდასაფის ბედის ამოკითხვის ეპიზოდი ჩვენ ფოლკლორში ცნობილ ბედის მწერლების სიუჟეტს ვკავშირებ.

ხალხურ პროზაში ბედის მწერლები წინასწარმეტყველებენ, რა მოვლის ახლად დაბადებულს და როგორი თვისებების იქნება იგი. აბენეს მეფის მსგავსად ქართული ზღაპრის გმირებიც იღე-
12. „მნათობი“, № 7.

ბენ ზომების ბედისრჩეულ ყრმათა აღზრდის, ან მათი საზოგადოებისგან იზოლაციის, მიზნით. ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ხალხური ზღაპრების მეორე ტომში, 1948 წელს ჩაწერილ, ერთ მოთხრობას პირდაპირ „ბედის მწერლები“ ეწოდება (№ 125).

მკვარეობის დროს ერთი მდიდარი ვაჭარი გლეხის ოჯახში შეჩვრდა ღამის განსათევად. იმ ღამეს მასპინძლის ცოლს ვაჟი შეეძინა. მოედინენ ბედის მწერლები და ვაჭრის მთელი ქონება პა-

¹ შ. ნიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. III, გვ. 50.

ტარა ბავშვს უწინასწარმეტყველეს. ვაჟარმა ყუ-
რი მოკრა თუარა ბედის მწერლების საღებარს, ვა-
ნი მოკლა განიზრახა. მთორე დღეს ვაჟარმა
წონა ოქროთ გამოისყიდა ჩვილი ყრმა და წყალში
გადავლო დასაბრძოლად. ასე დაიწყო დაბადების-
თანვე ვაჟის დევნა. რა ზერხს არ მიმართა ვა-
ჟარმა, მაგრამ ბედისწერა, ოდობისისა და აბნე-
ლის მსგავსად, თავიდან ვერ აიძლინა.

ქრისტიანობებულ ზღაპრებში ბედის მწერლე-
ბად ანგელოზები გვევლინებიან. ამის ნიმუშია
თელი რაზიკაშვილის მიერ სოფ. ვეჯინში მოპო-
ვებული „ანგელოზების ნათლული ქალი“. წინას-
წარმეტყველება — არაწვეულებრივი ბედი შე-
იძლება ზოგჯერ ქრისტეს ნათლობის შედეგსაც
წარმოადგენდეს, როგორც ამას ადგილი აქვს
ჩვენს წელთაღმდეგეთა სხუთთაში წლით ადრე შექ-
მნილ, და შემდეგ ქრისტიანობებულ, ამირანის
თქმულებაში¹. ზოგჯერ ბედის მინიჭებაში კვი-

რძალი, პარასკევისძალი და ოთხშაბათისძალი
მონაწილეობენ (იხ. ჩე. ქართ ზღაპრები, II ტ-
ვა- 129).

ბალავარიანში აღწერილი ბედისწერისათვის ზო-
ვალ ხაზებში ემთხვევა ფოლკლორულ ტრადი-
ციას. მათ შორის სიტუაციურ განსხვავებამთან
ერთად სიტუეტური დაშორებაც იქნეს თავს.
ფოლკლორში როგორც კი ვაჟის ბედი ცნობილ
ვახდება, მაშინვე იწყება მისი დევნა, შევწრო-
ვება, თუმცა წინასწარ დათქმული მომავლის
შეტყუა არავის ძალუძს. ბალავარიანში სასიკვდი-
ლოდ იდევნება არა ბავშვი — იოდსათვი, არამედ
ქრისტიანები, რომელთა მიმღებრობა ნაწინას-
წარმეტყველები აქვს ბავშვს. მიუხედავად ამგვარ
წინშენელოვანი განსხვავებისა, მაინც საუფი-
რებელია, რომ ბალავარიანში თავს იჩენს საყო-
ველთაოდ გაერთელებული ფოლკლორული ტრადი-
ციის ბედისმწერლობის შესახებ.

IV. ბავშვის განკერძოებით აღზრდა

ამქვეყნოურ ამოებბათაგან დაეცის მიზნით
„მეოთხან ძესა თვისა აღუშნა ქალაქი“ და ბრძა-
ნა შეიღის „შენ შინა ვოფად“. წამოზრდილი,
უცუე განსჯაში შესული იოდსათვი იწყებს ფიჭრს,
თუ „რა არს შეწყვეტულებად ესე ჩემი ქალაქსა
ამასა შინა?“ ვაივებს თუ არა მიზეზს, მამას შე-
ვედებდა, გაუღოს ზღუდეშემოვლებული ქალა-
ქის კარი და გაუშვას ქვეყნის სახილველად.
იოდსათვი მამისაგან მიიღებს ნებართვას და სწრა-
ფად ვაგნობა ცხოვრების ვითარებას.

ბალავარიანში, მამასადავმე, ადგილი აქვს მო-
ზარდის იზოლაციას, მის ფეოდალურ ციხე-კოშკ-
ში აღზრდის შემთხვევას. ეს სიუეტური სხვათა შო-
რის ცნობილია ქართულ ფოლკლორშიც. მზეუ-
ბეცი კახურ მოთხრობაში ნათქვამია, რომ ხელმ-
წიფე თავის მზეუთუნახავ ასულს განკერძოებით
ზრდიდა. მეფის ასული მოწყვეტოდა იყო საზო-
გადობისგან, მშობელი მზის სხივსაც კი არ ავა-
რებდა მის. ერთხელ მამისგან შეგზავნილი ზოხბის
კერძი ქალმა გარეთ გამოსტყორცნა და საგრძელ

გამოტება. მაშინ ოთახს სხივები მოეფინა; ქალმა
დაინახა, რომ ქვეყანად მზე ყოფილა და გარეთ
გამოვიდა.

იოდსათვის მსგავსად, მზეუთუნახავი იწყებს
ცხოვრების გაცნობას, მოგზაურობას. პირველი
რკინის ქალაქში რკინის ქალბის ნახვას რკინის
კოცებით რკინის წყალზე რომ მიდიან. მეფის
ასული ამნაირადვე გაეცნობა სპილენძის ქალაქს,
ვერცხლის ქალაქს, ხოლო, დასასრულ, ოქროს
ქალაქსაც ეწვევა და ნაწინასწარმეტყველებ მზე-
უბეციის ამავეცა გაივებს. ქართულ ზღაპარში
აღწერილი რკინის, სპილენძის, ვერცხლისა და
ოქროს ქალაქები ჰესიოდეს პოემის „სამუშაონი
და დღენის“ ზეთ საუქუნეს მოგვაგონებენ.

ორსავე შემთხვევაში, ფოლკლორულ და ლი-
ტერატურულ ნაწარმოებებში შეიღის იზოლირე-
ბულად, განკერძოებით აღზრდის მიზანი ბედის-
წერის, ცხოვრების ამოების თავიდან აცილება,
მაგრამ მშობლები განზრახვას ვერ აღწევენ.

V. უცდავების ძიება

ბალავარიანი ფილოსოფიური შინაარსის თხზუ-
ლებაა. ამ მხრივ უფრადლებას იძუევს მსახელობა
სიკვდილის გამო, ადამიანის წარმავლობაზე. ქარ-
თული ვერსია ამ ნაწილში, არაბულისაგან განს-
ხვავებით. შნიშენელოვან თავისებურებასა და აზ-
როვნების სიღრმის იჩენს. თხზულების ავტორი
გარკვევით ანევენებს სიკვდილის გარდაუვალობის,
საყოველთაო ხასიათსა და ადამიანის წარმავლო-
ბას. შიშით შეჭრუნებული მეფის ძე აღმ-
ზრდელს ეჭმელმორთული ევედრება: მოთხარ,
არის თუ არა ჭიყვანა, სადაც სიკვდილი და სატ-
კოვარა არ არსებობს? „არა არს ცასა ქვეშე ევე-
თიარი ქვეყანადა“, — გადაჭრით პასუხობს ზან-

დან აღმზრდელი (ბალავარი, გვ. 14). ქართული
მწერლის ამგვარი მსჯელობა გადმოსცემს ავ-
რთველ ზღაპრების ერთი ჯგუფის კონტენტციას,
რომლებიც ერთიანდებთან სიუეტური რკალში:
„მიწა თავისას მოითხოვს“. ეს ზღაპარი პირველად
ფიქსირებულია თედო რაზიკაშვილის მიერ შეა
ქართულში, გორში თუ მის მახლობლად, მე-19
უყუნის 80-იან წლებში (მთქმელი სოლომონ გუ-
ლიშვილი).

ომოლი ვაჟი დედას ევითებდა: ვეულას მამა
ჰყავს და რატომ მე არა მყავსო? მოკვდაო, უთხრა
დედამ. — მამ იღარ მოვა? ან რა არის სიკვდი-
ლო, ჰკითხა შეიღმა. — ის აღარ მოვა, შეილო,
და ჩვენ კი წყაულთ იმასთან; სიკვდილის ვერაინ

1 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭველი ამირანი, გვ. 313.



მოერჩებით, ყველა მიწად ვიქცევით. დავიხიცი-
ბითო — მე არ მიიბოვნია ღმერთისთვის გამა-
ჩინეო, და რაეი გამაჩინა, რადღა უნდა მომ-
კლას, — თქვა ვაჟმა, — ისეთ ადგილას უნდა წა-
ვიღე, სადაც სიკვდილი არ არისო.

უკვდავების მძიმებელ ქაბუქს ჩვენი სახალხო
მთქმელები ზან როსტომელას უწოდებენ, ზან კი
უსახელო გმირად გამოყავთ. გილგამეშის მსგაე-
სად, უკვდავების ძიებაში ქართული ზღაპრის
გმირი მთელ მსოფლიოს მოივლის, ათას წელი-
წადს ტურფა ვაჭრთან გაატარებს, მაგრამ მი-
ზანს მიანიჭებს ჭრ მიალწებს.

იოდასათისა და მისი აღმზრდელის დილოვს
შორიდან ეგზოტრება ქართველი ქაბუქისა და
ტურფა ქალის საუბარი. ვაჟმა კეთხა: მშვენიე-
რო, მე სიკვდილს გამოვქვქვ, და არ იცი იმის-
თანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყევსო? ქალ-
მა უთხრა: მავისთანა ადგილი არსად არის. რას
ეძებ, ჩემთან იყავიო. ვაჟმა უთხრა: მე შენთან კი
არ წამოვსულვარ, იმისათვის წამოველ, რომ
იმისთანა ადგილი ვიპოვნო, სადაც სიკვდილი არ
არისო. ქალმა უთხრა: მიწა თავისას მოითხოვს,

შენ მაინც უკვდავებას ვერ შეიფერებ, აბა/მი-
თხარ რამდენი წლისა ვიქნები მეო, ვაჟმა დას-
ხედა: ქალის ახლად აკოვრებულე, აკოვრე, ვაჭ-
რის ფერი ლოყება ისეთი საუცხოეო იყო, რომ
ვაქს ერთ წუთში დაავიწყდა სიკვდილი. ვაჟმა
უთხრა: ბევრი-ბევრი ხუმრეთა წლისა იყოვო.
არაო, უპასუხა ქალმა, მე კმნილებს პირველ
დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარო.
მე „ტურფა“ მქვიან და არც როდის დაებერდები,
მუდამ ესე ვიქნები და არც მოკვდებიო. შენ აქ
იქნები ზემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისეე მიწა
მოვითხოვსო.

უკვდავების მძიმებელის ხალხური მოთხრობე-
ბი საქართველოს ყველა ნაწილშია გავრცელებუ-
ლი. ამ ციკლის ნაწარმოებთა სრული ჩამოთვლა
შეუძლებელია; ახლო ზანში გამოქვეყნდება ზვენი-
„ქართული ხალხური ზღაპრების“ მეოთხე ტომი,
სადაც ამ საინტერესო რკალს მთელი განყოფი-
ლება აქვს დამოძილი.

„სიბბძენე ბალავარისი“ გვაფიქრებინებს, რომ
მისი ავტორი იცნობდა „მიწა თავისას მოითხოვს“
ტიპის ხალხურ მოთხრობებს.

VI. თვალი პატიოსანი

ვაჭრულად გადაცმული ბალავარი ზანდან
აღმზრდელს ეუბნება: მსურს საყვირველი მკურ-
ნალი თვალიპატიოსანი შივართვა შეფის ძესაო.
(ბალავარი, 17). თვალიპატიოსნის ფუნქცია ქარ-
თულ და არაბულ ვერსიებში ერთნაირია. ეს მო-
ტივი ენათესავება ზღაპრებში გავრცელებულ სო-
ფეტს, რომელსაც შემდეგი სახე აქვს: სატრ-

ფოს მძიმებელი ვაეი ძვირფა თვალს, ბეველს
ან სხვა ნიშნის მსახურის შეუმჩნეელად ჩააგ-
დებს იმ ქურბელში, რომლითაც მზეთუნახავი
წყაროს წყალს მიირთმევს. მზეთუნახავი ძვირ-
ფას თვალს იპოვის და მის მომავალ განმათვი-
სუფლუბელს სასახლეში შეიპოვებს ისე, როგორც
იოდასათმა „ბრძანა შეყვანებად მის წინაშე კა-
ცისა მიქ“.

VII. პრომეთეს ცებერება

ბალავარიანის სელისმარგებელ მოთხრობათა
შორის მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს თვალ-
მარგალიტებით მორთული და ფსიხთ შევოზილი
კილოზების ამბავს. ერთხელ მეფემ გარეგნულად
ლამაზ კილოზანში ნაკელი, ძველები მძორისა და
სხვა უწმინდურებანი ჩააყრევინა, სამაგვიროდ
გარეგნულად ულამაზო კილოზანი პატიოსანი თვა-
ლებით, ძვირფასეულებითა და სურნელებით აავე-
სებინა. ამგვარად გამოადებული და თავდახურფ-
ლი კილოზნები მეფემ წააჩინებულთა წინაშე
დადგა და მათი დაფასება მოითხოვა. წარჩინე-

ბულნი შეცდნენ როგორც ზვესი: გარეგნულად
ლამაზი კილოზანი უძვირფასესად მიიჩნიეს.

კილოზნებით წარჩინებულთა გამოცდა პრომე-
თეს საქციელს მოგვაგონებს, როცა იაფეტის
შთამომავალმა ზარი ორ არათანამარ ნაწილაფ
გავო. ბალავარიანის მწერალი იცნობს ბერძნულ
მითს. ქართულ ტექსტში ნახმარი გამოთქმა „ძ უ-
აღ ზ ბ ი მძორისა“ მოგვაგონებს პრომეთეს
მიერ ც ა რ ი ე ლ ი ძ ვ ლ ბ ი ს ქონიანი ნაწილუ-
ბით დაფარვას.

VIII. ქალაქი ღამით

ქართული ბალავარიანის დაბეჭდილი ვერსია ლა-
კონურად ვაღმოსცემს იმას, რაც არაბულში ზოგ-
ჯერ ვრცელი მსჯელობის საგანია და საიგავო
თემას წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, მეფისა
და ვეზირის მიერ ღამით ქალაქის შემოვლის ამ-
ბავი. აღამაინების საქმიანობით დინტერესებუ-
ლი მეფე და ვეზირი ღამე სინათლის შექვზე ნავ-
იან ადგილას ცოლ-ქმარს ნახავენ, რომლებიც

უღარდელად მღერიან, მზიარულობენ და როყვენ
(ბალავარი, 26). ქვეყნის, ქალაქის ან სოფლის ღა-
მით შემოვლა გავრცელებული ზღაპრული სიუ-
ჟეტია. ზღაპრების მიხედვით მეფე და ვეზირი
ღამე ქალაქს ათვლიერებენ, ერთ სახლში სინათ-
ლეს შეამჩნივენ, მივლენ და ახალ დაქორწინე-
ბულთან მოქვეყნ ზარბაზს იპოვიან და ა. შ.

შეიძლება დაუშვაო, რომ არაბულ-ქართულ სუ-
ლისმარგებელ რომანს თავიდანვე ჰქონდა შეხება



ი. გრიშაშვილის „ლიბერალური ნარკვევები“



პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც მკითხველი ღებულობს ი. გრიშაშვილის ლიტერატურული ნარკვევების კითხვის დროს, ეს არის განსაკუთრებული სიყვარული იმ თემებისადმი, რომლებიც ავტორს აურთიევია თავისი კვლევებიდან. ამიტომაც, რომ წიგნში შერჩეულია და სათითაოდ დამუშავებული ისეთი საკითხები ქართული მწერლობისა და კულტურის ახლო წარსულიდან, რომლებიც აინტერესებს ი. გრიშაშვილს, როგორც, უბირველეს ყოვლისა, პოეტს. მეორე მხრივ, ი. გრიშაშვილის გამოკვლევებში აღსანიშნავია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბიბლიოგრაფიული სიღრმე: უარაა არის მოკვლეული შიგადაშიგ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული ცნობები, უშთაფრესად ისეთი ლიტერატურა, რომელიც შეიძლება ყველასათვის აღვივლად მისაწვდომი არ იყოს და რომლის გათვალისწინება უთუოდ სასარგებლოა; ასეთი სიღრმე ქართულ ეურნალ-გაზეთებში გაფანტული, ამჟამად მივიწყებული, ზოგიერთი ლიტერატურული მასალისა არ ტყირთავს მსჯელობას და ყოველთვის გარკვეულ ინტერესს აღძრავს მკითხველში. ასე, მაგალითად, ერთ ლინგვისტურ წერილში ავტორს აინტერესებს, რატომ არ იხმარებოდა ასე ხშირად ქართულ მწერლობაში ზენა „ყვეფს“ შემკვლელი სინონიმები ბელბულთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, სტენა, შღერა, ძახილი, გალობა, ეღერტული და მისთანანი. ავტორი შეიძლება დამკვირვებელი იყოს რამდენიმე ნიმუშის დასახელებით, მაგრამ იგი იმომშებს დიდძალ მასალას, რომელსაც არა მხოლოდ საილუსტრაციო, არამედ თავისთავადი ღირებულება აქვს (გვ. 485—490).

საკუთრებით ნაშრომისაგან მიღებული საერთო შთაბეჭდილების დახასიათებისათვის აუცილებელია აღინიშნოს ი. გრიშაშვილის წერის მანერა: მის მიერ თავიდან აღუწილია ჩვეულებრივ ამგვარი ზასათის წიგნისათვის ნიშნდომლოვი თხრობის სიმშრალე და მისაბზრებელი დეტალიზაციით გამოწვეული დაუინტერესებლობა; ავტორი არასოდეს არ დალატობს სიზუსტეს, მისი ნაშრომები მდიდარ ფაქტობრივ მასალაზეა აგებული, კონკრეტული მასალით დატვირთული. მიუხედავად ამისა, შეუნელებელი ინტერესით

იკითხება და ფართო მკითხველისათვისაც მისაწვდომი და მიმზიდველია.

წიგნის პირველ რეალში მოქცეულია ნაშრომები, რომლებიც ეხებოდნ ქართული რომანტიზმის სათავეებს. ცნობილია, რომ ი. გრიშაშვილს დიდი კვლევა-ძიებითო მუშაობა აქვს ჩატარებული ალექსანდრე ჰავჭავაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლის დარგში. ფართო ტექსტოლოგიური ძიების შედეგია იმ მწერლის თხზულებათა ავადემიური გამოცემა, რომელიც შესრულებულია ი. გრიშაშვილის მიერ 1940 წელს. მას დათვლილი აქვს უაღრესად საყურადღებო შენიშვნები, ლექსიკონი, ალ. ჰავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ნარკვევი, რომელიც ზოგიერთი ცვლილებით წარმოდგენილია სარეცენზიო წიგნში. აქ ამომწურავად და მთლიან სიღრმით, საარქივო თუ სხვა მასალების საფუძველზე, დახასიათებულია ქართველი რომანტიკოსის ცხოვრების გზა და მისი შემოქმედების თავისებურება. სპეციალური ნაშრომი ეძღვნება ალ. ჰავჭავაძის ერთ ლექსს, რომლისთვისაც ი. გრიშაშვილს დარქმევია „ვარდ და ბუღბუღი“. ესაა — გამოცემების მიხედვით — „საპარის ხმაზე“, რომელიც რეაგინალური არ ყოფილა, — ნ. ბარათაშვილის ერთი ცნობისა და მუენარეობის მინაწერის კვალაზე გეგმიუტანელი ხდება, რომ იგი ოდოვების ლექსის თარგმანია. ასევე საინტერესოა ავტორის მიერ აღმოჩენილი ლექსი ალ. ჰავჭავაძისა („მეფე რომ ვიყო“), რომელიც ე. ჰიუგოდან არის თარგმნილი. ამ ლექსის სხვა თარგმანებზეა ცნობილი და გაგრეკლებული საქართველოში (გ. ერისთავის, გრ. აბაშიძის, გ. ორბელიანის, შ. გურიელისა და სხვ.).

მე-19 საუუნის პირველი წლებში შეტად გავრეკლებული იყო ერთი რუსული სიმღერა: „Черный цвет, мрачный цвет.“ რუსულ პოეზიაში მას ბევრი ეხმარებოდა. მისი თარგმანა შეასრულა ალ. ჰავჭავაძემ („ფერისა ზნელა, ფერისა მელს...“). ამ თარგმანის საფუძველზე დაიწერა ბარათაშვილის ცნობილი „ცისა ფერის, ლურჯისა ფერის“. ჯერ კიდევ 1940 წელს ი. გრიშაშვილი წერდა: „სამწუხაროდ, ამ ლექსის სრული რუსული ტექსტი ვერ აღმოვაჩინეთ. იმედი კი მაქვს ეიპოვნო...“ ეს იმედი გამართლდა: სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილია ამ ლექსის სრული ტექსტი, რომელიც მიკვლეული იქნა ლენინგრადში ჩენი ავტორის მიერ.

ი. გრიშაშვილის, როგორც მკვლევარის, ცხოველ ინტერესს შეადგენს ქართველ და მომხმე ხალხთა ლიტერატურული ერთიანობისა. ასე, მაგალითად, წიგნში წარმოდგენილია საყურადღებო შედეგები, რომლებიც მიიღო ავტორის რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი მწერლების ქართულ სინამდვილესთან ერთიანობიდან. ამ არის დახასიათებული პუშკინის პირველი მთარგმნელები, კრილოვი და ა. წერეთელი, შვეტენკო და ქართული მწერლობა, გ. სუნდუკიანი და ქართული საზოგადოებრიობა და სხვ. ამ ნარკვევებში შეათხველი ამოკითხავს მრავალ საინტერესო ცნობას, დოკუმენტს, დღემდის უცნობ მასალას, ამასველს შე- 19 საუკუნის ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობის ინტერესებსა მომხმე ხალხების ლიტერატურულ მოვლენებთან, გამოჩენილ მწერლებთან, კულტურის მოღვაწეებთან. ავტორის მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური შედარებები ნათლად ეხსენს ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის ზოგიერთ საყურადღებო მხარეს.

ნარკვევების რაკლში — „ძველ თეატრში“ გეცნობით ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ქართულ თეატრთან, მის მიერ დადგმულ ცოცხალ სურათებს „მეფე ლირიდან“ (მეფე ლირი ილია ყოფილა), ილას — როგორც დელამატორის, პიესა „შაჰნავაზის“ ახლად აღმოჩენილი ავტორად და სხვ. აქვე დახასიათებულია ალ. ყაზბეგი როგორც მსახიობი (ამ დარგს დღემდის საუფუძლიანად არავინ შეგუბებია). დიდი ინტერესით იკითხება ნარკვევები — „ქართული შექსპირიანა და ივანე შაჰნავაზი“ და „ავსტრია ცაგარეანი“.

წიგნში რამდენიმე ნარკვევი გაერთიანებულია საერთო სათაურით — „დავიწყებულნი და გამოჩინებულნი“. როგორც ვიცით, ი. გრიშაშვილის ინციტივის გეუთენის დაარსება სერბისა „დავიწყებულნი და გამოჩინებულნი“, რომლის მიხანი იყო დღის სინათლე ეპოეა პოეტებს, რომლებიც „ასე თუ ისე, ჩრდილში იყვნენ მიმსდარნი“. ამ სერბიდან ი. გრიშაშვილმა დღემდის ვამოსცა ლადო ასობაძისა და სოლო გოშაძის ლექსები. სარეცენზიო ნაშრომში დახასიათებულია შიო მღვანელის უცნობი რეკოლუციური ლექსები, რომელთაგან ბევრი სიმღერებდა იყო გაგრძელებული (მაგალითად, „ნეტა, რას ნაღვლობს გეცაქო!“). იგი, გრიშაშვილს ცნობით, ჰართველ მუშებში დემონსტრაციის დროს „მარხლოვას“ მაგიერობას ასრულებდა... საგანგებოდ ზერდება ავტორი პოპულარულ ლექსზე „დილა“ („იბ, დილა, დილა...“), რომელიც გრ. თრბელიანის ლექსად არის მიჩნეული. როგორც ირკვევა ეს ლექსი გრ. დვანაძისა. საინტერესოა, რატომ არ უწევდნენ ანგარიშს გრ. თრბელიანის თხზულებათა რედაქტორები სრულიად აშკარა მითითებებს (იხ. სარეცენზიო ნაშრ. გვ. 400), რომელთა საფუძველზედაც „დილის“ თრბელიანისეული მიჩნევა ყოვლად შეეძლებოდა...

„მოგონებებიდან“ ჩვენი ყურადღებას იპყრობს შეხვედრები აკაკი წერეთელთან, მისი- შვილთან, კოტე მარჯანიშვილთან, ი. გრიშაშვილთან.

დიდი ინტერესით იკითხება ისტორიული მიმოხილვები ჩვენი დედაქალაქის ისტორიიდან. აქ ვეცნობით თბილისის იმ მოედნის წარსულს, რომელიც ამჟამად დიდი ლენინის სახელს ატარებს. ლენინის მოედნის ურსაუკუნეოების ისტორია კარგად ასახავს ჩვენი ქალაქის თანდათან ზრდასა და განვითარებას. საყურადღებოა აგრეთვე ბართაშვილის აღმართის ისტორიული მიმოხილვა და ცნობები პუშკინის ძველთან დაკავშირებით.

წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ლოკუმენტები და შენიშვნები“, ჩვენი ყურადღებას იპყრობს ახალი მასალები, ამასველს აკაკი წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობისა. საინტერესოა აკაკის ერთი მოგონება, რომელიც მისი ნაწერების არც ერთ ბიბლიოგრაფიაში არ მოიხილება და რომელიც დიბეჭდა „Заквказская реч.“-ში 1911 წელს. ამ მოგონების ქართული თარგმანი მთლიანადა მოცემულია წიგნში. იგი ეხება ინციდენტს, რომელიც მოსვლია ვეა-ფშაველას ერთ ავანტიურისტ აშინოვთან აკაკის თანდასწრებით. ამ ინციდენტს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ქართული კარიკატურებიანი ეურნალის ისტორია შვიცე საუკუნეში ჩაისახა და ამ დროიდან ქართული კარიკატურის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირდა ქართული იუმორისა და სატირის განვითარებას. სარეცენზიო წიგნში დახასიათებულია აკაკი წერეთლის თუმორისტული ეურნალი „ხუმარა“, რომელიც პირველი რეკოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის წლებში, ქართული ხალხის ერთგულ-ლოკალური ვათიუთნობიერების საქმეს ემსახურებოდა და რომელსაც გამოსვლისთანავე ივმა რეაქციის სუსტი. საინტერესოა, რომ აკაკიმ თავის „ხუმარაში“ პირველად გააცოცხლა ირანი ქართველი ხუმარა — ბენია და ბეშტა, მსგავსად „ქვალის“ ივანიკისა და გოჯასპირისა. ი. გრიშაშვილის სწორი შენიშვნით, „აკაკიმ ბენიას და ბეშტას მონოლოგებში გადაიტანა შამინდელი ყოველდღიური მტკიცეული საკითხები“ (გვ. 457).

ამვე განყოფილებაში ვეცნობით აკაკის დღემდის უცნობ ლექსს „ჩვენი მიხაკა“, რომელიც აღმოჩენილია დავით ერისთავის ქალადღებში (ამჟამად დაცულია ენტარქივში). როგორც ვტყობა, ის ლექსი არალეგალურად ვრცელდებოდა; იგი პამფლეტი დაწერილი გრად მიხეილ ტარიელის-ძე ლორის-შელიაშვილზე (1825 — 1888). ი. გრიშაშვილის დასკვნით, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1878 წელს.

ყურადღებას იპყრობს აკაკის მუხამაზის — „ნახევარი ცხოვრების გზა ვალოე“ შედგენილობის გამოკვლევა. ჩვენი საზოგადოება ამ ლექსის იცნობს ნაწევრების სახით. ი. გრიშაშვილი გეცნობს ლექსის თავდაპირველ (სრულ) რეაქციის



და ანალიზს უკეთებს იმ ტექსტუალურ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა მან ცენზურის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სარეცენზიო წიგნში მოცემულია რამდენიმე ერთმნიშვნელოვანი ნაშრომი.

შენიშვნაში ილია და „მებრვე“ ავტორი გვამცნობს, რომ ილია „H TOMY ПОДИННАМ“-ს შესატყვისად ხმარობდა „მებრვე“-ს, რომელიც სხვა შწერლებშიც გამოიყენეს, მაგრამ იგი ენაში არ დამკვიდრდა და ისევ სულხან-საბას „და მისთანანი“ გავრცელდა. ამ წერილში ზოგი რამ დასაზუსტებელია (მაგალითად, სალიტერატურო ენაში. ილიას მიერ შემოტანილად არის დასახელებული სიტყვები „ლიანადვი“, „სრა-სახელ“ და სხვ.). ნაშრომი „ბებულის ყუფა“ ქართულ ლიტერატურაში ეცხადა სიტყვის—„ყუფა“ მნიშვნელობას ჩვენს ენაში. ავტორი იმეორებს შრავალ მაგალითს ქართული შწერლობიდან იმის ნათელსაყოფად, რომ „ყუფა“ დაკავშირებულია ბებულებთან. დასკვნა ასეთია: „ყუფა“ ძველის ძველი ფორმაა და ჩვენი პიეტები მას შეგნებულად ხმარობდნენ. ყუფა ნიშნავს: შეძლების,

შეგნენას, შელაპარაკებას, შესიტყვებას. ჩვენს შწერლობაში ბებულები — აღვტარებულად — დიქციონარის ნიშნავს (და ისიც შეგვარებულად) ვარდი — ქალშვილს. ვაი (ბებულები) უკველ თვის თამაშია და პირველი ხმა მას ეკუთვნის ვარდი (ქალი) უფრო ესაბუნება... ყუფა წმინდა მხატვრული სახეა და ამ შემთხვევაში ნიშნავს მუხე, მაღალ ტემპს... ეს ფიგურალური გამოთქმა სრულად არ არის საითირო... ძველები სპეციფიკური პოეტური გამოთქმა, სცილდება დღევანდელ გავების და მოკლებულია, ჩვეულებრივ მნიშვნელობას“ (გვ. 490).

წიგნს ერთვის ნ. ბარათაშვილის შრომების, ილია ჭავჭავაძის, პ. უმიკაშვილის და ა. ცაგარელის წერილები სათანადო შენიშვნებითურთ.

როგორც ამ ჩვენი ზოგადი და არცთუ სრული მიმოხილვიდან ჩანს, ი. გრიშაშვილის „ლიტერატურული ნარკვევები“ სერიოზული მეცნიერული ნაშრომია, რომელიც საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში.

ზოთა ძიძინარი

წიგნი სამხრეთ საქართველოს ახლო წარსულზე.



სარეცენზიო წიგნის ავტორი ხ. აბულდიანი სამხრეთ საქართველოს ისტორიას, სრულად სამართლიანად, არ განიხილავს განცალკევებულად, საქართველოს ისტორიიდან მოწვევებით. ისმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა გაპირობებული აღმოჩნდა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლით. მთავრებრისა და ერისთავების შინაგანი ბრძოლები, მათი განდგომა და ზოგჯერ შეფის დასაპარტახებლად მტრის ბანაკში გადახვეწა შეიქმნა მთავარი მიზეზი საქართველოს დაქველდობისა, სეროთლ, და ოსმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობისა, კერძოდ.

ავტორი უმარავი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მკაფიოდ გვიხატავს იმ ტანჯვა-ვაგებას, რაც გადახდა თავს ქრისტიან ქართველებს მუსლიმანი ფანტიკოსების მხრივ. მაგრამ მტერმა ქართველის ნებისყოფა ვერ გატეხა, მან არ დაკარგა მდიდარი ენა, ადამ-წესები, ეროვნული თავისებურება. სამხრეთ საქართველოს შკეიდრნი ერთი წუთითაც არ ყრიდნენ იარაღს დაპყრობა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ სწამდათ, რომ ქართველები არ დაზოგდნენ ძალ-ღონეს თავისი მოძმეების განთავისუფლებისათვის. ეს

არქენა კიდევ უფრო განმტკიცდა, განთავისუფლების იმედი უფრო გაღვივდა მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა ერთმორწუნენ, ძლიერ რუსეთს.

წიგნის განყოფილებაში — „საქართველოს რუსეთთან შეერთება და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლება“ მოხმობილია დამაჯერებელი მასალა, საიდანაც მტკიცდება ის კეთილშეობილი გეგმვა, რაც განიცადა საქართველომ რუსეთთან შეერთებით, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების საქმეში.

სარეცენზიო წიგნში დახასიათებულია რუსეთისა და საქართველოს დაახლოებისა და დაცემის მიზნების ეკონომიკურ-პოლიტიკური ელთარება. რუსეთის მეფე პეტრე დიდი იმე დაინტერესებული იყო საქართველოს ბედით, რომ სიკვდილის წინ ანდერძში წერდა: „საქართველო უბედურია, დიაცვით იგი სარწმუნოების გულისთვის, გაუგზავნეთ მას ჯარი ჩემი ზაინის ხარჯზე“ (გვ. 57).

ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა ქართველებს დავამათ თავისი ძალები და გაეთავისუფლებინათ ოსმალეთის მიერ მიტაცებული მოძმეები. თვით აქარლები, მათი თავყავები რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ერთობ გააქტივდნენ თურქების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სელამ ხიმში-

ბ. ა. აბულდიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. აქარის ასსრ სახელგამი. 1957

შეიღო, ახმედ კიანაძე, ილია ხელაძე, ემერული ბაქვაძე, შერიფ და ხუსეინ ხიმშიაშვილები და სხვები მეთაურობდნენ სამხრეთ საქართველოს შეკლბოთა ერთგულ-განმთავისებლებელ მოძრაობას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სელემ ხიმშიაშვილი, რომელიც ოსმალეთის მთაწარის მიერ აჭარის მმართველად იყო დანიშნული. სელემ ხიმშიაშვილის პატრიოტიზმი იმდენად მაღალი იყო, რომ მის ოსმალებში თავი მოკვეთეს კიდევაც.

რუსეთ-საქართველოს ერთობლევა ბრძოლამ, სახალხო მოძრაობამ საშუალება მისცა აჭარლებს 1878 წელს თავი დაესხნათ თურქეთ ბატონობასაგან. სამხრეთ საქართველოს განთავისებლებამ საერთო-სახალხო დღესასწაული გამოიწვია. მაგრამ ოსმალები იარაღს რიდი ყრიდნენ. ისინი ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ ქართველების წინააღმდეგ. სამასი წლის მანძილზე ისლამით ვაზრუბებულ აჭარლებს აზინებდნენ იმით, რომ ქართველები მათ გაქრისტიანებდნენ, თან „მტკიცებდნენ“, რომ აჭარელი ქართველი როდია, ის მუსლიმანია, თურქია. ყოველივე ამან და, აგრეთვე, ცარიზმის აფრტებისა და მძებლეების უხეშობამ, მექრთამეობამ, კოლონიზატორმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ საგრძნობი ნაწილი მოსახლეობისა აჭარიდან გადაიხვეწა თურქეთში. ამგვარი ტენდენციების გაძლიერება შეაჩერა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მეტადინოვამ. აჭარის იმპერატორს და სათანადო დახმარება გაუწიეს აჭარლებს დ. შაქრეთლი, გ. ყაზბეგმა, შ. გურგულია, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვებმა. ქართული პრესა თავგამოდებით იცავდა მომეტა მტერებს, აქტიურად გამოდიოდა სულთანის აფრტებისა და ცარიზმის მოხელეების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ 1878 წლის 20 ნოემბერს ქართველმა მოღვაწეებმა ქ. თბილისში მოიპატარეს აჭარის თავკაცები, რომლებსაც გაუმართეს დიდი ბანკეტი მუხრან-ბატონის სასახლეში. ბანკეტს ესწრებოდნენ მასინდლებიდან: გ. ორბელიანი, დ. ყოფიანი, ა. წერეთელი, ს. უმიკაშვილი, ს. მესხი, გ. წერეთელი, კ. მამუკაშვილი, ანდრონიკაშვილი და სხვები, აჭარიდან: სუსეინ-ბეგ ბეჟანოლი, შერიფბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ხასან-ბეგ ბეჟანოლი, სულ-ბეგ-ხაღე მუხამბელი, ახმედ-ფეხდი ხალვაში და სხვა შრავალი. ამ ნაღობზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს გ. ორბელიანმა, ა. წერეთელმა, დ. ყოფიანმა...

ამაღლებული სიტყვით გამოვიდა შერიფბეგ ხიმშიაშვილი. მან მოსთხოვა თავის ძმებს დახმარება და ყურადღების გაძლიერება აჭარისადმი, განსაკუთრებით — ქართული სკოლების გახსნა, სწავლა-განათლების გაორცელება 300 წლის განმავლობაში სიბნელეში მყოფ აჭარელთა შორის. გახვითი „დროება“ ათავსებს ს. მეს-

ხის წერისს, სადაც ციტირებულია ერთი აჭარელის საუბარი. აჭარელი სიხარულით აღნიშნავს, რომ სარწმუნოების გამოცემა ახ. სწავლას ნათესაობის, ეროვნების გამოცეკვას. „დღესაც ჩვენი შამა-შაპების ნაწარვე ტარების პატრიოტიკა გვაქვს. შარათალია, შამაშინაშენი ვართ, მაგრამ ჩვენი შამა-შაპის სალოცავები კიდევ გვწამს, მივდივართ აღდგომის და შობის სხალთას, ზარზმას, ოზიზარს, კვარაყეს და მოვავსებ იქ სათლბო, სკმეველი, წითელი კვერცხები, გლოცულობთ როცა ავად. გავვიხლება ვინმე, სარწმუნო მივჯექვს იქ და ჩვენი შამა-შაპების ღმერთს ვევიდრებით“.

ავტორი ვრცლად განიხილავს ქართველ მოღვაწეების ფანჯარო დახმარებას აჭარლებისადმი, განსაკუთრებით, აჭარში სკოლების გასახსნევადა, აჭარელი ახალგაზრდობის თბილისში და რუსეთში სასწავლებლად გავიხანას და სხვა.

1878 წლიდანვე შეუდგნენ აჭარში ქართული სკოლების განხსნისათვის მზადებას. ილია ჭავჭავაძე, რამდენჯერმე იყო აჭარში, რომ მოვევარებინა სკოლების გახსნის საკითხი. ასევე იღუწოდნენ ნიკო ცხევაძე, ს. მესხი, ალ. ყაზბეგი, ანტ. ფურცელაძე, ი. გავგიშვილი და სხვები. მათი წყალობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება ახტარებს აჭარში სკოლების მოწყობას, მოუხედავად სულთანის აფრტებისა და ცარიზმის რუსთაქატორთა ხელისშეშლისა.

საინტერესოა ქართველთა ბრძოლის ეპიზოდო ბათუმის კეთილმოწყობისა და პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღებისათვის. ამ ღონისძიებებს ის მოჰყვა, რომ ბათუმში მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

საყურადღებოა აგრეთვე ბათუმის ქალაქისათვის საარჩევნო კამპანია. როგორც დ. კლდიაშვილი ვაგონავცევს, იქ, სადაც არჩევნები მიმდინარეობდა, თვალსაჩინო იდეალს იჯდა და არჩევნების „შვეულობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის ტფილისიდან ჩამოყვანილი, ილია ჭავჭავაძე“. არჩევნების დროს დიდი შეხლა-შეგობლა იყო. ქართველების ბრძოლის ხელმძღვანელობდნენ: ი. ჭავჭავაძე, ლ. ასათიანი, გ. ვოსკი, ი. მესხი, რომლებიც ებრძოდნენ შარაშველების ატამას — პალას (ვახუთ „ჩორნომორსკი ვესტიკის“ რედაქტორს), და ზრილოვსკის (როტმილის ქარხნის გამგეს). ქართველებმა შეძლეს ქალაქისათვად გაეყვანათ ლუკასათიანი, რომელიც სპეციალურად ჩამოყვანეს ქუთაისიდან. ქალაქის თვითმმართველობაში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ილია, აკაკი, გ. წერეთელი, ეგ. ნინოშვილი და სხვები, რომლებიც ამ საქმეში ქვეშაირტად ეროვნული ინტერესების დაცვას ხელმეძღვნენ.

ვრცლად არის წიგნი განხილული 1905 წლის რევოლუციის გამოძახილი ბათუმის ოქტომბრის ავტორი არკვევს პოლიტიკურ, ეკონომიურ

საკითხებს, ბათუმში მუშათა კლასის წარმომადგენელთა, ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობას და იმ დიდ ბრძოლებს, რომლებიც ნაბარტეს პარტიამ, მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ აკრიზისის წინააღმდეგ, ავტორის მოუპოვეთა ბევრი ახალი დოკუმენტი, რომლებიც შექმნიან ბირველ რევილუციის ბათუმის ოლქში და უფრო ფართოდ გვისურათებენ ამ ბრძოლების ეპიზოდებს, მამოძრავებელ ძალებს, მათ ხელმძღვანელებს...

უარს დღეში ჩაცვიფრენ აქარლები ბირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში. მაშინდელი პრესა აღსაცვდა ხალხის უნეტემო მდგომარეობის აღწერით, როდესაც უქმელ-უხმელი, ჩაუტვლი და უბნაოდ დარჩენილი ადამიანები ტყე-ტყე დაუხეტებოდნენ. ამ დროსაც ქართველები უფურცადღებოდ არ ტყებდნენ თავის მიმძებნებს.

სამხრეთ საქართველოს, განსაკუთრებით, აჭარის ამ პერტოლის მდგომარეობის ვრცლად აღწერითა და გადმოცემით ავტორი გვიჩვენებს თუ რას გაუტოვ, რას გადაურჩა ქართველი ხალხი და როგორ მოიტანა მან თავისი მშალი კულტურა საქართველოში სამქოთა წყობილების კარიბჭემდე, 1921 წლამდე.

სწორედ იქცევა ავტორი, რომ ასე ვრცლად განიხილავს ყველა ამ მოვლენას და, განსაკუთრებით, ქართველ მოღვაწეთა დამსახურებას სამხრეთ საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ, რისკვირველია, წარმატებას ვერ მიაღწევდათ, რომ თვით სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის შვილებს, თავაკებს არ ჩაეტარებინათ უდიდესი ღონისძიებანი საქართველოს ხელოვნებად გათიშული ამ ორი ნაწილის კვლე შესაბამებლად, აჭარლების ნდობის დამსახურებისათვის ქრისტიანი ქართველებისადმი.

ამ მიმართულებით დიდი საქმე გააკეთა თავის დროის დიდად განაალებულმა, ეურნალისტმა და პუბლიცისტმა ჰაიდარ აბაშიძემ, რომელიც ოცი წლის ასაკში, 1913 წლის 17 თებერვალს, გამოვიდა პრესის ფურცლებზე და შემდეგ კალმით თუ საქმით ერთი წუთითაც არ შეუწყვეტა ბრძოლა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, ქართული ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, სამხრეთ საქართველოს ეროვნულად გათიშობიერებისათვის. ჰაიდარ აბაშიძე „მათემის გაზეთში“ 1913 წლის 17 თებერვლის № 9-ში ხეხდა ოსმალეთისაგან საქართველოს ნაწილის დაპყრობის ისტორიას, როცა ამ მტარვალეებმა „ტრანიზონიდან დაწყებულ ნელ-ნელა დაპყრეს საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში აჭარა ქობილეთისა და შემდეგ აჭარა-ქობილეთი ზელში ჩაივლეს. შემდეგ მათ მარტო გამარჯვება არ აქმარეს და მოინდომეს ჩვენი წინაპრების გამამჰდიანება. ბევრი აწიოყების, აობრებისა და ხალხის წამების შემდეგ მათ განამტკიცეს მამაღის სჯული დაპყრობილ ადგილებში. მამაღის სარწმუნოე-

ბის მიღების შემდეგაც არ მოასვენეს ხალხი, მერე შეუდგნენ მისი კულტურის აღმოსებრას“ (გვ. 206). ამ სტრატეგებით „... ვინაჟინ თვისი ხალხს გაასხენებდა ომს, რომ ისინი ქართველებით არიან და რომ მამაღის რჯული ცეცხლათა და მხევილით აქეთ მიღებულ მოძალადეებისაგან, რომ ესეც არ კმარეს მტარვალეებმა და დაპყრობილ ქართველებს წართვეს კულტურის ყველა მონაპოვარი. ჰ. აბაშიძე პირდაპირ ეუბნება თავის ხალხს, რომ „სამასი წლის მანძილზე კულტურული ცხოვრება ჩაყვდა... კულტურული წინმსჯელობის მაგიერ, გიერთ წერტილზე გაიყინა, მან დაპყრვა ძველი კულტურის ნაინდერძევი და ჩამორჩა უკან თანამოძმე ქრისტიან ქართველებს“ (იქვე).

აი, აქედან დაიწყო ჰაიდარ აბაშიძემ მოღვაწეობა თავისი ხალხის სამსახურში და, რაც დრო გადიოდა, მისა მოღვაწეობის ასპარეზი მით უფრო ფართოვდებოდა. გადუქმარებლად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი, ცოტა თუ ბევრად საქირბორტო, საკითხი, რომელსაც ჰ. აბაშიძე არ გამოხმარებოდნენ და თავისი მაღლიანი სიტყვა არ ეთქვას, თავისი ენერგია, ცოდნა და სიყვარული არ ჩაეკსოვოს აჭარლების საკეთილდღეოდ, საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჰაიდარი იბრძოდა აჭარაში და, საერთოდ, სამხრეთ საქართველოში ქართული ენის დასაცავად, მისი ზელმუხებლობისათვის. დიდი დამსახურება ჰაიდარ აბაშიძისა იმაში მდგომარეობს, რომ მან, როგორც აჭარელთა შვილმა, ეროვნულად გაათითონიერა ხალხი, ნიადაგდღე უხსნადა მათ, რომ სარწმუნოების განსხვავება არ შეიძლება საფუძვლად დაელოს ეროვნულ სხვადასხვაობას. იგი გმობდა იმან საქციელს, ვინც აჭარლებს თათრებს ეძახდა, „ჩვენი ქართველები ვართ და არა თათრები“, ხმამაღლა გაძახებდა ჰაიდარი. „წინათ რომ აჭარლისათვის გკითხათ, თურქი ხარ თუ „ტურჯი“, ის გიპასუხებდა, რომ მე „ტურჯი“ (ქართველი) ვარ, ხოლო მისთვის, რომ გეტყვით, თათარი ხარ თუ ქართველი, იგი გიპასუხებდა, რომ „თათარი ვარ“ (გვ. 207). ჰ. აბაშიძე ერთნაირად კაცხავდა ქრისტიან ქართველსა და მამაღიან ქართველს, რომლებიც აჭარელს „თათარს“ უწოდებდა. პანთურქისტები თავს „ესმოდნენ ჰაიდარის, „გაქრისტიანდა“, და აქით „სახელს ეტყებდნენ“ მას თავის ხალხში, რომელიც უკერ კიდევ მამაღიანობდა. მაგრამ ჰაიდარი არ უშინდებოდა მათ გესლიან სისინს, ის ამბობდა, „სჯული სჯულად იყოს და ეროვნება ერთეობათ“ (გვ. 210).

დიდი დამსახურება მიუძღვის ჰაიდარ აბაშიძეს თურქოვლი ვინმე ვასფი ეფენდის წინააღმდეგ ბრძოლაში და აჭარლების დაცვაში. ჰაიდარი პირველი აჭარელთაგანია, რომელმაც თავისი მაღლა მდგომარეობა (ბეგი იყო) დეგმო ხალხის სამსახურში და შეფის მოხელეები ისე

ამხედრად, რომ იმედებელი შეიქნა აქარიდან პიოტრასში გადასახლებულიყო და იქიდან განუკრძო შეუდრეველი ბძოლა.

ჰაიდარ აბაშიძეს წაბაძეს და მასთან ერთად იბრძოდნენ სხვა აქარალებიც (დიდსენ ქიჭავაძე, იუსუფ კაიკაიშვილი, დიასამიძე, და სხვ.).

ჰართალია, სარეცენოი წიგნში ცალკე თავად და მოცემული „ჰაიდარ აბაშიძის როლი მამაქაღიან ქართულთა ეროვნული გათავისუფლების საქმეში“, მგრამ იმდენი მუშაობა აქვს ჩატარებული

ბული ჰაიდარ აბაშიძეს, რომ იგი ღირსი, ცალკე მონოგრაფია დაიწეროს შესწავლა. არ შეიძლება არ აღინიშნოს აქვენი ასრულებული ნაშრომის ღვაწლი ამ წიგნის გამოცემით, ხოლო აქარის ხელმძღვანელი ორგანიზების მხრივ ავტორის წაქეზება და მისდამი დახმარება ამ ნაშრომის შედგენაში.

3. გოგოლაკი

მონოგრაფია კახური დიალექტის შესახებ



ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტის შესახებ ამჟამად საკმაოდ სრული წარმოდგენა არსებობს, ხოლო ცალკეული დიალექტური მოვლენები დამყარებულია გამოკვლეული. მაგრამ ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუზრუნველბელი დიალექტური ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. დღესდღეობით გამოკვლეულია მხოლოდ ირრადე დიალექტური ლექსიკონი, კიდევ უფრო მეტივე რაოდენობით გვაქვს მონოგრაფიები ცალკეულ ელლათა შესახებ, ხოლო ქართული დიალექტოლოგიის ზოგადი კურსი ჯერჯერობით არ დამყარდა. მამასადაძე, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, — სიმკალი დიდა, ვასაყვთეველი ბევრი რამ არის. ამასთანავე ეს საქმე საშურიცაა: ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მძლავრი აღმავლობის შედეგად სალიტერატურო ენა სწრაფად ვრცელდება და მკვიდრდება მისასახლებლის ფართო ფენებში, ხოლო, სამაგიეროდ, თანდათანობით ქრება ბევრი დიალექტური თავისებურება, რომლებიც გარკვეულ ენათმეცნიერულ ინტერესს შეიცავენ.

ჩვენს საენათმეცნიერო ცენტრებში — მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიალექტოლოგიური კვლევებების განსაკუთრებული ფართო ხასიათი აქვს მიღებული, ყოველწლიურად ეწყობა დიალექტოლოგიური ექსპედიციები, რომლებშიც წამყვლია მოწინავე სტუდენტობაც. ამ საქმეში მონაწილეობენ აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტები და ადგილობრივი ინტელიგენცია. ამის შედეგად ვლინდება საინტერესო გრამატიკული თავისებურებანი, ზუსტდება მათი გავრცელების ფარგლები, მუშავდება ამა თუ იმ დარგის ლექსიკა და თანდათანობით იქმნება ნიადაგი სხვადასხვა დიალექტის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევების დასაწყრად. ერთ-ერთი ასეთი მონოგრაფიული ნაშრომი ახლახან გამოისცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. ეს არის არ. მარტაროსოვისა და გრ. იმნაიშვილის „ქართული

ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტი ლექსიკონით)“.

ცნობილია, რომ კახური დიალექტი ქართულთან ერთად წარმოადგენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს, მის მთავარ მასაზრდოვებელ წყაროთაგანს. ამიტომ ყურადღების გამახვილება პირველ რიგში სწორედ კახურისა და ქართულთანადასახებულ ბუნებრივი. ამჟამად გამოკვლეულ მონოგრაფიას კახურის შესახებ მალე მოჰყვება ანალოგიური ნაშრომი ქართულურზედაც და ამით ენათმეცნიერული წარმოდგენა ქართული ენის ფუძე-დიალექტთა შესახებ სრული ვახდება.

როგორც წიგნის ავტორები აღნიშნავენ წინასიტყვაობაში, „კახური დიალექტის ენობრივი მიმოხილვა ემყარება ცოცხალ მეტყველებაზე ავტორთა უშუალო დაკვირვებებს, ენათმეცნიერულად სანდო ტექსტებს, რომლებიც შეკრებილია წლების მანძილზე კახეთის სხვადასხვა სოფელში დიალექტოლოგიური ექსპედიციებისა და სემინარიო მივლინებების საშუალებით, და აგრეთვე კახეთისადმი მიძღვნილ მნიშვნელოვან გამოკვლევებს“. ამ გამოკვლევათა რიცხვი, როგორც წიგნის ბოლოს დართული სიიდან ირკვევა, საკმაოდ დიდია. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებულა კახურის თანმიმდევრული შესწავლისათვის დიალექტოლოგიური ექსპედიციების საშუალებით. ეს ექსპედიციები მოიცავენ კახეთის ყველა კუთხეს (და თითქმის ყველა სოფელსაც კი), რაც საშუალებას აძლევს ავტორებს ნათლად წარმოგვიდგინოს ის თავისებურებანი, რაც თავს იჩენს ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის განვითარებისას სხვადასხვა კუთხის მეტყველებაში.

მონოგრაფიის შესავალ ნაწილში დახასიათებულია ქართული ენის დიალექტებისა და კერძოდ კახურის შესწავლის მდგომარეობა, განხილულია კახეთის მოსახლეობის შეზღუდვლობა, გარკვეულია კახურის მიმართება ქართულთან და სხვა აღმოსავლურ დიალექტებთან. სპეციალურად ყუ-



რადღება აქვს დათმობილი კახურ დიალექტურ მოვლენებს ისტორიულ საბუთებში, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ამა თუ იმ დიალექტური მოვლენის ხნოვანება.

წიგნში სათანადო ყურადღება ექცევა კახურ დიალექტური მოვლენებს აგრეთვე მწერალთა ენაში, როგორც მონოგრაფიის ავტორები შენიშნავენ: „კახეთიდან გამოსული გამოჩენილი მწერლები თვითრახ პირველი, არჩილი, თვითრახ მეორე, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, რაფელ ერისთავი, იროდონ ვედოშვილი და სხვები, ხოლო თანამედროვეთაგან გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, მთებელ მრეწველ-შეილი და სხვები თავიანთ ნაწერებში არც თუ იშვიათად შიშობათავენ კახურ სასაუბრო მეტყველებას“.

ამ დებულების საილუსტრაციო მასალა უხვადაა მოყვანილი წიგნში ამა თუ იმ დიალექტურ მოვლენის განხილვის დროს.

ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი კახურის ბგერითი შედგენილობა და გავრცელებული ფონეტიკური პაროცეზები. მკაველი საინტერესო მოვლენაა განხილული მორფოლოგიასა და სინტაქსშიც — მათ შორის ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ცნობილი იყო საზოგადოდ ქართულში, მაგრამ არ იყო შენიშნული კახურ ენაში. ამაყარი მოვლენები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ, რადგან ისინი გამოხატავენ ვანეთიანების საერთო ტენდენციებს.

გამათრეველ მოვლენათაგან, საყურადღებოა, მაგალითად, ის სეფიქსის ხმარება ავ-ის ნაცვლად: „თურმეობით პირველში (აგრეთვე აწმყო სტატუტებთან) — ავ და — ამ თემატური ნიშნის ადგილას ხშირად — ი — გვაქვს; მაგ. მოუწამლა, მე არ მიწახბა, უწახბა, თორმეტი კაცი ვამოლახია, ვერ ვაუბედიო, თავის შევილახიოვის უთქვია, ვითქვია, ბავშვი ხელზე უპერია... — ი — არის ნ-სთანაც: მოვიპარნაო, იმ პატარა ქალს დაუბაღნია სამი ვაშლი, ამ დედაკაცს მოუხარწნია ქათამი, მოუტაცნია და წაუღია...“ (გვ. 98.)

ძალზე საინტერესოა სიტყვათწარმოების თავისებურებანი კახურში, რასაც თავისი ასახვა უპოვია მწერლობაშიც, კერძოდ ილია ჭავჭავაძის ენაში.

მონოგრაფიაში გვხვდება ზოგიერთი სადავო და არასწორი დებულებაც. საეჭვოა, მაგალითად,

დასკვნა, თითქოს „სებნიქტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის გამოკლებით დიციული წესი ძირითადად დაცულად ყავებში“ (გვ. 106).

ავტორები აღნიშნავენ, რომ „წოდებითი ზოგიერთი ბოლოთანხმოვნიანი საზოგადო სახელი ბრუნვის ნიშანს არ იღებს, — ახე დასრულებული ზოგი საზოგადო და საკეთარი სახელი კი ხშირად იკვეცს ფუძის ბოლო ხმოვანს, რადგანაც ამ სახელებში ა ხმოვანი ზოგჯერ გავებულის კნინობითის საწარმოებლად“ (გვ. 72). გამოვლინა, თითქოს კნინობითის ა წოდებითში საერთოდ ეკვეცებოდეს სახელს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.

წიგნში შედარებით მკრთალადაა განხილული კახურ დიალექტის ლექსიკა. ლექსიკის შესახებ მსჯელობას მხოლოდ გვერდნახევარი უჭირავს, ხოლო ლექსიკონი, რომელიც ტექსტებს აქვს დართული, შეტად მცირე მოცულობისაა და ძირითადად მხოლოდ ისეთ სიტყვებს შეიცავს, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არაა შესული. მაგამ, მიუხედავად სიმციობისა, დაინტერესებულ პირს ამ ლექსიკონში შეუძლია მრავალი საჭირო და საინტერესო სიტყვა იპოვოს, როგორცაა, მაგალითად, **ბობდა** ანუ ბჯღლა — ვაზის უნაყოფო ტოტი ძირიდან სამამულე რქამღებულდრუფუნა — ერთოთხისანი პატარა სახლი, სადგომი; **ბუსუნა** ანუ ბუსნა — ახალმოსული ბალახი; **დატრევა** — მაგრად ცემა, გალახვა, დაბეგვა; **თაღლა** — საფიქრე მასალა; **მესვეურის** საპარისპირო სიტყვა **შეუღურია**, ე. ი. შვას დროს ბოლო მომდევნო მუშა; **მხვარეს** საპარისპირო — პარტნიორი; აგრეთვე — **მორბედი**, **საცხოვრისი**, **საწუხისი**, **ფაფხაქვლა**, **შინაშქრალა**, **წინა კაცი**, **ხამი** **საძოვარი** და სხვ.

თავისთავად ამქარაა ის დიდი მნიშვნელობა, რაც აქვს საინდო ჩაწერილ და სპეციალურად შერჩეულ დიალექტოლოგიურ ტექსტებს, ლექსიკონთან ერთად რომ ახლავს გამოცელებას. სასურველი იყო, რომ ეს ტექსტებიც უფრო მეტი რაოდენობით ყოფილიყო წარმოდგენილი. ამ მიეროდენი ხარვეზების მიუხედავად, მონოგრაფია სრულად ასახავს კახური დიალექტის დღევანდელი მდგომარეობის სურათს და ჩვენი საენათმეცნიერო ლიტერატურის მნიშვნელოვან შენამატს წარმოადგენს.

ზურაბ შუმბურიძე

ჩვენი დღეების ნარკვევები



ნარკვევი, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი ენა, მტკიცედ დამყობილდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ეს ბუნებრივია. ნარკვევი უაღრესად ქმედითი, ოპერატული ენარია, იგი საშუალებას იძლევა დროულად გამოვეხსნაოთ

ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, საბჭოთა დამიანების ახალ საგმობო საქმეებს, ახალ პატრიოტულ წამოწევებს.

მაქსიმ გორკის თქმით, ნარკვევი, როგორც ლიტერატურული ენა, მეცნიერული გამოც-

ვლენისა და მოთხოვნის შუა ადგილს იკავებს. მართლაც, ნარკვევში იშვიათი როლია ციფრბირი და სტატისტიკური მასალა, პუბლიცისტური მსჯელობები, მეცნიერული ცნობები და სხვ. მაგრამ, ამავე დროს, ნარკვევი რაც უფრო მხატვრულადაა დაწერილი და მარტოდენ დაქტობის რეგისტრაციით, მოვლენების ემპირული აღწერით არ ამოიწურება, მთი უფრო მეტი იდეურ-მხატვრულ შემოქმედებას ახდენს მკითხველზე. შერკალ გრიგოლ ნიჭიანის წიგნი მოთავსებული ნარკვევების უმრავლესობა სწორედ ასეთი ხასიათისაა. თითქმის ყველა ნარკვევში მკითხველი ეცნობა საბჭოთა მიწვეულობისა ან სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ მხარეს. მაგალითად, ნარკვევი „ჩიქტირობელი ცეცხლის ქალაქი“ გვაცნობს ბაქოში ნავთის ამოღების ტექნიკასა, ცდილობს ტერბიზნული ბურღვის პროცესებს, მაგრამ ავტორი არ ემაყოფილებდა ამ პროცესების მხოლოდ მშრალი აღწერით და იგი იყენებს მხატვრული აღწერის ხერხებსაც. მაგალ. „ავგოსტოს გავარჯიერებული ცა დასიკების ქალაქი“. გაიჭრებულა პაერი, არ შობარაბს ზღვა. სიციხისგან გათანგულია ბუნება. მაგრამ ქალაქი თავისი დაუცხრობელი სიციხისით ცხოვრობს“ და სხვ.

ნარკვევის „დიდი ოჯახი“ ავტორი მოვითხოვს სოფ. ბერწყელიდან სამგორში დასახლებულ გიგო მჭინავილის ოჯახზე. სამი შვილი დაზარდა გიგომ, სამივეს განათლება მიადებინა, მაგრამ გიგომ კარგად იცის, რომ ეს ბედნიერება მარტო მისი ოჯახის განსაკუთრებული ზედღარი როლია. ახალმა ცხოვრებამ მოტრანა იგი ხალხს, ახალ წლის ღამეს მამა და შვილები მსჯელობენ თავიანთ მომავალ გეგმებზე, გამოთქამენ რწმენას, რომ ახალი წელი ახალ გამარჯვების მოტრანი იქნება. ამ სიყნით ავტორი გვიჩვენებს საბჭოთა ოჯახის ინტერესების ვანუყოფელ კავშირს ხალხის, საზოგადოების ინტერესებთან. დიდი ოჯახის ბედნიერება ნარკვევში დამაჯერებლად არის გამოხატული.

ნარკვევების ავტორი მოხერხებულად უფარდებს ერთმანეთს რეალურ და გამოჩინებულ მენეტებს, რითაც ნაწარმოებს ემოციურ შემოქმედების ძალას ზრდის, უფრო საინტერესოს და დასამსახურებელს ხდის. ასეთებია ნარკვევები „რკინის ხიდი“, „ახალი თავმჯდომარე“ და სხვ. „რკინის ხიდი“ ავტორს საბჭოთა ადამიანებს შორის დამყარებულ სოციალისტურ ურთიერთობას. შერკალს ხელთ აქვს უკრაინელი და ქართველი ხალხს შორის მეგობრობის მდიდარი და უხვი ფაქტობრივი მასალა. მაგრამ ყველადრის გამოყენება არ არის მოსაბერებელი. არა იმიტომ, თითქმის ზოგი ფაქტი ნაკლებმნიშვნელოვანია. არა, შერკალმა ფაქტები თავის იდეურ მიზანდასახლებას უნდა შეუფარდოს. მკითხველი ზედავს, რომ ნარკვევის გმირებს ერთი მიზანი ამოძრავებთ — დაეხმარონ ერთმანეთს და ამ გზით წინ წასწიონ საერთო საქმე, შემდგომ გახეივარონ საკომეურნეო წარშობება. ყურადღებას იპყრობს მხატვრული გემოვნებით შეს-

რულებული სურათები. ამ გენიქსკედები სტუმრად არიან სოფელ შრომის კოლმეურნეობთან. დაათვალიერებს მეცხოველეობის უკანასკნელი მოუღელელია, არ არის საყვერწამი, — სტრანია დამაშალია. აღლუა გენიქსკელი ბელენეო, უნდოდა რაიმე უკმები ეთქვა, მაგრამ სტუმარი იყო და მასპინძელს ავი სიტყვა ვერ ჰკადრა... ერთი დეტალი კარგად გამოხატავს საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგია: ბელენეოსათვის შრომის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის მაღალ დონეზე დაყენება ისევე აინტერესებს, როგორც საკუთარი კოლმეურნეობისა. რაიმე კოლმეურნეობა საბჭოთა ხალხს ენსახურება და ამ საერთო-სახალხო საქმისადმი შრომელ კოლმეურნეთა არამწყაიითი დამოკიდებულება ვერ მოათინია... ბელენეოსამ დამისია ერთი წუთით მის სულში შექრილი ეგოისტური გრძნობა და რაც აწუხებდა, ყველაფერი პირისპირ უთხრა მეგობრებს, ვაკაცება ისინი. მეგობართათვის შესტკიოდა გულე უკრაინელ ბელენეოს და მათ მეგობრული ხელი გაუწოდა კიდევ: „ჩვენ ჩვენს მკვებს გამოვეგზავნით ოცდაერთ ძროხას, ამ თამ დღე-უღს, ერთ ბუღას, ერთ ისეთ უღაცს, რომელიც მთელ სოფლად დიჩს. გამოვიგზავნით ღორს, ფრინველს, საქონლის ერთი კამბალური შენობისათვის შექანიერ მოწყობილობას“ (გვ. 58).

ქალაქისა და სოფლის კავშირი, მათი ინტერესთა ერთიანობა კარგადაა დახატული ნარკვევში „ახალი თავმჯდომარე“. ნაწარმოები მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის მოწოდებას ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე ქალაქის მოწინავე ადამიანთა გასაგზავნად, დე რა ფართო გამოხმადრება ჰქოვა ამ მოწოდებამ. სოფლად სამუშაოდ გაემგზავრა გახეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე არჩილ კოკლაშვილიც. საყვარელი საქმის მიტოვება და შემოხობის დაწყება იქ სადაც პარტიამ მოწოდება, არჩილს თავის „დაღწერელ მოვალეობად“ მიანია. შერკალმა სწორად მიაგნო ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი დიდი საზოგადოებრივი მოვლენის ბუნება, საბჭოთა ადამიანის ახალ ხასიათს. ახალმა თავმჯდომარემ, რომელიც მუშაობდა იმავე პირობებში, იმავე ხალხში, როგორც ძველი ხელმძღვანელი. შესანიშნავად გამოასწორა საქმე სასოფლო-სამეურნეო არტელში. როგორ მოხერხდა ამის გაყეთება? არც ისე ადვილად, მაგრამ არც ზეადამიანური თვისებებით, როგორც კოლმეურნეობის ზოგიერთ ძველ ხელმძღვანელს შეიძლება „ჰგონებოდა“. ამ „სახელმწიფოების“ გახსნა მოცემულია თავმჯდომარის მოადგილის ილო ყავლაშვილის სიტყვებში: „მე წინათ მეგონა, უხელმძღვანელო — ეს იმას ნიშნავს, მიუთითო, უბრძანა; მაგრამ ახლა დავინახე, რომ ხელმძღვანელობა ნიშნავს — გადღეწული ყოველ შენს წევრს სამოქმედო ასარები, გაავბინო, რისთვის უნდა იღწოდეს, რომ ის არის არტელის ბატონ-პატრონი. უხელმძღვანელო იმას ნიშნავს — დაყრდნო შენს ხალხს, შეიფეარო კო-

ლექტორი, შეიფასო ადამიანი, ვარემოება" (გვ. 41).
 იმავე იდეურ-თემატური ხასიათისაა ნარკვევი „გვირის გზა“. აქაც კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხელმძღვანელი როლია ნახევნი. სიკო ბუჯიაშვილი ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ იგი სრულიად არ ჰგავს კოლმეურნეობის ძველ თავმჯდომარეებს: — კარგად შეისწავლა ხალხის ჰირ-ვირამი, ახერხებს თვითუფლისაღმის კონკრეტულ მიდგომას, სწორ და სამართლიან ვადაწყვეტილებათა დროულად მიღებას... და ხალხმა იგი შეიფასა, თავის ხელმძღვანელად აირჩია. სიკო საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ხელმძღვანელია. მართალია, თემის მხატვრულ დამუშავებაში არ არის რაიმე სიახლე წინა ნარკვევთან შედარებით, მაგრამ ეს ინტერესი არ უკარგავს ნაწარმოებს, არ ამცირებს მის მხატვრულ ღირებულებას.

ვრ. ჩიჭოვანის ნარკვევების გმირები მოწინავე საბჭოთა ადამიანებია, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ახორციელებენ პარტიის ყოველ ღონისძიებას. ნარკვევებში ახალი თავმჯდომარე" და „გვირის გზა“ გამოიყვანილი ხელმძღვანელები აგრეთვე ხალხის წიაღის აბრან გამოსულა, ისინი ხალხის შემოქმედებით აქტივობას ყოველმხრივ ზეღს უწყობენ, სწორი გზით წარმართავენ.

ნარკვევების გმირები ჩამბუნნი არიან ჩვენი დიდი ცხოვრების ფერხელში. არ ყოყმობენ, მიღწეულთ არ კმაყოფილდებიან, თავმდაბლრად შემოიბენ თავიანთ უბნებზე, წინ მიყავთ საქმე. ასეთია ქართული მეფოლადე მეტრეველიც, რომლის შესახებ მოთხრობილია ნარკვევში „მშვიდობის მეფოლადე“. მწერალმა მოხდენილად შეურჩია ნარკვევს სათურია. ჩვენს, ეპოქაში, როდესაც აგრესიული იმპერიალისტური წრეები ესწრაფვიან მოახვიონ მშვიდობისმოყვარე ხალხებს ახალი ომი, მშვიდობის შენარჩუნება მოითხოვს მსოფლიოს მილიონობით მშრომელ ადამიანის ერთობლად ღონისძიებებს, დაუცხრომელ ბრძოლას, არა მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას, არამედ ეკონომიურ-მატერიალურ სიძლიერესაც. ეს კარგად ესმის ივანე მეტრეველს, „ახალი ყალიბის ადამიანს“, როგორც მას მისი მეგობრები უწოდებენ. ჯერ კიდევ აღარ, სამამულა ომის პერიოდში, როდესაც ივანე სტალინის მეტაღრგიულ ქარხანაში მუშაობდა და სწავლობდა, იგი სამაყის გრძნობით აღსავსე სწერდა დედას: ფაშისტებს ერეკება ჩემი გამოღონილი ფოლადიცო. მას შემდეგ გავიდა დიდი დრო. ახლა ივანე მეტრეველი რუსთავის მეტაღრგიულ ქარხნის საბელოანი მეფოლადეა. მუშაობს მთელი თავისი ძალითა და ცოდნით, ხალისითა და გამარჯვების რწმენით, იმიტომ, რომ იცის — ფოლადი სჭირდება მშვიდობას, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეს.

ნარკვევების „ოქროს ველი“, „გაზაფხულის

შვე“, „მეორე ბუნება“ ღირსებას ის შეიძენს, რომ ისინი ასახვენ იმ დიდ ძეგლებს, სოფლად, რომლებიც საბჭოთა ხელიუფლებას წლებში მოხდა. ამ ნარკვევებს ზოგიერთი ნაწილი აქვთ. ეს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სახეების სქემატრობაში, არა ცოცხლად და არა დამაჯერებლად დახატვაში. ასე მაგალითად, „ოქროს ველში“ ავტორს წითელწყაროს ბრევიადირების გვარების ჩამოთვლა გამოუდის უფრო ვიდრე მათი ხასიათის, ფსიქოლოგიის გახსნა, რაც აიხსნება იმით, რომ გმირთა ცოცხალი საქმიანობის, ე. ი. გმირთა მოქმედების ზეგნების ნაცვლად გამოყენებულია უბრალო თხრობის მეთოდი.

თუ აღწერა და თხრობა საქმარისი არ აღმოინდა ზემოდასახელებული ნარკვევისათვის, „ჭველი ქალაქის სიბაბუკეში“ იგი მიზანს აღწევს. ამას განაპირობებს თვით ნაწარმოების ხასიათი. მწერალი ხატავს ვრცენის დღევანდელ სახეს, გვიჩვენებს, როგორ იზრდება, როგორი პაბუკური ცხოვრებით ცოცხლობს მოძმე რუსუბულიკის დედაქალაქი — ერევანი. იგივე ითქმის ნარკვევზე — ბაქოს შესახებ. („ჩატკობრელი ცეცხლის ქალაქი“).

კარგია ნარკვევი „დიდი ნაღი“, რომელიც სამგორის მშენებლობისაღმია მიძღვნილი, „ორი მამა“, „ორი სამყარო“, „ჩენი დღეები“ და სხვ. სარეცენზიო ნარკვევები ავლენენ მწერლის მხატვრული გამოსახვის შესაძლებლობას, აქტიურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. მწერალს არ დალატობს ახლის შეგრძნობის უნარი და კარგად ხედავს სინამდვილის ტაბურ მოვლენებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ნარკვევით თანაბარი მხატვრული სიძლიერით არის შესრულებული, მაგრამ დახვეწილი ვნით, აქტიუალური საკითხების დასმით და მის სწორი გადაჭრით ისინი მოწონებას იმსახურებენ.

მწერალი უფრო საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანთა ცხოვრებითაა დაინტერესებული, კარგად იცნობს სოფლებს, იცის მისი საკიროვანი, ფართოდ განმარტავს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი გაზრდის მიზნით, პარტიის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ ღონისძიებებს; პოზულაზიზაციას უწევს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კახეთის კოლმეურნეობების სბეილიზაცია („ახალი თავმჯდომარე“), საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში მეცხოველეობის განვითარება („კინის ხიდი“), სოფლად ახალგაზრდობის დენადობის შეკავება („შრომადლე“) და სხვ.

როგორც ზემოთ ითქვა, ნარკვევი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მტკიცე ადგილს იკავებს. კარგია, რომ ჩვენი გამოცემლობები ცალკე წიგნებად სცემენ ნარკვევების კრებულებს. ცხელია, ამ ვარემოებამ უფრო მეტად უნდა გაზარდოს ნარკვევების ავტორების პასუხისმგებლობის გრძნობა ფართო მკითხველის წინაშე.

ფრანგი რეჟისორის ჟივნი თეატრალურ ხელოვნებაზე

საქართველოში
გეოგრაფიული



დასავლეთ-ევროპის თეატრალურმა რეჟისორმა ორი სახელი წამოაყენა უცანსეულ ათწლეულში. ესენი არიან აწ განსვენებული გერმანელი მწერალი და რეჟისორი ბერტოლდ ბრეხტი და ფრანგი ჟან ვილარი.

თეატრალურ სამყაროში ორი თეატრი „ბერლინერ ანსამბლი“ და „საფრანგეთის ეროვნული სახალხო თეატრი“ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს აქტიურული შემოქმედების და მეტადრე რეჟისორული სიხლის თვალსაზრისით. მართალია, „ბერლინერ ანსამბლის“ დამაარსებლის ბრეხტის მსგავსად (მას გუთუნის ფრიად საყურადღებო თეორია „ეპიკური თეატრის“ შესახებ) ჟან ვილარს არ შეუქმნია ერთ სისტემაში მოყვანილი თეორია თეატრისა, მაგრამ სხვადასხვა პერიოდში მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, რომლებაც თავმოყრილია წიგნში „თეატრალური ტრადიციის შესახებ“ მრავალმხრივ არის საყურადღებო.

ჟან ვილარი თეორიულად აზოგადებს თავის მდიდარ რეჟისორულ გამოცდილებას, რომელიც მან ჯერ სხვა თეატრებში და ბოლოს „საფრანგეთის ეროვნული სახალხო თეატრში“ ხანგრძლივი მოღვაწეობით შეიძინა. ეს მოსაზრებანი ასახევენ ამ თეატრის თავისებურ მიმართულებას და სტილს, გვამდგენს წარმოდგენას საფრანგეთში რეჟისორული აზროვნების დონის შესახებ. ამიტომ, საჭიროდ ვცნობთ, მოკლედ გადმოვცეთ ჟან ვილარის რეჟისორული მოღვაწეობის წინა პერიოდი, შევხვით ბრეტე მისი თეატრის ზოგიერთ თავისებურებას.

ჟან ვილარი თავის მოღვაწეობას აქტიურობით იწყებს ენობილი ფრანგი რეჟისორის შარლ დიუ-ლენის თეატრში; ოტებაციის პერიოდში იგი მოჰრავი დასის „ლა რეპორტ“-ის მსახიობი და რეჟისორია. სწორედ ამ ხეტიალის წლებში გაიცნო მან ფრანგი შრომელი ხალხის მისწრაფებანი, მისი სულიერი სამყარო. ამ დროსვე შემეშვა მისი რეჟისორული მეთოდი. ადგომების განუწყვეტელი ცეცხლი მოიხიზდა იმპროვიზაციის განსაკუთრებულ ტალანტს, ამავე დროს მასწავლებლურად განტვირთულ სცენას, დამხმარე აქუსტურასა და ანტრეაის სპარტანულ სიმკაცრესა და უზარალოებას. მთავარი უტრადლება გამახვილებული იყო მხოლოდ აქტიორის ემოციებზე და სიტყვაზე. აი ესენი იქნენ შემდგომში „ეროვნული თეატრის“ ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებად.

Жан Вилар. О театральной традиции.
Изд. ин. лит.-М., 1956.

პროვინციაში მოღვაწეობის შემდეგ ვილარი პარიზში ე. წ. „ჯიზის თეატრში“ დგამს სტრინდ-ბერგის „ქარიშხლებს“, ხოლო შემდეგ აარსებს „შვილთა თეატრს“, სადაც დიდი წარმატებით ახორციელებს მოლიერის „დიდ ეუანს“, ქრისტიანუნის „მოგზაურობას ლამეში“, სტრინდ-ბერგის „სოკრატის როკვას“, ელიოტის „მკვლელობას ტაძარში“. 1947 წლიდან იგი უკვე სხელმძღვანელობს რეჟისორია. ამ წელს ქ. აინიონში, პაპის სასახლის ეზოში მისი რეჟისორობით გაიმართა პირველი თეატრალური ფესტივალი. პაპის სასახლის უზარმაზარ ეზოში მან ააგო სახელდახელო სცენა რამპისა და ფარდის გარეშე. არ იყო დეკორაციები, ხოლო შექმნილენების ეფექტები და კოსტუმები შექმნილი იყო არა თეატრალურ პრინციპებზე, არამედ შეფერვებულა უჩვეულო გარემოს — გვიანტურ ქვის კედლებს, დად სოკრატეს. ამ თითქმის ერთად იყო შერწყმული ესპანური მოხეტიალე დასების გამოცდილება, „კომედია დელ არტეს“ იმპროვიზაციული ბრწყინვალება და ანტეკური თეატრის მსმეტება.

1951 წელს ჟან ვილარი დაინიშნა „საფრანგეთის ეროვნული სახალხო თეატრის“ დირექტორად და რეჟისორად. ამ უზარმაზარ თეატრში, რომელიც შიოს სასახლეში მდებარეობს, ვილარი მათი თითქმის უწყვეტად გადმოიტანა აინიონის სცენის არქიტექტურა.

სწორედ ამ თეატრში დაიდგა მისი სახელგანთქმული სექტაკლები „მარიამ ტოდორი“, „დონ ეუანი“, „სიდი“ და სხვები.

გარდა თეორიული მოსაზრებებისა, რომელთა ძირითად ნაწილი მისი ამ თეატრში მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბდა, ვილარი თავისი წიგნის პირველ თავში „თეატრის ასი წელი“ მიმოიხილავს ფრანგულ თეატრალური ხელოვნების თავისებური განვითარების გზას მეორე იმპერიიდან — მესამე რესპუბლიკამდე. მაგრამ ეს არ არის მთავარი ამ წიგნში.

შემდგომში თავებში ვილარი აყალიბებს თავის ძირითად თეორიულ დებულებებს. ამ მე ბერტოლდ ბრეხტის „ეპიკური თეატრის“ თეორიასთან მინდა გაეაელო პარალელი. ბრეხტისა და მისი თეატრის მიზანია აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა გონებაზე, აღძროს მძლეობის განუხრციერი იმპულსები და ამ გზით გამოიწვიოს მყურებლის ემოციური აღზნება—ისიც გარკვეულად შეზღუდულ ფარგლებში. ჟან ვილარი კი საპირისპირო თეორიას აეთარებს. მისი აზრით, თეატრში უნდა ბატონობდნენ ემოციები. ემოციური კონტაქტი (უმათარესი თეატრალურ ხელოვნებაში) მყურებელსა და დარბაზს შორის მყარდება არა რაიმე ამაღლებული ან პროგრესული იდეის ზეგავლენით, ან ადამიანთა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ნატურალის-

ტური წარმოსახვით, დიალოგის რეალისტური ტონის მეოხებით, არამედ მხოლოდ პოეზიის, კადენციის, რიტმის წყალობით.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ვიღარი უარყოფს თეატრის რაციონალურ ძალას, ფილოსოფიურ სიღრმეს. აქ საქმე ეხება ზემოქმედების თავისებურ გაგებას. სიტყვა — აზრისა და იდეის შემცველი-გაგენის უპირველესად და უპირატესად უნდა ახდენდეს ემოციანზე. თეატრი — ვიღარის მიხედვით — არ არის ჩვენი ცხოვრების ანალიტიკური ჩვენება. სიტყვა ჯერ ემოციურად უნდა აღგზნებდეს ადამიანს, ხოლო შემდეგ უნდა გარშემოებდეს, გიხსნიდეს.

ქან ვიღარი, ეტყობა, თანამიმდევრია თავისი მოსაზრებებისა. ამას წინათ ეურნალმა „Teatr“-მა გამართა თეატრალური ფორუმი. ქან ვიღარმა თავის პასუხში ნაწილა „ჩემი ფიქრით, ყოველ ეპოქაში თეატრის როლი იმში მდგომარეობს, რომ პოეტურად გამოხატოს სხვათა, ტანჯვა იმ ხალხისა, ვისთვისაც იგი არსებობს. ჩვენს თანამედროვე თეატრს ყველაზე მეტად აკლია პოეტი“ („Teatr“ № 1 1957).

თანამედროვე თეატრში მოსული ადამიანის სულიერი ცხოვრება, მისი შინაგანი სამყარო, უფრო რთულია, ვიდრე შექსპირისა და ესქილეს მიერ გათქმულბული საშინელებანი. თეატრალური ხელოვნების ბედნიერება ისაა, რომ იგი აძლევს ცხოვრებას, გამოჰყავს მიხვან პოეტური აზრი. ამიტომ ჰიშინი ადამიანისა პოეზიას საშუალებით ძირითადი თეატრში. კადენცია, რიტმი და პოეზია ზადებენ ემოციურ აღგზნებას. თანამედროვე თეატრში კი მოდის არა თეატრალური ხელოვნების ქტრუმი, არამედ მენტორი, არა შემოქმედი სპექტაციისა, არამედ დიალოგის შემქმნელი. ამ შექრლებს აკლიათ „სული უწყვეტი მღელვარებისა“ და შეხაძლია ამიტომაც ვიღარი მიმართავს კორნელს, რასინს, მოლიერს, დიდი სიფრთხილით და ხანგამოშვებით, თანამედროვე დრამატურგებს.

ვიღარის აზრით, ფრანგულმა და ვეროზულმა თეატრმა დაეკარგა მოზაიკოიდობელი მომიხილვაობა სცენისა, ვინაიდან ყველა ის სპეციფიკური თეატრალური ნიშნები ე. ა. ყველაფერი ის, რაც არ გამოიხატება სიტყვებით, მეტყველებით, რაც არ არის დიალოგი, ვადატანილი იქნა მეორე პლანზე. მივიწყებელი იქნა სცენური ნაწარმოების სიმფონიური ელვადობა, ექსტეზის, ლექსიკა, მიმის გამომსახველობა.

ქან ვიღარის ამ მისწრაფებებში ჩვენ შევვიძლია დაინახოთ საბჭოთა თეატრისა, და კერძოდ ქართული თეატრისათვის ნაცნობი მოტივები. ცნობილია, რომ სანდრო აბმეტელი თავის რეჟისორულ მოღვაწეობაში ცდლობდა გამოეყენებინა განსაკუთრებული რიტმულობა მოძრაობაში და მეტყველებაში, შეექმნა ემოციური დაძაბულობა და ამრიგად მოეხდინა შემოქ-

მედება მყურებელზე. ვ. მეიგარხოლდის თეატრშიაც შეიმჩნეოდა ამგვარი ტენდენციები. მან თავის თეატრში დაამკვიდრა რიტმულობა უნიხლო ხელოვნებაში, მიმური თამაში — ჩანაფიქრის უსიტყვო გამოხატვისა და პანტომიმური თეატრის ტრადიციული ხერხები.

ხერხების ამ ფართო მასშტაბების გარეშე შეუძლებელია ვადმოიცეს მთელი სისრულე ემოციისა და იდეის. „მიშველი რეალიზმი“ სცენაზე აცარიელებს ჩვენს ხელს და სცივებს ასაღვრებს. როგორც სიყვლილი უღელბო, არა პოეტური და მკაცრი თავისი სიყარულით, ასევეა რეალიზმი, რი მისი ძირითადი თვისების — გულწრფელობისა და რეალობის — გარეშე.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რეჟისორს, სპექტაკლის სტილისტური გააწყვეტა დამოკიდებულია დრამატურგის თვისებურებებზე. თუ ჩვენ საქმე გვაქვს კემპარიტ დრამატურგთან-მამინ, რაც უფრო შეზღუდული იქნება გამომსახველობითი ხერხები რეჟისორისა, რაც უფრო ნაკლები იქნება „თეატრალობა თეატრალობისათვის“ უმჯობესია, რადგან დიდი იღებობსა და ემოციონის შემცველ ნაწარმოებს არ სჭირდება ე. წ. „რეჟისორული ინტერპრეტაცია“, შევსება დამატებითი დეტალებით. აქ მსახიობებმა უნდა შეითოსონ გმირების ემოციები, რიტმი, კადენციები, სინტაქსისი და ვადმოსცენ მათი სულიერი ცხოვრება. ეს მას რაოდენ ნიშნავს, თითქოს რეჟისორის ხელოვნება დაინებულა ამ დროს „გამორიცხული უნდა იქნეს გამომსახველობის ყველა ხერხი, რომლებიც უცხაა სცენის მკაცრი, სპარტანული კანონისათვის, სპექტაკლი უნდა დაფიციონოთ მოქმედ მსახიობზე, სცენურ ცხოვრებამდე და გამოკვირეთ მხოლოდ ის, რაც შეესაბამება მხოლოდ ნაწარმოების სულს“. ხერხების ნაკლები ეფექტურობა და მათი დიდი ემოციური გამომსახველობა — ესაა ვიღარის ძირითადი რეჟისორული მისწრაფება.

„სპექტაკლის კემპარიტი შემოქმედი ავტორია, ვინაიდან იგი ჩვენ გვაძლევს ყველაზე მთავარი, თუ, რასაკვირველია, მისი ნაწარმოების დრამატული და ფილოსოფიური ღირსებანი ისეთია, რომ ჩვენ არაფილარი საშუალება არა გვაქვს საკუთარი ინტერპრეტაციისათვის“ (გვ. 64). მგარამ უკანასკნელ ათწლეულში, ვიღარის აზრით, რაც შეიძლება პარადოქსალურად გვაჩვენოს ჩვენ — დრამატურგისა არ წამოუყენებია პოეტი-შემოქმედი და ამიტომ კემპარიტი დრამატურგები თეატრისა არიან არა ავტორები, არამედ რეჟისორები. ეს არის განსაკუთრებული პერიოდი თეატრისა. ვერმანამი — რაინჰარდტი, რუსეთში — სტრენლავსკი და მეიგარხოლდი, ინგლისში — გორდონ კრეგი და ა. შ. დამდგმელების უპირატესობას დრამატურგებზე ვერ აქარწყლებს კლოდეის

(საფრანგეთი), პირანდელოს (იტალია), სინგის (ინგლისი), ლორკას (ესპანეთი), ჩეხოვის დრამატურგიის ირსებობა. ესენ ვილარის აზრით, ამჟამად ჩვენ გვაქვს არა ავტორის თეატრი (როგორც იყო ვოქეოთ, წარსულში ესპილეს, შექსპირის, ლაპე დე ვეგას, მოლიერის, ოსტროვსკის თეატრები), არამედ რეჟისორის თეატრი. ავტორები აძლევენ თეატრს იდეას, მაგრამ ისინი ვერ აძლევენ სტილს, ემოციებს. სწორედ ამან განსაზღვრა ეს უცნაური მდგომარეობა თანამედროვე თეატრში.

ფრიად საუერადღებოა ესენ ვილარის მოსაზ-

რებანი მსახიობის ხელოვნებაზე, მხატვრობაზე და თეატრის სხვა კომპონენტებზე; იგი ბევრს დაპირაკობს, ზშირად სადავეოდ, თეატრალური ტრადიციების შესახებ (მაგ. ცნობილი ფრანგი რეჟისორ-ნოვატორის ანტუანის როლი ფრანგულ თეატრში მას თიქმის არარობამდე დამყავს). მაგრამ მთავარია, რომ ამ წიგნში იცნობა საინტერესოდ მოაზროვნე რეჟისორი, რომლის ნაწერების გაცნობა ჩვენი ხელოვნების მუშაკებს ბევრ რამეში გამოადგებათ.

6. გურაბანიძე

18

ახალი წიგნები

საბავშვო მწერალი



- სულხან-საბა ორბელიანი — სიბრძნე სიერუსა. რედ. ს. იორდანიშვილი. გვ. 176, ფასი 8 მან. 40 კაპ.
- უიარაღო — მოთხრობები, ნარკვევები და წერილები. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 638, ფასი 23 მან. 90 კაპ.
- ნოდარ შამანაძე — სიუჰეტის გზაზე. რედ. ან. თევზაძე. გვ. 70, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ოთარ შალაშვილი — ლირიკული აპრილი. რედ. შ. ამისულაშვილი. გვ. 75, ფასი 1 მან. 60 კაპ.
- გიორგი გიგაური — მათების სიმღერა. რედ. კ. კალაძე. გვ. 65, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- ილი ბეროშვილი — საღამური ღელღუნებდა. რედ. ან. თევზაძე. გვ. 70, ფასი 1 მან. 30 კაპ.

სტალინის სახელწოდების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

- იანე ცინცაძე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (10 — 16 სს). რედ. შ. მეხსია. გვ. 348, ფასი 13 მან.
- სამსონ აბაშიძე — ნაწერები. რედ. ს. ხუციშვილი. გვ. 133, ფასი 3 მან. 80 კაპ.
- შალვა გოგებაშვილი — საბუხმალტრო აღრიცხვის საფუძვლები საბჭოთა ეპოქაში. რედ. გ. გურგენიძე. გვ. 313, ფასი 10 მან. 75 კაპ.
- სერგო ბერაძე — კეისრი — იმპერიალიზმის აპოლოგეტი. რედ. ა. ნუცუბიძე. გვ. 104, ფასი 4 მან. 70 კაპ.
- თ. ლობჯანიძე — რეალისტების თეორიის ზოგიერთი საკითხი ე. ი. ლენინის აღრინდელ შრომებში. რედ. ვ. ბახტაძე. გვ. 231, ფასი 8 მან. 25 კაპ.
- ა. შირცხულავა — სტატისტიკური ფაზიკა და თერმოდინამიკა. რედ. გ. შირიანაშვილი. გვ. 407, ფასი 8 მან. 70 კაპ.
- გ. დოლიძე — თეორიული მექანიკის მოკლე კურსი. რედ. ვ. მამასახლისოვი. გვ. 374, ფასი 16 მან.
- კ. ქოძეიანი — ზოგადი ბოჭიშვიის კურსი. რედ. ს. ლურშიძე. გვ. 442, ფასი 12 მან.
- ე. ქობალია — გ. ე. პლუტინოვი და „შრომის განთავისუფლების გზაზე“. რედ. გრ. გამსახურდია. გვ. 39, ფასი 1 მან.
- გ. გამსახურდია — კ. შარქისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესახებ. რედ. გ. აფთილონიძე. გვ. 37, ფასი 1 მან.
- ისტორიული მატერიალიზმი — შთ. რედ. პ. გუჯაბიძე. გვ. 322, ფასი 15 მან.
- ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან — რედ. ვ. გაბაშვილი. გვ. 403, ფასი 18 მან. 70 კაპ.
- გერმანული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის — რედ. ვ. შურვანიძე. გვ. 603, ფასი 8 მან. 60 კაპ.

საბ. სამედიცინო ლიბრატურის სახელმწიფო გამომცემლობა

- დ. გ. მამამთავრიშვილი — თვალბუდის სიმსივნეების მორფოლოგია და კლინიკა. რედ. ნ. საყვარელიძე. გვ. 264, ფასი 8 მან. 20 კაპ.
- ი. რეხვიანი — ბავშვთა ექიმის ცნობარი. რედ. პ. ყურაშვილი. გვ. 260, ფასი 7 მან. 60 კაპ.
- მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი — საქართველოს მედიცინის ისტორია. ტომი 3. რედ. დ. მამამთავრიშვილი. გვ. 420, ფასი 15 მან. 40 კაპ.
- ვ. ი. ელაშვილი — ფარაკობა (რუსულ ენაზე) რედ. ა. რომაშვილი. გვ. 88, ფასი 4 მან. 80 კაპ.
- ფიზიკური აღზრდის თეორია — (თარგმ. შ. ბაღდავაძისა) რედ. ლ. გორბაჩოვი. გვ. 588, ფასი 11 მან. 30 კაპ.

ფასი 8 ლ.

6-2/136



37/379

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ